ჯემალ ქირია

ბელეტრისტიკა

ტომი 5

მარადი მხედარი

(რომანი)

თბილისი 2006
გამომცემლობა „საარი“

რომანის საჟურნალო ვარიანტი გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ (№3-8, 1980).
1985 წელს „მარადი მხედარი“ გამოსცა გამომცემლობა „მერანმა“

© ჯემალ ქირია – მარადი მხედარი;
საავტორო უფლებები დაცულია

რედაქტორი: ნათელა წერეთელი
ტექნიკური რედაქტორი: ირინა მარკოზაშვილი

გამომცემლობა „სარჩი“
ISBN

აწ შენცა, საყვარელო, ოდეს შეითქვნენ შენ ზედა ხუთნი მეფენი ხორცთა შენთანი, ცოდვის-მოყვარენი: ერთი მეფე თვალი შენი, რომელი რასაცა იხილავს, ნებავს მიღება თვისად და მიგიზიდავს მრუშებად და ანგარებად, - მეორე მეფე ყური შენი, რომელი მარადის განარისხებს გულსა შენსა სძენითა ამათთა სიტყვათაითა და დაგიმარხავს გულსა შინა უნჯად ძმათ-მოძულებასა და ძვირის-ზრახვასა, - მესამე მეფე ენა შენი, რომელი ზრახავს ბოროტსა, და გინებასა და ტყუვილსა და ცრუფიცობათა იწვრთის, - მეოთხე მეფე საყნოსელი შენი, რომელი მისდევს სოფლისა ამის გემოთა და სიამოვნეთა, - მეხუთე მეფე შენი ხელნი და ფერხნი, რომელნი განმზადებულ არიან ტაცებად, და ხვეჭად და პარვად. ესენი არიან ხუთნი მეფენი, რომელნი მარადის ებრძვიან სულთა კაცისათა.

სულხან-საბა ორბელიანი, „სწავლანი“

წინათქმა

პირველ ბედიას ბედი ეწია უცაბედად. საურმე გზაზე გველის წიწილს წააწყდა, ამასაც დედ-მამა ეყოლება, აქ კი ვინმე უგულო გასრესსო და ბუჩქებში გადასვა. მას შემდეგ დიდი ჭყონის ძირას, სოფლის გაღმა ტყეში, ოქროს ფულებს პოულობდა ყოველ ცისმარე. გამდიდრდა, თურმე, პირველი ბედია, შრომაზე ხელი აიღო, არ ხნავდა, არ თესავდა, მაგრამ მის ოჯახს ჩიტის რძე არ აკლდა. ხელისგულზე კოჟრი გადაუვიდა, სახის კანი თავშენახული დიაცივით გაუთეთრდა, ღიპი დაეჩნდა და თვეში ერთხელ ახალ ძიქვას იკერავდა, რადგან ძველში ვერ ეტეოდა. მთელ სოფელს მისი ვალი ჰქონდა. თვითონაც ხასიათი შეეცვალა, გულქვა და კრიჟანგი გახდა, მეზობლის და სტუმრის მოძულე. ღარში ოქროს ჩხრიალითღა იტკბობდა სმენას... მაგრამ ბედი ღალატსაა ჩვეული, ეშმაკი ეახლა პირველ ბედიას და ცბიერი ჩურჩული გაუბა, ნატ-

ვრისთვალი ექნება, ალბათ, დიდი ჭყონის ქვეშ მცხოვრებ უნასს, თორემ საიდან შოულობს ამდენ ფულსო. მკრეხელობად მოეჩვენა პირველ ბედიას ასეთი აზრი, მაცდურის განდევნა მოინდომა, მაგრამ ეშმაკი სულში ეჯდა და რას მოერეოდა. აიღო ბარი და წერაქვი, ქამარში წალდი გაირჭო და რიჟრაჟზე შინიდან გავიდა. იმ დღეს იგი არ დაბრუნებულა, არც მეორე დღეს. ბოლოს შეიცხადა ოჯახმა, სოფელი შეჰყარა, თავისი უბედურება გაანდო. წავიდნენ დიდი ჭყონისაკენ, ოღონდ ახლოსაც ვერ გაეკარნენ. დაგესლილი პირველი ბედია ხის ქვეშ ეგდო, ჭყონს კი ფოთლების მაგიერ უთვალავი ჭარი ესხა. მიხვდა სოფელი, ეშმაკის ნახელავი იყო ყოველი. მოუხმეს მღვდელს, მოასვენეს წმიდა ხატი, შეულოცეს. მერმე ცეცხლი შეუნთეს დიდ ჭყონსა და გვამს. როცა ფერფლიღა დარჩა, განშორდნენ და სამუდამოდ აღიკვეთეს გზა იქითკენ.

წლები გავიდა. დაწყევლილ ადგილს არავინ ეკარებოდა. ფერფლი მალე დაიფარა ძეძვითა და ნარშავით, პირველ ბედიას ამბავი კი დავიწყებას მიეცა...

თაობა თაობას მიჰყვა. წარიშალნენ წინაპართა საფლავნიც და მესაფლავენი ახლადგათხრილ სამარეში მიწადქცეულ ჩონჩხებს აწყდებოდნენ...

მაგრამ ბედის წიგნში მრავალი უცნაური სტრიქონია და მეთხუთმეტე თუ მეოცე თაობის ბედიას უშობელი დაეკარგა. ერთი საწყალი კაცი იყო, იმ უშობლის გარდა არაფერი ებადა. თუთარჩელა ღამეს მთელი სოფელი დაიარა ბედიამ, კვალს ვერსად მიაგნო და მთვარეს დანდობილი ტყეში შევიდა. იმ დროს სოფელს უტეხი თხმელნარი ერტყა ირგვლივ, დღისითაც კი ერეოდა გზა და კვალი მოგზაურს. თუთარჩელამ შეაცდინა ბედია, საიდანღაც გამომტყვრალმა ვეშაპმა გადაყლაპა მთვარე, წკვარამი ჩამოწვა. ბილიკს აცდენილი კაცი მთელი ღამე დაბორიალობდა ჭაობებსა და ეკალბარდებში. მერე ვიწრო თირი დალანდა და აწი ცდილობდა, არ დაჰკარგოდა. ეტყობა, სოფელს ძალიან დაშორდა. ძაღლების ყეფა და მამლების ყივილი დიდი ხანია მიწყდა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, საკუთარი ფეხის ხმა აშინებდა. დროის სათვალავიც აერია უკვე და ყოველგვარი იმედი გადაიწყვიტა, როცა წინ სინათლე აციმციმდა. ჯერ ვარსკვლავი ეგონა, მაგრამ ასე დაბლა ვარსკვლავს რა უნდოდა. გახარებული ბედია სინათლისაკენ გაეშურა. უნდოდა შეეძახა, შორიდანვე გაეფრთხილებინა დამხვდური. ადგილი ეცნაურა და გადაიფიქრა. გაგონილი ჰქონდა, ოდესღაც აქ, ჭალაში, დიდი ჭყონი იდგაო, სალოცავი. მერმე ეშმაკებს წაუბილწავთ თურმე, მეხი დასცემია და დაუნახშირებია. ბედია კვლავ შიშმა შეიპყრო. ვინ უნდა ყოფილიყო ისეთი გულმაგარი, ღვთის დაწყევლილ ადგილს რომ არ მოერიდა და მაინცდამაინც აქ დასცა ბანაკი? ნაბიჯი შეამოკლა, ცერებზე შედგა... ტყეში კოცონი გიზგიზებდა და მუსაიფის ხმაც მოისმოდა. ბედია ბუჩქებს ამოეფარა, იქიდან გახედა. ცეცხლის პირას სუფრა გაეშალათ. ერთ მხარეს წოწოლა კაცი იჯდა, ხელში შამფური ეჭირა და ცვრიან მწვადებს შეექცეოდა; მეორე მხარეს კი უზარმაზარი მგელი დაყუნტულიყო კუდზე, თავისი ღონიერი ტოტი დაგლეჯილ უშობელზე დაედო.

წოწოლამ საიდანღაც მომცრო ყანწი დააძვრინა, ტიკიდან ღვინო დაისხა, ამოწრუპა, მერმე ისევ შეავსო და მგელს გადააწოდა: „გეშვი, ღვინი, ქუდმახვამი, სახელ ბჯოხო გუჯმახანი!“ (შესვი, ღვინო, გადმომილოცე, სახელად მქვია გუჯმახანი!). მგელმა ცალი ტოტით ყანწი გამოართვა, ღვინო ხახაში ჩაისხა და დაიღრინა: გუჯმახან, ადამიანის სუნი მეცა და კბილების ქავილი ამიტყდაო... ჩემს მეტი ადამიანი აქ ვინ იქნებაო, — გაიცინა გუჯმახანმა, — შენ თუ ბედიაზე ამბობ, სანამ თავის ეზოში შევა, სული ამოხდებაო!.. მგელმა ნაკვერჩხლებივით მოელვარე თვალები მოავლო ბნელ ტევრს და მზერა იმ ბუჩქზე შეაჩერა, რომლის უკანაც ბედია იმალებოდა.

თვალთ დაუბნელდა ბედიას, წამოვარდა და უკან მოუხედავად მოკურცხლა სოფლისკენ...

მგლის საზარელი ყმუილი მოესმა კვალზე. ფრთები შეისხა. მიშველეთო, ერთი შეჰკივლა და შევარდა სოფლის ორღობეში. სოფელს კარგა ხანია, ეძინა. კივილზე ხალხი წამოცვივდა, მაგრამ მგლის ყმუილმა შიშის ზარი დასცა და ვერავინ გაბედა გარეთ გამოსვლა.

ბედია მიიჭრა თავის ჭიშკართან, ურდულის ასაყრელად ძალა

აღარ ეყო. მგელზე ამხედრებულმა გუჯმახანმა შემოიქროლა ორღობეში და გულშემოყრილი ბედია იქვე დაეცა.

ადამიანის მეხსიერება უძიროა. შიგ ბევრი რამ მნიშვნელოვანი იკარგება, უმნიშვნელო კი ზედაპირზე ტივტივებს. ჰოდა, ბოდღოს მამა რატომღაც ყველას დაამახსოვრდა, თუმცა თავი არაფრით გამოუჩენია. ოცდამეათე თაობის ბედიამ არა უწყოდა რა თავისი წინაპრებისა. ერთი უბირი გლეხკაცი იყო, წელებზე ფეხს იდგამდა და ერთადერთ შვილს პატარა, ენგურს გადამყურე ჯარგვალი დაუტოვა. წერა-კითხვა არ იცოდა, თუმცა ერთ დროს ეფუთი და კარაბადინი ეწყო კიდობანში და არც თვითონ ეკარებოდა, არც სხვას აკარებდა. გველის შელოცვა შეეძლო; თანასოფლელებს არაერთხელ უნახავთ, ჭუჭყიანი პერანგის სახელოდან უხსენებელს რომ ამოაყოფინებდა თავს და მის დღეში ხელი არავის ჩამოურთმევია. მითქმა-მოთქმა დადიოდა, მასაც და მის ცოლსაც ეშმაკთან აქვთ პირი შეკრულიო. ხშირად უნახავთ თურმე ორთავე, მგელზე რომ დათოხარიკობდნენ. ალბათ ჭორი იქნებოდა... მოკვდა სრულიად მოულოდნელად, ფეხი დაუცდა და ენგურში გადავარდა. ცურვა კარგად ეხერხებოდა, მაგრამ რატომღაც უცებ ჩაიძირა და მერე მის კვალსაც ვერ მიაგნეს. ოჯახმა დაფხრეწილი ღართი და ძიქვა დაიტირა. სოფლის უხუცესთა თანადასწრებით კიდობანი გახსნეს. შიგ დახრული ქაღალდის მტვერიღა აღმოჩნდა... ამოუკვალთავი შავები ჩაიცვა ქვრივმა ჩათუმ, ცხარე ცრემლით იტირა ქმარი. მეორე დღეს კი ულმობელი ჭორი კვლავ დაძვრებოდა სახლიდან სახლში, ღამე უნახავთ ქვრივი ჩათუ ეწერში, მგელზე იჯდა თურმე წოწოლა კაცთან და მიჰკიოდა ტაბაკონისაკენ... ოღონდაც, სოფელს რა დაეჯერება...

თვით ბოდღო ბედია პატარა კაცი იყო როგორც აღნაგობით, ისე მდგომარეობითაც. ჯერ კიდევ აკვნის ბავშვი ღორმა დაითრია და კინაღამ შეჭამა. დროზე მიუსწრეს და წაგლიჯეს, მაგრამ სამუდამოდ დაკოჭლდა და სიბერეშიაც ეს პატიოსანი პირუტყვი დასანახავად ეჯავრებოდა.

ხეიბრობამ ბავშვობა გაუმწარა. ტოლები აბუჩად იგდებდნენ, ქვებს ესროდნენ. ამიტომ მუდამ გულჩათხრობილი და დარდიანი იყო, მარტო თამაშობდა. ერთხელ, — მაშინ ათი-თორმეტისა იქნებოდა, — ღელის პირას ბატებს მწყემსავდა და ძალიან გაერთო: თიხისაგან მაღალი კოშკი უნდოდა აეგო, მაგრამ თიხის კოშკს საკუთარი სიმძიმე ანგრევდა. ბიჭი ისევ ძირიდან იწყებდა გულმოდგინედ. უცებ ახლადამოყვანილ თიხის ზღუდეს ჩრდილი დაეცა და შეშინებული ბიჭი ადგილზევე ჩაჯდა. ჯორზე ამხედრებული, წვერმოშვებული და ანაფორიანი კაცი ღიმილით დაჰყურებდა მის ნაცოდვილარს. კაცს წინ უზარმაზარი, ოქროთი მოსვირინგებული წიგნი ედო და ორი დიდი ხურჯინიდან კიდევ სხვა მომცრო წიგნები და ეტრატები უჩანდა. „ვერღარა აშენდებიედ ნიჭითა შენითა ციხენი და გოდოლნი კეთილნი, გარნა ძეი შენი იქმს კეთილსა ამა საქმესა!“ „ძია, ვინა ხარ?“ – ხმის კანკალით შეეკითხა ბიჭი. „ჯგრაგ!“ – უპასუხა უცნობმა და ჯორს დეზი ჰკრა. საბრალო ბიჭს იმ დღეს ბატები გადაავიწყდა, რისთვისაც მამამ, — მაშინ ცხონებული ცოცხალი იყო, — ჭინჭარი მოსცხო ერთ ადგილას.

წლებს თავისი გაჰქონდა. ბოდღო ბედია პირმშვენიერი ჭაბუკი დადგა, მაგრამ ბარემ ხუთმა გოგომ დაიწუნა, აქაოდა კოჭლს როგორ გავყვებითო. ჭაბუკს გული მოეშხამა, ქვეყანა აითვალისწუნა. ოღონდაც, ობლის კვერის ზღაპარი მხოლოდ მისთვის ყოფილა ნათქვამი და ჭუბაბრიას მშვენიერი ასული ჩაიგდო ხელში. შემდგომ, წამოჩიტებულ შვილებს ატყუებდა, ბავშვობიდან გვიყვარდა ერთმანეთიო.

სადღაც დასაკარგავში მცხოვრებმა ნათესავმა შემოუთვალა, საშენო ქალი შევარჩიეო, მოდი და ნახეო. მართალია, ცოტა ბრუციანიაო, — იტყობინებოდა, — მელოტიცაა ოდნავ, კუზიც ამშვენებს, ფეხების სიშხვართითაც ვერ დაიკვეხნისო, მაგრამ არც შენა ხარ ცით ჩამოფრენილი და როგორმე ერთურთს შეეწყობითო.

ყვავი ჩხიკვის მამიდააო, რომ იტყვიან, სწორედ ის იყო ბოდღოსათვის ეს ნათესავი. ეგების სიკეთე სწადიაო, — ჩათუმ მეზობლის გაფხავებული ჭაკი ინათხოვრა, თვითონვე შეუკაზმა შვილს და გაისტუმრა. საღამომდე ძლივს მიჩინდრიკდა, ჩათუს მოსაკითხი ჩაუტანა მასპინძელს. იმან გაიხარა, პურ-მარილი არ დაიშურა, სტუმარი კარგად მოალხინა. ბოდღო გალაღდა, გამხიარულდა, იმღერა და კოჭლი კაცის პირობაზე იცეკვა კიდეც. იფიქრეს, თვალებში ვერ იხედებაო და გამოუყვანეს საცოლე. იმის ნახვას

გადაღრძუებული დედაბრის ნახვა ერჩია. ჰაიტ, უნდა მომაღორონო, გამოფხიზლდა ბოდღო. თუმცა ფეხზე ძლივს იდგა, ნათესავიც აფიცებდა ბებიის სულს, მაგრამ გაჯიქდა ჭაბუკი და ჭაკი მოაყვანინა. ა, ბატონო, ულვაში, თუ შენ ბერბიჭად არ დარჩეო, — მიადევნა ნაწყენმა მასპინძელმა. ულვაში შემირცხვეს, თუ უმშვენიერესი ქალი არ შემოვიყვანო სახლშიო, — უპასუხა ბოდღომ.

იმ ღამეს მერეხი ჩამოვიდა, მსგავსი კაცის თვალს არ ენახა. ორ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა. ისეთი ხმაური იდგა, თითქოს ცა აპირებდა ჩამონგრევას. იმდენი წყალი მოვარდა, ცაზე აისვლებოდა. ბოდღო ბედია თმისძირებამდე დასველდა. ყურყუტებდა საცოდავ ჭაკზე და მწარედ ნანობდა, იმ ჯოჯოხეთის მაშხალის თხოვნა ჯობდა ასე უღვთოდ გალუმპვასო.

ჭაკმა იმარჯვა. ორიოდე საათის უგზოუკვლოდ ხეტიალის შემდეგ ერთი სოფლის განაპირას მიიყვანა. წვიმამ უკვე გადაიღო, მაგრამ წინანდებურად ბნელოდა. ბოდღომ სახლის სილუეტი გაარჩია. ხარდალი გაწეული აღმოჩნდა და ეზოში დაუბრკოლებლად შევიდა. ასე ცხენდაცხენ მიუახლოვდა ოდას. ჩქამი არსაიდან ისმოდა. შეშინებულ ჭაბუკს ხმა ჩაუვარდა. სიბნელეში ფანჯარას მიაგნო, მათრახის ტარით ფრთხილად დააკაკუნა. ფანჯარა უმალვე გაიღო და რაფაზე შემხტარმა ჭინკამ, აქეთ მოიწიეო, უჩურჩულა გულგახეთქილს. მოსწვდა ჭინკა, მხარზე დაეყრდნო და ცხენს მოახტა გავაზე. „მიდი!“– უბრძანა ხმადაბლა, თან ზურგზე უჩქმიტა წამით შეყოვნებულს. ჭაბუკმა დეზი ჰკრა ჭაკს და წაჩაქჩაქდნენ.

ჭიშკრამდე რომ მიაღწია, მაშინ წამოეწია ქალის კივილი. აყეფდნენ სოფლის ნაგაზები, არახუნდა დარაბები და კარები. „ჰე-ჰეი!.. არ შეგეშინდეთ!.. ჰე-ჰეი!..“ – გაისმა აქეთ-იქით. ბოდღომ კისერში მათრახი მოუნაცვლა ისედაც გასავათებულ ჭაკს და ეწრის სიბნელეში ჩაიკარგნენ.

მხოლოდ გარიჟრაჟზე გამოირკვა, სხვას ელოდებოდა და სხვის ცხენს მოახტა ჭუბაბრიას ასული, თათუშა... გაწიწმატდა ქალი, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ღაწვი ჩამოიხოკა. ის იყო, ქვრივი ჩათუ დაბრუნდა ტყიდან, ფიჩხი მოიტანა. უსიტყვოდ ჩაავლო სარძლოს ლამაზ ნაწნავებში ხელი და ჯარგვალში შეათრია. არავინ იცის, რა უთხრა ჩათუმ ყმაწვილ ქალს, იქნებ არც არაფერი უთქვამს, ოღონდ ყველამ დაინახა თვალებდახრილი, ბედს შერიგებული პატარძალი.

მერე მოვიდა ომი. კაცი ქუდზე შეჰყარეს და დაცარიელდა სოფელი. ბარე კი ერჩოდა გული ბოდღო ბედიასაც, მაგრამ კოჭლს ვინ წაიყვანდა საომრად. შინ დარჩენილმა ხელი გამოიღო, რიგიანად შრომობდა და საერთო საქმისათვის არა დაუკლია რა. ომის შემდეგ, როცა ქვეყანა ცოტათი მილაგდა, მამის დატოვებული ჯარგვალი ოდად აქცია, მისი ხასხასა ეზო ხომ მტრის თვალს არ დაენახვებოდა და სოფელში პირველმა რკინის ჭიშკარი დაჰკიდა. ღვთის მადლით, არა უშავდა რა, თითქოსდა არ უნდა ყოფილიყო ბედის მომდურავი, და მაინც, ხანდახან ოხვრა აღმოხდებოდა ბოდღოს, წუწუნსაც გაბედავდა, სიცოცხლის ამაოებას უჩიოდა. ზოგჯერ წამოწვებოდა ბებერი თუთის ძირას, ჭილობის ნაგლეჯზე, აბოლებდა გაზეთის ნახევში გახვეულ წეკოს და ოცნებით იხარებდა გულის ჭიას.

სოფლის თვალს რა დაემალებოდა? სოფელი, ცხადია, დიდი ხანია მიუხვდა წადილს, ოღონდ რითი უშველიდა. სოფლის ბიჭები ჩუმჩუმა დაქირქილობდნენ, ბოდღო ბედია ალბათ სხვა რამითაც კოჭლია და ეგებ წავეშველოთო. ერთხელ შელაზღანდარებაც გაუბედეს. გაშრა საწყალი კაცი, სისხლი აუვარდა თავში, სარს წამოავლო ხელი... ისე იყო განაწყენებული, მწყრალი დუდღუნით სოფელს განერიდა და ტყეში დაიკარგა. საღამომდე იხეტიალა, აგინებდა უხილავ მტრებს, გულს იოხებდა. ბოლოს დაღლილი მიეგდო თხმელის ძირას, ჭრელ ჩრდილში. თვალები უნებურად მიელულა, ცოტა ხანიც და უსიზმრო ძილმა ჩაითრია.

„შევჭამო თუ არ შევჭამო?“ – წაილაპარაკა უცებ ვიღაცამ. ბოდღო ბედია წმინდა გიორგის ხატზე დაიფიცებდა, რომ ეს ადამიანის ხმა არ იყო.

„არ შეიძლება, ეს ხომ ჩათუს ნაშიერია!“ – უპასუხა ხრინწიანმა ხმამ, რომელიც უფრო ადამიანისას ჰგავდა.

თავზარდაცემულმა ბოდღომ თვალი დააჭყიტა. მიწაზე მილურსმულივით იწვა და ტანი ვერ აეზიდა.

უზარმაზარ მგელზე ამხედრებული წოწოლა კაცი წამოსდგომოდა თავზე. კაცს თხელი და სოლისებური, მწითური წვერი მკერ-

დზე სცემდა, ელამი თვალები წითლად უელავდა.

„ბოდღო ბედია, ვიცი, რაც გაწუხებს და შველაც შემიძლია, — თქვა კაცმა, — აჰა, გამომართვი სამი ვაშლი, აჭამე შენს ცოლს და სამი ვაჟი შეგეძინება ზედიზედ!“

ბოდღომ დაავლო ხელი ვაშლებს. შემდგომ თვითონაც არ ახსოვდა, როგორ მოაღწია სოფლამდე. მთელი გზა მგლის ბრაზიანი ყმუილი მოსდევდა. თავი ჭიშკრამდე ძლივს მოიტანა, აქ კი განცდილი შიშისაგან გულზე შემოეყარა... გონს რომ მოეგო, ცოლს ვაშლები გაუწოდა, ოღონდაც ხელში მხოლოდ ორი შერჩენოდა, მესამე გზაში დაჰკარგვოდა.

სამი თვე არ გასულა იმ დღიდან, თათუშას მუცელი დაეტყო. ცხრა თვის შემდეგ ბოდღომ საიდანღაც მოათრია კაჟის თოფი და ბუთქა ოდის აივნიდან. დაიბადა ბედიების გვარის გამგრძელებელი – ჯუმა. ბიჭი შვიდ კილოს იწონიდა და თათუშა კინაღამ გადაჰყვა. ერთი შვილიც მეყოფაო, მაშინ გადაწყვიტა. ორი წლის შემდეგ კი ისევ დაეტყო მუცელი და გაზაფხულის სისხამ დილას გაჩნდა მეორე ბედია – კაჭუჭია. თათუშა კვლავ ბეწვზე გადარჩა და იმ დღიდან ბოდღოს სათოფეზეც არ აკარებდა თავის ლოგინს.

ერთხელაც მეტად უცნაური ამბავი მოხდა. ბოდღო ბედია, ჩვეულებისამებრ, თუთის ხის ქვეშ ჭილობზე გორაობდა, თან თუთუნს ეწეოდა. თათუშა სამზადში ფუსფუსებდა. ქვრივი ჩათუ ფიჩხზე იყო წასული ახლო ტყეში. უცბად საშინელი წივილ-კივილი ატყდა, მთელი სოფელი კარში გამოეფინა. ტყიდან მოისმოდა ლაწალუწი, ხეების მტვრევის ხმა, ყიჟინი, ღრიანცელი, თითქოს ათასი ჭინკა შერკინებოდეს ერთმანეთს. მერე ყველაფერი მიწყნარდა. შეღამებულზე ქვრივი ჩათუ გამოლასლასდა ტყიდან. საშინლად დაბერებული ჩანდა, კითხვებზე პასუხს არ იძლეოდა, ბოროტად გაკვესავდა ხანდახან თვალს. ლოგინში ჩაწვა და შემდგომ, წლიდან წლამდე, ფეხზე იშვიათად თუ უნახავს ვინმეს.

იმ ღამეს ბოდღოს სიზმარი მოევლინა. ვიღაც თეთრსამოსიანი ქალი ტყისკენ იხმობდა. დამფრთხალი ბოდღო უარზე იდგა, ქალი კი თავს არ ანებებდა, ექაჩებოდა, ძალით უპირებდა ტყისკენ წაყვანას.

მამლის მესამე ყივილზე გამოეღვიძა ოფლში გახვითქულს და

ბავშვის ტირილი შემოესმა. არც ჯუმას ხმას ჰგავდა, არც კაჭუჭიასი. მაინც დახედა მათ საწოლს. ბიჭუნებს ღრმა ძილით ეძინათ, კაჭუჭია თუ შეუსტვენდა ხანდახან ცხვირით. ბოდღომ ძველი ღართი მოიგდო მხრებზე, აიღო წალდი და ეზოში გავიდა. აქ უკვე აშკარად გაარჩია ჩვილის ჩხავილი. ეზოს ყოველი კუნჭული გადაჩხრიკა, ვერ იქნა, ვერ მიაგნო... ბოლოს ტყისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. რაც უფრო შორდებოდა სოფელს, მით უფრო ნათლად ესმოდა ბავშვის ტირილი. მერე ამ ხმაში კვნესა და ქალისსუსტი შეკივლება გაერია. ბოდღოს თმა ყალყზე დაუდგა, ერთი სული ჰქონდა, როდის გაეცლებოდა ამ ეშმაკეულ ადგილს, მაგრამ ცნობისწადილი წინ ეწეოდა და ისიც წალდის ქნევით მიჰყვებოდა ოდნავ შესამჩნევ ბილიკს, რომელიც სულ მალე მომცრო კვაჭალიაზე გავიდა.

ბოდღო ბედიამ უჩვეულო სურათი იხილა. ტყე ისე იყო მოსხეპილი, თითქოს ცოტა ხნის წინათ დევებს ებუქნავათ. ძირფესვიანად მოთხრილი თხმელები რაღაც ძალას ერთმანეთზე მიელეწა, ძეძვნარი გაეთელა, მოერეჯგვა... მდელოზე, კენტად დარჩენილი თხმელის ჩრდილში, თეთრსამოსიანი ასული იწვა და ტკივილებისაგან მიწას ფხოჭნიდა. იქვე, ძონძებში, ახლადშობილი ჩვილი ღნაოდა.

მიხვდა ბოდღო ვინც იყო მის წინაშე, მუხლი მოიდრიკა და შუბლი მდელოზე დაჰკრა.

„მიბრძანე, დიუფალო!“

„მე ვკვდები... – ჩურჩულით ამბობდა ტყაში მაფა, — მე ვკვდები... წაიყვანე ეს ბავშვი, ადამიანო, და დადიას შვილივით გაზარდე!“

„დამნაშავე ვარ, დიუფალო, მე დავკარგე ჯადოსნური ვაშლი“, — ატირდა ბოდღო ბედია.

„გუჯმახანმა მიმუხთლა, — ძლივს იღებდა ხმას ტყაში მაფა, — გუჯმახანმა მაჯობა... შენთვის კი მიპატიებია, უცოდველი ხარ“.

ბოდღომ გულში ჩაიკრა ჩვილი მზეჭაბუკი და თათუშას ახალი აკვანი გააწყობინა. მეორე დღეს მთელმა სოფელმა მიულოცა ბედიებს მესამე ვაჟის შეძენა.

.

ნაწილი I

ქაოსიანი დღე

თავი I. შიში

ჯერ მსუბუქმა მანქანამ ჩაიარა ნელი თუხთუხით. მცირე ხანში პირველმა ტრამვაიმ გაიხრიგინა სადღაც. მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ჯუმა ბედიამ არ იცოდა, ძილში ესმოდა ყოველივე, თუ ცხადში. გული რატომღაც სწრაფად უცემდა. უცნაური სიზმარი ნახა, შიშის მომგვრელი, ოღონდ ახლა დავიწყებოდა და ვერაფრით აღიდგინა... ქუჩა თანდათან გამოცოცხლდა, თითო-ოროლა გამვლელის ფეხის ხმა გაისმა. მალე მანქანების მთელმა ქარავანმა ჩაიარა და მათი გუგუნი ყურს ისე მოხვდა, თითქოს სამანქანო გზა ზედ ბალიშზე გადიოდა. ძილ-ბურანიდან მაინც დიდხანს ვერ გამოერკვა. ეჩვენებოდა, რომ ვიღაცა ფლოსტების ფრატუნით გამოდიოდა ერთი კედლიდან და შედიოდა მეორეში. ეს უკვე ნამდვილად სიზმარი იყო და დამძიმებული ქუთუთოების გახელა დაეზარა.

საქმე დღეს ბევრი ჰქონდა. ამიტომ უნდოდა კარგად გამოეძინა, მაგრამ ქუჩა თითქოს ოთახში შემოვიდა და ძილი დაუფრთხო. იწვა თვალდახუჭული და გათენებას ელოდებოდა.

მერე მზის ობოლი სხივი დაეცა. სახე გასწია, რათა ათინათს არიდებოდა. თეთრად შეღებილ ჭერს ახედა. ჭაღის ირგვლივ, ოქროს ექვსკუთხედში, თეთრი ვარსკვლავები ეყარა მკრთალ ლურჯ ფონზე.

კედლებსაც მოავლო თვალი. მუქი ვარდისფერი შპალერი ალაგ-ალაგ აეფხრიწათ და თეთრი, მოდღაბნილი ლაქები აჩნდა. არაერთი დღე დასჭირდებოდა, რათა ახალ ბინას შეჰგუებოდნენ.

კვლავ თვალი დახუჭა და მიაყურადა.

ჯერაც ვერ დამშვიდებულიყო. ნეტავი რისი შეეშინდა? რა იყო ის სიზმარი?

სისხლი საფეთქელში მოაწვა და უსმენდა საკუთარი გულის ფართხალს.

ტროლეიბუსმა ჩაიგუგუნა, ბუგელმა სადღაც მავთულზე გაკვესა.

სარკმელთან, ტროტუარზე გახშირდა ფეხსაცმელების ბაკაბუკი, ცალკეული სიტყვები და ფრაზები შემოფრინდებოდა ხანდახან.

დაძინება შეუძლებელი გახდა.

იქვე, გვერდით, ასაკეც საწოლზე ძმა ხვრინავდა. ჯერ სუსტად იწყებდა ნესტოებით სტვენას, მერე უმატებდა და ბოლოს ხრიალში გადადიოდა. ამას მიჩვეული იყო, მაგრამ ახლა შეწუხდა და დაუძახა:

— კახა, მხარი იცვალე, ბიჭო, კახა!

კაჭუჭიამ პირი გააწკლაპუნა, წამოიკვნესა და კედლისაკენ შებრუნდა. მასაც სიზმარი აწუხებდა ალბათ.

ჯუმამ საბანი გადაიძრო, წამოჯდა. ზამბარებმა გაიჟღრიალა. ძველ რკინის საწოლზე ეძინა, ზამბარებს ჟანგი შეჰპარვოდა. ყველაფერი ძველი იყო ამ ოთახში, ადამისდროინდელი – ხვეულფეხებიანი მონჯღრეული მაგიდა, ჭერამდე აყუდებული კარადა, ჩავარდნილი დივანი და ზამბარაამოჩაჩხული სავარძელიც.

გაიზმორა. ძილისაგან საბოლოოდ ვერ განთავისუფლებულიყო და ლოგინი იზიდავდა... ისევ წუხანდელი სიზმარი გაახსენდა. თითქოს ვიღაცა გადი-გამოდიოდა კედლებში და მის ფლოსტებსაც ხმარობდა. მართლაც ფეხი რომ წაჰყო, ფლოსტები თბილი ეჩვენა. ალბათ, კაჭუჭია ადგა ღამით და მერე თვალდახუჭული დაბორიალობდა ოთახში, საკუთარ ლოგინს ვეღარ აგნებდა. ასე იცოდა ხოლმე.

ჯუმამ სარკმელს მიაშურა და თავი გაყო. ნაწვიმარზე ასფალტი შავად ბზინავდა. ტროლეიბუსი ვიწრო ტროტუარზე მიმავალ ხალხს წვრილ შხეფებს აყრიდა. პირდაპირ სარკმლის წინ რძე და ხაჭო იყიდებოდა. გრძელი, ნერვული რიგი ზოზინით მიიწევდა.

უცებ ზურგს უკან ღრენა მოესმა. გული გადაუქანდა, შემოტრიალდა და თავი ძგიდეს მიარტყა.

კაჭუჭიამ ცხვირით დაუსტვინა.

— კახაბერ! – უკმაყოფილოდ დაუძახა ჯუმამ და მაგიდაზე დაყრილი ხურდიდან შაურიანი ამოიღო, რათა კოპზე მიედო.

პირსახოცს ხელი დაავლო, შეყოყმანდა. წუხელ ვერაფრის

დალაგება ვერ მოასწრეს. ჩემოდნები და თასმით შეკრული წიგნები კუთხეში ეყარა და არ იცოდა, სად ეძებნა საპონი და კბილის ჯაგრისი.

დერეფანში მურკა აწკავწკავდა. ჯუმამ ჯინსი ჩაიცვა და კარი გამოაღო. მურკას იატაკზე მოესაქმა და ქალბატონი ვასასი სისაძაგლეში ცხვირს აყოფინებდა.

— დილა მშვიდობისა, ქალბატონო ვასასი! – ხმადაბლა გასძახა ჯუმამ.

— აჰა, შე საძაგელო, აჰა! მეორეჯერ ხომ არ იზამ? – ეჩხუბებოდა ფინიას დედაბერი. – ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგაკლოს, ახალგაზრდავ! ხომ კარგად გეძინა?.. მურკა, გაჩუმდი, შე საძაგელო!

ქალბატონმა ვასასიმ ქეჩოზე წკიპურტი გაჰკრა და კუდამოძუებული ფინია კარში შეიძურწა. დედაბერი წამოიწია. ახლა ის ძალიან პატარა ჩანდა, ჭაბუკს მკერდამდეც ვერ წვდებოდა. ზურგზე უზარმაზარი კუზი აჯდა და თითქოს ის ეზიდებოდა იატაკისაკენ.

— ჯეირანივით გოგო ვიყავი თავის დროზე, — ჯუმას მზერას გაადევნა ქალბატონმა ვასასიმ ლიბრმოვლებული თვალები, — ჩემი სიმაღლე ამ კუზში გადავიდა, ახალგაზრდავ! ეჰ, ცხოვრება ვის არ გახდის კუზიანს...

დერეფანი საკმაოდ გრძელი და ჩაბნელებული იყო. ერთი ბოლო საერთო საპირფარეშოსთან თავდებოდა, მეორე კი გადიოდა ღია აივანზე, რომელიც ეზოს გადაჰყურებდა. ბედიების ოთახი ქუჩიდან ტროტუარის დონეზე იყო, ეზოდან კი – მეორე სართულზე. პირდაპირ შუა დერეფნიდან კიბე ადიოდა მესამე სართულზე, იქიდან ალბათ ზევით და ასე გრძელდებოდა სამი-ოთხი სართული.

— კაი ახალგაზრდა ჩანხარ, ბედნიერი დედაშენი!.. პირსაბანი ეგერაა. იატაკზე, იცოდე, წყალი არ დამიღვარო. ასაწმენდად რომ დავიხრები, ეს კუზი ვერ ამიწევია ზევით... – ქალბატონი ვასასი დიდხანს უჩიოდა ბედს, მერე თავი მოგაბეზრეო და წაფრატუნდა.

საპირფარეშოს რომ მიუახლოვდა, უცნაური ყმუილი შემოესმა ჯუმას, თითქოს აქვე, მის გვერდით იდგა ვიღაცა და გაჰყმუოდა.

სისუსტე იგრძნო, წამში ოფლად გაიღვარა. მოჩვენებები დამჩემდაო, გაიფიქრა. საკმარისია, ცივი წყალი შეისხას სახეზე და

ყველაფერი დალაგდება.

პირსაბანიდან სინათლის ვიწრო ზოლი ეცემოდა. წყალს ჩხრიალი გაუდიოდა, ვიღაცა ფრუტუნით იბანდა. ღმუილი აქედან მომესმაო და შეყოყმანდა. სასაცილოდ ეჩვენა თავისი განცდები საპირფარეშოს კართან. სწრაფად გამოაღო. უზარმაზარ, ჩაფიჟვინებულ კაცს პირწმინდად გადახოტრილი თავი ონკანის ქვეშ შეერგო და ორთქლმავალივით ქშინავდა. კარის ჭრიალზე არც მოუხედავს, თავისთვის განაგრძო ფრუტუნი და ხველა, თან განუწყვეტლივ იპურჭყებოდა. ჭადრაკულ იატაკზე წყალი წურწურით იღვრებოდა, მაგრამ, ეტყობა, ეს არ აწუხებდა. ბოლოს თავი ასწია, ზეწრისტოლა პირსახოცით დაიწყო შემშრალება.

— ა, ვასასის მდგმური! – ჩაიბუბუნა, სველი თათი გამოუწოდა, კინაღამ მარჯვენა მოაძრო. – ვიცნობდეთ ერთმანეთს!.. ზაზუნა, კარის მეზობელი და ვაჭრობის სფეროს მუშაკი! – პასუხს არც დალოდებია, ისე შეაქცია ზურგი.

ჯუმამ შვებით ამოისუნთქა, ონკანი მოუშვა. ცივი წყალი ესიამოვნა. რამდენჯერაც სახეზე შეისხამდა, იმდენჯერ ჩაიხედავდა სარკეში. წვეთები წურწურით ჩამოსდიოდა, ენის წვერით იჭერდა ტუჩებზე.

კაცმა რომ თქვას, არ იყო ურიგო ბიჭი. გოგონები მისთვის თავს არ იკლავდნენ, მაგრამ თითო-ოროლას კი მოსწონდა... მაღალი და ოთხკუთხა შუბლი ოდნავ წინ წამოსწეოდა, რის გამოც სერიოზულისა და ჭკვიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სიბერეში რომ სიქაჩლე მოელოდა, ეხლავე ემჩნეოდა, ხუჭუჭა თმას ცოტა აღმა აეწია. თვალის უპეები ჩაშავებოდა და ეს არ ესიამოვნა. თანაც თვალებს მუდამ ნერვული სულსწრაფობით აცეცებდა. მსხვილი და ვარდისფერი ბაგეები ისე ებრიცებოდა, თითქოს ყველაფერს ზიზღით უყურებსო. „მაინც არა მიშავს რა!" – გაიფიქრა კმაყოფილებით და გუნება გამოუკეთდა.

შინ შებრუნება უნდოდა, როცა კიბეზე ფეხის ხმა გაიგონა. ლაკის მაღალქუსლებიან ფეხსაცმელებში გამოწყობილი შხვართი ფეხები მესამე სართულისაკენ მიბაკუნებდა. ჯუმამ კიბესთან მიირბინა და თვალი შეასწრო ლურჯკოპლებიან თეთრ კაბას, რომელიც მოხდენილ თეძოებს ელამუნებოდა. ქალიშვილმა კარი

შეაღო და გაქრა. „მზია!" – ფიქრში მოეფერა ჯუმა და წეღანდელი უგუნებობა მთლად დაავიწყდა...

* * *

სტუდენტობის ხუთი და კიდევ ორი წელიწადი ჯუმა ბედიამ სტუდქალაქში გაატარა. მობეზრდა ამ საფუტკრეში და სულ იმას იძახდა, შემოქმედ კაცს ეს ბაზარი ღუპავსო. არავინ იცის, თუ რამდენად შეაკლავდა თავს შემოქმედებას, მისთვის რომ უკეთესი ბინა მიეცათ, მაგრამ შვიდი წლის დიდი ნაწილი აივნის რიკულებზე გადმოყრდნობილ გოგოებთან მასლაათში გაატარა. ძნელია ჩვეული რიტმიდან ამოვარდნა, ალბათ ბედიების ცხოვრების სტუდქალაქური ჟამი მანამ გაგრძელდებოდა, სანამ კაჭუჭია სტუდენტთა სიიდან ამოიშლებოდა, ოღონდ ერთმა შემთხვევამ, უფრო სწორად ჩვეულებრივმა სტუდენტურმა ექსკურსიამ, ასე ვთქვათ, პიკნიკმა, ჯუმას ცხოვრება ერთბაშად შეცვალა.

დათქმულ დროს, დათქმულ ადგილას, ე.ი. უნივერსიტეტთან ტროლეიბუსიდან ჩამოხტა და ის იყო, გაზეთის კიოსკისაკენ უნდა მიეხედა, მზერა ქუჩის მეორე მხარეს, ჭადრებქვეშ თავმოყრილი ახალგაზრდებისაკენ გაექცა. თითქოს ჰიპნოზის ძალამ მიიზიდაო, ქუჩა პირდაპირ გადაჭრა, მანქანების სიგნალებისა და საბურავების ღრჭიალისათვის ყურადღება არ მიუქცევია და, თუმცა ირგვლივ უამრავი ნაცნობი იდგა, სრულიად უცნობ ქალიშვილს მიეახლა, თავი მოხდენილად დაუკრა, ხმაშიც, ცხადია, თვითირონია გაურია, ვითომც ჩემი ეს უჩვეულო და ცოტათი ექსცენტრული ქცევა თამაშია და მეტი არაფერიო, ასე წარუდგა:

— ჯუმა ბედია!

ქალიშვილმა, ცოტათი გაოცებულმა, ცოტათი ნასიამოვნებმაც, ღიმილი შეაგება და ეს ღიმილი ვარდის პირის გახსნასა ჰგავდა:

— მზია!

წამით რეალობას გამოეთიშა ჯუმა. ახსოვდა, რომ თბილისში, უნივერსიტეტის წინ იდგა, მაგრამ მოეჩვენა, რომ დღისითმზისით, ლურჯი ცის ქვეშ არავინ იყო, გარდა მზიასი, იმ კაცის გრძნობა დაეუფლა, ვინაც უდაბურ კუნძულზე თავის ნანინანატრს

წააწყდა. მეორე წამს გონება გაუნათდა და მიხვდა, ყოველი ზედმეტი სიტყვა მომავალ გზებსა და ხიდებს დაუნგრევდა, თავშეკავება არჩია და მიმოიხედა, საექსკურსიო ავტობუსის მომლოდინენი – ახალგაზრდები და გამცილებლები შეათვალიერა.

— ეს მამაჩემია, — თქვა მზიამ, — ეს კი ბუბა!

„მამაჩემი" ჩია ტანის კაცი ბრძანდებოდა, საშუალო ხნისა. ხელი გამოუწოდა და ჯუმამ ხელისგულის კოჟრები იგრძნო, ალბათ ზეინკალიაო, გაიფიქრა.

— ამირანი! – თქვა კაცმა.

ახალგაზრდამ კი თავი ცივად დაუკრა, ხელები ჯიბეებში ეწყო. „ყოველ ლამაზ გოგოს ჰყავს თავისი ბუბა!" – უსიამოვნოდ დაასკვნა ჯუმამ, თუმცა სამარჩიელოდ დრო წინ ჰქონდა. იქნებ ეს ბუბა ძმა იყო, ან ბიძაშვილი... ქალიშვილის წინ სულელივით დაყუდება ეუხერხულა და ნაცნობებს ჩამოუარა ხელის ჩამოსართმევად, სალამ-ქალამისათვის, საქილიკოდ და სალაზღანდაროდ – მხიარული და უშუალო ბიჭის როლს თამაშობდა.

მერე კვლავ მზიას და მის მხლებლებს მიუბრუნდა, უნდოდა რამე სახუმარო ეთქვა, მაგრამ გოგონას თვალი რომ შეავლო, მზერის არიდება გაუჭირდა, აზრის მოკრება ვერ შეძლო და ახითხითდა, ხელები მოიფშვნიტა, ვითომც წეღან სხვებთან რომ ვიხუმრე, იმის გამო მეცინებაო.

— თქვენ აქ მუშაობთ? – ზრდილობისათვის ჰკითხა ამირანმა.

— დიახ, გამომცემლობაში! – თავმდაბლად უპასუხა. კმაყოფილი დარჩა, რადგან მზიამ ცნობისმოყვარე მზერა ჰკიდა. კიდევ კარგი, თანამდებობა და ხელფასი არავინ მოიძია.

ავტობუსი ჩამოდგა, ექსკურსიაზე წამსვლელნი ჟივილ-ხივილით აცვივდნენ, ერთმანეთს ასწრებდნენ, რათა უკეთესი ადგილები დაეკავებინათ. სხვაზე ადრე ბუბამ იყოჩაღა, წინა ადგილი დაიკავა, მზია დასვა, თვითონ კი ჩამოხტა. ის და ამირანი აღარ მოდიოდნენ, თავიანთი მზეთუნახავი მოაცილეს და ეგ იყო.

იქნებ გაებედა ჯუმას, მზიას გვერდით დამჯდარიყო. ყველანი ნაცნობებთან ეძებდნენ ადგილს და გოგონა უცხოდ და კენტად რჩებოდა. გაუბედაობამ შებორკა, შეჭოჭმანდა და შანსი ხელიდან გაუშვა.

ავტობუსი დაიძრა და სანამ ჯუმა რამეს გადაწყვეტდა, ღია კარში ტატო ამოხტა, კიბეზე გაჩხერილ ჭაბუკს მხარზე ღონივრად დაჰკრა:

— ბედიას გაუმარჯოს!

მიმოიხედა და ეგრევე იმ თავისუფალ ადგილზე, მზიას გვერდით დასკუპდა.

— ტატო, ტატო!.. – აკივლდნენ გოგონები, გაიხარეს. ბიჭებმაც სალამის ნიშნად ხელები ასწიეს. ჯუმამ თავი გაბითურებულად იგრძნო, წინ, მძღოლთან, გვერდულა სკამზე ჩამოჯდა და აქედან შეეძლო ეთვალთვალა მზიასათვის, ტატოსათვის, ყველა დანარჩენისათვის.

ტატოს ჯინსი და თეთრი, გახამებული პერანგი ეცვა. გულის ჯიბეში, რა თქმა უნდა, დაკეცილი ქაღალდები ელაგა და კალამიც. იმ ქაღალდებზე, ალბათ, ცინცხალი ლექსები ეწერა, ან იქნებ მთლად სუფთა ქაღალდები იყო. არც მოერიდებოდა, ამოიღებდა და მუხლებზე დაიწყებდა წერას. ამით ფეხებზე თუ იკიდებდა ყველას, ან იქნებ თამაშობდა, შემომხედეთ, მე ისეთი პოეტი ვარ, წუთსაც ვერ ვკარგავო... „ტრიპაჩია რა!“ – დაასკვნა ჯუმამ. ტატო კი მზიას ყურთან დაიხარა, ჩურჩული გაუბა, ვინ იცის, რას ეუბნებოდა, ალბათ მთლად ლექსად გაიკრიფა. მზია ხელისგულს პირზე იფარებდა, მოგუდულად იცინოდა. ჯუმა დაიბოღმა, გულს ასკდებოდა. თავი არ გავცეო და გზას მიაჩერდა. ხანდახან ჩუმ-ჩუმა მოხედავდა და მზიას მზერას შეეფეთებოდა. გოგონა მასაც უღიმოდა, ღიად, გულუბრყვილოდ, უცოდველად და ჯუმას რცხვენოდა თავისი უნებლიე ბოღმისა.

ავტობუსში ერთი ალიაქოთი იდგა. დღე ნათელი იყო, ცა ლურჯი, გარემიდამო მწვანე, ჰაერი ლივლივა და გრილი. ახალგაზრდებს მეტი რაღა უნდოდათ და ყველა თავის გუნებაზე ერთობოდა. ვინ ანეკდოტებს ყვებოდა და თვითონვე ხარხარებდა, ვინ სიმღერას იწყებდა და სხვათა აყოლიებას ცდილობდა, ვინ გასასვლელში ცეკვას ლამობდა... წყვილები მორცხვად და ხმადაბლა პუტუნებდნენ თავიანთთვის... ჯუმას სხვებისათვის არა სცხელოდა, საკუთარ თავს ვერა ცნობდა, მზად იყო სიხარულისათვის, მაგრამ ასევე მზად იყო ბოროტი აფეთქებისათვის... არც სხვებს

ეცალათ მისთვის, ვერავინ იხედებოდა მის გულში და არც არავინ ცდილობდა მალამოს წაცხებას...

ტატომ გულიანად გაიცინა, გაიცინა მზიამაც, კრიალა კბილები გამოაჩინა. მის ლამაზ ტანზე თეთრი, კოპლებიანი კაბა იღვრებოდა და ჯუმას მოეჩვენა, რომ რაღაც უხილავი, მოცისფრო თუ თეთრი რამ ასხივებს ქალიშვილისაგან, ტატოს ელამუნება, ლივლივით ევლება და ტატო ცურავს ბედნიერების ცისფერ ტბაში, ჯუმა კი ხრიოკ ნაპირზე დარჩენილა, წყურვილისაგან პირგამშრალი იტანჯება.

ისე გაირბინა ავტობუსმა თბილისი-მცხეთის გზატკეცილი, ისე მოილია არმაზისაკენ მიმავალი მცირე მანძილიც, თითქოს გაიელვაო. მთვრალივით ჩამოვიდა ჯუმა ავტობუსიდან და მერეც, არმაზის საუკუნოვან ქვებს შორის გზააბნეულს, გონი ვერ მოეკრიბა, ვერ გაეგო, ასე აღტაცებით რატომ დარბოდნენ მისი თანამგზავრები, რას ტიკტიკებდნენ, ჩიტუნებივით დაფრთხიალებდნენ.

— ეს არის სერაფიტა! – თქვა უცებ ტატომ.

ჯუმას გაახსენდა ბილინგვა, მისი არაქართული წარწერები, მეხსიერებაში გააცოცხლა წარწერის ქართული შინაარსი, მერე უცებ მიხვდა, რომ ნათქვამი ბილინგვას კი არა, მზიას ეხებოდა, მზია კი დარცხვენილი და აღვივებული იდგა.

— მართლაც, უყურეთ, ესაა სერაფიტა! – წამოიძახა ვიღაცამ და საექსკურსიოდ წამოსული ახალგაზრდები, აქამდე შორიშორ მდგარნი, მზიას ირგვლივ შექუჩდნენ, იცინოდნენ და თითით უჩვენებდნენ.

მზია მზის სხივებს განემსჭვალა და თითქოს ღიაცისფრად ანათებდა.

„მივალ, — გადაწყვიტა ჯუმამ, — ხელს ჩავავლებ და წავიყვან!“

ეს იყო მხოლოდ გაფიქრება. მივიდა ტატო, მკლავზე ხელი წაატანა ქალიშვილს და გასასვლელისაკენ წაიყვანა.

ჯუმას ღონე წაერთვა, ლოდზე ჩამოჯდა. ირგვლივ ვერაფერს ხედავდა და ვერავის ცნობდა. გონს მაშინ მოეგო, როცა სმენას სიცილი მისწვდა.

— შეხედეთ, ბედია ბედისწერაზე ჩაფიქრებულა! – ეს ტატომ

იოხუნჯა.

ჯუმას გული ვეებერთელა გაუხდა, ალბათ აფეთქდებოდა კიდეც, ოღონდ თავი მოითოკა. მიხვდა, სასაცილო გამოჩნდებოდა. ვერავინ გაიგებდა მის გულისწადილს, ვერ ამოხსნიდა ხუმრობის წილ ბალღამის მიზეზს... ნაძალადევი, საცოდავი ღიმილი მოახერხა და პასუხი შეთხზა:

— ბედი ვერსად გამექცევა, ცხვირწინ თუ ამიფრინდა, ბოლოს მაინც მივწვდები!

მთელი დანარჩენი დღე წამებად გადაექცა. არმაზხევმა დაღალა. არმაზციხის თავზე მხოლოდ მზიას და ტატოს ხედავდა. სახელდახელოდ მდელოზე გაშლილ სუფრას მდუმარედ უჯდა. შიოდა და პური ვერ გაეტეხა, წყუროდა და ყლუპი ვერ დალია. ცდილობდა მხიარული ყოფილიყო, საწყალ ღიმილსღა ახერხებდა... იქნებ მხოლოდ მზია ხვდებოდა მის გულისნადებს, ღიმილზე ღიმილით პასუხობდა, ოღონდ ეს იყო ფრთხილი, გამოზომილი ღიმილი, რითაც თითქოს ამბობდა, დამშვიდდი, გულთან საწუხარს ნუ მიიტან, დავრჩეთ მეგობრებადო...

არა, მეგობრად დარჩენა ჯუმას არ ეწადა! თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, რა იყო ეს, მოულოდნელი, ყოვლისმომცველი სიყვარული, თუ შურით, დამცირების გრძნობით გამოწვეული სიძულვილი.

საღამოს უკან, უნივერსიტეტთან შებრუნებულ მხიარულ ექსკურსანტებს ტატო და მზია გამოეყო. ჯუმამ მძიმედ შეაქცია ზურგი და ამ დროს ტატომ დაუძახა:

— ჯუმა, მარტო ნუ დამტოვებ, მოდი, მზია გავაცილოთ!

ხმა ვერ დაძრა ჯუმამ, ვერც ჰო თქვა, ვერც არა, ისე ამოუდგა გვერდით. მთელი გზა ჩუმად მიდიოდა. უსმენდა ტატოს უთავბოლო ტიტინს და მზიას მორიდებულ სიცილს. ტატო ხან რას ყვებოდა, ხან რას, ოღონდ ყოველი ახალი ამბის შემდეგ სერაფიტას უბრუნდებოდა, სერაფიტა აეკვიატებინა, სულ ბოლოს, მოულოდნელად, ლექსიც ამოთქვა, ეტყობა იქვე, გზაშივე, ტიტინსა და ტიტინს შორის მოაზრებული.

მზიამ ტაში შემოჰკრა, ბავშვივით გაიხარა და ჯუმასკენ მთელი ტანით შემობრუნდა, კოპლებიანი კაბა ტანზე შემოეღვარა.

— ჯუმა, ხომ კარგია?

ალბათ, არა უშავდა, უფრო სწორად, ასე სახელდახელოდ შეთხზული ლექსის პირობაზე კარგიც ეთქმოდა, მაგრამ ჯუმამ სიტყვები ვერ მოძებნა და პასუხად ჩაიზმუილა – „მმ!..“

— მე აქ ვცხოვრობ! – თქვა მზიამ, ბიჭებს ხელი ჩამოართვა, შეტრიალდა და გაქრა.

იქვე, კედელზე ქაღალდი გაეკრათ. ტატო კვლავ რაღაცას ყვებოდა, ქუჩას გაჰყურებდა და ჯუმას არსებობაც დავიწყებოდა, იქნებ ეგონა, რომ ძველებურად მზიას ემაასლათებოდა. ამასობაში ჯუმამ იმ ქაღალდზე დაჯღაბნილი, ოკრობოკრო ასოები ამოიკითხა: „ვაქირავებ ოთახს, ეზოდან მეორე სართულზე იკითხეთ ქ-ნი ვასასი“.

* * *

კაჭუჭიას კვლავ ეძინა. საათი მხოლოდ რვის ნახევარს უჩვენებდა. ჯუმამ ჩემოდნები მისწი-მოსწია, ერთი ტყავგადაქერცლილი ამოარჩია. რა არ ჰქონდა შიგ ჩაჩრილი: ჭუჭყიანი პერანგები, თეთრეული, ძველი ავტოკალმები, წერილები, რეზინით შეკრული საკუთარი ფოტოსურათები (ვინ იცის, რა კაცი დადგება!). ელექტროსაპარსი ძლივს იპოვა. კაჭუჭიას გაეპარსა და გასუფთავება დავიწყებოდა. ჯუმა უკმაყოფილოდ აბუზღუნდა და ახლა სარკეს დაუწყო ძებნა. ისევ ამოაქოთა ჩემოდანი, სარკის ნატეხი ვერსად იპოვა და მაშინ ერთხელ კიდევ მოათვალიერა კედლები.

კუთხეში, სარკმლის სიახლოვეს, ხავერდის შავი ფარდა ეკიდა. ადამიანის სიმაღლე იქნებოდა, ფოჩებიანი ბოლო კი იატაკს წვდებოდა.

კარგა ხანს პირდაღებული მისჩერებოდა ამ უცნაურ ფარდას, აქამდე რომ არ შეუმჩნევია.

მზე ერთი საათის ამოსული იყო. ქუჩაში ხალხი ირეოდა. ავტობუსები და ტროლეიბუსები გუგუნით მიდი-მოდიოდნენ და სარკმლის მინას წკრიალი გაჰქონდა. ტროტუარიდან უხილავ ადამიანთა ხმები აღწევდა. იქვე, ასაკეც საწოლზე კაჭუჭიას ეძინა. უკვე მესამედ იცვლიდა გვერდს, მიყუჩდებოდა და უცებ ხვრინვას ამოუშვებდა.

ჯუმა კი შუა ოთახში იდგა და ხავერდის ფარდას ისე მისჩერე-

ბოდა, თითქოს აი, ამწუთას, ფარდა გაიხსნება და იქიდან საშინელი ჯოჯო გამოვაო. ჭაბუკი შეშფოთებული იყო. ძალიან კარგადაც გაიხსენა, რომ ამ კუთხეში ცოტა ხნის წინ არაფერი ეკიდა. ან თავიდანვე როგორ ვერ შენიშნავდა, როდესაც კედელს უზარმაზარ ლაქად აჩნდა. ეგებ კუზიანი ვასასი შემოვიდა და იმან დაჰკიდაო, — გაფიქრა. უსაფუძვლო შიში მაინც არ შორდებოდა...

დაავიწყდა, რომ წვერის გაპარსვას აპირებდა. ფოსტლები წაიძრო და ლოგინზე წამოგორდა. ჟანგიანმა ზამბარებმა უსიამოვნო ხმა გამოსცა. კაჭუჭიამ წამოიხროტინა და დამშვიდდა.

— ჰო, ჰო, ჰო!.. რა ხაში იყო, ბიჭო, რა ხაში! – ზედ ყურისძირთან ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

— ეს ოხერი, ერთი კათხა ლუდი გამოვცალე და თავში ეშმაკები შემიხტნენ! – შეეპასუხა ბედნიერი ხმა.

— ოხრული ლუდი იყო, ოხრული! – დაემოწმა პირველი და ხმები გაქრა.

მერე ვიღაც გოგონამ გაიცინა. არაფერი უთქვამს, ისე გაიცინა და ჩაიარა.

მეზობელი სახლის აივნიდან ბავშვი გაიძახოდა: „მალოჟნი, მალოჟნი!..“

უსმენდა ყველაფერ ამას ჯუმა ბედია და უცებ ძილი წამოეპარა. ესიზმრა, რომ ფარდა გადაიწია. იქიდან ვიღაცამ გამოიხედა... გულგახეთქილი წამოხტა. ზამბარები აჟღრიალდა და გონს მოეგო. ფარდა არ ირხეოდა.

კაჭუჭიას გახედა, ნაპირზე გადმოგდებული თევზივით დაეღო პირი და ჰაერს იჭერდა.

— კახაბერ, ჰა, კახაბერ!

კაჭუჭიამ თვალი დაჭყიტა, უაზროდ იყურებოდა.

— ჩვენს ზემოთ მზია რომ ცხოვრობს, სტუდენტი, ნახე?

— მზია?.. ჰო, ჰო! — წაიბურტყუნა კაჭუჭიამ, თავი კვლავ ბალიშში ჩარგო და ხვრინვა ამოუშვა.

„მივალ და გადავწევ მაგ ფარადს, – გაიფიქრა ჯუმამ, – თუ არაფერია, ჩამოვხსნი და ვასასი კუზიანს დავუბრუნებ, ნერვებს მიშლის აქ.“

მიფლატუნდა და თითით მოსინჯა. ჩვეულებრივი ხავერდი იყო, საკმაოდ გახუნებული. მის უკან სარკის გლუვი ზედაპირი

იგრძნობოდა. გულზე მოეშვა, დააკაკუნა კიდეც. გაეცინა. ნერვების ბრალია, თორემ ეს ფარდა, ალბათ, გუშინაც აქ ეკიდაო.

თამამად გადასწია. ადამიანის სიმაღლის სარკეს ფარავდა. ღიმილით შეავლო თვალი საკუთარ გამოსახულებას და გაიფიქრა, მართლაც არა მიშავს, საკმაოდ სიმპათიური სიფათი მქონიაო... განსაკუთრებით თვალები მოსწონდა, აზრით სავსენი. ასეთი თვალები ჰქონდათ ბედიებს, კაჭუჭიასაც კი, რომელსაც აზრთან დიდ მეგობრობას ვერავინ დასწამებდა. სულ რამდენიმე წამს გრძელდებოდა ნარცისის ეს ტკბობა საკუთარი თავით... კითხვამ გაუელვა: „რა ვიქნები ნახევარი საუკუნის შემდეგ?“ უცებ შეამჩნია, რომ მისი ორეული სარკეში მას არ ჰგავდა. ჯერ ფერი ეცვალა ორეულს. ლოყებს სიწითლე მოაკლდა, მიცვალებულივით გაფითრდა, მერე ბაგეები გაულურჯდა. ჯუმა ბედიას ორეულს თანდათან შემოაცვდა თავისი გარსი და ჭაბუკმა იხილა შიშველი ხორცი, უამრავი სისხლძარღვითა და ნერვული ბოჭკოებით რომ იყო დაქსელილი... ჯუმა ბედიამ თვალი დახუჭა და სახეზე ხელები აიფარა. ლოყების სიმკვრივე და სითბო იგრძნო. ხელებიც წინანდებური შერჩა, ვარდისფერი და ღონიერი... მომეჩვენაო და კვლავ სარკეში ჩაიხედა. შიგ მისი განძარცული ორეული იდგა. თვალნათლივ ხედავდა ჯუმა ბედია საკუთარი ტვინის ნახევარსფეროებს, რომლის დანაოჭებული ზედაპირი მირიადი ნაპერწკლებით ციმციმებდა... ხედავდა საკუთარ გულს, ასეთ ცოცხალსა და მომცროს, ხორცის უბრალო ნაჭერს, რომელსაც საკმარისია, ხელი მოუჭირო და ყველაფერი გათავდება, ხედავდა ყურძნის დიდი მტევნების მსგავს ფილტვებს. მერმე ესეც დაიცრიცა, გაქრა და ჯუმა ბედიას თვალწინ წარსდგა მისი ნამდვილი არსი, მისი ჭეშმარიტი მე – ჩონჩხი... კბილები დაკრიჭა თავის ქალამ, ახითხითდა...

— კახა, კახაბერ!

გულწასული ჯუმა ბედია იატაკზე დაეხეთქა...

თავი II. მზეჭაბუკ ბედია

ამ ამბებამდე ცოტათი ადრე, ენგურისპირა სოფელში მეტად უცნაური ფათერაკი გადახდა ნაბოლარა ბედიას. მზეჭაბუკს ეს საიდუმლო არსად გაუცხადებია, იფიქრა, მაინც არავინ დამიჯერებსო. თვითონაც უჭირდა დაჯერება, ჭოჭმანობდა, იქნებ ზმანება იყო ყოველივე, ძილი და ცხადი ერთმანეთში აერია. ასე იყო თუ ისე, მეორე დღეს სოფლის განაპირას, ენგურზე გადმომდგარი სახლი მოინახულა, სადაც გუჯა ბიძია ცხოვრობდა. დიდხანს უჭვრეტდა ტრიფოლიატის ღობიდან, მაგრამ სახლში ჩქამიც არ ისმოდა, თითქოს გუჯას მიწამ პირი უყოო.

ეს გუჯა ერთი წოწოლა, წითური კაცი იყო, წაკვეხილი, ჟღალი წვერი ჰქონდა. წვრილი თვალები ისე ებრიცებოდა, თითქოს ცხვირის კეხი რომ არა, ერთმანეთს დაეტაკებიანო. არავინ იცოდა, რას აკეთებდა, თავს რითი ირჩენდა. შეჯდებოდა თავის ნაცრისფერ ფაშატზე, აივლიდა ორღობეს და გაქრებოდა. მაგასთან არავინ მეზობლობდა, არავინ სტუმრად არ დაუდიოდა. შეხვდებოდა მზეჭაბუკს, გადმოხედავდა ელმად, ჩაიხითხითებდა და გზას გააგრძელებდა. ბიჭს კი გული შიშიანად შეუხტებოდა და კარგა ხანს ვერ მშვიდდებოდა.

იმ ფათერაკიან დღეს ყველაფერი უბრალოდ და ჩვეულებრივად დაიწყო. თათუშას თავი ასტკივდა და ჩაის საკრეფად მზეჭაბუკი გაუშვეს. დიდი ვერაფერი სიამოვნებაა სიცხეში, გაგანია მზის გულზე ჩაის კრეფა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, თან იმასაც ფიქრობდა, იქნებ ფაციც წამოვიდესო.

ორიოდე წლის წინ ფაცი ერთი შეუხედავი, პატარა მაიმუნი იყო. უფროსი ძმა ჯიმშედი ასევე აჯავრებდა, ჭორფლიანო მაიმუნოო, და განაწყენებული ფაცი გულამოსკვნით ატირდებოდა. მათი ოჯახი იქვე, ბედიების ეზოს მიღმა ცხოვრობდა. ბავშვები სულ ერთად თამაშობდნენ და მზეჭაბუკს არაერთგზის კიკინებით დაუთრევია კიდეც. ერთხელ ბიჭსავით ეჭიდავა და ამ გულუბრყვილო ძიძგილაობამ უფროსების სიცილი და ორაზროვანი ოხუნჯობანი გამოიწვია. მერე ფაცი უცებ წამოიზარდა, თვალსა და ხელს შუა დამშვენდა და დაქალდა. ახლა ჭიდაობას კი არა, თითის დაკარებას ვერავინ გაუბედავდა. გოგონას უმისამართო ხითხითში და წელის ზანტ რხევაში ბავშვურ შეთამამებაზე მეტი იგულისხმებოდა და მზეჭაბუკს ფარული ლტოლვა ეუფლებოდა.

ჰოდა, შეირბინა მზეჭაბუკმა დედის ნაკვეთზე და პირველი, ვისაც შეეფეთა, ფაცი იყო. რიგის დასაწყისში, ბუჩქზე დახრილი პოტნიდა ფოთლებს. მზეჭაბუკი უსიტყვოდ დაუდგა პირისპირ, თვითონაც კრეფას შეუდგა.

ასე გაჰყვნენ რიგს აქედან და იქიდან, თითებს სწრაფად ამოძრავებდნენ, წელზე ჩამოკიდებულ ფუთებს მწვანე დუყით ავსებდნენ.

— დამცხა! – ფაციმ ჭროლა თვალები ეშმაკურად მოწკურა.

— წამო, გავიპაროთ! – მზეჭაბუკმა ქარსაცავის ევკალიპტებისაკენ ანიშნა.

— იჰ, ეშმაკი ხარ! – ჩაიცინა ფაციმ.

მეტი არაფერი უთქვამთ, ისე ჩავიდნენ რიგის ბოლომდე. ფუთების გავსებას არაფერი აკლდა.

— ესეც ასე! – კმაყოფილებით თქვა მზეჭაბუკმა, თავი ასწია და მოულოდნელად შეეფეთა გუჯას დაკვირვებულ მზერას. გული შიშიანად შეუხტა.

ფაცისაც ნირი ეცვალა, გაწითლდა, თითქოს საძრახის საქმეზე წაასწრესო.

ნაცრისფერ ფაშატზე იჯდა კაცი. გზად მიდიოდა და წამით შეყოვნდა, ახალგაზრდები შეათვალიერა. ყმაწვილს მოეჩვენა, რომ ორი ნაკვერცხალი ედგა თვალებში გუჯას, ანათებდა.

— გამარჯობა, მზეჭაბუკ! – კაცს ხმა ჩახრინწოდა. ფაშატმა ჩიჩვირი ასწია, კბილები გამოაჩინა და კი არ დაიჭიხვინა, შეჰღრინა თითქოს.

— გაგიმარჯოს, გუჯა ბიძია! – კრთომით შეეპასუხა მზეჭაბუკი.

— რამდენი წლისა ხარ?

— ჩვიდმეტის!

— ასეც მეგონა! – თქვა გუჯამ, ფაშატი შეაბრუნა და გზას დაადგა.

კარგა ხანს ვერაფერი თქვეს ფაციმ და მზეჭაბუკმა. უხმოდ მიჰყვნენ მომდევნო რიგს. ყმაწვილს შერცხვა უნებლიე შიშისა.

რისი უნდა ჰშინებოდა? მარტონი კი არ იყვნენ, მოშორებით ჩაის რიგებს სოფლის ქალებიც შესეოდნენ. „ვინაა ეს გუჯა ბიძია? – გაიფიქრა, – საიდან მოდის და საითკენ მიდის?“

— მსხალი გინდა? – შეთქმულივით ჰკითხა ფაცის, ამით შეეცადა, კრთომა დაემალა.

— აჰ, თქვენი ადრეულა დამწიფდა?

— ჰო, იქ მოდი!

— რა ვიცი, აბა!

— დაგელოდები!

— ვნახოთ!

ამ წუთიდან მუშაობას გული ვერ დაუდეს. მზეჭაბუკმა დაკრეფილი ჩაი ფარდულში ჩააბარა და აითესა, მოკლე გზით შინისაკენ გაუტია.

არხის ბონდზე გადაირბინა, ეკალბარდებში გაკვალულ ბილიკს გასცდა და თხმელის ნაღობს ლაწალუწი აუტეხა. სიმინდი უკვე წელამდე იდგა, მწვანე ფოთლებს აღაღანებდა. ყანის მიღმა წითელქუდა სოკოსავით იჯდა ბედიების ოდის კრამიტიანი სახურავი. სამზადის ისლის სახურავს კი ბოლი ასდიოდა, თათუშა ალბათ სადილს ამზადებდა.

აი, აქ ყანის კუთხეში იდგა ადრეულა მსხალი.

საამო მდუმარებას მაყვლის ბარდებში მოზუზუნე ფუტკარი არღვევდა. შორიდან ძლივს აღწევდა ქალის ხმა, ქათმებს რომ მოუხმობდა: „მეიჭა, მეიჭა, მეიჭა!..“

ცხელოდა და ულურჯესი ცის გუმბათი ისე აიწია, ისე დაშორდა დედამიწას, ეტყობა მთლად უძირო გახდა. ცის ფონზე გადმოკიდებულ კვანჯღარა ტოტებზე მსხლის მოყვითალო ნაყოფი ესხა.

უყვარდა მზეჭაბუკს ეს ხე, უფრო სიმაღლის გამო. მისი კენწეროდან დასავლეთით, თხუთმეტი ვერსის იქით, ფართოდ გაშლილი ზღვა მოჩანდა, აღმოსავლეთით, თხუთმეტი ვერსის მიღმა – ქალაქის თეთრი შენობები... ცისქვეშეთში რომ ხვატი დამდგარიყო, აქ, ხის კენწეროზე გრილი ნიავი ფოფინებდა... ყურში ახლომახლო მდგარი ხეების ჩუმი შრიალი და სახლებს მიღმა მოდგაფუნე ენგურის ხმა ჩაესმოდა... ამ ხმებში ხან რა გაერეოდა, ხან რა... ძაღლის უნებლიე წკმუტუნი, ან მოულოდნელი გნიასი დედლისა, ქვეყანას ოქროს კვერცხის დადება რომ ახარა, კაცების გადაძახილი სიმინდის ყანაში, მეჩაიეების უსასრულოდ გრძელი, სევდანარევი სიმღერა, ანდა ღლაბუცა გოგო-ბიჭების ტკარცალი ჩაის მიმღებ პუნქტთან... იჯდა მზეჭაბუკი ამოჩემებულ ტოტზე, უსმენდა ქვეყნისა და სოფლის ხმებს, მისთვის აშკარა ხდებოდა საიდუმლოებანი, რისი დაფარვაც ციდან შეუძლებელი იყო...

მაყვლის ბარდებს მიღმა ფაჩუნი გაისმა. მზეჭაბუკს გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო. ნაცრისფერმა ლაფშამ გამოყო თავი, ბალახი მოწიწკნა, მაგრამ არ დაუღეჭია, უკანვე გადმოყარა... ნახევარი ტანი გამოაჩინა. კიდეც ჰგავდა ლაფშას და კიდეც არ ჰგავდა... დრუნჩი წაუმახვილდა და პირს რომ გააღებდა, წითელი ენა გარეთ უვარდებოდა.

ლაფშაზე გუჯა იჯდა. უზანგებზე აიწია, თვალები ხელით მოიჩრდილა და მიმოიხედა, ხეზე ასული ბიჭი ვერ შეამჩნია. ასე წამოწეული უფრო წოწოლა და გრძელი ჩანდა, უფრო შიშისმომგვრელი და მზეჭაბუკი ხის ტანს აეკრა, სული განაბა.

გუჯამ დაუსტვინა. პასუხადაც სტვენა მოისმა. გახედა მზეჭაბუკმა და თვალს არ დაუჯერა. ყანაში ჩათუ ბებია მოიჩქარის. რაც თავი ახსოვდა, ჩათუ ბებია ლოგინად იყო ჩავარდნილი. ბოლო დროს ცოტა მოიხედა, ბებრულად დაჩოჩიალობდა. აქ კი ისე მსუბუქად მოფარფატებს, თითქოს ფრთები შეუსხიაო. მოაღწია მსხლის ძირამდე ჩათუ ბებიამ, ადგილზე სამჯერ შეტრიალდა და, — ამის დაჯერება მზეჭაბუკმა ვერ შეძლო, — თვალტანად, შხვართ ყმაწვილქალად გადაიქცა, კაცისაკენ გაქანდა.

გუჯა ფაშატიდან ჩამოხტა. თვალებში სინათლე უელავდა. თვითონაც თითქოს ცეცხლი ეკიდა, მაგრამ ქალი არ შეუშინდა ამ ცეცხლს, მიეჭრა და ზედ აეტმასნა.

— დამშვიდდი, ჩათუ! – კაცს ჩახრინწული ხმა ჰქონდა.

— გუჯმახან, ნუთუ მტოვებ? – ატირდა ქალი.

— მცირე ხნით მივდივარ, მოსავალი უნდა მოვიმკო! – კაცმა ქალის ხელები მოიშორა, ფაშატს შეახტა... თუმცა ფაშატს კი არა... მოეჩვენა ყმაწვილს, რომ ფაშატი უზარმაზარ მგლად ქცეულიყო..

ჰკრა დეზი გუჯმახანმა, მგელი დაიძაგრა, მოსწყდა მიწას, აიტაცა თავისი მხედარი, გადაუფრინა მსხალს, სოფელს და აღ-

მოსავლეთის მიმართულებით გაუჩინარდა.

მზეჭაბუკს შიშისაგან გულმუცელი აემღვრა, კინაღამ უშვა ტოტს ხელი და ტოტმა ტკაცანი გაადინა.

ქალმა მოიხედა, ხეზე მჯდარ ყმაწვილს თვალი ჰკიდა, სიბრაზისაგან სახე მოექცა... გალურჯდა, გალურჯდა, მკვდრისფერი გახდა. მივარდა მსხლის ძირს და ეს ამოდენა ხე შეარხია. ნაყოფი პანტაპუნტით ჩამოცვივდა, მიწა მოიფინა მოყვითალო მსხლებით.

მზეჭაბუკი ტოტს ჩააფრინდა. უნდოდა ეყვირა, რა გინდა, ჩათუ-ბები, რას გადამეკიდეო, მაგრამ ის საშინელი ქალი ჩათუ კი არა, ალქაჯი იყო და უკვე ხეზე ამოსვლას აპირებდა. სწორედ ამ დროს ყანის ბოლოს ფაცი გამოჩნდა.

— ფაცი, ფაცი! – შეჰყვირა მზეჭაბუკმა.

გოგონამ ხელი დაუქნია და გამოეშურა.

ალქაჯს ბოროტი დუდღუნი აღმოხდა, ალბათ იწყევლებოდა, ოღონდ ცოცხალმკვდარმა მზეჭაბუკმა სიტყვები ვერ გაარჩია. შეტრიალდა ალქაჯი და სადაც იდგა, იქვე გაქრა.

მოირბინა ფაციმ, გაოცებულმა ტაში შემოჰკრა.

— მზეჭაბუკ, ეს რა გიქნია, სულ ჩამოგიბერტყია!

ყმაწვილი ძლივს ჩამოძვრა ხიდან. ღონე მთლად გამოლეოდა. ძირს ჩაჯდა და ჭირის ოფლი მოიწმინდა.

— რა მოგივიდა, მზეჭაბუკ? – ჩაეძია ფაცი.

— არ ვიცი, შენს მოლოდინში, მგონი, ტოტზე დამეძინა. კინაღამ გადმოვვარდი!

* * *

ხშირ-ხშირად აკითხავდა ადრეულა მსხალს, მაგრამ უჩვეულო არაფერი ხდებოდა. გამგზავრების წინადღესაც მიაკითხა, ახედა. ტოტები ნაყოფისაგან დაცლილიყო. ძირს დაყრილი ლპებოდა და ჯორაბუზი დასტრიალებდა ზუზუნით.

ამოიოხრა და შინისაკენ ზლაზვნით გამოსწია.

ბურჯა შემოეგება მხიარული ყეფით, ზურგზე გადაკოტრიალდა.

სამზადის კართან ბოდღო შეხვდა დოქით ხელში, წყალზე მიდიოდა.

— მომეცი, ბაბაია, მე მოვიტან!

— თუ მაგდენ სიკეთეს იზამ...

ბოდღო ძელზე ჩამოჯდა, ზურგით კედელს მიეყრდნო და შინაური წეკო გააბოლა.

მზეჭაბუკმა ჯაჭვს ჩასჭიდა ხელი, ოწინარი ააყირავა. გვიმზე გადაყუდებული იცქირებოდა ჭაში. ჭა ღრმა იყო და ბინდში წყალი ვერცხლისფრად ლიცლიცებდა. ყმაწვილის ლანდი თრთოდა და მრავალგზის ტყდებოდა... ჭიდან სიგრილე ამოდიოდა და პირზე ელამუნებოდა. ის და მისი ლანდი თითქოს მიფრინავდნენ... „აფრინდა და მსხალს გადაუარა!“ – სულ ამას ფიქრობდა.

სველი დოქი სამზადის კუთხეში დადგა. სინათლე მარტო ღია კარიდან შემოდიოდა. შუაცეცხლზე ლარჭა ეკიდა, ჭვარტლისაგან შავად ბზინავდა. თათუშას ორი ვარია ერთად წამოეგი შამფურზე და შებრაწულის საამო სურნელი ტრიალებდა.

— გაგსარჯა მაგ სასიკვდილემ? თვითონ წელი მოსწყდებოდა? – თათუშას შუაცეცხლისაგან პირისახე დასწითლებოდა. თმა უბრალო დოლბანდით შეეკრა, კაბაც ძველი ეცვა, ფქვილში ამოგანგლული, მაგრამ მზეჭაბუკმა იცოდა, დედიკო ერთადერთ საგარეო კაბას რომ ჩაიცვამდა, მთელ სოფელს მასზე რჩებოდა თვალი.

მზეჭაბუკმა დედასთან ჩაიმუხლა.

— ჩამომიჯექი გვერდით, მე არ ვეყოფი ვითომ ამ ჯოჯოხეთს! – მწყრალად ჩაიდუდღუნა თათუშამ. იცრემლებოდა, ალბათ კვამლისაგან.

მზეჭაბუკმა გამხდარ მხრებზე ხელი მოჰხვია და მიეხუტა.

— ნუ მოიწყენ, დედიკო, მე ხშირად მოგწერ. ბოლო-ბოლო თბილისი დასაკარგავში ხომ არ არის, ერთი ღამის გზაა...

— კარგი ახლა, თავი დამანებე, ვარიებს ალი არ აჰყვეს! – თათუშამ მანდილის წვერით ოფლი და ცრემლი მოიწმინდა. – არა გცხელა? გადი გარეთ, მამაშენი დაამშვიდე, ვერ ხედავ, ცხვირი დაუგრძელდა დარდისაგან მაგ გაოხრებულს...

— ძალიან ნუ ეჩხუბები, დედიკო, ცოდვაა.

— ახლა ესეც შენ მასწავლე, – კეფაზე მსუბუქად წამოუთაქა, – ეს ქოჩორი მაინც დაივარცხნე, სულ აბურდული დადიხარ! ჯუმას გადაეცი, დამაცადე-თქო, როცა ჩამოხვალ, ყურებს დაგაღლეტ-თქო... წერილებს არ იწერება, მამაძაღლი, არავინ ახსოვს... იმ

ბიჭს რას უშვრება, კაჭუჭიას, არ უნდა გამაგებინოს? ყველანი გარ-ბიხართ, სახლი და კარი არავის გინდათ, აწი ამ ბებრების ყურებით დავიწყლიანო თვალები?

— შენ თვითონ გინდოდა, წავსულიყავი და მესწავლა...

— ჰო, მინდოდა.

შამფური ასწია, ვარიას დაბრაწული ფრთა გადაუწია. შემ-წვარი ვარიები შამფურიანად გობზე დადო. მანდილის ბოლოთი პირისახე მოიწმინდა, შვილს შეხედა.

— ვისა ჰგავხარ ასეთი, საიდან მოხვედი?

თავზე ხელი მოჰკიდა, საფეთქელს შეეხო ტუჩებით.

ბიჭს გაეცინა.

— ბაბაია ხომ ამბობდა, ბაბუას ჰგავხარო!

— ჰო! – თათუშა ახლა ზურგშექცევით იჯდა და სახაჭაპურე ცომში დაფშვნილ ყველს დებდა. – იქ ფრთხილად იყავი, დიდი ქა-ლაქია... – ხმა გაებზარა და მოჩვენებითი სიმკაცრით ლაპარაკობდა. – ბევრი მანქანა დადის, არ ჩაუვარდე; ბევრი უსაქმური დაეხეტება, არაფერს გადაეყარო; გოგოებს თავი დაანებე, ჯერ პატარა ხარ, აქ გაგირბის თვალები, იქ რაღა იქნება...

— დედიკო! – მზეჭაბუკი თვითონაც გოგოსავით გაწითლდა.

— დედიკო აღარ გახსოვთ, ლამაზ ფეხებს რომ დაინახავთ.

— კაი ახლა, ბაბაია მელოდება!

— იცოდეთ, ვინმე ქუჩის გოგო არ შემომიყვანოთ ოჯახში, თორემ კაცს რომ არ გაუკეთებია, ისეთ საქმეს ვიზამ! ცეცხლს მივ-ცემ ყველაფერს და მეც იმ ცეცხლში შევვარდები!

მზეჭაბუკი უკვე გარეთ იყო, დედის სიტყვებს არ უსმენდა, თათუშა კი განაგრძობდა ჭკუის სწავლებას.

— რაო, გაგცოცხა?.. უჰ, რა სიცხეა! – ბოდღომ წეკო მოქაჩა და ჩაიწია, რათა შვილისათვის ადგილი დაეთმო .– ჩემი ჩიბუხი ხომ არ გინახავს? სადღაც დამეკარგა... რაო, დედაშენმა ჭკუა გასწავლა?

ასე იცოდა, ერთი აზრიდან მეორეზე ხტებოდა, ძნელი მისახ-ვედრი იყო, რისი თქმა ეწადა.

— ბაბა! – მზეჭაბუკს უნდოდა საუბარი სხვა რამეზე გადა-ერთო, – მსხლის ქვეშ კაცი ვნახე.

— კაცი? – ბოდღომ მთელი ტანით შემობრუნდა, წეკო დაავიწყდა,

ის კი მილეულიყო და თითებს უწვავდა, – ვინ კაცი?

— თითქოს გუჯა ბიძია იყო, განაპირას რომ ცხოვრობს... ან იქნებ გუჯა ბიძია არც იყო...

— მერე?

— შეჯდა ფაშატზე, იქნებ არც იყო ფაშატი, შეჯდა და გაფ-რინდა!

— გუჯმახან, — შუბლზე ხელი მიირტყა ბოდღომ, – აკი ვეჭ-ვობდი, ეს გუჯა საიდან მოეთრა ჩვენს სოფელში-მეთქი, – მის ხმაში შიში გაკრთა, – იცი, რას გეტყვი? გუჯაა თუ ვინცაა, სადმე რომ შეგხვდეს, ხმა არ გასცე, უმალ ჩემკენ გამოიქეცი!

— მე ხომ თბილისში მივდივარ!

— ჰო, ჰო, გაემგზავრე, აქედან გადაიხვეწე... დღეს კი შინიდან ფეხი არ გადგა!

ბოდღო ყმაწვილივით წამოიჭრა, ეზოში კოჭლობით გაიარ-გა-მოიარა, შარაზე გაიხედა, ოდის ქვეშ შეძვრა, სამზადს უკნიდან მოუარა, ნალიაზე აფოფხდა და იქ შეიჭვრიტა, ბოსელი და საქათ-მეც არ გამორჩენია, ჭაშიც ჩაიხედა საქმიანად.

— ნახე რამე? – ღიმილი შეაგება მზეჭაბუკმა.

— რას დაგიკრეჭია მერე კბილები, – ჩაიბუზღუნა ბოდღომ, – ჩემი სიტყვა არ დაგავიწყდეს, კაცს საფრთხე კუდში მისდევს.

— რა საფრთხე? დიდ ქალაქში ჯერაც არ ვყოფილვარ, მაგრამ კინოშიც ბევრი მინახავს, ტელევიზორშიც.

ოდიდან ჩათუ-ბები გამოხოხდა. მზეჭაბუკი ეჭვით მიაჩერდა. ის ქალი, მსხლის ძირას, ალქაჯივით ხტოდა, ეს კი ძლივს მოჩოჩავს. აგე, ცდილობს კიბეზე ჩამოვიდეს, მაგრამ ფეხს მომდევნო საფეხ-ურს ვერ აწვდენს და უმწეოდ იქნევს.

მზეჭაბუკი შეეგება, მხარი შეაშველა.

— ფრთხილად, ჩათუ-ბები, ცოტა ქვევით დაადგი ფეხი!

— ვინა ხარ შენ? – მხარზე ხელი მოუფათურა დედაბერმა.

— მზეჭაბუკი ვარ, შენი შვილიშვილი.

— აინტ, ხომ არ მატყუებ? გგონია ვერ მიგიხვდი? შენ ჯუმა ხარ, არა?

— ჰო, ჯუმა ვარ! – დაეთანხმა მზეჭაბუკი და სამზადის საჩ-რდილობლისაკენ გაუძღვა.

— რატომ მატყუებ ახლა შენ? – კვლავ აწუწუნდა დედაბერი,

– ბოდღოს ბიჭი ხარ, ვითომ, შენ?

— ჰო, ბებია, ჰო, აი, აქ დაჯექი! – ჯორკო მოუჩოჩა მზეჭაბუკმა.

— აინტ, მატყუებ მე შენ, ჯუმა ხარ და ბოდღოს შვილი ვარო, იძახი... – მთლად აურია დედაბერმა.

— სულ ერთია, ბებიკო, შენ იყავი კარგად და...

— მგონი სულ დავბერდი, თვალებში ვერ ვიხედები. ექიმი მომიყვანეთ-მეთქი, ვეხვეწე ბოდღოს, მაგრამ არ დაადგა საშველი... გამიშვით, ბატონო, ჩემს სოფელში, მამაჩემთან, ის მომივლის კარგად...

— ეჰ, შე ბედშავო, თვალში შენ კი არა, მე ძლივს ვიხედები, — ამოიხვნეშა ბოდღომ.

— რამდენი წლისა ხარ, ბებია?

— რა ვიცი, მაგი მახსოვს ახლა? სამოცისა კი ვიყავი, დიდი თოვლი რომ ჩამოვიდა, იმ წელს...

— ეს როდის იყო, ჩათუ-ბები?

— არ გახსოვს, კუჭუიას თხა რომ დაგლიჯა მგელმა?

— ახლა რამდენისა იქნები?

— ახლა კი ვიქნები კაი სამოცდაათის.

— იმდენი შენ გაიხარე, — ჩაიბუზღუნა ბოდღომ, — მაშინ აკვანში ყოფილხარ, მე რომ დამბადე. შენ კი მოილიე საუკუნე, ჩვენ ვიკითხოთ თორემ.

— აინტ, რატომ მატყუებ ახლა შენ? – აცრემლდა უცებ დედაბერი, – გამიშვი, ბატონო, მამაჩემთან, ჩემს სოფელში...

მზეჭაბუკს სიცილის ხალისი დაეკარგა.

— ჩათუ-ბები, ნუთუ მართლა ველარა მცნობ? მე ხომ შენი შვილიშვილი ვარ – მზეჭაბუკი!

დედაბერი გაირინდა. ცრემლის კვალი შეაშრა დამჭკნარ ლოყაზე. ჩაიხითხითა და შეცვლილი ხმით აჩიფჩიფდა:

— მზეჭაბუკი? რავა დამავიწყდი, წიე, მზისა და ტყაში მაფას შვილი...

— ენა ჩაიწყვიტე, ბებერო! – უხეშად გააწყვეტინა ბოდღომ.

— ნუ უყვირი, ბაბა, მას ხომ არ ესმის!

„ველარა მცნობს, – გაიფიქრა, – მსხლის ამბავი ან მეზმანა, ან ის ალქაჯი სხვა ვიღაც იყო!“

* * *

ძნელი ყოფილა განშორება...

თათუშას უძილო ღამეები, დაღლილი ხელები, მოწყენილი თვალები... „ვინა ხარ ასეთი, ჩემს შვილებს რომ არა ჰგავხარ?“ “მეც შენი ვარ, აბა, ვისი ვიქნები, დედიკო!“ მართლაც არა ჰგავდა სხვა ბედიებს, შავი, უხეში, დაუმორჩილებელი ქოჩრებითა და თაფლისფერი, ან კუნაპეტი თვალებით რომ გამოირჩეოდნენ. თვითონ კი – მზეჭაბუკმა ვაგონის ფანჯარაში საკუთარი ანარეკლი დალანდა – ოქროსფერი, ლბილი კულულები გვირგვინივით ედგა თავზე, თვალები ლურჯი ჰქონდა, ამა სოფელში გამორჩეული, მაგრამ... “მეც შენი ვარ, აბა, ვისი ვიქნები, დედიკო!“

სადგურზე ზარი ჩამოჰკრეს.

გამომშვიდობების სევდიანი წუთები... დილას აქეთ ბოდღო ბედია სამზადის დირესთან, ძელზე იჯდა. კაცი წუხილს ვერ შეატყობდა, მაგრამ გაყვითლებული თითებით გაზეთის ნახევში თუთუნს რომ ახვევდა, ხელები უკანკალებდა. მერე ფაციმ შემოირბინა. „ჩემს ჩამოსვლამდე არ გათხოვდე, გოგო, მაყრად წამოგყვები!“ – გაეხუმრა. ფაციმ კი ერთი შემოჰხედა, უეცრად ცრემლი გადმოყარა და გაიქცა...

ზარი კვლავ ჩამოჰკრეს. ელმავალმა ყრუ გუგუნით უპასუხა. ვაგონები რახრახით მიეხალნენ ერთმანეთს.

დერეფანში ატყდა სირბილი და ფუსფუსი, გადაძახილ-გადმოძახილი.

მზეჭაბუკმა ამოიხვნეშა, კუპეში შებრუნდა, კუთხეში დაჯდა.

მარტო არ იყო. უცხოს გაზეთი გაეშალა და სახეზე აეფარებინა. ხანდახან ხრინწიანად ჩაახველებდა, ყელს ჩაიწმენდდა, აქედან დაასკვნა, რომ მოხუცი უნდა ყოფილიყო.

მატარებელი უკვე სწრაფად მიდიოდა, როცა კიდევ ორნი შემოვიდნენ. გოგონა ზღაპრების წიგნში დახატულ გაწრიპულ პრინცესას ჰგავდა და მზეჭაბუკმა თვალი აარიდა, გაწითლდა. პრინცესამ კი ცივი მზერა მიაპყრო და კარგა ხანს არ მოუშორებია. ამ შემოხედვამ, ამ წამმა ზღვარი დადო უკან დატოვებულ

სოფლის სევდასა და ახალ ცხოვრებას შორის.

გაურკვეველი ასაკის ქალმა, ალბათ, პრინცესას დედამ, ტაში შემოჰკრა:

— ბატონო ბოჩია, какая неожиданность!

კაცმა გაზეთი გასწია, კაპიკიანივით სახე გამოაჩინა და ქალს მოწიწებით ხელზე ეამბორა.

—рад, очень рад, ქალბატონო ღაღული!

შემდეგ ისინი ჩაერთვნენ საუბარში, მაგრამ მზეჭაბუკს არაფერი ესმოდა. მათი ხმები აირია მატარებლის ბორბლის ხმაურში და დროსთან ერთად, ქვებზე მოჩხრიალე წყალივით მიედინებოდა. ხანდახან სიცილი შეწყვეტდა ამ ჩხრიალს. ქალს ღუღუნა, მკერდიდან ამოსული სიცილი სჩვეოდა, კაცი კი – რამდენიმე საჰაერო ბუშტი ერთად გასკდაო – ისე იცინოდა. პრინცესა მზეჭაბუკის პირისპირ იჯდა, ცივ თვალებს არ აშორებდა, ეტყობა, ართობდა ბიჭის სიმორცხვე.

— ეს ჩემი გოგოა! – თქვა უცებ ქალბატონმა ღაღულიმ, – როგნედა, მიესალმე ძია ბოჩიას!

გოგონა ოდნავ წამოიწია, რევერანსის მაგვარი მოძრაობა გააკეთა.

— საუცხოო ბავშვია, თქვენა გგავთ, ქალბატონო ღაღული, მახსოვს, როგორი იყავით.

— ეჰ, ახლანდელი ბავშვები... – ხელი ჩაიქნია ქალმა, მერე ჭოჭმანით გადახედა მზეჭაბუკს, – ეს ყმაწვილი...

— არა, ჩემი არ არის, გოგონები მყვანან! – სწრაფად უპასუხა კაცმა.

საუბარი კვლავ გაგრძელდა. მზეჭაბუკი მათ არ უსმენდა. მატარებელი დაგადუგით მიისწრაფოდა ღამისაკენ. ვრცელ, თხმელითა და ეკალ-ბარდებით დაფარულ ეწერს თანდათან ბინდი ეპარებოდა. უკან რჩებოდა სახლი, ენგური, დედა... ფაცი... ბავშვობა... ზოგჯერ სწრაფად ჰკიდებდა მზერას პრინცესას თეთრ, სიფრიფანა სახეს, გამჭვირვალე ყვრიმალებს, ცივი ინტერესით მოყურადე თვალებს და ისევ ფანჯარაში იყურებოდა. იქ კი სიბნელე მატულობდა.

ერთგან მატარებელი თხუთმეტ წუთს გაჩერდა. მზეჭაბუკმა ფარდულში ვანილიანი შოკოლადის ფილა იყიდა და გოგონას უსიტყვოდ დაუდო წინ.

უფროსებმა საუბარი შეწყვიტეს და ახალგაზრდებს გადახედეს. ბოჩიამ ჩაახველა, კაპიკიანის მაგვარი სიფათი მთლად წარეშალა.

— გმადლობ, შვილო, რატომ წუხდებოდი! – ცივად თქვა ქალბატონმა ღაღულიმ და ვითომ არაფერი მომხდარაო, ისევ ბატონ ბოჩიას მიუბრუნდა.

— ნახევარი შენ! – თვალი ჩაუკრა უცბად გოგონამ, იმ თვალებში ნაპერწკლები აცეკვდნენ.

მერმე მატარებელი ღამის უკუნში ისე შეგრიალდა, როგორც გვირაბში. ელმავალმა გუგუნით მოინდომა მისი გარღვევა. სიბნელე ზეთივით ჩამოიღვარა და ფანჯარას შავად აეკრა. მზეჭაბუკს ძილი დაუფრთხა, თვალგახელილი იწვა...

კუპეში ისე ბნელა, ვიღაცამ თვალზე ხელი ააფარაო. ბატონი ბოჩია ძილში ხანდახან დუდღუნებს, ხან კი სტვენას წამოიწყებს, უცბად წამოიხროტინებს და ისევ მშვიდდება. ქალბატონი ღაღული მშვიდად სუნთქავს და ათასში ერთხელ პირს თუ გააწკლაპუნებს.

ის კი, ქალაქელი პრინცესა, ჩუმად წევს, გასუსულა. მზეჭაბუკს ვერ გაუგია, გოგონას ჩაეძინა თუ მასაც თვალი სიბნელისათვის მიუპყრია და ვაგონის დაგადუგს უგდებს ყურს... მზეჭაბუკიც გასუსულა, რამდენი ხანია გვერდის მონაცვლება უნდა და ვერ ახერხებს, განძრევისა ეშინია.

„როგნედა... როგნედა... როგნედა...“ – ლიანდაგზე რიტმულად აკაკუნებს ბორბლები.

მატარებელი თავისი გზით მიდის. ელმავლის გუგუნი ფანტავს ღამეულ წკვარამს. მიიკლაკნება უზარმაზარი გველეშაპი და ხმაურსა და ფორიაქს ტოვებს გზაზე.

„როგნედა... როგნედა... როგნედა...“

ხანდახან უსიამოვნოდ აკიაფდება ობლად ჩამოკიდებული ნათურა, შემოაფენს ჭრელ სინათლეს კუპეში, გადაურბენს მძინარეთა სახეებს და ისევ წკვარამი სადგურდება.

„როგნედა... როგნედა... როგნედა...“

მზეჭაბუკი თვალს ხუჭავს, კედლისაკენ იბრუნებს პირს. უძილობას რბილი თათები შემოუყვია ქუთუთოებქვეშ, ხან გარედან

შემოჭრილი ნათურის სხივს უღვრის, ხან კი ფისივით მღვრიე, ბლანტი სიბნელით უვსებს.

„როგნედა... როგნედა... როგნედა...“

გამბედაობა მოიკრიბა და კედელს ზურგით მიეყრდნო. ახლა იმ მხარეს იყურება, სადაც გოგონას სძინავს. სიბნელეში თეთრად იცრიცება მისი ზეწარი და მეტის დალანდვა არ შეუძლია. მზეჭაბუკი მაინც უყურებს და თვალწინ ის ავადმყოფურად სუსტი, ნაზი სახე უტრიალებს.

ისევ შემოეფინა რომელიღაც სადგურის კოშკზე დადგმული პროჟექტორის სხივი და პირისახეზე გადაურბინა გოგონას; გადაურბინა და ბეჭდის თვლებივით აასხივოსნა ორი გახელილი თვალი.

— არ გძინავს? – ოდნავ გასაგონად ჰკითხა მზეჭაბუკმა.

— არა, — ნიავივით სუსტი ხმით გაეპასუხა გოგონა.

ორივე შეშინდა და ხმა გაკმინდეს. ბატონი ბოჩია ვიღაცას გამწარებული ებრძოდა ძილში, ქალბატონი ღაღული კი წინანდებურად მშვიდად ფშვინავდა. მატარებელი მიგრიალებდა ვიწროსა და ბნელ ხეობაში, ნაპერწკლები ცვიოდა უკუნ ღამეში.

— მე მზეჭაბუკ ბედია ვარ.

— როგნედა ერისთავი.

— გამარჯობა, — წასჩურჩულა მზეჭაბუკმა და სიბნელეში ხელი გაუწოდა.

— გაგიმარჯოს, — უპასუხა გოგონამ და მისი თითები შეეხო მზეჭაბუკის ხელს.

ბიჭმა ხელი ჩაჰკიდა და სასიამოვნო თრთოლვით შეპყრობილი გაიტრუნა.

პრინცესაც გასუსული იწვა, ბორბლების რახრახილა არღვევდა ღამეულ სიჩუმეს – „როგნედა... როგნედა... როგნედა...“

თავი III. მოსაწვევი ბარათი

ის დრო იყო, როდესაც თითქმის მთელი ქალაქი დაძრულა და ტროლეიბუსებისა და ავტობუსების საფეხურებზე ხალხი მტევნებივით ახუნძლულა. ჯუმა ბედიამ ამოიოხრა. სამსახურში ჩვეულებისამებრ დღესაც აგვიანებდა. ტროლეიბუსის საფეხურს შეახტა. ფეხის დასადგმელი ადგილიც ძნელი მოსაძებნი იყო, კინაღამ გადმოვარდა, მაგრამ ვიღაცამ ქეჩოზე ხელი წაავლო და შეაკავა. ვატმანი შეეცადა კარი დაეკეტა. ჯუმამ ფეხით დაამაგრა ახროტინებული კარი და მშველელს ახედა.

— ვაჰ, ჯანო, შენა ხარ?

ჯანო ჩიკინტილაძე მგზავრებში იყო ჩაჭყლეტილი, სულს ძლივს ითქვამდა. შეცბუნებულმა სათვალე გაისწორა და ჯიბეში ხურდა მოიძია.

— მოიცა, ხელი გამითავისუფლდება, ჯიბე ხურდითა მაქვს სავსე! – შეწუხდა ჯუმა. ჯანომ სამკაპიკიანი მიუგდო მებილეთეს და არაფერიაო, ჩაიდუდუნა.

ჯუმამ მავანის ცხელი მკლავები მოიშორა მხრებიდან, ერთი საფეხურით აიწია და ჯანოს გვერდით აღმოჩნდა, თუმცა ამ დროს უცნობი ქალიშვილი შეავიწროვა.

— წაიკითხე? – ფარული მღელვარებით შეეკითხა.

— წავიკითხე, — ამოიხვნეშა ჯანომ და უცბად სხაპასხუპით დაუმატა: — ნიჭიერი ხარ, ჯუმა, უდავოდ ნიჭიერი...

ქალიშვილის თვალებში ინტერესმა გაიელვა. ძალაუნებურად ეკვროდა ჯუმას, ტანზე კი თხელი კაბა ეცვა და ჭაბუკს აზრი ებნეოდა.

— ქარაგმებით ნუ მეუბნები, პირდაპირ მითხარი! – ხმაში თრთოლვა შეეპარა.

— არავითარ ქარაგმებს არ გეუბნები, – ჯანო ჩიკინტილაძეს სერიოზული ცხვირპირი ჰქონდა, სათვალე კი იმაზე ჭკვიანის იერს აძლევდა, ვიდრე სინამდვილეში იყო და კაციშვილი ვერ მიხვდებოდა, თუ რის თქმას აპირებდა, – დაიხსომე ჩემი სიტყვა, მწერლადა ხარ დაბადებული, ეს ნაღდია! ხომ იცი, პირფერობა არ მჩვევია!.. მაგრამ ცოტა შენიშვნაც მექნება და...

— ნურაფრისა მოგერიდება, ჯანოს ვენაცვალე! – გულზე

ეცეცხლა ჯუმას.

ტროლეიბუსი გაჩერდა. მსუქანი მამაკაცი ღონივრად იბრძოდა, რათა როგორმე ჩაეღწია. კარებს მგზავრთა ახალი ტალღა მოაწვა და საფეხურებთან მდგომნი უფრო შეავიწროვა.

მსუქანმა მამაკაცმა ჯუმა კუთხეს მიაჭეჭყა, ქალიშვილსა და მას შორის გაძვრა, ახალმა ტალღამ კი ისინი კვლავ ერთმანეთს მიაგდო.

— ღმერთმანი, სულაც არ მსურს თქვენი შევიწროება, მაგრამ... – ანკესი გადაუგდო ჯუმამ.

ქალიშვილმა თვალი განზე გააცეცა და ხმა არ გასცა. ჯუმამ ტუჩი მოიკვნიტა და, თუმცა ამ აურზაურში ძნელი იყო საუბრის გაგრძელება, ისევ ჯანოს მიუბრუნდა:

— შენ შენი აზრი თქვი, ჯანოს ვენაცვალე, ნუ მოგერიდება. ხომ იცი, ისეთი კაცი არა ვარ, სიმართლე მეწყინოს, პირიქით...

მორიგმა ტალღამ ორივე ჭაბუკი შუა ვაგონამდე მიიყვანა და ჯუმა უცნობ ქალიშვილს დააშორა. თავებსა და მხრებს შორის ხანდახან ხედავდა მის მაღალ ვარცხნილობას. ქალიშვილმა ერთხელაც გამოიხედა მისკენ, მერე სულ ფანჯრისკენ იყურებოდა. „მოვეწონე თუ არა!“ – გუნებაში წონიდა ჯუმა.

— იცი რა? – ჯანო შორიდან უვლიდა სათქმელს, – ცხადია, ნიჭიერება ჩანს, მაგრამ ალბათ ძალიან ჩქარობ... მე რა ისეთი კრიტიკოსი ვარ, მაგრამ... მე მგონი ოფლი არ დაგიღვრია, ისე, ჰაერში იჭერ, უშრომლად... სტილზე უნდა იზრუნო, ხომ იცი...

— გამატარეთ, ამხანაგო, თქვენ ჩადიხართ? მაშ, გამატარეთ! – ვიღაცა ენერგიულად მოძვრებოდა. ჯუმა ცდილობდა მისთვის გზა დაეთმო და წესიერად ვერ უსმენდა ჯანოს.

იმან კი წინ გაიწია, ორ დედაკაცს შორის გაიჭედა და შესაბრალისად აახამხამა თვალები. ჯუმა წამოეწია, შუბლზე ოფლი მოიწმინდა და მის წინ აყუდებული წოწოლა კაცის ზურგს გადააწყდა.

— დისერტაციისათვის მოგეკიდა ხელი, განა ცუდი საქმეა? – მოუბოდიშასავით ჯანომ.

— ერთიმეორეს ხელს არ უშლის, – მოიღუშა ჯუმა, – წინ გავიდეთ, თორემ ჩასვლას ვერ მოვასწრებთ.

ჯანო დედაკაცებს შორის გასხლტა და ახლა ჩამსვლელებში

გაიჭეჭყა.

— მოიცა, ნელა, ჩვენც ჩავდივართ! – აყაყანდნენ აქეთ-იქით.

ჯუმაც აჩქარდა, მაგრამ წოწოლა კაცის ზურგი უშლიდა ხელს.

— თქვენ ჩადიხართ? – შეეკითხა ზურგს. კაცმა პასუხი დაგვიანა და ჭაბუკმა კითხვა გაუმეორა.

— ახლავე გაგატარებთ, მიბრძანდით! – ხრინწიანი ხმით უპასუხა კაცმა და გზა დაუთმო. როდესაც ჩამოდიოდა, ჯუმამ უნებურად მოიხედა. წითური კაცის ცხვირზე მიჭყლეტილ, სისხლიან თვალებს შეეჩეხა და აირია.

ჯანო ჩიკინტილაძე ტროტუარზე უცდიდა.

— მოკლედ, სხდომაზე ვიტყვი, რასაც ვფიქრობ!

— ჰო, ჰო, — თავი დაუქნია აღელვებულმა ჯუმამ და ზურგი შეაქცია.

წითური კაცის ხილვამ გაუცხოველა ამდილანდელი შიში. მიხვდა, რომ სარკეში ნანახი არ იყო სიზმარი... მაშ, რა იყო იგი? რა იყო თვით სარკე?.. იმ სარკეს რომ მარჩიელობა შეეძლოს, ჯუმას უნდა ეხილა თავისი ნამდვილი მომავალი – საფეთქლებშევერცხლილი ცოცხალი კლასიკოსი ან სახელმოხვეჭილი მეცნიერი, სარდალი, მთავრობის მეთაური... რატომაც არა?.. მან კი იხილა ჩონჩხი და არ იცოდა რას ნიშნავდა ეს! ჯუმას გააჟრჟოლა, შეეცადა უსიამოვნო ფიქრების განდევნას.

— ჯუმა, ვეღარა მცნობ? – მკლავზე მოჰქაჩეს.

მაცაცუნა იყო. ჭრელი, სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურებით მოხატული კაბა ეცვა. ტანს რომ შეარხევდა, კაბის თხელი ნაოჭები ლბილად ეკვროდა თეძოებზე და ჯუმას წეღანდელი შიში გადაავიწყდა.

— ჩაფიქრებული ვიყავი! – ვითომ მეგობრულადო, მკლავზე ხელი მოჰკიდა. მისი კანის სალუქი სითეთრე იზიდავდა, თუმცა გოგოს ლამაზი არ ეთქმოდა.

— ალბათ ახალ რომანზე ფიქრობდი, არა? ვერაფერს გამომპარებ! – სხაპასხუპით ისროდა სიტყვებს, თან გადამეტებით პრანჭიაობდა. ნამდვილ სახელს მალავდა, ესმა მქვიაო, ირწმუნებოდა. – უნდა მახვეწნინო, არიქა, წამაკითხე-მეთქი? არ შეგეხვეწები! ისედაც წამაკითხებ... ხომ წამაკითხებ, არა?

— ჩემს ხელნაწერს შენ კი არა, მე ძლივს ვარჩევ, ჩემო ესმა. თანაც ჯერ დასახვეწი მაქვს, ხომ იცი, სტილი... – ჯერჯერობით რომანი დაწყებულიც არა ჰქონდა, არც იცოდა, რაზე შეიძლებოდა ახლანდელ დროში რომანის დაწერა, მაინც სიამოვნებდა ეს უცოდველი სიცრუე.

მაცაცუნა მკლავზე ჩამოეკიდა, გვერდით გაჰყვა. ხმამაღლა ჭიკჭიკებდა; ცდილობდა გამვლელთა ყურადღება მიეპყრო, თანაც ვითომ სულაც ვერ ამჩნევდა ამ ყურადღებას.

ჯუმამ თავი უხერხულად იგრძნო, არ იცოდა რითი შეეჩერებინა და თვალებდახრილი უსმენდა.

— უცნაური ხალხი ხართ ეს მწერლები და პოეტები. ვგიჟდები ნიჭიერებზე, ეს ისეთი ხალხია... ნამდვილი შლეგები ხართ! ერთი შენი მოთხრობა წავიკითხე, გადასარევი იყო. განსაკუთრებით იმ ქალის სახე, მგონი ხუტული ჰქვია, არა?

— ხუნტული, თანაც ის კაცია!

— საიდან მოგაქვს ეს სახელები? მშვენიერი, რომანტიკული, ეგზოტიკური... დაგიბეჭდავენ? როდის?

ჯუმამ მხრები აიჩეჩა, თხუთმეტჯერ მაინც ჰქონდა ნათქვამი, ჩემი მოთხრობების ბედი გაურკვეველიაო.

— არ გიბეჭდავენ?.. ცხადია, არ დაგიბეჭდავენ. უნიჭოებს თავი კი გააქვთ, ნიჭიერებსაა გზას რომ უკეტავენ. გულს ნუ გაიტეხ, გენაცვალე, ნიჭი თავის გზას მონახავს... ნახავ, თუ დღევანდელი საღამო ტრიუმფით არ დამთავრდება...

ისინი ვესტიბიულში შეჩერდნენ. მრავალ განცხადებებს შორის გაკრული აფიშა იუწყებოდა, დღეს ახალგაზრდა მწერალთა წრე ჯუმა ბედიას ახალ მოთხრობებს გაარჩევსო; ოპონენტი ჯანო ჩიკვინტილაძეაო... ჯუმამ ამოიხვნეშა. ახალი მოთხრობები მას არ ჰქონდა. ის ათიოდე მოთხრობა კი ორი წლის წინ დაწერა. მერე მუზა რატომღაც მიუყუჩდა. მოიფიქრებდა რამეს, დაიდებდა წინ სუფთა ქაღალდს, დააწერდა სათაურს და გაჩერდებოდა. ასე იჯდა ნახევარი საათი, მერე ამოიოხრებდა და ქაღალდს დახევდა. „ყოველ შემოქმედს ჰქონია კრიზისი“, – ამით იმართლებდა თავს.

— საღამოს აუცილებლად მოვალ, შენი წარმატების მოწმე უნდა გავხდე, — წაიღიღინა მაცაცუნამ, — ახლა კი წავედი, მელოდებიან... ჩაო! დამირეკე!...

ხელი აუქნია და ფეხსაცმელების ბაკაბუკით გაშორდა. საქმით დატვირთული ქალივით მიიჩქაროდა და მსუბუქი კაბის ნაოჭები მომრგვალებულ თეძოებზე ეხვეოდა.

ჯუმამ ერთხელ კიდევ ფიქრიანად წაიკითხა ოპონენტის გვარი და დერეფანს დაუყვა.

გზა-გზა მდაბლად თავს უკრავდა ნაცნობ პროფესორ-მასწავლებლებს. ზოგი ვერ ცნობდა, გაკვირვებული, ნაჩქარევი თავის ქნევით პასუხობდა, ზოგი ულიმოდა, ზოგი კი საერთოდ ვერ ამჩნევდა, ან ეგებ ამჩნევდა, მაგრამ სალამზე პასუხს არ აღირსებდა.

დერეფანი სავსე იყო სტუდენტებით. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, ყველას საკუთარი გაჭირვება აწუხებდა. პირტიტველა ბიჭი გატაცებით ყვებოდა დეტექტური კინოფილმის შინაარსს და იმ მხრიდან განუწყვეტლივ ისმოდა „ბა-ბახ!“ სათვალიანი და ორი დღის გაუპარსავი ყმაწვილი დინჯად უხსნიდა გენების ამბავს ნაწნავებიან გოგონას, რომელიც ადგილზე ვერ ისვენებდა, ფეხს ისე ინაცვლებდა, თითქოს საცეკვაოდ ემზადებაო... უპეებშეშუპებულ ქალიშვილს რვეული მკერდში ჩაეხუტებინა, დერეფნის ერთი ბოლოდან მეორისაკენ მიმოდიოდა და ჩურჩულით რაღაცას იზუთხავდა...

ჯუმამ გაზეთის რედაქციაში შეიხედა.

ვიწრო ოთახში ათიოდე კაცს მოეყარა თავი. ჯუმა გვერდულად შეძვრა და კართან აიტუზა.

ბესო ბანძელაძე სავარძელში მოკალათებულიყო. ოთახში ცხელოდა და ამიტომ პერანგის ღილები შეეხსნა, ჰალსტუხი მოეშვა და ჭაღარა ბანჯგვლით დაფარული მკერდი მოუჩანდა. სავარძელს წინ და უკან აქანავებდა და ირონიული ღიმილით უსმენდა ახალგაზრდას, რომელიც ჯუმამ, გრძელი თმებისა და წვრილი ხმის გამო, თავდაპირველად გოგოდ მიიჩნია, მერე აზნაურული, აპრეხილი ულვაშები შენიშნა.

— ასეა, ბატონო ბესო, ყველაფერი თუ შეგვისწორეთ, მაშინ ავტორები აღარც გვეთქმის! – ახალგაზრდა ცდილობდა სიმართლისათვის მებრძოლი კაცის შთაბეჭდილება მოეხდინა, თუმცა ლოყები მღელვარებისაგან გამცემლურად უღვიოდა, – ბოლო-

ბოლო თუ კანტისა და ჰეგელის აზრებში ჩაწვდომა შემიძლია, როგორმე შევძლებ მათი ნააზრევის გადმოსაცემი ტერმინების მოძებნასაც...

— კი მაგრამ, „გაღვრილი“ რა არის, ბიჭო? – მოურიდებლად შეაწყვეტინა ბესომ, – როგორ შეიძლება ღმერთი სადღაც გაიღვაროს?

— ეს ტერმინი მე შევქმენი! აბა, როგორ გადმოვცეთ? მიკვირს თქვენგან, ახალს ყველაფერს აიტაცებთ ხოლმე...

— ახალია, ბიჭო, „გაღვრა“? – ბესოს ღიმილი ალერსიანი გაუხდა, რამაც ყმაწვილი განაიარაღა, – არა, ძმაო, ათასი რამე გამიგონია, კასრიდან ლუდი გაიღვაროს, თუნდაც ჩეხური, ესეც ჰა და ჰა, მაგრამ ღმერთი რომ გაიღვაროს...

— როგორ ვერ ხვდებით, ბატონო ბესო, – ახალგაზრდა სასოწარკვეთილი ჩანდა და ოთახში მყოფნიც თანაგრძნობით უსმენდნენ, — ღმერთი „რასტვორიაეტსია“ ბუნებაში, სამყაროში, გამიგეთ?.. პანთეიზმი...

— შე ბედნიერო, სანამ გაზეტჩიკების ამქარში შევყოფდი თავს, ფილოსოფია შევისწავლე, თანაც, იცი, სად? კენიგსბერგში!

ახალგაზრდამ შუბლზე ოფლი მოიწმინდა, ხელი ჩაიქნია და განზე გადგა. სხვებიც, ალბათ, მსგავსი პრეტენზიებით მოვიდნენ, მაგრამ ხმას ვერ იღებდნენ.

— რა კართან გაჩერდით, ჯუმა ბატონო, აქეთ მოიწით! – შეამჩნია ბესომ. თავის დროზე იგი ესწრებოდა ჯუმას დიპლომის დაცვას, რატომღაც დაიმახსოვრა, ალბათ იშვიათი სახელის გამო და მას შემდეგ „ჯუმა ბატონოს“ ეძახდა. — ხომ ხედავ, ვებრძვი ახალგაზრდობას! – მხიარულად განაგრძო. ტუჩებზე ირონიული ღიმილი დასთამაშებდა კვლავაც. – რა ვუყოთ, ძმაო, მე კონსერვატორი ვარ. კანტი და ჰეგელი რომ წავიკითხე, მას შემდეგ ორმოცი წელი გავიდა. ჯუმა ბატონო, იქნებ თქვენ ამიხსნათ, რა არის „გაღვრილი ღმერთი“? არ იცით? არც მე ვიცი. ეს ნიჭიერი ყმაწვილი ერთი საათია მიხსნის და ვერ გამაგებინა... დავბერდი, ნამდვილად დავბერდი!

ახალგაზრდები გასუსულიყვნენ. ჯუმას ვერ გაეგო, გაჰხარებოდა თუ სწყენოდა ყურადღების ცენტრში ყოფნა.

— გაიცანით! ერთი წლის წინ ესეც სტუდენტი იყო, ახლა წიგნის გამოცემის საქმეს ემსახურება. აი, ამასთან თუ მიიტანთ ნაშრომს, მაშინ ნახეთ, რას უზამს თქვენს „გაღვრილ ღმერთს“...

— ასე როგორ შეიძლება, ბატონო ბესო! – სასოწარკვეთით წამოიძახა ახალგაზრდამ.

— შენ მანდ გაჩუმდი, ხმა გაკმინდე! – ფიცხად შეეპასუხა ბესო, – საკმაოდ ნიჭიერი ახალგაზრდა ხარ, მაგრამ კვერცხიდან გუშინ გამოიჩეკე და რამდენიმე ანეკდოტი თუ გაგიგონია კანტზე!

ახალგაზრდამ ამოიოხრა და სხვების ზურგს ამოეფარა.

ჯუმამ საათზე დაიხედა, სამსახურში უკვე დააგვიანდა.

— მგონი საქმე გაქვთ ჩემთან, ჯუმა ბატონო, ისე არ შეწუხდებოდით. იშვიათი სტუმარი გაგვიხდით. კი დაამთავრეთ, მაგრამ სხვა ქალაქში ხომ არ გადასულხართ. მოგვაქციეთ ხანდახან ყურადღება...

— მე, ბატონო ბესო, სტატია მქონდა... – ძლივს ამოღერღა ჯუმამ.

— ჰო, წავიკითხე! – უცებ ჩაქრა ბესო ბანძელაძე, – „რიცხვნიშნობა ვეფხისტყაოსანში“, არა?

— დიახ, ბატონო! – ძალაუნებურად განითლდა.

— „გაღვრილი ღმერთია“, ჯუმა ბატონო, „გაღვრილი ღმერთი“! – საცოდავად დაიჭყანა ბესო.

ოთახში შეკავებული ფხუკუნი გაისმა. ჯუმას არ მოუხედავს, გრძნობდა როგორ ეწვოდა ფეხქვეშ იატაკი და კარის სახელური მოსინჯა.

— სერიოზული კაცი ბრძანდებით, ჯუმა ბატონო, გეტყობათ, ნიჭიერიც, – მიუალერსა ბესომ, – ერთი ეს ამიხსენით, რაში გჭირდებოდათ ზომა-არშინის ამოფხეკა ვეფხისტყაოსნიდან?

— იქ ხომ არის! – მთლად წახდა ჯუმა.

— ვიცი, ვიცი, — ხელი ჩაიქნია ბესომ, — გაყიდიან, იყიდიან, წააგებენ, მოიგებენ... ვიცი, მაგრამ ეს მე თქვენი ნაშრომის წაკითხვამდეც ვიცოდი. უფრო მეტიც, ჯუმა ბატონო, რაც ქართული არსებობს, ჩვენ თვლაც ვიცოდით და ზომა-წონაც გვქონდა. იგი შოთას კი არ გამოუგონია, თქვე ბედნიერებო. მოკლედ, ნუ მიწყენთ და „გაღვრილი ღმერთია“! – მოჭრა უცებ და თვალები ჩაუქ-

რა, – ასე ახალგაზრდებო! – მიუბრუნდა ოთახში მყოფთ, დაავიწ-ყდა კართან ატუზული ჯუმა...

* * *

გამომცემლობის საკორექტორო მოთავსებული იყო მაგიდე-ბით ჩახერგილ დიდ დარბაზში, სადაც სამი ათეული ქალი და ორი მამაკაცი დილიდან საღამომდე თვალებს იღამებდა, თავისუფალ დროს კი, რაიც დღის დიდ ნაწილს შეადგენდა, ამ ქვეყნისა და იმ ქვეყნის ჭორებს მაღალმხატვრულ დონეზე თხზავდნენ და რადიოზე სწრაფად ავრცელებდნენ. იმ ორ მამაკაცთაგან ერთი გახლდათ გამგე – ბატონი ნიკიფორე, რომლის სოლიდური მაგიდა ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე იდგა, თუმცა თვით ნიკიფორე ქაღალდის დასტებიდან არც მოჩანდა; მეორე კი ჯუმა ბედია – ყვე-ლაზე ახალი მოღვაწე კორექტურის ასპარეზზე. მისი მაგიდა დარ-ბაზის კუთხეში მიკარგულიყო, ზედ ფანჯარასთან, დილიდანვე მზე ადგებოდა და ჯუმა მთელი დღე ფარდების მიწევ-მოწევას უნდებოდა.

დარბაზში ჩვეულებრივი ზუზუნი ისმოდა, თითქოს უჩინარ ფუტკართა გუნდი შემოჭრილაო. ჩურჩული, ქაღალდის შრიალი, ტუჩების წკლაპუნი – ამას ჯუმა უკვე მიეჩვია. განყოფილების გამგე ადგილზე დახვდა. ბატონმა ნიკიფორემ სათვალე ცხვირის წვერზე ჩამოიწია და ისე შემოხედა, თქმით კი არაფერი უთქვამს. ჯუმამ ხმადაბლა თავი იმართლა, კიბეზე ავტორს შევხვდი, საქ-მეზე ველაპარაკე და ამიტომ დამაგვიანდაო. ბატონმა ნიკიფორემ ვითომ დაიჯერა, სათვალე თავის ადგილას დააბრუნა და ქაღალ-დებში ჩარგო ცხვირი. მისი ერთადერთი ოცნება პერსონალური პენსია იყო და ჩხუბსა და დავიდარაბას ერიდებოდა.

ჯუმამ ფარდები გაასწორა, მაგიდა ტილოთი გადაწმინდა და შორი-ახლო საუბარში ჩართულ მაყვალასა და ლიას მიესალმა:

— ჭორბიუროს ვახლავარ!

ქალებმა ტუჩაბზუებით მოხედეს და ჩურჩული განაგრძეს.

— მთლად დეგენერატი ყოფილა... – ესმოდა ჭაბუკს ნაწყვეტ-ნაწყვეტად, – პროფესორი კაცია, რა დროს მისი გაყრაა... მესამე

ცოლი... თანაც სტუდენტი გოგო...

— ამბობენ, ის გოგოც არაა წმინდა წყლის ანგელოზი...

— ანგელოზი კი არა ხუთჯერაა ნაკერი, – ქალებმა ფხუკუნი ატეხეს. ჯუმამ ყური ცქვიტა, აინტერესებდა, თუ ვის აქიაქებდნენ, მაგრამ თავი ისე მოაჩვენა, ვითომც არ ესმოდა მათი საუბარი.

ბატონმა ნიკიფორემ ისევ გამოიხედა, სახეზე უკმაყოფილე-ბა დაეტყო.

— ჩემთან ხომ არავინ ყოფილა? – ჯუმა მადონასაკენ გადაიხა-რა. გოგონა გაწითლდა. ჭაბუკი მოსწონდა და მასთან ლაპარაკის დროს მუდამ წითლდებოდა.

— ავტორი იყო, ბარათი დაგიტოვათ.

— ბარათი? — ჯუმა ერთობოდა გოგონას სიმორცხვით.

მადონამ თავი დაუქნია და ქაღალდი აიფარა, აქაოდა, ვკითხ-ულობ, ხელს ნუ მიშლიო.

ჯუმამ უხალისოდ მოიჩოჩა ოთხად გადაკეცილი ბარათი. გახსნა, კარგა ხანს ათვალიერა.

„სისულელეა რაღაც!“ – გაიფიქრა.

ბარათზე სულ ხუთი სიტყვა ეწერა: „ჯუმა ბედიას. მოსაწვევი ბარათი გუჯმახანისაგან!“

არ იცოდა, რა ეფიქრა. ერთხანს ყურს უგდებდა გაცხოვე-ლებულ ჩურჩულს უცხოური პომადის თაობაზე. ერთბაშად დაკარგა ინტერესი და მაგიდაზე რაღაც მელოდია ჩამოაკაკუნა.

ლიამ მოიხედა, თვალებით გაზომა:

— საქმე მეტი არაფერი გაქვს?

— თქვენ ხომ ნამეტანი გადატვირთულნი ბრძანდებით!

უჯრიდან ჟურნალ „პეგასის“ ძველი ნომერი ამოიღო, ჩაათ-ვალიერა. ვერაფერმა დააინტერესა, მოიწყინა. აუცილებლად დავ-რეკავ რედაქციაშიო, გაიფიქრა, მაგრამ დაეზარა. მთქნარები-საგან კინაღამ ყბა მოექცა და ამ დროს ბატონი ნიკიფორეს მზერ-ას შეეფეთა. გამგემ სათვალე მოიხსნა, გაწმინდა, განზე იხედე-ბოდა, ისე თქვა:

— ყმაწვილო, შენ ჯერ ახალბედა ხარ ჩვენს საქმეში.

— არ მესმის! — შეცბა ჯუმა.

— შეცდომა გაგეპარა, „მატერიალისტურის“ ნაცვლად „მატე-

რიალური“ დაგვიბეჭდია. საქმისადმი მეტი ყურადღებაა საჭირო, ყმაწვილო!

ტელეფონმა დარეკა, ბატონმა ნიკიფორემ დარიგება შეწყვიტა.

კაჭუჭია რეკავდა. მზეჭაბუკი ჩამოსულა სოფლიდან, შინ ყველანი კარგად არიანო, იტყობინებოდა.

— ჯუმა! – ყვიროდა მზეჭაბუკი ტელეფონში, – ჯუმა!.. დედამ შემოგითვალა, ცხრაჯერ გკოცნიო!.. როგორა ხარო, ცოლი რატომ არ შეირთე აქამდეო?!

— მოიცა, ბიჭო, ასე ნუ ყვირი! – შეეშინდა, ქალებმა ყური არ მოკრან და სასაცილოდ არ ამიგდონო.

— ჯუმა! არ გესმის? ფუი, რა ტელეფონია! – ვერ ითმენდა მზეჭაბუკი, – შენთან გამომატანა ჯემპრი, წინდები!.. სოფელში ამბობენ, დიდი კაცი გამხდარაო!.. შენი ჭირიმე, ჯიმა!

— ჰო, ჰო! – ძალაუნებურად გაეღიმა ჯუმას. გარინდებულს ძმის ხმა კიდევ ერთხანს ჩაესმოდა, ამ ხმას ელოლიავებოდა.

ყურმილი ხელში ეჭირა და ბარე „პეგასში“ დავრეკავო, გაიფიქრა. ზუმერის ხმა ბეჯითად ტუტუნებდა, მაგრამ რედაქციაში ტელეფონისათვის, ალბათ, ვერავინ იცლიდა.

იმედი უკვე გადაეწურა, როცა ტელეფონმა გაიჩხაკუნა და ყურმილში მოულოდნელად ისეთი ხარხარი და ღრიანცელი შემოიჭრა, ყური არ გამისკდესო და განზე გასწია. ჯერ გაოგნებული დააცქერდა, მერე მიხვდა, რედაქტორი გივი გასპარაშვილი ცინცხალი ანეკდოტებით ართობდა თანამშრომლებს. მთელმა ქალაქმა იცოდა „პეგასის“ რედაქტორის ეს ნიჭიერება.

— ალო, ალო! – ლიტმუშაკი კვინტილიანე ჩასძახოდა ყურმილს, თან სიცილს ვერ იკავებდა, – ალო, გისმენთ, გეთაყვა!

ჯუმამ ხმა ძლივს ამოიღო, საწყლად შეახსენა თავი, ჩემი საქმე როგორ არისო, იკითხა.

— ცუდად რატომ იქნება, შე კაცო, ცუდად ჩვენი მტერი იყოს! ამასწინათ შენზე ველაპარაკე ამხანაგებს. აგერ გვისმენს ბატონი გივიც!.. ნიჭიერი ყმაწვილია-მეთქი მოვახსენე, ასე არაა, ბატონო გივი?.. მაგისგან კაცი გამოვა-მეთქი! ასე არაა, ბატონო გივი? ეს მოთხრობები კი სუსტია, ძმაო, რამ დაგაწერინა მაინც... გრამატიკა აჟურშია, ერთი შეცდომა მაინც დაგეშვა, შე კაცო, კინაღამ ზედ

წამეძინა... ისე, ნიჭიერი კაცი ხარ, ჯუმა ბედია...

დანარჩენს უკვე არ უსმენდა. კვინტილიანე ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. გივი გასპარაშვილის ხმა მორიგ ანეკდოტს ქარგავდა და „პეგასელები“ სიცილ-სიცილ ეხმიანებოდნენ.

ყურმილი ფრთხილად დადო. რამდენჯერმე თავისთვის გაიმეორა: „ლიტმუშაკი კვინტილიანე!“ მართლაცდა, რატომ ერქვა იმ კაცს კვინტილიანე? რატომ ამოიჩემა მაინცდამაინც ჯუმა ბედია? ორი წელი იმიტომ ატარა „პეგასში“, რომ ასეთი პასუხი გაეცა?

დარბაზში კვლავ ქაღალდების შარიშური, ჭორიკნების გამწარებული ჩურჩული და ბატონ ნიკიფორეს ჩახველება ისმოდა.

ჯუმას ჰაერი არ ეყო, მისი სული ვერ ეტეოდა ამ ოთხ კედელში.

უცნაური ბარათი გაახსენდა. ერთხელაც წაიკითხა. დილანდელი ფათერაკი გაუცოცხლდა. ცუდად ენიშნა ყოველივე. ბარათი ჯიბეში ჩაიკუჭა და საკორექტოროდან გავარდა...

კიბეზე ისევ ამ უცნაურ სახელებს უტრიალებდა – კვინტილიანე, გასპარაშვილი, გუჯმახანი...

თავი IV. კაჭუჭია ბედია

უცებ შეჰკივლა ვიღაცამ და იატაკზე ბრაგვანი მოადინა.

კაჭუჭია ბედია ისე წამოფრინდა, ცოტაღა დააკლდა, თვითონაც ძირს არ დაეხეთქა.

მისი უფროსი ძმა გულწასული ეგდო იატაკზე, თავზე წოწოლა, წითური კაცი წამოსდგომოდა. კაჭუჭიას მზერას რომ შეეფეთა, უკან დაიხია, სარკეზე ჩამოფენილი შავი ფარდა გადასწია და გაუჩინარდა.

კაჭუჭიამ თვალი მაგრად დახუჭა, მოიფშვნიტა და ისევ გაახილა.

„იქ გავიდა!“ – გაიფიქრა, ფარდას მივარდა, გადასწია, უნდოდა შეებიჯებინა და სარკეს შუბლი ახალა.

საბოლოოდ გამოფხიზლდა. რა თქმა უნდა, ყველაფერი სიზმარსა ჰგავდა, გარდა იმისა, რომ ძმა მართლაც გულწასული ეგდო...

უნდა ითქვას, რომ კაჭუჭიას სიზმარი იშვიათად ეწვეოდა. მი-

დებდა ბალიშზე თავს და მორჩა, ამ ქვეყნისა არ იყო. გემრიელი ძილი უყვარდა კაჭუჭიას, გემრიელი ჭამაც, სმაც და ყველაფერი, რასაც სიტყვა „გემრიელი“ მიესადაგებოდა. დილდილობით მისი გაღვიძება ჯუმას პრობლემად ჰქონდა გადაქცეული, არაერთხელ წყალი გადაასხა, რათა ლექციებზე დროულად გაეგდო. ლექციები კი კაჭუჭიას ისე ეჯავრებოდა, შუაღამეზე რომ წამოეგდოთ, მაინც დაიგვიანებდა...

კაჭუჭიამ უფროს ძმას საშველად მიაშურა, გრაფინიდან წყალი მიასხურა... მოგვიანებით, გონსმოსულმა ჯუმამ, სამსახურში წასვლის წინ, ცუდი სიზმარი ვნახე და იმან შემაშინაო, დაიბარა... ცხადია, ეს სიმართლეს ჰგავდა, თუმცა შინ დარჩენილმა კაჭუჭიამ სარკეს დიდხანს უჩხიკინა, ვერაფერი აღმოაჩინა და ხელი ჩაიქნია.

ახლაღა იგრძნო, რომ მგელივით შიოდა. ბინა გადააქოთა და პურის ნამცეციც ვერ იპოვა. ამან ძალიან დაადარდიანა. კაჭუჭიას ცხოვრებაში ხომ თავიდათავი პრობლემა საჭმელ-სასმელი გახლდათ. საშუალო ძმის მადას ვერ აუდიოდა ბედიების ოჯახი. თუმცა, საცა სამართალია, როგორც რიგიან სტუდენტებს შეეფერებათ, ძმებიც არაერთხელ გადასულან ხმელა პურზე. ბედი, რომ ბედიებს იმდენი გაჭირვება არ ადგათ. სოფლიდან თვეში ერთხელ მაინც ამოდიოდა ხორაგი და კაჭუჭია ერთ ჭამაზე იმდენს მოზღმურდლავდა, სხვას ალბათ მთელი თვე ეყოფოდა. ანდა რა გული გაუძლებდა ამდენი ნუგბარის ყურებას: შებრაწული გოჭი და ვარიები, ჭვიშტარი და ელარჯი, მხალეული და კეჟერას მწნილი, ლორი და კუპატი, ინდაურის საცივი და ლობიანები... რას არ აგზავნიდა შვილებზე დადარდიანებული თათუშა...

კაჭუჭიამ ამოიოხრა, სარკეში ჩაიხედა და მკლავებზე კუნთები აიბურთავა. ღონე და კუნთები იყო მისი სიამაყის საგანი. სპორტი მიაჩნდა თავის ერთადერთი ჰობად, სპორტზე ამოსდიოდა მზე და მთვარე. თბილისის „დინამო“ რომ აგებდა, წონაში იკლებდა და ღაჟღაჟა ლოყები ცვილისფერი უხდებოდა.

პირველ კლასში ძლივს შეათრიეს. ორი-სამი წელი მწყერივით წყნარი ბავშვი იყო. მერე შეეჩვია და სკოლაში იმ იმედით დადიოდა, იქნებ ვინმეს წავეჩხუბო და ცხვირი ამოვუნაყოვო. საკუთარ მტრებს კი არა, ძმების მტრებს არ აძლევდა გასაქანს, თუმცა მათ არაფრად სჭირდებოდათ მისი თავგამოდება. დირექტორის კაბინეტში სამსჯავროზე რომ შეაგდებდნენ, დაიბოღმებოდა, ლოყები ჩამოეფინებოდა, თავს მაღლა ჯოხითაც ვერავინ ააწევინებდა. მეორე წუთს კი ვინმე ჯანმაგარ ბიჭს ჩაიგდებდა ხელში და ეხვეწებოდა: „მოდი რა, ამხანაგურად დავარტყათ! ვიცი, ჩემზე ღონიერი ხარ, მაგრამ მოდი და დავარტყათ!“

მოწინააღმდეგე თუ არ დათანმხდებოდა, ატყდებოდა ჟრიამული, შეეშინდა, კუდი ამოიძუაო. კაჭუჭია გაიბღინძებოდა, იბერებოდა. მჯობნის მჯობნს რა დალევდა, ერთი-ორჯერ ჩვენი გმირიც კარგად ამოიღლიავეს; იმდენად, რომ სამი-ოთხი დღე შინიდან ცხვირს ვერ ჰყოფდა. თითო-ოროლა მის მკლავებქვეშ შეყუჟული ამხანაგი თუ ინახულებდა. ისხდნენ უკანა ოთახში და მეტოქის გაქიაქებით იყრიდნენ გულის ჯავრს. „არასწორად ამომარტყა! – ირწმუნებოდა კაჭუჭია, – ნოკაუტზე ჩვენ არ შევთანხმებულვართ, ძმაკაცური ტყეპა უნდა გვქონოდა! მეც კაი ალიყური ვაჭამე, მაგრამ ქვას წამოვკარი ფეხი და იმან დამღუპა... გამოვალ შინიდან და დედას ვუტირებ!“

მეშვიდე-მერვე კლასამდე ამაზე ხარჯავდა ძალ-ღონეს.

საბედნიეროდ მისი ნიჭიერება ფიზკულტურის მასწავლებელმა შეამჩნია და ჯორსავით შეჯდა. რაც კი სპორტის სახეობა არსებობდა, ყველაფერში კაჭუჭიას ჩრიდა, ის იყო ყველაფრის ჩემპიონი, ყველას ჯაბნიდა და ბედიების სულში მოფუთფუთე განდიდების ჭიას ოდნავ მაინც ასაზრდოებდა.

უმაღლესზე არც უფიქრია, ის კი არა და სკოლასაც ძლივს გადავურჩიო, ფიქრობდა, მაგრამ ბოდღომ აუჩემა: „შენი ხნისა რომ მოვიყარე, ქვეყნის ამბები ვიცოდი. ნიკოია რომ ნოე ჩხიკვაძემ ჩამოაგდო, ჩემი თვალით ვნახე ბათომში... მაშინ რომ მესწავლა, ხომ ვიქნებოდი ახლა უჩიტელი ან რაიკომის მდივანი...“

„გინდ ეგ შეგიყვანია უმაღლესში და გინდ კუბოთი შეგისვენებია ვინმეს ცხედარი!“ – განაცხადა ჯუმამ, მაგრამ ნაადრევად.

პირველმა გამომცდელმა სათვალე შუბლზე აიკვეხა და ახედ-დახედა:

„სპორტსმენი ხარ, ბიძიკო?“

ჰოდა, სპორტსმენისათვის ერთი გაჭირვებული სამიანიც ხომ

თავზე საყრელია.

ერთი თვის შემდეგ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი კაჭუჭია, უკაცრავად, თბილისში კახაბერ ან კახა ბედიას აუდიტორიაში თვალი ებლანტებოდა და ვიღაცა იავნანასავით ტკბილად ჩამღეროდა ყურში: „ჰალეოცენი, ეოცენი, ოლიგოცენი, მიოცენი, პლიოცენი...“

შიმშილმა კვლავ შეახსენა თავი. მზეჭაბუკი ჩამოდიოდა დღეს და იმის იმედი ჰქონდა, მთლად ხელცარიელი რავა ჩამოვაო. ჯიბეშიც არაფერი უჭყაოდა, ხუთიოდე მანეთი და ცოტა ხურდაც... თავი მიანება ღამის სიზმარზე ფიქრს, არც სარკე აეჭვებდა უკვე და პირდაპირ სადგურისაკენ გაემგზავრა.

მზეჭაბუკი ბაქანზე დახვდა. კალათების, პარკების, ტოპრაკების გროვასთან მოუსვენრად ცქმუტავდა. კაჭუჭია რომ დაინახა, შორიდან გამოიქცა:

— კახა, კაჭუჭია, რამდენი მალოდინე, ბიჭო!

კაჭუჭიამ პატარა ძმა ღონივრად მობუბნა, კინაღამ ლავიწები ჩაუმსხვრია. ეძიძგილავებოდნენ ერთმანეთს და უსიტყვოდ იცინოდნენ, აინუნშიც არ აგდებდნენ ცნობისმოყვარე გამვლელებს.

— დედამ კაჭუჭიას ამ ლოყაზე აკოცეო, — ბიჭმა ერთ ლოყაზე აკოცა, — მამამ კი ამაზეო, — მეორეზეც აკოცა, — ბებიამ კი...

— მოიცა, შე სადაურო, ხალხი გვიყურებს! – ძლივს დააშოშმინა კაჭუჭიამ.

— ჯუმა რატომ არ დამხვდა? დედამ თქვა, ცოლი შეირთოსო...

— ცოლს დაგიხატავთ-თქო. ასი მანეთით უნდა არჩინოს? ახლა, ძმაო, გოგოებს ჩექმები რომ აცვია, მარტო ისა ღირს ოცდახუთი თუმანი. აზრზე ხარ?

— ქირზისა უყიდეთ, თუმნიანი!

— მაგი შენს ცოლს ჩააცვი! — კაჭუჭიამ ხუმრობით თავში ჩაუკაკუნა, — ვხედავ, საკენკი ბლომად ჩამოგიტანია... — მოხვეტა ყველაფერი და წამოვიდნენ. მზეჭაბუკი ფეხდაფეხ მოსდევდა, მძიმე ჩემოდანს მოათრევდა, წამდაუწუმ გამვლელებს ეჯახებოდა და ბოდიშებს არიგებდა.

ვაგზლის მოედანზე რომ გავიდნენ, კაჭუჭიას დაეღრიჯა, მეტროთი მამგზავრეო.

— მოესწრები! ვასასის რეზიდენციასთან მეტრო არა გვაქვს, სამწუხაროდ, ტაქსით უნდა მივხრიგინდეთ!

გრძელ რიგში კარგა ხანს მოუწიათ დგომამ.

ჩაჯდომა ვერ მოასწრეს, მზეჭაბუკმა ნაბიჯი უკან გადადგა და ვიღაც ქალს მიმართა:

— მობრძანდით, ქალბატონო!.. არა უშავს, ჩვენ არა გვეჩქარება!

ქალმა ლოყაზე ხელი მოუთათუნა გაწითლებულ ბიჭს და მანქანაში ჩაჯდა. მას მიჰყვა მოკლეკაბიანი, გაჩხინკული გოგონა. კაჭუჭიამ გულმოსულად მიუჯახუნა კარი. გოგონამ მზეჭაბუკს ხელი დაუქნია და ნახვამდისო, წაუმღერა.

— რიგი დაუთმეთ, ხომ? მაშ ახლა ჩემი რიგია! – ვიღაც ბღენძმა და ცილინდრიანმა გამოიწია.

— ვინ წავიდა ურიგოდ, თქვენ თვითონ ხართ ურიგოდ! – შეედავა კაჭუჭია, – ეს ქალი ჩემ წინ იდგა, შენ კი, ბიძაკაცო, თვალითაც არ მინახიხარ!

— მოიცათ, ყმაწვილო, მოიცათ! როგორ თუ არ გინახიხართ?! – გაფითრდა ცილინდრიანი.

— მოკეტე, ბიძია, თორემ... – კაჭუჭიამ ავბედითად ააბრიალა თვალები.

ცილინდრიანი გადაფითრდა.

— ტაქსის გულისათვის მკლავ, ბიჭო? – სუსტად წაიჩურჩულა.

— ეგეთი სამი მკლავს მოკლული! – უდარდელად წაიტრაბახა ჭაბუკმა და გაჩერებულ მანქანაში შეყარა ბარგი.

მანქანა რომ დაიძრა, მზეჭაბუკმა უსაყვედურა ძმას:

— აგრე როგორ გაიმეტე, კაჭუჭი, ის კაცი, არ შეგეცოდა?

— ეჰ, მოგცლია რა... აბა, ყველას თავზე ხელს ხომ არ გადავუსვამ? ეს ქალაქია, ძმაო, ყველას თუ ქუდი მოუხადე, კარგად წაგივა საქმე. ცოტა მაგრად იყავი, თორემ დაიჯაბნები.

— იმ ხნის კაცს არ უნდა შეჰკადრო!

— შენც გამომიჩნდი ჭკუის მასწავლებელი. ჯერ ჩემდენი იცხოვრე აქ და მერე დამარიგე! ერთი ის მითხარი, ვინ იყო ეგ ქალი? შენ რაღაც ვარდივით წითლდები, ა? ცოტა უკუღმართად ხომ არაა საქმე?

— ნუ იცი ხოლმე ყველაფერზე კუდის გამობმა, რა ხუმრობაა!

– იწყინა მზეჭაბუკმა.

— ხუმრობა კი არა, იმ ქალის გამო კინაღამ ვიჩხუბეთ და... ჩვენებური ხომ არაა?

— არ ვიცი, კუპეში ერთად ვიმგზავრეთ.

— კარგი კია, ჩემმა მზემ, ისე მიაქანებდა თეძოებს...

— კაი რა?

— მერე შენისთანა ლაწირაკი როგორ უნდა ეკურკუროს მაგეთ მატრონას? ჩემთვის ხომ უფრო უპრიანი იქნებოდა? – ლაზღანდარობას არ ეშვებოდა კაჭუჭია.

— მგონი აბოდებ, მაგი ქალი დედაჩემის ტოლია!

— ნუთუ?.. აბა, ის პატარა ხომ არ მოგეწონა, მასთან რომ იყო?

მზეჭაბუკი დამუნჯდა, სახეზე ალმური ასდიოდა.

— ის პატარა ხვლიკი, ჭიაყელა?.. – ახარხარდა კაჭუჭია, – ის ერთი ციცქნა...

მზეჭაბუკმა ხმა არ გასცა.

— არაფერს ვამბობ, არაფერს...

ბიჭმა პირი შეაბრუნა და ფანჯარაში დაიწყო ცქერა.

მანქანა ვიწრო ქუჩებით მიიწევდა, ტროტუარზე გამვლელები მიიჩქაროდნენ.

— მოდი, შევრიგდეთ! – სიცილით მხარზე ხელი მოჰხვია კაჭუჭიამ.

მზეჭაბუკმა ჯიუტად გაიწია.

— კარგი აწი, ნუ გადამაყოლე, მეტს არაფერს ვიტყვი მაგ შენს ხვლიკზე.

— კაჭუჭი!

— სხვათა შორის, კაჭუჭიას ნუ მეძახი, სასაცილოდ ამიგდებენ. ქალაქში მე კახაბერს მეძახიან.

მანქანა გაუშვეს და სანოვაგით დატვირთულნი ეზოში შევიდნენ.

ეზო ჭას ჰგავდა. ოთხივ მხრიდან საღებავამძვრალ აივნებს შეეკრა იგი, ზევიდან კი ცის ვიწრო ნაფლეთი გადმომხობოდა. მიწაზე ასფალტი მოესხათ და ღერი ბალახი არ ხარობდა. ერთადერთ თუთას როგორღაც თავის სამფლობელოდ გაეხადა ეს მუდამჟამს დაჩრდილული ფსკერი. მისი ფოთლების სიხასხასე ახარებდა თვალს.

ბავშვები ეზოში გამოფენილიყვნენ და ჟრიამული გაჰქონდათ. ბიჭები დაჭერობანას თამაშობდნენ. უფრო პატარები ამხედრებულიყვნენ სამბორბლიან და ორბორბლიან ველოსიპედებზე, ფეხით ასამუშავებელ ავტოზე, რომლებსაც სივიწროვის გამო წამდაუწუმ ერთმანეთს აჯახებდნენ. კუთხეში გოგონებს ცარცით კლასები დაეხატათ და კლასობანას თამაშობდნენ. ბოლო არ უჩანდა წივილ-კივილს, კამათს, ჩხუბს...

— დაიჭი, არ გაუშვა, დაიჭი!

— პი-პიპ, ღვ-ღვ-ღვ!..

— გადააცდინე, გადააცდინე!..

— პი-პიპ!..

უცებ აღრიალდა ბიჭუნა, ცრემლად დაიღვარა. მისი გულის გასახეთქად მხიარულად კისკისებდა და ირგვლივ ასკინკილას უვლიდა წითელკაბიანი ნოღაცხვირა გოგონა.

მზეჭაბუკი ხმაურმა დააყრუა, კაჭუჭიამ კი კბილები დაკრიჭა:

— უნდა მიეჩვიო, სად ნახავ ქალაქში წყნარ ადგილს!

პირველი სართულის ფანჯრიდან ქალმა გამოიხედა. სასოწარკვეთილი ჩანდა, ხელში თხელ რვეულს ატრიალებდა.

— ბავშვებო, ცოტა წყნარად, რა! მთელი დღე ყურთასმენა არ არის!

წამით ეზოში სიჩუმე ჩამოვარდა. მერე კვლავ აჩურჩულდნენ. თამაშში გართულებს უფროსის თხოვნა ავიწყდებოდათ და ისევ ჟივილ-ხივილს ტეხდნენ.

კიბესთან სათვალიან მასწავლებელს თორმეტიოდე წლის ბიჭი მიემწყვდია და ცხვირწინ თითს უტრიალებდა.

— ცარიელი გოგრა ხარ, ძამიავ, შენ, მთლად ცარიელი! მომიყვანე მშობელი ხვალვე! ტყავს გავაძრობინებ მამაშენს! შენ თუ არ ისწავლე, ძამიავ, ქვეყანა არ დაიქცევა, მაგრამ შენი ოჯახი დაიქცევა და ეს მაწუხებს მე!

ბიჭი განზე იყურებოდა. გრძელი კისერი ამიტომაც უფრო დაგრძელებოდა. მოთმინებით ისმენდა მასწავლებლის დარიგებას. ხანდახან ენის წვერით ტუჩების ლოკვას მოჰყვებოდა, ანდა ფეხს ინაცვლებდა.

— მაგრე უნდა, პატმასწ! მისდიეთ ძირამდე, თვარა, როცა გაიზრდება, თქვენვე გაგამტყუნებთ, რატომ არ მასწავლაო! – ფამილარულად გაუცინა კაჭუჭიამ. მასწავლებელს არ ესიამოვნა, არ დაიმჩნია და „ჰმ, ჰმ“-ო ჩაიზმუილა.

აივანზე ჩია კაცს შეეფეთნენ. მიეჩქარებოდა, მაგრამ შეყოვნდა.

— ეს ჩემი უმცროსი ძმაა, ძია ამირან! – წარუდგინა კაჭუჭიამ.

— სასიამოვნოა, სასიამოვნოა! – ამირანმა გაუღიმა და რადგანაც ბიჭს ხელები დაკავებული ჰქონდა, მხარზე მოუთათუნა და კიბეზე დაეშვა.

— გოგო ჰყავს, მპუ! – თითზე იკოცნა კაჭუჭიამ.

აივანზე გაიარეს. მზეჭაბუკს სულ ეჩვენებოდა, რომ დაუკითხავად შედიოდა სხვის სახლში. თვალს ვერ უსწორებდა აივანზე დახორხლილ ტაშტებსა და სარწყულებს, ნოხგადაფარებულ ტახტზე დაგდებულ თავწამტვრეულ თოჯინას, ან ხელსახოცს, რომელიც იქნებ მთლად პერანგის ამხანაგი იყო... ზემო სართულების აივნებიდან და ფანჯრებიდან ხანდახან ცნობისმოყვარე ტიპები იმზირებოდნენ. მეოთხე სართულის აივანზე ვიღაც პიჟამოიანმა პენსნე გაიკეთა და ისე გადმოეყუდა, მზეჭაბუკს შეეშინდა, არ გადმოვარდესო.

ეზოში ჟრიამული კვლავ გრძელდებოდა.

პირველი სართულიდან ისევ გამოიხედა სასოწარკვეთილმა ქალმა და ხვეწნით წაიკნავლა:

— ბავშვებო, ცოტა ჩუმად რა, ხელი მეშლება!

ვიწრო და გრძელ დერეფანში კაჭუჭიას ფეხზე კატა წამოედო, ამანაც ამოსდო და კატა ჩხავილით გავარდა.

— ზოოპარკია ნამდვილი, ამათი... – ჩუმად შეიგინა, გზად შეყრილ ვასასი კუზიანს კი მოუთაფლა: — დღეს კარგად გამოიყურებით, ვასასი დეიდა! გაიცანით, ეს ჩემი ძმაა!

— ნენა, ნენა, შემოგევლე, რა კაი ბიჭი ყოფილხარ! – თაფლადვე დაიღვარა დედაბერი.

— ა, ბატონო, ესაა ჩვენი სრა-სასახლე! – კაჭუჭიამ ტვირთი დაყარა, ფეხსაცმელების გაუხდელად საწოლზე წამოგორდა და ერთი „უფ-ფ!“ ზედ დააყოლა.

მზეჭაბუკმა სარკმელში გაიხედა. ტროტუარი ისე ახლოს იყო, ხელს თუ გაიწვდენდა, გამვლელს ქუდს წააცლიდა კაცი.

მოიხედა. ბოდღო ბედიას ოდაში ცხენს გააჭენებდა კაცი. მასთან შედარებით ეს დერეფანივით ვიწრო და გრძელი ოთახი ვერაფერი სიკეთე იყო, მაგრამ არჩევანი სად ჰქონდათ.

კაჭუჭია ცოტა ხანს სულს ითქვამდა, მერმე დილის ამბავი გაახსენდა. ხავერდის შავ ფარდას მიაშტერდა და უცებ ხარხარი აუტყდა. ისე ხალისიანად იცინოდა, მზეჭაბუკიც აჰყვა, თუმცა სიცილის მიზეზი არ იცოდა.

სიცილ-სიცილ წამობანცალდა კაჭუჭია, ფარდა გადასწია, სარკის წინ დატრიალდა; ემანჭებოდა, საკუთარ გამოსახულებას ენას უყოფდა.

— რა იყო, საგიჟეთიდან გამოქცეულო, ვერ ამიხსნი?

— ამ დილით მომეჩვენა... – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ყვებოდა კაჭუჭია, თან თვალებიდან სიცილის ცრემლები სცვიოდა. – მომეჩვენა, რომ ვიღაც შეძვრა ამ სარკეში... ჯუმასაც მოეჩვენა... ისე შეეშინდა, გული წაუვიდა... ბრახ! იატაკზე... სარკეში შეძრომა გაგიგონია? – და კვლავ ახარხარებული გაგორდა ლოგინზე.

მზეჭაბუკს სიცილი ჩაეშრიტა. სარკის ზედაპირს ფრთხილად დაადო ხელი, თითქოს ამოწმებდა, ცოცხალია თუ არაო.

დამშვიდებულმა გაიღიმა.

— ახალმა ბინამ დაგცადათ, წიგნი ამოიდეთ ბალიშქვეშ!

— მუთაქის მაგივრობას წიგნები არ გვიწევს? – დაიჯღანა კაჭუჭია.

— ძალიან კი გეტყობა წიგნის სიახლოვისაგან დაბრძენება, — მზეჭაბუკიც წამოწვა.

თვალი დახუჭა და ელმავალმა დაიგუგუნა უმალ. ვაგონის ბორბლებს რელსებზე დაგადუგი გაჰქონდათ, კუპე ირწეოდა და სიბნელეში გაწვდილი ხელი ეხებოდა გოგონას თბილ ხელს... როგნედა... როგნედა... როგნედა...

* * *

მანქანების დილის ნაკადმა ჩაიარა, მაგრამ გმირთა მოედანზე ჩასული კაჭუჭია გამონაბოლქვმა ააცრემლა. უწყვეტი გუგუნისაგან ყურთასმენა არ იყო და ჰაერში ეკიდა უხილავი მტვრისა და ბენზინის სუნი. ერთხანს უცადა ცხრა ნომერ ტროლეიბუსს, მაგრამ მერე ქვეითად განაგრძო გზა. ზოოპარკის კუთხეში, სალუდეში ლუდის მოყვარულნი ადრიდანვე კათხებს უჭახუნებდნენ და ისედაც მძიმე ჰაერს დაღვრილი ლუდისა და საჭმლის ნამუსრევის სუნი შერეოდა.

მოსწყურდა. ჯიბე მოისინჯა, ხურდის მეტი არაფერი შერჩენოდა.

ტროტუარის მოაჯირთან ჩამომსხდარი ბიჭები იცნო. გვარიანად ნაქეიფარნი ჩანდნენ, მაგიდასთან ორი, ცარიელი ბოთლებით სავსე ყუთი იდგა.

კაჭუჭიამ აქეთ-იქით დაიწყო თვალის ცეცება, აქაოდა გხედავთ, მაგრამ მზერას გარიდებთო.

— კახა! – მოესმა ნანატრი ხმა. ყვინჩილა ფეხზე წამომდგარიყო და სუფრაზე ეპატიჟებოდა. კაჭუჭიამ ხელით ანიშნა, მეჩქარება, სმაც არ შემიძლია და, შენი ჭირიმე, ახლა ნუ დაიჩემებო. ყმაწვილმა ყელი გამოსწია, გეხვეწებიო.

— კახა, ჩემი თავი გენაცვალოს, პატივი დაგვდე!

კაჭუჭიამ ხელები გაშალა, აქაოდა, რა გაეწყობაო და ზვარაკივით ფეხათრევით მიუახლოვდა, თან გზა-გზა იხსენებდა ამ ბიჭის ნამდვილ სახელს.

— მეგობრებო, გაიცანით ჩემი ძმაკაცი კახაბერ ბედია! – წარუდგინა ყვინჩილამ თანამეინახეებს. ისე თამამად იქცეოდა, ალბათ მამამისის ფული იხარჯებოდა დღეს ამ სუფრაზე.

ბიჭები დინჯად წამოიწიენ, სათითაოდ ჩამოართვეს ხელი, თავიანთი სახელები უბოძეს შემოსწრებულს: ჯებე, დათო, ავთო და რომან... ყვინჩილას სახელი ვერა და ვერ გაიხსენა კაჭუჭიამ, თუმცა კარგა ხანია, იცნობდა. ათჯერ მაინც შეხვედროდა უნივერსიტეტის ბაღში. სულ ისეთ პოზაში იდგა, მე ვარ და ჩემი ნაბადიო. მუდამ თავის მამაკაცურ გამარჯვებებზე ყვებოდა. კაჭუჭიასაც რა ენაღვლებოდა, თავს უქნევდა. არ ჩაივლიდა ოდნავ

მაინც თვალადი გოგონა, ყვინჩილას რომ არ ეთქვა, ამასთან კინოში ვიყავი და ასე და ისე ვქენიო, ეს ვაკის პარკში მყავდა, მილიციელმა გამოგვიჭირა, თუმნიანით დამაჯარიმაო, ის კი ჩემთან, მართალია, არ ყოფილა, მაგრამ ჩემს ძმაკაცთან თბილისის ზღვაზე კოტრიალობდაო... გაახსენდა კაჭუჭიას, რომ მისთვის სახელი არასოდეს უკითხავს და გუნებაში წინათაც ყვინჩილას ეძახდა. სწორედ ღობეზე შემომჯდარ იმ მამლაყინწას ჰგავდა, რომელიც სიცოცხლეში პირველად „ყიყლიყოს“ ძახილს აპირებს, მაგრამ ხრინწიანი ჩხავილის გარდა, არაფერი გამოსდის. მამლისა არ იყოს, ბიჭსაც ერთი ხელის დადება სახე ჰქონდა, კაუჭა ცხვირი და ისეთი წვრილი კისერი, სახრე რომ ვინმეს მოექნია, გადააცლიდა...

— შემოსწრებულისა დაგვილიოს! – რომანი ისეთ ხმას გამოსცემდა, თითქოს კასრში იჯდა და იქიდან ბუხუნებდა. სამი ბოთლი ერთად დაუდგა კაჭუჭიას ცხვირწინ.

იგი ყველაზე უფროსი ჩანდა შეკრებილთა შორის. დღე და მოსწრება, ალბათ, თმა არ შეეკრიჭა, საყელოში უძვრებოდა, კინკრიხოზე კი მელოტი აჩნდა უკვე. მის ულვაშებს არაფერი უწყოდათ სამართებლის არსებობის შესახებ, ზღვის ლომივით ცხვირიდან გამოუდიოდა და ნიკაპზე ეფინებოდა. ლაპარაკის დროს თითქოს ულვაშებს მიღმეთიდან გამოსცემდა სიტყვებს.

— შენ ამას არ იცნობ, — ცქმუტავდა ყვინჩილა, — ეს გენიოსია! რომანი რავა არ გაგიგონია, შე კაცო, მთელი თბილისი იცნობს. პატრიოტია, გიჟდება, ისე უყვარს სამშობლო. მოდერნისტულ რომანებს წერს, არა, რომან?

— შვიდი რომანი დავწერე! – განაცხადა რომანმა. თვალები არყისა და ლუდისაგან დასწითლებოდა და შეკამათება არ ღირდა, – ვინ არის კამიუ? მიქარვაა...

ყველამ თავი დაუკანტურა.

— ლუდით დღეგრძელობას ვეღარ გკადრებთ! რაც ჩემს მოსვლამდე თქვით, ღმერთმა ეგრე ქნას! – კაჭუჭიამ სამივე ბოთლი ყელში ჩაიცალა და უკვე გაციებული მწვადები მოიჩოჩა.

— აუჰ, ერთი არაყიც უნდა დავურტყათ! – წამოიყივლა ყვინჩილამ.

— არ ქნა ახლა მაგი! – გულსგარეთ თქვა კაჭუჭიამ.

— მეტი მართლაც არ გვინდა! – ხმა შეაშველა პირდაპირ

მჯდომმა, რომელსაც ან დათო ერქვა, ან ავთო. ეს ორი ბიჭი თავიდანვე ერთმანეთში აერია კაჭუჭიას. არც ძმები იყვნენ, არც ბიძაშვილები, მაინც ტყუპისცალებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ამხანაგთა ჩრდილებს ამოფარებულნი მეხსიერებიდან სლიპი თევზებივით სხლტებოდნენ. კაჭუჭიამ თვალი რამდენჯერმე შეავლო, მაგრამ როგორც კი მიბრუნდებოდა, უმალ ავიწყდებოდა მათი არსებობა.

— შე კაცო, თუ უნდა მოიტანოს, არაყია, საწამლავი კი არა! – განაცხადა რომანმა და ხახვის მოზრდილი ფოთლები ულვაშებს მიღმა გადამალა.

— მე ლუდსაც სიამოვნებით მივირთმევ, — ჩაიკრუტუნა კაჭუჭიამ, — არაყი თავში აგვივარდება, სიცხეა...

— აგვივარდება და აგვივარდეს, იმისი დედა!.. – დაიქუხა უცებ რომანმა და მიიხედ-მოიხედა, შარზე იყო ალბათ.

მეზობელ მაგიდებთან წუთით ლაპარაკი შეწყდა, მერე ვითომ არაფერიაო, ხალხი ისევ არუზრუზდა.

მოაჯირს გაღმა, ტროტუარზე გოგონა შეკრთა, შეშფოთებულმა მოიხედა. კაჭუჭიამ გაუღიმა და თვალი ჩაუკრა. იმან ვითომ ვერ შეამჩნია, ავტობუსზე რომ ადიოდა, წამიერი მზერა სტყორცნა და კინაღამ ფეხი დაუცდა.

კაჭუჭიამ კმაყოფილებით ჩაიხვიხვინა და ყვინჩილას მკლავზე წაუთათუნა:

— რახან ეგრე გინდა!

— აბა, ჩემო ჯებე, პატივი გვეცი და მოგვირბენინე! – ყვინჩილამ ჯიბეში ხელი განგებ დააყოვნა; ტკბებოდა ჯებეს კრთომით, რომელიც ჯიბეებს იქექავდა, მაგრამ კაპიკიანს ვერ პოულობდა. იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, ვინც მუდამ მეგობრების ხარჯზე ქეიფობს. საკმარისი დრო რომ გავიდა, ყვინჩილამ ხუთმანეთიანი ამოაცოცა და მიუგდო:

— აჰა, გაიქეცი!

ჯებეს სახეზე ნათელი მოეფინა. თვალიც კი უცინოდა, ოღონდ ერთი. მეორე შუშისა ედგა და კაჭუჭია თვალს არიდებდა. წამოხტა და ბუფეტს მიაშურა.

— მათხოვარი! — დაადევნა გულღრძოდ რომანმა.

ყვინჩილა ზვიადად და მეტი რიხით გამოიყურებოდა.

დათომ და ავთომ თვალი აქეთ-იქით გააპარეს. ალბათ არც მათ ჰქონდათ ჯიბეები ბანკნოტებით გამოტენილი. კაჭუჭიამაც ერთგვარი წყენა იგრძნო. მასაც ხომ მცირე ხურდა უჩხრიალებდა და ამ ლაწირაკს შეეძლო მისთვის ზევიდან დაეხედა... ასეთ ფიქრს მადა არ წაუხდენია მისთვის. რაც ახლომახლო იდო, ყოველივე მოასუფთავა და ახლა ყველსა და პამიდვრის ნარჩენებს აცოცებდა თავისკენ... დაცხა. მოედანზე ქვეითნი და მანქანები არ ილეოდნენ. ავტობუსები ასწრებდნენ ერთმანეთს, ცდილობდნენ წინ გაძვრომას, გზას უკეტავდნენ სხვებს... უხილავი მტვერი ეკიდა ჰაერში და შავი ხრილი ეფინებოდა სუფრას.

ჯებემ არაყი მოარბენინა:

— ხურდა არ დამიბრუნა მაგ ახვარმა! – მინის თვალი კაჭუჭიასათვის მიეპყრო, საღი თვალით კი ნაცემი ლეკვივით შეჰყურებდა ყვინჩილას.

— ჯანდაბას! – ყვინჩილამ ლუდი ძირს დააქცია და არაყი დაისხა. ხელი ცუდად ემორჩილებოდა და ბოთლის ყელს რაკარუკი გაჰქონდა ჭიქის პირზე.

— ამით, მეგობრებო, მინდა ჩვენი კაი კაცობა ვადღეგრძელო!

— გაუმარჯო-ოს! – შეაწია რომანმა, რომელიც სიცხისა და სასმელისაგან მთლად გამოლენჩებულიყო.

დათო-ავთომაც ჭიქები აიღეს, რაღაც იჯაჯღანეს, რა, კაჭუჭიამ ვერ გაიგო, და გადაკრეს, თანაც საცოდავად დაიჭყანენ.

ჯებემ ჭიქა ლუდის ბოთლს ამოაფარა, ყვინჩილამ შეამჩნია და თავი მოიგიჟიანა:

— ახლავე დალიე, თორემ, ძმობას გეფიცები, კისერში ჩაგასხამ!

რომანმა ლუდის ბოთლი დაითრია, დალიე, თორემ თავში ჩაგახარშეო...

— ბიჭებო, ხომ იცით, ოპერაცია გავიკეთე, რა! – იხვეწებოდა ჯებე, საცოდავად ახამხამებდა ცალ თვალს, მაგრამ არავინ დაუჯერა.

ყვინჩილამ ერთხელ კიდევ ჩამოასხა, ნახევარი მაგიდაზე ეღვრებოდა...

* * *

სიცხემ იმატა. ჩრდილი დამოკლდა და შუადღის მზე ასფალტს ადნობდა.

ჰაერში ეკიდა ლუდისა და არყის, ასფალტისა და მტვრის, გამონაბოლქვისა და ზოოპარკის სუნის საძაგელი ნაზავი და კაჭუჭიას გუნება წაუხდა.

ახლაღა დაიხედა ფერხთით. აქა-იქ ეყარა საჭმლის ნამუსრევი, წაქცეული ბოთლები. ძირს დაქცეულ ლუდს ბუზი ეხვეოდა და სუფრაზეც ცდილობდა წილის დადებას.

ვიღაცა უკვე მეათედ გარბოდა საპირფარეშოში, ვიღაცას კიბე წაებილწა...

მანქანების უწყვეტი გუგუნი, გამვლელთა ფეხის ხმა, მოსმურთა ბუბუნი, სიცხით შეწუხებული თეთრი დათვის ღმუილი ერთმანეთში ირეოდა...

დათო და ავთო პატარძლებივით ჩუმად ისხდნენ და თვალში თვლემა ეღვრებოდათ.

ჯეგე ეშმაკურად კუსავდა ცალ თვალს.

ყვინჩილას თავი ჩაექინდრა ჭუჭყიან თეფშზე, ბურანში იყო და რაღაცას უგერგილოდ ლოღნიდა, ალბათ უთავბოლო სადღეგრძელოებს.

უცებ რომანმა მუშტი დაახეთქა მაგიდას, კიდიდან ბოთლი ჩამოვარდა და დაიმსხვრა.

— ვის დავარტყა?! – დაიღმუილა და სისხლმოწოლილი თვალები მიმოაბრიალა.

ყვინჩილა წამოიყაყვა. ავთო-დათო შეშფოთებულნი შეინძრნენ, ხმის ამოღება კი ვერ გაბედეს. ჯეგე მოეფერა კნავილით:

— კაი, ბიჭო, სირცხვილია!

კაჭუჭია არხეინად იჯდა და თხელი პერანგის სახელოებქვეშ ღონიერი კუნთები ებურთებოდა.

— რა იყო, გენაცვალე! – დამარცვლით გადმოსძახა ერთმა მოზვერივით ბიჭმა მეზობელი მაგიდიდან.

რომანი მოქურუშებული მიაჩერდა ბიჭს. მანაც თვალი გაუსწორა. ასე ისხდნენ თავთავიანთ ადგილას და თვალების ჭიდილით კმაყოფილდებოდნენ.

„ახლა ვიჩხუბებთ!“ – გამხიარულდა კაჭუჭია.

რომანმა ბიჭს მზერა აარიდა, სახის ნაკვთები მოერღვა და თავი მკლავზე მიდო.

„ჩაისვარა! – დაასკვნა კაჭუჭიამ, – შეშინდა და მთვრალს თამაშობს!“

ბიჭმა მოწინააღმდეგეს ზურგი შეაქცია, რაღაც გადაულაპარაკა თავისიანებს და მათაც გაიცინეს.

— წავიდეთ! – ამოიხვნეშა კაჭუჭიამ.

— წავიდეთ! – გონს მოეგო ყვინჩილაც. საბრალო ფეხზე ძლივს იდგა და მაინც ყოჩაღობდა.

მხოლოდ ჯეგე შეყოვნდა იმ მოზვერივით ბიჭთან და ქაქანი გაუბა. უქონავდა ალბათ, გულს ულბობდა. კაჭუჭიამ ყური მოკრა ზოგ სიტყვას – პატრიოტიო, მოდერნისტული რომანებიო, წამებულიო...

ზოოპარკის შესასვლელთან რომანი გამოცოცხლდა.

— უნდა ვცემო! – აიჩემა, – თუ ვაჟკაცები ხართ, გავბრუნდეთ...

— გავბრუნდეთ! – უდარდელად დაეთანხმა კაჭუჭია.

— აუჰ, არ ქნა მაგი! – დაესივნენ დანარჩენები და არ გაუშვეს. ის კი უძალიანდებოდა, ოღონდ მთლად იმდენად არა, მართლაც ხელიდან გასხლტომოდა.

მილიციელმა გაიარა, ეჭვით შეათვალიერა მოძიძგილავენი.

— რას აკეთებთ, ყმაწვილებო?

— ჩვენ პას, უფროსო! – ხელები ასწია რომანმა. სხვებმაც შემრიგებლურად ჩაიხითხითეს.

— ჭკუით იყავით, წადით შინ და გამოიძინეთ!

რომანმა შეიგინა, ოღონდ ისე, მილიციელს ყური რომ არ მოეკრა. ბიჭები ისევ ახითხითდნენ და თითქოს ასე ჰქონოდათ დათქმული, ზოოპარკის შესასვლელს მიაშურეს.

— ბილეთები, ახალგაზრდებო! – გზა გადაუღობა მებილეთე ქალმა, – ნასვამები ხართ, წასულიყავით შინ, არ შეიძლება!

— გაიწი, ბებია! – უხეშად უბიძგა რომანმა.

ქალი გაშრა, მაგრამ სანამ ხმას ამოიღებდა, ესენი უკვე შორს იყვნენ.

— გამარჯობა, მურია, ხომ არ გცხელა?! – მიესალმა რომანი თეთრ დათვს. საბრალოს მართლაც ცხელოდა და წყალში ყურ-

ყუმელაობდა.

„მაიმუნობს, — ზიზღით გაიფიქრა კაჭუჭიამ, — ამ ლაწირაკების ბელადობას იჩემებს!“

ერთხელაც იქნება ვთეთქვავო, გადაწყვიტა, მაგრამ იქვე გადაიფიქრა.

ყვინჩილაც ყვინჩილობდა. კბილებში პაპიროსი გაერჭო და ნიკაპი ამაყად აეპრიხა. ბოლს ვერ ყლაპავდა მიუჩვევლობის გამო, წამდაუწუმ ახველებდა და მაინც დიდებული პოზა ეჭირა.

მაიმუნების გალიას ბავშვები შემოეხვივნენ სიცილ-ტკარცალით.

ყვინჩილა ნაწნავებიანი გოგონას გვერდით აღმოჩნდა, უფრო გაიბღინძა და ენის ბორძიკით წაუმღერა:

— ლამაზო!

ბავშვმა შეშინებული თვალები მოაპყრო, ტოლებისაკენ გაიწია.

— მოეშვი! – უხეშად ჩაბღუჯა კაჭუჭიამ გაძალიანებული ბიჭი, – ვერ ხედავ, პატარაა, სკოლის ფორმა აცვია!

— მერე არ გაიზრდება? – ჭირვეულობდა ყვინჩილა, ღონიერ მკლავებს ვერ გასხლტომოდა და თავს დამცირებულად გრძნობდა, – კახა, გამიშვი, თუ ძმა ხარ! – ჯინიანი ბავშვივით შეეხვეწა და კაჭუჭიამ ხელი ჩაიქნია.

რომანი მაიმუნობით დაიღალა, სკამზე დაეცა და ჩასთვლიმა. დათო და ავთო წიწილებივით გვერდით მიუსხდნენ. ისე ყურყუტებდნენ, საამქვეყნო პირი არ უჩანდათ. ჯებე კუდში დასდევდა და თავს აბეზრებდა კაჭუჭიას... ყვინჩილა თავს გმირად გრძნობდა, ბავშვებს აედევნა და სადაც ისინი გაჩერდებოდნენ, ისიც იქ აეტორღიალებოდა სულელური ღიმილით. ცდილობდა აჩემებული გოგონას ყურადღება მიეპყრო და ათასნაირ სიბრიყვეს როშავდა. გოგონაც უკვე დამშვიდდა, თუმცა ცდილობდა ნასვამი ბიჭისაგან თავი შორს დაეჭირა, თან ცოტათი კეკლუცობდა კიდეც.

როდესაც ვეფხვის გალიასთან მივიდნენ, ბავშვების ჟრიამულით შეშფოთებული უზარმაზარი ხატულა ნადირი მოუსვენრად დატრიალდა, თან თვალებს ავად აბრიალებდა.

— რა ლამაზია! – თქვა გოგონამ.

— მიდი, მოეფერე! – გაიხუმრა ვილაცამ.

ყვინჩილამ ჩაიხითხითა, ზღუდეზე გადაძვრა და გალიას მიუახლოვდა.

ბავშვები გაისუსნენ.

კაჭუჭია და ჯებე სხვათა ზურგსუკან იდგნენ და ვერაფერს ხედავდნენ.

წამით ვეფხვიც შეყოვნდა, თითქოს გაუკვირდა ბიჭის სითამამე.

— პრივეტ, ძმაკაც! – ენის ბორძიკით წაიბლუკუნა ყვინჩილამ, რომელსაც თანდათან შიში და სიფხიზლე დაუბრუნდა, მაგრამ გოგო-ბიჭების თვალწინ უკანდახევა ეთაკილებოდა.

გისოსში ხელი გაჰყო, პაპიროსი დრუნჩში ატაკა და სულელურად უთხრა:

— აჰა, მოწიე!

ნადირმა წამით დაიხია, ბრაზით დააღო საშინელი ღოჯები და დაიქუხა.

— ვაი! – ზარდაცემული ბიჭი იქვე ჩაიკეცა.

ატყდა ჩოჩქოლი და ვაი-უშველებელი.

გაბრაზებული ვეფხვი ღმუილით ეხლებოდა გისოსებს, კაჭუჭია კი საბოლოოდ გამოფხიზლებულ თანამეინახეებს მოერეკებოდა უნივერსიტეტის ეზოსაკენ, სადაც მზეჭაბუკს უნდა დალოდებოდა...

თავი V. შიშველი მეფე

უცნაური სიმძიმე დააწვა ჯუმა ბედიას. უკვე არ ახარებდა ამ საღამოს დანიშნული მოთხრობების გარჩევა. იქნებ სხდომაზე არც წავიდეო, ისიც კი გაიფიქრა, მაგრამ ეზოში რომ გავიდა, მიხვდა უკვე გვიან იყო. მისი ნაცნობ-მეგობრები და ახლობლები აგერ ჩრდილში ისხდნენ და სხდომამდე დარჩენილ დროს კლავდნენ.

მზეჭაბუკიც აქ იყო, კაჭუჭიას წამოეყვანა. ტატოსთან ერთად იჯდა და ტატო ხელების ქნევით რაღაცას უმტკიცებდა. ალბათ კაჭუჭიამ თუ გააცნო. მზეჭაბუკი თვალებში შესცინებდა ცოცხალ პოეტს და ჯუმა შურმა გაკენწლა, თითქოს უმცროსი ძმის სიყვარულის თუნდაც ნამცეცი არ ემეტებოდა სხვისთვის.

კიბეზე რომ ჩაირბინა, ტატომ დაინახა და მზეჭაბუკი მოახედა.

ბიჭს სახე შეეცვალა, სიხარულისაგან ერთიანად აენთო და გამოიქცა.

ჯუმამ თავშეკავებულად აკოცა, მზეჭაბუკი კი ბალღივით ჩამოეკონწიალა, თან ხმამაღლა ჩამოარაკრაკა მოკითხვები და მშობლების, ნათესავების, მეზობლების კარგად ყოფნის ამბავი.

ჯუმას ეუხერხულა, სულელივით იდგა და იღიმებოდა.

მაცაცუნა მოვარდა, მკლავში ხელი სტაცა ჯუმას, ზედ აეტმასნა, არატრატდა:

— როგორ მოვრბოდი! თავპირი დავიმტვრიე, მეგონა, დამაგვიანდებოდა, სული ძლივს მოვატანე... ისე მაინტერესებს, ისე მაინტერესებს...

მზეჭაბუკმა მადლიერი თვალები შეანათა.

– ეს შენი ძმაა? ხომ მივხვდი!.. რა ლამაზია! – ხელი გამოუწოდა აწითლებულ მზეჭაბუკს, – ესმა!.. აბა, გავიქეცი, ჩაო! – უცბად შებრუნდა და ძმებს ფეხსაცმელების სწრაფი ბაკაბუკით გაშორდა. საქმიანი ქალივით მიიჩქაროდა და მსუბუქი კაბის კალთები წვივებზე ეხვეოდა.

— ისაა? – ჰკითხა გაბრუებულმა მზეჭაბუკმა.

— ვინ ისა? – ვერ გაიგო ჯუმამ.

— შენი საცოლე!

— ვინა, მაცაცუნა? – უფროს ბედიას გაეცინა, – სულელო, მაგეთი გოგოები რომ მინდოდეს...

გუნება ცოტათი გამოუკეთდა. ტატოს ღონივრად ჩამოართვა ხელი, დანარჩენებს საერთო სალამი უთხრა. კაჭუჭიას გვერდით ჩაიჭუჭკა, ღვინის სუნი ეცა და ჩურჩულით ჰკითხა: „ნასვამი ხარ?“, „არა, ერთი კათხა ლუდი...“ „დამაცა მე შენ!“ – დაექადნა.

კაჭუჭია ბედნიერ გუნებაზე გახლდათ. იგი მარადიულ პრობლემებს არ ეჭიდებოდა. სწორედ ახლა, მცირე ნაბახუსევზე, თვალს უჟუჟუნებდა ლილის, რომელსაც მსხვილი მუხლები ერთი ერთმანეთზე გადაედო და კაჭუჭიას წვა და დაგვა ვითომ ჩირად არ უღირდა...

ლილის გვერდით კაჭუჭიას ძმაკაცები და თანამეინახენი ჩამომსხდარიყვნენ, მოწაფეებივით დაეწყოთ მუხლებზე ხელები:

ჯებე, დათა, ავთო და რომან... და კიდევ ყვინჩილა... „ესენი წაუღია უფალს!“ – გაიფიქრა ჯუმამ... ჯებეს არ ეტყობოდა სიმთვრალე, წელგამართული იჯდა და სათვალიდან თვალმოუცილებლად მოშტერებოდა უფროს ბედიას.

ეს იყო საშუალი ძმის სამყარო, ამათი მეგობრობა კმაროდა კაჭუჭიასათვის და ჯუმამ სმენა მზეჭაბუკისა და ტატოს მასლაათს მიაპყრო. ტატოს ძველინდური ფილოსოფიური ტრაქტატი წაეკითხა და იმაზე ლაპარაკობდა. ჯუმამდე აზრის ფრაგმენტებიღა აღწევდა... ბოროტი ღმერთის ჯაგერნაუტის ეტლის ქვეშ იღუპებიან თურმე ნირვანას მაძიებელი ფანატიკოსები...

უცბად მეხსიერების თვალსაწიერზე ოდინდელმა ამბავმა გაიელვა: ვიწრო ქუჩაში ტრამვაი მიხრიგინებს, თითქოს ბორბლებით რელსებს ჩასჭიდებია და ქვაფენილზე მიათრევსო. ჯუმა ბედია ცარიელი ტრამვაის კუთხეში მიჭუჭკულა, მთვლემარე მებილეთეს შეჰყურებს ცნობისმოყვარედ. მოხუცი ქალი ხანდახან თვალს გაახელს, ერთადერთ მგზავრს უღიმის. ეტყობა, ჩადგმული კბილები აქვს, როცა იღიმება, ჩხრიალი ისმის, თითქოს ეს ქალიც ამ ძველი, მონგრეული ტრამვაის ტექნიკური დეტალიაო... ჯუმა ავლაბრის მეტროსთან ჩადის, მეტეხისაკენ ეშვება. ტაძარს გარს შემოუვლის, თან ლოდებს უფათურებს ხელს, აქაოდა, ვგიჟდები, ისე მიყვარს ეს ქვებიო. თან ტრამვაის დედაბერი არ შორდება მეხსიერებიდან, მაშინაც კი, როცა პარაპეტთან დგას და მამულიშვილურად გაჰყურებს ნარიყალას კალთაზე შეფენილ ძველი თბილისის ჭრელ უბნებს... მოულოდნელად თვალი უშტერდება – გორგასლის ძეგლის ჩრდილში ნაცნობ ზურგს ამჩნევს. ჯინსიან და თეთრპერანგიან ჭაბუკს მუხლებზე თაბახის ფურცლები უდევს და გამალებით წერს. ჯუმა ჩუმად უახლოვდება, ზურგსუკან ჩერდება. კისერს იწვდენს, მაგრამ დაწერილს ვერ კითხულობს, თუმცა ხვდება, ფურცელზე რომ ლექსის სტრიქონი ლაგდება... მდუმარება გრძელდება... ირგვლივ არავინაა!.. ირგვლივ არავინაა!.. უცბად, ერთი წამით, შესაძლოა წამიც არ იყო, მოუნდა ხელი ეკრა თეთრი პერანგისათვის... თვითვე შეაძრწუნა ამ წამიერმა აზრმა. გონს მოეგო და მხარზე მოჰხვია ხელი – „ტატო, არ გადავარდე, გენაცვალე!“

გახსენება ულმობელი იყო. ჯუმა აწრიალდა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო. წამოდგა, მგონი დროაო, ჩაიდუდღუნა.

ბედად, მათკენ მოიჩქაროდა ლეო პირველი, დამწყებ მწერალთა წრის თავმჯდომარე, ახალგაზრდა პოეტი, რომელსაც ორი ლექსი უკვე დაებეჭდა „პეგასში“, ერთიც რესპუბლიკურ გაზეთში, რამდენიმე მრავალტირაჟიანში და უთვალავი ყოველნაირ კედლის გაზეთში. ნამდვილი სახელი ლევანი ერქვა, გვარიც საკმაოდ გრძელი ჰქონდა და „შვილზე“ თავდებოდა, ლეო პირველი კი ფსევდონიმი გახლდათ.

მზეჭაბუკი უმალვე მიხვდა, რომ მის წინ პოეტი იდგა, რადგან ლეო პირველს თვალებში მოდური მელანქოლია უკრთოდა. თვითონ ლეო პირველი ფიქრობდა, ვერ ავმაღლდიო საუკუნის მოთხოვნილებათა დონემდე. ჯერჯერობით ვერ აღიჭურვა პოეტთათვის ეგზომ საჭირო არაკომუნიკაბელობით, ძალაუნებურად თავს იჩენდა მისი პროვინციალობა და ვერა და ვერ ეზიარა მარტოობის აუცილებელ სევდას.

— მაგრად იყავი, შენ ჩვენი პროზის იმედი ხარ! – ხელი მტკიცედ ჩამოართვა ჯუმას. მერე მზეჭაბუკისაკენ შებრუნდა, მასაც მაგრად ჩამოართვა ხელი. ენერგიულისა და კეთილმოსურნის შთაბეჭდილების მოსახდენად ართმევდა ასე ხელს და მიზანსაც აღწევდა.

— ლექსებს წერ?

მზეჭაბუკმა დაიმორცხვა და თავი უარის ნიშნად გააქნია.

— ალბათ ჩუმჩუმად წერ! რა ვიცი, კი გავხარ პოეტს და...

კიბისაკენ რომ მიდიოდნენ, ჯუმამ ჯიბეში ქაღალდი მოსინჯა. მოსაწვევი ბარათი იყო, ოღონდ ვერ გაეგო, სად იწვევდნენ. თავში ქაოსი უტრიალებდა და შიგადაშიგ ამოტივტივდებოდა უცნაური სახელები – კვინტილიანე, გუჯმახანი, ჯაგერნაუტი...

* * *

სხდომათა დარბაზთან უამრავი ხალხი ირეოდა. ჯუმა ბედიამ უჩვეულო შიში იგრძნო. თავს ძალა დაატანა, პირზე ღიმილის ნიღაბი აიფარა და ბრბოში გაერია. ნაცნობებს თავს უკრავდა. უცნობთა ცნობისმოყვარე მზერას კი უხერხულად არიდებდა თვალს.

დარბაზში თავისუფალი ადგილი არსად ჩანდა. ახალგაზრდების ნაწილი ფეხზე იდგა კედლების გასწვრივ. ხალხი კი შემოდიოდა და შემოდიოდა.

ჯუმა პრეზიდიუმში დასვეს, ლეო პირველის გვერდით. დარბაზს სწრაფად გადაავლო თვალი. მზერას ვერავის უსწორებდა და საკუთარ ფრჩხილებს დაუწყო თვალიერება. თითო-ოროლა ყოფილი თანაკურსელიც მოსულიყო. პირველ რიგში რამდენიმე ნაცნობი პროფესორი იჯდა. მაცაცუნასაც მოჰკრა თვალი. წამდაუწუმ საქმიანად დგებოდა, რათა ჯუმასი და სხვა ნაცნობთა ყურადღება მიეპყრო. კაჭუჭიას საიდანღაც მონჯღრეული სკამი მოეთრია და რომანთან ერთად ცალგვერდად იჯდა. მზეჭაბუკი კედელთან მიეჭუჭკათ. ბიჭს სახე ალანძოდა, თავბრუ ეხვეოდა ფიქრისაგან, ამდენი ხალხი აქ ჩემი ძმის პატივისცემას შეუყრიაო.

პრეზიდიუმში, ჯუმას ხელმარცხნივ, მაგიდას იდაყვებით დაყრდნობოდა პროფესორი პროკოფი ნადირაძე, წრის უცვლელი გულშემატკივარი და სულისჩამდგმელი. ბატონ პროკოფის, მართალია, სტუდენტობის ხნიდან ლექსები არ დაუწერია, მაგრამ სხვადასხვა გულისამაჩუყებელი ფსევდონიმით ბეჭდავდა სუსტ ჩანახატებსა და ესეებს. ბატონი პროფესორის გვერდით შინაურულად მოკალათებულიყო დოცენტი პაპუა ჩირგაშვილი, ვინაც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ყველა დარგში მოღვაწეობდა და ლიტერატურის არც ერთ ჟანრს არ აკლებდა ყურადღებას. ასევე იცოდა ხალხში ლაპარაკი: „მე პროზაში ვმუშაობ!“, „მე პოეზიაში ვმუშაობ!“ მერე იჯდა ახალგაზრდა პოეტი ქალი ლიკაძე, ორმაგი მუქი სათვალით, სინათლეს რომ არ ატარებდა, რადგან პოეტესას ხშირად სჭირდებოდა საკუთარ სულში ჩახედვა, რასაც ამ სათვალის მეშვეობით ახერხებდა. ბოლოს, მაგიდის კუთხეში მიმჯდარიყო ჭაღარადქცეული დიდად პატივცემული ლიტერატორი,

რომელიც მიჩვეული გახლდათ პირველობას და საერთო აღტაცების ფაფუკ ღრუბლებზე შიგადაშიგ ხვრინვას ამოუშვებდა.

როგორც იქნა, სიჩუმე ჩამოვარდა. ლეო პირველმა ფანქარი მიუკაკუნა ჭიქას და ჯუმას თავი დაუქნია.

— მიდი, ჯუმა, შეუტიე! – დაიკნავლა ვიღაცამ დარბაზის სიღრმეში.

ჯუმამ ტრიბუნისკენ გაიწია, თან ისე წაბარბაცდა, თითქოს ზღვის ავადმყოფობა ჭირსო.

დარბაზს გახედა. მაცაცუნამ შორიდან კოცნა გამოუგზავნა. ჭაბუკმა სწრაფად ჩაღუნა თავი, შტერია ეს ოხერიო, და ქაღალდების დალაგებას შეუდგა. დასალაგებელი არაფერი ჰქონდა, თვალი ასჭრელებოდა და დროს აჭიანურებდა.

თავდაპირველად ხმა ძლივს ამოიღო. კითხულობდა მონოტონურად, ერთფეროვნად. ხანდახან ფრაზა აუსხლტებოდა, წაიბორძიკებდა, კვლავ წონასწორობას აღიდგენდა და ძველებურად განაგრძობდა. თანდათან გაჯინიანდა, თითქოს ვიღაცის ჯიბრზე აკეთებდა ამას, ვიღაცის ოხტში ამოდიოდა...

დარბაზში ჯერ სიწყნარე იდგა, მერე ცოტცოტაობით იმატა ხმაურმა. ნახევარი საათიც არ იყო გასული და თვლემა შემოძვრა ქუთუთოებში, ძილმა გაშალა ფაფუკი ფრთები.

პატივცემულმა ჭაღარა ლიტერატორმა წამოიხროტინა, გამოფხიზლდა, ეგონა, მოთავდაო და ხელი ხელს შემოჰკრა, თუმცა ისე მსუბუქად, ბევრს არ გაუგონია.

ტატოს სმენა დაეძაბა. იმ მცირეთაგანი იყო, ვინც თავიდანვე გულისყურით უსმენდა ტრიბუნაზე მდგომს, ოღონდ ესმოდა მხოლოდ სიტყვები, მზეზე დაგდებული, ძველი გაზეთის ნახევვით უემოციო, უგრძნობელი...

ჯუმა კი მიაჭენებდა. სადაც ოდნავ გამართულ ფრაზას წააწყდებოდა, თამამდებოდა, ხმას აუწევდა, მაგრამ გაუშალაშინებელს, უხეშად ნაჩორკნს თუ მიადგებოდა, იწყებდა სიტყვებისა და ფრაზების ყლაპვას და მაშინ უსიტყვო ზმუილიღა ისმოდა.

მერე უცბად დადუმდა, შუა ადგილზე შეწყვიტა. „ყველას მობეზრდა! – სირცხვილით გაიფიქრა და სულში მტრული გრძნობა აუფუთფუთდა, – რისთვის მოეთრენ, თუ არ აინტერესებთ...“

დარბაზში ჩურჩული გრძელდებოდა. ვიღაცამ შეამჩნია, ავტორს კითხვა დაუმთავრებიაო და მეზობელს იდაყვი გაჰკრა... თანდათან დაწყნარდნენ, უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— დაამთავრე? – ჩაახველა ბატონმა პროკოფიმ, რომელსაც, ცოდვა გამხელილი სჯობს, ოდნავ წასთვლიმა და წუხდა, ვინმემ ხომ არ შემამჩნიაო.

ჯუმამ თავი დაუქნია და სკამს მიაშურა.

ბატონმა პროკოფიმ ერთხელ კიდევ ჩაიწმინდა ხმა, ყოჩაღო, — გადაულაპარაკა და ტაში შემოჰკრა. კანტიკუნტად აჰყვნენ. თითქოს ცუდი რამ ჩავიდინეთო, უმალვე შეწყვიტეს. ამ დროს გამოფხიზლებულმა ჭაღარა ლიტერატორმა დასცხო, ოღონდ მეტი არავინ აჰყოლია... ლიკაძემ გაიღიმა, თუმცა ამქვეყნისა არ იყო და არავინ უწყოდა, რას უღიმოდა.

დოცენტი პაპუა ჩირგაშვილი წინანდებურად მომნუსხავად იყურებოდა. მეორე რიგში მოპოეტო გოგონას სახე აელანძა და მზერას ვერ უსწორებდა ბატონ მეცნიერსა და ლიტერატორს, რომლის მწირი ნააზრევი ქვეყანას დიდი ხანია მოეფინა. „მოვწონვარ!“ – გული უფართხალებდა გოგონას. „ბატისტვინაა!“ – ფიქრობდა ბატონი დოცენტი.

ლეო პირველმა ხმა დაიბოხა. თუმცა არავინ ხმაურობდა, ფანქარი მაინც მიუკაკუნა ჭიქას და ტრიბუნაზე ოპონენტი ჯანო ჩიკინტილაძე მოიხმო.

ჯანო არ გახლდათ ურიგო ყმაწვილი. საშუალო სიმაღლისა იყო, მაგრამ სიგამხდრე უფრო მაღალს აჩენდა. სახე ინტელიგენტური ჰქონდა, კაციშვილი ნაკლს ვერ დაუძებნიდა, ნაკლად სათვალეს თუ არ ჩავთვლით. ახლომხედველს სათვალეც ძლივს შველოდა და წასაკითხი ქაღალდი ზედ ცხვირთან უნდა მიეტანა. მიუხედავად ამისა, წიგნი არ დაბეჭდილა, რომ არ წაეკითხა. მთელი ეს ცოდნა მისი ტვინის სხვადასხვა განყოფილებაში წესიერად გახლდათ დახარისხებულ-დალაგებული. შეეძლო ათასნაირი, სრულიად უცნაური „იზმი“ ეხმარა, ცნობილი და უცნობი პოეტების ლექსებით ისეთი სიტყვიერი მანიპულაცია მოეხდინა, რომ ზოგჯერ პროფესორიც თავს სულელად იგრძნობდა.

— მეგობრებო! – ჩაიდუდუნა, ხელისგულში ჩაიხველა და

თვალი აარიდა კაჭუჭიას, რომელმაც მალულად მუშტი უჩვენა. ჯანო ჩიკინტილაძე პრინციპული ახალგაზრდა ბრძანდებოდა. მართალია, მისი სირბილე ზოგს ქალაჩუნობად ეჩვენებოდა, მაგრამ მუშტებით მას ვერავინ დააშინებდა... მაინც შეყოყმანდა, აქეთ მოუხვია, იქით მიუხვია, ავტორს ბოდიშები ფიანდაზად დაუფინა, აუდიტორიის მოთაფლვაც მოინდომა, პრეზიდიუმს მომაჯადოებელი ღიმილი აჩუქა... შეყოვნდა. ლეო პირველს ანიშნა, წყალი დამისხიო. ისიც ისე წამოიწია, თითქოს ვინმე ბატონკაცს ემსახურებოდა. ყლუპი მოსვა და ოდნავ გასაგონი ხმით მოსინჯა:

— მაგრამ მოთხრობები?.. ჩემი ღრმა რწმენით, ამ თხზულებებს არ შეიძლება მოთხრობები ვუწოდოთ!

დარბაზი გაირინდა, თითქოს ყველას ღრმად ეძინა და მუშტის კვრით გამოაღვიძესო. ჯუმა ბედია, რომელიც ოპონენტის მიეთ-მოეთებმა კინაღამ მიაძინა, მოიხარა და კვლავ საკუთარი ფრჩხილებით დაინტერესდა.

— შენ არავინ გეკითხება, შენთვის შეინახე შენი სულელური აზრი! – ადგილიდან წამოიჭრა კაჭუჭია.

— ამხანაგო, აცალეთ ორატორს! – წესრიგისაკენ მოუწოდა ლეო პირველმა.

— ორატორი კი არა, დიდი ვინმეა! – ბობოქრობდა კაჭუჭია.

— ჩა-ჩამოდი ტრიბუნიდან, შენ არა ხარ კრი-კრიტიკოსი, უნიჭო ხარ შენ! – დაუყვირა დარბაზიდან სტუდენტმა ჩაფიკაძემ, ვისაც დიდი ხანია ჩიკინტილაძის ჟინი სჭირდა.

დარბაზი აჩოჩქოლდა, ვინ რას იძახდა და ვინ რას.

— მეგობრებო! – გაფითრდა ჯანო, – მაცალეთ, მეგობრებო!

— შენი მეგობარი ბოსელში აბია ბაწრით! – ჩაიბუბუნა რომანმა.

ჯანო ჩიკინტილაძე ტრიბუნაზე აპირებდა დაბერებას და ხმას აუწია:

— მე ვთქვი და ვიმეორებ, ეს ჩემი სუბიექტური აზრია. ჯუმა ბედიას ეს თხზულებები არ შეიძლება მოთხრობებად მივიჩნიოთ. ჩვენს ხელთაა არა მოთხრობები, არამედ საკმაოდ საინტერესო ნ ო ვ ე ლ ე ბ ი!

დარბაზმა ამოიოხრა. თავი ყველამ მოტყუებულად იგრძნო. ჯანო ჩიკინტილაძე ჯადოსნურად იღიმებოდა.

ბატონმა პროკოფიმ გაოცებული მზერა ესროლა, მერე თავის კანტურს მოჰყვა, ჰო, ჰო, მართლაც ნოველებიაო.

ოპონენტმა სადავეები ბოლომდე მიუშვა...

ლეო პირველს შეეძლო მშვიდად ყოფილიყო. კამათი აწი ჩვეული გზით წავიდოდა. ტრიბუნას მუდამ ერთი და იგივე ორატორები პატრონობდნენ. იმის მიხვედრაც არ იყო ძნელი, რომელი მათგანი რას იტყოდა.

ოპონენტმა ტრიბუნიდან ერთი ფეხით გაასწრო სოსო წინამასწარაშვილს. იგი ყოველთვის ყველას ასწრებდა. არც უჭკუო იყო, თუ ნაკლად იმას არ ჩავუთვლით, რომ ხშირად ენა აზრს წინ უსწრებდა, ჯერ იტყოდა რამეს, მერე დაფიქრდებოდა. ამიტომ არაერთხელ გადაყრია უსიამოვნებას. ეს რომ არა, ლაპარაკობდა საკმაოდ დინჯად, თან წყლით სავსე ჭიქას ატრიალებდა ხელში, რაც ლეო პირველს აცოფებდა. მოინდომა კიდეც, ჭიქა გამოერთმია, მაგრამ ორატორმა არ დაანება, რადგან თუ ხელში რამე არ ეჭირა და არ აფუჭებდა, ისე ორ სიტყვას ერთმანეთზე ვერ გადააბამდა... სოსო წინამასწარაშვილი სტუდენტმა ჩაფიკაძემ შეცვალა. იგი მეტად თავმდაბალი გახლდათ, ქვეყანა ვერაფრით დაარწმუნა თავის გენიოსობაში, ამიტომ ნერვიულობდა და ენის ბორძიკი დასჩემდა... სტუდენტ ჩაფიკაძეს ბარე ათიოდე სხვა ორატორი მოჰყვა. ყველა გამომსვლელი ერთ აზრს უტრიალებდა, მართალია, ნოველები არ წაგვიკითხავს, მაგრამ, ვფიქრობთ, ლიტერატურისათვის დიდი შენაძენიაო...

ჯუმა მობუზული იჯდა. ქების მეტი ჯერჯერობით არაფერი მოუსმენია, მაგრამ გული კარნახობდა, ფუჭი იყო ყოველი, ტრიბუნაზე ჯერ არ ასულა ნამდვილი შემფასებელი. შესაძლებელია, არც ავა... ეგებ მეგობარია და არ სურს გული ატკინოს... თვალი ქურდულად მოავლო დარბაზს. ვინ იქნება?.. ის?.. ან ის?.. ტატო?.. ტატო მას უყურებდა და მზერაში სიმართლე ეწერა. „იტყვის!“ – შეძრწუნდა ჯუმა ბედია.

ამასობაში ტრიბუნას რომანი დაეპატრონა და უფროს ბედიას ცოტათი გული მოეცა.

— ეს რა ხდება?! – ულვაშებს მიღმა დახშული ხმით ჩაიბუბუნა შვიდი დაუბეჭდავი რომანის ავტორმა.

დარბაზი გაირინდა. ზოგი კარს მიაშტერდა, ეგებ იქიდან უნდა შემოჭრილიყო ორატორის აღშფოთების მიზეზი. ბატონმა პროფესორმა უმწეოდ გადახედა ბატონ დოცენტს; პაპუა ჩირგაშვილმა მხრები აიჩეჩა, დრო იხელთა და თვალი ჩაუკრა მეორე რიგში სირცხვილისაგან აწრიალებულ გოგონას.

— ეს რა ხდება, თქვენ გეკითხებით?! – გაიმეორა აღშფოთებულმა.

დამფრთხალმა ლეო პირველმა ჭიქა შეუვსო და მიაწოდა.

— დამშვიდდი, რომან, გენაცვალე, აჰა, წყალი დალიე!

— არ მინდა მე შენი წყალი! – მშვიდად უპასუხა ორატორმა და ტრიბუნას ხელებით ჩააფრინდა, თითქოს უნდა აიტაცოს და დარბაზში მოისროლოსო.

— კი მარა, რას გვერჩი, რა დავაშავეთ? – დამნაშავესავით გაშალა ხელები ლეო პირველმა.

რომანმა მის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია. წინ გადაიზნიქა, პირველ რიგს მიაშტერდა და ულვაშები მოიწუწნა.

რიგში მსხდომი გოგონები ერთმანეთს აეკვრნენ, შიშით უკან მიიხედეს, თავზე თუ დაგვესხა, საითკენ გავიქცეთო.

— მოვდივარ ამასწინათ ზემელზე და რას ვხედავ, ბიჭები ხვდებიან ერთმანეთს... პრივეტ-პრივეტ, მპა-მპუ!.. – ვითომ კოცნა გამოსახა, – მოვედი უნივერსიტეტის ეზოში და აქაც პრივეტ-დოსვიდანია, მპა-მპუ!.. ამ დერეფანშიც გოგოები, აჰ მილოჩკა, როგორა ხარ, მპა-მპუ!..

ვიღაცამ ისტერიულად ჩაიკისკისა და დარბაზი განიმუხტა, აირია.

— იცინეთ, იცინეთ!.. ეს კი პ რ ო ბ ლ ე მ ა ა! ამაზე უნდა ვწეროთ პოემები, რომანები, მოთხრობები!.. გრიპი გადადის, ჰონკონგისა, თქვენ კი მპა-მპუ, მპა-მპუ!..

ატყდა სიცილი, ჟრიამული. ვიღაცამ ტაში შემოკრა, სხვებიც აჰყვნენ... შეცბუნებული რომანი ტრიბუნაზე ულვაშებს იწუწნიდა, ვერ გაეგო, მხარს უჭერდნენ თუ დასცინოდნენ.

ლეო პირველი გააფთრებული იდგა, თვალებს უბრიალებდა ორატორს, მაგრამ რომანი მისკენ არ იყურებოდა.

ბატონ პროკოფის ლოყები აუღაჟღაჟდა, დინჯად წამოდგა

და ხელი ასწია. როცა სიცილი შენელდა, აუჩქარებლად მოჰყვა ახალგაზრდების თათხვას:

— მდა!.. – თავი გააქნია, – სიცილი, რასაკვირველია, კარგი საქმეა. ხანდახან უნდა გავიცინოთ... როგორც ჩვენი ნიჭიერი მეცნიერი, ახალგაზრდა ავტორი წერს, —პაპუა ჩირგაშვილს გადახედა ამ დროს, — სიცილი ჯანმრთელობისათვის სასარგებლოა... იხილეთ მისი ბოლო ნაშრომი, გვერდი ორას სამოცდაცამეტი... მე მიყვარს ჩვენი ახალგაზრდობა, რომელიც დროულად და ზომიერად იცინის. ზომიერება, მეგობრობა, ზომიერება, აი, უპირველესი კანონი სიცილის თეორიაში...

— ბოლო-ბოლო, მოგწონს თუ არა ეს მოთხრობები? – მოთმინებიდან გამოსული ლეო პირველი ფანქარს ღრღნიდა.

— სწორედ რომ მომწონს, პრობლემების გამო! – თითი ზევით აიშვირა რომანმა, – ისე მომწონს, რომ ზოგის ავტორობას მეც კი არ დავიწუნებდი.

დარბაზმა ისევ ვერ შეიკავა თავი და აზრიალდა.

რომანი ვალმოხდილის მძიმე ნაბიჯებით ჩამობრძანდა.

— ხომ მაგრად დავარტყი! – გადაულაპარაკა კაჭუჭიას.

— უჰ, გამობენტერებულო! – კბილები გააკრაჭუნა საშუალმა ბედიამ.

— ვის სურს გამოვიდეს? – იკითხა ნერვებმოშლილმა ლეო პირველმა და თვალებით დაუწყო ძებნა დითირამბებში გაწაფულ ნაცნობებს. ვისაც მზერა ჰკიდა, ყველამ თავი ჩაღუნა, ან სხვის ზურგს ამოეფარა.

ჯუმა დამშვიდდა. ორატორებმა მხოლოდ გულს მოუფონეს. შიში მთლად არ გაჰქრობოდა, მაგრამ ახლა ცოტა მეტად სწამდა საკუთარი ნიჭისა და ღმერთს ევედრებოდა, ოღონდ დღეს მშვიდობით გადამარჩინე და ისეთ მოთხრობებს გავაშანშალებო, რომ...

— ტატო, იქნებ შენ შეგვაწიო ორიოდე სიტყვა?! – მოესმა უცებ ლეო პირველის ხმა და თითქოს გულის ძარღვი ჩაწყდა.

ტატომ ნაბიჯი წინ გადმოდგა, მიმოიხედა, ყოყმანი დაეტყო.

მთელი დარბაზი მისკენ მიბრუნებულიყო.

— მეფე შიშველია! – წყნარად თქვა.

ნაწილი II

ჯადოსნური ნაპერწკალი

თავი I. ღამის ზღაპარი

პირველ თბილისურ ღამეს საოცარი ზღაპარი ეზმანა. ალბათ ნაწილი სიზმარი იყო, ნაწილი ცხადი, მაგრამ ნამდვილი და მოგონილი ისე აირია ერთმანეთში, მზეჭაბუკ ბედია ფიქრობდა, იქნებ სულ არ წამოვსულვარ შინიდანო... ეგების ერთი კვირის წინ ჩაეძინა ბედიების სახლში და ჯერაც ძილ-ბურანშია... ასეც ერჩივნა, მაგრამ სინამდვილეს ვერსად გაექცეოდა... დარბაზის აურზაურმა გააოგნა, თავგზა აუბნია. წესიერად ვერ გაეგო, ვინ ვის ეკამათებოდა და ვინ ვის მხარეს იდგა. იმასღა მიხვდა, რომ მისი უფროსი ძმა, მისი სათაყვანებელი ჯუმა დაამცირეს, აბუჩად აიგდეს... რას ნიშნავს „მეფე შიშველია“? იმას, რომ ის დედიშობილაა, არაფერი აცვია, სარცხვინელი საჯაროდ გამოუფენია, თვალთმაქცნი კი სიმართლეს არ ეუბნებიან... მხოლოდ ტატომ მიახალა სიმართლე, ტატომ გაუბედა, დახიე ეს ქაღალდები, თავს ნუ ირცხვენო... რა რჯიდა? ვინ ეკითხებოდა? რატომ ატკინა გული ჯუმას, განა ასეთი სიმართლით ადამიანი უფრო ბედნიერი ხდება?

ხედავდა მზეჭაბუკი, პირზე როგორი ალმური ასდიოდა ჯუმას, თავი დაბლა დაეხარა, ლამისაა მაგიდის ქვეშ შემძვრალიყო... გული მოეწურა, შეებრალა. მზად იყო ორომტრიალში გადაშვებულიყო და მტერი დუელში გამოეწვია, მაგრამ ვერ გაერკვია, ვინ იყო მტერი და ვინ მოყვარე... გულისძახილს მიჰყვა, ბრბო გაარღვია, სირბილით დაეშვა კიბეზე და გარეთ რომ გავარდა, ტატო უკვე ეზოდან ჭავჭავაძის პროსპექტზე უხვევდა.

უჩუმრად აედევნა...

სულაც არ ჰგავდა ტატო გამარჯვებულს. ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, მხრებჩამოყრილი და თავდახრილი მძიმედ მიაბიჯებდა. „უნდა გავლახო!“ – გულსგარეთ გაიფიქრა მზეჭაბუკმა. ვერც მოერეოდა, ცხადია, უფრო თავს გაალახვინებდა, მაგრამ გული საგულეს აღარა ჰქონდა და უსიტყვოდ გაცლას ისევ თავის გალახვინებას ამჯობინებდა.

წიგნის მაღაზიიდან სტუდენტი გოგონები გამოვიდნენ, ტატოს შესცინეს, ხმადაბალი სალამი უთხრეს. ტატომ ისინი ვერ შენიშნა, გვერდით ჩაუარა.

— რა მოუვიდა? – იკითხა ერთმა.

— მთლად გააფრინა, მგონია! – ჩაიცინა მეორემ.

იქნებ მართლაც გააფრინა? პოეტებისას რას გაიგებ კაცი. რამდენიმე საათით ადრე თავი მოაწონა მზეჭაბუკს. რეჩიტატივით ელაპარაკებოდა, უხილავი ბანგი ასვა თითქოს, ოქროს ეტლით ასეირნა აღმოსავლეთის უდაბნოეთში და ინდურ ღვთაებათა თვალებში ჩაახედა... ასე შედგა უცნაური ნაცნობობა, — უნივერსიტეტის ბაღში, მცხუვარე მზის ქვეშ... ახლა კი კვალზე მიჰყვებოდა, რათა ძმის მაგიერ პასუხი მოეთხოვა.

გურამიშვილის ძეგლთან შეყოვნდა ტატო. თვალი გაუსწორა დიდ წინაპარს. საოცრად ნაღვლიანი გამოხედვა ჰქონდა და მზეჭაბუკი მიხვდა, გამოწვევა ვერ შედგებოდა.

მოიხედა ტატომ, იცნო და აუღელვებლად თქვა:

— აჰ, მზეჭაბუკ ბედია? ალბათ საჩხუბრად მომდევ!

— ჰო!

— რა გაეწყობა, თუ ძალიან გინდა, ვიჩხუბოთ! – ასე კი თქვა, მაგრამ ხელები ჯიბიდან არ ამოუღია, იდგა და ნაღვლიანად შემოსცქეროდა.

— რა დაგიშავა ჩემმა ძმამ?

— არაფერი.

— ასე რატომ თქვი?

— სიმართლე გითხრა, არ ვიცი.

— არ იცი?

— ჰო, მე ხომ მხოლოდ ტექსტს ვუსმენდი, მივხვდი, რომ ეს არ იყო ლიტერატურა. ჯუმა არც გამხსენებია.

— არ გაგხსენებია?

— ჰო, ტექსტი იყო, მაგრამ შიგ ჯუმა არ იყო!

თქვა და ამოიოხრა.

მზეჭაბუკმა არ იცოდა, მეტი რა ეკითხა, ან აწი როგორ მოქცე-

ულიყო, და თვითონაც ამოიოხრა.

— იცი რა, — ღიმილი გაკრთა ტატოს ტუჩებზე, — ეტყობა, ჩხუბის გუნებაზე არც ერთნი არა ვართ. წამოდი, ვიაროთ, გზა-გზა ვილაპარაკოთ, იქნებ ჩხუბიც მოგვინდეს!

ალბათ უარი უნდა ეთქვა მზეჭაბუკს, ხომ უხერხული იყო თავისი ძმის მტერთან ასე სეირნობა, მაგრამ ვერც მიხვდა, როგორ დამორჩილდა და გვერდიგვერდ გაჰყვა. თვითონაც ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, თავდახრილი მიდიოდა და ტროტუარს დასცქეროდა.

სტუდქალაქთან ხელმარცხნივ ჩაუხვიეს. მზეჭაბუკმა ფირნიშზე წაიკითხა – „ფალიაშვილის ქ.“

— სულაც არა ჰგავხარ ძმებს, – თქვა უცებ ტატომ, – შენში თითქოს სინათლეა!

მზეჭაბუკი გაწითლდა, უკმეხად შეეპასუხა:

— ჩემს ძმებშიც სინათლეა!

— დრო გვიჩვენებს! – მოკლედ მოჭრა ტატომ. გზა მდუმარედ განაგრძეს და კარგა ხნის შემდეგ გულს ამოაყოლა: — თვალებში თითქოს ყინული უდევს, სიკვდილით მემუქრება... დიახ, მასში მკვლელი ცხოვრობს!

მზეჭაბუკი შეკრთა.

— ვისზე ამბობ?

ტატომ თვალი გაუსწორა, თავი ისე გააქნია, თითქოს ზმანება ჩამოიბერტყაო.

— მე აი, აქ ვცხოვრობ!

ამ ბინას, ფალიაშვილის ქუჩაზე, ბინა არ ეთქმოდა. უფრო ბეტონის ორმოსა ჰგავდა. უკარობის გამო მოხერხებულ გამქირავებელს სარდაფის ერთადერთი ფანჯარა კარად ექცია და ეს სარდაფი ბინად გაუსაღებია. ტატო და მისი სტუმარი წელში მოხრილნი, დიდი სიფრთხილით შეძვრნენ, რათა ბეტონის ძგიდეზე თავი არ მიერტყათ.

ოთახში ისეთი ნესტი იდგა, კარაქივით დანით გაიჭრებოდა. კედლებზე შპალერს სისველისაგან ყავისფერი ფორეჯები ემჩნეოდა. ერთადერთ ასაკეც საწოლზე ღარიბული ლოგინი ელაგა. მაგიდაზე და იატაკზე დასტა-დასტა წიგნები და ხელნაწერები ეწყო.

— მდიდრულად ვცხოვრობო, ვერ დავიკვეხნი, მაგრამ ჩაი და

შაქარი, თუ არ ვცდები, კი უნდა მქონდეს, – ტატომ კუსტარული ელექტროქურა ჩართო, ლაბორატორიული კოლბით წყალი დადგა.

მზეჭაბუკი მონჯღრეულ სკამზე დაჯდა. პირდაპირ კედელზე სამი სურათი მიემაგრებინათ ჭიკარტით. ერთი ჟურნალიდან ამოეჭრათ, ზედ ახალგაზრდა, წვერულვაშიანი კაცი იყო გამოსახული. კაცს ვარსკვლავიანი ბერეტი ეხურა, რომლიდანაც ქოჩორი მოუჩანდა. მეორე ფოტოზე ასაკოვანი კაცი ხალისით იღიმებოდა, მესამე – ჟამისაგან გაყვითლებულ სურათზე ჯარისკაცისფარაჯიანი ახალგაზრდა იყო გამოსახული.

— ვისი სურათებია?

— ესენი? ფოტოზე, უფროსი რომ ჩანს, მამაჩემია. კიბომ იმსხვერპლა. მაშინ პატარა ვიყავი, ძლივს მახსოვს. უფრო ყმაწვილი კი პაპაჩემია, ჩვიდმეტისა წაიყვანეს, ჰოდა, დაიღუპა, საძმო საფლავშია, რუსეთში... ეს კი „ელ კომანდანტეა“... არ გაგიგონია? ჩე გევარა, კომანდანტე ჩე!

განაგონი როგორ არ ჰქონდა, მაგრამ ბევრი არაფერი იცოდა.

— ამასწინათ ლექსს ვწერდი, ამ სურათებს ვუყურებდი და ვწერდი... მომეჩვენა, რომ ვსტუმრობდი აქედან შორს, პატარა მდინარე ნიანკაუასუს ნაპირზე, ჩე გევარასთან. იგი ეგდო მიჯრით დახვრეტილი, მომცრო საკლასო ოთახში... ბავშვებმა ხომ უნდა ისწავლონ იმ კლასში, სადაც კედლებს ამჩნევია სისხლის წვეთები... მერე პაპაჩემის საფლავი ვნახე, რუსეთის მწირ მიწაზე... იქ ტყეებია, ფიჭვნარი... არაფერი მოჰყავთ კარტოფილის გარდა... ყვავილებიც მწირია, ხეშეში, საფლავზე ცოცხებივით დგანან... მამაჩემის საფლავი კი სულ სხვანაირია, ვარდებშია ჩაფლული, თან გადაჰყვა მაგის მოვლას საწყალი მამიდაჩემი...

— დედა?

— არ მახსოვს.

ხმაში სევდა შეეპარა, დადუმდა.

კოლბში წყალი სწრაფად ათუხთუხდა. ჩაის სასიამოვნო სურნელმა დაფარა ნესტისა და ობის სუნი.

— წამიკითხე შენი ლექსები! – სთხოვა მზეჭაბუკმა.

* * *

ჩაი დიდიხანია გაცივდა, ნესტიანი ჰაერი დაგუბდა. გასეირნება მოუნდათ.

ფალიაშვილის ქუჩას დაუყვნენ აუჩქარებლად. მზეჭაბუკმა სიყვარულზე ჩამოაგდო ლაპარაკი და ტატომ მოულოდნელად გული გადაუხსნა. ისეთი ნდობით ალაპარაკდა, თითქოს შემთხვევას ელოდაო.

— პირველად თეთრბაფთიანი მეზობლის გოგონა მომწონდა. მერე ხან ერთი, ხან მეორე... ახლა რომ მთხოვო, სახელები ჩამომითვალეო, იმათი, ვისაც ლექსებს ვუწერდი, იასა და ვარდს ვადარებდი, ალბათ, ვერ შევძლებ. გატაცების კვალიც არ შერჩა გულს. თითქოს მსუბუქმა ნიავმა ჩამოიქროლა, სიგრილე მომელამუნა პირზე და მეტი არაფერი. წლებმა მეხსიერებიდან ეს განცდაც ამოშალა. მერე, როცა უკვე იმედი არაფრისა მქონდა, როცა გულს სიმარტოვე კლავდა... თურმე, რაც მანამდე იყო, მოჩვენებაღა ყოფილა...

ვაკის პარკში შეეხეტნენ. დაცარიელებულ პარკში შადრევანი სცემდა მძლავრი შხუილით, ნიჟი იფანტებოდა დაწმენდილ ჰაერში.

— აი, აქ, ძეწნის ძირას ვიჯექი განმარტოებით. ქალიშვილმა გამოიარა, მერხის ბოლოს ჩამოჯდა. მე მას არც ვუყურებდი. თვალწინ ძეწნის ტოტი ქანაობდა, მის იქით ლაჟვარდი ჩანდა და მისი პირისახე... გამჭვირვალე, ლურჯ სივრცეში გაცურდა თითქოს... წარმოსახვაში ისევ და ისევ მეორდებოდა ეს ჩვენება – ძეწნის ტოტი, ლურჯი სივრცე და მისი პირისახე... სახელიც არ ვიცოდი, პირველად მაშინ ვნახე...

მზეჭაბუკი ჩუმად შეჰყურებდა შადრევანს. ხმაურით ჩქაფუნობდა წყალი, აუზში ტრიალებდა. სუსტმა ნიავმა დაჰბერა, წინწკლებმა მოასხურა.

— თითქოს მიბიძგესო, შევტრიალდი, სახეში ჩავხედე. შემკრთალმა მზერა შემომაგება. თქვენი სახელი ალბათ მზეს ჰგავსმეთქი. აილანძა, ხმა აუთრთოლდა, მეგონა, გამექცეოდა. თურმე მიცნობდა. „თქვენ ტატო ხართ, მე კი მზია!“ არ ვიცი, რამდენ ხანს ვისხედით ასე. ერთმანეთს შევცქეროდით და ქვეყანა დაგვივწყებოდა. მაშინ, თითქოს ანგელოზი მკარნახობსო, თითქოს უჩინარი ფრთა შემეხო ბაგეზე, ჩურჩულით წარმოვთქვი: „შენ სერაფიტას ჰგავხარ, მზია!“

მზეჭაბუკს ყელში რაღაც გაეხირა, ხმა ვერ ამოიღო. „მზია!“ – ეს სახელი რაღაცნაირად შემოფრინდა სულში, ღრმად ჩაიმარხა. ტატოს მკლავზე გამოსდო ხელი, პარკის გასასვლელისაკენ გაიყოლია. უკვე ჭავჭავაძის პროსპექტზე იყვნენ, დუმილი რომ დაარღვია. პარაპეტს გადაყრდნობილნი დაჰყურებდნენ პარკს. აქედან შადრევანი ვერცხლის უზარმაზარ ნაძვისხეს ჰგავდა.

— მე კი არავინ მიყვარს!

ფაცი გაახსენდა. მისი ლბილი, ხავერდოვანი ლოყა (ერთხელ გაბედა და აკოცა კიდეც)... ფაცის ლოყას მწიფე მსხლის სურნელი ასდიოდა, ან იქნებ „ფისო-ფისო“ კამფეტისა... შეეძლო ახლა დაეტრაბახა, მაგრამ ფაცი ისე შორს იყო, ოდნავადაც არ ათრთოლებია გული, რის გამოც ცოტაოდენ რცხვენოდა კიდეც.

და უცებ მოესმა გვირაბში შეგრიალებული ელმავლის გაბმული გუგუნი, ბორბლების დაგადუგი, ვაგონების ჭრიალი და ცოცხლად იგრძნო სიბნელეში ნდობით გამოწვდილი ხელის შეხება.

— არა, ვტყუი, მას ჰქვია როგნედა! – და ჯიბიდან ფურცელი ამოაფრიალა, რომელზეც მოწაფური ბატიფეხურით ეწერა მისამართი და ტელეფონის ნომერი.

— აჰა, ეს აქეთაა! – თქვა ტატომ.

გურამიშვილის ქუჩას დაჰყვნენ. თუთებს შორის თეთრი ფარდაგივით ეფინა ფართო ბილიკი. შუაზე გახლეჩილი გორაკის კალთებიდან დროგამოშვებით კენჭი ვარდებოდა ჩხაკუნით. საბურთალოდან სუფთა ნიავმა დაჰბერა.

მზეჭაბუკმა ყველაფერი უამბო როგნედაზე და ისევ თავიდან ყვებოდა. ტატო პასუხად მხოლოდ იცინოდა, თბილად, თანაგრძნობით.

ჰიპოდრომის ღია ჭიშკარში შეუხვიეს.

თავლებიდან ცხენების მშვიდი ფშვინვა და ფრუტუნი ისმოდა, ახლადნათიბი თივის სურნელი იდგა ჰაერში.

ჰიპოდრომის რესტორანი გაჩირაღდნებული იყო. მოცეკვავეთა ლანდები შორიდან სანთელზე მოფარფატე პეპლებსა ჰგავდნენ.

ტრიბუნებთან ძაღლები აღნავლდნენ.

ჩუმად მიდიოდნენ. ვრცელი მინდორი უზარმაზარი ლანგარივით იდო. ქალაქის ჩირაღდნებით გაფერმკრთალებული ვარსკვლავეთი აქ ძალას იკრეფდა. ცა იყო ღრმა და თვალშეუწვდენი. ჩახჩახა ვარსკვლავები დაბლა ჩამოსულიყვნენ და ჰაერის უხილავ ტალღებში ბანაობდნენ.

კვლავ ალაპარაკდა. ტატოსთან უკვე საიდუმლო არაფერი ჰქონდა. სიბნელეში ვერ ხედავდა, მაგრამ იცოდა, რომ იგი უსმენდა. ხმადაბლა ყვებოდა თავის სოფელზე, სახლ-კარზე, მოდუდუნე ენგურზე, სიმინდის ყანასა და ჩაის პლანტაციებზე...

დიდხანს გაუგრძელდა და უცებ მიხვდა, რომ მარტო იდგა ამ ვრცელ და ბნელ მინდორში, არ იცოდა როგორ დაეღწია თავი უზარმაზარ ლანგარში ჩაღვრილი სიბნელიდან.

— ტატო! – წამოიძახა შეშინებულმა. – ტატო, სადა ხარ?!

ტატო გამქრალიყო.

— ტატო, სადა ხარ?! – გაიმეორა და აწრიალდა.

ბნელში თეთრი ლაქა დალანდა, ტატოს პერანგი იყო. ჭაბუკი გულაღმა ეგდო ბალახში. ვარსკვლავთა მრუმე შუქი მიცვალებულის ფერს აფენდა სახეზე.

— ვაიმე, მოკვდა! – აღმოხდა მზეჭაბუკს და მის გვერდით დაეცა.

— ჩუმად, – წასჩურჩულა ტატომ, – ვარსკვლავებს უყურე. დღეს ქალაქში უცნაური ამბები ხდება.

მზეჭაბუკს გული მოეცა. თვითონაც გულაღმა გაიშოტა.

შავი გუმბათი წამომხობოდა მინდორს თავზე. მთელი ვარსკვლავეთი ტაატით მოძრაობდა მის გარშემო... რაღაც ძალამ ასწია ბიჭი, ჰაერში აიტაცა და ვარსკვლავებში გათქვიფა... ეს იყო მხოლოდ წამიერი ზმანება, რადგან ზურგსა და კისერზე ჩხვლეტდა ხეშეში ბალახი, სურნელოვანი მიწა ათასი უხილავი ძაფით მკერდში იკრავდა თავის პირმშოს.

ნიავმა კვლავ წამოუქროლა და ფართო ველზე ბალახი ააშრიალა.

წყნეთის მხრიდან შავი სხეული გამოეყო გორაკებს, ვარსკვლავებს შორის გაცურდა.

— რაღაც მოფრინავს.

— ჩუ...

თანდათან ახლოვდებოდა. გადაუარა ბაგებს, ვაკე-საბურთალოს გზას, იყალთოს გორაკს, ჰიპოდრომის თავზე გასრიალდა.

ტრიბუნებთან ძაღლები აყმუვლდნენ.

თითქოს შავი მხედარი იყო, წამიც და გაქრა პეკინის ქუჩის მიმართულებით.

ერთხანს ჩუმად იწვნენ. შემდეგ წამოცვივდნენ და სულმოუთქმელად გადაირბინეს მინდორი. მხოლოდ მაშინ დამშვიდდნენ, როცა საბურთალოს ქუჩაზე გააღწიეს.

— ეს რა იყო?

— ჯანდაბა! ამდენს რომ იტლიკინებ, რა არ მოგელანდება კაცს, – გაიცინა ტატომ.

სახლი ქუჩის დასაწყისშივე იპოვეს. ფანჯრები შავად ლაპლაპებდა. სადარბაზოებში თუ ენთო ალაგ-ალაგ ნათურა და ეზოს სიბნელეს მათი ანარეკლი ფანტავდა.

— ახლა რაღა ვქნათ? – იკითხა მზეჭაბუკმა.

— ჰმ, სძინავთ!

კიბეს ზოზინით აუყვნენ. კარზე გაკრულ აბრებს კითხულობდნენ. მეხუთე სართულზე ნაცნობ გვარს წააწყდნენ.

— დავაზარუნო? – თითი ღილაკზე მიადო ტატომ.

— უკვე სამი საათია.

— ვსინჯოთ მაინც.

სადღაც ბინის სიღრმეში სუსტად დაიწკარუნა და ორთავენი, თითქოს ქარმა დაჰბერაო, სირბილით დაეშვნენ კიბეზე, ეზოში მოითქვეს სული, ფანჯრებს ახედეს. მეხუთე სართულის ბინაში შუქი არ ანთებულა.

მზეჭაბუკი საფეხურზე ჩამოჯდა და ზურგით ბეტონის კედელს მიეყრდნო. კედელი სასიამოვნო სიგრილეს გამოსცემდა. ბიჭი უსიტყვო ნეტარებას გრძნობდა, თითქოს ამ კედელში ჩაგუბებულიყო ბავშვის წყნარი სუნთქვა.

— მოდი, დავრეკოთ, ტელეფონი აგერ ჰკიდია, – თქვა ტატომ.

სადარბაზოს შესასვლელთან მართლაც ეკიდა ტელეფონი.

— ყველას დავაღვიძებთ! – თავი გააქნია მზეჭაბუკმა.

— რატომ ყველას?.. ალბათ შენს როგნედას უდგას სასთუ-

მალთან. გოგონები ვერ ძლებენ უტელეფონოდ.

მზეჭაბუკმა ჯიბეში ორკაპიკიანი მოიძია. ნომერს რომ კრეფდა, გული საგულეს არა ჰქონდა.

ყურმილში ზუმერის გაბმული ხმა გაისმა... ისევ... ისევ... არავინ იღებდა. შვებით ამოისუნთქა, უნდოდა ყურმილი ჩამოეკიდა, მაგრამ ამ დროს ქალის ბებრულმა ხმამ ჩასძახა:

— ალო, ვინ გნებავთ?

მზეჭაბუკს ენა ჩაუვარდა.

— ალო, რა დროს ხუმრობაა, ძილი გვაცალეთ, ბოლოს და ბოლოს!

ამ დროს ნამძინარევმა ხმამაც იკითხა:

— ვინ არის?

მზეჭაბუკს გული შეეკუმშა, გოგონას ხმა იყო.

— როგნედას სთხოვეთ!

— ვინა ხარ, შვილო, შენ! მშობელი არა გყავს? არც თვითონ გძინავს ამ შუაღამეს, არც სხვას აძინებ!

— ბოდიში, ალბათ, სხვაგან მოვხვდი.

— ბებია, დაკიდე ყურმილი, ხელს ნუ მიშლი! – ჩასძახა გოგონამ. ქალმა რაღაც ჩაიბუზღუნა თანამედროვე ახალგაზრდების მისამართით და ყურმილი დადო.

— ალო, გისმენთ! – იმ ბოლოს დაამთქნარეს.

— მე ვარ, მზეჭაბუკი!

— ვინ მზეჭაბუკი?

— როგორ არ გახსოვარ, ჩვენ ერთ კუპეში ვიმგზავრეთ! ტელეფონიც ხომ შენ მომეცი!

— აჰ, მზეჭაბუკი... მოიცა, რა გვარი ხარ?

— ბედია!

— აჰ, მზეჭაბუკ ბედია... როგორ არ მახსოვხარ, გენაცვალე. რა იყო, ამ შუაღამეს რომ წამოგვყარე? – გულგრილად ამბობდა გოგონა, ენა ებლანდებოდა, ალბათ, ძილი ერეოდა.

— მომენატრე!

— აჰ, მოგენატრე?.. ძილი ნებისა, გენაცვალე.

— მოიცა, ყურმილი არ დადო! გეხვეწები, ფანჯარაში დამენახვე!

ყურმილი მაინც დადეს.

ბიჭები ეზოში გავიდნენ. ბინის განაპირა ოთახში სინათლე აინთო. პატარა ფიგურა გამოიკვეთა განათებულ ფანჯარაში. გვერდით უფრო დიდი ლანდი ედგა.

მზეჭაბუკმა ხელი დაუქნია, ოთახში სინათლე ჩააქრეს და ლანდები გაქრნენ.

უკმაყოფილება იგრძნო, ტატოს მზერა ვერ გაუსწორა.

— წამო, შინამდე მიგაცილებ. – თქვა ტატომ წყნარად.

ღამეული ტაქსი გააჩერეს. გზა ათიოდე წუთში დაილია. სადარბაზოსთან ჩამოსვა ტატომ და უცებ ჰკითხა:

— აკი უნდა გვეჩხუბა?

— სხვა დროს იყოს! – ხელი აუწია მზეჭაბუკმა.

ტაქსი დაიძრა. მზეჭაბუკი ხელაწეული იდგა და გაჰყურებდა.

ტატომ თავი გამოყო, თითი სახლისკენ გაიშვირა:

— აქ ცხოვრობა მზია!

ტაქსი გაქრა.

თავი II. ფათერაკი

„მეფე შიშველია!“ — ჯუმა ბედიამ ისეთი მზერა ესროლა ამის მთქმელს, თითქოს რევოლვერის ტყვია დაახალა. სძულდა! ამ წუთას აუტანლად სძულდა. ახლა რომ ყოფილიყო იქ, მეტეხის ციხესთან, არ გაუკვირდებოდა აზრი, რომელმაც მაშინ თვითონვე შეაძრწუნა.

„მეფე შიშველია!“ – ეს იყო საბოლოო განაჩენი. ჯუმას კარგად ესმოდა ამ სიტყვათა მნიშვნელობა. მართლაც შიშველი იყო, ცარიელი ჩონჩხი, როგორიც ამ დილას იხილა სარკეში...

ჯუმა ბედია სკამზე იჯდა, მელიქიშვილის ძეგლთან. ტოტებგაბარჯღული ფიჭვის ჩრდილს შეფარებოდა. ცდილობდა მიეგნო შეცდომის პირველწყაროსათვის, ძირისათვის. ტრამპლინი არ აღმოჩნდა საფუძვლიანი, ამიტომაც არ გამოუვიდა ნახტომი, ამიტომაც მოეცარა ხელი. ეგებ ჯობდა, ოდნავ უკან დაეხია, ნიადაგი ხელახლა მოესინჯა, ოღონდ არ იცოდა, რა იყო ეს „ახალი“.

„მეფე შიშველია!“ – კვლავ მტკივნეულად ამოსძახა გულმა... ანაზდად გუჯმახანის უცნაური მოწვევა გაახსენდა, ბარათი

ჯიბეში ედო... ვინ არის გუჯმახანი?.. რა უნდა?.. მიხვედრამ ააწრიალა. მოსაწვევი ბარათი ხომ არ უკავშირდებოდა გაცოცხლებულ სარკეს?.. გუჯმახანი... გუჯმახანი... მაინც რას ნიშნავდა ეს სახელი, ეს მოწვევა?

მძიმე კარი გაიღო ღრჭიალით და უნივერსიტეტის მთავარი კორპუსიდან სტუდენტთა ლაშქარი გამოეფინა. ეზო აივსო სიცილ-ხარხარით, ხორხოცით, გადაძახილ-გადმოძახილით...

გოგონების ჯგუფმა უდარდელი კისკისით ჩამოირბინა კიბეზე... ჯუმას მარტოობის სევდა დაუფლებოდა, მაგრამ არც ვინმესთან სურდა გამოლაპარაკება. იჯდა ჩრდილში და შავ ფიქრს მისცემოდა.

ნაცნობმა ხმამ გამოარკვია.

— დედა, რა იყო?! – მატრაკვეცულად იძახდა მაცაცუნა და რაღაცას სხაპასხუპით უმატებდა. პასუხად გოგონები ტკარცალებდნენ და ჯუმამ ვერაფერი გაიგო.

გოგონები ვარაზისხევს დაუყვნენ. ჯუმა უცებ ამოქმედდა. ახალი მიზანი გაუჩნდა, თუმცა აშკარად თვითონაც ვერ გარკვეულიყო, რა უნდა გაეკეთებინა, სად უნდა აეღო რევანში, რა საქმით გაემარჯვა... გამარჯვება კი სიცოცხლეზე მეტად სჭირდებოდა.

თავპირისმტვრევით მისდია ხმებს. შუა გზაზე წამოეწია და გასძახა:

— ესმა!

გოგონები შეჩერდნენ, მერე ჩურჩულ-ჩურჩულით დაიძრნენ დაღმართზე და მხოლოდ ერთი დარჩა ბინდში თეთრად გამოკვეთილი.

— ჯუმა, რა საინტერესო იყო?! – შეაგება მაცაცუნამ. ხმაში ნაძალადევი მხიარულება იგრძნობოდა. ჯუმას გულზე მოხვდა, მაგრამ თავი შეიკავა, ენას კბილი დააჭირა, გოგოს მოთაფლვას შეეცადა:

— შენ გელოდი!

ხელკავი გამოსდო, მაცაცუნას იდაყვი ძალუმად მიიკრა და გვერდით ასე გაიყოლა.

— ყველას კი ნუ უგდებ ყურს, – არატრატდა მაცაცუნა, – ხომ

იცი, ყოველ ადამიანს თავისი აზრი აქვს!..

— ძალიან ცოტას! – მოჭრა ჯუმამ, სულაც არ უნდოდა წეღანდელ ამბებს დაბრუნებოდა.

— მით უმეტეს! – უმალვე დათანხმდა გოგო, – მაშ, რატომ გაჯავრდი? რამდენი გაქეს, შენ კი გაჯავრდი.

— მოდი, ამაზე ნუღა ვილაპარაკებთ! – გააწყვეტინა ჯუმამ.

— როგორც გენებოს... – ტუჩები აიბზუა მაცაცუნამ. ოდნავ განზე გაიწია, რადგან მკლავი ეტკინა, მაგრამ ჭაბუკმა არ გაუშვა. გმირთა მოედანი გადაკვეთეს და სანაპიროსაკენ ჩაისეირნეს. გზატკეცილი რომ უნდა გადაეჭრათ, მანქანების კოლონამ ჩაიარა. ჯუმამ მკლავზე ხელი უშვა და მხარზე გადაჰხვია, ვითომ მანქანებისაგან გიცავო.

მტკვრის ზედაპირს ვერცხლის ვარაყი გადაჰფენოდა.

საკმაოდ შეგვიანებული იყო. სანაპიროზე თითო-ოროლა კაცი თუ მოჩანდა. გრილმა ნიავმა ამოიქროლა. მაცაცუნას შესცივდა, მჭიდროდ აეკრა ვაჟს, რომელმაც ეს მოძრაობა ერთგვარ ნიშნად მიიღო. ახლა მისი თითები აშკარად ეხებოდა გოგოს გაბუშტულ ძუძუს და ორივეს სისხლი ემღვრეოდა.

— მუდამ თვალში მომდიოდი, – ჭიკჭიკებდა ჯუმა, – ვცდილობდი ამის დაფარვას, მაგრამ მოთმინება დამელია...

მაცაცუნა გაისუსა, ბედს მიენდო. ჯუმა სიტყვასა და სიტყვას შორის ხაზგასმული სისათუთით კოცნიდა საფეთქელზე.

სანაპიროს ბაღები თითქმის დაცარიელებულიყო.

მტკვარში ირეკლებოდა ნეონის ნათურები და ფერადი ხაზები სერავდნენ შავ წყალს.

— ნეტავ ვიცოდე, ასე რას გავრბივართ? – გაეცინა ჯუმას, პარაპეტს გადაეყრდნო და გოგო გვერდით ამოიყენა.

ასე იყვნენ კარგა ხანს ჩახვეულები, წყალში იყურებოდნენ. წყლის შავვერცხლისფერი ჭავლები ბეტონის კედლებს აწყდებოდა. ნელი ტყლაშუნი აცოცხლებდა ღამის მდუმარებას. ხანდახან თუ ჩამოიქროლებდა დაგვიანებული მანქანა. ბრიალა ფარებს მოაფრქვევდა პარაპეტს. ჭადრის ჩრდილიდან გამოიტაცებდა გვერდიგვერდ მიტმასნებულ წყვილს და შეუჩერებლად ჩაიგუგუნებდა.

— ერთად რომ ვიქნებით, რა კარგად მოგივლი, – ჩაიბუტბუ-

ტა მაცაცუნამ და ხელის ზურგს ნები გადაუსვა.

ჯუმას კინაღამ გაეცინა. „რა შტერია!" – გულღრძოდ გაიფიქრა. თავი თავს მიაყრდნო და ლოყაზე აკოცა. მაცაცუნა არ განძრეულა. მეორეჯერ რომ აკოცა, გოგომ ტუჩები შეაგება. წვრილი ტუჩები ჰქონდა. როცა კოცნიდა, საულვაშე ბუსუსებს გრძნობდა. არ სიამოვნებდა და მაინც ეტანებოდა.

— ვიცოდი, რომ მოგწონდი, – თვალდახუჭული, მინაზებული ხმით ტიტინებდა მაცაცუნა, – მეც ვირეოდი შენზე, სხვა ბიჭებს ზედაც არ ვუყურებდი. შენ პირველი მამაკაცი ხარ, პირველმა მაკოცე...

— ესმა... – პასუხობდა ჯუმა ბედია. „სხვა გაასულელე, სხვას დაუყარე ეგ საკენკი", — უმატებდა ფიქრში, - ესმა... ესმა... – ჩურჩულებდა და ამ ჩურჩულში გოგო თანდათან თავისკენ შემოაბრუნა. წელს დაეპატრონა. ტუჩებს ეკონებოდა, თან ამოწმებდა, გული მისდის თუ არაო. მქრქალი ნათურების შუქზე გოგოს სახე უფრო მიმზიდველი ჩანდა. ჯუმას დაავიწყდა თავისი როლი. უცბად მოვარდნილმა ჟინმა გონება დაუბნელა. საკინძე ჩამოხია და მკერდი გაუშიშვლა. მაცაცუნამ საკინძეზე იტაცა ხელი. ენა ჩაუვარდა, უსიტყვოდ უწევდა წინააღმდეგობას. ჯუმაც ხმას ვერ იღებდა, უხმოდ ებრძოდა.

ღონე არ დაზოგა ვაჟმა, პარაპეტზე მიაკრა. გოგოს თითქოს ძალა ელეოდა, აჰა, უნდა დამორჩილებოდა, უნდა ეზეიმა გამარჯვება ჯუმა ბედიას.

მაცაცუნა გამძაფრდა უცებ. კრა ვაჟს მკერდში ხელი, ჭადარს მიახეთქა ზურგით.

— ესმა! – წამოიძახა გაბრუებულმა ჯუმამ.

— ამ ჩექმაში ფეხი არ ჩაგივა! – ხრინწიანი, ნერვული სიცილით უპასუხა მაცაცუნამ და გაიქცა.

— ესმა!

მაცაცუნას ფეხის ხმა მიწყდა. უკაცრიელ სანაპიროზე მარტო დარჩა ჯუმა ბედია, ვნებააშლილი, ერთხელაც დამცირებული და დამარცხებული. პარაპეტს მუშტი მტკივნეულად დაჰკრა და ზედ გადაემხო.

გონს მალე მოვიდა, მაგრამ ვერ დამშვიდდა. ბილწად აგინებდა მაცაცუნას უკანასკნელი სიტყვებით, უსინდისოსა და მატყუარას ეძახდა. როგორ გააცურა მაგ მაიმუნმა, მაგ შტერმა და დაცენტრილმა...

როცა წამოიწია, მარქსის ხიდის მოაჯირს კაცი გადაჰყუდებოდა და წყალში იცქირებოდა. უკვე გვიანი ღამე იყო, ჯობდა შინ წასვლა.

* * *

მერე ამბავი სწრაფად დატრიალდა. წამის განმავლობაში ჯუმა ბედიას თვალწინ ათასმა რამემ გაიელვა. მოეჩვენა გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი წერილები, ტელეკადრები, ნაცნობ-მეგობრების მიერ მხარზე ხელის თათუნი, გოგონების მომხიბლველი ღიმილი. ისეთი არაფერი ხდებოდა, რომ გმირის სახელი დიდხანს შერჩენოდა, მაგრამ მაინც გმირობა იყო. სანამ ყველაფერმა ამან ფირზე აღბეჭდილი კადრებივით გაიელვა, ის უკვე სანაპიროს პარაპეტზე იდგა და შარვალს ფაციფუცით იხდიდა.

კაცი ვერ ხედავდა ჯუმას. რომც ენახა, ალბათ, არ მიაქცევდა ყურადღებას. მთვრალის უთავბოლო ზოზინით გადაბობღდა ხიდის მოაჯირზე და ახლა თავს მხოლოდ ცალი ხელითღა იკავებდა.

— ეჰმა! – შეჰღმუვლა და თავქვე წავიდა.

ჯუმას არც გაუგონია წყალში კაცის ზღართანი, რადგან იმავე წამს თვითონაც მოსწყდა პარაპეტს და მტკვარში გადახტა. ენგურის პირას გაზრდილი, ცურვაში ვის არ გაეჯიბრებოდა, ოღონდ გოგოსთან ნაღლაბუცევს და გაოფლილს წყალი ყინულად მოეჩვენა.

ათიოდე მეტრი წყალქვეშ გასცურა. მეტიც შეეძლო, ხიდის ბურჯს არ შევასკდეო და იმიტომ ამოყო თავი. ხიდი უზარმაზარ პარაბოლად იყო გადატყორცნილი. სანაპიროებს გახედა და შიშმა გაკენწლა. ორთავე ნაპირი შვეულ კედელს შეეკრა და ზევით ასვლას ვეღარ მოახერხებდა. კარგი მოცურავე კი იყო, ღონე მაინც უნდა გამოეზოგა. დინებას მინებებული ნებიერად მიცურავდა, თვალით ეძებდა წამით ადრე გადავარდნილს, რომელსაც ასე უდროოდ მოსწყურებოდა სიკვდილი.

კაცი ჯერ არსად ჩანდა, ჯუმა არ ღელავდა. აუცილებლად ამოტივტივდებოდა, თუ, რასაკვირველია, ქვები არ ეწყო ჯიბეებში.

ხიდზე მანქანამ გადაიარა და მისი ხმა ისე გაისმა, თითქოს ვიღაცა გაბმულად უბრახუნებდა უზარმაზარ დოლზე.

ჯუმამ ჩრდილიდან გამოსცურა. მტკვრის ზედაპირი აქერცლილიყო. თვალს ჭრიდა უამრავ სხივებად გარდატეხილი ფერი ვერცხლისა. ახლა ისე არ სციოდა და ნელ-ნელა უსვამდა მკლავს. კაცი ჯერ კიდევ არ ჩანდა და ჭაბუკს იმედი თანდათან ეწურებოდა. ალბათ მართლაც ქვებით ამოივსო ჯიბეები მაგ ოხერმა და ფსკერზე ეგდო წყლით გაჭყეპილი.

არ ჩქარობდა, მაინცდამაინც ბევრ ძალას არ ხარჯავდა. წყალი მაცდური იყო და საკუთარ თავზეც უნდა ეზრუნა.

იმ ადგილს მიაღწია, სადაც კაცი უნდა ჩავარდნილიყო. აქ, ხიდის ჩრდილში არაფერი ჩანდა. ჯუმამ ღრმად ჩაისუნთქა და ფსკერისაკენ დაეშვა. თვალებს მონდომებით აცეცებდა. კუნაპეტი სიბნელე იყო და მაინც ვერაფერს ნახავდა. ყურებში რაღაცა ზუოდა. შეშინდა, ძალიან ღრმაა და ამ სიბნელეში რაიმეს არ გამოვედოო. სწრაფად ამოყვინთა, იმედგაწყვეტილი კვლავ მინებდა დინებას.

ჩრდილიდან გამოცურა და მაშინ ჰკიდა თვალი. ვერცხლის მოციმციმე ჭავლში, რომელიც ერთმანეთზე გადაბმულ ბურთულებს ჰგავდა, მიტივტივებდა შავი ბურთი. „წყალმა ამოაგდო, ახლა ისევ ჩაიძირება“, – ჯუმამ სწრაფად გასცურა, წინ წასულს, ალბათ, სული კბილით ეჭირა. „უკვე აღარა ჰსურს სიკვდილი, გადაიფიქრა“, — გუნებაში დასცინოდა ბედდამწვარს. თუმცა ცივ წყალში ამდენმა ტრიალმა დაღალა, მკლავების იმედი ჰქონდა და ჯერ კიდევ ღონივრად უსვამდა.

მიაპობდა წყალს ჯუმა ბედია, მაგრამ შავ ტივტივას ვერ ეწეოდა. სანაპიროზე ახალგაზრდების ხორხოცი გაისმა. ვიღაცა გიტარას აჩხაკუნებდა და გაჰკიოდა მოდურ სიმღერას, რომელიც კაცმა არ უწყის, რა ენაზე ითქმოდა. „ნეტა თუ მხედავენ?“ – წუხდა ჯუმა. დღე რომ ყოფილიყო, უამრავი ხალხი მოაწყდებოდა ნაპირს. ახლა კი, აბა, ვინ დაინახავდა მოძმისათვის თავგადადებულს. მილიციელმა ჩასტვინა სანაპიროს ბაღებში. ჯუმამ ერთი-ორჯერ წყალზევით ამოიწია, ეგებ იმან მაინც მნახოსო, მაგრამ წყლის ზედაპირი ჭრელი იყო და ძნელად თუ შეიძლებოდა რამის გარჩევა.

შავი ბურთი კი მიტივტივებდა თავისთვის. ჯუმა ვერც ეწეოდა და ჩამორჩენასაც არ აპირებდა. ალბათ, მართლაც სხვა რაღაცა იყო, ის კაცი უკვე დაიხრჩობოდა აქამდე... მოსწყინდა დევნა, მკლავიც დაეღალა. ზურგზე გაწვა, რათა ცოტათი დაესვენა. ვარსკვლავებს მიაპყრო მზერა. ქალაქის ნათურები ანელებდნენ ვარსკვლავთა სიკაშკაშეს. რატომღაც შერცხვა, თუმცა ისიც იფიქრა, არავისთვის დამიშავებია რა, წყალში გადავარდნილი კაცის დახსნას ვცდილობო. თვალი აარიდა ცას, ხან ერთ სანაპიროს გახედავდა, ხან მეორეს; თითქოს თვითონ უძრავ ტივზე იწვა, მტკვრის ორთავე ნაპირას განფენილი ქალაქი კი აღმა მიცურავდა.

მაშინღა აიხედა ზევით, როცა ბარათაშვილის ხიდის ქვეშ აღმოჩნდა. აჰყურებდა ხიდის მძლავრ მონოლითს და სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. წუთის შემდეგ კი ნაფიქრალი უკვე ავიწყდებოდა. ხიდის ჩრდილიდან გამოსულმა ვარსკვლავებს კვლავ ჰკიდა თვალი და ისევ აარიდა. ხიდის ქვედა გადასასვლელზე შეყვარებული გოგო და ბიჭი იჯდა, თავიანთთვის ჭუკჭუკებდნენ. არც მოუხედავთ მდინარისაკენ, არ შეუმჩნევიათ ჯუმა ბედიას გმირობა.

შეშურდა მათი, რადგან ჭეშმარიტ სიყვარულზე ოცნებობდა.

შავი ბურთი კი მიტივტივებდა და თითქოს არაფრად აგდებდა ჯუმას მცდელობას.

შესცივდა, ააძაგძაგა ყინულივით ცივმა წყალმა. გავთბებიო და ღონის დაუზოგავად მოუსვა მკლავები.

წინ მეტეხი წამოიმართა, როდესაც შავ ბურთს წამოეწია. ორიოდე მეტრი აკლდა, მაგრამ ძალა შემოელია და არ შეეძლო ამ ორი მეტრის გაცურვა.

შავი ბურთი ორთქლის მანქანასავით ქშინავდა, ეტყობა, უჭირდა... ჯუმასაც უჭირდა უკვე. დაუმძიმდა ხელ-ფეხი, ნებისყოფის დაძაბვითღა ახერხებდა წყლის ზედაპირზე თავის შეკავებას. ამ წუთიდან საკუთარი ტყავის გადარჩენაზე უნდა ეფიქრა. ორივე ნაპირი ეშორა და ხომალდივით მოახლოებული გორგასლის ხიდის იმედიღა შერჩენოდა; ხიდის ბურჯს მივეყრდნობი და მშველელს მოვუხმობო, — ფიქრობდა.

მქშინავი ბურთი სულ ახლოს იყო, „ჰეიო!“ – შეუძახა.

მოულოდნელად ბურთზე თეთრმა კბილებმა გაიელვა და ორი თვალი აკიაფდა.

— ვა, ძმაკაც, შენც ქეიფში ხარ?!

ჯუმა ბედიას ენა ჩაუვარდა, ხელ-ფეხი წაერთვა; შავმა სიღრმემ ჩაავლო მარწუხები და ჩაითრია, ცივი წყალი აყლაპა. „გათავდა“, — გაიფიქრა და იგრძნო, თმაში ჩაავლეს ხელი...

როცა გამოფხიზლდა, უკვე მიწაზე იწვა, გაზონის მწვანე მოლზე. ჭინკასავით დაჭმუჭნილი კაცი მუცელზე აჯდა, მკერდს უზელდა, თან დროგამოშვებით ლოყებზე ტკაცატკუცით სილას უზაპუნებდა. ჯუმას არ სტკენია, არც შეურაცხყოფილად უგრძვნია თავი, მაგრამ გაოცებამ წამით დაამუნჯა.

— ამიშვი! – ბოღმით უთხრა მუცელზე მოკალათებულს.

— ა, გადავრჩით? ყოჩაღადა ვართ? წამოდი, სირჩა არაყი გადავკრათ, მთლად კარგად ვიქნებით! – კაცი წამოდგა და ჭაბუკსაც ადგომაში შეეშველა.

— მომეშვი! – პასუხად შეჰღრინა დაღლილმა ჯუმამ.

— ვა, მომეშვი რომელია? გადაგარჩინე, არაყი ვიკისრე, შენ რა, წიპუკას ვერა ცნობ?.. აგრე სად გაგიშვა? დავლიოთ, ვიქეიფოთ!

— მომეშვი! – შეჰყვირა ჯუმამ, ხელი აუკრა კაცის გამოწვდილ ხელს და გაიქცა.

— ვა, გიჟია, ტო! – მიაყოლა გაკვირვებულმა წიპუკამ.

ჯუმა ბედია მირბოდა, არ იცოდა კი საით. მერე გაახსენდა, ქალაქის ცენტრში რომ მაისურისა და ტრუსის ამარა იყო. შერცხვა. ტანსაცმლის მოსაძებნად წასვლა სისულელედ მიიჩნია, ეშორა... შინ დაბრუნება და გამოძინება არჩია, იქნებ საერთოდ დაევიწყებინა ეს შავი დღე...

თავი III. წიპუკას ლხინი

კაჭუჭია ბედიამაც დაინახა კაცი, რომელიც მაისურისა და ტრუსის ამარა ხიდზე გარბოდა. გაოცებულმა შეუძახა, მაგრამ კაცს არ გაუგონია. კაჭუჭიამ თვალი გააყოლა, სანამ კაცი მოსახვევს მიეფარებოდა.

— რა იყო, წიპუკ, რითი დააშინე ის კაცი?

— მაგისი დედა... რა ვიცი, იხრჩობოდა და გადავარჩინე, პასუხად კი ტლინკები მაყარა!

— კაცს თავის დახრჩობა ეწადა, შენ რას ერჩოდი? წავა ახლა ცოტა აღმა და ისევ გადახტება!

— ორჯერ ვინ ოხერი იხრჩობს თავს? – ჩაიხვიხვინა წიპუკამ, – ვინც ერთხელ გაჰყოფს ყულფში თავს, მეორეჯერ ჰალსტუხსაც მოერიდება... რახან ეგრეა, მე და შენ იმის გადარჩენისა დავლიოთ!

— შინ უნდა წავიდე, გვიანაა! – სხდომის შემდეგ ბიჭებთან ერთად გულის მოსაოხებლად ჩაისეირნა სანაპიროზე, ახლა კი დაღლილი იყო და ძილი ქვეყანას ერჩია.

— შენ თუ წიპუკა გაგიგონია, ისიც გეცოდინება, ასე იოლად რომ ვერ შეგელევი! – მკლავზე ხელი სტაცა წიპუკამ. ხმელი კაცი იყო, ქონის ნატამალი არ აჩნდა, კუნთები კი რკინისა აღმოაჩნდა და კაჭუჭიამ არ ისურვა ძიძგილი, – ამ შუაღამეს მარტო კაცი ცოდოა. აი, წახვალ, მოსახვევთან ტურა შემოგეყრება, „ჰამ“ და აღარა ხარ! ვისი ბრალი იქნება? ჩემი ბრალი...

კაჭუჭიას გაეცინა. წიპუკა ერთხელ ჰყავდა ნანახი და კარგად დაამახსოვრდა. მისი პირისახე ნაოჭებს ერთიანად დაეღარა, დაწითლებული ცხვირი ტენისის ბურთივით დამრგვალებოდა. თვალებს მხიარულად აცეცებდა. სველი თმა მისწებებოდა და უცბად დაბერებულ ბავშვსა ჰგავდა.

— შენზე ამბობენ, ექვსი ბოთლის შემდეგ ცურვის იშტაზე მოდისო!

— ამბობენ და მართალსაც ამბობენ! – დაიჯღანა წიპუკა, – ექვსის შემდეგ მტკვარში ვხტები, ორას-სამას მეტრს გავცურავ. ეს თუ გამომაფხიზლებს. მეორე წრეზე ოთხი მყოფნის... ისევ მტკვა-

რი... მერე ორიც მათრობს... აბა, რაა ეს ცხოვრება, თუ არ დავლიეთ?.. უნდა დავლიოთ!.. უნდა დავლიოთ!.. – არცთუ ურიგო ტენორით წაუმღერა ბოლო სიტყვები, – ვინმე ლოთი-შფოთი არ გეგონო! წესიერი მშრომელი ვარ. უსაქმოდ არ შემიძლია. ერთი თვე თავაუღებლად ვიმუშავებ, ფული ჩეჩქვად გამომიჩნდება. აბა, მითხარი, სად წავიღო? ბანკში? სალაროში? არა! ძმა-ბიჭებთან უნდა დავლიო!.. – კვლავ სიმღერა მიაყოლა და კაჭუჭია ბანით აჰყვა.

— მაინც რას აკეთებ, წიპუკ, რას საქმიანობ?

— ვა, რას ვაკეთებ რას მიქვიან, რასა და ფულს!

— მერე ეს ოხერი, მე რატომ ვერ ვაკეთებ?

— მხრებზე თავი უნდა გებას, გენაცვალე, და გაკეთდები. სხვა თუ არაფერი შეგიძლია, სახლები აშენე.

— ჩემი ახალგაზრდობა აგურისა და ბეტონის თრევას უნდა შევალიო?

— თუ მამული გაქვს და ყმებიც გყავს, წამოწექი მაშინ მხართეძოზე და აბოლე ყალიონი... ზოგი ოფლითა და ჯაფით აკეთებს ფულს, ზოგიც სხვის გაკეთებულს მიირთმევს, ჭკუისდა მიხედვით.

— შენ რომელს ეკუთვნი?

— ორივეს! – მოჭრა წიპუკამ და ცარიელ მოედანს, ჩაბნელებულ ფანჯრებს კვლავ მშვენიერი ტენორით შეჰრაკრაკა: — ხან ხმელ პურსა ვჭამ, ხან მწვადსა...

კაჭუჭიაც უმალვე აჰყვა და სახელდახელოდ შეთხზულმა სიმღერამ ორივე გაამხიარულა. სიბნელეში ვიღაცა აბუზღუნდა, ფანჯრის დარაბა მიარახუნა.

კარგა ხანს იბორიალეს ვიწრო და ბნელ ქუჩებში. ქვაფენილი აყრილი იყო, შუა ქუჩაში ბინძური წყალი მოწანწკარებდა და სუნიც შესაფერისი იდგა. კაჭუჭიას ცხვირი ხელით ეჭირა, დუდღუნით ილანძღებოდა, წიპუკას კი ყველაფერი ფეხებზე ეკიდა.

— ესეც ასე, ხომ მოვედით?! – გალავანში გამოჭრილი კარი შეაღო წიპუკამ და ვიწრო ეზოში შევიდნენ. ერთადერთი ნათურა საცოდავად ბჟუტავდა, ნახევრად ბინდი იდგა. ზედმეტი ხარახურა ეზოში გამოეყარათ და კაჭუჭია ხან რას წამოედო, ხან რას. წიპუკამაც წამოჰკრა ცარიელ ტაშტს ფეხი, კინაღამ კისერი მოიტეხა, ხმამაღლა შეუკურთხა პატრონის სულს და მოურიდებლად შეჰღრიალა:

— კიკა, შე ღვთის გლახავ, გამოდი გარეთ!

ეზო გასუსულიყო, არავინ გამოპასუხებია.

— კიკა, არ ამომიყვანო ახლა ზევით!

კაჭუჭიას ყურთან ფანჯარა ჭრიალით გაიღო, ვიღაცა სიბნელიდან შეეხვეწა:

— მოგვასვენე აწი, წიპუკ, არ არის კიკა შინ.

— წაგაძრობთ კისერს შენცა და შენს გაბერილ ქმარსაც, მაშინ მოისვენებთ!.. კიკა, გამოდი, ძმაკაცი მოვიყვანე!... გამოდი, ერთიც ჩვენებურად შევუბეროთ!

— ალაჰ, როდის დამთავრდება ყოველივე ეს? – ჩაიბუზღუნეს სიბნელეში და ფანჯარაში უზარმაზარი გოგრა გამოჩნდა.

— მოვდივარ, წიპუკ, შენი ჭირიმე, მოვდივარ!

— აბა, ჩქარა, ბევრი არ გვალოდინო!

— ახლავე, წიპუკ, ფლოსტები მოვძებნო!

ამ სიტყვის შემდეგ კიბეზე იმ გოგრის პატრონი გამოჩნდა. დაბალი კაცი იყო, ოღონდ ღიპი და თავი ჰქონდა შეუფერებლად დიდი.

— მეგონა, ერთი-ორი საათი იცურავებდი, — პირფერულად ჩაიქირქილა, კაჭუჭიას ბანჯგვლიანი თათი გაუწოდა. ხელი გაქონილი მოეჩვენა და კაჭუჭიამ შარვალზე ჩუმად შეიწმინდა.

აგურის კიბეს ჩაჰყვნენ დაბლა. ათიოდე საფეხურის შემდეგ სარდაფის კარზე დააბრახუნეს.

სარდაფში სინათლე აინთო.

— გააღეთ, თქვენი!.. გეგონათ, წიპუკა მტკვარში ჩაიხრჩობოდა? – წიხლი ჰკრა წიპუკამ.

— აი, ნეტავი ის დღე გამითენდებოდეს და... – მიაწყევლა ქალის ხმამ შიგნიდან.

სტუმრები შემოუშვა, ოთახში შეუძღვა, და მთელი ამ ხნის მანძილზე წუთითაც არ მიუტოვებია ლანძღვა-გინება, მაგრამ წიპუკას ყურიც არ უთხოვია.

იატაკზე გაფენილ დაგლეჯილ ნოხზე ახლახან მიტოვებული სუფრა იყო გაშლილი. საჭმლის ნარჩენები, ჭუჭყიანი თეფშები, ნახევრადცარიელი ბოთლები, დაღვრილი ღვინო, ერთმანეთში იყო არეული და შეზელილი.

— აბა, დიასახლისო, მოიტა რაც რამ კარგი და გემრიელი გაქვს! ჩემი ძმაკაცი მეწვია, ჯიგარი და პურმარილიანი კაცი!

— თქვენი მუცლის ამოყორვამ, შენ ოხერ ძმაკაცებს რა დაგილევს! — ბუზღუნებდა ქალი.

— კიკა, შე ნეხვის ჭიავ, იქით დაჯექი! კახა, ძმაო საყვარელო, აქეთ მობრძანდი! ნუ გიკვირს, იატაკზე დამსვა წიპუკამო. სკამი ხუთი მანეთი ღირს, ნოხი ხუთასი!.. – წუთით არ ისვენებდა წიპუკა, ხან ერთს ექაჩებოდა, ხან მეორეს, – დიასახლისო, ეს აქედან წაიღე, ის აქეთ მოიტა! – ფეხი ჰკრა ცარიელ ბოთლს, კედელს მიახეთქა.

კუთხეში ბავშვმა ატეხა ფშლუკუნი. ოთახში სუსტი სინათლე ენთო და კაჭუჭიამ ძლივს გაარჩია, დაგლეჯილ საბანქვეშ ბავშვებს ეძინათ. ხუთი თუ ექვსი თავი ერთად მიწყობილიყო დაბალ მუთაქაზე.

ქალი კი გაუთავებელი დუდღუნით მიმოდიოდა. კაჭუჭია დააკვირდა, არც ისე ბებერი აღმოჩნდა, როგორც თავდაპირველად მოეჩვენა, მაგრამ გაბოლილი ქოთნის ძირს კი მიუგავდა ცხვირ-პირი... სხაპასხუპით გადმოყრილ ბრძანებებს ყურს თითქოს არც უგდებდა; საქმეს ზოზინით აკეთებდა, აუჩქარებლად. საჭმელს საჭმელი წაუმატა, ჭუჭყიანი თეფშები მოაქუჩა და იქვე სუფრაზე დატოვა, გარეცხილები თავის გაზინთულ წინსაფარს შეაწმინდა და სტუმრებს წინ დაუწყო... ცარიელი ბოთლები კუთხეში მიაწყო, ღვინის ნარჩენები გადაასხ-გადმოასხა, ჭიქებში ჩარჩენილებიც შიგ ჩაუმატა და სუფრაზე დადგა.

წიპუკამ ჭიქები შეავსო, თანაც ლაქლაქი არ მიუტოვებია. ოთხი ჭიქის შემდეგ კაჭუჭიას მადა გაეხსნა...

* * *

კაჭუჭიას თავში ყველაფერი აერია. ოთახის კედლები სადღაც გაქრა. იატაკი ქანაობდა, თითქოს საათის ქანქარა ყოფილიყოს. კედელთან მჯდარი დედაკაცი შორეულ კუნჭულს მიეტყეპა და თითისტოლა გახდა. წიპუკაც დაპატარავდა. კიკა კი პაწია ტიკინას დაემსგავსა.

კაჭუჭიამ იგრძნო ძალთა მოზღვავება. მოუნდა სიმღერა, ბუქნაობა, ჩხუბი და დავიდარაბა. ოღონდ არ იცოდა ვის სცემოდა, ყველა თვალში ეპატარავებოდა.

— კიდევ დავლიოთ? – ჟინიანად ჩაეკითხა წიპუკას.

— მაშ!

— მაშ დაასხი, ერთიც უნდა დავლიოთ, ერთიც უნდა დავლიოთ!.. – ვითომ ამღერდა კაჭუჭია, კინაღამ ჭერი ჩამოაქცია.

კუთხეში ბავშვი ატირდა. დედაკაცი აჩუმებდა, თან იწყევლებოდა.

— დავლიო-ოთ!.. – აწრიპინდა კიკა. კაჭუჭიას მისი ხმა არ მოეწონა და თვალი დაუბრიალა.

— შენ არა ხარ კაი კაცი!

— არა ვარ და ნუ ვარ, სხვა ვინ არი რო...

— ამას ხომ იცი, — წიპუკამ თითი ატაკა კიკას, — აქვე, ეზოში ქვევრი აქვს, შიგ რომ მტკვარი მიუშვა, ერთი საათი ვერ ამოავსებს!

— არა ხარ კაი კაცი! ქვევრზე ბოქლომი ჩამოჰკიდე, ხომ?!

— მაშ, გენაცვალოს შენი კიკა!

— აბა, თქვენ თუ დედლები არა ხართ, ქვევრი ამოვხვრიპოთ! – მკერდზე ხელი დაიბრაგუნა კაჭუჭიამ, თუმცა ერთი ჭიქაც და ფეხზე ვერ წამოდგებოდა.

— ამოვხვრიპოთ, ამოვხვრიპოთ!.. – უმალ დაეთანხმა წიპუკა.

— ამოვხვრიპოთ... – კიკას უცებ მოერია ღვინო, თავი მკერდზე უვარდებოდა.

ფეხზე ძლივს იდგნენ, ეს ოხერი კედლები ხან ერთს ეხლებოდა, ხან მეორეს.

ბავშვებს გამოეღვიძათ, თავები წამოყვეს და გაბმული ზმუილით ტიროდნენ.

— აი, გასკდით, გასკდით, რომა... ჩემი შვილების სინათლითა... – ჩაიბუზღუნა დედაკაცმა.

ეზოში ნათურა ჩამქრალიყო, ბნელოდა. ფეხზე ძლივს ჩერდებოდნენ, ერთმანეთს ეძიძგილავებოდნენ და ლოშნიდნენ, მარადიულ ძმობას ეფიცებოდნენ. კიკამ ტაშტს წამოჰკრა ფეხი. ტაშტი გახრიგინდა. კიკამ თავის ცოლს შეუკურთხა, მისი დაგდებული იქნებაო. კაჭუჭია ხან ერთს კოცნიდა, ხან მეორეს და კიკას ლაშები

რომ მოხვდებოდა, იფურთხებოდა.

ბოლოს კიკამ კარი გამოაღო, შიგ შებანცალდა. წიპუკა და კაჭუჭია მიჰყვნენ. ობის სუნი იდგა, სახეზე აბლაბუდა ედებოდა კაჭუჭიას; მთვრალი იყო უზომოდ და ქვევრის ამოხვრეპის სურვილი გაუქრა.

მასპინძელი კედელთან დიდხანს ფათურობდა, ჩამრთველს ეძებდა, ვერ პოულობდა და უაზროდ ბურტყუნებდა.

— კიკა კი არა, ნეხვის ჭია ხარ ნამდვილად! — ილანძღებოდა წიპუკა. ასანთს ეძებდა ჯიბეში.

კაჭუჭიას არაფრის თავი არ ჰქონდა. ერთ ადგილას ირწეოდა, სიბნელეში ჰაერს ეპოტინებოდა.

როგორც იქნა აინთო საცოდავად მბჟუტავი, პაწია ნათურა, სიბნელე ვერ გაფანტა, მაგრამ რაღაცის გარჩევა მაინც შეიძლებოდა.

— ხომ ვთქვი, კრიჟანგია-მეთქი, ორი აბაზი ვერ გაუმეტებია რიგიანი ნათურისათვის, – თქვა წიპუკამ.

— უჰმ! – წაიღმუვლა კიკამ, მუხლებზე დაეშვა და ფრჩხილებით დაუწყო მიწას თხრა.

— ბარი მოიტა, შე მართლა ტვინგათხელებულო, ქვევრი გაქვს და ბარი არა გაქვს?

კიკამ არაფერი უპასუხა. ღმუოდა, ძაღლი უკანა თათებით თავისი დანაშაულის დაფარვას რომ ცდილობს, ისე თხრიდა ფხვიერ მიწას. მალე გამოჩნდა სარქველი. წიპუკამაც ჩაიჩოქა, ეხმარებოდა. კაჭუჭია კვლავ ერთ ადგილას იდგა და ხელებს უაზროდ იქნევდა. მერე ღონე გამოელია, თვითონაც ჩაიჩოქა, ამათ შორის თავი ჩარგო, გეხმარებითო და ხელს უშლიდა... რიგიანად არც გაუსუფთავებიათ, უზარმაზარ, ბრტყელ სარქველს ჩაეჭიდნენ, ამოაბრუნეს და კინაღამ ქვევრში ჩაცვივდნენ.

შიგ პრკეგადაკრული, წითელი, ბლანტი სითხე იდგა.

— უჰმ, სისხლივითაა, – წაიდუდღუნა კიკამ. მიწით მოთხვრილი, ბანჯგვლიანი ხელი შიგ ჩაუშვა და როცა ამოიღო, ყასბის ხელს დაემსგავსა.

— სულ ამოვხვრიპოთ! – იყვირა წიპუკამ, თავი ქვევრში ჩარგო. კიკამ არ დაუთმო, თვითონაც თავი ჩაჰყო. შუბლით მიასკდნენ ერთმანეთს, წაჩხუბებული ვაცებივით წაძიძგილავდნენ,

დაიძაგრნენ, კისერზე ძარღვები დაებერათ... უცბად დაიხია წიპუკამ, მკლავი კისერზე მოჰხვია მოწინააღმდეგეს და თავი ღვინოში ჩააყოფინა. კიკამ ძლივს მოიშორა მისი ღონიერი ხელები.- პირზე და მელოტზე წითელი სითხე წურწურით ჩამოსდიოდა.

— უჰმ! – დაიბუბუნა ერთხელ კიდევ და მოცელილივით დაეცა.

— მოკვდა! – დაასკვნა კაჭუჭიამ.

— დიდი ამბავი!

კიკამ ხვრინვა ამოუშვა.

— შინ მივიყვანოთ!.. კიკა, გაინძერი, შე პატრონმკვდარო!.. უფ, რა მძიმეა!

კაჭუჭიას კიკას თრევის თავი სად ჰქონდა. კალთაზე ებღაუჭებოდა და წამდაუწუმ ზედ ეცემოდა. წიპუკასაც მოერია ღვინო, მაგრამ ძალ-ღონე ჯერ კიდევ ერჩოდა.

შემდგომში კაჭუჭია იხსენებდა და ვერაფრით გაიხსენა, თუ როგორ მიათრიეს კიკა შინ, როგორ ილანძღებოდა ვიღაც დამჭკნარი ქალი, როგორ ღნაოდა ბავშვების მთელი ლაშქარი, თუმცა ვერ გაეგო ვისი ცოლი იყო ეს ქალი და ვისი იყვნენ პატარები.

მერე ის და წიპუკა გამოვიდნენ ქუჩაში, ხელიხელგადახვეულნი ღრიალ-ღრიალით დაჰყვნენ ბარათაშვილის ქუჩას. ქალაქი დაცარიელებულიყო, დაგვიანებული მანქანის თუხთუხი გაისმოდა ზოგჯერ. ბარათაშვილის ხიდზე ბჟუტავდა ნეონის ძალაგამოლეული ნათურები.

— მოდი, გადავხტეთ! – თქვა წიპუკამ.

— გადავხტეთ! – კვერი დაუკრა კაჭუჭიამ.

— მეტეხამდე გავცურავთ, მერე იმ ქვევრს მივუჯდეთ და წირვა გამოვუყვანოთ!

— წირვა გამოვუყვანოთ!

სანაპიროს ნათურები სხივებს აფენდნენ მტკვარში. ვერცხლისფერ ტალღებს აექერცლა მისი ზედაპირი.

წიპუკა გადაეყუდა ხიდის მოაჯირს, „ეჰე-ე!“ – შესძახა და გადავარდა.

კაჭუჭიას სიმთვრალისაგან ვერ დაეღწია თავი.

ქვევიდან მოესმა სუსტი ძახილი:

— წავედიით!

კაჭუჭიამ გადაიხედა, ციმციმა ტალღებზე პაწია, შავი ბურთი მიტივტივებდა.

თვითონაც გადაიწია, მაგრამ თითქოს თავში ჩაარტყესო, მიხვდა, ზედმეტი სჭირდა, შეეშინდა და შინისაკენ წაბანცალდა...

თავი IV. ჯადოსნური სარკე

კვლავ ტროლეიბუსის ბუგელი ჩამოვარდა, მავთულებში გაიხლართა, გაკვესა.

ჯუმა ბედიამ თვალი დააჭყიტა. აღარ ახსოვდა, ეძინა თუ ფხიზლობდა... გუშინდელივით ყოველი ჩქამი ისე შემოდიოდა ოთახში, თითქოს ქუჩის მხრიდან კედელი არც ჰქონოდა. მანქანების გუგუნი, გამვლელთა გადალაპარაკება, ფეხის ხმა, ნიავის შრიალი ფოთლებში (თუმცა იქნებ მსუბუქი წვიმის შრიალი იყო), კაჭუჭიას ხვრინვა დროგამოშვებით... ყოველი ბგერა აღიზიანებდა ჯუმას, აზრს უფანტავდა. არადა, უნდა მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება.

კედლისაკენ შებრუნდა, თავზე საბანი წამოიხურა, ყურები დაიცო; დასცხა, კინაღამ გაიგუდა. საკუთარ თავს ემუსაიფებოდა, ყოველნაირად წონიდა. გუშინდელ მარცხიან დღეს იგონებდა. მთელი ქვეყანა მის დაჩაგვრას ცდილობდა, ყველა მისი მტერი იყო. ბოროტი აღშფოთება დაეუფლა. ვერაფრით განთავისუფლდა მისგან. იწვა რბილ ლოგინში, უსმენდა ქუჩის ხმაურს და ყველაზე მძიმე სასჯელს იგონებდა მტერთათვის, მაგრამ ფუჭი იყო ყოველი ფიქრი, უღონობა კლავდა და აწამებდა.

საბანი თავიდან მოიცილა. ვიღაც ყურისძირში უსიამოვნოდ ახრიალდა, შავი ფიქრებისაგან გამოიყვანა. კაჭუჭიას პირი დაეღო და არცთუ მუსიკალურ ბგერებს გამოსცემდა.

— კახა, მხარი იცვალე, ბიჭო! – ხმადაბლა დაუძახა, მზეჭაბუკის გამოღვიძება არ უნდოდა.

კაჭუჭია წამით გაჩუმდა, პირის ცმაცუნი მორთო, მერე ისევ ხვრინვა ამოუშვა.

„ალბათ წუხელიც გამოტყვრა, – უკმაყოფილოდ გაიფიქრა, – ვერა და ვერ გადავაჩვიე!“

მზეჭაბუკი გასუსული იყო. ესეც დილამდე არ მოსულა. ჭკუა

უნდა ასწავლოს ძმებს, თორემ გვიანი იქნება, წავლენ ხელიდან.

ფიქრით გუშინდელ დღეს დაუბრუნდა. გულმა შემოჰკვნესა... ყველაფერი გათავდა! რა უნდა აკეთოს? რითი იცხოვროს? რით მოიპოვოს სულის სიმშვიდე? ნუთუ ასე იოლად უნდა დათმოს სიყრმისეული ოცნებანი. გზა პირველობისაკენ დაეკეტა, უსახელო, უფერული ცხოვრება კი არც ღირდა.

ქუჩის ხმაური ერთ მთლიან გუგუნად გადაიქცა. სახლი ჰგავდა ქარხანას, რომლის სარდაფში მძლავრი დგუშები მუშაობენ დღენიადაგ... წამით წარმოიდგინა დიდება... აი, შუა ქუჩაში შავი, გადახსნილი ლიმუზინი მიდის. ზედ ჯუმა ბედია დგას ყინჩად. ბრბო ხელს უქნევს და უწყვეტი „ვაშა“ ტალღასავით ხან მიიქცევა, ხან მოიქცევა... წამიერი ტკბობა დაეუფლა მთელ მის არსებას, ლოგინში წამოწოლილმა ხელი გაწვართა, ვითომ ესალმე ბოდა მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს. შიშით მოიხედა, ძმებს ხომ არ გამოეღვიძათო. მოეჩვენა, რომ ფარდა შეირხა და მის უკან ვიღაცამ ჩაიქირქილა.

იმ ფარდის უკან ხომ სარკე იყო, მსტოვარი სარკე, რომელიც მისი სინდისის დარაჯად დაეყენებინა უხილავ ძალას.

შიში იგრძნო, ისევე უმიზეზო, როგორც წინა დილას. გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო, საგულეში არ ეტეოდა.

გუჯმახანის მოწვევას იხსენებდა და წონიდა, რა იმალებოდა ამის უკან, რა საფრთხეს შეიცავდა ეს მოწვევა ან რა სიკეთე შეიძლებოდა მიეღო მისგან... დაბოლოს, ვინ იყო ეს გუჯმახანი?

ფიქრში წასთვლიმა. ესიზმრა, რომ ფარდა გადაიწია და ვიღაცამ ოთახში შემოიჭყიტა; ზე წამოიჭრა, მთელი სხეულით ცახცახებდა.

ფარდა ადგილზე იყო. ეტყობა, არავის უხლია ხელი. კაჭუჭიას მხარი ეცვალა და ცხვირით უსტვენდა. მზეჭაბუკი კედლისაკენ მიბრუნებულიყო, მშვიდად სუნთქავდა.

ჯუმამ ფლოსტებში ფეხი წაჰყო, ფარდასთან მივიდა, დააკაკუნა. სიცარიელის ხმა გამოიღო...

ჩუმად იცვამდა, ძმების გაღვიძება არ უნდოდა. თმა დაივარცხნა, პირის დაბანა კი არ გახსენებია. ცდილობდა ყველაფერი აეწონ-დაეწონა, მაგრამ აზრი ეფანტებოდა.

ისეთი გრძნობა დაეუფლა, წყალში გადასახტომად გამზა-

დებულს რომ დაეუფლება, როცა საკმარისია შეყოყმანდე და უკვე აღარ გადახტები.

შავი ფარდა გადასწია, სარკეში ჩაიხედა და ხმადაბლა თქვა:

— გუჯმახან, კარი გამიღე!

ზანზალაკებმა დაიწკარუნეს სადღაც, ჭრიალით განიხვნა უჩინარი ალაყაფის კარი.

— შემოდი!

ყოყმანი არ შეიძლებოდა. გვიანი იყო კრძალვა და რიდი, ნაბიჯი წარსდგა.

— ჯუმა, რას შვრები, ჯუმა! – მზეჭაბუკის ხმა შემოესმა. საწოლზე წამომჯდარიყო და თვალებს იფშვნეტდა.

კაჭუჭიასაც გამოღვიძებოდა და პირი დაეღო, გამოლენჩებული იყურებოდა.

ჯუმა ბედიამ წარსდგა მეორე ნაბიჯიც და სარკეში შევიდა. უკან რომ მოიხედა, ოთახი ისე ჩანდა, როგორც შებრუნებულ დურბინდში; სადღაც შორს, სიღრმეში გადაადგილებულიყო; ყველაფერი პატარა და დეფორმირებული ეჩვენა.

ფარდა გაიხურა და სიბნელეში გზა განაგრძო.

მზეჭაბუკი და კაჭუჭია ერთხანს გაშტერებული ისხდნენ თავთავიანთ საწოლებზე. მერე წამოცვივდნენ. კაჭუჭიამ ფარდა ღონივრად მოსწია, კინაღამ ჩამოგლიჯა.

ჩვეულებრივი სარკე იყო.

— მოგვეჩვენა! – ხმა ძლივს ამოიღო დაფეთებულმა კაჭუჭიამ.

— ალბათ, მოგვეჩვენა! – ეჭვიანად აიჩეჩა მხრები მზეჭაბუკმა.

ნაწილი III.

ეგზაჭოძალი

თავი I. ხუთნი მეფენი

ისე ბნელოდა, ეგონა უზარმაზარ გვირაბში მიდიოდა. მერე ბილიკი აციმციმდა და იმას მიჰყვა.

მთელი ღამე იარა.

გამთენიისას ქვის კერპს წააწყდა. გულგრილად გადაჰყურებდა შიშველ გორაკებს. ზედ ეწერა: „აქა არს საუფლო ჯაგერნაუტისა“.

ჯუმა ბედიამ კერპს გვერდი აუქცია, თავქვე დაეშვა, საურმე გზაზე... ერთი საათის შემდეგ გზის გასაყარს მიაღწია.

სამი ერთნაირი გზა იწყებოდა ამ ადგილას, სამი მხარისაკენ მიემართებოდა, სამი ლოდი ეგდო.

პირველზე ეწერა: „ვინც აქეთკენ წავა, ადრე დაბრუნდება“.

მეორეზე ეწერა: „ვინც აქეთკენ წავა, ან დაბრუნდება, ან არა“.

მესამეზე ეწერა: „ვინც აქეთკენ წავა, ველარ დაბრუნდება“.

* * *

ჯუმა ბედია პირველ გზას დაადგა. ორიოდე კილომეტრი გაიარა და გზისპირას თეთრწვეროსანი ბერიკაცი იხილა. მუშტისოდენა თვალები ჰქონდა, ბუს ჰგავდა. ოქროს მაღალ ტახტზე იჯდა. ტანზე სიასამურის მოსასხამი მოესხა. თავზე ოქროს გვირგვინი ედგა. ხელში სამეფო სკიპტრა ეპყრა. თითებზე უამრავი ძვირფასთვლიანი ბეჭედი ეკეთა.

— სალამი მეფეო! – მიესალმა ჯუმა.

— შენი ბედი, რომ მეფე მიწოდე, თორემ ორივე თვალს დაგთხრიდი! – უთხრა ბერიკაცმა.

— ჩემი თვალები ვერც სილამაზით გამოირჩევიან, ვერც შორსმჭვრეტელობით. რად ინებებს ეგზომ მდიდარი მეფე ასეთ ღარიბულ ნადავლს?

— რაც მართალია, მართალია, მდიდარი ვარ, უძლიერესი მო-

ნარქთა შორის, სინათლის მეფე, შორსმჭვრეტელი, ყოვლისმხედველი. ჩემთვის დაფარული არც რა არის ამქვეყნად და იმქვეყნად... ერთი ჩემი სიტყვა და ჩინი დაუბნელდება ადამიანს, ერთი სიტყვა და ბრმას თვალი აეხილება.

— ნუთუ, სიკეთით მორჭმულო, მარტო განაგებ ასეთ საქმეს? სადღაა შენი სატახტო ქალაქი, სასახლე, ვეზირნი?

— ეგერ, ჩემი სამეფო!

ქვემოთ, ვრცელ ტაფობზე დიდი ქალაქი ჩანდა. ვიწრო ქუჩები ხალხით იყო სავსე, ჭიანჭველებივით ირეოდნენ, ერთმანეთზე მიიწევდნენ, სადღაც გარბოდნენ და გამორბოდნენ, იდგა ერთი გნიასი და ალიაქოთი.

— რას აკეთებენ? – იკითხა ჯუმამ.

— ვინ რას და ვინ რას! გაბოროტებულნი ერთმანეთს თვალებსა თხრიან, ამით ვაჭრობენ. ზოგს ლამაზი თვალები უნდა, ზოგს შორსმჭვრეტელი. ისეთებიც არიან, სიბრმავეს ირჩევენ. აი, შენ, მაგალითად, რას ეძებ? რას ესწრაფვი? იქნებ თვალები გატყუებენ? შემიძლია, გამოგიცვალო!

— არა, რად მინდა! – უკან დაიხია ჯუმამ, – ჩემი თვალებითაც კმაყოფილი ვარ, იმასაც მეუბნებიან, კეთილშობილი მზერა გაქვსო.

— კეთილშობილი? ჰი-ჰი, — ჩაიცინა ბერიკაცმა, — კეთილშობილი?.. შენს თვალებში კეთილშობილება იმდენად მცირეა, როგორც ოქრო ქვიშაში, შური კი იმდენია, როგორც ის ქვიშა...

— რა ვქნა, ბედმა ეს თვალები მარგუნა.

— ძალა შემწევს და გამომიყენე!

გვირგვინოსანი ბერიკაცი წამოიმართა, ორივე ხელი გამოუწოდა, თითებზე წამოცმულ ბეჭდებზე ანიშნა. ჯუმა დააკვირდა და ტანში ჟრჟოლამ დაუარა. ადამიანთა ცოცხალი თვალები იყო, აზრით ციმციმებდნენ. ერთმანეთისაგან მხოლოდ ფერით განსხვავდებოდნენ და გამოუცდელი კაცი მათში ბოროტსა და კეთილს ვერ გაარჩევდა.

— მარჯვენა ხელზე თვალნი კეთილნი მიკეთია, – ბრძანა მეფემ, – ეს მძიმე ტვირთია. მისი ზიდვა ყველა ადამიანს როდი ძალუძს. მეც კი მიმძიმს, მაგრამ მეფე ვარ და უნდა გავუძლო... დაფიქრდი, შემიძლია ერთი წყვილი გაგიცვალო! შენ გაღატაკდები, გაგიჩნდება უამრავი მტერი, დაგამცირებენ, შეურაცხგყოფენ, მეგობარიც კი ხელსა გკრავს, თუმცა ყველას პატიობ. სამაგიეროდ, შენში იქნება დიადი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი. ეს კი უდიდესი ბედნიერებაა... მოკვდები უჩუმრად, შენს დაკრძალვაზე ორი-სამი ახლობელი თუ მოვა. მერე საფლავიც წაიშლება და შენს ხსოვნას არავინ შეაწუხებს... იქ, სადაც დაგმარხავენ, ვარდი ამოვა, ვინც იხილავს, სიკეთე და სიყვარული ჩაეღვრება სულში... ბრძენთათვის ესაა ბედნიერება... დაფიქრდი!

— უნდა გამაბრიყვო? ეგ თვალები მიწაში ჩამიყვანენ! ალბათ კაპიკად ფასობენ შენს სამეფოში!

— უგუნური ყოფილხარ! – მძიმედ ამოიოხრა გვირგვინოსანმა, – უგუნურთა მეოხებით გაიაფდა ყოველივე ფასეული. ჩემი ქვეშევრდომნიც უგუნურნი არიან, მთელი სიცოცხლე ერთმანეთს თვალებს თხრიან, იმას კი, რასაც ეძებენ, მაინც ვერ იპოვნიან, რადგან სიცოცხლე წამიერია და სიკვდილი უფრო ადრე მოაკაკუნებს კარზე.

— მე სუსტი არსება ვარ, – თავი მოისაწყლა ჯუმამ, – მოწამეობრივი სიცოცხლისათვის არ გავჩენილვარ.

მეფე მოიღუშა, ეს ნათქვამი არ ეპიტნავა.

— მეფური სიტყვა მაინც უნდა აღსრულდეს! მაშ, აჰა, მეორე ხელი! მარცხენაზე თვალნი უკეთურნი მიკეთია, შეხედავ, არაფრით განსხვავდებიან სხვათაგან, მაგრამ მათში სიცივეა... დაფიქრდი, არჩევანი შენ გეკუთვნის!

შეყოყმანდა ჯუმა. გახედა მოფუსფუსე ქალაქს, იქიდან წივილ-კივილისა და გოდების ხმა მოდიოდა. თვალდათხრილი ადამიანები, რომელნიც ბოროტის ძიებაში სიბოროტის მსხვერპლნი შეიქმნენ, შესაზარი იყვნენ სასმენადაც და სანახავადაც...

და მაინც, დაიხარა და მარცხენა ხელზე აკოცა ჩინის მეფეს.

— იყოს ნება შენი! – ბრძანა მეფემ და ტაში შემოჰკრა.

საიდანღაც გამოცვივდნენ ნაზირ-ვეზირნი, სტაცეს ჯუმას ხელი, ქვეშ ამოიგდეს, თვალნი დასთხარეს და სხვანი ჩაუსხეს. ტკივილი წამიერი იყო, სწრაფად გაუყუჩდა. მოეჩვენა, რომ თვალის ფოსოებში ყინულის ორი ნატეხი ედო.

წამოდგა, თვალი მოიფშვნიტა. ქალაქში კვლავ გრძელდებოდა აურ-ზაური. ცივად გაეცინა, მოქალაქეთა უბედურება არ ადარდებდა. ტახტზე მშვიდად მჯდომ მეფესაც ამაყი სიცივით შეხედა და მოულოდნელად წაეპოტინა, ყოვლისმხედველი თვალების ამოთხრა და მისაკუთრება მოინდომა.

მეფემ განზე გაიწია, ხელი ზიზღით აუქნია და მისმა ერთგულმა ქვეშევრდომებმა ჯუმა ბედია პანღურის კვრით გააგდეს ჩინის სამეფოდან.

* * *

ერთ ადგილას ხშირი ბუჩქნარი იყო და იქ შეისვენა. ფაჩუნი მოესმა. ვიღაც მოიპარებოდა, ჯუმას დანახვა არ გაჰკვირვებია.

— სსუ! — თითი ტუჩზე მიიდო.

უცნაური კაცი ჩანდა. ეტყობა, ესეც მეფე იყო. თმებზე ხელისდადება ოქროს გვირგვინი მიებნია ქინძისთავით. მხრებზე შავი მოსასხამი მოესხა, ასტროლოგიური ნიშნებით აჭრელებული. შავი სათვალე ეკეთა, ამით კინოში ნანახ ჯაშუშს ჰგავდა. ყველაზე შესანიშნავი გახლდათ მისი ყურები – ჩვეულებრივი ვირის ყურები ესხა.

ჯუმა უხმაუროდ წამოდგა, ცდილობდა კაცისათვის ხელი არ შეეშალა, იმან კი უცებ გადაიხარხარა და იქვე პალმის ქვეშ დადგმულ სავარძელში მოკალათდა.

ჯუმამაც გაიცინა, მხარი აუბა.

კაცი მოიქუფრა.

— მოდი აქ!

ჯუმა ნელა მიუახლოვდა, უცნობმა ყურზე ხელი სტაცა და დაითრია.

— რას იცინი, რომ იცინი? ღილებივით ყურები რომ გაქვს, ვითომ შენც გაიგონე რამე?

ჯუმა ტკივილისაგან დაიმანჭა, ხელს დაჰყვა.

— შენისთანა ბრძენი მეფე უმიზეზოდ ხომ არ გაიცინებდა? – მიელაქუცა.

— შენი ბედი, ბრძენი და მეფე რომ მიწოდე! – ხელი უშვა უცნაურმა მეფემ, – უბრალო მეფე არ გეგონო, ყოვლის გამგონე და მომსმენი ვარ. დედამიწის მეორე მხარეს ჭიანჭველამ რომ გაიფაჩუნოს, ისიც მესმის. ვერ წარმოიდგენ, როგორ მიყვარს ჩემი თავი, განსაკუთრებით ყურები. ჩემდა საპატივცემლოდ დიდი ვირის ყურის ორდენი დავაარსე. ვინც შეთქმულებას გახსნის, იმას ვაჯილდოებ. მე უკვე მივიღე ხუთას სამოცდათხუთმეტი ორდენი. თუ შეთქმულებას გახსნი, შენც დაგაჯილდოვებ!

— ბრძენო მეფეო, მე ამ საქმეში უნიჭო ვარ.

— აჰ, უნიჭო ხარ? მაშინვე მივხვდი. ძალიან ჭკვიანი ვარ, არა? ხომ იქნება სამართლიანი, კიდევ ერთი ორდენით დავჯილდოვდე ამის გამო?

— დიახაც, მეფეო, ერთი კი არა, შენზე ორიც უპრიანია!

— არა, ორი ნამეტანია... თავმდაბალი კაცი ვარ. რას იტყვის სამეფო კარი, საზოგადოება, პარლამენტი?.. დღესვე დავწერ ბრძანებას ხუთას სამოცდამეთექვსმეტე ორდენით ჩემი დაჯილდოების შესახებ.

— მოგილოცავ, მეფეო, მაღალ ჯილდოს! მაპატიე, ასეთი უღირსი და შენი ფეხის მტვერი რომ გეკითხები, მაგრამ ცნობისმოყვარეობა მკლავს. რაზე იცინოდი წეღან, როცა ჩემი ყურების მოფერება ინებე?

— ისეთი არაფერი, – ხელი ჩაიქნია მეფემ, – დედამიწის მეორე მხარეს ერთი კაცი შემოსწყრა მეორეს, დღენიადაგ რომ ილრიჯები, ნეტავ რა გაცინებსო. იმან უპასუხა, ბუნებით სევდიანი დავიბადე, მაგრამ ცხოვრება მაცინებსო.

ჯუმას გაეცინა.

— სსუ... – გამოსცრა მეფემ, ყურები ლოკატორივით აამოძრავა, პალმას აეკრა და გაფაციცებით მიაყურადა. არსაიდან ჩქამი არ ისმოდა.

— ასეც ვიცოდი, – კვლავ სავარძელს დაუბრუნდა მეფე, – ასე თუ გაგრძელდა, გავკოტრდები. მე ეს ვიწინასწარმეტყველე. თუ სადმე სამართალია, ამისთვისაც მეკუთვნის ორდენი.

— რა მოხდა?

— ფასი დაეცა. არავინ ყიდულობს და...

— რისი ფასი?

— აჰ, შენ ხომ გადამთიელი ხარ. იქნებ შენ იყიდო? ერთი წყვილი მაინც. კაპიკი არა გაქვს? თუნდაც გახვრეტილი... სამეფო ხაზინაში გადაადნობენ და ახალს ჩამოასხამენ.

— რა უნდა ვიყიდო?

— ყურები!

— მე ხომ ჩემი მაქვს?

— შენი ყურები? ჰა-ჰა-ჰა... – გადაფიჩინდა მეფე, – ეგ რა ყურებია, ღილადაც არ ვარგა. რა უნდა გაიგონო მაგ ყურებით? ჩვენს ქვეყანაში საუკეთესო ყურები იყიდება. მძარცველები ახლა თვალ-მარგალიტს კი არ იპარავენ, ღამით ყურებს აგლეჯენ შეგვიანებულ მგზავრებს და შავ ბაზარზე ყიდიან.

— ყრუ არა ვარ და ჩემთვის ესეც კმარა, – თქვა ჯუმამ.

— სულელი ყოფილხარ! – გაჯავრდა მეფე, – მადლობა მითხარი, კარგ გუნებაზე ვარ, თორემ ამ უღირს ყურებსაც აგაღლეტდი!

— რად უნდა გაისარჯო ეგ ზომ პატარა კაცისათვის, რომელიც შენი ფეხის მტვრად არ ღირს?.. აგერ, ჯიბეში მქონია კაპიკიანი.

— ზრდილობიანი ყმაწვილი ყოფილხარ, – მეფემ კაპიკიანი გადამალა, პირველმა ვეზირმა არ მინახოს, თორემ ამცინცლავსო, – მე რომ მაქვს, ისეთ ყურებს, მართალია, ვერ გაჩუქებ. არ შეიძლება ყურებით თვით მეფეს ჰგავდე. ხალხი უტვინოა, შეიძლება შეცდეს და ჩემს მაგიერ შენ გიძახოს „ვაშა“... სამეფო წესრიგი დაირღვევა და იძულებული გავხდები თავი წაგაცალო.

— ნუ წუხდები, ბრძენთა ბრძენო! – თაფლად დაიღვარა ჯუმა, რომელსაც ტანში ჰზარავდა შიშისაგან, ამ ახირებულ მეფეს ღმერთი არ გაუწყრეს და ეგ სახედრის ყურები არ გამომასხასო.

— თვითონ ამოირჩიე! – თავს არ ანებებდა მეფე. წამოსასხამი გადაიწია. მის ქვეშ ნაცრისფერი კამზოლი აღმოაჩნდა და იმის ჯიბიდან ორი წყვილი დაჩამიჩებული ყური გამოაძვრინა: – ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდება! – პროფესიონალის სიამოვნებით განმარტა, – აი, მარჯვენაში რომ მიჭირავს, ეს წყვილი გერჩიოს. ამ ყურების პატრონმა ყოველთვის იცის, რას ფიქრობენ მასზე. კარგად ესმის გარშემო მყოფთა გულისწუხილი. სადაც კი შეემთხვევა მოკეთეს უბედურება, ამ პაწია ნიჟარებში ჩაეწვეთება და გულში გამოიწვევს თანაგრძნობას... ეს ყურები კაცს გააღარიბებს, ეგებ შიმშილითაც მოკლას, მაგრამ ხომ ნეტარებაა ყველას უყვარდე და გაფასებდეს... სიკეთის თესვა ვისაც სწადია, მისთვის ზედგამოჭრილია...

— სად შემიძლია ამდენი, – აკვნესდი ჯუმა, – ისედაც გამაღარიბა სიკეთის თესვამ, რამდენჯერ გავუმასპინძლდი ამხანაგებს, რამდენს ვასესხე ფული, ერთხელ გამოცდაც კი ჩავაბარე მეგობრის მაგიერ...

— ალბათ ,მეორე წყვილი უფრო მოგეწონება. იგი ყრუა სიმართლის მიმართ, სხვისი ტკივილი მღერად ესმის, სიმღერა კი – გლოვად და გოდებად.

ჯუმამ თვითონვე აიხია ყურები და ფერხთით დაუყარა მეფეს, სამაგიეროდ კი ახლები აისხა.

— ახლა ნამდვილად ბედნიერი კაცის სმენა გაქვს, – დამცინავად თქვა მეფემ და ქინძისთავით მიმაგრებული გვირგვინი შეისწორა.

ჯუმას მისი სიტყვები არ გაუგონია.

* * *

ბუჩქნარს იქით ტყე იწყებოდა, იმის გაღმა კი კვლავ ვრცელი მინდვრები. ტყის პირას, ჩრდილში ათიოდე კაცი დაინახა. რაღაცაზე გაცხარებულნი დაობდნენ. ჯუმასთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. ქაქანებდნენ, ერთმანეთს სიტყვას პირიდან სტაცებდნენ. ზოგიერთი მოკამათე ხანდახან ძაღლივით გადმოაგდებდა ენას, მოწინააღმდეგეს უჩვენებდა, თან მტკაველით ზომავდა.

ჯუმამ ვერაფერი გაიგო, დამფრთხალი და პირდაღებული შეჰყურებდა შეკრებილთ, ბავშვები არ არიან და ერთმანეთს რისთვის აჯავრებენო.

ერთმა კაცმა მოიხედა. უცხო ჭაბუკი შენიშნა, შეკრებილთ სიტყვები ტყვიასავით მიაყარა. ყველანი შემობრუნდნენ და ჯუმას მოაშტერდნენ. ჯუმამ უკან დაიხია, მაგრამ პირველი კაცი ეცა, ჭუჭყიანი ხელი პირში ჩაუყო და ენაზე სტაცა უტიფრად. კინაღამ გული აერია ჯუმას, უცნობს მისი ენა მაგრად ეჭირა და ცნობისმოყვარედ ათვალიერებდა.

— ფიე, ფეხსაცმლის ლანჩისათვის თუ გამოდგება! – თქვა

სრულიად გასაგებ ადამიანურ ენაზე, ოღონდ ძალიან სწრაფად და ხელი უშვა.

ჯუმას ისევ შეაქციეს ზურგი და განაგრძეს რატრატი.

— რა ხდება? — იკითხა დამშვიდებულმა ჯუმამ.

— მეფეს ვირჩევთ!

— მერედა როგორი უნდა იყოს თქვენი მეფე?

— ჩვენს მეფეს უნდა ჰქონდეს ყველაზე გრძელი და მსხვილი ენა, ლამაზიც, ხაოიანიც, მოკლედ, ჩვენი მოწონებული.

— მაშინ აი, ის უნდა აირჩიოთ! – თქვა ჯუმამ და განმარტოებით მდგარზე მიუთითა, რომელიც საერთო რატრატში არ მონაწილეობდა.

ყველანი გაჩუმდნენ, ხან ის კაცი ათვალიერეს, ხან ეს უცხო.

— რატომ? – ჰკითხა სხვებზე უტიფარმა, – ის ხომ მუნჯივითა დგას, ჩვენსავით ჩქარა ვერც კი ლაპარაკობს.

— სწორედ იმიტომ! მას, ეტყობა, იმდენად დიდი ენა აქვს, პირში ვერ აბრუნებს!

კაცებმა ერთმანეთს გადახედეს, ნათქვამი ჭკუაში დაუჯდათ. შემოეხვივნენ განმარტოებით მდგარს. თავზე გვირგვინი დაადგეს, მხრებზე სამეფო მანტია მოასხეს და ხის ჩრდილში დადგმულ ტახტზე დასვეს.

— ვიცოდი, რომ ღირსი ვიყავი მეფობისა! – ძლივს ჩაიბლუკუნა ახალმა მეფემ. ლაპარაკის დროს ენა პირში მართლაც ვერ ეტეოდა, გადმოუვარდა და თითქმის წელამდე მიწვდა.

უტიფარი კაცი მივარდა, ენაზე მოეფერა, ისევ პირში ჩასტენა და ვეზირთ-ვეზირი მე ვიქნებიო, გამოაცხადა.

— ვეზირთ-ვეზირის უპირველესი მოვალეობაა, პატრონის ენას უყარაულოს და საჭირო ადგილი მიუჩინოს!

სხვებმა ქედი მოიხარეს, ლაქუცით ატიტინდნენ.

— მე მინდა ეს უცხო დავაჯილდოვო! – ძლივს მოახერხა მეფემ და ენა ისევ გადმოუვარდა.

— დავაჯილდოვოთ, დავაჯილდოვოთ!..

— მან მე დამაფასა... დამაფასა... – კვლავ წაიბლუკუნა მეფემ.

სხვები ექოსავით აჰყვნენ.

— დაგაფასა... დაგაფასა...

ვეზირთ-ვეზირმა საიდანღაც ვერცხლის ხონჩა მოარბენინა, ზედ მხარისტოლა ენა იდო.

ჯუმას ელდა ეცა.

— ბრძენო მეფეო და დიდებულნო! – თავი მოიკატუნა, – თქვენი სიკეთე განუზომელია, მაგრამ ეს ენა თქვენი მეფის ენას უნდა წააბათ. მართლაცდა შესანიშნავი რამ გამოვა, მეფეს იმოდენა ენა ექნება, საერთოდ ვერ ილაპარაკებს.

— დიდებულია, შესანიშნავია! – სიხარულის ყიჟინა დასცეს ვეზირებმა.

დაესივნენ და მეფის ენას ეს ენაც ზედ მიაბეს. მეფე საცოდავად აჭყეტდა თვალებს და ვერაფერს ამბობდა.

— მე ვეზირთ-ვეზირი ვარ, მეფის სურვილებს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარს! – წამოიძახა უტიფარმა და მეორე ხონჩა გამოაჩოჩა. ზედ უამრავი ენა ეყარა.

— უნდა ამოვარჩიო? – იკითხა ჯუმამ.

— აქ ყოველნაირი ენაა, – აუხსნა ვეზირთ-ვეზირმა, – აქაა ტლიკინა, ბლუკუნა, რატრატა, ლაქლაქა, უტყვი, უცხო ენებში განსწავლული, მომღერალი ენა... აი, სიკეთის მქადაგებელი, ბოროტიც აგერაა, ეს ენა პატრონსა ვნებს, ეს ყველას, ეს მხოლოდ სხვებს... ყველას მაინც ეს სჯობია, პატრონის ერთგული მსახურია. იცის, სად რა თქვას და სად რა... სუსტთან მბრძანებელი და ძლიერია, ძლიერთან ტკბილი და ფლიდი, თვალთმაქცობა ძალუძს, სიცრუე, ცრუფიცობა...

— საკმარისია, ეს ენა მომწონს! – გააწყვეტინა ჯუმამ, საკუთარი ენა ამოიგლიჯა და პირში ახალი ჩაიდო. ემწარა, მაგრამ მივეჩვევიო, გაიფიქრა.

* * *

ტყისა და მინდვრის მიჯნას ვიწრო ბილიკი გასდევდა. ჯუმა გამოემშვიდა ენარატრატათა სამეფოს და გზას დაადგა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ მყუდრო ადგილს ჩრდილში წამოწვა და ჩასთვლიმა.

ძაღლის ყეფამ და ლაწალუწმა გამოაღვიძა. საფარიდან უყურებდა, რა ხდებოდა. მონადირეთა ლაშქარი მოსდებოდა ტყე-

ღრეს და უგზო-უკვლოდ დათარეშობდა.

უცებ ჩირგვებიდან კურდღელი გამოვარდა. ჩაცუცქდა, უმწეოდ მიიხედ-მოიხედა და სკუპ-სკუპით მოკურცხლა. ცოტა გაირბინა და ბუჩქს ამოეფარა.

დიდხანს არ დასჭირვებია ლოდინი ჯუმას. კეტებიანი კაცები გამოცვივდნენ. კეტებს იქნევდნენ და ძაღლებივით წკავწკავებდნენ. კურდღელი რომ ვერ ნახეს, შეყოვნდნენ, აქეთ-იქით გაიფანტნენ. ზოგი ოთხზე შედგა და ნაკვალევი დასუნა.

— დავიღუპეთ, მეფე თავებს დაგვაყრევინებს! – წამოიძახა ერთმა.

— ვაი ჩვენს თავს, როგორ გაგვეპარა! – შესტირა მეორემ.

— ეგ რა სირცხვილი ვჭამეთ, კაცო! – თავში ირტყამდა მესამე.

ამასობაში ტყიდან ოთხი კაცი გამოვიდა. მხრებზე ფარჩებითა და ზიზილ-პიპილებით მორთული პალანკინი შეედგათ, ზედ კი გვირგვინოსანი იჯდა. ახლაღა დააკვირდა ჯუმა ბრბოს. ყოველ მათგანს უცნაური ცხვირი ჰქონდა. ზოგს სტაფილოს მიუგავდა, ზოგს კიდევ ჭარხალს, კარტოფილს, მსხალს... ვინ ჩამოთვლის კიდევ რას. თვით გვირგვინოსანის ათგზის მეჭეჭიანი ცხვირი კარგა მოზრდილი კომბოსტოსხელა იყო.

მეფის გამოჩენისთანავე მინდორზე გაფანტულები მიწაზე დაემხნენ.

— ასეც ვიცოდი! ვფიცავ ჩემს კეთილშობილ ცხვირს, მაგ შერცხვენილ ცხვირებს დაგაჭრით და ღორებს დავუყრი საჯიჯგნად.

— ვაიმე, ვაიმე, რა ეშველება ჩვენს ცოლ-შვილს! – აწუწუნდნენ ქვე დამხობილნი.

პალანკინი ბალახზე დადგეს. მეფე-გვირგვინოსანი გადმობრძანდა, გვირგვინი და სამეფო სკიპტრა პალანკინში ჩააგდო, ძოწისფერი მოსასხამიც ზედ მიაყოლა. ახლა მას საუცხოო წითელი წაღები და ოქრომკედით ნაქსოვი კამზოლი ეცვა.

— მიყურეთ! – ბრძანა და თავის კომბოსტო-ცხვირს მოეფერა.

უცბად ოთხზე დაეშვა, წინ და უკან გაცუნცულდა. შედგა, მონადირე ძაღლივით დასუნა ნაკვალევი და მხიარულად შეჰყეფა.

— წინ! – შესძახა და ის ბუჩქი აჩვენა, რომლის უკან კურდღელი მიცუცქულიყო.

სტვენითა და ყეფა-წკმუტუნით იხუვლეს იმ ბუჩქისაკენ. კურდღელი წამოხტა, ხან აქეთ გადახტა, ხან იქით, დაიბნა, ისკუპა და მეფეს ჩაუხტა ფეხებში. მეფე ზედ დაეცა, „დავიჭერე, დავიჭირე, მიშველეთ!“ – მორთო კივილი.

წამში ზედახორა გაიმართა. ყველა ცდილობდა მეფისათვის ეშველა და კინაღამ დაგლიჯეს თავიანთი მბრძანებელი. ის, ეტყობა, შეჩვეული იყო და ქვეშიდან უვნებელი გამოძვრა. მაშინღა დაინახა ხის ძირში მჯდარი ჭაბუკი, რომელსაც ადგომაც ვერ მოეფიქრებინა.

— ჩვენს მეფურ ნადირობას ვიღაც გადამთიელი უთვალთვალებს! – კომბოსტო-ცხვირი მრისხანედ აათამაშა მეფემ, – თანაც დიდი თავხედი ჩანს, ჩვენი მეფური დიდებულებისათვის სათანადო პატივი არ მიუგია!

— მეფეთა შორის უძლიერესო, — ჯუმა ზე წამოიჭრა და ოთხად მოიკეცა, — ისე გამაოცა შენმა არაჩვეულებრივმა მონადირულმა ნიჭმა, უფრო კი შენმა მშვენიერმა წაღებმა და ამ კამზოლმა... დავიბენი და მაპატიე მეფეო!

— ჰო, მართლაც მშვენიერი კამზოლი მაცვია! – მოლბა მეფე, მაგრამ უცებ შეიჭმუხნა: — ჩემი ცხვირი? რას იტყვი ჩემს ცხვირზე?

— ქვეყანა მომივლია და მსგავსი რამის მნახველი არა ვარ, დიდო მეფეო!

— დიახ, დიახ! – კმაყოფილებით თავი დააქიცინა გვირგვინოსანმა და მოულოდნელად თვალები აუწყლიანდა, – საბრალო გადამთიელო! – ჩაიდუდუნა და ტირილი მორთო.

სხვა მონადირეებიც გარს შემოეხვივნენ სტუმარს, მათაც ტირილ-ზლუქუნი ატეხეს. ზოგმა მეფეს გადააჭარბა, შუბლზე ხელი იტკიცა, „ვაი, ვაი, რა საცოდაობას ვხედავო“.

დაბნეული ჯუმა ადგილს ტკეპნიდა, ვერ გაეგო რა ხდებოდა.

— ჩემო ძვირფასო სტუმარო! – უთხრა ნაზად მეფემ და მხარზე ხელი მოჰხვია, – გაუზიარე კეთილ გვირგვინოსანს, რომელსაც ამერი და იმერი ემორჩილება, აგრერიგად რამ დაგამახინჯა?

ჯუმამ პირზე ხელი ჩამოისვა. სარკე არ ჰქონდა და ვერაფერს მიხვდა.

— ცხვირი... – ქვითინებდა გულამომჯდარი მეფე, – ასეთი პაწია ცხვირი... თითქმის უცხვირო... როგორღა ცხოვრობ ასეთი

ცხვირით?

ჯუმამ ცხვირზე წაივლო ხელი, ვერავითარი ცვლილება ვერ იგრძნო.

— დაბადებიდან ასეთი ცხვირი მქონდა.

— ვაი, შე უბედურო, დაბადებიდანო... – კინაღამ გულზე შემოეყარა მეფეს, – გესმით, ხალხო, რას ამბობს, დაბადებიდანო... გადამთიელო, ამიერიდან ჩემი მეფური დიდებულების მფარველობის ქვეშ შედიხარ და ჩემი სამეფოს ყველაზე უცნაურ ცხვირს გიბოძებ, ხუთმეჭეჭიანს...

მიტრიალდა, ერთ-ერთ ვეზირს ცხვირზე სტაცა ხელი.

— მთლად ისეთი ვერაა, როგორიც ჩვენა გვაქვს, მაგრამ უცხვირობას მაინც ჯობია.

— ბრძენო მეფეო! – თაფლად იქცა ჯუმა, – წინ დიდი გზა მიდევს, ათასი ყაჩაღი და მძარცველი შემხვდება, ვინმეს მოეწონება ასეთი ბრწყინვალე ცხვირი და წამაგლეჯს. მაშინ მართლაც უცხვირო დავრჩები.

— ეჰე-ჰე, მართალს ამბობ, ასეთ ცხვირს, აბა, ვინ შეგარჩენს, – შეწუხდა მეფე.

— ჩემი ცხვირი საკმაოდ უგრძნობელია, მეფეო, ამისი შეცვლა თუ ძალგიძთ?

— ამაზე ადვილი რაღაა, – გაეცანა მეფეს, – გინდა ისეთი ცხვირი მოგცე, ხუთასი სახეობის ვარდი გაარჩიო ერთმანეთისაგან, აქედან ას კილომეტრზე ია ამოვიდეს და იგრძნო?

— არ ვიცი, მეფეო, — შეყოყმანდა ჯუმა, — რაში უნდა გამომადგეს ეს თვისება? საჭმელს მაგით ვერ შეჭამ, ფულს ვერ მოიხვეჭ...

— ეჰე-ჰე, ეშმაკი ყოფილხარ, — ცხვირზე ხელი მოუთათუნა მეფემ, — ვხვდები, როგორი ცხვირიც გინდა! ამიერიდან შენ გაარჩევ ყოველნაირ სუნს, ოღონდ, ძვირფასო გადამთიელო, შენთვის შენს ღამის ქოთანს ვარდის სურნელება ექნება, სხვის ყვავილნარს კი – ღამის ქოთნისა...

* * *

ორიოდე საათის შემდეგ ტრიალ მინდორზე გავიდა. რაღაც გრძელი ფარდული ნახა. შესასვლელთან ეწერა: „სათადარიგო ნაწილების ბაზარი“. ჯუმას უკვე არაფერი აკვირვებდა. არც ახლა დაუწყია თავის მტვრევა იმაზე, თუ რისი სათადარიგო ნაწილები იყიდებოდა ფარდულში და თამამად შევიდა.

ბაზარი სავსე იყო ხალხით. აუტანელი სიცხე იდგა, დამპალი ხორცის სუნი ტრიალებდა. ახლოს მივიდა. ჟანგიან კავებზე ეკიდა ადამიანის სხეულის ნაწილები. არავისთვის არაფერი უკითხავს, ჩამოუარა რიგებს. ათვალიერებდა სხვადასხვა ზომის ფეხებს, მკლავებს, ხელის მტევნებს (თავი არსად იყიდებოდა მხოლოდ!)... მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული ვაჭრები ხმამაღლა ყაყანებდნენ, მყიდველებს კალთებს ახევდნენ, თავიანთ საქონელს ხოტბას ასხამდნენ.

საიდანღაც თეთრჩაჩიანი კაცი გამოუხტა, მოურიდებლად გაუსინჯა ხელ-ფეხი. მზარეულსა ჰგავდა და ჯუმა შეშინდა, ვაითუ ხელი მტაცონ და ამქნანო.

— სახარბიელო ბარკლები არა გქონია, მაგრამ არა უშავს რა, — უთხრა კაცმა, — გასაქცევად გამოგადგება. ეს ხელები კი არაფრის მაქნისია, თითქოს ხისაგან გამოკოპიტებულნი არიანო...

— ეჰ, ბიძაჩემო! – ამოიხვნეშა ჯუმამ, – სრულქმნილი ადამიანი სად გინახავს? რამე ნაკლი ყოველთვის მოეძებნება ადამიანს.

— ჰე-ჰე... – ჩაიხითხითა კაცმა, – ჯერ ერთი, მე „ბიძაჩემო“ კი არა, მეფე ვარ! ჩემს სამეფო გვირგვინს ვერ ხედავ? – ჩაჩზე უჩვენა, – ეს ბაზარიც სამეფო საკუთრებაა. მართალია, ერთ დროს გვირგვინი ოქროსი გვქონდა, მაგრამ გავკოტრდით და ახლა ასეთი ჩაჩი სამეფო პრივილეგიაა.

— მაპატიე, მეფეო! ვხედავ, ჩემთვის სიკეთე გინდა, – ჩვეულებისამებრ დაითაფლა ჯუმა, – ეგებ მირჩიო რამე? ეს ჩემი უგერგილო ხელები უკვე ვერ მემსახურებიან!

— ამაზე ადვილი რა არის? ჩამოუარე ამ რიგებს. რაც მოგეწონება, იმაზე გადაცვალე.

ჯუმამ აუჩქარებლად ჩამოუარა, თან კითხულობდა ხელ-

ფეხთა კომპლექტებზე დაწერილ განცხადებებს. ზოგი ნაღდ ფულზე იყიდებოდა, ზოგი მხოლოდ გასაცვლელად გამოეტანათ. პირველად „მოწყალე ხელი“ დაათვალიერა. მოსაწონი არაფერი ჰქონდა, ხელი ალბათ ბერიკაცს ეკუთვნოდა. „თავისი მოჭამა და აწი მაინც რატომ არ იქნება მოწყალე?“ – ღვარძლიანად გაიფიქრა... მერე უამრავ „მშრომელ ხელს“ ჩამოუარა. დიდად არ დაინტერესებულა. ბევრი მათგანი ჯაფისაგან დაკორძებულიყო, მტვერი და ჭუჭყი კანში ჩაშავებოდა, ზოგიც მთლად დასახიჩრებული აღმოჩნდა. „პოეტის ხელი“, წაიკითხა ერთგან და გული აუფანცქალდა. საკმაოდ ნატიფი უნდა ყოფილიყო, ოღონდ მის პატრონს შრომა არ აკლდა და მევენახის ხელს დამსგავსებოდა. მოქანდაკისა და მხატვრის ხელები თუჯის მდნობელისა და მემაღაროელის ხელებისაგან არც განსხვავდებოდა გარეგნულად. „მუსიკოსის ხელი“ მოეწონა, ალბათ დირიჟორისა იყო, ან პიანისტისა, გრძელი და წვრილი თითები ჰქონდა, მოვლილიც. კინაღამ არჩევანი მასზე შეაჩერა, მაგრამ დროზე გადაიფიქრა. ზედმეტად ნერვული მოეჩვენა, მგრძნობიარე, პატრონს დატანჯავდა ალბათ... რიგის ბოლოს „ხელსწრაფი“ ეკიდა, თითქოს მოკვეთილი არც ყოფილიყოს, მოუსვენრად ფათურობდა, ყველაფერს, რასაც მისწვდებოდა, სინჯავდა. რამეს თუ მოიხელთებდა, მერე მისი ხელიდან გაგდებინება ძნელი იყო. ერთი კაცი საგანგებოდ დარაჯობდა, რათა დროულად გამოეგლიჯა გამვლელთა შლაპები, საათები, საფულეები და მისთანანი.

ნახევარი საათი იდგა და აღფრთოვანებული უყურებდა.

ჩაჩიანი მეფე მოვიდა.

— მოგეწონა?

— ამას რატომ არაფერი აწერია? – იკითხა ჯუმამ.

— დიდი გაქნილი და ვირეშმაკაა, – რატომღაც ჩურჩულით თქვა მეფემ, – ცოტა გავიწიოთ, თორემ ჩვენც აგვწაპნის რამეს.

— ეს ხელი მომწონს, – თქვა ჯუმამ და საკუთარი გაუწოდა, – გადავცვალოთ!

თავი II. უდაბნო

უცებ ჩამობნელდა, დაიგრგვინა. წკვარამში ჩაიკარგა ხალხმრავალი ბაზარი და ჩაჩიანი მეფე. გაიხსნა მიწისპირი და ჯუმა ბედია ბნელ უფსკრულში გადაიჩეხა. დიდხანს ვარდებოდა. მიხვდა, რომ განწირული იყო. ამას შეურიგდა კიდეც, მაგრამ გული ეთანაღრებოდა, გავიყიდე და მაინც ვილუპებიო.

მერე რბილ ბალახში მოადინა ბრაგვანი. ეგონა, მთლად დაიმტვრეოდა. დიდად გაოცდა, როცა საღსალამათი დარჩა. ერთხანს იჯდა და გონს მოსვლას ცდილობდა.

კვლავ გზის გასაყარზე იმყოფებოდა.

სამი გზა მიიკლაკნებოდა აქედან სამი მხარისაკენ.

მეორე ირჩია.

სიცხემ თანდათან იმატა, ციდან ხვატი მზე აცხუნებდა. ფეხქვეშ ბალახი დაილია, შემდეგ ქვა-ღორღიც, გზა საბოლოოდ გაქრა.

ქვიშის დიუნზე აფოფხდა და წინ გაიხედა. შიშისა და გაოცებისაგან ენა ჩაუვარდა.

ირგვლივ უდაბნო იყო...

* * *

ცის დასალიერამდე გადაჭიმულიყო ვრცელი უდაბნო. ქვიშის უზარმაზარი დიუნები ერთმანეთზე მიხოხავდნენ წყება-წყება. სივრცე ჰგავდა მძვინვარე ოკეანეს გრიგალის დროს. მზეს უწყალოდ გაექრო სიცოცხლის ყოველი ნიშანი. სუსტი, ცხელი ნიავისაგან გაცოცხლებული ქვიშა შარიშურობდა კალთებზე.

ჯუმა ბედია მაღალი დიუნის თავზე იჯდა და მარადიულ ერთფეროვნებას დაეტყვევებინა. სიცხით გათანგულ მკვდარ სივრცეში თავს ისე გრძნობდა, როგორც ცოცხალი თევზი ტაფაზე... სუნთქვა შეკვროდა, თვალთ უბნელდებოდა. ხელები თავზე შემოიჭდო, ქვიშაზე დაემხო და გოდება აღმოხდა:

— ვაიმე, დედა!

პასუხად მხოლოდ ქვიშის შრიალი ისმოდა. დიუნის კალთები-

დან ეფინებოდა წვრილი ქვიშა, უსასრულო დროში აუჩქარებლად მოძრაობდნენ დიუნები, კატასტროფას უმზადებდნენ სამყაროს, ქვიშის ყოველი მარცვალის გადაადგილება ახალი სივრცის დაპყრობას ნიშნავდა მარადიულ ბრძოლაში სიცოცხლესა და სიკვდილს შორის..

სუსტმა და ცხელმა ნიავმა დაჰბერა, ღონემიხდილი ოდნავ შეეხო ჯუმას, ცეცხლის უხილავმა ალმა თითქოს შეუტრუსა პირისახე..

ფეხზე წამოდგა და მიმოიხედა, ეგებ ოაზისი დაელანდა სადმე, ეგებ ლურჯ მირაჟებს მოეხმო საითკენვე.

თვალს არ დაუჯერა.

დიუნების კალთები აჭრელებულიყო ურიცხვი, მოფუთფუთე არსებებით. მზერა დაძაბა და გაარჩია, ადამიანები დაღოღავდნენ ცხელ ქვიშაზე. ყველა ფერის და რასის, ყოველი ეროვნების ადამიანი შეეყარა უცნობ ძალას. მუხლებზე დაჩოქილებს ხელები ზე აეწვდინათ და ერთხმად ზუზუნებდნენ:

— ააა!..

შეცბა ჯუმა, ვერაფერი გაიგო... მაინც გაუხარდა ცოცხალ არსებათა ხილვა, სირბილით დაეშვა დიუნის კალთაზე. ფეხი დაუცდა და ჩაკოტრიალდა. მომდევნო დიუნს შეუყვა. ქვიშა ეცლებოდა ფეხებქვეშ, სუნთქვა ეკვროდა, ეცემოდა და კვლავ დგებოდა, გზას ფორთხვით განაგრძობდა.

დიუნს თავს მოექცა და ხალხში აღმოჩნდა. ვინ არ ნახა აქ! ერთ მხარეს ჩალმიანი, თეთრ ხალათში გახვეული კაცები გამეტებით სცემდნენ ქვიშას შუბლს – ალბათ არაბები იქნებოდნენ... იქვე ზანგნი გართხმულიყვნენ. ზოგს ევროპულად ეცვა, ზოგს მხოლოდ თეძოზე აეფარებინა ჩვარი, პალმის ფოთოლი ანდა მთლად დედიშობილა იყო... სხვა მხარეს თეთრსარიანი ინდონი შეყრილიყვნენ, აქეთ კიდევ დრაკონებით ამოქარგულ აბრეშუმის ტანსაცმელში – ჩინნი... უფრო შორს ჯინსიანი ამერიკელები და ფრაკიანი ევროპელები... მთელი დუნია შეყრილიყო და რაღაც ძალით დათრგუნვილნი, მუხლებზე დამხობილნი ერთად მოთქვამდნენ:

— ააა!..

ჯუმა მიიჭრა პირველივე კაცთან. უნდოდა ეკითხა, რა ხდებაო. კაცმა ყური არ ათხოვა, ზეცისაკენ ხელაპყრობილს თვალებში სიგიჟე ენთო. რაღაც სიტყვას შესძახებდა ზეცას და სუსტი გოდებით პირქვე ჩაემხობოდა ქვიშაში. მერე ისევ აღმართავდა ხელებს ცისაკენ, სადაც მზე დნებოდა სიცხისაგან, და კვლავ აღმოხდებოდა ბღავილით:

— ჯაააა!..

მარტო ჯუმა იდგა ფეხზე. არ იცოდა როგორ მოქცეულიყო და ბოლოს თვითონაც არჩია სხვათა გვერდით ჩამუხლვა, სხვებთან ერთად თავპირის ხოკვა. ცდილობდა ხმაც აეყოლებინა საერთო ღაღადისათვის, სხვებთან ერთად ხან სიტყვის დასაწყისს ყვიროდა, ხან ბოლოს, მთლიანად კი ეს სიტყვა ვერა და ვერ მოეხელთებინა.

— ჯაააა!.. – იძახდა გიჟთა ბრბო მის გვერდით.

— ნაუუტ... ნაუუტ... ნაუუტ!.. – უდაბნოს ბოლოდან მოდიოდა პასუხად.

— გეეერ... გეეერ!.. – ტალღასავით მოვარდებოდა სხვა მხრიდან.

გრძნობდა ჯუმა, თვითონაც შეურაცხადი იყო უკვე. ვინ იცის, ეგებ არც სხვებმა იცოდნენ, რას გაჰკიოდნენ, ვის იხმობდნენ, რისთვის იყო ყოველივე ეს საჭირო... იგიც ხან ერთ ტალღას აჰყვებოდა, ხან მეორეს...

მიწა იძრა უცებ, შეტორტმანდა... ყრუ გუგუნი გაისმა ცის შორეული სამანიდან. სამარისებური დუმილი ჩამოწვა ვრცელ უდაბნოში და მაშინღა გაიელვა ჯუმას ტვინში უცნაურმა და არაქართულმა სიტყვამ: „ჯაგერნაუტი“.

დიახ, ჯაგერნაუტი მობრძანდებოდა!

მტვრის უმნიშვნელო ღრუბელი წამოიწია ჰორიზონტზე. თანდათან გაიზარდა, ზე აიმართა, დაიგრაგნა მთაგრეხილივით, გაწვა ცის კიდის გასწვრივ... უშველებელ დრაკონსა ჰგავდა, შუბი რომ ატაკეს... როგორც უხსენებელი წამოიყაყვება სუფთა მდელოზე, ზე წამოიყაყვა, სივრცეები დაიპყრო, ცისა და მიწის ნახევარს მოედო, გააფერმკრთალა, ჩამოაბნელა...

მიწა ზანზარებდა და ზარცემული ბრბო პირქვე დაემხო, მოახლოებული უბედურების წინაშე ბედს მიენდო. სტიქიის ჯოჯოხეთურ რიალში ადამიანთა სუსტი ჩივილი ჩაიკარგა...

მტვრის თვალშეუწვდენ გრიგალს უცბად გამოეყვნენ ბუმბერაზი ცხენები. საცრისოდენა თვალებს აბრიალებდნენ ბოროტად, მკერდებზე დაუოკებელი ძალით ეხლართებოდათ მთასავით წამობურცული კუნთები, მოჰქროდნენ ელვის უსწრაფესად და ფლოქვებით შლიდნენ მაღალ დიუნებს...

თვალი შეასწრო ჯუმამ წამიერ... ოქროს ეტლს მოაქანებდნენ ბუმბერაზი ცხენები. ბედისწერის ბრწყინვალე ბორბლები ხვეტდა ქვიშას, მასზე გართხმულ ადამიანებს წისქვილის ბორბალივით ფქვავდა და ყველაფერი იკარგებოდა მტვრის ცადავარდნილ კორიანტელში...

და იდგა ოქროს ეტლზე დიდი ჯაგერნაუტი... მყისეულად აჰხედა ჯუმა ბედიამ... მერე ველარ იხსენებდა, მზე დაინახა, ცაზე მობარჩხალე, თუ ჯაგერნაუტის საზარელ თვალებში ჩაიხედა... უმალვე დაუბნელდა თვალის ჩინი... მოვარდნილმა ქარიშხალმა აიტაცა და მოისროლა ადუღებული წყალივით მოთუხთუხე ქვიშასა და მტვერში... გრძნობდა, როგორ ეფლობოდა გასრესილ ადამიანთა სისხლსა და ხორცში და თანდათან კარგავდა გონს...

დიდხანს ისმოდა შორეული გრიალის გამოძახილი, დიდხანს თრთოდა მიწა, გრუხუნებდა ზეცა, სამყაროს გუმბათი... მერმე მიწყნარდა... ჯუმას მოეჩვენა, რომ ცოცხლებში აღარ იყო, დაბორიალებდა ზმანებებში...

ბოლოს სუსტი სინათლე გაკრთა... წინ კვლავ გზის გასაყარი იდო...

თავი III. გუჯმახანის საუფლო

მის წინ კვლავ გზის გასაყარი იდო. სამი გზა მიიკლაკნებოდა სამი მხარისაკენ. სამი ლოდი ეგდო იქვე.

მიხვდა ჯუმა ბედია, განწირული რომ იყო, მაგრამ სხვა რა უნდა ეღონა და მიჰყვა მესამეს.

დიდხანს მიდიოდა. წინ ვრცელი ჭაობნარი გადაიშალა...

* * *

ჭაობზე ნისლი გაწოლილიყო, შმორის სუნი იდგა. ათიოდე ნაბიჯზე არაფერი ჩანდა. ხანდახან გამოტივტივდებოდა შავი, მკვდარი ხე, ტოტები ცისკენ გაეფარჩხა და ნისლის ფარდას წეწავდა. ეკლიანი ბუჩქი გატყაპულიყო მიწაზე. ისლის კედელი მოიწევდა საიდანღაც და ქრებოდა.

აქა-იქ ბზინავდა ლეყეპმოდებული, ჩამდგარი წყალი. უძირო ტლაპო იმალებოდა მწვანე ხაოს ქვეშ, საცალფეხო ბილიკი ტორტმანებდა უფსკრულის თავზე გაჭიმული ბაგირივით.

ჯუმა ბედია ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა ბილიკზე, ფეხით სინჯავდა მის სიმაგრეს, ნერვებდაძაბულს, შეშინებულს, დამშეულს ყოველი წამი დაღუპვით ემუქრებოდა. სად თავდებოდა ეს ჭაობნარი, რამდენი უნდა ევლო ამ ვიწრო ბილიკზე, რა უნდა ექნა, ის რომ მოულოდნელად გაწყვეტილიყო?

ერთი-ორჯერ აუცდა ფეხი, მუხლებამდე ტალახში ჩაეშვა. როგორღაც თავი შეიკავა, რამდენიმე წამს სულს ითქვამდა, გულის ცემას იოკებდა.

ბოლოს შავმა ზღუდემ შემოანგრია ნისლის ფარდა, თავზევით წამოიმართა. კუნძული აღმოჩნდა. გახარებული ზევით აფოფხდა და ისლითხურულ ქოხს წააწყდა.

საწნახელის მორებისაგან იყო შეკრული. ნესტსა და ჟამს გაეშავებინა, დაეფუტურებინა. ქინქლი და კოღო, ობობა და მორიელი ეხვია ზედ და ჯუმა ახლოს ვერ გაეკარა.

წრიპინით გაუსხლტა ფეხქვეშ კატისტოლა ვირთხა. უამრავი ხვრელიდან წამდაუწუმ თავს ამოჰყოფდნენ ზონზროხა ვირთხები, მძივებივით თვალს შეავლებდნენ სტუმარს და უჩინარ ლაბირინთებში იკარგებოდნენ.

ქოხს ირგვლივ შემოუარა და კარი ვერსად იპოვა. არადა, სახურავს კვამლი ასდიოდა, შიგნით ალბათ ვინმე იქნებოდა. აშინებდა ეს იდუმალი ქოხი, მაგრამ ჭაობის ბილიკებისა უფრო ეშინოდა.

ვასაკამ გაიტკრციალა ხეზე. სადღაც ჭაობში აკივლდა მიკიოტი. თანდათან უფრო იქუფრებოდა, ღამდებოდა.

მიხვდა ჯუმა ბედია, ჯოჯოხეთის კარიბჭესთან მოსულიყო

საკუთარი ფეხით და შუბლზე ხელი შემოირტყა.

ხითხითი მოესმა.

სახურავზე კაცის თავი მოჩანდა.

სისხლი გაეყინა ძარღვებში ჭაბუკს, თვალი მოიფშვნიტა და აიხედა. იქ უკვე არავინ ჩანდა.

ბოლოს და ბოლოს უნდა ეღონა რამე, თორემ შემოაღამდებოდა ამ დასაკარგავში და ვინ იცის, კიდევ რა საშიშროება ელოდა.

გაჩერდა ყრუ კედელთან და ყოყმანის შემდეგ, თითქმის ჩურჩულით, გაუბედავად თქვა:

— გუჯმახან, სტუმარი მოველ, მიმიღე.

ყრუ გუგუნი გაისმა, ჩაირთო უჩინარი მექანიზმები, გაცოცხლდნენ მიწისქვეშა ძალები. ბზარი დააჩნდა კედელს, გაფართოვდა... გაიხსნა ფართო ბჭე და ჯუმამ სიბნელეში შეაბიჯა... იმავე წამს უკან მოინდომა გასხლტომა, მაგრამ კედელი დაიხურა და ჭაბუკი ხაფანგში აღმოჩნდა.

ვრცელი დარბაზის ბოლოს კერიაზე ცეცხლი ენთო და მისი სიფრიფანა შუქი აღწევდა ამ კუთხესაც. გამჭვარტლულ ხარიხაზე ბუ შემომჯდარიყო, თვალებს აბრიალებდა. ჭერზე და კედლებზე ობობას მოებლანდა ქსელი და გატიკნული, გოჯისტოლა ობობები სისხლსა წოვდნენ ქსელში გახლართულ, საცოდავად აწრიპინებულ ვირთხებს. შავად მბზინვარე, დაწინწკლული უნასი შემოჰხვეოდა ჯაჭვს და წყვილი სადაფის თვალი მოეშტერებინა შემოსულისათვის. მიწაზე ეყარა უამრავი ჩონჩხი, ვერ გაეგო, ადამიანთა თუ ნადირთა.

მუშტისტოლა მორიელი ჩამოვარდა ჭერიდან და მკერდზე დაეცა. განზე გახტა ჯუმა, მორიელი კი ჩამოცურდა და ფეხების სწრაფი ხანხალით გაუჩინარდა.

მეტი გამოსავალი არ იყო და შუაცეცხლისაკენ წავიდა. გოგირდისა და დამწვრის სუნი ტრიალებდა, ცხვირზე ხელის აფარებას მაინც ვერ ბედავდა.

ჯაჭვზე უზარმაზარი, საძროხე ქვაბი ეკიდა და შიგ რაღაცა თუხთუხებდა. ჯუმას არც ჩაუხედავს, ისედაც ჰკიდა თვალი, შიგ როგორ ჩახტა ქუდისტოლა გომბეშო, როგორ მოადინა ტყაპანი მორიელმა.

შუაცეცხლთან, ტურის ტყავებით მოფენილ სავარძელში, წოლა კაცი მიწოლილიყო ნებიერად. სოლისებური, მწითური წვერი ხითხითისაგან უთრთოდა. ელამი თვალები გაურბოდა, კაცი ვერ მიხვდებოდა საითკენ იყურებოდა.

ჯუმამ თავი დამცირებულად იგრძნო, მაგრამ საშიშროებამ წელში მოკაკვა და პირმოთნედ მოუთაფლა:

— გუჯმახან, აღფრთოვანებული ვარ შენი სასახლით! მის ირგვლივ გაშლილ წალკოტს ედემი თუ შეედრება!

— ვიცოდი, მოგეწონებოდა, შვილო!.. მსახურები წელში გაწყდნენ მის მორთვასა და მოკაზმვაში... დრო, ეტყობა, ფუჭად არ დაგვიკარგავს... ხი-ხი-ხი...

— აღფრთოვანებული ვარ! – გაიმეორა ჯუმამ, წელში უფრო მოიღუნა, კუზიანს დაემსგავსა, – ასეთი მშვენიერი, მყუდრო სახლი... თანაც რა გემოვნებითაა შერჩეული ადგილი ბუნების წიაღში...

— დიახ, დიახ, მთელი დუნია მოვიარე და ამაზე უკეთესი ვერაფერი ვნახე, – გუჯმახანი ნასიამოვნები ჩანდა. ტაში შემოჰკრა და უჩინართ გასძახა: — ჰეი, ვინ ხართ მანდ, სავარძელი მოართვით სტუმარს!

პირდაპირ კედლებიდან ქაჯები გადმოცვივდნენ. წელამდე თუ ასწვდებოდნენ ადამიანს, ზოგი კი მიწისპირს არც აჩნდა. ტიტლიკანები იყვნენ, გაურკვეველი ფერისა, ტანი თევზებივით უბზინავდათ. სახე ზოგს საითკენ ჰქონდა მიჭყლეტილი, ზოგს საითკენ. ერთი ცალთვალა იყო, მეორე ცალყურა, ზოგს კი რამდენიმე თვალი ჰქონდა, ან ყური, ან ცხვირი, უცხვირონიც ბევრი ერია, უცხვირპირონიც... პირი ხომ ნებისმიერ ადგილას ჰქონდათ, კეფაზეც კი... ისეთ ბგერებს გამოსცემდნენ, ათასი წიწილა ჭყლოპინებდა თითქოს.

ყველა ერთად მოათრევდა ოქროს სავარძელს, თვალ-მარგალიტით მოჭედილს. დაუდგეს, ზედ კი დიდი მორიელი მოკალათებულიყო. გათამამებულმა ჯუმამ ხელი ქეჩოში ჩაავლო ერთ ქაჯთაგანს, სავარძელი ცხვირპირით ჩამოაფერთხინა და ამის შემდეგ დაბრძანდა.

— ხი-ხი-ხი, როგორ გეტყობა ბედიობა, ხი-ხი-ხი, – კვლავ ახითხითდა გუჯმახანი, – მომწონს შენი სითამამე, მომწონს, –

უცებ წარბები შეჰყარა და იჭექა: — ვახშამი მოართვით სტუმარს!

ჯუმას დასცხა, წამოდგომა მოინდომა, ფეხზე უნასი შემოეხვია, ნაზად აულოკა ორკაპა ენით.

ზურგზე ტაო აეშალა, მაგრამ არ დაიმჩნია.

— გუჯმახან, დარწმუნებული ვიყავი შენს სიკეთეში! აქ ყველას უხარია ჩემი სტუმრობა! ეს ლამაზი, წინწკლებიანი არსება ძალიანა ცდილობს როგორმე მასიამოვნოს!

— ამ უნაზესი არსების ოდნავი ჩხვლეტაც საკმარისია, რათა აქლემის სულს ფრთები შეესხას, – ბოროტი სიხარულით თქვა გუჯმახანმა: – ბრძენო, მოშორდი სტუმარს, სოროში ფინჯანი რძე გელის!

უნასი ზანტად მოშორდა, თავაწეული მიყელყელაობდა სოროსაკენ.

ჯუმას ზაფრამ გადაუარა.

ამასობაში ქაჯებმა ტაბლა დადგეს, ზედ დოქი და ჯამ-ჭურჭელი დაალაგეს.

ყველაზე ჭუჭყიანმა და შეუხედავმა ქაჯმა, რომელიც ალბათ ქალის მოდგმისა იყო, რადგან მკერდზე რაღაც მეჭეჭების მსგავსი აჩნდა, ისკუპა პირდაპირ ქვაბში და სავსე გობი ამოიტანა.

— მშვენიერი ქალწულია, – ელამი თვალი ჩაუკრა სტუმარს გუჯმახანმა, – მპუ!.. – თითი დაიკოცნა, – შემიძლია, შემოგფიცო, მამაკაცის ხელი ჯერ არ იცის რა არის! ტურფა, არ მომიწყინო სტუმარი!

ჯუმამ წაუყრუა, ვითომ ვერ მიხვდა მასპინძლის ქარაგმას. ტურფა ვირთხასავით წრიპინებდა, სტუმარს კერძს უსხამდა, ხანდახან კი დაიხრებოდა და საკუთარ ტანს ილოკავდა, რომელზეც სალაფავი წურწურით ჩამოსდიოდა. ამის შემყურე ჯუმას გული ცუდად უხდებოდა და ცდილობდა თვალი მოერიდებინა.

— ეტყობა, რაღაც არაჩვეულებრივი კერძი მოგვართვეს! – საცოდავად თქვა.

— მიირთვი, სტუმარო, მიირთვი!

თეფშს ღამის ქოთნის სუნი ასდიოდა, შიგ კიდევ ისეთი რამეები ჩანდა, ყველაფერს მიჩვეულ ადამიანსაც თავზარს დასცემდა.

ჯუმამ თვალი დახუჭა, ყნოსვა დაიხშო და ისე გადაყლაპა

რამდენიმე ლუკმა. კინაღამ კუჭი ამოუბრუნდა, კოვზი დადო.

— იფ, იფ, რა გემრიელია! – თავს ძალა დაატანა, პირზე ღიმილი გამოისახა, – თუ შეიძლება, წყალი... – დაუმატა საწყალობლად.

დოქი წამოაქციეს და რაღაც მღვრიე სითხე მოართვეს. სასმისი რომ ასწია, იქიდან ბაყაყი გადმოხტა დამფრთხალი ყიყინით. ჯუმამ სასმისი მაინც მიიდო ბაგეზე. შმორის სუნი ეცა და უკანვე დადგა.

— ასეთი ღვინო დევსაც დაათრობს! – არ დაუყოვნა ქათინაური მასპინძელს.

დაღლილი იყო და სავარძლის ზურგს მიეყრდნო. ტურფა მიეახლა უმალვე. სავარძლის სახელურზე ჩამოუჯდა, ხელი კისერზე მოჰხვია და საკოცნელად მიეტმასნა.

ჯუმამ გაიბრძოლა, მოინდომა ქაჯის მკლავებიდან დასხლტომა, მაგრამ ტურფა ღონიერი აღმოჩნდა. გახარებული წრიპინებდა, ვითომ იცინოდა, ტუჩ-პირს ულოშნიდა, თითხნიდა ქონიანი სალაფავით.

— უჰ, შე სულწაწყმედილო! – აცუნდრუკდა გუჯმახანი, – უჰ, შე დაუნდობელო!.. ხი-ხი-ხი, სტუმარი მაინც არ იყო... არ დაერია ქალწულებს?.. უჰ, შე მუსუსო!.. ეს ვინ შემომიშვია შინ!.. მიდი, ტურფა, მიდი!..

ტურფა ეკვროდა თევზივით მბზინვარე სხეულით, ცდილობდა ტანსაცმელი შემოეფლითა ჭაბუკისათვის, შიშველ ტანს მისწვდენოდა ალმასის კბილებით.

გაახსენდა იატაკზე დაყრილი ჩონჩხები ჯუმას, იგრძნო საფრთხე, ძალ-ღონე მოიკრიბა, უბიძგა და სავარძლის სახელურიდან ჩამოაგდო.

— გუჯმახან, კაცნი ასეთ დროს სიბნელეს ეძებენ!

— არარაობანი ხართ! – ბოროტად გამოსცრა გუჯმახანმა. თვალები იმ გველივით უბზინავდა, შემოსასვლელთან რომ ეკიდა ჯაჭვზე.

— ტურფას მშვენიერება ენით უთქმელია, მაგრამ სხვისაგანა ვარ უარყოფილი და ეს მტანჯავს, – გუჯმახანის გულის მოსაგებად მიმართა სიცრუეს.

გუჯმახანს ელამი მზერა სადღაც სივრცეში მიეპყრო. ჯუმამ იცოდა, მასპინძელი მას შეჰყურებდა და განმარტებას ელოდა. წამში აწონ-დაწონა სათქმელი. შეიძლებოდა მოეყოლა, როგორ

უარყო მაცაცუნამ და ამით შეურაცყო, თუმცა მაცაცუნასადმი სიყვარულს გუჯმახანი არ დაიჯერებდა... მეხსიერებაში კაშკაშებდა სულ სხვა, სერაფიტას ლამაზი სახე – მ ზ ი ა... იცოდა საში- ში იყო აქ მისი სახელის ხსენება, მაგრამ ცდუნებას ვერ გაუძლო.

— მას ჰქვია მზია, – ჩავარდნილი ხმით წარმოთქვა და შეეცადა მზერა გაესწორებინა გუჯმახანისათვის.

გუჯმახანი გამოცოცხლდა, ახითხითდა.

სუფრას წიხლი ჰკრა, გადააბრუნა, ჯუმას სახე სახესთან მიუტანა, მოინდომა მის თვალებში ჩახედვა.

თითქოს ნაკვერჩხალი მოუახლოვესო, გუჯმახანისაგან სიცხე და დამწვრის სუნი მოდიოდა.

ჭაბუკმა ელამს თვალი ვერ გაუსწორა და განზე გაიხედა.

— ყველაფერი ვიცი! – მოჭრა გუჯმახანმა და ხმაში ალერსი გაურია: – აბა, უკან მიიხედე!

გუგუნი მოისმა.

მოიხედა ჯუმა ბედიამ.

კედელი იხსნებოდა...

* * *

ნაზი მუსიკა დაფარფატდა, თითქოს ფლეიტაზე უკრავდნენ... სუფთა ნიავი შემოიჭრა, ყვავილთა სურნელება შემოიტანა. სინათლე იღვრებოდა, თბილი, მაცოცხლებელი, ლაციცა – ახლადამოწვერილი მზისა...

წამოდგა ჯუმა ბედია. მუსიკით, ყვავილთა სურნელებით, სინათლით დატყვევებულმა ნაბიჯი წარსდგა, მაგრამ შეჩერდა...

მასში ორი ჯუმა იბრძოდა...

— მიდი, ნახე! – ზურგზე უბიძგა გუჯმახანმა, ჩუმი ქირქილიც მიაყოლა.

ჯუმა გახსნილ კედელს მიადგა.

მის წინ ჩვეულებრივი პატარა ოთახი იყო. კუთხეში პიანინო იდგა. კედელზე წიგნის თაროები ეკიდა.

მზიან ფანჯარასთან ნიკელის საწოლი დაინახა.

თვალისმომჭრელ სითეთრეში მზიას ეძინა.

ბალიში ლოყაზე მიეხუტებინა, თმა გადმოშლოდა და მშვიდად სუნთქავდა.

— მიდი, – კვლავ ჩასჩურჩულა გუჯმახანმა.

ჯუმა გახევდა. იგრძნო, მის სულში რაღაც ახალი, უჩვეულო ხდებოდა. შეუძლებელი იყო სახელი მოეძებნა იმ წმინდა, სათუთი თრთოლვისათვის, რადგან მსგავსი არასოდეს განეცადა.

უნდოდა მიახლოებოდა, პირქვე დამხობილიყო, ეტირა.

დაიხედა ხელებზე, ტანსაცმელზე. ტურფასთან ბილწ ხვევნას მოელაფა, მყრალი სუნი ასდიოდა თვითონაც და მთელ ამ ეშმაკეულ საუფლოსაც.

კოცონზე კვლავ ბუყბუყებდა უზარმაზარი ქვაბი. ჯაჭვზე უნასი ეკიდა და იყურებოდა სადაფივით მბზინვარე თვალებით. მორიელები ცვიოდნენ ტყაპანით და ღრიჭოებში გარბოდნენ.

— არა, არაფერი მინდა, არაფერი! – ისტერიულად ჩაილაპარაკა.

გუჯმახანს ტუჩები ბრაზით მოეღრიცა, ბოროტად მოიქუფრა.

— რა არ გინდა, ბედიების ნაშიერო?

დაფრთხა ჯუმა, კვლავ დაიხია, კვლავ მოითაფლა მორჩილი ენა, მორცხვად დახარა თვალები.

— მინდა, მასაც ვუყვარდე.

გუჯმახანმა ტაში შემოჰკრა. კედელი დაიხურა, გაქრა წმინდა ჩვენება.

— ბევრი გდომებია, ჩემო შვილო, ეს ძნელი საქმეა.

სავარძელს დაუბრუნდა, ფეხი ფეხზე შემოიწყო, თვალები მილულა.

ჯუმა იდგა და იცდიდა.

— სიყვარულზე მე არ ვბატონობ, ის ჩემზე ძლიერია, – თქვა გუჯმახანმა და დაჟინებით მიაცქერდა ჭაბუკს, თუმცა სახე სულ სხვა მხარეს ჰქონდა მიქცეული, – ამაღლდი და შეგიყვარებენ, ქალის ბუნება სუსტია!

— მერედა როგორ ავმაღლდე? დღენიადაგ ვცდილობთ, მეც, ჩემი ძმებიც...

— მე კეთილი ვარ! – თითქოს არც გაუგონია ჭაბუკის ნათქვამი, – მე სიკეთეს ვთესავ! ასე არაა?! – მჭექარედ შეეკითხა კუთხის ბინდბუნდში მიმალულ ქაჯებს.

— კეთილი ხარ, კეთილი ხარ! – ექოსავით გამოეპასუხნენ იქიდან.

— მე თქვენთვის ვიღვწი, საკუთარი თავი დამვიწყებია! ასე არაა?!

— ჩვენთვის იღვწი, ჩვენთვის იღვწი!.. – კვლავ აყაყანდნენ ქაჯები.

— შენ კეთილი ხარ, გუჯმახან! შენი სიტყვა კანონია! – წელში მოიხარა ჯუმა.

— კანონია, კანონია!.. – კვერი დაუკრეს ქაჯებმა.

მიხვდა ჯუმა, მათს სიაში იყო უკვე ჩაწერილი.

— ყოველ გაჭირვებულს ვეხმარები, ლამის თვითონ გავკოტრდე... ვფიცავ ჩემს ღმერთს ჯაგერნაუტს, რომელიც ძალას მაძლევს, სულ იმის ცდაში ვარ, ვის რა ვასიამოვნო!

— მჯერა, გუჯმახან! – ქრთამად შეაწია ჯუმამ.

— მთხოვე, რაც გინდა! – მოსჭრა უცებ მასპინძელმა.

ჯუმა წამით დაიბნა, გაწითლდა, ენა ვერ მოაბრუნა. რა უნდა ეთხოვა ამ არსებისათვის, რომელიც ასე დაჟინებით ჩასცქეროდა ელამი თვალებით. არაფერი არ უნდოდა ჯუმას, არც სიმდიდრე, არც საყვარლები, ფულები... რაც ჰქონდა, იმასაც იკმარებდა, ოღონდ...

— ჩემთვის არ ვზრუნავ, – ყოყმანით თქვა, – არაფერი მჭირდება, თუმცა აქ ცოტა ვიწუწუნე. აი, ჩემს ახლობლებს, ნაცნობ-მეგობრებს...

— ხომ გითხარი, რაც გინდა მთხოვე-მეთქი! – შეაწყვეტინა გუჯმახანმა. კარგ გუნებაზე დადგა და ხითხითს ვერაფრით იკავებდა: — ხი-ხი-ხი, ყველას ერთ დღეს ვაჩუქებ... ხი-ხი-ხი, შესრულებულ სურვილთა დღეს... ხი-ხი-ხი... – თვითონვე მოეწონა თავისი აზრი.

ჯუმა შეცბუნებული უყურებდა, ვერ მიმხვდარიყო, რამ გაამხიარულა მასპინძელი.

— შესრულებულ სურვილთა დღე... ჰა-ჰა-ჰა... ჰი-ჰი-ჰი... ჰო-ჰო-ჰო... – ახარხარდა გუჯმახანი, მუცელზე ხელს იცემდა, სავარძელში გორაობდა... მისი მჭახე სიცილი კედლებსა და ჭერს აზანზარებდა და ჯუმამ ყურები დაიცო.

— შესრულებულ სურვილთა... – იმეორებდა მასპინძელი სიცილ-სიცილ.

— სურვილთა... სურვილთა... სურვილთა... – წრიპინებდა ყოველი მხრიდან ქაჯთა ჯარი.

სული მოითქვა გუჯმახანმა, თვალთაგან სიცილის ცრემლი მოიწმინდა, მოღუშულმა შეხედა სტუმარს.

— ეს გინდოდა ხომ? ხვალ შენს ყველა ნაცნობს თითო სურვილი შეუსრულდება!

— მტერსაც? – იკითხა გაღიზიანებულმა ჯუმამ.

— ცხადია, მტერსაც! – კვერი დაუკრა გუჯმახანმა, მის მკერდში სიცილის ახალი ტალღა იბადებოდა.

— მტერსაც, მტერსაც!.. – ატკარცალდნენ ქაჯები.

— ჩემი ძმები... – წამოიწყო ჯუმამ.

— ჰო, ჰო, ძმები! – არ დაამთავრებინა გუჯმახანმა, – ბუთხუზა კაჭუჭია? ვიცი, ვიცი... ოქროსთმიანი მზეჭაბუკი... ისიც ვიცი, ისიც ვიცი... – თვალების ბოროტი ელვარება სიცილში დამალა.

— ჩემი ძმები... – ხმა გაებზარა ჯუმას.

— ორთავეზე ვიზრუნებ, ორთავეზე, – ცბიერი ღიმილით თქვა გუჯმახანმა, – ჩემი შვილებივით მიყვარან. ჩემი ბაღიდან მოწყვეტილი ვაშლები მგონიხართ სამივენი. არ ვიცი ახლა რაზე ოცნებობენ, მაგრამ... ხი-ხი-ხი... შევუსრულებ... ხი-ხი-ხი... – კვლავ აუტყდა სიცილი, კვლავ აუცრემლდა თვალები, კვლავ მუცელზე იტაცა ხელი და კინაღამ სავარძლიდან ჩამოგორდა.

— შეუსრულებს, შეუსრულებს... – აჰყვნენ სიბნელეში მიმალული ქაჯები.

— მე?! – ძლივს ჩაურთო ჯუმამ.

— სულსწრაფი ბედიები, სიცილსაც არ დააცლიან კაცს! – უცბად მოიქუფრა გუჯმახანი, – შენ ჩემი რჩეული ძე ხარ, რჩეულებში რჩეული... ვიცი, ვიცი, რაცა გსურს!

— მე არაფერი მინდა! – დაიმორცხვა ჯუმამ.

— ჰა, ჰა, რა თავმდაბალი ხარ, ეგრე, შვილო, ეგრე!

— ეგრე, ეგრე!.. – აწრიპინდნენ ქაჯები.

— მე?!

— ჩუ, არაფერი მითხრა, ყველაფერი ვიცი, ვერავინ მომატ-

ყუებს! გუჯმახანი მქვია, მანამ ვიცი ყოველი, სანამ გაიფიქრებდე!.. კი, ბატონო, კი... ყველაფერი აგისრულდება... ჩუ, არ გამაწყვეტინო... იმდენი რამე მთხოვე, გამიძნელდება, ძვირფასო, გამიძნელდება... მაინც შეგისრულებ... ოღონდ...

— ოღონდ, ოღონდ... – აიტაცეს ქაჯებმა.

— ოღონდ? – იკითხა ჯუმა ბედიამ.

— ღმერთები მსხვერპლს მოითხოვენ, შვილო ჩემო! ჩემს ღმერთს კი, ჯაგერნაუტს, წმინდა სისხლი სწყურია! ხ ვ ა ლ ვ ე! – და გუჯმახანმა მარჯვენა გამოუწოდა, ხელისგულზე შავად ბზინავდა ციცქნა რევოლვერი...

ნაწილი IV

აღმოულეჭელ სურვილთა ღღე

თავი I. მზია

მზის სხივი ბალიშზე დაიღვარა და მზიამ თვალი გაახილა. პირდაპირ ბრდღვიალა მზე შემოჰყურებდა. ძაფივით წვრილი ტოტი ჰკვეთდა მზეს. ტოტზე პაწია ჩიტი ჩამოსკუპებულიყო და გატაცებით ჟრიკერიკობდა.

იწვა და ფიქრობდა, ნეტავი რა იყო, რომ დამესიზმრაო. თითქოს კედლები გაიხსნა და ფართო ჭრილიდან წოწოლა, ელამმა კაცმა შემოიხედა. კარგა ხანს უყურა მძინარეს, იხითხითა და იხითხითა... ძილში ძალიან შეეშინდა. ახლა კი, ნათელ ოთახში, შიში სასაცილოდაც არ ეყო.

გაეღიმა. სიცილმა სადღაც გულის სიღრმეში შეუღიტინა, მაგრამ თავი შეიკავა.

გაიზმორა.

კვლავ მზეს გაუსწორა თვალი. გულივით პატარა ჩიტის მფეთქავი სხეული ფართქალებდა მზის ბრდღვიალა დისკოზე. თვალწინ ფერადი წრეები დაუდგა, ცრემლი მოადგა, ვარდისფერი ლაქები ატივტივდა საპნის ბუშტებივით... მზეს აარიდა თვალი, კედელზე ფარდაგივით მიფენილ ათინათებს მიაცქერდა.

მეზობელ ოთახში ფლოსტების ხმა გაისმა. მამა ღამის ცვლიდან მოსულიყო და ახლა ფეხაკრეფით დადიოდა.

— დილა მშვიდობისა, მამიკო! – გასძახა მზიამ, მისი ხმა ზანზალაკივით გაისმა და გულში ექო გამოსცა: „დილა მშვიდობისა, მამიკო!“

— გღვიძავს, შვილო? იწექი, იწექი, ჯერ ადრეა!

— ბუბამ გაიღვიძა? – დროებით შემოსახლებული ბიძაშვილი იკითხა.

— ჰო, კარგა ხანია, სამსახურში გამასწრო!

ოთახი სინათლით აივსო, კედლებმა გაიწიეს. მზიამ ბალიში-

დან წიგნი გამოაძვრინა, შეეცადა ცოტა წაეკითხა. მზე ხელს უშ-
ლიდა და წიგნი გადადო.

ესმოდა, როგორ დადიოდა ამირანი სამზარეულოში. ასანთის ჩხაკუნიც გაიგონა. ალბათ, ყავას იხარშავდა.

მზიამ წამოიწია და მზის დისკოზე მოფართხალე ჩიტი გაფრინდა.

სადღაც რადიო ჩართეს. შტრაუსის ვალსი ისმოდა. მზიამაც ოდნავ გასაგონად ააყოლა ხმა:

— რამპა-რამპა-რამპაპა... რამპა-რამპა-რამპაპა... რამპაპაპა-რამპაპა...

ეს „ვენის ტყის ვალსი“ იყო.

ლოგინიდან აფრთხიალდა და ოთახში მსუბუქად დატრიალდა, თან ცეკვავდა, თან ხმადაბლა მღეროდა, თანაც წამდაუწუმ ეცინებოდა.

სუნთქვა აუჩქარდა. ლოყები წამოუწითლდა. თვითონვე გრძნობდა, რომ მშვენიერი იყო და გულში ჩაბუდებულ სიხარულს ვერ იოკებდა.

მოწყვეტით გაჩერდა სარკესთან.

თმა ჩამოიშალა, ხან ერთ მხარეს დახარა თავი, ხან მეორეს; ხან პირისახე დაიფარა თმით და მაშინ მისი დიდრონი, ცისფერი თვალები ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს ბუჩქებს მიღმა ტბა ისარკებაო; ხან კიდევ თავზე გადაიწმაწნიდა და მაშინ გამოჩნდებოდა სახის უნაკლო პროფილი, სავსე, ახალგაზრდული ტუჩები, თხელი ნესტოები და წარბები, რომელთაც ხან ასე ასწევდა, ხან ისე, უფრო ლამაზი როგორ ვიქნებიო, მაგრამ ყოველნაირად ლამაზი იყო და ეს ახარებდა.

უცებ საკუთარი გულის თრთოლვას მიაყურადა და დამარცვლა:

— ტა-ტო!

ოღონდ ისე, მამას რომ არ გაეგონა.

და კვლავ დატრიალდა ცერებზე. ცეკვავდა ლაღად და წარმოსახული მუსიკის ტაქტზე იმეორებდა:

— ტა-ტო, ტა-ტო, ტა-ტო...

— მოდი, შვილო, საუზმე მზადაა! – სამზარეულოდან გამოსძახა ამირანმა.

— მოვდივარ!

პირდაპირ ღამის პერანგზე გადაიცვა ჭრელი ხალათი. თმა თავზე გადაიწმაწნა და რეზინით შეიკრა. ფეხშიშველა შეიჭრა სამზარეულოში.

ცეკვა-ცეკვით შემოუარა მაგიდას, ცალი მკლავით ამირანს კისერზე ჩამოეკონწიალა, ლოყაზე აკოცა და აბაზანას მიაშურა.

— რამდენჯერ გითხარი, ფეხშიშველა ნუ დარბიხარ-მეთქი, ამოდენა გოგო ხარ! – ამირანი ვითომ წყრებოდა.

— ნუ მეჩხუბები, მამიკო! – წამღერებით იძახდა მზია სააბაზანოდან. ასევე ამღერებული გამოვარდა, თან პირს იმშრალებდა. ფეხი მამის ძველ ფლოსტებში ჩაეყო და განგებ მოაფრატუნებდა.

— ვის დაემსგავსე ასეთი ახტაჯანა? – ღიმილი ულვაშებში ჩამალა ამირანმა.

— შენ, მამიკო, აბა მეტი ვის? – ისევ ლოყაზე აკოცა და სკამი მოიჩოჩა.

— ჰო, კარგი, კარგი, ვისაუზმოთ.

— გუშინ რა ამბავი იყო... – ერთი ლუკმის შემდეგ არატრატდა მზია, კარის მეზობლებს მოსდგა, – გიგო-ბიჭს უთქვამს, თავი დამანებეთ, თორემ ამ პიანინოს ნაწილ-ნაწილ დავჩეხავ და ფანჯარაში გადავყრიო...

— ჰმ, ჭამე, ჭამე! ყოველდღე ერთი და იგივე მესმის!

— ნორამ კი იატაკის ჯოხს დაავლო ხელი და სულ იმით თეთქვა...

— თეთქვა რა სიტყვაა? – შეიჭმუხნა ამირანი.

— სცემა, – განაგრძო მზიამ, – მე კი ვეუბნები, დეიდა ნორა, ცოდვაა-მეთქი. ის კი მეუბნება, თუ ცოდვაა, შენი შვილი იყოს და შენ ასწავლე რამეო, ჭირი და არგახარება მაგასო...

— წამოიზრდება და ხელობას ისწავლის, – ყავა მოსვა ამირანმა.

— მერე სუსანა მივიდა, რა ამბავია ნორაჯან, დაგვაყენეთ, ამდენი ალიაქოთი რაფერ შეიძლებაო, – მზიამ გამოაჯავრა, – იმან კიდევ, შენს ტყავში დაეტიე და შენს მაკლერ ქმარს მიხედე, თორემ მე ვიცი რასაც ვიზამო...

— რავა კაჭკაჭივით მიკაკლავ ყველაფერს, შე ჭორის გუდავ! – გააწყვეტინა ამირანმა, – სხვა დროს რომ ამდენს არ ჭიკჭიკებ?

— სხვა დროს სხვა იყო, – გაიბუსა მზია.

— რაღაცა ამბავია შენს თავს, – ეჭვიანად გააქნია თავი ამირანმა, – შენსას მიმალავ და ქვეყნის ამბავს იმიტომ მიყვები.

ამირანს ცოლი ადრე მოუკვდა, ჩვილი შერჩა ხელთ. დედინაცვალი ბავშვს დამიჩაგრავსო და სხვა ქალი არ მოუყვანია, თვითონ იყო დედაც და მამაც. ისე უვლიდა, ბევრ ქალს შეშურდებოდა. გოგო წამოეზარდა, მაგრამ საფიქრალიც ბევრი გაუჩინა. შვილის მომავალი ბუნდოვნად ესახებოდა. ეშინოდა, ვინმე უღმერთოს არ გადაჰკიდებოდა, გზას არ აცდენილიყო.

— რას უნდა გიმალავდე, მამიკო? – პასუხი შეაყოვნა მზიამ.

— ეგ შენ უკეთ იცი, ძილში რომ ტატოს ჩურჩულებდი, ვინაა?

მზია წამით დაიბნა, მერე კვლავ ატიტინდა:

— ეგა, მამიკო? ტატო როგორ არ გაგიგონია. იყო ეგეთი პოეტი, მოკვდა უკვე.

— გაგებით რავა არ გამიგია, მაგრამ ის გესიზმრა ვითომ?

— არაფერიც არ მსიზმრებია! – შეცვლილი ხმით უპასუხა მზიამ, სიცილი ჩაეშრიტა, მეხსიერებაში სიზმრისეული მოჩვენება დალანდა, შიშმა გულში მოუჭირა.

კართან რაღაცა გაჩხაკუნდა.

— ფოსტა მოვიდა, ფოსტა მოვიდა! – წამოხტა და კარისაკენ გაიქცა.

სუნი ეცა. ვერ გაერკვია, დამწვრისა იყო თუ მძაღე კარაქისა, ან ორივე ერთად.

კარი გამოაღო.

ზღურბლს მიღმა ჯუმა ბედია იდგა. სახე მიწისფერი ჰქონდა, დაღლილობისაგან მუხლები ეკეცებოდა. ისეთი სუნი დადგა, თითქოს ხანძარი ყოფილიყოს.

შიშმა დაზაფრა მზია, უნდოდა მამისათვის დაეძახა, მაგრამ ჯუმამ ტუჩზე თითი მიიდო, თვალებში მუდარა გამოეხატა.

— მზია, მაპატიე, რომ ასე ადრე შეგაწუხე. სათხოვარი მაქვს შენთან. ოღონდ უნდა მენდო, ბრმად უნდა დამიჯერო, რადგან ახლა ვერაფერს აგიხსნი, – შეყოყმანდა, ხმაში უიმედობა გაუჟღერდა, ხვდებოდა, რომ ნათქვამს სიგიჟედ ჩაუთვლიდნენ, მაგრამ მაინც დააბოლოვა: - იცი, დღეს ნურაფერს ინატრებ!

— რა? – ვერ გაიგო მზიამ, შუბლი შეჭმუხნა.

— იცი, ან ნურაფერს ინატრებ, ან ძალიან დაფიქრდი და ისე... – ჯუმამ ქურდულად მიმოიხედა, თითქოს ვინმესი ეშინიაო და

კიბეზე ჩაბრაგუნდა.

მზია სამზარეულოში შებრუნდა, მაგიდის ალაგებას შეუდგა. კვლავ სიზმარი გაახსენდა, თითქოს კედელი გაიხსნა და ელამმა კაცმა შემოიხედა. უნებლიე შიში ჩაიხშო, ამირანს გასძახა:

— მამი, ხომ კარგია, ჩვენთან რომ ბუბა ცხოვრობს?

— ჰო, რა თქმა უნდა! – შეეპასუხა ამირანი.

ნუ ინატრებო! გიჟია ვიღაცა! რა ჰქონდა სანატრებელი? დედას ხომ ვერ გააცოცხლებდა? მამიკო კი უსაყვარლესი ჰყავდა... მეტი რაღა უნდა ენატრა?.. ბუბაც კაი ბიჭი იყო, ყურადღებიანი...

ცხელი წყალი მოუშვა, თეფშები ჩარეცხა და მხოლოდ მაშინ გაიფიქრა: „ტატოს ვუყვარდე სიკვდილამდე!“ შიშმა გული შეუკუმშა, თითქოს ამ სიტყვების გაფიქრება დანაშაული ყოფილიყოს... სიკვდილამდე?! მერე ტატოს რომ რამე დაემართოს?.. ყველაზე უბედური ვიქნებიო, დაასკვნა. მაშინ ისღა დამრჩება, ვინც ჩემზე უბედური აღმოჩნდება, იმისი სანაცვლო გავხდე, ყველაფერი, რაც მექნება, იმას მივუძღვნაო...

აზრი ბოლომდე მომთავრებულიც არ ჰქონდა, ვიღაცამ ყურისძირში ჩაიხითხითა.

გულგახეთქილი შემოტრიალდა. ოთახში არავინ იყო.

— მამი! – გაბზარული ხმით წამოიძახა, – მამი, დაგეძინა?!

ამირანს მართლაც ჩასძინებოდა.

საკუთარი სიმხდალისა შერცხვა, თავი დაიტუქსა. მერე ფიქრში იანგლა, თუ ნატვრაა, ახლა მამიკომ მითხრას, წადი, ჰაერზე გაისეირნე, ამ ბინაში ნუ ჩაგიღამდა თვალებიო. მე კი ავდგები და ტატოსაკენ მოვკურცხლავო.

ამირანის ოთახში ხველება და საწოლის ჭრაჭუნი გაისმა.

— აქა ხარ, შვილო?

— ჰო, მამი!

— წადი, შვილო, ჰაერზე გაისეირნე, ამ ბინაში ნუ ჩაგიღამდა თვალები!

— ჰო, მამი, წავალ!

ტანსაცმლის კარადას ეცა გახარებული. ნახევარ საათში ვაკის პარკის კიბეებთან იდგა...

თავი II. პირველი გაკვეთილები

უთენია სარკეში შემავალი ჯუმა რომ იხილა, მომეჩვენაო, გაიფიქრა. ორი თუ სამი დღე ამის შემდეგ ლოდინად იქცა. უფროსი ძმა გაქრა. მზეჭაბუკი ნერვულობდა. ღამღამობით ცუდად ეძინა. განუწყვეტლივ გაურბოდა რაღაცას, საშინელს. შიშისაგან აცახცახებულს ეღვიძებოდა და ვერ იხსენებდა, რას გაურბოდა. გარეთ კი ქალაქი დუმდა და მოულოდნელი ბგერები თუ დაარღვევდა ამ დუმილს – წაიხროტინებდა კაჭუჭია, ან მანქანა ჩაივლიდა, ან გამვლელი ჩაბაკუნდებოდა, ან ნიავი შემოფაჩუნდებოდა ღიად დარჩენილ სარკმელში და ქალაქი ჰგავდა მშფოთვარე ძილით შეპყრობილ გიგანტს.

მხოლოდ დღისით თავისუფლდებოდა შფოთისაგან, აივანზე გავიდოდა. თითქმის ყველას იცნობდა უკვე. უკვირდა, ეს ამდენი, სხვადასხვანაირი ბუნებისა და გვარის ხალხი ერთ სახლში რამ შეჰყარაო. ბნელ საერთო დერეფანში რამდენიმე კარი გამოდიოდა. კუთხის ბინაში ზაზუნა და ნორა ცხოვრობდნენ. ზაზუნა სადღაც ნოქრად მუშაობდა, ყოველ საღამოს კაი-კაი ბარკლები მოჰქონდა შინ. ნორა კი მთელი დღე გიგო-ბიჭს ათრევდა თმებით. იმათი ბინიდან მუდამ კივილი ისმოდა: „ისწავლე, ისწავლე, შე სასიკვდილე! ტყუილად ვხარჯავთ ამდენ ფულს?!“ კივილს პიანინოს ხმა მოჰყვებოდა და ნორა ფერებაზე გადადიოდა: „აგრე არ ჯობია? ოღონდ კამპაზიტორი გახდი და თან გადაგყვებით!“ საპირისპირო კარი ქალბატონ ვასასის ეკუთვნოდა. იქ მურკა წკმუტუნებდა, ფეხებით კარს ფხოჭნიდა. ღია აივნის დივანზე სუსანა გამოიკვანწებოდა ხოლმე, მზეს მიეფიცხებოდა და ხორბლისფერ მუხლისთავებს გამოაჩენდა. რაფიკა მაკლერი მთელი დღე იკარგებოდა და სუსანას უსაქმობისაგან, ალბათ , ნაირ-ნაირი ცოდვილი აზრები მოსდიოდა. აივნიდან ზემო სართულების სხვა აივნები და ფანჯრები ჩანდა. აგერ, ახლო ფანჯარა მზიასი იყო და მზეჭაბუკი თვალს არიდებდა, თითქოს ეკრძალებაო. მოპირდაპირე მხარეს დოცენტი პაპუა ჩირგაშვილი ცხოვრობდა. მასთან ხშირ-ხშირად შეთქმულებივით დაძვრებოდნენ აბიტურიენტები... ეზო ჭას ჰგავდა, შუაში ერთადერთი თუთის ხე იდგა და იმის ჩრდილში

ბავშვებს მთელი დღე გაჰქონდათ ჟრიამული.

ერთობოდა ყოველივე ამით მზეჭაბუკი, მაგრამ ღამე, ლოგინში კვლავ მოუსვენრობა ესტუმრებოდა.

ერთხელაც სუნმა გამოაღვიძა. ოთახში თითქოს რაღაცა ხრჩოლავდა.

— კაჭუჭი, ხანძარია! – იყვირა და ლოგინიდან წამოიჭრა.

თავჩაქინდრული ჯუმა საწოლზე იჯდა, პირისახეზე მიწისფერი დასდებოდა.

— ჯიმაია, რა დაგემართა? – განცვიფრებული მზეჭაბუკი მიხვდა, ძმას სდიოდა დამწვრის სუნი.

— ხმა ჩაიწყვიტე! – შემოჰღრინა ჯუმამ, თვალები გაკვესა. მზეჭაბუკს ენა ჩაუვარდა. კაჭუჭიაც წამომჯდარიყო და უაზროდ აცეცებდა თვალებს.

შეურაცხყოფილი მზეჭაბუკი კედლისაკენ მიბრუნდა, თავზე საბანი წამოიხურა.

ჯუმას არც მოუხედავს ძმებისაკენ. გაშიშვლდა, ტანსაცმელს იატაკზე ყრიდა. ახალსა და სუფთას იცვამდა. ძველები თასმით შეკრა, გაიტანა. მალევე შემობრუნდა, ეტყობა სანაგვეში გადაუძახა.

სუნი კი მაინც სდიოდა.

— ვინმემ ხომ არ მომაკითხა? – ყრუდ იკითხა.

— ა-არა! – ენის ბორძიკით უპასუხა კაჭუჭიამ.

— მით უკეთესი, – ჩაიდუდუნა ჯუმამ, თან ხელჩანთაში აწყობდა საპონს, პირსახოცს, ყველაფერს, რაც აბანოში დასჭირდებოდა, – მით უკეთესი... მზიას ხომ არაფერი დამართნია?

— ვინ მზიას?

— ზევით რომ ცხოვრობს, ამირანის გოგოს.

— რა უნდა დამართნოდა, ყოველ დილას სიმღერით ხვდება.

— რა ემღერება?

— მე რა ვიცი!

მეტი არაფერი უთქვამს ჯუმას. გასვლისას, ნუ დამელოდებითო, დააგდო და წავიდა..

ნასაუზმევს აივანზე გავიდნენ. მზეჭაბუკმა ეზოში გადაიხედა. მეეზოვე საქმიანად რწყავდა, ბავშვები კი სიცილ-კისკისით წყლის

შხეფებს ეტანებოდნენ.

კაჭუჭია, დივანზე, მუთაქებში მოკალათებულ სუსანას დაუდგა წინ. რაღაცას უქარგავდა მომხიბლველი ღიმილით, თან ისე გაჯგიმული იდგა, სანახავად ღირდა. სუსანამ პირზე ქათქათა ცხვირსახოცი აიფარა და გულიანად ხითხითებდა.

უცბად, — ამას მზეჭაბუკი ნაღდად არ მოელოდა და მოულოდნელობისაგან კინაღამ ეზოში გადავარდა, — აივანზე დაბარებულივით როგნედა ამობაკუნდა. გოგონამ კიბე ამოათავა და მზეჭაბუკმა მაშინღა დაინახა. ყანჩასავით გრძელი ფეხებით ორ-ორ საფეხურს ტოვებდა, თან წიგნებით დატენილ ჩანთას მოაქანებდა.

— ნელა, გოგო, კისერი არ მოიტეხო! – მოსძახოდა ქალბატონი ღაღული და ხვნეშა-ხვნეშით ძლივს ამოდიოდა, – რა კიბე ყოფილა ეს დასაწვავი... – დუდღუნებდა, თან სულის მოსათქმელად ჩერდებოდა.

მზეჭაბუკს ფერი ეცვალა, იფიქრა ჩემთან მოდიანო. სხვა რა შემთხვევითობისათვის უნდა მიეწერა გოგონას გამოჩენა. ერჩივნა დამალულიყო, მაგრამ ფეხები შეებორკა. ამასობაში კი როგნედა მის წინ დაერჭო.

— ბა, შენა ხარ? – წამოიძახა, მის ხმაში არც სიხარული გაჟღერებულა და არც წყენა, — უბრალოდ გაკვირვება.

მზეჭაბუკმა თავი დაუქნია, ხმა კი ვერ ამოიღო.

— აქ ცხოვრობ?

მზეჭაბუკმა კვლავ თავი დაუქნია.

— ენა ხომ არ გადაყლაპე? – გაეცინა გოგონას და უცებ ციბრუტივით დატრიალდა, – ნახე, რა კაბა შემიკერეს!

მართლაც კარგი კაბა ეცვა, ნამდვილ პრინცესას ჰგავდა.

— ხომ ლამაზია?

— ლამაზია, – ძლივს ამოღერღა მზეჭაბუკმა.

— იმ ღამეს რად დარეკე? კარგი ბიჭები ასე არ იქცევიან, – თქვა ბუტია ბავშვივით.

— რატომ?

— შუაღამეს ვინ გიჟი დარეკავს, ყველას ძილი გაგვიტყდა. დედა მეკითხებოდა, ვინ არისო. მე გავახსენე, ის არის-მეთქი, არ დამიჯერა...

— ბოდიში, აწი არ დაგირეკავ.

ამასობაში ღაღულიც ამოვიდა. სული მოითქვა. მასაც გაუკვირდა მზეჭაბუკის ხილვა.

— აჰ, ჩვენი ახალგაზრდა კავალერი.

— გამარჯობათ, ქალბატონო! – მოწიწებით თავი დახარა გაწითლებულმა მზეჭაბუკმა, ხელის გაწოდება კი ვერ გაუბედა.

— ჰმ, კავალერი! – ცხვირი აიბზუა როგნედამ, ბიჭს გვერდი აუქცია და გზა განაგრძო.

— Несносный ребенок! – თქვა ქალბატონმა ღაღულიმ, – ნუ ჯავრობ, გეთაყვა, მაგან სხვანაირი დაფასება არ იცის!

— რა ვიცი, აბა... – ენის ბორძიკით შეეპასუხა მზეჭაბუკი.

— Несносный ребенок, ისეთი ანცია, თოკით ვერ ვაბამ. ამასწინათ ჩვენთან დაგირეკია. დარეკე, შვილო, დარეკე, ოღონდ ისეთი მგრძნობიარე ჩანხარ, გული გეტკინება, ახლანდელი ბავშვები არ დაგიფასებენ. ჩემი როგნედა კი მთლად ბავშვია, არ ვიცი, როდის დაჭკვიანდება...

— დედიკო, გიცდი! – გოგონა უკვე მესამე სართულზე ავარდნილიყო და ზემო აივნიდან იყურებოდა.

— ახლავე, ახლავე! – აჩქარდა ქალბატონი ღაღული.

— დედიკო, ჩქარა რა! – ჭირვეულად გადმოსძახა როგნედამ.

— Несносный ребенок! – მერამდენჯერ ამოიხვნეშა ქალბატონმა ღაღულიმ, მზეჭაბუკს ლოყაზე ხელი მოუთათუნა და მესამე სართულის კიბეს შეუყვა.

მზეჭაბუკმა თვალი მიადევნა. პაპუა ჩირგაშვილის ბინის კარს მიადგნენ. როგნედამ უცებ მოიხედა, ენა გამოუყო და გაიცინა.

მზეჭაბუკს გულზე მოეფონა, გამხიარულდა. ალბათ ის დოცენტი ამეცადინებსო, მიხვდა.

შემობრუნდა და პირდაპირ რაფიკა მაკლერს შეეჩეხა.

— ვა, მეზობელო, აქ რას უდგახარ?

მიმოიხედა. სუსანა და კაჭუჭია არსად ჩანდნენ. თავზარი დაეცა, გონს ძლივს მოეგო.

— ვა, ენა შასჭამე?.. როგორ მაეწყვეთ ვასასის ოთახში?.. რამე-რუმე ხომ არ გჭირდებათ? ავეჯ-მავეჯი, ფირთი-ფურთი, ჭურჭელ-ჩურჩელი, იაფი-ძვირი, იმ წამსვე რაფიკა გააჩენს.

— გმადლობთ, – საკმაოდ მშვიდად უპასუხა ბიჭმა, – ჯუმას შევეკითხები, იმან უკეთ იცის.

— შეეკითხე, შეეკითხე! ისიც უთხარი, რაფიკამ შემოგითვალა-თქო, ხუთი მანეთი მერგება-თქო, თვეში-თქო, აივანს ხომ ჩემი სუსანა გირეცხამს-თქო. ვა, მეზობლები ხართ, მაგრამ ფული, ხომ იცი, სჩიოტ ლიუბიატ... კუზიანი ვასასი კი ისეთი ფინთია, რას მოგცემს, ქვა რომ ხელში ჩაიდოს, შიგ ჩაიდნობს.

— ვეტყვი! – მზეჭაბუკს მობეზრდა, მაგრამ ცდილობდა დროის გატანას, – ისე, დღეს რაღაც კარგ გუნებაზე ხართ.

— ვა, მა არ ვიქნები? – რაფიკამ ჯიბიდან ფულის მოზრდილი დასტა ამოაცოცა, ხელში გაატკაცუნა. – მივედი ალექსანდროვის ბაღში, არავინაა. რა დღეა ისეთი-მეთქი. კლიენტები მოდიან, მარტო ვმუშაობ. ხუთი ბინა გადავცვალე, ხუთი გავაქირავე, სამი კიდევ სერვიზი, ერთიც სპალნია... სულ ერთ საათში გავაკვარახჭინე... კარგი დღე იყო. როცა ტუზიკას, პიჟონას, კიკიმორას ვეტყვი, ხომ გაგიჟდებიან... ბოღმა და შური... ვა, მა რა!

ეს თქვა და სიტყვა გაუწყდა. მზეჭაბუკს გული ჩაუვარდა.

რაფიკას ბინიდან კაჭუჭია გამოვიდა. ერთობ მოთენთილი ჩანდა, ნასიამოვნები, კატასავით კრუტუნებდა და იდიოტურად იღიმებოდა.

უცებ ზაფრა ეცა. ჩაახველა, ნერწყვზე კინაღამ დაიხრჩო. მალევე გონს მოეგო, გაიჯგიმა და კუნთები ააბურთავა.

— რაფიკ, სადა ხარ, შე კაცო. რამდენი ხანია ვფიქრობ, ახლა კი არა, ახლა მოვა-მეთქი...

— ა-აქა ვარ, ვა, მა სად ვიქნები!.. – ენა აუბორძიკიდა რაფიკას და უცებ დაიჭყივლა: - სუზი!

— რა იყო, შე კაცო, რა გაღრიალებს! – დინჯად თქვა კაჭუჭიამ და წინ გადაუდგა, – რა მოხდა? ერთი ჭიქა ყავა დაგილიე, ოჯახი კი არ ამომიწყვეტია. ფიე, მოგცემ მაგის აბაზიანს და ისაა...

ჯიბეში ჩაიყო ხელი, შიგ აბაზიანიც არ უჭყაოდა.

— ვა, მამაძა, ყავა-მავა არ ვიცი მე! – თქვა შემკრთალმა რაფიკამ ჭირვეულად, – სუზი!

აივანზე აწითლებული სუსანა გამოგოგმანდა.

— რაფიკჯან, აგრე რატომ მიყვირი, დაგიშავე რამე? – ისე ნაზად ჩაიღიღინა, ცით მოვლენილი ანგელოზი ყოფილიყოს.

— სუზი, ეგ იყოს პირველი და უკანასკნელი! – ხმა აუკანკალდა რაფიკას, – მეტი არ ვნახო, თორემ, იცოდე, გავბრაზდები!.. აჰა, შეინახე! – ფულის დასტა გადასცა და კიბე ჩაირბინა, თან თავისთვის ბუტბუტებდა: — ვა, მამაძა, ყავა-მავა...

კაჭუჭიამ ხარბად მიაყოლა თვალი ფულს, არაფერი უთქვამს.

— ნახვამდის! — ნაზად დაუქნია ხელი სუსანამ და შინ შებრუნდა.

მზეჭაბუკი თავს ისე გრძნობდა, თითქოს სიბილწეს შეხებოდეს, მაგრამ ეს სიბილწე რატომღაც აღელვებდა და ამიტომ რცხვენოდა.

— იფ, რა ქალი იყო, რა ქალი, – ტუჩები ააწკლაპუნა კაჭუჭიამ.

დივანზე ჩამოჯდა და ფეხი ფეხზე შემოიდო. მზეჭაბუკი აივნის მოაჯირს მიეყრდნო, გაბუსული ფრჩხილებს იკვნეტდა.

ვასასის ბინაში მურკა აწკავწკავდა. „გაჩუმდი, შე საძაგელო!“ – ვასასის ხმა მოისმა. რაღაცნაირად უფრო ხალისიანი და ახალგაზრდული მოეჩვენა მზეჭაბუკს.

მურკა მაინც არ გაჩუმდა, წკმუტუნებდა და კარს ფხოჭნიდა.

— წადი, გაისეირნე!

კარი გაიღო. ღრიჩოში წამიერ გამოჩნდა კარის გამღები. ახალგაზრდა, საკმაოდ მომხიბლველმა ქალმა, რომელსაც ვასასი კუზიანის საშინაო ხალათი გადაეცვა, თვალები გამოაბრიალა.

მურკა მხიარული ყეფით გამოვარდა დერეფანში, წინ და უკან გაცუნცულდა, კაჭუჭიას ფეხსაცმელი დასუნა, შეუღრინა, მერე მზეჭაბუკთან მივიდა და ყეფა დაუწყო.

მზეჭაბუკი აივნის მოაჯირზე ჩამოჯდა, მურკა ვერ წვდებოდა და ქვევიდან უყეფდა. ყმაწვილებმა გაიცინეს. „მურკა, მურკა!“ – მიუალერსა მზეჭაბუკმა. ძაღლმა თავი დაანება და ეზოში ჩაცუნცულდა.

ამასობაში პაპუა ჩირგაშვილმა მეცადინეობა მოათავა. როგნედა და ღაღული აივანზე გამოაცილა. მზეჭაბუკი უფროსებს კარგად ხედავდა, მათი ლაპარაკიც ესმოდა. როგნედამ კი გაასწრო დედას და ახლა კიბეზე ჩამორბოდა.

— რა ვქნა, ქალბატონო ღაღული, რა ვიღონო? – მკერდზე მჯიღს ირტყამდა პაპუა ჩირგაშვილი, – ჩვენც კაცნი ვართ, ცხოვ-

რება გვინდა... აბა, რა მრჯის მე, დოცენტ კაცს, ბავშვებს შუშანიკის წამება ვაზეპირებინო, ჭირს ცხოვრება და რა ვქნა... მესმის, რომ ძვირია. კი, ბატონო, გეთანხმებით, — არ აძლევდა ქალბატონ ღაღულის ხმის ამოღების საშუალებას, — გეთანხმებით, მაგრამ ბევრი შრომა გვიწევს, ძალიან ვიტვირთებით. არა, ნუ იფიქრებთ, მარტო მე ვიყო... სხვებთანაც მიბრძანდით, მერწმუნეთ, ფასი ყველგან ერთია... მესმის, ყველაფერი მესმის...

ქალბატონი ღაღული ცდილობდა თითო-ოროლა სიტყვა ჩაერთო, მაგრამ ამაოდ, ოჰისა და აჰის გარდა ვერაფერს ახერხებდა.

— აბა, როგორც შევთანმხდით, ქალბატონო ღაღული, კვირაში ორჯერ თქვენი ცუგრუმელა გამომიგზავნეთ. ნახვამდის, ნახვამდის!

პაპუა ჩირგაშვილმა ხელები მოიფშვნიტა, „ესეც ასე!“, — ჩაიდუდუნა და შინ შებრუნდა. ქალბატონი ღაღული კი კიბეზე ეშვებოდა და თან შვილს უხმობდა:

— მომიცადე გოგო, სად გარბიხარ? Несносный ребенок!..

მზეჭაბუკი მოაჯირიდან ჩამოხტა და მოწაფესავით აიტუზა.

გოგონა გაჩერდა, ჩანთა ორივე ხელით ეჭირა და აქეთ-იქით აქანავებდა.

— კვირაში ორჯერ უნდა მოვიდე, დილის საათებში! – აცნობა და ენის წვერი ტუჩებზე მოისვა. სველი ტუჩები მთლად ვარდისფერი და პუტკუნა გაუხდა.

— ძალიან გვესიამოვნა! – დივანიდან წამოიწია კაჭუჭია, თავი დაუკრა.

— ჩემი ძმაა, კახაბერი! – მზეჭაბუკს ყელი გაუშრა.

— ჰმ, რა ღიპუშკაა! – გაიცინა გოგონამ, თავი გააქნია, თმები შუბლიდან გადაიყარა.

ქალბატონმა ღაღულიმ კიბე ჩამოათავა და ახლა აქეთკენ მოდიოდა.

როგნედამ ენა გამოუყო ძმებს, ისევე როგორც წელან მესამე სართულის აივნიდან, და კიბეს მიაშურა, ხტუნვა-ხტუნვით ეშვებოდა.

— მოიცა, გოგო! დედა, რა ბავშვია!.. – მისძახოდა ქალბატონი ღაღული.

ეზოში გოგონას გაწიწმატებული მურკა ეცა, გოგონა კისკისებდა და ჩანთით იგერიებდა.

მზეჭაბუკი უყურებდა ზევიდან, ეღიმებოდა – „ბავშვია, მთლად ბავშვი!“

კაჭუჭიამ გაიზმორა, როგნედას სველი ბაგეები თვალწინ უტრიალებდა.

„აჰ, ეს ხვლიკუნა ხელში რომ ჩამივარდებოდეს!“ – გაიფიქრა ნეტარებით.

უმალ ხითხითი მოესმა. შეშინებულმა მიმოიხედა. აივანზე ძმებს გარდა არავინ იყო... გოგირდის სუნი დადგა...

თავი III. საფლავნი მამათა

წინა ღამეს ტატოს არ ეძინა. რამდენჯერაც სცადა დაძინება, იმდენჯერვე სიტყვათა ლაშქარი აემგზავრებოდა და ძილს უტეხდა. სიტყვები ჯერ დანაწევრებული იყო, ქაოტურად ირეოდნენ, თითქოს ყოველ მათგანს მართლაც და დამოუკიდებლად შეეძლო არსებობა. არსებობდა სიტყვა „პური“, „წყალი“, „ჰაერი“, არსებობდა „სიყვარული“, „ტყვია“, „სიკვდილი“... ვინ ჩამოთვლის, რამდენი სიტყვა არსებობდა და ყველას ცალკე ცხოვრება ეწადა.

ტატო იტანჯებოდა, ლამის თავი უსკდებოდა. სინათლეს აქრობდა, თვალს ხუჭავდა. სიტყვები მაინც არ აძლევდნენ საშველს და მირიადი მწერივით ყურებში ზუზუნებდნენ.

ხანდახან მშვიდდებოდა, ტყვედ ნებდებოდა შემოსეულ მტერს, მაშინ სიტყვები ლაგდებოდა ბწკარებად და სტროფებად, ოღონდ ისინი ისეთი სუსტი ძაფებით იყო ერთმანეთს მიბმული, რომ ლოგინიდან მაგიდამდე ვერ მიჰქონდა. კალამს ხელში აიღებდა და უმალვე ტანჯვით მოპოვებული წესრიგი ირღვეოდა... თავს ზევით ძალა არ იყო, კალამს კედელს მიანარცხებდა, ისევ ლოგინს უბრუნდებოდა. გაიტრუნებოდა, რათა მშფოთვარე ძილს მისცემოდა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. ზოგჯერ ახერხებდა სტროფის დაწერას, წამით იმედი მოეცემოდა და კვლავ ქრებოდა. როცა გადაიკითხავდა, ტუჩებს იკვნეტდა, ქაღალდს დაჭმუჭნიდა, იატაკზე მოისროდა. იქ უკვე უამრავი დაჭმუჭნილი ქაღალდი ეყარა და ტატო ცდილობდა არ მიეხედა იქითკენ იმ კაცივით, ვინც

თვალს არიდებს სასაფლაოს, სადაც ახლახან მიაბარა საყვარელი ადამიანი.

ასე შემოათენდა.

გარიჟრაჟზე ცივი ყავა დალია და ვაკის პარკში წავიდა.

აქ სეირნობდა მოჟუყჟუყე წყალვარდნილთან. წყლის მუსიკა აფრთხობდა მტრად ქცეულ სიტყვებს. სუფთა და გრილი ჰაერი სულს უმშვიდებდა, უწმენდდა.

მერე მზე ამოვიდა აუჩქარებლად. ტატო ავიდა მთის ფერდობზე, რათა მზის ამოსვლის სასწაულისათვის ეცქირა. თბილისის სახურავებს დილის ჯანღი ადგა და მზესაც თითქოს თხელი პირბადე აეფარებინა. სხივები უგზო-უკვლოდ მიმოიფანტა, გამორჩეულად ანათებდა კრამიტებსა და თუნუქის სახურავებს, წითლად რომ ღვიოდა ანდა ალუმნისფრად დუღდა და იქნებ ჩამოღვენთილიყო კიდეც.

მზის სხივები მთაწმინდის მთელ ფერდობს დაჰყვა, უამრავი ხაზებით დაალიანდაგა, ათინათები კი, რომლებიც აურაცხელ მინაზე ირეკლებოდა, ჩრდილოვან კალთებს შესეოდა თეთრი ბაცაცებივით.

პარკში, სადაც ბუჩქებს შერჩენილი ბინდი კვამლივით იცრიცებოდა, ბულბული გალობდა. ჭაბუკს თვალზე ცრემლი მოადგა, ალბათ კეთილი შურისა, რადგან ერთი ბეწო მაფშალია მღეროდა თავის სიმღერას, თვითონ კი ვერა.

კასკადის პირას, ტირიფქვეშ, ძელზე ჩამოჯდა.

„უნდა იცხოვრო, უნდა თვითონ განიცადო ყოველივე...“ — ფიქრობდა. რა უნდა განეცადა? ან რანაირად ეცხოვრა? მრჩეველი არავინა ჰყავდა, მის გარდა არც არავის უნდა სცოდნოდა პასუხი ამ კითხვებზე.

ფიქრით დაუბრუნდა ბინის კედელზე ჩამოკიდებულ მამისა და პაპის სურათებს, რომელნიც ყოველ დილას, ყოველ საათსა და წუთს ახსენებდნენ მთავარ მოვალეობას.

„საყოველთაო სიმღერა თავისუფლებისა“, — ასე წააწერა თავის უმთავრეს ლექსს, არც კი ახსოვდა როდის, ალბათ მაშინ, როცა პირველად ჩამოჰკიდა ეს ორი სურათი კედელზე, ჩე გევარას სურათის გვერდით... ეს იყო და ეს. სტროფი სტროფს მისდევდა, მაგრამ არ იყო ის „საყოველთაო სიმღერა“, რომლის გამო იწვოდა. უკვე არ სჯეროდა, რომ ოდესმე დაიწერებოდა იგი, გული უტყდებოდა, მაინც ჯიუტად უბრუნდებოდა ერთსა და იმავეს, ეწამებოდა...

მუხლებს იდაყვებით დაეყრდნო, თვალები დახუჭა. თვალწინ კვლავ სიტყვათა ქაოსი ურიალებდა; ხანდახან ლაგდებოდა უღიმღამო, გაცრეცილ, ხმარებისაგან ფერდაკარგულ ფრაზად და ტატო დაუნდობლად უკუაგდებდა მას.

წყლის თანაბარი ჩხრიალი ჩაესმოდა. გონებაში ბინდი შემოდიოდა. აზრი სუსტდებოდა, მოსწყვეტოდა ამქვეყნიურ რეალობას და სადღაც ტკბილი ზმანების სამეფოში გადადიოდა. წყლის ჩვეული ჩხრიალი თანდათან მოშორდა სმენას. მის ადგილს სხვა ხმა იკავებდა, მდელოში ჩაკარგული ნაკადულის წანწკარი, რომელიც ასე ჰგავდა შორს მყოფი ადამიანების უთავბოლო ჩურჩულს... მერმე ხმა მომძლავრდა... ეს უკვე ხმები იყო... ბრბოს ყაყანი ედგა ყურში...

ტატომ თავი აიღო და თვალს არ დაუჯერა... ადგილი ვეღარ იცნო...

* * *

ადგილი მართლაც არასოდეს ენახა... ზურგსუკან მთა, ალბათ, მამადავითი იქნებოდა, თუმცა მის კალთებზე ეგოდენ დაბურული, ბებერი ტყე არ ეგულებოდა. მზე საიდანაც ამოდიოდა, ციხის შორეული გალავანი და ქონგურები მოჩანდა. ერთმანეთზე მიხუხულავებულ ქოხთა რიგებს კვამლის სქელი ფენა ადგა და აქაიქ მოგიზგიზე ხანძარი ლოკავდა კედლებს. არსად ჩანდა მრავალსართულიანი სახლები, ასფალტირებული ქუჩები, არ ისმოდა ავტომანქანების უწყვეტი გუგუნი, ყველაზე მშვიდ და მოფარებულ ადგილას რომ აღწევს ხოლმე. ეს თუ თბილისი იყო, ქალაქი არ ჰგავდა თავის თავს.

ტატო შემაღლებულზე იჯდა, კუნძზე. ირგვლივ ველური ბუჩქნარი ეხვია. გამქრალიყო გეომეტრიული სიზუსტით გამოთლილი გრანიტის კასკადი. მხოლოდ სუსტი ნაკადული იწრიტებოდა

უჩუმრად მაღალ ბალახში.

ბუჩქებს მიღმა მოისმოდა ბრბოს ყაყანი, ზანზალაკების წკარუნი, ცხენთა ჭიხვინი და თქრიალი... ხეთა კენწეროებზე მტვერი ადიოდა ბოლქვებად.

როცა წამოიწია, იგრძნო, უთვალთვალებდნენ. შემკრთალი შეტრიალდა. აქლემის კოზაკს თავი გამოეყო ბუჩქებიდან და გულგრილად ლოღნიდა ნარეკალს.

ტატო ტოტებს შორის ფრთხილად გაძვრა და, ჩრდილში დამალულმა, გაიხედა. თავი სიზმარში ეგონა, ხელზე იკბინა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა.

გათელილ მინდორზე უცხო მხრიდან ჩამოსულ ქარავანს დაეცა ბანაკი. აქლემებს წრეზე ჩაემუხლათ. უამრავი, მძიმედ დატვირთული სახედარი ეყენათ ჯგუფ-ჯგუფად. შუაში კოცონი ენთო. ცხვრების მოკვეთილი თავები და შიგნეულობა მტვერში აზინთულიყო, ძაღლების ხროვა ზედ ეხვეოდა ყეფა-წკმუტუნითა და ალიაქოთით. იქვე ჭრელ აღმოსავლურ ხალათებში ჩაცმული კაცები ისხდნენ და ჯერაც უმ ხორცს ჯიჯგნიდნენ. ყველაფერ ამას ცერისტოლა ბუზი ეხვეოდა და ჰაერში გულისამრევი სიმყრალის სუნი ტრიალებდა.

ბანაკს ირგვლივ ხმლებითა და შუბებით შეიარაღებული მეომრები ყარაულობდნენ, პანღურით ერეკებოდნენ თავზეხელაღებულ მათხოვარ ბავშვებს, რომლებიც მექარავნეებს პირიდან სტაცებდნენ გამოხრულ ძვლებს.

უყურებდა ყოველივეს ტატო და საგონებელში ჩავარდნილიყო.

კინოგადაღებაო, ჭოჭმანით გაიფიქრა, თუმცა არსად იყო გადასაღები ტექნიკა, არ ენთო პროჟექტორები, არ დარბოდნენ რეჟისორი და მისი ასისტენტები.

გვერდით ტოტმა გაიფაჩუნა. წყვილი თვალი შემოაცქერდა ყურადღებით. ჩამოძონძილი ბიჭი იყო.

— ქართველი ხარ? – ჰკითხა ჩურჩულით ტატომ.

ბიჭმა თავი დაუქნია.

— რა გქვია?

— გიორგი.

— ესენი ვინ არიან?

— არა ვიცი.

— სკოლაში არ დადიხარ?

ბიჭმა წამწამები ააფახულა.

— არცა უწყი, რასა-ეგე შენ იტყვ.

ტატო შეყოვნდა, ეჭვით შეათვალიერა, ხომ არ დამცინისო.

— ეს ქალაქი თბილისი არ არის?

— ჰაბა? – ბიჭმა თავი ბუჩქში გაყო, ქარავანი და მისი დაცვა ყურადღებით შეათვალიერა, ჩურჩულით მიუბრუნდა ტატოს: - ფრთხილ იყავ... უშჯულონი მოგვიხდეს ქალაქსა ზედა, რამეთუ ინება უფალმან მოწყუედაი ჩუენი... გფარვიდეს უფალი! – ხმადაბლა დაუგდო და გაუჩინარდა.

— ნახვამდის! – მიადევნა ტატომ.

არ იცოდა რა ეკეთებინა, ყოყმანობდა. მერე არჩია ქარავნისათვის თავი აერიდებინა და ქალაქისაკენ ტყე-ტყე გასწია.

საკმაოდ სწრაფად მიდიოდა. საათი არ ჰქონდა. დროის მსვლელობა აერია. ის ადგილი, სადაც ვაკის უბნები ეგულებოდა, ახლა ასწლოვან უღრან ტყეებს დაებურა, რომელსაც აქა-იქ ჰკვეთდა საურმე თუ საქარავნე გზები და ბილიკები. რაც უფრო მიიწევდა წინ, მით უფრო მეჩხერდებოდა ტყე და, ბოლოს, ნახანძრალზე გავიდა. ფოთლები აესხიპა ალს და ჩანახშირებულ ხეებს შავი ტოტები გაეფარჩხა. ალაგ-ალაგ ჯერ კიდევ ბოლავდა და ჰაერში მჭვარტლი და ფერფლი ტრიალებდა.

ნახანძრალის გაღმა ქალაქის გალავანი იგრაგნებოდა მთის კალთებიდან ვიდრე მტკვარამდე და ალბათ მის გაღმაც. ძლიერი გოდოლები შეემუსრა, ზღუდეები მოერღვია შემოსეულ მტერს. ზოგან ჯერ კიდევ ეყარა დახოცილთა გვამები და ქალაქის თავზე ყვავ-ყორანთა შავი ლაშქარი ირეოდა.

ტატო ხეს ამოეფარა. გაშლილი მიდამო მოფენილი იყო მოხრილი ხმლებითა და გრძელი შუბებით შეიარაღებული მეომრებით. ასეთი ხალხი არც ენახა ოდეს. ელდანაცემი მთლად მზერად გადაიქცა: „თუალითა მცირე ჭურიტ და გრემან, განზიდულ და საჩინო; თავითა დიდ, თმითა შავ და ხშირ, შუბლ-ბრტყელ, ცხვირითა მდაბალ ესოდენ, რომელ ღაწუნი უმაღლეს იყვნიან ცხვირთა და

მცირედნი ოდენ ნესტუნ ჩნდიან ცხვირთა; ბაგენი მცირე, კბილნი შეწყობილნი და სპეტაკ, ყოვლად უწუერული, ესევითარი აქუნდათ უმსგავსო სახე...“

ტატომ შეუმჩნევლად დაიხია, მდინარისაკენ დაეშვა ფრთხილად. არ უნდოდა მტრის მეომრებს შეჰფეთებოდა. ხანდახან გაიხედავდა ხეს ან ბუჩქს ამოფარებული. ყველგან მტერი იყო, კალიასავით შესეოდა მიდამოს. იდგა ერთი ყაყანი და ალიაქოთი. წაღმა-უკუღმა დააქროლებდნენ უბელო ცხენებს, დაათრევდნენ ნაალაფარს, ცხენზე გადაგდებულ ხელ-ფეხშეკრულ დიაცთ, იყორავდნენ მუცლებს, ვენებს უხსნიდნენ ცხენებს და სისხლს ეწაფებოდნენ, გამარჯვებით დამთვრალნი თავებს აჭრიდნენ ტყვეებს, ცხვირ-პირს უნაყავდნენ ერთმანეთს, ეყარნენ და ხვრინავდნენ... ტატოს კი გული უქვავდებოდა, ზიზღი და სიძულვილი ახრჩობდა.

მდინარის დუდუნი შემოესმა. მტკვარი შეეღება წითლად სისხლს, გვამები მოჰქონდა... თვალი აარიდა. შარაზე გავიდა.

გზა ქალაქის ბჭეში შედიოდა. ბჭეც მოერღვია მტერს და უზარმაზარი კარები ეყარა გზის პირებზე.

იქ უამრავი შეიარაღებული მეომარი ირეოდა.

ცხენთა თქარუნი მოესმა. შარაზე მტვერი ავარდა. თეთრ ცხენზე ბრგე ვაჟკაცი იჯდა. ჯაჭვის პერანგი ეცვა, ოღონდ არც ხმალი ჰქონდა, არც ხანჯალი, არც შუბი. სადავისათვის ჩაევლი მარცხენა და ცხენი ნებაზე მიეშვა, მარჯვენაში მათრახი ეჭირა.

შეაძრწუნა ტატო ვაჟკაცის ხელებმა. დაუოკებელი, შეგუბებული ძალა იგრძნობოდა მათში და, ამასთან, სასოწარკვეთა, უსუსურობა, თითქოს უხილავი ჯაჭვებით შეეკრათ ისინი. უნდოდა სახეს დაჰკვირვებოდა, ოღონდ თავი დაეხარა მეომარს, ფაფარი ჩამოშლოდა, წვერი მკერდზე სცემდა. მის არსებაში აშკარა უნუგეშობა იგრძნობოდა.

ამხედრებული მხლებლები მოჰყვებოდნენ ფეხდაფეხ, მასზე უფრო მდიდრულად ჩაცმულნი. ისინიც მგლოვიარეებივით სახედაღვრემილნი იყვნენ, თითქოს სასიკვდილოდ მიაცილებდნენ თავიანთ უფალსა და პატრონს.

უცბად გადაწყვიტა ტატომ. გამოვარდა სამალავიდან და

მხლებლებში შეერია. ორ ცხენოსანს შორის გარბოდა, თან უზანგებისათვის ჩაევლო ხელი. მხლებლებს არც არაფერი გაჰკვირვებიათ, არც ხმა ამოუღიათ... ასე უნდა გადაელახა ბჭე, თუმცა არ იცოდა, რა მოელოდა იქ, მისთვის ახლობელ, მაგრამ ახლა სრულიად უცხო ქალაქში.

კარიბჭეს რომ გაუსწორდნენ, ორივე მხრიდან მეციხოვნენი გამოცვივდნენ, გზა გადაუჭრეს მგზავრებს. ერთმა, ჩანდა მეთავე იყო, სადავეს ხელი უტაცა თეთრცხენოსანს, არატრატდა თავის გაუგებარ, უცხო, ქვიშისა და უდაბნოს სიცხით გაუხეშებულ ენაზე.

ტატო გაირინდა, ვაჟკაცის ხელს მიაშტერდა. ხელი ატოკდა, ძარღვები დაებერა. მათრახმა ოდნავ აიწია, თითქოს უნდოდა გადაესხიპა თავხედი, მაგრამ საკუთარი უღონობით გულშეჭირვებულს მოჭრილივით ჩამოეკიდა...

ჯიქურ ჩამოხდა ცხენიდან ჭაბუკი მხლებელთაგანი, მაჯაზე უტაცა მტერს, დასჭყივლა:

— გზა მიეც, ნოინის სტუმარ არს!

დაიღრიჯა უშჯულო, გველის მზერა დამალა წამწამებს მიღმა. ხელი უშვა სადავეს და დაიხია...

* * *

კარიბჭეს გასცილდა თუ არა, მხედრებს ჩამოსცილდა... ნიავი უბერავდა და შავი, ზოზინა კვამლი ეფინებოდა ქალაქს. ჩანახშირებული სახლები, მკვდარი უბნები, მორღვეული ბალავრები... სასახლეთა და ციხეთა სქელ კედლებსღა ვერ შეწვდენოდა ხანძარი, მაგრამ მძარცველთა ხელი ეტყობოდა ყოველივეს... უგზოუკვლოდ დაბორიალობდა ტატო დანგრეულ ქალაქში, ერიდებოდა მტრის მეომრებს, ვიწრო შუკათა ლაბირინთებს მისცა თავი. ზოგი უბანი დაენდო ცეცხლს. იქ პატარა, ჭუჭყიანი სახლები ერთმანეთზე მიხორხლილიყო, ბანი ბანისათვის შეეერთებინა, კიბე კიბეს ებმებოდა, შუკები კი ეგზომ ვიწრო იყო, კაცი სახედარს ვერ ჩაუვლიდა გვერდით.

იშვიათ გამვლელს წააწყდებოდა ზოგჯერ. დამფრთხალ

მზერას შეავლებდნენ ტატოს, კედელს აეკრობოდნენ. ჯერ უკვირდა, ვერ გაეგო შიშის მიზეზი. მერე მიხვდა, ჯინსსა და თეთრ პერანგში ჩაცმული უცნაურად გამოიყურებოდა ამ უბედურ ქალაქში.

მერმე ცენტრს მიაღწია. უამრავი ქარვასლა და ბაზარი გადაბმოდა ერთმანეთს. ხალხიც მომრავლდა. ქართული არ ისმოდა, თორემ სამყაროს ყველა ენას გაიგონებდა კაცი. ტატოც უცხოელი ჩანდა და არავინ აქცევდა ყურადღებას.

მოედანზე უცხო ვინმე მეომარი შედგა. ზუჩი მოიხადა, რათა ოფლი მოეწმინდა, თავი ასწია. გაიშხუილა ჰაერში ისარმა და შიგ ყანყრატოში ჩაეჭედა. მეომარი შეტორტმანდა, პირიდან სისხლი წასკდა და ქვაფენილზე დაეხეთქა.

მომიჯნავე შუკებიდან უსჯულონი გამოცვივდნენ, შემოეწყვნენ სახლს, საიდანაც ისარი გამოფრინდა, ცეცხლი შეუნთეს. ცოფსა ყრიდნენ, ყაყანებდნენ. ქვები და მაშხალები დაუშინეს კარებსა და სარკმლებს.

სახურავზე პატარა ბიჭი გამოჩნდა. მშვილდი ეჭირა ერთ ხელში, მეორეში კი ტარმოცლილი თეთრი დროშა, რომელზეც წმინდა გიორგი იყო გამოსახული.

მისი სითამამით გაოცებული ბრბო თანდათან დაცხრა, გაყუჩდა... ხანძარი ძლიერდებოდა და ალი ბუბუნით შედგომოდა სახლის კედლებს.

ბიჭმა მშვილდი დადო, გადმოიხედა.

სახლის წინა მოედანზე შუბების ტყე დადგა.

ბიჭმა პირჯვარი გამოისახა, თეთრი ალამი ტანზე შემოიხვია და გადმოხტა...

ტატომ თვალი დახუჭა, ხელზე იკბინა. ესმოდა ბრბოს ღრიანცელი და ყიჟინი. იცოდა, შუბებზე წამოგებულ მსხვერპლს რომ დაათრევდნენ ქუჩა-ქუჩა, გარნა არ შეეძლო ჩარევა, რადგან ყოველივე დიდი ხნის წინათ მოხდა.

ქვის კედელთან ძირს დაეშვა და იჯდა, სანამ ყველაფრისადმი გულგრილმა მზემ თავის მარადიულ გზაზე არ გადაიწია...

მაშინ წამოდგა და ქვა აიტაცა, უბეში დამალა. დადიოდა შუკა-შუკა, შურისძიებას ეძებდა. მტერი ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა, ოღონდაც ცივ ქვას ხელს რომ შეავლებდა, ხორცი ხორცთაგანი,

ძე უფლისა აღიმართებოდა მის წინ და ხელი აუთრთოლდებოდა. თუმცა გაეცლებოდა თუ არა, ისევ ახსენდებოდა შუბებზე წამოგებული ბიჭი და სული ეხუთებოდა.

ერთგან კივილი შემოესმა. ფეხმოკლე, ბრტყელპირა უსჯულოს ათიოდე წლის გოგო ჩაებღუჯა და ცხენისაკენ მიათრევდა. გოგო კიოდა, ქრისტეს სახელით შველას ითხოვდა, ირგვლივ გადმომყურე აივნები კი დუმდნენ.

სისხლი თავში აუვარდა ტატოს, უბეში ჩამალული ქვა ჩაბღუჯა. მიუხდა მოძალადეს და კეფაში დურთა. უსჯულო არ წაქცეულა, ერთ ადგილზე ბანცალებდა მთვრალივით, ვერ მიმხვდარიყო, რა დაემართა.

გოგოს ხმა ჩაუწყდა, კედელს აკრული ცახცახებდა და უზომო შიშით სავსე თვალები მიეპყრო მოძალადისათვის.

ტატოც ადგილზე გახევდა. ზიზღს შეეპყრო, ამ ქვის მიმართ, ამ უცხო მომხდურის მიმართ, ამ უბედური ქალაქის მიმართ, საკუთარი თავის მიმართ. რად უნდოდა ადამიანად გაჩენა, თუ ამდენი ბოროტება ხდებოდა ქვეყანაზე.

ვიღაცამ მკლავზე სტაცა ხელი, მოქაჩა.

— ივლტოდე! – ჩასჩურჩულა და ახლო შუკისაკენ გაითრია. ტატო გაუძალიანდა, მაგრამ თვითონაც შიში მოაწვა და გაიქცა. მხსნელიც გვერდიგვერდ მოჰყვებოდა. უკან კვლავ ისმოდა კივილი. ტატოს ჩარევას უკვე არ შეეძლო რაიმეს შეცვლა.

რამდენიმე უბანი გაირბინეს და წყაროსთან სული მოითქვეს.

— გიორგი, შენა?

პატარა ბიჭმა თეთრი კბილები გამოაჩინა.

— ეგრე მოგკვლიან, უმჯობეის არს, იმალვიდე, – თქვა და თავი გააქნია, – ღმერთმან ქმნას, ქალსა მას ნურა ევნების...

— რას უზამენ, მოკლავენ?

ბიჭმა მხრები აიჩეჩა.

— ნეტამც მომეკლა ის ტიალი! – სიძულვილი მოაწვა ტატოს. აქამდე არ იცნობდა ამ გრძნობას, მაგრამ ბოროტების წილ სიყვარული აღარ შეეძლო.

საით წასულიყო? რა ეკეთებინა?

აქ სადღაც უნდა ყოფილიყო სრა-სასახლენი თამარისი და

ლაშასი, პალატნი რუსუდანისა... სად ცხოვრობდნენ ბრწყინვალე დიდებულები და მხედართმთავრები, მეცნიერნი და მოშაირენი, სად იყვნენ მამაცნი რაინდნი და ველად გაჭრილი მიჯნურნი, მდიდარი სოვდაგრები და განსწავლული ოქრომჭედლები... სად ინახებოდა საჭურჭლენი, წიგნნი, სტავრა... სად?.. სად?..

გუმბათმორღვეული სიონი იცნო, გულდათუთქული განშორდა. მეტეხის პლატოზე კვამლის სვეტში ვერაფერი გაარჩია. მრავალი დღე და ღამე გავიდა, სასახლეები კი იწვის და იწვის... ის, რაც ასეული წლები კეთდებოდა, ნადგურდება და ქრება პირისაგან მიწისა...

პატარა ბიჭი ყველგან დასდევდა ფეხდაფეხ. არაფერს ეუბნებოდა, მაგრამ უცხო თვალს არიდებდა, დროზე მალავდა დანახშირებულ ნანგრევებში.

ასე გადაჭრეს მთელი ქალაქი და აღმოსავლეთის კარიბჭეს მიაღწიეს.

აქ შეისვენა.

განადგურებული ქალაქის დიდი ნაწილი გართხმულიყო ფერხთით. ნიავს მოჰქონდა ჭვარტლი და ზურნის ჭყვიტინი. ნანგრევებში მათხოვრები იქექებოდნენ.

ვიღაცას ნახანძრალზე ქოთანი ჩაედგა, სალაფავს იხარშავდა. შორიახლო ფეხებგაფშეკილი ცხენები ეყარნენ და ყვავყორნები ესეოდნენ ყრანტალით. ბიჭმა ქვა მოუქნია, მათ კი ყურადღებაც არ მიაქციეს, განაგრძეს თავისი ნადიმი.

მხოლოდ ნარიყალას ზღუდეები გადმოსცქეროდა ზევიდან. ეს იყო მოჩვენებითი დიდება, რადგან მის კედლებსაც აჩნდა ხანძრისა და რღვევის კვალი.

ცხენების ფლოქვთა თქარუნი გაიგონა.

კვლავ თეთრცხენოსანი ვაჟკაცი მოაგელვებდა, უკან კი ბრწყინვალე ამალა მოჰყვებოდა უხმოდ.

ვაჟკაცს წინანდელზე უფრო მოეხარა მხრები, დავრდომილს დამსგავსებოდა, თითქოს მთელი ქვეყნისა და ქალაქის უბედურება მაგას აწვა ბეჭებზე და მიეზიდებოდა.

— ცოტნე, ცოტნე დადიანი! – წამოიძახა გიორგიმ და მუხლებზე დაეცა.

უნებლიეთ ფერფლზე წაიჩოქა ტატომაც.

თავი დახარა და მხოლოდ ცხენთა ფლოქვებს ხედავდა. მოცეკვავდა თეთრი ცხენი, გრძნობდა პატრონის წუხილს, ცდილობდა მის გახალისებას.

გონს მოეგო ტატო, წამოვარდა, მაგრამ გვიანი იყო. ბოლო მხედარი გადიოდა უპატრონოდ მიტოვებული კარიბჭიდან.

— ეჰ, მეც წავყოლოდი ანისს! – ამოიოხრა, – მივიდოდით და ცხელ მოედანზე ჩავჯდებოდით ყვარყვარე ჯაყელთან, სარგის თმოგველთან, შოთა კუპრთან... მშვიდობით, გიორგი, ჩემს გზას უნდა დავადგე!

— გფარვიდეს უფალი ჩუენი, წმიდა გიორგი!

ათიოდე ნაბიჯზე მოიხედა.

— შენ რაღას აპირებ, გიორგი?

ბიჭმა გაიღიმა.

— ამიერ ვიწყო შენებად სახლაკისა... მერმე ვიზრახო ცოლება ქალისა, ჩემებრ ჭაბუკისა, რამეთუ აღვანთო კერაკნი მამათა...

ესა თქვა და ნახანძრალში გაუჩინარდა.

ტატომ ბჭე ქალაქისა გაიარა და საქარავნე გზას დაადგა...

* * *

მის წინ გადამწვარი ველები და გორაკები გადაშლილიყო. ბღუჯა-ბღუჯა ბალახი მიმჭკნარიყო გორახმიწაზე, ნიავიც არ არხევდა. ადამიანის კვალი არსად ჩანდა... დაცხა, მზე სულ ერთ ადგილას ეკიდა და დროის სათვალავი დაკარგა...

მაღალი ბორცვიდან გადაიხედა, შეცბა. ლილოჭრელო ეგონა. თეთრი ლაქები ფარავდა მთელ მინდორს. სანამ ქვევით ჩავიდოდა, უკვე მიხვდა, ნაომარი ველი იყო, ადამიანთა ძვლებით მოფენილი.

პირველ ჩონჩხთან ჩაიმუხლა. მთლად გაეთეთრებინა მზესა და ქარს. თავის ქალას შემზარავად დაეკრიჭა კბილები. ზუჩი იქვე ეგდო. ხმლის ვადაზე ოდესღაც წარწერა უნდა ყოფილიყო, ოღონდ ახლა არ იკითხებოდა.

იჯდა ტატო და ფიქრობდა მეომერზე, ვის ჩონჩხსაც მცირე

ხნით პატრონობდა. უნდოდა საფლავი გაეთხარა, მაგრამ რომელი ერთისათვის.

სანამ თვალი მისწვდებოდა, ყველგან ჩონჩხები ეყარა და წამით მოეჩვენა, თითქოს სუსტად გმინავდნენ დაღუპულები, ბედს უჩიოდნენ, რადგან ვერ მოიძიეს მშობლიური, თბილი საფლავი...

გზა განაგრძო. გადაიარა ვრცელი ველი. მას კიდევ სხვა ველი მისდევდა, იქიდან კი შორს არ იყო სამშობლოს კიდე-სამანი.

ფლოქვებით გათელილ ბილიკებს წააწყდა, ყველა ერთ მხარეს მიდიოდა...

მოულოდნელად ზურგსუკან თქარუნი მოესმა, განზე გახტა.

ცხენოსნები მოიჩქაროდნენ. სამი ასეული მეომარი მოაგელვებდა ცხენებს, მტვრის კორიანტელი დგებოდა კვალზე.

მზეზე ბრწყინავდა თორი და ზუჩი, შუბის წვერები და ხმლები... ჭიხვინებდნენ ურჩი ცხენები...

— სადაურები ხართ, მეომრებო?

— არაგვის პირას დავტოვეთ მამათა კერა და შვილთა აკვნები!

— საით მიიჩქარით?

— მტერი მოსდგომიაო სამშობლოს სამანებს!

ჩაიქროლეს ცხენოსნებმა, მერმე მიწყდა ფლოქვთა თქრიალი, მტვერი დაეფინა შარას...

ტატოც ბილიკში ჩადგა, მისდია...

ცოტა ხანში ზურგიდან კვლავ მოესმა ცხენთა ჭიხვინი, კვლავ გადავიდა ბილიკიდან, მოიხედა.

ცხრა მეომარი მოისწრაფოდა გზაზე. მეწინავეს ჭაღარაშერთული წვერი სცემდა მკერდზე, ბოლოში მომავალს ჯერაც ღინღლი ამოსდიოდა საულვაშეზე.

— ვინა ხართ, მამაცნო?!

— ხერხეულიძეთა გვარისა ვართ!

— საით გაგიწევიათ?

— მტერი მოსდგომიაო სამშობლოს სამანებს!

ამათაც ჩაიქროლეს და ტატო კვლავ დაადგა გზას.

ისევ ვრცელი მინდორი გამოჩნდა, ჩონჩხებით გადათეთრებული.

მიდიოდა ტატო და უკვე არც სიძულვილსა გრძნობდა, არც სიყვარულს, არც კიცხავდა ვინმეს, არც იბრალებდა, არ იცოდა

ვინ იყო დამნაშავე და ვინ უბრალო... ძნელი ყოფილა საგანთა ნამდვილ არსში ჩაწვდომა და ახლა მთელი თავისი პოეზია, გატაცებანი ჭიანჭველის უსუსურ ფუსფუსად მიაჩნდა, რომელიც არაფერია ყველაზე ძლიერის – მარადისობის წინაშე...

ველის ბოლოს მიაღწია და სერს შეუდგა...

სერს გაღმა ხმაური მოისმოდა. პირველად ყურადღება არც მიუქცევია. ხმაური გაძლიერდა და ტატო ფიქრებისაგან გამოერკვა.

„ოო-ალა-აა, ოო-ალა-აა!..“ – გაბმულად კიოდა ბრბო და მიწას გუგუნი გაჰქონდა ფლოქვთა ცემისაგან.

წამიერ დაავიწყდა ამდენი ხნის ნაფიქრალი მარადისობაზე. არ იცოდა რა ხდებოდა, მაგრამ ბრძოლის ჟინმა შეიპყრო და ფეხს აუჩქარა.

ხმა კი ძლიერდებოდა. მტვრის გიგანტური ბოლქვი დამდგარიყო სერზე. ვიღაცა განწირული ხმით იძახდა, მოსთქვამდა; ჭიხვინებდნენ ცხენები, უბრაგუნებდნენ დოლებზე, აჭყივლებდნენ ზურნას...

ცხენოსანი ამოიჭრა სერზე. გახვითქული ცხენი დატრიალდა ადგილზე, ფლოქვებით ქვას ამსხვრევდა, პირიდან ცეცხლსა ჰყრიდა... ორბის მზერა მიმოავლო მხედარმა ირგვლივ. მარჯვენით ხმლის ვადა ჩაებღუჯა. ხმალს სისხლი სდიოდა წურწურით და თვითონაც ცხენ-მხედარი სისხლის შხეფებით აჭრელებულიყო.

„ცოტნეა, დადიანი“, — გაიფიქრა ტატომ და მხედარს მიეჭრა.

მოხედა გმირმა. გაიელვეს მისმა ცოცხალმა, ბიჭურმა თვალებმა.

— გიორგი, შენა?! – აღმოხდა ტატოს, მაგრამ მისი ხმა მხედარს არ გაუგონია.

— ჰკა მაგას! – გადასჭექა ველს და ცხენი ადგილს მოსწყვიტა.

სერს გაღმა ველზე ორი ჯარი შეყრილიყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში და ძნელი იყო მტრისა და მოყვრის გარჩევა.

— ოო-ალა-აა!..

— ვაშა-ა!..

აუვლ-დაუვლიდა ველს და მხედრიონები ზვირთებივით ასკდებოდნენ ერთმანეთს.

ბოლოს იძლია ჭრელი ბრბო. ჩალმები გაგორდა მიწაზე, ძვირ-

ფასი ხალათებით მოიფინა ბრძოლის ველი, ზურგი იბრუნა მტერმა.

— არ გაუშვათ, დაჰკარით!.. – იხუვლა მდევარმა და გამოეკიდა გაქცეულს.

ტატომაც მისდია, ვერ იქნა, ვერ მიეწია.

თანდათან სუსტდებოდა მეომართა ყიჟინა, თანდათან ჩამოწვა მდუმარება ველზე და მაშინღა მოისმა დაჭრილთა და მომაკვდავთა კვნესა-გოდება.

შორიახლო შესჭიხვინა ცხენმა. იცნო ტატომ. გიორგის ცხენი დარბოდა დახოცილთა შორის. ზოგჯერ შეჩერდებოდა, პატრონს მოიხმობდა და კვლავ გარბოდა დამფრთხალი.

დიდხანს ეძებდა ზედახორად დაყრილ გვამებს შორის.

ბოლოს წააწყდა. გოლიათი ვაჟკაცი ეგდო მდელოზე. მის ირგვლივ აურაცხელი მტერი ეყარა...

ფართო მკერდზე ჯაჭვი შეეხია შუბს, ლავიწები ჩაემსხვრია, გულს მისწვდენოდა, და მაინც დევკაცის სხეული ძალუმად ებღაუჭებოდა სიცოცხლეს.

— გიორგი, ბიჭო, გიორგი! – ჩასძახა სასოწარკვეთილმა.

მკერდზე ყური დაადო, გული ოდნავ ფეთქავდა.

— გიორგი, ბიჭო, მოიხედე, შენი ჭირიმე! – ეხვეწებოდა ტატო და საკუთარი უმწეობა ახრჩობდა.

მუშტისტოლა თვალები გაახილა გიორგიმ, სანიავებელივით წამწამები შეხსნა, შიგ ბინდი ედგა.

მომაკვდავმა თავის ფიქრს გაუღიმა და ჩურჩულით იკითხა:

— ხომ გავიმარჯვეთ?

— ჰო, გიორგი, შენი ჭირიმე, გავიმარჯვეთ, კუდით ქვა ვასროლინეთ! – იმედი მოეცა ტატოს.

— ეჰ, მეგობარო, ხმაზე გცნობ, ჩვენებური ხარ, ოღონდ ამ ქვეყნისა მე აწი არა ვარ.

ტატოს ცრემლი მოადგა, ხმა ჩაუწყდა.

— ნუ სწუხარ, მეგობარო, სატირალი რა მჭირს, განა დიაცურად ვკვდები! – მისი ხმა ისე ისმოდა, თითქოს ჭაში იყო ჩაგუბებული.

— გიორგი, ბიჭო, ის მაინც მითხარი, ვინა ხარ, შენი ჭირიმე?

— ქართლოსიანთა გვარისა ვარ, მეგობარო... პაპაჩემი ფარნავაზის ჟამს დაბადებულა, მწიგნობრისა, მამაჩემი დავითისა და დემეტრეს დროშის ქვეშ იბრძოდა... მეც ხმალი დამიტოვა ანდერძად... შინაცა მყავს ერთი გიორგი, ჩემი გვარისა... ის იძიებს შურს...

— რამდენი წლისა ხარ, გიორგი?

— ჰაბა, რა ვიცი, სამასი-ოთხასისა ხომ ვიქნები.

— გიორგი, შენი ჭირიმე, შემომხედე!.. ნუ კვდები, გიორგი! – ეხვეწებოდა ტატო.

— ეჰ, მეგობარო, შორი გზა მიძევს და ნუ მიშლი, – წაიჩურჩულა დევკაცმა და თანდათან ჩაქრა.

იჯდა ცხედართან ტატო და ვერ გაეგო, ცხადი იყო ყოველი თუ სიზმარი.

მზე ჩაესვენა ჰორიზონტს მიღმა, ჩამობნელდა...

* * *

შუაღამეს გონს მოეგო. სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ცაზე ვარსკვლავებიც გამქრალიყო. ნიავი ფაჩუნობდა ტოტებში.

ხელი მოაფათურა. გიორგი არსად ჩანდა. არც ბრძოლის ველზე იმყოფებოდა ალბათ, რადგან ტყის სურნელი იგრძნობოდა.

ადგა და ხელის ცეცებით გაუდგა გზას.

ხანდახან უზარმაზარ ხეებს ეჯახებოდა. ხორკლიანი კანითა და სუნით მიხვდა, რომ ფიჭვნარში მიდიოდა. მიწა რბილი და სრიალა იყო, მრავალი წლის წიწვით მოფენილი.

გათენებამდე ასე იარა.

რიჟრაჯზე სიბნელიდან ღრუბლებივით აფუებული საგნები გამოიკვეთა, თანდათან დაიწმინდა და ყველაფერს თავისი სახე მიეცა.

ტანკენარი ფიჭვები აშოლტილიყვნენ ირგვლივ.

ბილიკიც არსად ჩანდა, აჩემებული მიმართულებით მიიკვლევდა გზას.

დილის ჯანღი ქრებოდა, მზის გამჭვირვალე სხივები იცხრილებოდა წიწვნარში.

ტატო მიჰყვებოდა მზის სხივებით გაკვალულ გზას და სხივები თითქოს მასთან ერთად მიიწევდნენ წინ, გზაზე ფანტავდნენ წყვდიადს.

ტყისპირს გააღწია. წინ გაიშალა ვრცელი ყანები და საძოვრები. დილის სხივები თანაბრად დაეფინა მადლიან მიწაზე.

იგრძნო რაღაც საშიშროება, ხეს ამოეფარა.

წყება-წყება სანგრები გაეთხარათ, ბოლო არ უჩანდა. მუზარადიანი ჯარისკაცები ჩასაფრებულიყვნენ და დაძაბულნი ელოდნენ. მიწაყრილზე ავტომატები და ტყვიამფრქვევები ეწყო. შენიღბულ ქვემეხებს ლულები მიეპყროთ სივრცისათვის.

უცებ სიმღერა მოისმა: „Deutschland, Deutschland uber alles...“ – მღეროდნენ გაშლილ ველებზე.

დააკვირდა ტატო და უამრავი მიხაკისფერი კალია შენიშნა. ლეგიონებად მოსდებოდნენ შორეულ სივრცეებს და ერთნაირად ასწორებდნენ მთასა და ბარს, ტყესა და ველს. კვამლი და ფერფლი სვეტებად დგებოდა მათ ნაკვალევზე, შავ ღრუბლებს ჩამოებნელებინა ცის დასალიერი და ნთქავდა მზის სხივებს.

იდაყვზე ვიღაც შეეხო. მედიცინის და იყო. მისი მშვენიერი პირისახე ეცნაურა. ქალიშვილმა ანიშნა, სანგარში ჩადიო. დაემორჩილა. სწრაფად და შეუმჩნევლად ჩაიძურწა და მეტყვიამფრქვევეს ამოუდგა გვერდში.

მეტყვიამფრქვევემ ღიმილიანი თვალები შეავლო და ტატოს გული გადაეწურა. გიორგის ჰგავდა. უნდოდა ეყვირა, გიცანიო, მაგრამ გიორგიმ ტუჩზე თითი მიიდო და ტატომ თავი შეიკავა.

მიხაკისფერი კალიების ლეგიონი ახლოვდებოდა. მთელი მიდამო დაეკავებინათ სახელოებდაკაპიწებულ, მკერდგაღეღილ, თავდაჯერებულ არსებებს, რომლებიც თამამად მოიმღეროდნენ და ჩექმებითა და ტანკების მუხლუხებით თელავდნენ პურისა და ჭვავის ყანებს.

— გიორგი, ქაღალდი მინდა, – ჩურჩულით სთხოვა. გაზეთის ნაფხრეწი გაუწოდა მეტყვიამფრქვევემ. ტატომ აიღო გაყვითლებული, დაჭმუჭნილი ქაღალდი, მუხლზე ისწორებდა, უსმენდა უცხო სიმღერას, ველური ჟინით რომ მოსდებოდა ქვეყანას, და იცოდა, რომ აქვე უნდა ეპასუხა, ამწუთას უნდა ეპასუხა, რაღაც

ძლიერით, ამაღლებულით, კაცურით...

„Deutschland, Deutschland uber alles...uber alles in der Welt...“ – მღეროდა გათამამებული მიხაკისფერი ტალღა და კალიასავით შესეოდა პურისა და ჭვავის ყანებს.

პირველი პწკარი თავისით დალაგდა ფურცელზე... ქართული ლამაზი ასოები რიგში ჩამწკრივდნენ საპასუხოდ გასროლილ ტყვიასავით და მაშინ აკაკანდა გიორგის ტყვიამფრქვევი...

* * *

და როდესაც ბოლო სიტყვა დაწერა ტატომ, ირგვლივ, ტყის პირას, ტყეში და პურისა და ჭვავის ყანებში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაემართათ...

უცებ ქაღალდის ნაგლეჯს ჩრდილი დაეცა.

აიხედა... ესესელის ფორმიანმა კაცმა რევოლვერი დაუმიზნა...

სროლა არ გაუგონია...

გაჰკრა თავში მოულოდნელმა და უკანასკნელმა აზრმა: ესესელს ნაცნობი სახე ჰქონდა...

თავი IV. სევდა უეცარი

ვაკის პარკის მრგვალ შადრევანს გასცილდნენ და საცოდაობა მაშინ დატრიალდა. ყრუ ტკაცანი გაისმა. ვიღაცამ შეჰკივლა და წამით პარკის თავზე აუტანელი სიჩუმე ჩამოწვა. ფოთოლიც არ ტოკავდა, ჩიტუნები გაინაბნენ, შადრევნის შხუილი მინავლდა.

მოსეირნენი შეჩქვიფდნენ. მერე ყველამ იმ მხარეს მიაშურა, საიდანაც ტკაცანი და შეკივლება მოისმა.

კაჭუჭია ადგილს მოწყდა. არ იცოდა რა მოხდა, ვინ კიოდა, ვინ ისროდა, არც ვინმეს საცოდაობით იწვოდა, მაგრამ აზარტმა აიტაცა და ლილი უბოდიშოდ მიატოვა.

ყოველივე ეკრანზე ნანახი კადრივით დაამახსოვრდა... შებარბაცდა თეთრპერანგიანი, ჯინსში ჩაცმული ჭაბუკი, შებარბაცდა და გადავარდა... გაიწელა ის წამი, ვარდებოდა, ვარდებოდა და

კაჭუჭიას ეჩვენებოდა, რომ კადრები საგანგებოდ შეენელებინა კინოოპერატორს.

ათასი წვრილი დეტალი აღიბეჭდა კაჭუჭიას მეხსიერებაში... ვიღაცის გალაქული ფეხსაცმელი მიიჩქაროდა წინ, ვიღაცის ბუკულა, გადმოკარკლული თვალები, გახსნილი პირი, სადაც ყვითელი ღოჯები ჩანდა, მოხუცი ქალების ქოშინი, დაბნეული და ცნობისმოყვარე ბავშვების წრიალი, მილიციელის სამხრეები და გაფითრებული სახე... ჯინსში ჩაცმული ჭაბუკი ვარდებოდა და ლამაზი გოგონას ჩამოშლილი თმები სახეზე ეფინებოდა, ეფინებოდა, გადაეფინა... მერე შაურიანი გადმოვარდა ჯინსის ჯიბიდან... სასაცილო იყო, შაურიანი რომ დაამახსოვრდა კაჭუჭიას... გადმოვარდა შაურიანი და წკარუნით დაგორდა, კაჭუჭიას ფეხთან დაბზრიალდა... დაბზრიალდა, სხივთა უღონო ნაპერწკლები მიმოჰყარა, დაეცა, გაყუჩდა, მოკვდა...

კაჭუჭია ანგარიშმიუცემლად დასწვდა, მერე იმ დღეს არც გახსენებია, გადააგდო თუ ჯიბეში ჩაიდო.

იცნო ჭაბუკიც და მასზე დახრილი გოგონაც.

„ყვარებია, — მწველმა შურმა გაჰკრა ანაზდად, — ჯუმას როგორ ეწყინება?“

შეკრთა. რა ეწყინებოდა ჯუმას? ის, რომ ჭაბუკის მკერდზე თეთრი პერანგი წითელი ლაქით იფარებოდა თანდათან, იზრდებოდა ლაქა, შემზარავი და საშიში?.. ის, რომ გოგონა დახრილიყო ჭაბუკის სახესთან და ჩამოშლილი თმები ელამუნებოდა დაჭრილს?..

ინსტინქტურად მიიჭრა კაჭუჭია, მივარდა, რათა გაჭირვებაში ჩავარდნილისათვის ხელი გაეწოდებინა. მაგრამ ჩვეულებრივ არცთუ სწრაფაზრიანი, ახლა შიშმა ააფორიაქა, ხელ-ფეხში რაღაც ბლანტი და მძიმე ჩაეღვარა.

ჯიქურ შეტრიალდა. პატარა ხიდი გადაჭრა და იქითკენ გაბრუნდა, სადაც ლილი დატოვა. არ სურდა მოწმეთა სიაში ჩაეწერა ვინმეს.

ბუჩქნარში რომ გაიარა, მისმა გაწაფულმა ყნოსვამ იგრძნო ჰაერში ჩამოკიდებული სუსტი სუნი სიდამწვრისა.

— რა მოხდა? – უკმაყოფილოდ ჰკითხა ლილიმ.

— არაფერი, ბიჭები ჩხუბობდნენ! – იცრუა კაჭუჭიამ, შიში

უფრო მოეძალა, თავგზა აუბნია, – წავიდეთ აქედან! – მკლავზე მოქაჩა ლილის.

— სად უნდა წავიდეთ? – რატომღაც გადაიჭახჭახა გოგომ და თვალები ისე მოაპყრო, კაჭუჭიამ მზერა აარიდა.

„შტერი კი არის, მაგრამ ღონიერია!“ – გაივლო გუნებაში. მართლაც ვაჟკაცივით ბეჭებგანიერი, ძვალმსხვილი გოგო იყო. დაკუნთული მკლავები უბოლოვდებოდა მიწისმთხრელის ფართო ხელებით.

— იცი რა? – უცბად გაუნათდა, – აქ სულ ჩემი ნაცნობები ტრიალებენ, მე კი მყუდრო ადგილი მომინდა. მოდი, ბოტანიკურში წავიდეთ, ყვავილები მაინც დავკრიფოთ!

ლილიმ ხელმეორედ გადაიჭახჭახა, აქაოდა, რას მელაპარაკებიო. უარი მაინც არ უთქვამს და მესამე ნომერ ავტობუსში ავიდნენ.

მგზავრობის დროს სულ უკან-უკან იხედებოდა, თითქოს ვინმე მდევარს გაადევნებდა. გალაკტიონის ქუჩა ისე სწრაფად გაიარა, ლილიმ დაიჩივლა, დავიღალე, ასე ნუ გარბიხარო. კაჭუჭიამ ბრაზით მოხედა. გოგო სქელ ტანს მოათახთახებდა. ჩქარი სიარულის დროს მკერდი ისე უტოკავდა, ბიუსტჰალტერში ცოცხალი ბაჭიები ჩაუმწყვდევიაო.

მაშინღა დამშვიდდა, როცა გვირაბში შერგო თავი, სიგრილე გულზე მოეფონა.

წავკისის ხეობა სავსე იყო სინათლით, სიმწვანით, გრილი ჰაერით, ყვავილთა სურნელებით.

ლილი მკლავზე აეტმასნა. კაჭუჭია იდაყვზე გრძნობდა მის გაბუშტულ ძუძუს, მაგრამ წეღანდელი შიშისაგან ჯერაც ვერ გათავისუფლებულიყო და გოგოს სიახლოვე არ აღელვებდა.

დაბურულ კორომში მიაბიჯებდნენ მშვიდად. ლილი რაღაცას რატრატებდა. კაჭუჭია არ უსმენდა, შორს იყო აქედან. ეჩვენებოდა, რომ მწვანე ბალახზე ეგდო, — არ ჰქონდა მნიშვნელობა, ცოცხალი იყო თუ მკვდარი, — ეგდო და ქალწულის ლბილი თმები სახეზე ეფინებოდა...

უჩვეულო გრძნობა – სევდა ესტუმრა კაჭუჭია ბედიას. ბოტანიკური ბაღის ლორთქო სიმწვანე არ ახარებდა. ათასი ფერის და სურნელების ყვავილი, რაგინდარა ჯიშისა და ასაკის ხე, ბუჩქნარი,

ხავსი და სურო, — კი აოცებდა, მაგრამ სევდას უმძაფრებდა. თითქოს აქამდე ქვის აკლდამაში ცხოვრობდა და ახლა პირველად ხედავდა დედა-ბუნების ზეიმს. აქამდე სად ვიყავიო, ამაზე წუხდა.

უზარმაზარ გაბარჯღულ ხეთა ტოტებში მზის ბარჩხალა სხივები ატანდა, ფანტასტიკურ ფარდებად დაშვებული, სამეჯლისო დარბაზის იერს აძლევდა ჩრდილოვან ტევრებს. ტოტებში გადამტყდარი სხივები ფოთლებში მიმალული სარკის ნატეხებივით ბრჭყვიალებდა და ათინათებს თეთრი პეპლებივით ყრიდა.

და ამ სხივებში, უფრორე კაჭუჭიას სულში, წამით რომ ამოვიდა ბნელი უფსკრულიდან, გაკრთა ასული ვინმე, იქნებ მზია, იქნებ როგნედა ან ვინმე სხვა.

გული აუჩუყდა კაჭუჭიას, უჩვეულო ნეტარება იგრძნო, თუმცაღა იცოდა, წარმავალი იყო ყოველი და წარმავალობის უძირო ფსკერში დაინთქმებოდა ეს წამიერი სიწმინდეც.

მუხლებზე დაეშვა, ნორჩ მდელოზე პირქვე გაწვა და ასე გაისუსა.

მდელო თითქოს დაირწა, სულში გაიღვიძა უცოდველმა, ენგურისპირა ჭალებში გატარებულმა ბავშვობამ, როცა ქვეყნიერება იყო ერთი დიდი აკვანი...

მოულოდნელად მკლავზე ამობობღებულმა ჭიანჭველამ უკბინა, კაჭუჭია დააბრუნა ამ სინამდვილეში, როდესაც ყველანი ნადავლის შოვნით არიან გატაცებულნი, ჭიანჭველებიც კი.

გონს მოეგო, თავი აიღო. ლილი ფეხმორთხმით იჯდა ბალახში, ღეროს წიწკნიდა.

გაუღიმა კაჭუჭიას, ჭორფლიანი, ფართო სახე უფრო ფართო გაუხდა. ლამაზი არ ეთქმოდა, სამაგიეროდ ღაწვი და კისერი სუფთად გადასტკეცოდა.

— მეგონა, ჩაგეძინა, — მინაზებული ხმით ჩაიღუღუნა ლილიმ. კოპწიად აზიდა წამწამები, მხრები შეარხია, რის გამოც ძუძუებიც მძიმედ შექანდნენ.

— მოიწი აქეთ! – უხეშად უბრძანა კაჭუჭიამ.

— რა გინდა? – ვითომ ვერ მიხვდა ლილი.

— ძალიან კი არ შეგეხვეწები!

— რა გინდა? ამიხსენი...

კაჭუჭიამ არ აცალა, ხელზე სტაცა და დაითრია.

მაინცდამაინც არ გასძალიანებია, ისე, ზრდილობისათვის. განუწყვეტლივ წუწუნებდა და მისი წუწუნი უფრო ახელებდა ყმაწვილს.

მერე უცებ ზიზღი დაეუფლა. შეეზიზღა უზარმაზარი გოგო, შეეზიზღა დღევანდელი დღე, ეს უფულო, ღატაკური ცხოვრება, ხე და ბალახი, ყველაფერ ამას რომ მალავდა... უფრო მეტად კი თავი, რადგან ტოტებს შორის ჩამოფრქვეულ სხივებში ვერავითარ სიწმინდეს ვერ ხედავდა, ბალახმოდებულ მიწას კი ნეშომპალას სუნი ასდიოდა.

— წავედით! – მიუგდო ლილის.

ჩანჩქერისაკენ გასწიეს.

ხიდზე შეყოვნდნენ. ჩქერალი დგაფუნით ეშვებოდა ლოდებზე და წინწკლები კვლავ ქაფში ცვიოდა, ან თხელ ნისლად ეფინებოდა ქვებსა და ბუჩქებს.

სევდა შეუბრუნდა. გაუარა მხურვალებამ, ქალთან სიახლოვემ რომ განაცდევინა. სევდის ეს გრძნობა უჩვეულო და მძიმე იყო და ახლა არ უკვირდა, თუ რატომ ხტებოდნენ ადამიანები ხიდებიდან.

ლილი მდუმარედ მოჰყვებოდა გვერდით. ისიც ხვდებოდა, კაჭუჭია უგუნებოდაოო და წუწუნს ვერ ბედავდა, თუმცა ენის წვერზე ეკიდა გრძელი ტირადა გათელილ პატიოსნებაზე, უმანკოებაზე... ბედიას ბიჭი მჭმუნვარედ დუმდა და მთელი მისი გარეგნობა მეტყველებდა, ცრემლითა და წუწუნით ჩემთან ვერაფერს გახდებიო.

ბილიკმა წყვილი ხეივანზე აიყვანა. წავკისის ხევი მწვანე ფერს აევსო. მის გალმა გაშოტილი თაბორის მთა, სადღაც შორს წამოსკუპებული შავნაბადათი, მზეს გადაეწვა. და როცა სიტყვა „მზე“ გაიხსენა კაჭუჭიამ, მზია წამოტივტივდა ცნობიერებაში და იგი იყო წმინდა, მიუწვდომელი, მწველი. ყმაწვილის გულიც იწვოდა მცხუნვარებისაგან, როგორც გადამწვარი ბალახი ტიტველ გორაკზე.

მაშინღა მოჰხედა ენაჩავარდნილ ლილის, შემთხვევას რომ ელოდა, რათა ალაპარაკებულიყო. კაჭუჭია უფრო მოიღუშა და ხმის ამოღებაც არ აცალა.

ქალაქის მუზეუმის კარიდან ტაქსი დაიძრა. კაჭუჭიამ უცებ

მოისაზრა, ხელი აუწია, მანქანის უკანა კარი გამოაღო.

— ლილი, მაპატიე, გენაცვალე, დაგირეკავ!

— კახაბერ?! – ლილის თვალებიდან ღაპაღუპით წამოსცვივდა მჯიღისტოლა ცრემლები, უზარმაზარი, მსუქანი სხეული ერთიანად აუთახთახდა.

— ვიცი, რასაც მეტყვი, დაგირეკავ, მელოდე!.. – ბრძანების კილოთი თქვა კაჭუჭიამ, – ჩაჯე, ნუ აცდევინებ კაცს!

ლილი ძლივს ჩაეკვეხა მანქანაში, ცრემლმა სახე ერთიანად მოუთხუპნა.

— თუ ძმა ხარ, მიიყვანე, საცა გეტყვის!

თვითონ კი სწრაფად გაშორდა მანქანას, რადგან გული აევსო ზიზღით, ოღონდ არა ლილის მიმართ, არამედ საკუთარი თავის მიმართ...

* * *

მთელი საათი იჯდა ნარიყალას მაღალ კოშკზე. რამდენი წელია თბილისში ცხოვრობს და აქ პირველად ამოვიდა. რატომღაც ვერ მოიცალა, უფრო სწორად, არც მოუნდომებია, ფიქრადაც არ მოსვლია ციხის კედლებზე ღოღიალი. ზამთარში აქ ციოდა, ზაფხულში ცხელოდა. გოგოს თუ სადმე იშოვიდა, მყუდრო ადგილის საძებრად ან ვაკის პარკში მიდიოდა, ან სანაპიროზე, თუნდაც ზღვაზე, ლისის ტბაზე. თითო-ოროლაჯერ ბოტანიკურ ბაღშიც შეეხეტა. ძველი ნანგრევები კი არ იზიდავდა.

ახლა თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა აქ, რამ ამოიყვანა ამ სიმაღლეზე, რატომ აღელვებდა მის ირგვლივ გადაშლილი ხედი. ჯუმა რომ ყოფილიყო, მით უმეტეს, მზეჭაბუკი, არავის გაუკვირდებოდა, მაგრამ კაჭუჭიასაგან, ლოყებღაჟღაჟა, ღონითა და მადით სავსე კაჭუჭიასაგან, ვისაც საჭმელ-სასმელისა და ქალების დანახვაზე ერთნაირად უთრთოდა გული, ძნელი მოსალოდნელი იყო პოეზიასთან ზიარება. თუმცა ყოველ ადამიანშია, თუნდაც უმარტივესშიც, ინსტინქტური სწრაფვა სიწმინდისაკენ, ამაღლებულისაკენ.

მზის მწველი სხივები ტვინს უბურღავდა. მთაწმინდის მხრიდან სუსტი ნიავი უბერავდა, ხვატს ოდნავ ანელებდა. კაჭუჭია იჯდა ციხის თავზე, რომელიც ქალიშვილის შუბლზე აგრაგნილ მსხვილ ნაწნავს მოაგონებდა. მის ფერხთით იმოდენა სამყარო გადაშლილიყო, დავთრებში ჩამხმარ ჩინოვნიკსაც გული აუთრთოლდებოდა, წამით მაინც მოეჩვენებოდა, მიწას მოვწყდი და სივრცეში მივფრინავო. კაჭუჭიას ფანტაზია ასე შორს ვერ წავიდოდა. უბრალოდ გაოგნებული იყო სიმაღლის მშვენიერებით.

თაბორის სერს უზარმაზარი ცის კიდე ეჭირა მხრებით. წავკისის ხევიდან გადმოღვრილი ბოტანიკური ბაღის ლორთქო სიმწვანე მის კალთებს ეხეთქებოდა და უკუიქცეოდა. თვითონ ქედი ხამი ფერებით ნაქსოვ სადა ფარდაგსა ჰგავდა, ძველი ქალაქის კედელზე რომ მიეჭედათ.

ზურგი შეაქცია თაბორს და ქალაქს გახედა, იგი გამოედინებოდა ვიწრო ხეობებიდან, ფართოდ გადაშლილიყო მტკვრის ორთავე ნაპირზე, გორაკთა კალთებიდან კვლავ უფერულ გორაკთა წყებამდე, რომელთა მიღმა ზღვა იგრძნობოდა – ცხელ ჰორიზონტზე მოლივლივე ლურჯი ამონაშუქი მიირწეოდა მაღლა და მაღლა.

აქა-იქ ასვეტილი სახლები ისე გამოირჩეოდნენ წითელი სახურავების უთვალავი ჯარიდან, როგორც მიტინგზე შეყრილი ბრბოის შუაგულში ჩამდგარი ორატორები, მთებსა და ველებს შეფენილ ათასნაირ სახლთა ყრილობას რომ მოუწოდებდნენ, წინ გავსწიოთო, ირგვლივ შემოჯარულ მთათა გადასალახავად. ბრბო კი ღელავდა, გუგუნებდა, ხმიანებდა... ნარიყალას კალთებზე ერთმანეთს ჩახლართულ სახურავებქვეშ უხილავი დუღილი ისმოდა და კაჭუჭია ბედიას სმენამდე აღწევდა... ყეფდა ძაღლი, ყიოდა მამალი, შენდებოდა ქალაქი... მუეძინი გაჰკიოდა მინარეთიდან; გრეგორიანელთა ეკლესიის ცისფერი გუმბათიდან საამო გალობა იღვრებოდა; იუდაელთა სინაგოგასთან თავი მოეყარა ქუდიან მლოცველებს; სიონის თავზე საკმევლის მოცისფრო ბოლი იდგა და სიონის სამრეკლო აუჩქარებლად ითვლიდა დროს...

ამოიოხრა კაჭუჭია ბედიამ. გაუგებარი იყო სამყარო, გაუგებარი იყო სიცოცხლე...

თავი V. მსხვერპლი

მექისემ კინაღამ ტყავი გააძრო, მაგრამ დამწვრის სუნი ვერ მოაცილა. ჯუმა ბედია დილიდანვე უგუნებოდ იყო და ყველას უბღვერდა. ალბათ მარტო მან იცოდა, რომ ეს დღე არ იყო ჩვეულებრივი, რიგითი დღე. ამჩნევდა ცვლილებებს ნაცნობთა სახეებზე. ზოგს ფარული შიში შეეტყო, ზოგს სიხარული, ზოგისათვის გაურკვევლობას ცხვირ-პირზე დაბნეულობა დაეხატა, ზოგისთვის უჩვეულოს მოლოდინი... ეტყობა, ყველას რაღაც სურვილი უსრულდებოდა, ზოგნი უბედურდებოდნენ, ზოგნი ბედნიერდებოდნენ და ჯუმამაც არ იცოდა, რა უფრო გახარებოდა.

ვინ იცის, ვის რა ენატრებოდა და რა უსრულდებოდა ამ თარსს, ცამეტის რიცხვით აღნიშნულ დღეს... თვით ჯუმას ჯერ არაფერი მიუღია. ვერც ხვდებოდა რა იქნებოდა ჯილდოდ... ტანში ზარავდა ფიქრისაგან, რომ წმინდა მსხვერპლი უნდა მიეტანა დიდი ჯაგერნაუტის საკურთხეველზე. ამ ფიქრს მოეწამლა მისი გონება, ჩაეხშო სიკეთის ყოველი სიმი მასში.

ჯუმას თავში ფეიერვერკივით ირეოდა აზრი. ფიქრი იყო არამდგრადი, ვერ ჩერდებოდა რაიმე კონკრეტულზე. ხან მზია აგონდებოდა, წმინდა და უმწიკვლო, თეთრ სარეცელში ბავშვივით რომ ეძინა; ხან ტურფა – საზარელი, მყრალი სალაფავით აქოთებული ალქაჯი; ხან გუჯმახანის ცბიერი ღიმილი და კვლავ მზია, ამ დილით რომ შეაკრთო კართან.

გაუხდელად წამოწოლილიყო თავის ჟანგიან საწოლზე და ჭერს მისჩერებოდა. ცდილობდა ვითარება გაეაზრებინა, აეწონდაეწონა.

ფიქრში თანდათან წასთვლიმა და უცებ შემოესმა მუსიკის ხმა. ვიღაცა ძველებურ ვალსს უკრავდა და ფეხსაცმელების ბაკუნით ცეკვავდა.

სიზმარი ეგონა. როცა გამოფხიზლდა, მელოდია და ბაკუნი არ შემწყდარა. ქალბატონ ვასასის ბინაში ვიღაცა გატაცებით ცეკვავდა, მელოდიას ახალგაზრდულ ხმასაც აყოლებდა.

არ გაჰკვირვებია, დღეს არაფერი არ უნდა გაჰკვირვებოდა.

ადგა და იმ ხმას მიჰყვა ვასასის კარამდე.

დერეფანში მეტი არავინ იყო. ჭუჭრუტანისაკენ დაიხარა. წამით გაიელვა დიაცმა. მაღალი და ფართო თეძოები ჰქონდა, სწორი ზურგი, რომელზეც მაჯის სიმსხო ორი ნაწნავი გადაეგდო. ნამეტნავად ძველი მოდის კაბა ეცვა, ჩრჩილით ოდნავ შეჭმული, მაგრამ ჯერაც რიგიანი.

„ნუთუ ვასასია?“ – გაოგნებული მოშორდა ჭუჭრუტანას. ძნელი იყო გუჯმახანის ჩანაფიქრის გარკვევა. კუზიანი, გადაღრძუებული დედაბრის უცაბედი გაახალგაზრდავება გულს ზიზღითა და ბოღმით უვსებდა და მთელი ქვეყანა შესძულდა. ქუჩაში გამვლელთ სხვანაირი თვალით უყურებდა. სახეზე ვერ მალავდა მძულვარებას. შემხვედრნი მხარს უქცევდნენ, რაღაცნაირად ელდანაცემნი და შეურაცხყოფილნი.

„ჯაგერნაუტის მონათა ბრბო, ჭიანჭველათა ლეგიონი!“ – ყველას ერთნაირად კრეჭდა, თვითონ კი თავი მაღლა აეწია და ისე მიაბიჯებდა. სხვებს არა ჰგავდა, გამორჩეული გახლდათ. ის რომ დაიბადა, ბედიების სახლს ოქროსფერი ნათელი დაადგა. ეგებ წმინდანის ხვედრი ელოდა, წვრილმანი სურვილები ხომ მას ვერ გაიტაცებდა, საწუწნავი კამფეტებით გუჯმახანი ვერ მოთაფლავდა. ხელშეკრულება დაიდო, მაგრამ იგი ფარატინა ქაღალდია, თვალის ახვევა თუ მოუნდომეს.

„ოღონდ მსხვერპლი?“ – ეს მძიმე კითხვა უზარმაზარ ტვირთად აწვა, ზიდვა უჭირდა. ზოგჯერ, სისუსტის წუთებში, ფიქრობდა, რომ ჯერ კიდევ არ იყო გვიან. შეეძლო განზრახვაზე უარი ეთქვა, წინანდებურად განეგრძო ცხოვრება. უმალვე უკუაგდებდა ამ აზრს, რადგან იცოდა, ვერ დაიხევდა. ჯუმა ბედია არ იყო ერთი კვირის წინანდელი ჭაბუკი, ყველა კართან მათხოვარივით ხელგაწვდილი რომ იდგა. ცხოვრებისაგან ის თავის წილს მოითხოვდა. გაწაფული თითები თავისთავად მოძრაობდნენ, რათა ყოველგვარი სიკეთე, რასაც მოიხელთებდნენ, მიესაკუთრებინათ.

ჯუმამ თავი გააქნია, გამოფხიზლდა. სამსახურამდე მიეღწია უკვე. საათს დახედა. ერთი საათით დაჰგვიანებოდა. ეს არ აწუხებდა. აწი არავისი ეშინოდა, რიდი და მორჩილება გამოუსადეგარი ბარგი იყო.

მაცაცუნას მოჰკრა თვალი. გოგომ ვითომ ვერც დაინახა. „ჩემი

გამოჭერა უნდა, — გაივლო გუნებაში, — ეგეთი ეშმაკობა ჩემი მოგონილია!“ დარწმუნებული იყო, მაცაცუნამ საგანგებოდ ჩამოიარა. ცინიკურად მიადევნა თვალი და კვლავ ბოღმა მოაწვა. არავინაა დასანდობი, ყველა ფეხებში ებლანდება და თუ ასეა, არც მას აუკანკალდება ხელი.

დერეფანში მდივანმა ქალმა გააჩერა, დირექტორი გიბარებსო. „ამას კიდევ რა უნდა?“ – უკმაყოფილოდ გაიფიქრა. წინათ შეყოყმანდებოდა, სანამ დირექტორის კარის შეღებას გაბედავდა. ახლა ჯიქურ შეაღო, უსიტყვოდ მიუახლოვდა დირექტორის მაგიდას, სავარძელში გაიშოტა.

დირექტორი წერდა. ხმაურზე თავი ასწია, ერთხანს უყურა, გაკვირვება არ დაიმჩნია და წერა განაგრძო.

ჯუმა ცნობისმოყვარედ ათვალიერებდა დირექტორის დაღარულ შუბლს, ჭაღარას, შეღებილ ულვაშებს, დაღლილ უპეებს, რომლებშიც, როცა აიხედავდა, კონტრასტულად ცოცხალი თვალები ციმციმებდნენ, ახედვით კი მხოლოდ ორიოდეჯერ აიხედა. ხმა არ ამოუღია და ამან ჯუმას თანდათან სითამამე დააკარგვინა. „წმინდა მსხვერპლია ვითომ?“ – გაიფიქრა. დანამდვილებით იცოდა, დირექტორის წმინდანობა ქვიშაზე ეწერა.

შეიშმუშნა, უხერხულობა იგრძნო. სავარძელში გასწორდა, ხმადაბლა ჩაახველა. დირექტორმა შეხედა, მაინც არაფერი თქვა და ღილაკს თითი დააჭირა, მდივანს მოუხმო.

— საუზმე მომიტანე, გეთაყვა, ამ დილას ვერ მოვასწარი! – და კვლავ ქაღალდებს მიუბრუნდა.

ჯუმას გული ყელში მოებჯინა, ეძებდა სათქმელს და ვერ პოულობდა.

მდივანი ლანგრით შემოვიდა, საწერ მაგიდაზე გაზეთი გაუშალა, ზედ ხაჭო, წვრილად დაჭრილი შავი პური, ერთი ცალი კვერცხი და ჭიქა ჩაი დაუდგა.

დირექტორმა ქაღალდები განზე გასწია. ჯერ ჩაის მოურია და თავი მიანება. პურის ნაჭერზე დანით ხაჭო დადო და თუ ნამცეცი ჩამოუვარდებოდა, მასაც პურზე აბრუნებდა.

ჯუმამ მოთმინება დაკარგა, წამოდგა და გაბზარული ხმით ჩაიდუდუნა:

— თქვენ დამიბარეთ?

— აჰ, ამხანაგო ჯუმა, ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ! – ვითომ პირველად შეამჩნია დირექტორმა.

— არა, მე ვიდგები! – ძლივს ამოღერღა აღშფოთებულმა.

— როგორც გაგიხარდება, ამხანაგო ჯუმა, ასე კიდეც უკეთესია, ჩანხარ მაინც, თორემ იმ სავარძელში ვერც შეგნიშნე, – საკუთარ ხუმრობაზე გაეღიმა.

ჯუმამ დუმილი ამჯობინა.

— შენზე მომახსენა განყოფილების გამგემ, კარგი, მუყაითი ყმაწვილიაო. დავალებებს პირნათლად ასრულებსო. ამაზე მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ აცდენ თურმე სამსახურს, ყოველდღე იგვიანებ. სამსახურში კი, მოგეხსენება, უპირველეს ყოვლისა, დისციპლინაა მთავარი. ახლა სიტყვიერ საყვედურს გაკმარებ, წადი და საქმეს მიხედე!

კაბინეტიდან გამოვიდა და მაშინ უფრო გამწარდა. გუნებაში აგინებდა დირექტორსაც, განყოფილების გამგესაც და ყველას, ვინც გზაზე შეეჩეხებოდა. „ამითვალისწუნეს, ნაღდად ამითვალისწუნეს!“ – იმეორებდა აღელვებული. ეწადა რაიმე გულსატკენი, მწარე სიტყვით ეპასუხნა დირექტორისათვის, ეთქვა, რომ არც ისაა წმინდა წყლისა, ჯუმა ბედიას არაფერი გამოეპარება... დამსხდარან და შეექცევიან უზარმაზარ ნამცხვარს, ჯუმას კი ახლოსაც არ იკარებენ, თავისიანად არ თვლიან, არ ენდობიან... ვითომ ვერ შეამჩნია, სავარძელში მისი ჩაჯდომა რომ ეუცხოვა? მოიცათ, ჯუმა ბედია მუხლებზე დაგაჩოქებთ!..

მოღუშულმა „გამარჯობის“ უთქმელად გაიარა მაგიდებს შორის. გამგისაკენ არ მიუხედავს. დარბაზში ქაღალდის შრიალი და ხმადაბალი გადალაპარაკება მოისმოდა. მაყვალა და ლია კვლავ გადასარევ პომადაზე საუბრობდნენ. კაცს ეგონებოდა, ერთი კვირა კი არა, ერთი საათის წინ იყო, რაც ეს ლაპარაკი წამოიწყესო.

უხმოდ ამოიღო ანაბეჭდები და წინ დაიწყო. არ სურდა ვინმეს ყურადღება მიეპყრო და თვითონაც არავის უყურებდა.

მხოლოდ ერთხელ ასწია თავი და გულზე ეტაკა. მის წინ მჯდომ ლიას ცხვირზე ხელი აეფარებინა და ნახევრადგაგუდული საცოდავად აპარპალებდა თვალებს.

— მადონა, გამოაღე რა ფანჯარა, რაღაცა იწვის? – გასძახა ფანჯარასთან მჯდომ გოგონას.

გამგემ სათვალე შუბლზე აიწია და დაკვირვებით შეხედა ჯუმას. ეტყობა, სათქმელი ენის წვერზე უტრიალებდა. ჭაბუკმა თვალები გაკვესა და ენაჩავარდნილი ბატონი ნიკიფორე ქაღალდზე დაიხარა.

ჯუმამ კითხვა დაიწყო, ასოები თვალწინ ხტოდა და ვერაფერს გებულობდა. გრძნობდა, რომ ხანდახან შეათვალიერებდნენ და ბრაზი თანდათან ეკიდებოდა.

მის მაგიდას ჩრდილი დაეცა. მადონას ანაბეჭდები მოეტანა.

— გამარჯობათ! – ჩაიჩურჩულა გოგონამ, წითლდებოდა და შეუმჩნევლად ტუჩს იკვნეტდა.

ჯუმამ თავი დაუქნია. „ამას ხომ მოვწონვარ და მოვწონვარ!“ – უსიამოვნოდ გაიფიქრა, ანაბეჭდები გამოართვა, მაგიდის კუთხეში დადო და კითხვა განაგრძო.

ჩრდილი არ ინძრეოდა. ვაჟმა თავი ასწია.

— რატომ არ ბრძანდებოდით, ავად ხომ არ იყავით? – საცოდავი, საწყალი ხმით შეეკითხა გოგონა.

— რა შენი საქმეა, ვინ გეკითხება? – უხეშად უპასუხა.

მადონა ზაფრანისფერი გახდა, თვალზე ცრემლი მოადგა და სწრაფად გასცილდა.

— Подумаешь! – ზიზღით წარმოთქვა შორი კუთხიდან რუსიკომ.

ჯუმა წელში გაიმართა და ოთახს მოქურუშებული მზერა მოავლო. ყველანი მას უყურებდნენ. სითბო და სიმპათია, რაც აქამდე ხშირად უგრძვნია, არავის ეტყობოდა. ზოგი გაკვირვებით შესცქეროდა, ზოგი გამკიცხავი მზერით.

— რა იყო ვითომ ეს, რა დაგიშავა იმ საცოდავმა? – ჰკითხა ლიამ.

— ყველამ თავს მოუაროს! – მოუჭრა ჯუმამ. არავინ მოსწონდა დღეს, არც არავისგან მოელოდა თანაგრძნობას.

— ძალიან ნუ გაგვიამაყდი, — შემრიგებლურად უთხრა მაყვალამ, — ერთი ყმაწვილი გვყავხარ და პატივსა გცემთ, მაგრამ...

— არავისი პატივისცემა არ მჭირდება მე! – გამომწვევად თქვა ჯუმამ, მაგიდის უჯრა გამოსწია, რათა ქაღალდები შიგ ჩაეყარა.

ვერაფრით ვერ იმუშავებდა დღეს. ყველა მას უწეწავდა ნერვებს და, ცხადია, ვერ იმუშავებდა.

— ჯობია თქვენს პომადებსა და ხელოვნურ წამწამებს მოუაროთ! – ჩაიდუდუნა ბოროტად და უჯრა მიაჯახუნა. ამ დროს კინაღამ ქამარში გარჭობილი რევოლვერი გადმოუვარდა, რომლის თვით არსებობა აქამდე არც გახსენებია. პირკატა ეცა, ვინმემ ხომ არ დამინახაო. ფრთხილად გაისწორა და უცბად სახეზე ღიმილის ნიღაბი აიფარა.

— რა მოგივიდათ, გოგოებო, დამესიეთ და გამპუტეთ? გეხუმრებით, თქვე მართლა გასათხოვრებო, როდის იყო ამდენ სისულელეს ვჩმახავდი?!

ოთახი აჩოჩქოლდა. ზოგმა გაიცინა, ზოგმა მხრები აიჩეჩა.

— ესეც თუ ხუმრობაა!

— აი, მეხი კი დაგაყარე!

— Подумаешь! – მარტო რუსიკო დარჩა წინანდებურად მოღუშული.

ჯუმა სკამიდან წამოხტა, მაგიდაზე ჩამოჯდა. პირისახე გაუცისკროვნდა, კბილები უელავდა, თუმცა მზერა შერჩენოდა ცივი, მძიმე. ამას ვერავინ ამჩნევდა და ერთბაშად მიმზიდველი ჭაბუკი გახდა.

— ეი, გამგევ, გვეყოფა მუშაობა, ცოტა შევისვენოთ! გოგოებო, დღეს განსაკუთრებული დღეა!.. – მხიარულად დაიძახა.

ბატონმა ნიკიფორემ სათვალე შუბლზე აიკვეხა, დუდღუნს აპირებდა, ბევრი სამუშაო დაგვიგროვდაო, მაგრამ ყველა ერთად ქაქანებდა და ხელი ჩაიქნია.

— დღეს ამ თვის ცამეტია, თარსი დღე, – ხელი ასწია ჯუმამ, – დღეს თუ კატამ გზა გადაგიჭრათ, თავი ბედნიერად ჩათვალეთ!

— ენა გადაყლაპე!

— საძაგელი!

— შენ გადაგირბინა შავმა კატამ და შავმა ჭირმა! – მოისმა აქეთ-იქიდან.

— მომისმინეთ, მე ფაკირი ვარ!.. – ახალი როლით ერთობოდა ჯუმა და შემწედ გუჯმახანს იხმობდა, – დღეს ყოველ თქვენს ნატვრას შევასრულებ!.. ჰოპლა, ერთი-ორი!.. ლიას ვენაცვალე, ახლა

არ ნატრობდი ფრანგულ პომადას, სპეკულიანტთან რომ ნახე?

ჯუმამ ხელი აიქნია და თვალებდაჭყეტილ ლიას წინ პაწია კოლოფი დაუდო.

— ღვთაებრივია! – შეჰკივლა ლიამ, ჯუმა ღონივრად ჩაბღუჯა და ლოყაზე პომადის წითელი ლაქა მიაბეჭდა.

ქალები წამოიშალნენ, პომადას მისცვივდნენ ცნობისმოყვარედ, ლიას კი ელეთმელეთი მოსდიოდა, შესციცინებდა ვაჟს, თითქოს მას პომადისათვის ხელიც და გულიც მოეყოლებინოს.

— ალო, არ დამიმთავრებია! – ისევ ასწია ხელი ჯუმამ, – ხომ ვთქვი, დღეს ფაკირი ვარ-მეთქი!.. ყველანი ადგილზე დასხედით!.. ყურადღება, ერთი-ორი, ჰოპლა!.. ეს კი ჩვენს მაყვალას!

ხელში უზარმაზარი ფორთოხალი ეჭირა. თვითონაც არ იცოდა, ფორთოხალი რომ უნატრია ქალს. არ დაბნეულა, თავი დაუკრა და მაგიდაზე დაუდო.

— დედა, შენი ჭირიმე! – შეიცხადა მაყვალამ, ლია კი შესამჩნევად მოიღრუბლა, მეტოქეს მოწკურული თვალებით გახედა.

— ყველამ თავის უჯრაში ჩაიხედოს, ჩემი ძღვენი ლამაზ გოგოებს! – განაგრძო ჯუმამ.

აირია მონასტერი, აარახუნეს უჯრები, იღებდნენ შიგ აღმოჩენილ ზიზილ-პიპილებს... ვინ რას იძახდა, ვინ რას...

— ჩუმად, ამდენი ხმაური არ შეიძლება, დაწესებულებას შევაწუხებთ! – მაგიდაზე დააკაკუნა დამფრთხალმა ნიკიფორემ.

— ოჰო, ჩვენი გამგე სულ დამვიწყებია! – ახლა მას შესცინა ჯუმამ, – ჩვენს გამგეს, გოგონებო, პერსონალურ პენსიას მიართმევენ ხონჩით!

ბატონმა ნიკიფორემ თავი მორცხვად ჩაღუნა.

— მე რა ღირსი ვარ, იმდენი სტაჟი არცა მაქვს.

ფრაზა დამთავრებული არც ჰქონდა, როცა მდივანმა ქალმა შემოყო თავი, ხელში მართლაც ხონჩა ეჭირა და ზედ კონვერტი იდო.

— ბატონო ნიკიფორე, სოცუზრუნველყოფიდან წერილი მოვიდა, საპენსიო საბუთები წარმოადგინოსო!

ბატონ ნიკიფორეს კინაღამ გული შეუღონდა.

ოთახში ჟრიამულმა იმატა.

ამ დროს კარი გაიღო და ზღურბლზე დირექტორი გამოჩნდა.

— რა ხმაურია?.. სირცხვილია, სამუშაო საათებში!.. ვინმე გაიგონებს!

უმალვე სიჩუმე ჩამოვარდა.

— შენგან არ მოველოდი ამას, ბატონო ნიკიფორე! – უსაყვედურა შეშინებულ გამგეს.

— მე? მე არაფერ შუაში ვარ! – ძლივს წაილუღლუღა ბატონმა ნიკიფორემ.

— ჩემი ბრალია, ბატონო! – ხაზგასმით თქვა ჯუმამ, თან თავხედურად შესცინა, – დღეს ნატვრის დღეა, ბატონო!.. მართალია, ყველას არც რა უნატრია, მაგრამ ვინც ინატრა, უსრულდება კიდეც. თქვენ იმ ბედნიერთა შორის ბრძანდებით.

— რეებს ბოდავ? – მოიღუშა დირექტორი.

— დიახ, რასაკვირველია, ვბოდავ!.. თუმცა, რაც დღეს ინატრეთ, ის ხომ თქვენი მაგიდის უჯრაშია უკვე... ნუთუ ჯერ არ გინახავთ?

დირექტორი გაფითრდა, ტუჩები მოეღრიცა.

— ხმაური არ გამაგონოთ! – დააგდო და კარი გაიჯახუნა.

ჯუმა სკამს დაუბრუნდა. ერთხანს ჩუმად იჯდა, მერე ამოიხვნეშა, რევოლვერი მოისინჯა და ოთახიდან გავიდა.

* * *

მზემ თვალებში შეაჭყიტა და სახე აარიდა. ღიმილი ისე ჩამოიბერტყა, თითქოს სამასკარადო ნიღაბი მოეხსნას. გულში ყინულის ნატეხი ჩაუდესო, რაღაც სიცარიელეს გრძნობდა. ხანდახან უმიზეზო სიბრაზე შხამავდა, გაურკვეველი გრძნობა აშფოთებდა.

მაცაცუნა იმავე ადგილას შემოეფეთა. მთელი ეს დრო ალბათ ქუჩაში მიმოდიოდა. „მასეთ ანკესზე ვერ წამომაგებ“, — გაიფიქრა ვაჟმა და გზაზე გადაეღობა.

— რაღაც ვეღარა მცნობ, ესმა!

— აჰ, ჯუმა! – ისე წამოიძახა მაცაცუნამ, სიზმარში იყო და გამოღვიძებისთანავე თავის ნანინანატრს შეეჩეხაო.

— ასე მალე დაგავიწყდი, ხომ?

— მაპატიე, ჯუმა, ჩაფიქრებული ვიყავი!

— ლამაზ გოგოებს ჭარბი ფიქრი მხოლოდ აუშნოებს, — თავს ძალა დაატანა, სალაზღანდარო გული სად ჰქონდა.

— მე ლამაზი არა ვარ, — სწრაფად თქვა მაცაცუნამ, თან ახედ-დახედა წამწამების პარპალით, — შენც ასე ფიქრობ, მე ვიცი...

— საიდან მოიტანე, გოგო?!

— ბიჭები მარტო გასართობს ეძებთ, ჩვენ კი მუდამ სა-დარდებელს გვიტოვებთ... მოხვალთ, აგვაფორიაქებთ, თვითონ ყოველივეს ივიწყებთ, სინდისის ქენჯნა თქვენს გულს არ ეკარე-ბა; გადათელილი ყვავილნარი გრჩებათ გზა და გზა, მაგრამ ეს რაზე შეგაწუხებთ?.. – ნაღველით ამბობდა მაცაცუნა და ჯუმა ვერ არჩევდა, მართლაც ალალი სიტყვები ესმოდა, თუ კვლავ რაღაც როლს თამაშობდა გოგო.

წამით შეებრალა კიდეც. „ესეც წმინდანი ხომ არ არის? – დაც-ინვით გაიფიქრა, კალთის ქვეშ დამალული ცივი საგანი მოსინჯა, – ეს ხომ არ მიმეტანა მსხვერპლად?.. რატომაც არა! მეტი რა უნდა ჯაგერნაუტს?.. ნორჩი მსხვერპლი, ცხელი სისხლი, ამოგლეჯილი გული საკურთხეველზე, ბომონის წინ, როგორც აცტეკთა ქურუმე-ბი აკეთებდნენ!..“

მაცაცუნა დიდხანს რატრატებდა კიდევ. ჯუმა არ უსმენდა. გვერდით მიჰყვებოდა, სახეზე ყურადღება ეწერა, თვითონ კი შორს იყო, ვრცელ უდაბნოში, სადაც ბედის წისქვილის კოლოსა-ლური ბორბლები ფქვავდა და ფქვავდა...

— მზია შემხვდა! – თქვა უცებ მაცაცუნამ და გამომცდელად შეხედა ვაჟს.

— რომელი მზია? – ბნელი ჭიდან ამოდიოდა ჯუმა და ამ მოუ-ლოდნელ სიტყვათა აზრი გონების ზედაპირზე რიკოშეტით აუსხ-ლტა, გაუჩინარდა.

— შენი მეზობელი!

— აჰა, — სინამდვილეს დაუბრუნდა ვაჟი, — მერე რაო?

მაცაცუნას წმინდანობა დაუჯერებელი იყო და ჯუმამ ხელი მოაშორა ცივ საგანს.

— არაფერი, ისე მიდიოდა...

— შენ საიდან იცნობ?

— მე ყველას ვიცნობ, ვინც შენთან ტრიალებს.

— ის ჩემთან არ ტრიალებს.

— შენ ხომ ტრიალებ? – მოულოდნელი სიბრაზე გაკრთა მაცა-ცუნას ხმაში.

— იცი, რა გითხრა, ესმა? – ჯუმა შეჩერდა, ჩავლილ ნაცნობს თავის ქნევით მიესალმა და ამან დაამშვიდა.

გოგო ჩუმად უცდიდა.

— წადი, ლექციაზე დაგაგვიანდება! – ესღა უთხრა, მკლავზე ოდნავ უბიძგა და გაზეთის ჯიხურთან შეჩერდა.

თავჩაღუნული მაცაცუნა გაეცალა, ჯუმას უკვე დაავიწყდა იგი. გამყიდველს ხურდას უწვდიდა, როცა მაცაცუნამ იდაყვზე მოქაჩა.

— კიდევ აქა ხარ? – გაკვირვება ვერ დამალა ჯუმამ.

— ვაკის პარკისაკენ წავიდა, — წასჩურჩულა გოგომ და ვაჟი გაირინდა. — მე ვხედავდი, — გაიმეორა მაცაცუნამ, — ტატოსთან ერთად იჯდა, ჩემი თვალით ვნახე...

— წადი, წადი! – ჩაიბურტყუნა ჯუმამ, ტროტუარს ნელა და-უყვა, თან ახალი გაზეთი გაშალა, სათაურებს ათვალიერებდა, მაგრამ ვერაფერს გებულობდა.

აუჩქარებლად მისეირნობდა, ან რად უნდა ეჩქარა. არც იცო-და, საითკენ მიდიოდა და რისთვის... ან იქნებ დროს წელავდა, ფეხს ითრევდა.

არაფერზე ფიქრობდა, აზრი არც ფოფინებდა თავში; მთლი-ანად დაცლილი იყო, გულში სიცარიელე ჩაუსახლდა.

მზიანი დარი იდგა. ასფალტზე ცხელი ჭავლი ლივლივებდა. ინსტინქტურად ეძებდა ჩრდილს, კედლებს ეტანებოდა.

ნაცნობებს ველარ ცნობდა, უცნობთ ვერ ამჩნევდა. ადამიანთა სახეები მიცურავდა, როგორც ფერადი ტივტივები ნისლიანი წყლის ზედაპირზე. თვითონაც თითქოს ბულულა ნისლში იყო ჩაფლული.

ერთი-ორჯერ სმენას მისწვდა „გამარჯობა“. ვიღაცა საიდან-ღაც მოესალმა, არ იცოდა კი საიდან. პასუხად თავს დაუფიქრებ-ლად აქნევდა.

ერთხელ შეჩერდა, გახევდა. ბორბლების გრიალი მოესმა. მიწა იძროდა და ბუმბერაზი ცხენები მოაქროლებდნენ მძიმე ეტლს, ფლოქვებს ქვეშ სკდებოდა ასფალტი, იფშვნეოდა ბეტო-ნი, დნებოდა რკინა. წამოიმართა მტვრის ღრუბელი, განწირულ-

თა წივილ-კივილმა სმენა წაართვა...

გამოერკვა. „იკარუსის“ ტიპის მძიმე ავტობუსმა ჩამოიგუგუნა. ტურისტები იყურებოდნენ ფანჯრებიდან, ხელებს აქნევდნენ და მღეროდნენ არეულად, ხმის შეუწყობლად.

ზმანებას თავი დააღწია, პერანგის ქვეშ გაჩრილი რკინის საგანი შეიმაგრა.

„ჯა�ა!.. – ედგა ყურში აუტანელი ზარი, — ნაუუტ, ნაუუტ, ნაუუტ!..“

სიგიჟე იყო ყოველივე, მაგრამ ყველა ხიდი ჩაინგრა, ყველა გზა მოიჭრა.

ეს იცოდა და არც უნდოდა ამაზე ეფიქრა... სისხლი შხამად გადაქცეოდა, მოწამლულსა და გაბოროტებულს მთელი ქვეყნის მოწამლვა უნდოდა. იმ ჭირიანსა ჰგავდა, რომელიც ქუჩაში ყველას ეჯახება, ვინძლო სხვებიც ჩემს გზას გავუყენოო.

თავბრუ ეხვეოდა, ეს, ალბათ, სიცხის ბრალი იყო.

სახლს ჩაუარა, ჩრდილი გათავდა და კვლავ შეჩერდა. თაკარა მზე ადგა თავზე, ჯაგერნაუტის სახესავით შეაბარჩხალა თვალებში, დაუბნელა, სინათლე წაართვა... შუბლზე ხელი მოისვა და მეორე სახლის ჩრდილს მიეტანა.

ქუჩა მანქანებით გაიჭედა. ორი ტროლეიბუსი გაჩხირულიყო და გზა გადაეკეტა. კიოდნენ კლაქსონები, იგინებოდნენ მძღოლები, იძაბებოდა ჰაერი.

იქედნურად ჩაიხითხითა: „აღსრულებულ სურვილთა დღე, აღსრულებულ სურვილთა დღე... დიდი ოინბაზი ვინმეა ეს გუჯმახანი... ნეტავ ვინმემ თუ იცის?..“

არავინ არაფერი იცოდა.

მხოლოდ მან იცოდა. მას კი ერთადერთი სურვილი შერჩენოდა, ჯაგერნაუტის საკურთხეველზე მიეტანა წმიდა მსხვერპლი, მის სისხლში დაებანა ხელი და ამით თვითონ განწმენდილიყო.

დიახ, განწმენდილიყო!.. ჩამოშორებოდა ჯოჯოხეთის დაღი, დამწვრის სუნი, გუჯმახანმა რომ გამოაყოლა თავის რჩეულს.

ვაკის პარკში ხალხმრავლობა იყო. შესასვლელის კიბეებზე ნელა დაეშვა. ათვალიერებდა ყმაწვილ გოგონებს, ალბათ ლექციებიდან გამოპარულ სტუდენტებს, რომელთაც სიცილ-კისკისით

გადაასწრეს. ერთმა მხარიც კი გაჰკრა შემთხვევით, მოუბოდიშა, შემოსცინა, ალბათ მოეწონა კიდეც და დაიმანჭა, ამასაც სუნი ეცა.

შადრევნის მძლავრი ჭავლები შხუილით სცემდა, მირიადი წინწკლები მიჰქონდა ჩუმ ნიავს. წყლის ჟვავი მარგალიტის ნისლივით ქანაობდა მზეზე და ჯუმამ სუსტი და ნაზი ცისარტყელა ნახა, ოღონდ მისი გული დახშული იყო... გულგრილად ჩაუარა გვერდით, თუმცა ნიავმა ცივი შხეფები მოაფრქვია სახეზე.

ბავშვი შემოეგება, შეეფეთა, ფერხთით წაიქცა. შეშინებული ატირდა. დიდრონი თვალებიდან ცრემლები ჩამოსცვივდა. მისმა ფუნჩულა, ვარდისფერმა ღაწვებმა, ცრემლებში ჩაცვივნულმა ცისფერმა თვალებმა გული მოულბეს წამით, ყოველივე დაავიწყეს. ბავშვის ახალგაზრდა, ლამაზი დედა მოვარდა, შვილი აიტაცა, გულში ჩაიკრა, მოეფერა, ჯუმას კი მკაცრი, მტრული მზერა ესროლა.

— თვალებში ვერ იხედებით?

ჯუმას გულში კვლავ შხამი ჩაიღვარა, გაქრა სინათლე და სული წკვარამში ჩაეშვა.

ისმოდა ბავშვების ტკარცალი, სიცილ-კისკისი. პატარები ებლანდებოდნენ ფეხებში. მათი დედები, ბებიები, პაპები მწვანე სკამებზე ჩამომსხდარიყვნენ მშვიდად. ჩოჩქოლით მოძრაობდა გრძელი რიგი გაზირებული წყლის ჯიხურთან, კარუსელთან, საქანელასთან. იდგა ერთი ალიაქოთი და მხიარული ზუზუნი. ჯუმა ვერაფერს ამჩნევდა, მის გულს არაფერი ახარებდა.

და უცებ შეკრთა.

ტირიფთან, წყალვარდნილის პირას ისინი ისხდნენ, ორნი.

ტატოს ჯინსი და თეთრი, ქათქათა პერანგი ეცვა. ოქროსფერი ქოჩორი შუბლზე ჩამოეყარა. მუხლზე ქაღალდი ედო და გამალებით წერდა... წერდა გაყვითლებული გაზეთის ფურცელზე, ეს უცებ შენიშნა ჯუმა ბედიამ... მხოლოდ ერთხელ ასწია თავი; სახე აღტყინებული ჰქონდა, დაძაბული, ბაგეზე სხივოსანი ღიმილი ენთო, თვალებში აზრი კამკამებდა და ვერაფერს ხედავდა ირგვლივ, ან ხედავდა, ოღონდ სულ სხვა სამყაროს, მისეულს, ჯერჯერობით ყველასათვის დაფარულს...

გვერდით მზია ეჯდა, თვალს გაფაციცებით ადევნებდა. ნათელი

ეფინა პირზე, თითქოს შთაგონების ნაწილი მასაც გადასდებოდა...

ბუჩქებს ამოფარებული მიუახლოვდა. სააშკაროზე რომ გამოვიდა, მათ შორის ჩანჩქერის თხელი, ანკარა წყალი მოჩქაფუნებდა.

შეჩერდა, შურიანი თვალი მიაშტერა წყვილს.

ხვატი მზე ბარჩხალებდა ცაზე და თავი უხურდა, აზრი უსხლტებოდა, სიცარიელე რჩებოდა... თვალწინ ფერადი წრეები უტრიალებდა. ეჩვენებოდა, რომ კასკადის თავზე სუსტი, ნაზი ცისარტყელა ეკიდა, ხელს უშლიდა... სიჩუმე სუფევდა ირგვლივ. მიწყნარდა ბავშვების ყიჟინა, არც რადიოს ხმა ისმოდა, არც შადრევნის შხუილი... მერე უცებ მოვარდა ღრიანცელი და გუგუნი... გუგუნებდა მიწა, ტორტმანებდა ფეხებქვეშ და პირმიწაზე დამხობილი ბრბოი მონათა ღრიალებდა – „ჯაა-გერ-ნაუუტ... ნაუუტ!..“

თვალთაგან ბინდი გაქრა. კვლავ პარკში იდგა, ჩანჩქერის პირას. მზის სხივები იღვრებოდა თხელ წყალში, ვერცხლისფერი ჭავლები ლიფსიტებივით დასრიალებდნენ.

ტატოს ხელი გაუშეშდა უცბად, თავი ასწია... თვალებში სინათლე ედგა, სულ სხვა სინათლე და ჯუმა ბედიას ვერ ხედავდა... მერე თანდათან გამოერკვა, იცნო... ამას ჯუმაც მიხვდა... იცნო და წამოდგა, სახეზე შეშფოთება დაეტყო...

ჯუმაც შეშფოთდა, დაფრთხა, მუხლებში სისუსტე ჩაეღვარა, მაგრამ მხოლოდ წამიერ... დაუფიქრებლად ამოიძრო რევოლვერი და თითი ჩახმახს ჩამოჰკრა.

გასროლის ხმა არ გაუგონია. არც სხვა რამ ხმა გაუგონია... თითქოს მუნჯი კინოს კადრებს ხედავდა.

ნელა, ძალიან ნელა მიიდო მკერდზე ხელი ტატომ. მეორე ხელი კი ზე ასწია და გადაიხარა... ნელა ვარდებოდა... დიდხანს ვარდებოდა, თითქოს მიწა არ იღებდა თავის შვილს... სახეზე გაოცება ეხატა, ბაგე გაეხსნა, მაგრამ ხმა არ ამოსდიოდა... მზია!.. ფართოდ გახელილი თვალები, ჩამოშლილი თმა, ჩახშობილი კივილი... და როდესაც ტატო დავარდა, მზიაც ზედ გადაემხო, მისმა თმებმა პირისახე დაუფარა ვაჟს...

ჯუმა ბედიამ რევოლვერს ზიზღით დახედა, წყალში მოისროლა და ბუჩქებში აუჩქარებლად გაუჩინარდა.

ნაწილი V

ოთმოცი დღე

უცნაური თავგადასავლები წაეწყო იმ დღეს მზეჭაბუკ ბედიას. ცვლილება უცბად იგრძნო და ეს იყო საოცარი. გული აუჩქარდა, შეტორტმანდა, რატომღაც ფეხზე კარგად ვერ დგებოდა, თითქოს გასაბერი ბუშტი ყოფილიყოს, ბავშვს რომ გაუვარდა და ახლა აუჩქარებლად და მსუბუქად ხტის. სმენაც გაუმახვილდა. არ იცოდა როგორ, მაგრამ ცხადად ესმოდა ადამიანთა ლაპარაკი, დაუსრულებელი მონოლოგები, რომლებიც ერთმანეთში ირეოდა და ძნელი იყო გარკვევა, ვინ ლაპარაკობდა და რა უნდოდა ამ ქაოტური სიტყვებით გადმოეცა.

მზეჭაბუკი ახლადფეხადგმულივით მიდიოდა ქუჩაში. გული სწრაფად, შიშნეულად უცემდა. ხელს ავლებდა ყველაფერს, რასაც ჩაუვლიდა, ხეს, ტროტუარის კიდეზე დაყენებულ ბარიერს, ვიტრინას, ზოგჯერ გამვლელსაც, როგორც მთვრალი, მუხლების იმედი რომ არა აქვს.

— მე მეუბნებით? – შეეკითხა გვერდით ჩავლილ შლაპიან მამაკაცს, რადგან აშკარად მოესმა უკმაყოფილო დუდღუნი ნარკომან ახალგაზრდებზე, დღისით-მზისით ქუჩაში რომ დაეხეტებიან და გამვლელებს ფეხებში ედებიან. მამაკაცმა წარბები აწკიპა. მას ბაგე არც გაუხსნია. „მაშ ვინ იყო, ნარკომანი რომ მიწოდა?“ – გაიფიქრა მზეჭაბუკმა და ფეხს ძალა დაატანა. იმავე წამს საოცრება მოხდა. ტროტუარს მოწყდა და რამდენიმე მეტრზე ავარდა, მერე კი ნელ-ნელა, უზარმაზარი ბაბუაწვერას სიმსუბუქით, კვლავ ტროტუარზე დაეშვა. შეშინებულმა გაოფლიანებული შუბლი ცხვირსახოცით შეიმშრალა და მალულად მოიხედა. ჩასქელებულ დედაკაცს ბოსტნეულით სავსე ჩანთები დაედგა და თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდა. „აჰ!“ – წამოიკვნესა უზომოდ

გაკვირვებულმა, მეტი არაფერი უთქვამს, თუმცა მზეჭაბუკმა აშკარად გაიგონა: „მაგრე კისერს მოიტეხ, აი იქნება სეირი!“

თავი არ აუწევია, გზა ისე განაგრძო. თანდათან შიშნარევი სიხარული დაეუფლა, თავბრუ დაახვია. მიხვდა, რაც ჭირდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ბედავდა თავისი აღმოჩენის სიტყვიერ გარსში მოქცევას...

ეს იყო მისი საიდუმლო და ვერავის გაუმხელდა, ჯუმასა და კაჭუჭიასაც კი. ამ მიხვედრით აღგზნებულმა არ იცოდა საითკენ წასულიყო. სულაც შინ გამოიკეტებოდა, მაგრამ ძმები დაუწყებდნენ გამოკითხვას, რა გჭირს, რა გემართებაო... თუ არა და, სადმე შორს ჯობდა გადაკარგვა, უნდოდა ადამიანთა თვალს მოჰფარებოდა, რათა შეემოწმებინა თავისი აღმოჩენა.

ქუჩამ მოედანზე გაიყვანა. მინისა და რკინაბეტონის სახლზე მეტროპოლიტენის წითელი ნიშანი ციმციმებდა.

ესკალატორზე მეტროდან ამომავალი ქარი უბერავდა და მზეჭაბუკი საკუთარ სიმძიმეს ვერ გრძნობდა. მოძრავ სახელურს ჩაეჭიდა, რადგან ყოველ მობერვაზე საფეხურს მოსწყდებოდა ხოლმე და ტოტზე ჩამოკონწიალებულ ფოთოლივით შეთრთოლდებოდა.

აღმა მომავალი ესკალატორი აქამდე ცარიელი იყო. ჩანდა, მორიგი მატარებელი ჩამოდგა, ესკალატორს ბრბო მოაწყდა და მისასვლელი ჩაიჭედა. მოძრავმა კიბემ თითო-თითოდ ამოიტაცა იქიდან მგზავრები.

კიბეზე გასისწრივდნენ და პირი მზეჭაბუკისაკენ მოაპყრეს. ყმაწვილს მზერა გადაურბოდა სახიდან სახეზე, ხან გულგრილად, ხან კიდევ სუსტი ინტერესით, როცა გოგონას სახეს შეეფეთებოდა, ან ბავშვისას, ან უცნაურ ვარცხნილობას, ქუდს. არავის ამოუღია ხმა, მაგრამ გვერდით, მოძრავ კიბეს, ცოცხალი ადამიანები აჰყავდა და მზეჭაბუკს აშკარად ესმოდა სულში ჩამალული ხმები: „ოჰ, რა ღრმაა!..“ „ხუჭუჭთმიანი...“ „მგონი ხურდა დამაკლეს...“ „ის გოგო რომ ჩამიგორდებოდეს...“ „მე კი ვუთხარი, ისე მაგრად ვუთხარი...“ „რას იჭყიტები ნეტავ?..“ „შაურიანის მაგიერ ჩავაგდე და დებილი ავტომატი...“ „ჰი-ჰი-ჰი...“ „მუშტი ჩაგაფარო...“ „მაკოცნინე...“ „ჯიგარია, რა ჭამა-სმა იცის?..“ სიტყვები და ფრაზები ირეოდა, ქაოტურად მოფარფატებდა ყოველი მხრიდან და ტვინში მოძვრებოდა ისევე, როგორც ასასვლელთან მოჯარული ბრბო, როცა ყველა ცდილობს სხვებს აასწროს ესკალატორზე და სივიწროვეში იჭეჭყებიან.

ვაგონი ხალხით იყო გატენილი, სახელურს ვერ მისწვდა. როცა მატარებელი დაიძრა, თავი ძლივს შეიკავა. როგორმე მყარად უნდა დამდგარიყო, საკუთარ სიმძიმეს ვეღარა გრძნობდა. როგორც კი შეეცდებოდა ფეხი დაეკრა იატაკისათვის, უმალვე ჰაერში დაეკიდებოდა. გვერდით ათლეტი ედგა, ყველას თავზევით აწვდენდა ღონიერ ხელს და სახელური ჩაებღუჯა. „შეგიძლია, ჩემს მკლავს ჩაებღაუჭო, მაგრად ვდგავარ!“ – ხმადაბლა ნათქვამი მოესმა მზეჭაბუკს, თუმცა ათლეტმა მხოლოდ შეხედა, პირი არც გაუხსნია. ახლა სარკეში უყურებდა თავისსა და მზეჭაბუკის გამოსახულებას. მზეჭაბუკი მის მკლავს ჩაეჭიდა, ასე დგომა უფრო მოხერხებული იყო. ათლეტმა გაუღიმა, ხმა მაინც არ გაუცია და არც მზეჭაბუკს მოუბოდიშებია. „შენისთანა თხუთმეტისთვის მეყოფა ღონე, — ისმოდა მონოტონური დუდუნი, — მკლავზე თხუთმეტი კაცი რომ ჩამომეკიდოს, ოდნავადაც ვერ გადამიღუნავენ... ისე კაი ბიჭი ჩანხარ... გაგიცნობდი კიდეც, მაგრამ ეს ოხერი ხმა არ ამომდის ყელიდან, მერიდება...“

მზეჭაბუკს გაეღიმა. მატარებელი მიგუგუნებდა ვიწრო გვირაბში. ხანდახან სუსტი ნათურა გაიელვებდა ფანჯარაში, თუ არა და იქ მხოლოდ ვაგონში მყოფთა გამოსახულება ჩანდა: მჯდომარეთა ნაირ-ნაირი კინკრიხოები, ვინც იდგა, იმათი გაუღიმარი, სერიოზული სიფათები. „ორი შაურის ოხრახუში, ორი შაურის ქინძი, ორი შაურის ნიახური, ოთხი შაურის წიწაკა...“ – ითვლიდა ვიღაცა ბაზრის ნავაჭრს, ალბათ ის ხანშიშესული ქალი, რომელსაც ხელები მუცელზე დაეწყო, ცხვირსახოცში გახვეული ფული მაგრა ჩაებღუჯა, ფეხებთან კი მწვანილით გატენილი ჩანთა ედო; „გზაზე მიდის ერთი კაცი!.. რათა ერთი? მაშ რამდენი?..“ – განუწყვეტლივ იმეორებდა მავანი, ალბათ ის სათვალიანი ახალგაზრდა, მძიმე საფიქრალი რომ აღბეჭდოდა სახეზე; „ამ ბიჭს გავხდი, თანდათან, აუჩქარებლად... მერე ჩამეხვევა, გავუძალიანდები, ის კი მაინც ჩამეხვევა...“ – ესმოდა მზეჭაბუკს და ლოყაზე ალმური

ეკიდებოდა, რადგან აშკარად მასზე ფიქრობდნენ. მოიხედა. ქალიშვილის მზერას შეეფეთა. ქალიშვილმა ფანჯარაში დაიწყო ცქერა. მზეჭაბუკი ვერ მიხვდა, იქაც მის ანარეკლს ათვალიერებდნენ თუ უკვე დაივიწყეს. ქალიშვილს წამწამებზე ოდნავ წაესვა შავი ფანქარი, ბაგეზე კი ბავშვური უმანკოების დაღი აჩნდა... „ისე ვახო მქვია, ნაკრებში ვჭიდაობ... იმ დღეს ორი უცხოელი ვბერტყე, ტელევიზორში მაინც ვერ მნახე, შე კაცო?..“ – ეს ისევ ათლეტი იყო. მზეჭაბუკს ქალიშვილი უკვე დაავიწყდა, კვლავ გაუღიმა ათლეტს და უცებ უთხრა:

— მე მზეჭაბუკ ბედია ვარ!

ათლეტი დაიბნა, ფეხი მოინაცვლა, ამ დროს დათვივით ბაჯბაჯებდა, მერე მხრები აიჩეჩა. ფანჯარაში ისე გაიხედა, თითქოს მას კი არა, სხვას მიმართეს.

მატარებელი გვირაბიდან გამოვარდა თვალისმომჭრელ, მზით განათებულ მიწისპირზე, გაირბინა და გაჩერდა. დიდუბის სადგურში კი ყველა ერთად დაიძრა კარისაკენ... მოედანზე გააღწია, პირველსავე ტრამვაის შეახტა...

* * *

ზღვის დასახლებას გვარიანად დაშორდა, სამანქანო გზა გადაჭრა და ახლადაჯეჯლილ მინდორზე გავიდა. უკაცურ ადგილს ეძებდა და მიაგნო კიდეც. სამგორის ვრცელი მინდვრები ოკეანის ტალღებივით ირწეოდა და დასახლების თეთრი კორპუსები შორიდან ოკეანეში მიმავალი ხომალდების ქარავანს ჰგავდა.

საიდანღაც ბელურა მოფრთხიალდა; შორიახლო დაჯდა, მერე აფრინდა და უფრო შორს გადაჯდა.

ალბათ შეეძლო დასწეოდა მეტიჩარა ჩიტს, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული საკუთარ ძალაში. ამიტომ არ აჩქარებულა. ფრენასაც ხომ ვარჯიში ჭირდებოდა, როგორც ყველაფერ განსაკუთრებულს, გამორჩეულს.

ოდნავ მოიხარა, როგორც ხტომის დროს ჩვეოდა, და ისკუპა. მოელოდა, მაგრამ მაინც დაიბნა, როდესაც ოციოდე მეტრის სიმაღლეზე ჰაერში დაეკიდა და ნელ-ნელა იწყო დაშვება. შიშნარევი სიხარულისაგან ხელ-ფეხი გაასავსავა, ხან ერთ მხარეს გაიჭრა, ხან მეორეს.

შიშისაგან გულგახეთქილი ჩიტუნა წრიპინ-წრიპინით გადაიკარგა ბექობს გადაღმა.

მზეჭაბუკს მისთვის სად ეცალა. გული აჩქარებით უცემდა და თავბრუდახვეული იმასღა ფიქრობდა, როგორმე ფეხი მყარად დაედგა მიწაზე.

მერე პირდაპირ მწვანე ჯეჯილზე გაწვა ზურგით.

ნერვულობისა და აღგზნებისაგან დასცხა. თავს წარმოუდგენლად ბედნიერად გრძნობდა, ოღონდ არ იცოდა, რამდენ ხანს გასტანდა ეს ბედნიერება. ასე ნებიერად გაწოლილი იხედებოდა ცის უსასრულოდ მაღალ გუმბათში, რომელიც გაუგებარი მიზეზით მისაწვდომი გამხდარიყო მისთვის.

უცბად წამოიჭრა მზეჭაბუკი, წამოიჭრა და მოსწყდა მიწას, დაუფიქრებლად, უანგარიშოდ, ისევე თავგანწირულად, როგორც კლდეზე გადამხტარი კაცი, ვინც ვერ გაბედავდა გადახტომას, თუ ყველაფერს წინასწარ აწონ-დაწონიდა.

ჰაერში ისე ასრიალდა, როგორც ზღვის სიღრმეებიდან ზედაპირზე ამოჭრილი დელფინი.

დაპატარავდა ყოველი საგანი მიწაზე. თვით მიწა კი განივრცო, ამოიბურცა. ამ ამობურცული მინდვრის კიდეებზე გადაიხარნენ დასახლების თეთრი კორპუსები, როგორც ტალღებისაგან აქანავებული ხომალდები, მეორე მხრივ, ტიტველ გორაკთა უსიხარულო წყება მიერეკებოდა ერთიმეორეს, როგორც ტალღა მიერეკება მეორე ტალღას, სანამ არ მიემსხვრევა დიად კლდეებს, ან არ დაიშრიტება დაბალ, უღიმღამო ნაპირებზე.

პირქვე დაეშვა მზეჭაბუკი. ყურებში ჰაერი აუშხუვლდა, გულიც ფართქალებდა შიშისა და ნეტარებისაგან.

მწვანე ჯეჯილი ქანაობდა ფერხთით, ხან ერთ მხარეს წამოიწევდა ველის კიდე, ხან მეორე მხარეს, თითქოს ტალღებზე გაწოლილი უზარმაზარი ტივი ყოფილიყოს. ჯეჯილის ხალასი სურნელება შემოეგება ცით დაშვებულს, გააქნია ხელები, რათა არ შესკდომოდა მიწას და გასრიალდა პირმიწის გასწვრივ ველის კიდ-

ისაკენ. გარბოდა ფერხთით ჯეჯილი, ყველაფერი აითქვიფა მწვანე საღებავით, ვიღაცას უდიერად რომ დაეღვარა ამ მინდორზე.

გათავდა უცბად ფართო ველი, წითელი კედელი წამოიმართა მოულოდნელად. საომარი სპილოს უზარმაზარ შუბლსა ჰგავდა, ციხის ზღუდეთა შესალეწად რომ მოიწევდა.

აიწია მზეჭაბუკი და გადაევლო წითელ კედელს.

მის წინ გადაიშალა საფირონით სავსე ლანგარი, თბილისის ზღვა...

მზეს სხივები უხვად მოეფრქვია და ვერცხლისფერი ხიდი შუაში ისე ჭრიდა წყალსაცავს, თითქოს ვიღაცა ჩამჯდარა და ვერცხლის ხერხით ლურჯი ზეთით სავსე ჯამს ხერხავსო... ცაზე მარაგი გადაშლილიყო, როგორც სირაქლემას უზარმაზარი ფუმფულა ფრთა და მისი გამოსახულება ირეკლებოდა წყალში. ნაპირის გასწვრივ კი გადმოყირავებული სახლები, გორაკთა ამობრუნებული თხემები, ნაენები ეყარა. ზედ შუა ზღვაში მიცურავდა თეთრი კატარღა და მის კვალზე ჩქეფდა პერმოდებული გამდნარი თითბერი.

მზეჭაბუკმა გაიცინა. ბედნიერებისაგან იცინოდა, მშვენიერებით მოხიბლული, ლაღი, ჯანმრთელი, მონავარდე...

ქვასავით მოწყდა, ელვის უსწრაფესად დაეშვა ძირს, წყლის სუფთა პირს ხელი აჰკრა, ჭავლი აისროლა, მკლავი დაეფარა ცივი წინწკლებით და მოსარკულ ზედაპირს სატორპედო კატარღასავით გადაუქროლა.

მიჰქროდა მზეჭაბუკ ბედია, წყალში ჩავარდნილი ჩრდილი მისდევდა ფეხდაფეხ. ხან აშკარად ხედავდა თავის ანარეკლს, აღტაცებულ სახეს, ტანზე მოფარფატე პერანგს, გაწეწილ თმას, ხან კიდევ მსუბუქ ტალღებზე ალივლივდებოდა ჩრდილი, გადატყდებოდა, დაქუცმაცდებოდა, ფორმას იცვლიდა, როგორც „სიცილის ოთახში“.

გრილი ნიავი ელამუნებოდა მზეჭაბუკს, მის სრულ განწმენდას ცდილობდა, სასიცოცხლო ძალას მატებდა, სულში სილაღესა და სიხარულს უბუდებდა. უნდოდა ეცინა, ეცინა... უნდოდა მთელი ეს ჰაერი შეესრუტა, ეს ზღვა მთლიანად გულში ჩაეკრა და სითბოთი და სიყვარულით გულდაჯერებული, ღონემიხდილი დაცემულიყო მწვანე ჯეჯილზე...

ირწმუნა თავისი ძალა და უკვე არ ეშინოდა სიმაღლისა...

ჰაერის თბილ ჭავლს მისდია, დაუცხრომლად მიიწევდა მაღლა და მაღლა. თვალებით ისრუტავდა კამკამა, გამჭვირვალე სილურჯეს და თანდათან ითქვიფებოდა მასში.

მიფრინავდა მზეჭაბუკი, ცის გუმბათი ზევით იწევდა, ფართოვდებოდა. ის უფრო ვრცელი და გრანდიოზული იყო, ვიდრე აქამდე ეგონა, უფრო წაურყვნელი და სათუთი, თვალშეუწვდენი ხუფივით გადმომხობოდა დედამიწას.

ქართლის მიწა გაშლილიყო ამ ცისქვეშეთში, როგორც ქართული დედაენა ანიდან ჰაემდე. ჩრდილო მხარე თანდათან აიზიდა მაღლა, შეეფინა გომბორისა და კახეთის მთებს, ისინი კი თავის მხრივ მთავარ ქედზე აბობღდნენ და ცის კიდეზე ხანჯლებივით მზეზე ალაპლაპდა ცივი და უკარება კავკასიონი. სამხრეთით დედა-თბილისი გაწვა ხეობის გასწვრივ, ნისლი და კვამლი ადგა ქალაქს თავზე. მისი შორეული უბნები ჰორიზონტზე იკარგებოდა, სადაც სივრცის მკრთალ ფერებში ილანდებოდა რუსთავის საქარხნო მილები.

მზეჭაბუკ ბედია ბოინობდა ცის გუმბათზე და სანახაობით თავბრუდახვეულს სხვა ყველაფერი დავიწყებოდა...

დასავლეთით, ხეობის თავზე ღრუბლის ფთილა გამოჩნდა და მზის სხივმა იგი სისხლისფრად შეღება...

თანდათან აბოლქვდა, მაღლა აიწია, ცის საწიერი მოათოვლა. მზე ისე ჩაგორდა ფუმფულა ღრუბლებში, როგორც წითელი ბურთი, საპნის ქაფით სავსე აბაზანაში. ჩავარდა და ცეცხლმა გაიელვა, ღრუბელთა კუნუბები აგიზგიზდა, ოღონდ მცირე ხნით. მერე შესუსტდა ხანძარი, შენელდა, სხივებმა ღრუბლებში გააღწია და ვერცხლის უზარმაზარ ფარდებად ჩამოეშვა მწვანე გორაკებზე...

თავი II. გრიგალი

დედამიწა იყო ურიცხვი საუნჯით სავსე სასახლე, ცა კი ამ სასახლის გუმბათი.

ცის თაღი აღმოსავლეთის მუქი ლურჯიდან დასავლეთის სისხლივით წითელ ფერში გადადიოდა და ფერთა ყოველ გამას შეიცავდა.

მზე ეპირებოდა ჩასვლას, ფერთა გამჭვირვალე ფრთას ჰფენდა ცის კაბადონზე; ოქროს გვირგვინი ედგა თავზე და ჰაერის უზარმაზარ ოკეანეში ისე იყურებოდა, როგორც უფლისწული თავისი ბაღის კამკამა ტბაში.

მზეჭაბუკი უძრავად ეკიდა ცის თაღზე და ქვევიდან ძელზე გაკრულივით ჩანდა.

ღამე ეპარებოდა მწვანით მოსილ გორაკებს, სამხრეთის ვრცელ ველებს, ჩრდილოეთით დაგრაგნილ კავკასიონის თოვლყინულოვან ზღუდეებს.

ეს იყო სამშობლო... ვრცელი, თბილი, საყვარელი...

და ამღერდა მზეჭაბუკ ბედია... არც იცოდა რას მღეროდა, ხმა თავისთავად ამოსდიოდა ყელიდან.

ღრუბლები მოიზლაზნებოდა დასავლეთიდან. მზე ჩააქრო ღრუბლის ჩაშავებულმა, ზონზროხა ქულამ და სადღაც მის ბნელ სტომაქში აგუგუნდა, ახრიალდა ელვა და ჭექა-ქუხილი, თითქოს გავარვარებული რკინის ბურთი ჩაეგდოს ვინმეს წყალში...

მაშინ თბილისისაკენ შებრუნდა...

წეროთა ყაპყაპი გაიგონა. საჰაერო პარადზე დაწყობილი ძველი კონსტრუქციის ავიაგამანადგურებლებივით მიიწევდნენ წეროები ცაზე. კისერი წაეგრძელებინათ, ვარდისფერი ფეხები შასებივით აეკრიფათ, დიდრონ, ფათქუნა ფრთებს მოზომილად იქნევდნენ. მეწინავემ მოიხედა, რაღაც გადაჰყივლა მიმყოლებს. შეთანხმებულებივით ყველამ ერთად მოაბრუნა კისერი, მწკრივი არ დაურღვევიათ. მეწინავე უცებ გადაქანდა და პიკირებულ ბომბდამშენივით ძირს წავიდა. სხვებიც ასევე რიგრიგობით მიჰყვნენ თავქვე და უძოს მთასთან სელით დაფარულ ტბაში გაუჩინარდნენ.

თრიალეთის ქედის თავზე აციმციმდა ასპიროზი, უმალვე ჩაყლაპა წამოსწრებულმა ღრუბელმა. მთაწმინდაზე აღმართულ ტელეანძაზე აინთო წითელი შუქურა. სამხრეთის ვრცელ ველებს თანდათან ეფინებოდა მქრქალი ბინდის ვუალი. მთაწმინდის გაღმა კი ფერად გირლიანდებად დაიტოტა ციმციმა მწკრივები ქუჩის ნათურებისა...

სულ ახლოს დაიქუხა. ქარმა დაჰბერა და თან მოიტანა ტყეთა და ველთა სურნელი. ყმაწვილს სახეზე მსხვილი წვეთები დაეცა.

შავი, ქუფრი ღრუბლები მძიმედ მოიწევდა მისკენ, უკვე დაეფარა მთა და ბარი. ტყიან გორაკებზე ციდან შავი ფარდა ეშვებოდა, თითქოს ვიღაცა კუპრსა ღვრიდა.

მზეჭაბუკი აჩქარდა, ისარივით ეშვებოდა ტელეანძის წითელი შუქურისაკენ...

ყრუ გუგუნი მოისმა, თანდათან გაძლიერდა. მილიონი ზონზროხა ბიზონი ერთად მოთქრიალებდა და დედამიწა ზანზარებდა. ნელი ღრუბელი ჰგავდა აუწერელი სიდიდისა და სიძლიერის ვეშაპს, რომელიც ნთქავდა ყოველივეს თავის გზაზე... მის უძირო მუცელში იკარგებოდა მთათა გრეხილები და სოფელთა ვრცელი სანახები, ცა და მიწა, წინ კი მოუძღოდა ცეცხლოვანი მახვილი, რომელსაც უხეშად და მოულოდნელად, შემაძრწუნებელი ზრიალ-გრიალით გაიწვდენდა ცაზე. მაშინ ცა ისე იფხრიწებოდა, როგორც გაზეთის უზარმაზარი ფურცელი.

დაფრთხა მზეჭაბუკი, შეეშინდა ცეცხლოვანი მახვილისა. გრძნობდა, რომ იმუხტებოდა ელექტრონით, ნაპერწკლები ცვიოდა ტანსაცმელზე, თმაზე, მოცისფრო ალში ეხვეოდა წამიერ.

მოვარდა გრიგალისებური ქარი, შემოაფლითა ტანსაცმელი, გაიტაცა საჰაერო ბურთივით... აითქვიფა ერთმანეთში ცა, მიწა, ქარი, ღრუბელი. უკვე ვერ ერკვეოდა, რა ხდებოდა. მართლაც ქარიშხლის ფრთებზე მიფრინავდა თუ ბედისწერას უცხო და ველურ სამყაროში გადაეგდო.

მხოლოდ წითელი შუქურა არღვევდა ხანდახან სიბნელეს. ქრებოდა და კვლავ ინთებოდა, თავისკენ იხმობდა გზააბნეულს. მასში იყო რაღაც მშობლიური, თბილი, ის ჰგავდა მეგობრის გამოწვდილ ხელს, წყალწაღებული რომ დაინახავს მოულოდნელად ცხვირწინ...

მერე ღრუბლის ფთილა წამოეწია. გრიგალს მოეგლიჯა და მოაფრიალებდა თეთრი ქათიბივით. გადაასწრო მზეჭაბუკს, ნესტი და სიცივე შეატოვა... ახლა სხვა ფთილა წამოეწია, მალე ღრუბლის კვამლივით შავი ქულა შემოადგა გარს, ჩაიხვია. უკვე ვერაფერს ხედავდა, გარდა ჯოჯოხეთური სიბნელისა. ხანდახან მრისხანე ელვა თუ გააპობდა მას და მაშინ ათასი ქვემეხის ერთდროული ქუხილი აზანზარებდა სამყაროს...

უცბად წითელ და თეთრ ზოლებად შეღებილ ფოლადის კედელს მიენარცხა. რკინის კაუჭს ჩააფრინდა და ზედ აეკრა. გიგანტურ მილზე აღმოჩნდა, რომლის არც ძირი ჩანდა და არც ბოლო. მიხვდა, მთაწმინდის ტელეანძაზე ეკიდა...

მოასკდა ღვარი და მზეჭაბუკი თმის ძირებამდე გაიწუწა. ტელეანძის ფოლადის სხეულზე ისე მოთქრიალებდა, როგორც წისქვილის ღარზე მიშვებული წყალი...

წამში ყველაფერი შეწყდა. ვიღაცამ ონკანი გადაკეტა, ნაკადი დაიშრიტა, ღრუბელიც დაილია და აქა-იქ აკიაფდა ვარსკვლავები.

მზეჭაბუკს ღონე დაელია, მოწყდა რკინის კაუჭს. მაღლიდან გადმოგდებული ქაღალდის ფურცელივით, ნელ-ნელა, ფარფატით ეშვებოდა დაბლა... ხან რკინის საფეხურს გამოედებოდა, ანძაზე დაკიდებული დარბაზის სახურავს, განზე გაბარჯღულ გიგანტურ ფეხს, და ბოლოს, რბილ, სველ ბალახზე დაეშვა...

თავი III. გამოღვიძება

უეცრად გამოეღვიძა. თითქოს არც უძინია, არც გადაღლილი ყოფილა უზომოდ. საოცარმა მდუმარებამ გააკვირვა. არ ეგონა, რომ თბილისში ასეთი სიჩუმე ჩამოვარდებოდა. არსაიდან არ მოდიოდა ჩვეულებრივი, უწყვეტი, რიტმული გუგუნი სადღაც დასაკარგავში ჩავლილი მანქანისა, რომელსაც სმენა ეჩვევა და ვერც აღიქვამ. სიჩუმე ეუხერხულა კიდეც, თავი წამოსწია, მიაყურადა. არ იცოდა, თუ რას მალავდა ეს მდუმარება.

ჩურჩული შემოესმა. თითქოს ჭიანჭველების ქალაქზე ედო ბალიში და ჭიანჭველები მის ყურთან მუსაიფობდნენ. ორი ხმა იყო და ჯერ ეგონა, პაექრობენო. სმენა დაძაბა და მიხვდა, ერთმანეთისა არა ესმოდათ რა, როგორც სხვადასხვა ენაზე მოუბართ, ან ყრუ-მუნჯთ, თავთავიანთი გზებით რომ მიეშურებიან და ერთიმეორის არსებობაც კი არ უწყით.

„სისხლი... წითელი სისხლი... არა, უფრო შავი... ლაქა დააჩნდა თეთრ პერანგზე... ქათქათა თეთრზე წითელმა ლაქამ გამოჟონა, როგორც პაწია ალამმა თეთრი ხომალდის ილუმინატორიდან... ვიღაცა მომძახის... მომძახის... მ კ ვ ლ ე ლ ი!..“

მზეჭაბიკმა ყურები დაიცო. იქნებ საკუთრივ მისი გულისთქმა იყო. რას ნიშნავდა ეს უცნაური, შიშისმომგვრელი სიტყვები?.. ვერაფრით ჩასწვდენოდა და მეორე ხმას მიუგდო ყური.

„...შაურს მივუმატოთ შაური, იქნება ორი შაური... ესეც ორჯერ გადავამრავლოთ, იქნება ოთხი... ესეც ორჯერ გადავამრავლოთ, იქნება რვა... ესეც ორჯერ – იქნება თექვსმეტი... ესეც ორჯერ – იქნება ოცდათორმეტი... მანეთი და სამოცი კაპიკი... ჰი-ჰი-ჰი...“

ქუჩიდან სინათლე არ შემოდიოდა. არც ერთი ნათურა არ ენთო ქალაქში, არც ერთი ვარსკვლავი არ ციმციმებდა ცაზე. ისე ბნელოდა, თითქოს ზეთით სავსე კასრში ყოფილიყოს ჩამწყვდეული. ზეთის ჩუმი ტალღები ეღვრებოდა თვალებში და ამ აუტანელ სიჩუმეში მზეჭაბუკს სული ეხუთებოდა. ხმები კი, სიჩუმის ის სუსტი, ფაჩუნა ხმები უცნაურ რაღაცას ჩუჩუნებდნენ, ვით გაფუჭებული ფირფიტა, ყოველ შემოტრიალებაზე უკვე ნათქვამს რომ იმეორებს.

„...სისხლი... როცა სისხლი დააჩნდა თეთრ პერანგზე... მისი სახე... უსაზღვრო ტკივილი და გაოცება სახეზე... გახსნილი ბაგე, რაღაც უნდოდა ეთქვა... არ დასცალდა... ვერ მითხრა, მაგრამ ხომ ვიცი რასაც მეტყოდა... მკ ვ ლ ე ლ ი... ტუჩის კუთხეში ქაფიანი სისხლი დააჩნდა, ნიკაპს ჩამოჰყვა...“

„შაურს მივუმატოთ შაური, იქნება ორი შაური... არა!.. შაურს გამოვაკლოთ შაური, იქნება ორი შაური, გამოვაკლოთ ორი – მივიღებთ ოთხ შაურს... გადაბრუნებული არითმეტიკა, მრუდე სარკე, „სიცილის ოთახი“... შაურიანებით სავსე დიდი ზარდახშა... ბღუჯა-ბღუჯა ამოვიღებ და ჭერს მივაბნევ... მზია დგას და ბედნიერი იღიმება... შაურიანებს თავზე ვაყრი და წკრიალით ცვივა იატაკზე...“

მზეჭაბუკი წამოიწია, შუბლით შეეჯახა შედედებულ სიბნელეს, გაარღვია, მაგრამ კვლავ სიბნელეში აღმოჩნდა. ხელი კედელზე მოაფათურა, რათა დარწმუნებულიყო, რომ დანამდვილებით თავის ლოგინში იწვა.

სიჩუმეში კოღოს შხამიანი წუილი გაისმა:

„.. სისხლი... სისხლის ლაქა თეთრ პერანგზე...“

„...შაურიანი, ვარკალა შაურიანი...“

— ჯუმა! — ხმადაბლა დაუძახა მზეჭაბუკმა.

ხმა არავინ გასცა, მაგრამ მის ყურთან აწრიალდა, აფუთფუთდა ორი კოღო, მათი წივილი ისე შეერწყა ერთიმეორეს, ვერ გაარჩია რომელი რას ლაპარაკობდა.

— ჯუმა, ვიცი, რომ არ გძინავს.

— რა გინდა? – უკმეხად შეეპასუხა.

— ამიხსენი, რა ხდება ჩვენს თავს?

— რაზე ამბობ?

— ათას რაღაცაზე... შენ სულ გამოიცვალე, სხვანაირი გახდი. მერე ეს სუნი... კახა ამბობს, ხანძარს აქრობდაო...

— მართალი უთქვამს!.. შენ რა, ხომ არ გეშინია?

— რისი უნდა მეშინოდეს, მაგრამ...

— თუ არ გეშინია, მშვიდად იყავი... – მცირე ხანს იყუჩა და ყოყმანით დაუმატა: — რამე გადაგხდებოდა ალბათ. ისეთი რამ ხომ არ გადაგხდა, რაც არ გინატრია?

— არა, უბრალოდ ვიფიქრე, რომ ყოველივე შენგნით მოდის... თუ ეს სიკეთეა, რატომ გახდი ასეთი გულჩათხრობილი?

ჯუმამ არაფერი თქვა. მისი საწოლი აჭრაჭუნდა. მზეჭაბუკს მოეჩვენა, რომ უფროსი ძმა დგებოდა, მაგრამ ეტყობა მხოლოდ გვერდი იცვალა.

— ჯუმა!

— ერთი რამ კარგად დაიმახსოვრე, ჯიმა, — ჩახლეჩილი ხმით გამოეპასუხა ჯუმა, — თუ რამე ჩავიდინე, მარტოოდენ ჩემთვის არ ჩამიდენია. მე თქვენი ბედნიერებაც მინდოდა...

— ჯუმა, ჯიმაია...

— ნუ მაწყვეტინებ! უთქვენოდ ჩემთვის სიცოცხლესაც არ ექნებოდა ფასი, ამაში დარწმუნებული იყავი. ახლა ხმა არ ამოიღო, გაჩუმდი და დაიძინე! მე ძალა მოგეც, თუ ჭკუა გერჩის, გამოიყენე და არ მოგაკლდება სიმდიდრე, სახელი, აღიარება, ბრბოს სიყვარული... გაჩუმდი, დაიძინე!

— ოჰ, დაიძინეთ რა!.. საცაა გათენდება უკვე! – ბრაზიანად წამოიძახა კაჭუჭიამ.

მზეჭაბუკი ბალიშში ჩაემხო, თავზე საბანი წამოიხურა. მიხვდა, რომ ძმების თავზეც საოცრება ხდებოდა და ამაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა. სამივეს შესძენოდა რაღაც იდუმალი ძალა, სამივე უფრთხოდა ერთმანეთთან მის გამხელას.

წამწამებს უჩინარი, ფოფინა ფრთა შეეხო და ისევ ზეთით სავსე კასრში ჩაეფლო. ძილში მურკას გაბმული ყმუილი ჩაესმოდა. ძილი მაჯლაჯუნასავით აწვა და თავი ვერ დააღწია. მერე უცბად, თითქოს ჭერი ჩამოინგრაო, სასიკვდილოდ დაჭრილი ადამიანის ხმით იკივლა ვიღაცამ და თავზარდაცემული ძმები ლოგინებიდან წამოცვივდნენ.

ანგარიშმიუცემლად გაატკაცუნა სინათლის ჩამრთველი მზეჭაბუკმა, თავი სიზმარში ეგონა. ჯუმას სახე არეოდა, ხელები უთრთოდა, შარვლის ტოტში ფეხს ვერ ახვედრებდა. კაჭუჭია გამოშეთებული იჯდა საწოლზე და თვალებს აჭყეტდა.

მზეჭაბუკი პირველი გავარდა დერეფანში, უსაზღვრო მწუხარებით სავსე კივილი სილასავით შემოეწნა სახეზე.

მზია გადმომდგარიყო ზემო სართულის ფანჯრიდან, ხელები ზე აღეპყრო.

— ტატო, ტატო ტატო! – კიოდა უზომო ტკივილით.

მთელი სახლი გაცოცხლდა წამში. მოისმოდა ფეხების ბრაგუნი, კარების ხათქუნი, შეშინებული გადაძახილი, მურკას გაბმული ყმუილი და წკავწკავი. მერე თანდათან დასადგურდა მდუმარება. მზიას ხმა ჩაუწყდა, ფანჯრის რაფას გადმოემხო. ამირანმა მხრებზე ხელი მოჰხვია, ცდილობდა შინ შეეყვანა და ფანჯარა მიეხურა.

მზეჭაბუკმა ორიოდე ნაბიჯი გადადგა და გახევდა. აივანზე გამოკრეფილი მეზობლებიც სანთლის ფიგურებს დაემსგავსნენ. მარტო მურკა მოთქვამდა საწყალობლად.

— რა არის ეს? – გაისმა კაჭუჭიას მტირალა ხმა.

კბილები გააღრჭიალა გაფითრებულმა ჯუმამ, ხელზე იკბინა.

პირდაპირ ღია აივანზე კუზიანი ვასასი ეკიდა გასანთლულ თოკზე. მის ნაფოტივით მსუბუქ სხეულს დილის ნელი ნიავი აუჩქარებლად აქანავებდა, რათა ყველას ჩაეხედა დედაბრის დამცინავ სახეში...

თავი IV. დვრინი

თითქოს ყველაფერი ეს მის გარეთ ხდებოდა. ვერაფრის გააზრება მოასწრო. დედაბრის უბედურების ხილვით გამოწვეული ზაფრა გაამძაფრა სხვა, უფრო საშინელმა ამბავმა.

— შენ არაფერი გაგიგია? ტატო დაიღუპა! ახლა ნათესავის სახლში ასვენია, ბიძა ყოლია აქ თურმე... ამბობენ, გამზრდელი მამიდა ჩამოვიდა, ის პატრონობსო...

უბედურება ვერ დაიჯერა. ტატო დაიღუპა? კაჭუჭიას სიტყვები თითქოს რიკოშეტით ასხლტა ცნობიერებაზე. გაუკვირდა, ნუთუ ასეთი გულკერპი ვარო. ფეხათრევით მიაბიჯებდა ვიწრო ტროტუარზე, ახსენდებოდა ტატოსთან გატარებული ის მცირე დრო, ოღონდ ძველი ფილმის ფრაგმენტებივით, როცა ამბის დიდი ნაწილი გამოტოვებულია, ნაწყვეტების მიხედვით კი მთლიანობის აღდგენა ჭირს. ყოველი ნაბიჯის გადადგმით მხრებზე უფრო და უფრო აწვებოდა რაღაც სიმძიმე, თავდახრილი და მხრებჩამოყრილი მიდიოდა. ახლა, რომც სდომებოდა, ვერ აფრინდებოდა ალბათ. თუმცა ამაზე არც ფიქრობდა. ეგონა, სამუდამოდ წავიდა ის ძველი, მხიარული ბავშვობაო. ცოცხალი ტატო რომ შემოჰყროდა ამ ვიწრო ტროტუარზე, მაინც შეუძლებელი იქნებოდა ბედნიერების დაბრუნება. გაახსენდა დიდი ხნის წინათ მავანის მიერ იქნებ ხუმრობით, უბოროტოდ ნათქვამი სიტყვები: „შენ უნდა ეწამო“ და დაიჯერა.

ორჯერ ჩაუარა იმ სახლს და ისევ გამობრუნდა. უჭირდა სიარული, ეშხამებოდა სული და ეს ცხოველი დღე მოქუფრული ეჩვენებოდა. მოაგონდა სიყრმის წლებში ნანახი რომელიღაც ფილმი. მთელი ცხოვრება გავიდა მას შემდეგ და ახლა არაფერი ახსოვდა, გარდა ერთი ეპიზოდისა – ობოლი ბავშვი პოულობდა მოსიყვარულე გულს და ბედნიერებისაგან ტიროდა. ნათლად წარმოუდგა ეს სცენა მზეჭაბუკს, ბავშვის ბედნიერი სახე, მისი ცრემლები და მისდაუნებურად გული ამოუჯდა. ღაპაღუპით გადმოსდინდა თვალთაგან ცრემლი და ხეს მიეყრდნო. რცხვენოდა გამვლელებისა, ცდილობდა ტირილის შეკავებას, მაგრამ თავს ვერ მორეოდა, მხრები უძაგძაგებდა.

ტიროდა მზეჭაბუკი და არ იცოდა, რას დასტიროდა. უკვე არ ახსოვდა ტატო, არც ყულფზე ჩამოკიდებული დედაბერი ახსოვდა, თვალწინ იმ ბედნიერი ბავშვის ნამტირალევი სახე უტრიალებდა.

— არ იტირო, რა? გეხვეწები, არ იტირო! – წკვიტინა ხმა გაიგონა და პერანგის კალთაზე მოჰქაჩეს.

პატარა გოგონას მკერდში ყუამოტეხილი პური ჩაეხუტებინა, თვალზე ცრემლი მოსდგომოდა და ტუჩები ისე ემანჭებოდა, ცოტაღა აკლდა და აღრიალდებოდა.

მზეჭაბუკი უხმოდ გაშორდა და სახლის სადარბაზოში შევიდა.

კიბეზე არავინ შეხვედრია. მაინც იგრძნობოდა, რომ ამ სახლში უბედურებას დაედო სადგური.

ბინის კარი ფართოდ გაღებული დახვდა. შუა ოთახში კუბო იდგა. არავინ იყო და მზეჭაბუკმა ზეწრის კიდე ასწია, დახედა. მძინარეს ჰგავდა ტატო, თითქოს მშვენიერ სიზმარს უღიმოდა ძილში.

დედაბერი შემოფრატუნდა, ალბათ მამიდა იქნებოდა. უნდა მიესამძიმრა. ენა ვერ დაძრა. კუთხეში, სკამზე დაჯა, ხელები მუხლებზე დაიწყო და გაიტრუნა...

სულში უთქმელი დვრინი დაიძრა და დროის სათვალავი დაეკარგა...

ოთახი ხან ცარიელდებოდა, ხან ხალხით ივსებოდა. მოდიოდნენ ყოველნაირი ჯურის ადამიანები, თითო-თითოდ, ჯგუფ-ჯგუფად. პირზე ყველას მწუხარება ეხატა. ერთი ჩუმად ტიროდა, მეორეს გული ამოუჯდებოდა და ისტერიულ ქვითინს მოჰყვებოდა, მესამე წივილ-კივილს არ ჯერდებოდა და მომყოლნი ხელით აკავებდნენ, არიქა, თავს რამე არ აუტეხოსო, მეოთხეს ბრიყვული ღიმილი უკრთოდა და ვერ წარეშალა... ფიქრი კი ბევრად უფრო ჭრელი იყო. მზეჭაბუკ ბედია იღლებოდა იმის გარკვევით, თუ რომელი იყო შინაგანი ხმა და რომელი ენით წარმოთქმული. განცვიფრებული იყო იმ კატასტროფული სხვაობითა და წინააღმდეგობით, რაც მათ შორის არსებობდა.

ხანდახან მამიდა შემოვიდოდა. დაჯდებოდა მოპირდაპირე კედელთან და კუბოს უცქეროდა. სახე მშვიდი ჰქონდა, მკაცრი ნაოჭები და მოკუმული ტუჩები გაქვავებოდა. მხოლოდ თვალები

ავსებოდა შიშით. იქ ათასი კითხვა ტრიალებდა, ეჭვი, მუდარა, წუხილი... მზეჭაბუკი მისკენ არ იხედებოდა, უწყვეტად ჩაესმოდა უიმედო დუდუნი და თვითონაც გული ეწურებოდა.

„შვილო, ჩემო ბიჭო, ეს რა მიქენი... ეს როგორ გამამწარე, ჩემო ბიჭო... ჩემო ლამაზო, ჭკვიანო ბიჭო... ჯერ მე მოგეკალი, შე უხანე, ერთ ტყვიას რავა ვერ იშოვიდი ჩემთვის... ნეტა ადრე მეფიქრა სიკვდილზე, არ მოვსწრებოდი ამ დღეს... ახლა როგორ ჩავიდე საფლავში ასეთი დარდით გულდამძიმებული... ვაიმე, ვაიმე, შვილო... ეგებ ყველაფერი მეჩვენება, ბიჭო... ეგებ ცოცხლებში არცა ვარ და მესიზმრება, ბიჭო... ეგებ სხვა სიცოცხლით ვცხოვრობ, ბიჭო... ჩემო ბიჭო, ჩემო ბიჭო, ჩემო ბიჭო...“

აუტანელი იყო ამის მოსმენა. მზეჭაბუკი ყურებს თითებით იცობდა. მწუხარე დუდუნი მაინც პოულობდა ბზარს, მოძვრებოდა მის ისედაც ახურებულ ტვინში.

პირველსავე დღეს მოვიდა მზიაც... თვალებში ვერ იხედებოდა. მზეჭაბუკი არც შეუმჩნევია. კუბოსთან მიბარბაცდა, ზეწარი გადახადა და ზედ დაემხო, ლოყით ლოყაზე აეკრა მიცვალებულს. ასე იყო გატრუნული და მზეჭაბუკმა მოსვენება დაკარგა.

„ტატო, ტატო, ტატო...“ – უწყვეტად მეორდებოდა გოგონას ფიქრში აჩემებული სიტყვა. მასში ისმოდა უსაზღვრო მწუხარება, გულგატეხილობა, ბრალდება ადამიანთა მიმართ, ისე გულგრილნი რომ არიან, თითქოს ცისქვეშეთში ყველაფერი რიგზე იყოს.

მამიდის ფეხების ფრატუნი მოისმა და მზიამ თავი ასწია. ახლაღა შენიშნა მზეჭაბუკი. მამიდას მორიდებით შეავლო თვალი. არაფერი უთქვამს. ცხედარს ზეწარი გადააფარა და კუთხეში სკამზე დაეშვა. მამიდაც სიტყვის უთქმელად დაჯდა. მზეჭაბუკმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ძალაუნებურად უსმენდა დედაბრისა და ქალიშვილის გულისთქმას და არა უწყოდა, ჰქონდა თუ არა უფლება განესაჯა ისინი.

„ჩემო ბიჭო, როგორ ყვარებიხარ ამ გოგოს? – წრიალებდა მამიდის აზრი, — სხვისთვის არ მემეტები, ბიჭო, და უნდა მაპატიო... ახლაც ჩემი ხარ, მამიდა გენაცვალოს, ჩემო პატარა ბიჭო...“

„ტატო, ტატო, ტატო...“ – რიტმულად ფეთქავდა უთქმელი სიტყვა.

მეზობლის ქალი შემოვიდა ჩუმად. მამიდის ყურთან დაიხარა, ღვინო ჩამოიტანესო, სამას ლიტრამდე კი იქნება და ალბათ გვეყოფაო...

გაწყდა მამიდის ფიქრის ძაფი.

— ჰო, უთხარი, დაგენაცვლე, კარგად დააბინაონ.

მზიამ შეშფოთებული თვალებით მოიხედა. მისი ფიქრიც გაწყდა, მინავლდა, სიცარიელე დარჩა და მზეჭაბუკს ამ სიცარიელისა უფრო ეშინოდა, ვიდრე სულის კივილისა. მერე სადღაც ბნელეთიდან კვლავ დაიძრა რაღაც უფორმო, ეფემერული... ამოტივტივდა ცნობიერებაში, წინანდებურად რიტმულად ახმიანდა, თითქოს დასაღუპად განწირული გემის რადისტი გადასცემდა თავის Sos-ს ეთერში და მთელ ქვეყნიერებას ეხვეწებოდა, იხსენითო ჩვენი სულები...

„ტატო, ტატო, ტატო...“ – მორზეს ანბანის დაუსრულებელი რიგი იბადებოდა ტვინის ხვეულებში და ყველას გასაგონად გადასცემდა– **SOS, SOS, SOS...**

უცებ შეკრთა მზეჭაბუკი, დამწვრის სუნი ეცა. თავი ასწია და ზღურბლზე გაჯგიმული ჯუმა და, მის უკან, შემცბარი კაჭუჭია დაინახა.

ჯუმა ბედიას უ კ ვ ე ახალი, ძვირადღირებული შარვალ-კოსტიუმი და ფეხსაცმელი ეცვა. მთელი მისი გარეგნობა აშკარად გამოხატავდა რჩეულის თვითდაჯერებულობას. ოთახშიც ისე შემოვიდა, დარბაისლურად, ღირსეულად ეჭირა თავი. ეს კაცი ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო ბედისაგან **დ ა ჩ ა გ რ უ ლ ი.**

კაჭუჭია ბედიასაც რიგიანად ეცვა და მისი სახეც **უ კ ვ ე** მაძღარი კაცის კეთილგანწყობას გამოხატავდა. მის გარეგნობაშიც იგრძნობოდა რაღაც ახალი ძალა, რაც მას ასხვავებდა გუშინდელი **მ შ ი ე რ ი** კაჭუჭიასაგან.

ჯუმა მიეახლა მამიდას, გალანტურად ჩამოართვა ხელი, მიუსამძიმრა.

— ეს ამბავი რომ შევიტყვე, ქალბატონო, პირდაპირ თავზარი დამეცა, — მის ხმაში გულწრფელი მწუხარება მოისმოდა, — ვაჰმე, ეს რა დაგვემართა, — აქ მჯიღი მკერდზე იკრა და გულის ჯიბიდან კოხტად დაკეცილი ცხვირსახოცი ამოაცოცა, თვალზე მიიდო, — როგორი მეგობარი დავკარგე, როგორი... პირუთვნელი, მოსიყვარულე,

გულითადი... როგორი ნიჭიერი, რა იმედები გვქონდა...

მუშტივით შეკრული მზეჭაბუკი არ ისმენდა ძმის სიტყვებს. ეჭვი იპყრობდა, ოღონდ ჯერ თვითონაც არ იცოდა, რა ერქვა ამ ეჭვს.

კაჭუჭიამაც ხელი ჩამოართვა მამიდას. ორიოდე სამძიმრის სიტყვა ჩაილულლულა და ისევ ძმის ზურგს ამოეფარა.

— დავიღუპე, დავიღუპე, შვილებო... – მოთქვამდა მამიდა და მუხლზე ხელს ირტყამდა, — დავიღუპე, ცა თავზე დამექცა, შვილებო...

მზია კუთხეში მოიკუნტა, ბნელ სიცარიელეში ჩაფლულს კედლის რომელიღაც წერტილისათვის მიეყინა მზერა.

ძმები დასხდნენ და მიიხედ-მოიხედეს.

— შენც აქ ყოფილხარ! – აღნიშნა ჯუმამ უმცროსი ძმის დანახვისას.

— ეგეც აქ ყოფილა! – კვერი დაუკრა კაჭუჭიამ.

მზეჭაბუკი მოიბუზა. ცდილობდა როგორმე გულიდან ამოეგდო ეჭვის ჭია, მის სულს რომ ღრღნიდა.

ახლა მზიას შეხედეს ძმებმა. კაჭუჭია ვარდივით აღვივდა. ჯუმა კი გაფითრდა და სიფითრესთან ერთად იმატა დამწვრის სუნმა. მამიდა შეშფოთდა. რამე ხომ არ იწვისო, — ჩაიდუდუნა და გავიდა.

— იმ დღეს უკანასკნელად ვიხილე უნივერსიტეტში! – ჩაახვეელა ჯუმამ. ხმა ხრინწიანი გამოუვიდა. შინაგანი შფოთით შეწუხებულმა თავიდან გაიმეორა: — იმ დღეს უკანასკნელად ვიხილე უნივერსიტეტში. თეთრი პერანგი ეცვა, ჯინსი, ალბათ პოლონური, ამერიკულს სად იშოვი...

„თეთრი პერანგი... თეთრი პერანგი... წითელი ლაქა... უზარმაზარი წითელი ლაქა... თეთრი პერანგი ზეცაა... წითელი ლაქა მზეა... ცა ამოუხვრეტია და მალე მთელი სამყარო უნდა გადაბუგოს...“

— რა ნიჭიერი იყო, ძალიან მომწონდა მისი ლექსები! – ჩაურთო კაჭუჭიამაც.

„ეჰ, ანი ქელეხი რად მინდა, ფული ჩეჩქვადა მაქვს და... ნეტა რანაირად გადაიხდიან, აღმოსავლურად თუ დასავლურად? საკლავი ეყოლებათ?.. კაი მწნილი, კაი ღვინო... აუჰ, საწყალი ტატოია... ჩერჩეტი კი იყო, რა ელექსებოდა...“

— წადით! – აღმოხდა მოულოდნელად მზეჭაბუკს.

ძმებმა განცვიფრებით შეხედეს. მოგვეჩვენაო, ყურს არ დაუჯერეს და ჯუმას ბაგეებზე ცბიერი ღიმილი აესახა.

— რამე გინდოდა გეთქვა, ძამიკო?

— წადით! – გაიმეორა მზეჭაბუკმა, თან მღელვარებისაგან კბილს კბილზე აცემინებდა, ცდილობდა თავი მოეთოკა.

— ხომ მოხვალ შინ? – მუქარით დაეკითხა ჯუმა და ადგა. კაჭუჭია დაბაწრულივით მიეკრა სკამს, მერე წამოვარდა, სწრაფად მიმავალ უფროს ძმას მიჰყვა.

მზეჭაბუკი სკამის ზურგს მიეყრდნო, თვალი დახუჭა. შუბლზე ოფლის წვეთები ეყარა. საფეთქელზე დაგროვილი წვეთი ჩამოუგორდა ღაწვზე.

თრთოლვა დაიოკა, პირდაპირ გაიხედა და მზიას თვალებს შეეფეთა. გოგონას უპეებში ცრემლი გაკრთა.

მზეჭაბუკი წამოდგა, მივიდა და მის წინ დაიჩოქა.

შეშინებული წამოხტა გოგონა – „ტატო, ტატო, ტატო...“ – ჩაესმა მზეჭაბუკს მისი სულის ძახილი და სკამზე პირქვე დაემხო.

მამიდა რომ შემოფრატუნდა, მზია უკვე წასული იყო. მამიდას მზეჭაბუკისათვის ფინჯანი ჩაი მოჰქონდა...

იმ ღამეს სკამზე დაიძინა. დიდხანს ებრძოდა ძილს, მაინც როგორღაც ტყავგადაკრულ სკამზე წამოწოლილი აღმოჩნდა. ბურანში გრძნობდა, ვიღაცა ფათურობდა მის გვერდით. მიხვდა, მამიდა იყო. თხელ საბანს აფარებდა, თან ჩუჩუნებდა თავისთვის. რამდენიმეჯერ ძილი გაუფრთხა, საბანი უვარდებოდა. მამიდა შემოდიოდა და კვლავ უსწორებდა, ერთი-ორჯერ თავზეც გადაუსვა ხელი.

დილაუთენია გამოეღვიძა...

* * *

მეორე დღიდან ნათესავები და ახლობლები მოცვივდნენ. იმდენი მოკეთე თუ ჰყავდა, იმ სარდაფში რა უნდოდაო, — ფიქრობდა მზეჭაბუკი. დილიდან გვიან ღამემდე ბუზებივით ირეოდნენ, საქმიანობდნენ, ფაცი-ფუცობდნენ. პირველად გაოცებით შეხედეს მზეჭაბუკს, მერე ალბათ ისიც ნათესავად მიიჩნიეს და ყურადღებას არ აქცევდნენ. მალე ისე მიეჩვია ყველა, ოთახის ავეჯზე მეტ პატივს არავინ მიაგებდა. ხანდახან, როცა სკამი სჭირდებოდათ ან კუთხესთან მავანს ღიპის გამოტარება უჭირდა, დაუდევრად წაჰკრავდნენ ხელს. ისიც ჩუმად ჩაიწევდა. ცით ჩამოსულივით ვერა ხვდებოდა, რისთვის ირეოდა ამდენი ხალხი – დაბალი და მაღალი, მსუქანი და სუსტი, ბებერი და ახალგაზრდა, ქალი და კაცი, ზოგი მთლად დაფეხვილი, ძველმანებში, ზოგიც ჩაკოსტუმებულ-ჩაჰალსტუხებული, ოქროს საათებიანნი, ოქროს კბილებიანნი... ქაქანებდნენ, კინკლაობდნენ, ჩხუბობდნენ და დაობდნენ...

ბოლო დღეს ტევა არ იყო, მთელი ქალაქი დაიძრა თითქოს. უწყვეტი ქარავანი ამოდიოდა კიბეზე, მოედინებოდა ოთახში, შემოუვლიდა კუბოს და ვიწრო გასასვლელში გვერდულად გადიოდა. ოთახი გაიჭედა ხალხით. ყოველი მეორე თავს ნათესავად თვლიდა, ან მეგობრად, ან მისი პოეზიის ტრფიალად და წასვლას არ აპირებდა, რათა თვალ-ყური ედევნებინა საზოგადოებისათვის და საკუთარი თავიც გამოეჩინა.

მზეჭაბუკი და მზია მამიდის გვერდით ისხდნენ. ასე გადაწყვიტა დედაბერმა. ამაზე არც ულაპარაკია, უხმოდ ჩაავლო ხელი ორივეს, გვერდით მოისვა და გაყუჩდა. ყმაწვილი გრძნობდა ზოგიერთი ნათესავის ავ მზერას, ესმოდა მათი უკეთური ფიქრი, მაგრამ ყურს არ უგდებდა, თუმცა ძნელი კი იყო. მის ყურში უამრავი მწერივით ზუზუნებდა ყოველი ადამიანის იდუმალი ფიქრი და ზრახვა. ეს ერთმანეთში არეული ხმები ჰგავდა ჭარბი სისწრაფით დატრიალებული ფირფიტის ხმას, სადაც მელოდიის მაგიერ ჩქარი და გაუგებარი რატრატი ისმის.

ხანდახან გამოიჭერდა ათასი ფიქრიდან ერთს, აზრის ნაწყვეტს ჩასწვდებოდა მოულოდნელად. ხან სიკეთის იმედი ჩაეწვეთებოდა, ხან კიდევ ბოროტების შხამი და მაშინ ადამიანთა მოდგმის მტრად გრძნობდა თავს.

„ტატო, მაპატიე, ახლადშეძენილო და უმალ დაკარგულო ძმაო, — ფიქრობდა, რათა სხვების ფიქრისათვის არ ეპასუხნა, — შენთვის ამიერიდან ამქვეყნიური არაფერი არსებობს, მე კი აქა ვარ და ათას კითხვაზე უნდა გავცე პასუხი...“

„ტატო, ტატო, ტატო...“ – მონოტონურად ჩასძახოდა უწყვეტი კივილი სულისა. მზიას თვალი კედლის ერთი წერტილისათვის მიეპყრო, ხელები მუხლებზე დაეწყო და ვერავის ამჩნევდა. მასში იყო რაღაც არაამქვეყნიური, უსაზღვრო სევდა, მწუხარე მშვენიერება. მზეჭაბუკი ხედავდა, მოსულთა დიდი ნაწილი ჯერ მზიას შეავლებდა თვალს, — ზოგი აღტაცებით, ზოგი შურით, — და მხოლოდ შემდგომ – კუბოს.

„შვილო, შვილო, მოგიკვდეს მამიდა...“ – გმადლობთ, გენაცვალეთ, გმადლობთ, გაიხარეთ, შვილებო, თქვენ მაინც გაიხარეთ! – „შვილო, რაღა ვქნა აწი მე უბედურმა, რისთვის უნდა მატაროს ამ მიწამ... ქვეყანას ვამძიმებ, შვილო, და ეგებ თან წამიყვანო, მამიდა გენაცვალოს...“ – გმადლობთ, გენაცვალეთ, ჩემი ტატოს დაფასებისათვის. თავი ვერ მოვიკალი მე უბედურმა. აწი მაინც რა მაცოცხლებს მე დასამიწებელს... თქვენს ოჯახებს არიდოს ღმერთმა, თქვენ მაინც იცოცხლეთ, შვილებო! – „მეც მალე მოგყვები, მამიდა გენაცვალოს... შენ წახვედი და მე რა გამაძლებინებს, ჩემო ბიჭო... შე უხანე ბიჭო!..“ – გმადლობთ, გენაცვალეთ, ასეთი ყოფილა ჩემი ხვედრი და რა ვქნა?..

„ტატო, ტატო, ტატო...“ – გაჰკიოდა მზიას სული და მეზობელი ოთახიდან იხედებოდა თვალაცრემლებული ამირანი, ვინაც თავისი ცოცხალი შვილის დაღუპვას უფრო მისტიროდა.

შემოდიოდა ათასი ვინმე, გაივლიდნენ მზეჭაბუკის წინ, თითქოსდა ზედ მზეჭაბუკის გულზე გადიოდნენ, გზა-გზა ხან სიკეთის მარცვალს ტოვებდნენ, ხან ბოროტისა, კეთილისა და ბოროტის საზომი დაჰკარგვოდა ყმაწვილს.

„საბრალო მამიდა, რა გეშველება აწი...“ – ეს ის მოხუცი ქალი იყო, ცრემლებმა რომ სიტყვა გააწყვეტინეს. ისე ჩაიარა, კუბოსკენ

არც მიუხედავს, ხელებს ასავსავებდა მხოლოდ.

„როგორ უხდება ამ დასამიწებელს შავი მანდილი, ნეტა მეც ეგრე მომიხდებოდეს...“ – ეს ის გაპრანჭული გოგო იყო, აქაც რომ ჭრელი ჩარლსტონი ჩაეცვა და ხელიგულისოდენა პირისახეს უზარმაზარი სათვალის უკან მალავდა.

„რა ახალგაზრდა ყოფილა, უბედური... უფ, მეჭამა მაინც რამე, რა გამაძლებინებს ქელეხამდე...“ – მელოტი კაცი ერთობ დარბაისლური სიდინჯით მოდიოდა და მწუხარების განსახიერებას ჰგავდა.

„ვაჰ, რა ნაშაა...“ – ჭაბუკს თვალთაგან ცრემლი ღაპაღუპით სდიოდა. ჯიბეში თაბახის ქაღალდი ედო, ალბათ ლექსი ჰქონდა გაშანშალებული ასეთი შემთხვევისათვის.

„დედა, დედა, შენ მაგიერ მე ჩავსულიყავი, შვილო, სამარეში, რა ჯეელი ყოფილხარ...“ – ქალი ზონზროხა იყო, ფეხს ძლივს ადგამდა, წვივებზე ძარღვები დაჰბერვოდა, სახეზე წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი.

„რა დამაბარა ცოლმა, ღმერთო გამახსენე, რა დამაბარა ცოლმა...“ – ეს კაცი ისე შეწუხებული ჩანდა, მნახველს გულს დასწვავდა.

„ეჰ, ერთი მოგცლია და...“ – კრავივით ქალი ცრემლად იღვრებოდა.

„ვაჰმე, შვილო, ვაჰმე...“ – ამას კიდევ ქოფაკის გამოხედვა ჰქონდა, თვალთაგან წვეთი ცრემლიც არ ჩამოუგდია.

„ლამაზი...“ „უკეთური...“ „საბრალო...“ „იქითაც გზა ჰქონია...“ „ყველანი სიკვდილის შვილები ვართ...“ „ეჰ, მე ვიყო და...“ „სამწუხაროა, სამწუხარო...“ „ვუჩქმიტე...“ „ყავა დავლიე...“ „აბა, დარდს ხომ არ გადვყვები...“ „გაზეთებში კი სპირიდონა მოხსნესო, ეწერა...“ „კაი ტიპია...“ „რა გოგოა!..“ „ფელამუში ვჭამე, თითებს ჩაიკვნეტ...“ „ნაღდად კვლავ ჩვენები წააგებენ დღეს...“ „როგორ ცხელა, ოხერიმამაძაღლი...“ „სოკო, სოკო, მის ოკო, მის ოკო-და სი გოკო...“ „ჩემმა პროფესორმა თუ მნახა და დამიმახსოვრა, ჩათვლა განაღდებულია...“ „ლატარიაში მოუგია მანქანა...“ „რა გააჭირა საქმე...“ „დეგენერატი, კიბეზე ხელი მომისვა...“ „რა კარგი ბიჭი იყო...“

ათასი ფრაზა მოძვრებოდა მზეჭაბუკის ტვინში, უფორიაქებდა სულს. ეშინოდა, სიგიჟე არ მორეოდა, რადგან უკვე ვერ არკვევდა სად იყო, რას აკეთებდა, ან რას აკეთებდნენ ეს ადამიანები... უამრავმა სახემ დაღალა და ნაცნობებსაც ვერ ცნობდა. ზოგჯერ

თავი კარნავალში ეგონა, სადაც ყოველნაირ ნიღაბს იკეთებენ. ვიღაცა ნიანგს აგონებდა, ვიღაცა – პრინცესას, ვიღაცა – გველხოკერას, სხვა კიდევ ჩინელ მანდარინს, ჰოტენტოტს, ყველის ვაჭარს, ჭიანჭველაჭამიას, ქაჯთა ბელადს, დედოფალას, ქერუბიმს. უნივერსიტეტში ნანახი ყმაწვილების სახეები გაცურდა დაბინდული თვალების წინ. ერთი-ორი დაამახსოვრდა იმ საღამოს სხდომიდან, თუმცა მათი სახელები არ იცოდა. თავს ძალა დაატანა, რათა მათი ნაფიქრალი გაეგო. ზოგის ჭკუა მოეწონა, სხარტი და მოქნილი, სხვებისამ განაცვიფრა – სიცარიელის გამო... უღიმღამო, აზრისაგან დაცლილმა სახეებმა ჩამოიარეს სანთლის ფიგურებივით... და უცებ ხითხითი...

დიახ, მხოლოდ მას შემოესმა ხითხითი და გამოფხიზლდა, მწყრალად შეხედა შემოსულს. წოწოლა, ჟღალწვერა კაცი იყო. თვალები ისე მიჭყლეტოდა, ცხვირის ზურგი რომ არა, ალბათ, ეძგერებოდნენ ერთიმეორეს. სახე მგლოვიარე ჰქონდა, ოღონდ ბაგეთა კუთხეში გაუელვებდა ხოლმე უცნაური ღიმილი, მაშინ წვეტიან კბილებს გამოაჩენდა და ჩუმი, ტირილს ამოფარებული ხითხითი აღმოხდებოდა.

კაცს ქურქში გახვეული ტიპი ახლდა. ხვნეშოდა, წკმუტტუნებდა, წინ წაკვეხილ ცხვირ-პირს ისე ატრიალებდა, თითქოს ყველაფერს სუნავსო. გამუდმებით რაღაცას ეძებდა თავის ქურქში და თუ მოიხელთებდა, უმალვე კბილს გაჰკრავდა.

წოწოლა კუბოსთან შეჩერდა. არავის მიუსამძიმრა. გულზე ხელი დაიკრიფა და ზემოდან დასცქეროდა მიცვალებულს. მის უჟმურ გამოხედვაში მზეჭაბუკმა საზეიმო ნაპერწკალი შენიშნა და შეშფოთდა, აღელდა. უნებლიე შიში დაძლია, თვალით ეძებდა რაიმე ნივთს, რათა იარაღად გამოეყენებინა.

ვერაფერი მოასწრო, რადგან ოთახში უცხო ბერიკაცი შემოვიდა.

ბერიკაცს თეთრი კაბა ეცვა, დამტვერილი, კალთაშემოძონძილი.. შორი გზა გამოევლო, ალბათ. ჭაღარა, დაუვარცხნელ თმა-წვერში ბირკა შერჩენოდა, მისი კანი მზესა და ქარს ჩაეჟანგა. თვალები ზღვასავით წმინდა და ღრმა ჰქონდა, უმანკო და ბრძნული ერთდროულად.

კუბოს მეორე მხარეს შეჩერდა. მარჯვენა გადააფარა ნეშტს, მზერა მიაბჯინა წოწოლას.

აირია წოწოლა, თვალები ხან საითკენ გაექცა, ხან საითკენ.

— ჯგრაგ! – წამოიძახა უნებურად და ამ წამოძახილში იგრძნობოდა შიშიც, გაბოროტებაც, მუქარაც.

— გუჯმახან! – მშვიდად თქვა კაცმა.

შეტრიალდა წოწოლა, მოურიდებლად მისწი-მოსწია მოტირალნი და კიბეზე ბრაგაბრუგით დაეშვა.

წკმუტუნი აღმოხდა ქულაჯიანს, უცებ ოთხზე წაიკუზა, ფაცხა-ფუცხით მიჰყვა გაქცეულს.

გაოცებული მზეჭაბუკი შემობრუნდა ჯგრაგისაკენ. ბერიკაცი ოთახში ვერ იპოვა და მაშინ ეცა დამწვრის სუნი.

მიხვდა, რომ ძმები მოვიდნენ.

ცხედრის გასვენების დრო დადგა. ქალები დაბლა ჩავიდნენ. მამაკაცები გაწამაწიაში იყვნენ, ვიწრო კიბეზე სასახლე როგორ გავატიოთო.

ჯუმამ და კაჭუჭიამ არ დააყოვნეს. უმალ ეძგერნენ, ვითომდა უპირველესი ახლობლები ჩვენა ვართო.

— ფრთხილად! არ გაგივარდეთ! ფეხები იქით უქენით!.. — განკარგულებებს იძლეოდა ჯუმა, ხუთიოდე მამაკაცის დახმარებით ცდილობდა კუბო მოხერხებულად გაეტარებინა კიბის მოსახვევზე.

ქუჩაში პროცესია გაიჭიმა.

მზეჭაბუკი სხვებს ჩამორჩა, თავს განძარცულად გრძნობდა.

„მე ვინა ვარ? – ფიქრობდა თავისთვის, – ორი დღეა გავიცანი. ჯუმა კი მრავალი წელია მეგობრობდა და გული შესტკივა... კახასაც...“ – ცდილობდა გაემართლებინა ძმები, ეჭვის ჭია ღრღნიდა და სულს უშფოთებდა. რაღაც იმალებოდა ჯუმას გადაჭარბებულ თავგამოდებაში. ამაზე ფიქრისაც ეშინოდა და არ ცდილა ეჭვებში გარკვეულიყო.

კუბო შავად გასუდრული მანქანის ძარაზე შედგეს. ჯუმა განზე გადგა. შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და შორიახლო მდგომმა მზეჭაბუკმა გაიგონა: „აჰა, გუჯმახან, მსხვერპლშეწირვაც დავამთავრეთ... ძვირი დამიჯდა, მაგრამ ბარიბარსა ვართ...“

თავზარი დაეცა მზეჭაბუკს, თვალთ დაუბნელდა. გონს რომ მოვიდა, პროცესია შორს იყო... ფალიაშვილის ქუჩას მიჰყვა და მალე მიწაში ვაგონივით ჩაჭედილ სარდაფში ამოჰყო თავი. დაჯდა ტატოს ნაქონ სკამზე, ტატოს მაგიდას დაეყრდნო იდაყვებით და ასე გაირინდა, ფიქრის თავიც არ ჰქონდა.

მოგვიანებით მოხუცმა დიასახლისმა შემოიჭყიტა.

— ამ ოთახში მე ვიცხოვრებ, — უთხრა მზეჭაბუკმა, — იმდენსავე გადავიხდი, რამდენსაც ტატო გიხდიდათ!

დედაბერი უსიტყვოდ გაბრუნდა, კარი მოუკეტა.

თავი V. გლოვა

და განერიდა მზეჭაბუკ ბედია ყველას, უფრორე ძმებს, რადგან ცოდნა აწუხებდა, მიხვედრა.

ოთახი ბეტონის კუბოსა ჰგავდა და მზეჭაბუკმა თავი ცოცხლად დაიმარხა.

დილიდან საღამომდე ბოლთასა სცემდა ამ სარკოფაგში, სადაც დღის სინათლე ვერც აღწევდა, ხოლო აბლაბუდებითა და მტვრით დაფარული ერთადერთი ნათურა ისე სუსტად ბჟუტავდა, მეწამული ფერი ედებოდა ყოველ საგანს, მოწყენისა და სიმარტოვის გრძნობას აძლიერებდა.

ხანდახან მობეზრდებოდა უმიზნო სიარული, გაუხდელად დავარდებოდა ლოგინზე, ტატოს ლოგინზე და ჭერს მიაშტერდებოდა, იკვლევდა ბათქაშზე დამჩნეულ ბზარებს, რომელიც სისხლძარღვთა ერთ ფერში დახატულ სქემას ჰგავდა. ამ დროს ის ფიქრობდა შორეულ წარსულზე, როცა არ არსებობდა, მაგრამ ეგონა, რომ მეხსიერებამ შემოინახა უცნაური ხილვები: თითქოს სუფევდა წყვდიადი და ამ წყვდიადში იშვიათად აკიაფებული პაწია ციცინათელა გზას უკვალავდა ქვებსა და ღორღში მოსიარულეს. ცდილობდა როგორმე გაეხსენებინა, როდის გადახდა ეს და თვითონ რას წარმოადგენდა მაშინ. მეხსიერებას ბურუსი შემოჰხვეოდა და საგნები მხოლოდ აჩრდილებს მიაგავდნენ, ან მღვრიე წყალზე დამჩნეულ ლანდებს.

შიმშილი რომ შეაწუხებდა, მაშინღა გრძნობდა, რომ მიწიერი არსება იყო. სიცოცხლე თავისას მოითხოვდა. დაუწყებდა პურის გამხმარ ქერქს ლოღნას და ამით კმაყოფილდებოდა. ფული მაინც არ ჰქონდა, რაც ჰქონდა, ისიც სახლის დიასახლისს გადაუხადა და ახლა შიმშილით წამებისათვის განეწყო... დრო კი მიდიოდა...

ერთხელ მამიდა მოვიდა. ისე შემოიპარა, შემდგომში მზეჭაბუკი სიზმარივით იხსენებდა. მშრალი თვალები ჰქონდა, ტუჩები მკაცრად მოეკუმა. თავი დაუქნია მზეჭაბუკს. არაფერი უთქვამს. აუჩქარებლად, უხმაუროდ მიალაგა წიგნები და ქაღალდები, გარეცხა ჭურჭელი. ტატოს ძველმანები შეახვია, სადღაც გაიტანა. იატაკი დაგავა. მერე დაჯდა და ხელები მუხლებზე დაიწყო.

მზეჭაბუკი საწოლის კიდეზე იჯდა, იქიდან ადევნებდა თვალს.

მამიდა ერთხანს ასე იყო გარინდებული. ბოლოს წამოდგა, ტატოს სურათი აიღო.

— ყველაფერს აქ ვტოვებ, შვილო, — ესღა თქვა, — მარტო სურათი მიმაქვს. შენ იცი, მიხედე აქაურობას.

უცებ აქვითინდა, მაგიდაზე ჩამოემხო, მხრები აუცახცახდა.

— მამიდა, მამიდა, გენაცვალე, ნუ ტირი, მამიდა! – მივარდა მზეჭაბუკი. მის წინ დაეცა, მუხლებზე მოჰხვია ხელი.

მამიდა თანდათან დამშვიდდა, თავზე ხელი გადაუსვა და წავიდა, რათა სამუდამოდ ამოშლილიყო მზეჭაბუკის ცხოვრებიდან.

წუთიერმა ცრემლებმა განწმინდა მზეჭაბუკ ბედიას სული, განრიდებამ მყუდროება მოუპოვა, — მოჩვენებითი, — და კმაყოფილი იყო... მეტი არაფერი სჭირდებოდა და არც რაიმეს მოითხოვდა ვინმესაგან...

მეექვსე დღეს ეს მყუდროება დაერღვა... დამწვრის სუნმა გონს მოიყვანა. გაახსენდა, რომ ამ ქალაქში მარტო არ იყო. აქ ცხოვრობდნენ მისი ძმები, მას კი დავიწყებოდა, რატომ განერიდა მათ.

ჯუმამ თავი დახარა და ისე შემოვიდა. ალბათ იმიტომ, რომ კარი დაბლა იყო გამოჭრილი და სხვანაირად ვერ შემოეტეოდა.

უხმოდ დაჯდა და მიაჩერდა ლოგინზე გაუხდელად წამოწოლილ მზეჭაბუკს, რომელიც გაოცებული უმზერდა, თითქოს იატაკიდან ეშმაკეული ამომძვრალიყოს.

— ჯუმა! – თქვა და წამოჯდა, სახეზე ხელები მოისვა, რათა

გაეხსენებინა ყოველივე. მეხსიერებაში კვლავ რაღაც ფრაგმენტები ტივტივებდა, რაც სინამდვილის ასლი იყო მხოლოდ.

ჯუმამ ოთახი მოათვალიერა. კედელზე მიმაგრებული სურათების დანახვისას ყბა მოექცა, თვალი ვერ გაუსწორა. მზერა მაგიდაზე დალაგებული ქაღალდების გროვას მიაცივა.

ამოიოხრა, რადგან არ იცოდა, საიდან მოევლო. ფიქრობდა, ყოველივე ისედაც ნათელიაო, მაგრამ სინამდვილეში მისთვისაც გაურკვევლობის ბურუსი ეხვია საგნებსა და მოვლენებს; უნებლიე და უმიზეზო კრძალვას გრძნობდა უმცროსი ძმის წინაშე.

— რამდენი გეძებეთ, მთელი ქალაქი შემოვირბინეთ მე და კახაბერმა... – საყვედურით დაწყება არჩია, რათა იმთავითვე მოეთოკა. აქამდე ადვილად მბრძანებლობდა, ამიერიდან, გრძნობდა, ყოველგვარი უფლებები აყრილი ჰქონდა.

მზეჭაბუკმა მხრები აიჩეჩა.

— სოფლიდან წერილი მოგვწერეს, დედა გკითხულობს, ხომ ჭკვიანად არისო, ხომ მეცადინეობსო, რა გადაწყვიტაო... რა უნდა მივწერო?

მზეჭაბუკმა კვლავ მხრები შეარხია, ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. ჯუმა ფარული შიშით ადევნებოდა თვალს.

— გამომძიებელი ხომ არ ყოფილა? – ფრთხილად იკითხა, – ალბათ ყველა ნაცნობს დაკითხავენ... მე რა ვიცი, ვინ მოკლა, მტერი ეყოლებოდა ვინმე... – მზეჭაბუკმა არაფერი თქვა და ჯუმამ ენა მოიკვნიტა, საუბრის თემა შეცვალა, — მეზობლები მეკითხებიან, სად დაიკარგა შენი ოქროსთმიანი ძმაო... – ცდილობდა მშვიდი ყოფილიყო, ეძნელებოდა თავის დაჭერა და გულგრილობის ამ კედლის განგრევა, — არც კი მეკითხები რაა ახალი, — თქვა შეწუხებულმა, – ჩემს მოთხრობებს ბეჭდავენ. მალე მთელი ქვეყანა გაიგებს ჯუმა ბედიას სახელს... როგორ გაუხარდებათ სოფელში...

მზეჭაბუკი მაგიდასთან გაჩერდა, აუჩქარებლად დაიწყო ქაღალდების ხელახალი დალაგება.

— მგონი არც გიხარია, — წყენით განაგრძო ჯუმამ, — რა დაგემართა, ერთი ამიხსენი, მარტო ჩემთვის ხომ არ ვიღვწი. ჩემი სახელი თქვენი სახელიც არ არის?

მზეჭაბუკი უცებ შებრუნდა მისკენ და ნერვულად ჰკითხა:

— რა გინდა?

— როგორ თუ რა მინდა? – ვერ მიუხვდა ჯუმა.

— ჩემგან რა გინდა?

ჯუმამ ტუჩი მოიკვნიტა, ერთხანს თითს აკაკუნებდა მაგიდაზე, მერე დათაფლული ხმით დაიწყო:

— მზეჭაბუკ, ძამიკო, მეხსიერებამ არ დაგალალატოს! მე არაფერი მავიწყდება. რამდენადაც ვიცი, შენი ძმა ვარ, თანაც უფროსი. გახსოვს, ცურვას რომ გასწავლიდი? ერთხელ ენგურმა წაგიღო, ძლივს გადაგარჩინე. უჩემოდ რად ჩახვედი წყალში-მეთქი და კიდეც მოგთეთქვე... მთელ საათი ვტიროდი შენთან ერთად, გახსოვს?

მზეჭაბუკი საწოლზე ჩამოჯდა, ნიკაპი ხელს ჩამოაყრდნო და კუთხეს გაუსწორა თვალი.

— სანამ სკოლაში წახვიდოდი, ჩემს ფერხთით გეძინა. რამდენჯერ დაგისველებია ლოგინი. არ მინდოდა შენი ატირება და მე ვიბრალებდი. მერე კი ენგურში გბანდი, რათა სუნი არ შეგრჩენოდა...

სუნზე გაახსენდა, ოთახში დამწვრის სუნი იდგა და სულს უგუბებდა მდუმარე მზეჭაბუკს.

— რა გინდა ჩემგან? – მესამედ იკითხა.

ჯუმა მოიღუშა.

— რა მინდა და თავი გაანებე მაგ ბალღობას! წამოდი შინ, იმეცადინე!

— ჯუმა, — პირქუშად გააწყვეტინა. – დამტოვე, ძალიან გთხოვ, დამტოვე!

— არ დაგტოვებ! – გადაჭრით თქვა ჯუმამ, – ხომ იცი, რომ ამ ბეტონის ხვრელში ვერ ჩაგტოვებ. აქ შიმშილი და ნესტი მოგკლავს. ჩვენ კი გავფართოვდით. ახლა კუზიანი ვასასის ბინა ჩვენია, ბებრუხანამ დაგვიტოვა ანდერძით...

— ჯუმა! – წყნარად თქვა თავდახრილმა მზეჭაბუკმა, – მე ბევრი რამე ვიცი, მაგრამ ყველაფერი არა... თუ კიდევ ერთი საათი დარჩები, ყველაფერი მეცოდინება... მე კი არ მინდა დაგკარგო, გესმის?.. სწორედ იმიტომ, რომ ყველაფერი მახსოვს... დამტოვე, ჯუმა!

თავი ასწია და ძმას შეხედა. ჯუმას ფერი არ ედო... ძლივს წამოდგა და უხმოდ გალასლასდა. გასასვლელში თავი ისევ დასწია. ქუჩაში ასევე თავდახრილი და მხრებჩამოყრილი მიდიოდა.

* * *

მეათე საღამოს პირველად გამოვიდა. ქუჩაში თითო-ოროლა მკერდგაღეღილი ახალგაზრდა თუ ჩანდა, უსაქმოდ კლავდნენ დროს სადარბაზოსთან. მზეჭაბუკს არსად ეჩქარებოდა. ფეხით დაუყვა გზას ვაკის პარკისაკენ. დღისით ქალაქში ცხელოდა. სახლების კედლები თონესავით იყო გახურებული, ასფალტიდან ჰაერის თბილი ტალღა ადიოდა. სულის მოთქმა მაინც შეიძლებოდა.

პარკისათვის უამრავ ხალხს შეეხიზნა თავი. თუმცა გვიანიც იყო და მოსეირნენი ჯგუფ-ჯგუფად მიიწევდნენ გასასვლელი კიბისაკენ. პარკშიც ბევრი რჩებოდა ჯერაც და ჩაფიქრებული ყმაწვილი ხან ვის ეჯახებოდა, ხან ვის, წამდაუწუმ უხდებოდა ბოდიშების დარიგება.

პარკის ცენტრში უზარმაზარი შადრევანი სცემდა შხუილითა და დგაფუნით. წყლის ფარული ძალა გუგუნით სტყორცნიდა მძლავრ ნაკადებს, ერთმანეთს ანთქრევდა ვერცხლის ჭავლებს, ფანტავდა მირიად წვეთებად, ჰაერში ეკიდა გრილი ნისლი და მაცოცხლებელი ჟვავი ეფინებოდა გამვლელთ სახეზე.

გაჩერდა მზეჭაბუკი. წმინდა სინოტივე უგრილებდა პირისახეს, უცხრობდა სისხლს. ავიწყდებოდა საწუხარი, წვეთ-წვეთობით უბრუნდებოდა ხალისი და უდარდელი ბავშვობის გრძნობა... თითქოს არაფერი გადახდენოდა ტრაგიკული, თითქოს კვლავ ის ბედნიერი მზეჭაბუკი იყო, თბილისის ზღვის შემოგარენში რომ კისკასებდა... ამდენი ხნის მარტვილობამ დაუბუჟა ძარღვები, მოუნდა მოძრაობა, დაღლა, ფრენა. გაშალა მკლავები და გაინავარდა შადრევნის თავზე.

ბრბო შეგროვდა სეირის საყურებლად. მათი შეძახილები შადრევნის გუგუნში ინთქმებოდა, მაინც აღწევდა აღტაცებული შეძახილები, „ვაშა“, ტაშისცემა.

გოლიათ ფარვანასავით ევლებოდა მზეჭაბუკ ბედია ვერცხლის ჭაღს, ხელს შეახებდა და ამსხვრევდა ჭავლს, ბრჭყვიალა წინწკლებს აბნევდა ირგვლივ.

მაგრამ წამიერი იყო თავდავიწყება.

ბრბოს ყიჟინი გაძლიერდა. აღტაცებაში აღშფოთება გაერია,

„ვაშაში“ – „ძირს“, ტაშისცემაში – სტვენა... გაუნელდა აღტყინება, კვლავ უბრუნდებოდა შავი მელანქოლია.

განერიდა ბრბოს და ზე აიჭრა ქალაქის თავზე, რათა ღამეში გაუჩინარებულიყო.

სუსტი ნიავი მიაფარფატებდა მზეჭაბუკს და ქვევით, მთათა შავ სილუეტებს შორის მოედინებოდა ფართო ხეობაში გამომწყვდეული ქალაქი, მოატივტივებდა აურაცხელ, ფერად გირლიანდებს — ღამისეულ ქუჩებსა და პროსპექტებს.

დაფიონი ამქრქალებდა ქალაქის ცას, ვარსკვლავები ძლივს ბჟუტავდნენ, ცისკიდურზე კი სულაც ქრებოდნენ.

სული ისევ ეწმინდებოდა მზეჭაბუკს, შორდებოდა დარდი და ნაღველი, ევსებოდა განუზომელი სითბოთი. უყვარდა ეს ქალაქი, უყვარდა მისი სიკეთითაც და ბინიერებითაც, მისი სიმაღლითაც და დაცემითაც... უყვარდა მისი სიცხიანი დღეები და გრილი ღამეები... მისი ადამიანები!

ღამეული ქალაქი სავსე იყო სინათლითა და ხმებით. მანქანათა დაუსრულებელი გუგუნი ქალაქის სუნთქვა იყო, ფერადი ფანჯრები მისი თვალები იყო, მუსიკის მოულოდნელი ჰანგი მისი ხმა იყო... მავანს მუზა სწვეოდა და ფორტეპიანოზე დახრილი იწვოდა სითბოსა და სიყვარულისაგან.

უსმენდა ვარსკვლავებში გათქვეფილი მზეჭაბუკ ბედია ქალაქის ხმებს და უცბად მოუნდა ძირს დაშვება, ქუჩაში გავლა, ვინმესთან ლაპარაკი, ნებიერი, ალერსიანი პასუხის მოსმენა...

შუაღამე გადასული იყო, სანაპიროზე დაეშვა, მტკვრის პარაპეტზე ჩამოჯდა.

ქალაქს უკვე ეძინა და ზურგსუკან, ავტოსტრადაზე იშვიათად თუ ჩამოიქროლებდა ავტომანქანა. მზეჭაბუკი გადაჰყურებდა ვერცხლისფერი ტალღებით ალივლივებულ მტკვარს, წყალში ჩაცვენილ სანაპიროს ნათურებსა და პირაღმა აყუდებულ სახლებს. წყლის ზედაპირი ჰგავდა ვერცხლის ჯეჯილს, რომელსაც ციცინათელების ჯოგი შესეოდა. მერე თითქოს აიწია ვერცხლის ტალღა, თვალებში შეესხა ყმაწვილს, უპეები აუვსო ბრჭყვიალა ბუშტულაკებით. მიხვდა, რომ ჩასთვლიმა. დაღლილი იყო და განძრევა დაეზარა. მოეჩვენა, რომ კალმახად იქცა, აღმა-დაღმა დაცურავდა გამჭვირვალე წყალში და წინწკლები ჭორფლივით

აჩნდებოდა ტანზე.

მოულოდნელად ყაყანი მოესმა. ვერ გაარკვია სად იყო და რა ხდებოდა მის თავს. ვიღაცები ეხვევნენ გარს და აქეთ-იქით ექაჩებოდნენ.

— ერთი და ორი, ერთად, ჰე! – იძახდნენ და პერანგს ახევდნენ.

არყის სუნზე მიხვდა, მთვრალები იყვნენ. გაიწია, მაგრამ ვერ დაუსხლტა.

ვიღაცამ ზურგში მუშტი ჰკრა, მტკვარში გადააგდო.

სანაპიროზე უაზრო ხორხოცი და ყიჟინა ატყდა. სადღაც შორს იკივლა სირენამ. მშველელი არავინ ჩანდა.

მზეჭაბუკმა წყლის ციმციმა ზედაპირს ოდნავ დაჰკრა ხელი, ჩიტივით შეიფრთხიალა, შეინავარდა და ბუმერანგივით უკანვე შეახტა პარაპეტს.

ღვინით გამომტყვრალი გოგო-ბიჭები იყვნენ. ერთმანეთს ებღლარძუნებოდნენ და უშვერად იგინებოდნენ.

გადაგდებული კაცი კვლავ პარაპეტზე რომ დაინახეს, გაოცებისაგან ენა ჩაუვარდათ.

— ოჰ, თქვე ნაძირალებო! – სიბრაზით აენთო მზეჭაბუკი.

მთვრალები გამოერკვნენ, აზუზუნდნენ.

— გამიშვი, მაგისი... უნდა ვცემო! – დაიღრიალა ერთმა, ულვაშიანმა.

მეორემ დააკავა.

— მოკეტე, თითსაც ვერავინ დააკარებს! ეს ჩემი ძმაა! – გაიგონა მზეჭაბუკმა ნაცნობი ხმა და დაცხრა.

კაჭუჭია ძლივს იდგა ფეხზე. მუცელი გამობუშტოდა, ალბათ დილიდან სვამდა. ახალთახალი პიჯაკი შემოღლეტოდა. სახეზე ნაკაწრი აჩნდა. იდგა და ასლოკინებდა, თან უყურებდა პარაპეტზე შემდგარი მზეჭაბუკის ფეხებს, რადგან თავის აწევა ემძიმებოდა.

— წავიდეთ, კახას ვენაცვალე, აქ რა გვინდა! – ულვაშიანმა ხელი გადახვია, ძალათი დაძრა ადგილიდან და ხრინწიანი ხმით შემოსძახა: — ჭყინტი ყველის ჭამა მიყვარს...

სხვებიც აჰყვნენ.

კაჭუჭიამ მოიხედა, ამოიხვნეშა და მალე მისი ხმა შეერია მთვრალთა ღრიანცელს...

* * *

ორი კვირა, ამ შეხვედრის შემდეგ, მხოლოდ ღამღამობით გამოდიოდა თავისი სარკოფაგიდან. მთელი დღე გაშოტილი იწვა ბეტონის ვაგონში, სადაც ნესტი, ობის სუნი და სიგრილე სუფევდა, მაშინ როცა ბარჩხალა მზე ქუჩებში ასფალტს ადნობდა... იწვა ტატოს ასკეტურ საწოლზე და ფიქრობდა ძმებზე – ჯუმასა და კაჭუჭიაზე. არ უნდოდა მათი გახსენება. თავს ძალას ატანდა, რათა აზრი ათას სხვა ამბავს გადაწვდენოდა, სასაცილოსა და სატირალს, წაკითხულსა და განაგონს, მაგრამ ძალაუნებურად ძმებს უბრუნდებოდა და მზეჭაბუკის მეხსიერებაში დაუსრულებლად ტრიალებდა ფაქტები და მოვლენები, რომლებსაც სხვა დროს ყურსაც არ ათხოვებდა, ახლა კი ყოველივეს მნიშვნელობა ეძლეოდა. მზეჭაბუკის ეჭვი რეალურ, საგნობრივ ფორმას იძენდა. სწორედ ამიტომ დევნიდა იგი ფიქრს, თუმცა აკვიატებული აბეზარა თავს მაინც არ ანებებდა.

ამ შინაგანი ჭიდილისაგან დაღლილს ხანდახან მოსწყურდებოდა გრილი ჰაერი, მოსწყურდებოდა ბნელი ცის ოკეანეში ჩაძირვა, ჯავარვარსკვლავეთში ქროლვა, ღამეული ქალაქის თვალთვალი, დატოვებდა თავის ნებაყოფილ ციხეს და აიჭრებოდა ზევით. იქ, ცის შავ სიწმინდეში მცირე ხნით ეწვეოდა სულიერი სიმშვიდე და წამიერი ბედნიერება.

ერთ ასეთ დღეს გაახსენდა როგნედა, გაახსენდა ისე, თითქოს პაპანაქება სიცხეში უცაბედად ანკარა, გრილ წყაროს წააწყდაო. თვითონაც გაუკვირდა, რატომ არ მოაგონდა აქამდე, მარტოობით შეწუხებულმა რატომ არ მიაშურა, რატომ არ სთხოვა მაშველი ხელი...

თავი VI. როგნედა

როგნედასაც ახსოვდა მზეჭაბუკ ბედია. იმ დღიდან ჩარჩა მეხსიერებაში, როდესაც ვაგონის კუპეში შევიდა და ბიჭის წინ დასკუპდა. ასეთი ლურჯი თვალები, ოქროს თმა, სუფთა კანი, მშვენივრად მოხაზული ბაგეები თვალში ვის არ მოუვიდოდა. სწორედ

რომ თვალში, რადგან როგნედას გული ჯერჯერობით სხვა, მაცდური რამეებისათვის არ გახლდათ შემზადებული. ყოველ შემთხვევაში, ასე ირწმუნებოდა ქალბატონი ღაღული და გოგონასაც სჯეროდა დედის სიტყვები.

მიუხედავად ამისა, როგნედას ხანდახან ესიზმრებოდა ლურჯთვალება ბიჭი, უნებლიეთ იგრძნობდა ლოყაზე მისი ბაგეების შეხებას, გამოეღვიძებოდა უცნაური, გაურკვეველი გრძნობით აცახცახებულს და ძილი უკრთოდა დიდხანს...

რეპეტიტორად პაპუა ჩირგაშვილი რომ მოუძებნეს, მაინცდამაინც არ გახარებია. პირველი დანახვისთანავე აითვალისწუნა, თვალის შევლება ეზარებოდა. ნამეტანი ცბიერი და ლაქუცა ჩანდა. ვითომ დიდი სიმპათიით იყო განწყობილი მოწაფის მიმართ. ხან მხარზე შეახებდა ხელს, ხან თავზე გადაუსვამდა. ამ დროს გოგონა ფინიასავით აიბურძგლებოდა, ცოტა აკლდა, რათა კბილი არ გაეკრა ამ ხელისათვის. ოღონდ სიმორცხვის გამო კი არ იკავებდა თავს, ბინძური ხელია და კბილი როგორ დავადგაო, — ფიქრობდა.

მაინც არ აცდენდა მეცადინეობას, თუმცა აქამდე განსაკუთრებული სიბეჯითით არ გამოირჩეოდა. მოწაფეობის ხანაში იმდენს ტრიალებდა სარკის წინ, იმდენჯერ ირგებდა მოკლე კაბებს, ისე ყურადღებით ათვალიერებდა თავის ფეხებს (თვითონაც უკვირდა, როგორ შეიძლება ასეთი ლამაზი ფეხები მქონდესო), რომ სამეცადინოდ საკმაო დრო აღარ რჩებოდა. ახლა კი დღესაც არ უცდენდა პაპუა ჩირგაშვილს. დილიდანვე რაღაც ძალა ეზიდებოდა ამ სახლისაკენ. სულმოუთქმელად მოირბენდა ჭიშკრამდე, თან ენის წვერზე მომზადებული ჰქონდა მწარე რამ სათქმელი, რათა მოულოდნელი მოწინააღმდეგე დაეჯაბნა, ოღონდ ის მოწინააღმდეგე ერთხელაც ვერ იხილა.

როგნედა იმედს მაინც არ კარგავდა, მაგრამ მზეჭაბუკის ნაცვლად კაჭუჭიას შეეფეთებოდა ხოლმე. კაჭუჭიამ ალბათ დრო დაიმახსოვრა და აივანზე ხვდებოდა მუდამ. ძველი ნაცნობივით თავს დაუქნევდა და მიაცივდებოდა გოგონას მოკლე კაბაში გამომწყვდეულ თეძოებსა და სწორ ფეხებს. სანამ როგნედა კიბეს აათავებდა, კაჭუჭიას გულში ათასნაირი ტკბილი ზრახვა ისახებოდა. გოგონაც გრძნობდა ამას, ერთგვარი კეთილგანწყობითაც

პასუხობდა უსიტყვო სალამზე და კიბეზე განგებ ანელებდა ნაბიჯებს. სულ უფრო ნაკლებ ფიქრობდა მზეჭაბუკზე, თუმცაღა რატომ უნდა ეფიქრა ამდენი იმ სოფლელ ბიჭზე, ვისაც ორი სიტყვის ერთმანეთზე გადაბმა ძლივს ეხერხებოდა.

ეს კი იყო ასე, მაგრამ ფარული იმედები მაინც უღვიოდა. ორიოდე წუთი მეორე სართულის აივანზე ყოვნდებოდა, თან ეჩვენებოდა, დიდ-პატარა მე მითვალთვალებსო. ზევიდან პაპუა ჩირგაშვილი გადმოეყუდებოდა, არ აცლიდა, უხმოდ, შეთქმულივით უქნევდა ხელს. როგნედა უხალისოდ ადიოდა მასთან. გულსგარეშე პასუხობდა კითხვებზე, რეპეტიტორის ჩმახვას არც უსმენდა, გარეთ ჰქონდა გულისყური.

მერე შეამჩნია, რაღაც უბედურება დატრიალებულიყო. ეზოში ქალები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, უცხოებს ეჭვით ათვალიერებდნენ და დაუსრულებლად ჭორაობდნენ. ოღონდ რაზე, ეს ვერ გაიგო. მოპირდაპირე ფანჯრიდან ისმოდა ვიღაცის გაუთავებელი მოთქმა. ჯერ გადაწყვიტა, დაბნული გიჟიაო, გიჟებისა კი ყველაზე უფრო ეშინოდა, მაგრამ მოზარეს ხმა ისეთი გულსაწვავი იყო, თვითონაც სატირლად განეწყო. ბოლოს მოთმინება დაკარგა და რატომ გაჰკივისო, — რეპეტიტორს ჰკითხა. პაპუა ჩირგაშვილი ამ დროს გულმოდგინედ არჩევდა ლუარსაბ თათქარიძის მადიანობის ამბავს და ბოზბაშისა და ჩიხირთმის პრობლემებს წყვეტდა. ისე იყო გატაცებული თავისი ორიგინალური მოსაზრებებით ამ საკითხზე, რომ კითხვა უცებ ვერ გაიგონა. მერე თავი სინანულით გააქნია, აქაოდა ისეთი ტრაგიკული ამბავი ვიცი, ქვეყანას შეძრავსო.

— სარტფო მოუკლეს ამასწინათ და მგონი თან გადაყვეს!

როგნედას მეტი არაფერი უკითხავს. სულში ჩასწვდა გულდაკოდილი არსების ხმა.

როცა მოთქმა მიწყდა, ისეთი მდუმარება ჩამოვარდა, მთელი ქვეყანა დაცარიელდაო ბგერებისაგან. პაპუა ჩირგაშვილის ლაქლაქიღა ამღვრევდა წმინდა მდუმარებას.

ამის შემდეგ ყოველ მოსვლაზე იმ ფანჯარას უთვალთვალებდა, მაგრამ იქ დუმილი სუფევდა.

ერთხელ აივანზე შეეფეთა მზიას. შავმანდილიანი გოგოს

მზერამ შეაძრწუნა. სივრცეში იყურებოდა, თითქოს მის თვალთა ხედვას სახლის კედლები ვერ საზღვრავდნენ. პირველად თავის სიცოცხლეში მორიდებით აეკრა მოაჯირს და ისე გაატარა. მოგვიანებით პაპუა ჩირგაშვილმა უსაყვედურა, ტყუილად ვირჯები, ყურს მაინც არ მიგდებო. როგნედას მისთვის არ ეცალა. თვალწინ ედგა შავმანდილიანი ქალიშვილი. თვითონაც არ იცოდა, რატომ შეწუხდა ეგზომ. ვახშამზე დედამაც მისცა შენიშვნა. ბებიამ კი ძილის წინ ჩურჩული გაუბა, ვითომდა ჩვენ მუდამ მეგობრები ვიყავით და ჩემი გოგო ახლაც არაფერს დამიმალავსო. როგნედას არც არაფერი ჰქონდა დასამალი, არც სათქმელი. როგორ უნდა აეხსნა ბებიასათვის, ასე და ასე, გოგო ვნახე, ვინაც სატრფოს დაღუპვას სიგიჟემდე მიუყვანიაო. ბებია ამას მაინც ვერ დაიჯერებდა, ის გოგო ისედაც გიჟი იქნებოდაო, იტყოდა და ჭკუის სწავლებას მოჰყვებოდა. როცა ბებია გავიდა, საბანი გადაიძრო და ბნელში თეთრად გამომკრთალ ტელეფონს მიაცქერდა. თვითონაც არ იცოდა, რატომ ეგონა, რომ ვიღაცა მოიცლიდა და შუაღამეზე ტელეფონის რეკვას დაუწყებდა. დიდხანს უყურა. ტელეფონს ხმა არ გაუღია. თვლემა წამოეპარა, თვალები მილულა და ამ დროს შეაკრთო მოულოდნელმა აზრმა – მას არა მარტო ებრალებოდა ის გოგო, მას შურდა მისი... აწრიალდა, ძილი გაუტყდა...

ლოგინზე წამოჯდა. ოთახში ცხელოდა.

შურდა?!

ფანჯარას კენჭი მოხვდა და მისმა გაჩხაკუნებამ აზრი დაუფრთხო...

* * *

ფანჯარას კენჭი მოხვდა. გაუკვირდა. ფეხაკრეფით მიიპარა და ფარდა ოდნავ გადასწია. გამოღებული ფანჯრიდან ნიავი უბერავდა, ცხელ ტანს უგრილებდა, ამშვიდებდა. ქუჩის ფარანი ასფალტის პატარა წრეს ანათებდა. ნიავი აქანავებდა ფარანს და მასთან ერთად ქანაობდა სინათლის წრეც. არავინ ჩანდა. როგნედამ ფანჯარა მიხურა, თან მინაზე ცხვირი მიაჭყლიტა და ისე გადაიხედა.

უცებ გული გადაუქანდა. ფანჯრის მეორე მხარეს ვიღაცა იდგა და როგნედას შემოჰყურებდა. შეუძლებელი იყო ამ სიმაღლე კედელზე ამოცოცება, მაგრამ ვიღაცა აშკარად უღიმოდა.

როგნედამ პირზე ხელი მიიფარა, რათა შიშისაგან არ ეკივლა.

იცნო.

შიში დაძლია, ფანჯარა გამოაღო და პერანგზე ჩააფრინდა.

— გიჟო, გიჟო, ჩამოვარდები!

მზეჭაბუკი ფანჯრის რაფაზე გადმოძვრა, მდუმარედ მოაჩერდა.

— გიჟო! – ჭირვეულად გაიმეორა როგნედამ, პირისახე ბიჭის მკერდში ჩამალა და ცრემლები გადმოყარა.

მზეჭაბუკმა ხმა ძლივს ამოიღო.

— როგნედა!

— რომ ჩამოვარდნილიყავი, რომ ჩამოვარდნილიყავი, გადარეული, ხულიგანი!.. – არ ისვენებდა გოგონა.

— როგნედა!

სწრაფად დამშვიდდა, შიშმა გადაუარა, ბიჭს ხელი უშვა.

— როგორ შემაშინე... მოიცა, ჩემკენ ნუ იხედები! – თხელი ხალათი გადაიცვა, სინათლე აანთო.

სინათლეზე მზეჭაბუკი დაბნეული და დარცხვენილი ჩანდა, გამბედაობა დაელია.

როგნედამ კვლავ ფანჯარასთან მიირბინა, გადაიხედა, ტუჩები მოპრუწა, ბიჭივით დაუსტვინა.

— აქ როგორ ამოხვედი? ფეხის მოსაკიდებელიც არსადაა... ტყაპანი რომ მოგედინა, რა უნდა გვექნა ხვალ? რას იტყოდნენ მეზობლები? – გამოცოცხლებულს სახე უცინოდა, ცქმუტავდა, მოკლე ხალათქვეშ საღამურის კალთები უფრიალებდა.

— როგნედა, — წაილუღლუღა მზეჭაბუკმა.

— არაფერი თქვა, ნუ ილაპარაკებ, თორემ დედა და ბებია გაიგონებენ. როგორ მოგაფიქრდა ჩემთან მოსვლა, თანაც ასე გვიან... მე კი აღარც მახსოვდი, ათასი საქმე მაქვს, შენს თავს რა გამახსენებდა...

— როგნედა!

— ერთი სიტყვაც არ უნდა მათქმევინო? რომეო ჩემო, რას მეტყვი ისეთს? ხომ არ დამიჩოქებ? სიყვარული გინდა ამიხსნა? წესიერი

ბიჭები ასე არ იქცევიან. დაგერეკა მაინც. კინოში რატომ არ დამპატიჟე? ალბათ სხვები დაგყავს კინოში და ახლა გაგახსენდი...

ენა მოიკვნიტა. მიხვდა, ზედმეტს ლაპარაკობდა. მზეჭაბუკი თანდათან ფითრდებოდა და ფანჯრისაკენ იხევდა.

— ოღონდ არ გადახტე! – წამოიძახა და მივარდა, – სულელი ვარ, სულელი! როგორ ვერ გაიგე, ენაგატლეკილი გოგო ვარ, შტერი... შენ კი ყველაფერი გულთან მიგაქვს...

მზეჭაბუკმა მკლავი მოჰხვია, მკერდში ჩაიკრა და როგნედამ ანაზდად იგრძნო, იატაკს რომ მოსწყდა, ოთახში გაცურდა...

დაფრთხა.

— არ მინდა, არ მინდა! – შიშისაგან მკლავები კისერზე შემოაჭდო. ოთახის სინათლე გაქრა და იგი მზეჭაბუკთან ერთად ღამის შავეთში გადაეშვა. სადღაც ვარდებოდა დაუსრულებლად, ვარდებოდა და წამითწამზე ელოდა ბოლოს, მაგრამ გაგრძელდა წამი და არ დაადგა საშველი.

ბნელ სივრცეში ინთქმებოდა გოგონა. ქარი ზუზუნებდა, თმას უწეწავდა... ყელი ყელს გადაეჭდო, მკერდი მკერდს მიკვროდა, მის წელს ყმაწვილის მკლავები შემოსალტოდა, თანდათან შიში ქარწყლდებოდა და ტკბილ ზმანებაში ეშვებოდა.

ყოველივე ეს იყო დაუჯერებელი ზღაპარი.

— გიჟი, გადარეული, ქუჩის ბიჭი... – ჩურჩულებდა როგნედა, ეკვროდა. უკვე არ ეშინოდა, რადგან მსგავსი სიზმარი არაერთხელ უნახავს წინათაც, დილით კი დაღლილსა და მოთენთილს გამოღვიძებია.

წამით გაახილა თვალი. ყოველმხრივ მორიალე ვარსკვლავთა ნაპერწკლები შეუცვივდა უპეებში... ისე ციმციმებდნენ, თითქოს ათი ათასი ციცინათელა შემოსეოდა სიზმარს.

კვლავ დახუჭა, მიენდო სიზმრის ლაღ მდინარებას, მზეჭაბუკ ბედიას მკლავებს, რადგან სიზმარშიც ვერ გაბედავდა მარტოდმარტო ასე მაღლა აფრენას.

მზეჭაბუკი კი, წამიერი ბედნიერებით შეპყრობილი, თავის ნადავლს ჩახუტებული, დაქროდა ღამეულ ზეცაზე და ბოლო დღეების ყველა წუხილი დავიწყებოდა.

ნელა დაეშვა ქალაქისაკენ, მიაგნო სახლს, განათებულ ფან-

ჯარაში შეფრინდა და გოგონა სარეცელზე დასვა.

განზე გადგა და არ იცოდა რა მოემოქმედა. როგნედა ბალიშ-ზე ნებიერად მიწვა, თვალები დახუჭული ჰქონდა და იღიმებოდა:

— რა კარგი სიზმარია!

წამწამები ააფახულა და მზეჭაბუკს ამოხედა.

— შენც სიზმარი ხარ! – თქვა და თითქოს ენა არ ემორჩილებაო, თითქოს ვიღაცამ ძალა დაატანაო, უცხო ხმით ჰკითხა: — ის პუტ-კუნა კახაბერი როგორა გყავს? – ჩაიცინა მოგუდულად, ყმაწვილს მოეჩვენა, ორაზროვნადო.

ფერი ეცვალა მზეჭაბუკს, ფანჯრისკენ გადადგა ნაბიჯი.

როგნედამ ხელი გამოუწოდა.

— ოჰ, შეჩერდი! ღმერთო ჩემო, თვითონაც არ ვიცი რას ვბოდავ!

მაგრამ მზეჭაბუკს ეს სიტყვები არ გაუგონია, სიბნელეში გადაეშვა და გაქრა.

გოგონა ფანჯარას მივარდა, ასფალტზე არავინ დაცემულა...

ფარნით განათებული არე ქანაობდა ძველებურად.

თავი VII. ტატოს გახსენება

მეორმოცე დღეს გაახსენდა, რომ ყვავილების საყიდლად ფუ-ლი არა ჰქონდა. ღამე გამოვიდა სახლიდან, გომბორის მთებისაკენ გაეშურა. ასე შორს პირველად მიფრინავდა. არც იცოდა, ეყოფო-და თუ არა ღონე იქ მისაღწევად და უკან მოსაბრუნებლად. გამთე-ნიისას ალპური ველი იპოვა, გვირილებით ისე დაფარული, ვრ-ცლად გაფენილ თეთრ ხალიჩას ჰგავდა. სერზე მზე წამოსკუპე-ბულიყო და მისი სხივები გვირილების გვირგვინებში ბრწყინავ-და. ცვარნაპკური მდელო ციმციმებდა, თითქოს მთელი ველი შუ-შის ფერადი ნამსხვრევებით იყო სავსე. პირველყოფილი, მარად ნორჩი სამყაროს სურნელება შინაგანად ასუფთავებს ადამიანს და მზეჭაბუკ ბედიას არც ისე ცუდი ეჩვენებოდა სამყარო.

ნაშუადღევს გვირილების დიდი თაიგულით დატვირთული დაეშვა საბურთალოს სასაფლაოზე, ცვრიანი ყვავილები ტატოს საფლავზე მიმოაბნია და იქვე ჩაიმუხლა.

ცხელოდა, გვირილებმა დაკარგეს სიხასხასე.

თანდათან იმატა ხალხმა. სხვა საფლავებსაც გამოუჩნდნენ პატრონები. მზეჭაბუკი არავის აქცევდა ყურადღებას, არც ვინმეს ნაფიქრალის მოსმენა სურდა, რათა სულის სიმშვიდე შეენარჩუ-ნებინა.

მზია მოვიდა, საფლავის ფერხთით ჩაიჩოქა და ასე გაირინდა.

მზეჭაბუკი დააკვირდა. ცვლილება შეატყო, ოღონდ ვერ მიხვდა რა. მზიას სულის ხმა არ ესმოდა წინანდებურად. დადუ-მებულიყო მისი აზრი და ტვინს ბნელი ნისლი მოსავდა...

სასაფლაო გამოცოცხლდა. აქა-იქ სკამებზე ჩამომსხდარიყ-ვნენ შაოსანი დედაკაცები, შეჩვეოდნენ მარმარილოსა და ბრინ-ჯაოს ამ მდიდრულ ქაოსს; ისე ხშირად დადიოდნენ სტუმრად თავის დარდთან, როგორც სხვები დადიან პარკში სასიყვარულო პაემნებზე. კვირა დღე იყო და ზოგი ბარ-თოხით მოსულიყო. ქალა-ქის ქვებში ჩაჭედილები ამ ორი მტკაველი ნედლი მიწის ჩიჩქნით გულსაც იოხებდნენ და სულსაც. სასაფლაოს შესასვლელს ზღვა ხალხი მოსდგომოდა. მანქანების ტევა არ იყო. მზეჭაბუკი ხედავდა შეუბრალებელი ჟამის ნამუშაკევს, კუბოში ჩასვენებულ მოხუცებ-სა და ახალგაზრდებს, ზოგს დრო მოსწრაფებოდა, ზოგი კი ქალა-ქის რიტმს გაეჭყლიტა, რადგან სიჩქარეში უკან მოხედვისა და მოძმისათვის ხელის გაწვდენის დრო აღარ რჩება. მოთქმა-ტი-რილი და სამგლოვიარო მუსიკის ჰანგები ერთმანეთში აირია და მზეჭაბუკის თავში ჯოჯოხეთური კაკაფონია იდგა.

მზერა დაუშვა. არც რამის მოსმენა სურდა, არც რამის დანახვა. დატკეპნილ ბილიკზე ორი სხვადასხვა ჯურის ჭიანჭველა მატლი-სათვის დატაკებოდა ერთმანეთს და სამკვდრო-სასიცოცხლო ომი ჰქონდათ.

კვლავ მზიას ახედა. გოგოს თვალებში ცრემლი დაშრობოდა და იქ შიში ეხატა. „რა უნდა ჩემგან, რა უნდა? – მოესმა მზეჭაბუკს, — ტატოს ჰგავს და იმიტომ მტანჯავს, იმიტომ არ მასვენებს, იმიტომ დამდევს კვალდაკვალ...“

განცვიფრდა მზეჭაბუკი, ეგონა, მე ვგავარო ტატოს.

ოღონდაც მზია სულ სხვა მხარეს იყურებოდა და უფრო და უფრო შფოთავდა.

იქიდან, საფლავებს შორის დატეხილ თირზე, ძმები ბედიები მოდიოდნენ, წინ ჯუმა, ფეხდაფეხ კაჭუჭია და რაღაცით ჰგავდა

ჯუმა ბედია ტატოს, თუმცა სიწმინდე აკლდა და მზეჭაბუკი საბოლოოდ დარწმუნდა თავის ეჭვებში.

სალამზე პასუხი არ გაუცია, თავიც არ აუწევია. ჭიანჭველების ომს მისჩერებოდა.

ჯუმამ გულზე ხელები დაიკრიფა. მის ირგვლივ დამწვრის მძაფრი სუნი დატრიალდა.

კაჭუჭია ფეხს ინაცვლებდა, აღგზნებული ჩანდა, როგორც მცირე სიმთვრალისას ჩვეოდა. მის გამომეტყველებაში სრული უმწეობა და დაბნეულობა იგრძნობოდა.

შეშინებული მზია მორჩილად თავდახრილ მხევალს უფრო ჰგავდა, ზოგჯერ ციებიანივით შეაჟრჟოლებდა, ჰაერს შეისრუტავდა, სული ეხუთებოდა, შიშიანი თვალებით ახედავდა ჯუმას.

— წავალ აქედან, სოფელში გადავიკარგები... აქ რა მინდა, – გამომწვევი ჭირვეულობით ჩაიდუდუნა მზეჭაბუკმა. მისი სიტყვები ისე გაისმა, როგორც უდაბნოში, მოპასუხე არავინ იყო. მზეჭაბუკის გულში თანდათან ძლიერდებოდა რისხვა, ოღონდ ჯერაც უფროს-უმცროსობის დაუწერელი კანონი ბოჭავდა და იცდიდა, როდემდე გაგრძელდებოდა ეს აუტანელი დუმილი, რომლის ყოველი ფიქრი ასე ნათლად ესმოდა.

მ ზ ი ა: „მეტი არავინ შემიყვარდება, ტყუილად ცდილობ... მე ყველაფერი მივეცი მას, ჩემი სული, ჩემი სიყვარული... მან იგი საფლავში ჩაიყოლია... ჩემი ტატო... თავი დამანებე, მეტი არავინ შემიყვარდება...“

ჯ უ მ ა: „ჩემი უნდა გახდე, სხვა გზა არა გაქვს... ამიტომ მოვიმოქმედე ყოველივე... მზია, მზია, შენ თუ ჩემი არ გახდები, აზრი არა აქვს ამ უზარმაზარ მსხვერპლს... ყველაფერს მივაღწევ, მაგრამ უშენოდ რა ფასი ექნება...“

კ ა ჭ უ ჭ ი ა (შიგადაშიგ ასლოკინებს): „ახლა მდიდარიც ვარ... ცოტა ხანიც და მანქანას ვიყიდი... ჩიტის რძეს არ მოგაკლებ, სულ ფარჩებში გატარებ... შენზე უკეთ პარიზშიც არ ეცმევათ... რუსთაველზე რომ ჩამოვივლით, ხალხს თვალში ეკალს ამოვუყვანთ...“

მ ზ ი ა: „ტატო, ჩემო ბიჭო, რად უღალატე ჩემს სიყვარულს; რად დამტოვე ხელმოცარული?.. სიყვარულზე სიყვარულით ვერ მიპასუხე, ხელი გამომიწოდე და იმავე წამს გაქრი. ეს რა ჯადოქრობა იყო, ბიჭო?! შენ წახვედი და ჩემი გულიც თან გაიყოლე, ბიჭო!..“

ჯ უ მ ა: „აქამდე „ის“ იდგა ჩვენს შორის. ახლა აღარ არის, წავიდა... მალე დაგავიწყდება და, იცოდე, ჩემსავით არავინ შეგიყვარებს... თავს რად აკლავ, მაინც არ უყვარდი. პოეტებს მარტო საკუთარი ლექსები და საკუთარი თავი უყვართ. სხვები საკუთარ „მეში“ თუ შეუყვარდებათ. მე კი უანგაროდ მიყვარხარ, ჩემსავით ვერავინ შეგიყვარებს...“

კ ა ჭ უ ჭ ი ა: „ვითომ რითი ვარ სხვაზე ნაკლები? ჭკუა მაკლია, სილამაზე თუ ღონე?.. შენი გულისათვის ქვეყანას დავეჭიდები. მოვიდეს ვისაც უნდა, ლავაშივით გავაკრა მიწაზე, ცხვირ-პირს ამოვუნაყავ, გვერდებს მუშტებით დავუზელ... ჩემს ძამიკოსაც, თუ გადამიდგება... მიფრთხილდეს, ვისაც ორი თავი არ აბია...“

მ ზ ი ა: „მეშინია, რატომღაც მეშინია... რატომ გგავს შენ?.. შენ დაგემსგავსა და იმიტომ მეშინია... რატომ ჰგავხარ ტატოს?.. რა უფლება გქონდა?.. აჰ, როგორ მეშინია...“

ჯ უ მ ა: „აქ მარტო გადათხრილი მიწაა, მეტი არაფერი. იქნებ არც იყო იგი ამქვეყნად... დღეს აქედან წავალთ და მეტი არ მოხვიდე... არ მოხვიდე-მეთქი, მკვდარი რად უნდა იდგეს ცოცხლებს შორის? მკვდარმა რად უნდა გაგვიმწაროს სიცოცხლე?.. იცოდე, საფლავსაც წავშლი! დავამტრევ ამ სასაცილო ხის ჯვარს, დავტკეპნი მიწას! მოხვალ და ვერ იპოვი, კვალს ვერ მიაგნებ!.. შენც, მზეჭაბუკ, ძამიკო, შენც... მკვდარი ნუ არჩიეთ ცოცხალს, თორემ მკვდარსაც ავი დღე დაადგება...“

კ ა ჭ უ ჭ ი ა: „პოეტის სიყვარულს გაპატიებ... რა მოხდა მერე?.. ეს პოეტები შტერ გოგოებს ტვინს გამოულაყავენ თავიანთი ლექსებით. განსაკუთრებული ვინმეაო და გოგოც გააფრენს... ვინაა განსაკუთრებული?.. ჩვეულებრივი მკვდარია, მისთვისაც ერთმა ტყვიამ იკმარა...“

მ ზ ი ა: „აგრე ნუ მიყურებ... შენ მე მაშინებ... რატომ ჰგავხარ ტატოს?.. რა უფლებით?..“

ჯ უ მ ა (ისტერიული გააფთრებით): „მაშინ ვიცინებ!.. დავდგები და ვიცინებ! ვნახავ თქვენს სულს, ცეცხლზე შეგდებულს, ტკივილებისაგან დაიკლაკნებით... დავდგები და ვიცინებ!..“

— მე თქვენ მეზიზღებით, — თქვა ხმადაბლა მზეჭაბუკმა.

ჰაერში თითქოს ძალუმად მოქნეულმა მათრახმა გაიტყლაშუნა, სახე აეწვა სამეულს.

— ეგებ მომეჩვენა, — ბოღმით დამარცვლა ჯუმამ, — რაღაც თავს გახვედი ბოლო დროს. ეტყობა, ნებაზე მიგიშვი და თავში აგივარდა!..

— მეზიზღებით! – გაიმეორა მზეჭაბუკმა.

— მზეჭაბუკ! – მუქარასთან ერთად შფოთიც გაისმა ჯუმას ხმაში.

— რა მოგივიდა, ძამიკო? – დაასლოკინა კაჭუჭიამ.

— შენც, კაჭუჭია, მაძღარო კაჭუჭია...

— ვა, რა მოუვიდა ამას? – კაჭუჭია უფროს ძმას ამოეფარა.

— მზეჭაბუკ! – სიბრაზისაგან სული შეუგუბდა ჯუმას.

— შენ კი უფრო მეტად! – მიუბრუნდა ყმაწვილი, – თვითონაც იცი, რატომ!.. სისხლი, წმინდა სისხლი!..

— ხმა! – იკივლა ჯუმა ბედიამ, – არ თქვა, თორემ მოგკლავ!

— ჩვეული ხარ! – ზიზღით მიუგდო მზეჭაბუკმა.

— რა გინდა, რა გინდა, რა გინდა?! – დუჟი გადმოჰყარა გაცოფებულმა ჯუმამ. – მიხვდი ხომ, მიხვდი?! წადი ახლა და დამასმინე, მთელ ქვეყანას მოსდე!.. დაივიწყე ვინცა ვარ!.. მარტო ჩემთვის მოვიმოქმედე, არა?! შენ ვერაფერს გამომრჩი, ხომ?! აბა, სინდისი მოიკითხე!..

გაფითრდა მზეჭაბუკი, შესცქეროდა დუჟმორეულ ძმას, ენის წვერზე უტრიალებდა ის საშინელი სიტყვა, წაიჩურჩულა კიდეც, უხმოდ... „მკვლელი...“

— არ თქვა, არ თქვა! – ჯუმამ ბნედიანივით გადმოკარკლა თვალები და მუშტი თავში წაიშინა.

დამფრთხალი კაჭუჭია განზე გადგა, არ იცოდა რა ექნა. დაზაფრული მზია თვალგაფართოებული უყურებდა ძმათა ომს.

— ამაზე გამცვალე, ამაზე გამცვალე, ხომ?! – კიოდა ჯუმა ბედია და წიხლებს უშენდა საფლავს. თელავდა გვირილებს, მიხაკებსა და ვარდებს, ბუქნაობდა საფლავის ზურგზე, – მკვდარი გირჩევნია, არა?! მკვდარი გირჩევნია!.. მე თქვენ გიჩვენებთ სეირს!..

მზეჭაბუკი გაოგნებული იდგა და თვალს არ უჯერებდა. უსიტყვოდ ეცა გამძვინვარებულ ძმას, რათა ტატოს საფლავი გადაერჩინა. ჯუმამ ღონივრად ჰკრა და მზეჭაბუკი განზე მოისროლა. ჭახანით დაასკდა საფლავის ჯვარს. თხემიდან ტერფამდე ტკივილმა დაუარა და ყრმის გონება ბნელმა მოიცვა...

ნაწილი VI
მამონას ეანძი

თავი I. შაურიანი

შაურიანზე სისხლის პაწია წვეთი ჩანდა, თითქოს ვიღაცას პინცეტით დაეწვეთებინა. კაჭუჭიამ იგი მხოლოდ მეორე დღეს შეამჩნია, როცა ავტობუსში ავიდა და ჯიბეში ხურდა მოიძია.

ახლა კი, შაურიანზე სისხლის წვეთი რომ დაინახა, ბოროტმოქმედივით მიიხედ-მოიხედა, ჩუმად თითი გადაუსვა. ლაქა არ სცილდებოდა. სასწრაფოდ ჩააგდო ავტომატურ სალაროში. ჩამოწია სახელური, წკაპუნით ჩამოჭრა ბილეთი და თავისუფლად ამოისუნთქა. ვითომ პილატე ყოფილიყოს და ხელი დაებანოს. ჩამოსვლისას ჯიბე მოისინჯა. მეტი ხურდა არ ეგულებოდა. გულმა რეჩხი უყო. ვერ მიხვდა, საიდან გაჩნდა მის ჯიბეში სხვა მონეტა – ორშაურიანი. ხელში შეათამაშა, მასაც წითელი წინწკლი აჩნდა. უჩვეულო თრთოლვამ დაუარა კაჭუჭიას. თავი იმ ქურდად იგრძნო, ვინაც სხვის ჯიბეში ჩაძვრა და ამ დროს მაჯაზე სტაცეს. იქვე წყლის გამყიდველი ვაჭრობდა და კაჭუჭიამ სასწრაფოდ გადაუგდო ორშაურიანი. წყალს ნება-ნება სვამდა. გაზის ცივი ბუშტულაკები ცხვირზე წინწკლებს უტოვებდა. ეჩვენებოდა, რომ ეს წინწკლები წითელი ლაქებით ჭორფლავდა. ავმა წინათგრძნობამ შეაწუხა. ჭიქა დადო თუ არა, ჯიბეში კვლავ ჩაიყო ხელი. იქ მონეტა იყო, ოღონდ უფრო დიდი, აბაზიანი და მასაც წითელი ლაქა ეცხო. ერთხანს თავზარდაცემული იდგა. ვერაფრით მიმხვდარიყო, საიდან გაჩნდა მის ჯიბეში წითელლაქებიანი ხურდა. ლილიმ ხომ არ მიეშმაკაო, გაიფიქრა. იქნებ მიხვდა, უფულო რომ ვიყავი, და ჯიბეში ჩამიყარაო. კაჭუჭიამ ეს დამაჯერებლად მიიჩნია და ჯიბეები ამოიბრუნა. იმ აბაზიანის მეტი ვერაფერი იპოვა. ისიც წყლის გამყიდველს მიუგდო, ორი ორმაგი ჩამომისხიო. გამყიდველმა გაკვირვებით ამოხედა, არაფერი თქვა და სავსე ჭიქები მოაწოდა.

კაჭუჭიამ ნახევარ-ნახევარიღა მოსვა, მართლაც ხომ არ გა-

იჭყიპებოდა და იგრძნო, რომ ჯიბე ოდნავ დაუმძიმდა. ორიოდე მონეტას რა ისეთი სიმძიმე უნდა ჰქონოდა, მაგრამ ისეთი გაფაციცებით უგდებდა ყურს საკუთარი ჯიბის გაცოცხლებას, მიხვდა, რაღაც მოხდა. ხელი ჩაიყო... უკვე იცოდა, რომ ორი აბაზი უნდა ამოჰყოლოდა... ორივეს პატარა წინწკლი ემჩნეოდა.

ყურადღებით დააკვირდა, თავი ეჭვით გააქნია და ხურდა ჯიბეში ჩაიბრუნა. უმალ უკანვე ამოიღო, რათა შეემოწმებინა, ხომ არაფერი მოემატაო. ჯერჯერობით ჯიბიდან ისევ ის ორი აბაზი ამოჰყვა. ამან ცოტა დაამშვიდა. რა ჰქონდა გულგასახეთქი. ჯიბეში ფული უჩნდებოდა და მართალია, ზედ სისხლის წვეთებიც აჩნდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ფულს სუნი არ უდის და აზრად ვის მოუვიდოდა, ეკითხა, ეს რა ლაქააო.

გადასაყრელად ვერ გაიმეტა, როგორმე დავხარჯავ და მოვიშორებო, გაიფიქრა. ორ აბაზად რა უნდა ეყიდა, დრო კი ბევრი ჰქონდა. გადაწყვიტა, კინოში შესულიყო. ბილეთი აიღო. ჯერაც სალაროს არ მოშორებოდა, როცა მიხვდა – ჯიბეში ოთხი აბაზი ედო.

შეშინდა კაჭუჭია, თუმცა ამ შიშს სიხარულიც ახლდა. იმ ადამიანივით დაფრთხა, ვინაც ახლახან საკმაო თანხა ჩაიჯიბა და ჯერ არ იცის, მართლმსაჯულების მსახვრალ ხელს გაექცა თუ არა, მაგრამ ცოტა უკლია და სამშვიდობოს გააღწევს.

ამ ორმაგი გრძნობით აფორიაქებული უყურადღებოდ შესცქეროდა ეკრანს, თან ნაყინს მიირთმევდა, რადგან ოთხი ერთად იყიდა, ჭამაც უჭირდა და გადასაგდებადაც ვერ იმეტებდა.

კინოდან გამოსულს ხელი ჯიბეში ჰქონდა, თუმცა გული ერეოდა, თითქოს თითებს სისხლით სავსე გუბეში აფათურებდა. ეშინოდა ნაცნობებთან შეხვედრისა, ეგონა თავს გასცემდა, თუმცა რა ჰქონდა დასამალი. „ხომ არაფერი მომიპარავს? – ფიქრობდა ყოყმანით, – არავისთვის არაფერი წამირთმევია!“

თანდათან მშვიდდებოდა და ეჩვეოდა. უკვე არ აქცევდა ყურადღებას ფულზე დამჩნეულ ლაქებს, თუმცა სულის წიაღში ჯერ კიდევ ბოგინებდა სუსტი კრთომა უჩვეულოს წინაშე.

სასადილოში შევიდა და ზუსტად იმდენი შეუკვეთა, ფასად მანეთი და სამოცი კაპიკი რომ დასჭირვებოდა. წვნიანიც ბოლომდე არ შეეხვრიპა, ჯიბეში კი, — ეს დანამდვილებით იცოდა და არც უცდია შემოწმება, — სამი მანეთი და აბაზი ედო.

სიცოცხლეში პირველად გაუნათდა გონება კაჭუჭია ბედიას. მიხვდა, რომ მიაგნო ულევ განძს და გასამდიდრებლად თითის გაქნევაც არ დასჭირდებოდა, რადგან ყოველი დახარჯული კაპიკი უორკეცდებოდა...

გამხიარულდა. ღიღინ-ღიღინით მისეირნობდა... „რასაცა გასცემ შენია...“ – ცხვირში დუდუნით იმეორებდა აკვიატებულ ფრაზას და გზა-გზა წვრილ ფულს ხარჯავდა, სანამ ჯიბიდან პირველი თუმნიანი არ ამოაცოცა.

აივანზე რაფიკას გადაეყარა. მაკლერმა თვალი აარიდა, კაჭუჭიამ კი ძმაკაცურად დაჰკრა ბეჭებზე მუშტი.

— რაფიკას გაუმარჯოს, ძვირფას მეზობელს და კარგ კაცს!

რაფიკა დაიღრიჯა, ბეჭი ეტკინა, უკმეხად შეპასუხება მაინც ვერ გაბედა.

— ვა, გაგიმარჯოს რა... გამარჯობა ფული კი არ მიღირს.

— ფულზე გამახსენდა, ჩვენ ხომ შენი ფული გვმართებს... აჰა, თუმანი გეყოფა?

— კახაჯან, ჯიგარი ხარ, — დაითაფლა რაფიკა, — ამასწინათ ცოტა უკმეხად გელაპარაკე...

— მაგი ვის არ მოსვლია. მე თუ მკითხავ, არც მახსოვს, – დიდსულოვნება გამოიჩინა კაჭუჭიამ, – მაშინ კი რაღაც სხვანაირი მომეჩვენე.

— ეჰ, დღე იყო სარფიანი, თითებს დაიკოცნიდი... ამ დილით კი ელიზბარა მილიციელმა გამომიჭირა, რისი გაკეთებაც მოვასწარი, ორი იმდენი შემაწერა. ტუზიკას, კიკიმორას და პიჟონას ვითომც არაფერი... ფუი, სამართალსა, მე შენ გეტყვი და ჩემი გამოჭერა ძნელია? მთელი მილიცია მცნობს. ე, მამაჩემს რა ვუთხრა! აი, კიკნა დალალს ვერც დაიმახსოვრებ, ათი წელია ვიცნობ და ბირჟაზე რომ მოდის, ვიღაც სხვა მგონია...

კაჭუჭიამ გულიანად ჩაიხვიხვინა და ხელის აწევით დაემშვიდობა.

იმ ღამეს გვიანობამდე ვერ დაიძინა. გაორკეცებულ შაურიანებზე ფიქრობდა. მერე ელიზბარა მილიციელი ესიზმრა. ვითომ კაჭუჭია ოქროთი და თვალ-მარგალიტით სავსე ზანდუკზე იჯდა.

მილიციელი რეზინის ჯოხს თავში ურტყამდა, ცდილობდა ჩამოეგდო. კაჭუჭია განძს გადაფოფრებოდა, მილიციელს გააფთრებული იგერიებდა.

დილით ხალისით წამოხტა. უპირველეს ყოვლისა, ჯიბე შეიმოწმა. ხელში რაღაც წებოვანი და არასასიამოვნო მოხვდა. ფული იყო. ორიოდ თუმნიანს და სხვა წვრილ ფულს სისხლის მოზრდილი ლაქები ეცხო. წითელი მელნისაგან არაფრით განსხვავდებოდა და შიში განდევნა. ბოლოს და ბოლოს ღვთიურ საჩუქარზე უარს რად იტყოდა (თუნდაც, ეშმაკისაზე!).

პირის დაბანაც არ გახსენებია, ისე გავარდა ქუჩაში. „რასაცა გასცემ, შენია...“ – ღიღინებდა და ათას წვრილმანზე იხარჯებოდა...

თავი II. მეუფება

ტკბილია გრძნობა დაუსჯელობისა, რადგან ტანზე გაცვია ყველაზე შეუღწეველი და ძლიერი ჯავშანი – ფული... ტკბილია ხვედრი მბრძანებლისა... შენ ხარ მეფე, სულთანი, იმპერატორი, შენ ხარ მაჰარაჯა და ყურმოჭრილი მონების ლაშქარი გიკმევს გუნდრუკს, ლოცვას აღავლენენ შენზე, კეთილ დღეგრძელობას გისურვებენ, რადგან ძალგიძს ხელის უდარდელი, დიადი მოძრაობით ხარბ ბრბოში მიმოაბნიო ტკიცინა თუმნიანები... ხვალ შენი იქნება ბრწყინვალე სასახლეები, კარის პოეტები მოგიძღვნიან ოდებს, მშვენიერი ქალები მუხლებს მოიყრიან შენს წინაშე, შეგიძლია სოლომონ ბრძენის საკადრის ჰარამხანას ფლობდე...

გაჯგიმული, ლაღად მოაბიჯებდა კაჭუჭია ბედია ქალაქის მთავარ პროსპექტზე, თითქოს საკუთარ სამფლობელოში ჩამოევლოს. ნაირ-ნაირი ოცნებებით გატაცებულს ბეჭები ისე მოჰქონდა, ალბათ გულში მაინც მღეროდა – მე ვარ და ჩემი ნაბადიო.

ამგვარად გახალისებული ზემელზე ჯებეს წააწყდა. ბეცი თვალები მოაპყრო, ჩანდა, უგუნებოდ იყო. ბიჭებმა თუ მიატოვესო, — გაიფიქრა კაჭუჭიამ, — ალბათ, როგორც ყოველთვის, უფულობის გამო მასხრად აიგდესო.

შეებრალა. რაღაც სინდისის ქენჯნის მაგვარიც კი იგრძნო,

მხარზე ხელი გადაჰხვია, ჩაბუბნა, თითქოს მართლაც გულითადი მეგობრები ყოფილიყვნენ.

— გეტყობა, ძმაკაცებმა გიღალატეს, მარტო გხედავ!

ჯებემ ნაძალადევად გაიღიმა, სახე ფარისევლურად მოეღრიცა.

— წუთის წინ დავშორდით ერთმანეთს, ლუდის დასალევად წავიდნენ.

— შენ რატომ ჩამორჩი?

— არ იცი მათი ამბავი? გატრიპაჩდნენ, შაყირი დამიწყეს!

— კაი ახლა, რა უნდა მოთხოვო მაგ ჭკუათხელებს. წამო, მე გპატიჟებ!

ჯებეს სათვალის მიღმა ცალი თვალი აუციმციმდა.

— დაიწყებენ ქირქილს, თანაც რაფრა ბრტყელ-ბრტყელ შაყირებს უშვებენ. რა, მათზე მეტი ბოთე ვარ? დღეს თუ ფული არა მაქვს, მამაჩემმა არ დამიტოვა და იმიტომ. მუდამ ეგრე ხომ არ იქნება, ერთ დღეს მეც მოვხევ ნაჭერს და სხვაზე ნაკლებ კი არ გავსუქდები...

— ჰო, ახლა, ენად ნუ გაიკრიფე! გასუქდები, თორემ ბაყბაყდევი გახდები!

კაჭუჭიამ თუმნიანები ამოიღო, ხელში ჩაუკუჭა.

— აჰა, შენ გაუმასპინძლდი დღეს ბიჭებს! კაპიკი არ დაიტოვო, იცოდე, სულ მიახარჯე. იმისი დედა ვატირე, ფული ხელის ჭუჭყია. ჰოდა, ნახავ როგორ გაგიჟდებიან!

ჯებემ გაოცებისაგან პირი დააღო. სათვალე ნერვულად მოიხსნა, კვლავ გაიკეთა. კაჭუჭიას შეხედა, ხომ არ დამცინისო. კაჭუჭია უდარდელად იღმიჭებოდა. ჯებემ ფარისევლურად ჩაიხითხითა და ფული ჯიბისაკენ გააქანა. დათვლას მოერიდა, ეტყობა, ცდილობდა თითებით გამოეცნო რამდენიც იყო.

ნაშუადღევი ახლოვდებოდა. სიცხე თანდათან მატულობდა. მანქანების რიგი გმირთა მოედანზე შეთხელდა. ბენზინის მძაფრი სუნი მაინც იდგა. ჩამოიგუგუნებდა მძიმედ დატვირთული ავტობუსი და შხამიანი ამონაბოლქვი კარგა ხანს არ იკარგებოდა ჰაერში. ნიავიც არსაიდან იძროდა და კაჭუჭიას ის სუნი მოაგონდა, მის ძმას რომ დაჰყვებოდა.

ბიჭები სალუდეში დახვდნენ. შვიდი რომანის ავტორსა და პატრიოტს ცხვირი ჩამოგრძელებოდა, რადგან ჯერ არაფერი დაელია, მაგიდაზე კი სულ ხუთიოდე ბოთლი ლუდი ედგათ. ყვინჩილა ყოჩაღად გამოიყურებოდა, წვრილი კისერი ამაყად წამოემართა. დათო და ავთო, ჩვეულებისამებრ, უტყვნი და უფერულნი, — თითქოსდა ქაღალდზე ფანქრით დაეხატა ვინმეს, მერე საშლელით წაეშალა და ლაქაღა დარჩენილიყო ოდნავ შესამჩნევი კონტურებით, — ჩუმად მიშტერებოდნენ ამ ორს და სიბრძნესა და სიბრიყვეზე თანაბარი გულმოდგინებით უქნევდნენ თავს.

— კახას დიდება! – ჩაიბუბუნა რომანმა და პირზე ჩამომხობილი ულვაშები მოიწუწნა. – ხომ ხედავ, რავა გავღარიბდით. ასეა, ძმაო, სტუდენტური ცხოვრება!

— შენ რა გაგაღარიბებს, ჩემო რომან, ე, მაგ რომანებს რომ დაბეჭდავ, იმდენ ფულს დაირტყამ, რომანული ცხოვრება გექნება!

რომანმა ცერად შეხედა, ხომ არ მაბიაბრუებსო. კაჭუჭია სერიოზულად უყურებდა და იმითღა უპასუხა, რომ ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა.

კაჭუჭიამ სკამი დაიდგა, ერთი ბოთლი თავისკენ მოსწია. დათომ და ავთომ საწყალობლად გააყოლეს თვალი, არაფერი უთქვამთ.

— დღეს მე გიმასპინძლდებით! – ჯებემ ხელის ამაყი მოძრაობით მაგიდაზე რამდენიმე თუმნიანი დააგდო, სკამი ფეხით გამოსწია და ზედ გამართულად დაჯდა, – რომან, თუ ძმა ხარ, მოგვემსახურე, ამ ოხერმა სიცხემ სიქა გამაცალა! – თვალი მოწკურა და ნებიერად მიწვა სკამის ზურგზე.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს. ყვინჩილას სახე შურით აევსო, ვერ მოითმინა.

— აი, მესმის!

რომანმაც თვალი დაჭყიტა, ჩაახველა და წამოდგა.

— არაყიც გავაჩინო? – მის ხმაში პატივისცემა გაისმა.

— რაც გინდა, ყველაფერი მოიტა, ფხიზელს არავის გავუშვებ!

კაჭუჭიამ თვალი მოწყვიტა ტროტუარზე ჩავლილ გოგოებს, ცალი ყური ბიჭებისაკენ ჰქონდა და რომანს მიაძახა:

— მაცივრისა გამოართვი, ცოტა გავგრილდეთ!

— სანამ ის მოიტანს, ეს დავლიოთ! — ჯებემ ჩამოისხა, ოდნავ

მოსვა და ასფალტზე გადააპურჭყა, – ფუ, რა თბილია, შარდსა ჰგავს. რა ეშმაკი გასმევდათ ამას. თავზე უნდა გადაასხა მაგ მებუფეტეს, — თქვა და მაგიდაზე შემოდგმული ბოთლები ძირს ჩამოხვეტა.

სალუდე თითქმის ცარიელი იყო. რამდენიმე კლიენტმა ალმაცერად მოიხედა, შარში გარევას მოერიდნენ და ვითომც არაფერი მომხდარაო, მასლაათი განაგრძეს.

— ჰი-ჰი... – მხარი აუბა ყვინჩილამ, ავთომ და დათომაც კბილები გამოაჩინეს.

რომანმა ორი ყუთი ლუდი მოიტანა, დაძაბულობისაგან ძარღვები დაებერა, ჯიბეებიდან არყის ბოთლები მოუჩანდა. ფეხდაფეხ მებუფეტე მოჰყვებოდა, სიმაძღრის განსახიერება, და ხონჩით მისატანებელი რამერუმეები მოჰქონდა.

— ყველაფერია, ჯიგრებო, ყველაფერი! სულუგუნი გინდათ, რძიანი, მწვანილი ხასხასა, ახლადდაკრეფილი, სილიოტკა, თითებს ჩაიკვნეტთ, ლორი, ძეხვი – მასკოვსკი...

— ძეხვით უნდა გაგაძღოთ! — მარცვალ-მარცვალ წარმოთქვა ჯებემ და შიგ იმდენი გესლი გაურია, კაჭუჭიამ ყური ცქვიტა, არ მოეწონა.

— ასე თუ გვიმასპინძლე, არ შეგვერგება, — გააფრთხილა.

ჯებე აირია, ენა მოიკვნიტა.

— ახალთახალი ძეხვია, ჩვენთან კაცი არ მოწამლულა, — შეიცხადა მებუფეტემ, — ოღონდ არაყი არ გამოაჩინოთ, თქვენი ჭირიმე, ჩვენთან არ შეიძლება, გაგვიწყრებიან.

— ას გრამს ხომ არ გადახუხავ?

— თქვენი ჭირიმე, არ შემიძლია. ექიმმა მითხრა, არაყს არ გაეკარო, თორემ მოკვდებიო...

— შე კაი კაცო, აბა უკვდავი აქ არავინაა, ყველანი ჩავძაღლდებით თავის დროზე! — გააქილიკა კაჭუჭიამ.

— იცოცხლეთ, ბიჭებო, იცოცხლეთ! – დაიღრიჯა მებუფეტე და მოცოცხა.

— ფულის სუნი ეცა, ისეთი ყნოსვა აქვს, როგორც ლეშზე სვავს! – მიაყოლა გულღრძოდ ჯებემ.

ასფალტზე ოხშივარი დადგა. მანქანები მომრავლდნენ. მტვერი და ქვიშა იბნეოდა სუფრაზე, საჭმელზე, ჭურჭელზე.

ჩრდილმა გადაიწია და მაგიდას მზე მოადგა. წვრილად დაჭრილი ლავაში ორცხობილასავით გამოშრა. სიფრიფანა, გამჭვირვალე ფირფიტებად დათლილი ძეხვი და ყველი ჭვარტლმა და ხრილმა დაფარა.

ბიჭები ოფლში გაიღვარნენ. არაყი და სიცხე თავში აუვარდათ. მკერდი გაიღეღეს, დამთბარი ლუდით ცდილობდნენ წყურვილისა და მოწყენის განდევნას. კაჭუჭია და ჯებე ანტისადღეგრძელოებს ქარგავდნენ. დანარჩენები გამოლენჩებულებივით ხან აჰყვებოდნენ, აქაოდა ვხვდებითო, ხან კი უმწეოდ ახამხამებდნენ თვალებს. რომანს ყოველწამს ეცვლებოდა გუნება და კაცმა არ იცოდა, როდის რას მოიმოქმედებდა. ზოგჯერ ბოღმით მიმოხედავდა მეზობელ მაგიდებთან შეკრებილ საზოგადოებას. უფრო კი ჯებეს შესციცინებდა.

— მოდი, ამ ჭიქით ჩვენს რომანისტს გაუმარჯოს, — თვალი ჩაუკრა ჯებეს კაჭუჭიამ, — შენ, ჩემო რომან, გენიოსი რომ ხარ, კი ვხვდებით ჩვენც. ნუ თავმდაბლობ, ნუ იქნები ეგზომ მოკრძალებული. თვითონ ხომ ეს ასი პროცენტით იცი და ჩვენ რაზე გვიმალავ, შე კაი კაცო...

რომანი მთლად გალხვა. მზარეულის წინსაფრისოდენა ჭუჭყიანი ცხვირსახოცი დააძრო და შუბლი შეიმშრალა. მერე ულვაშების წიწკნას მოჰყვა, თან თვალები თავმდაბლად დახარა თეფშზე, რომელზეც მწვადის ნარჩენები და პურის ნამუსრევი ეყარა.

— ოდესღაც ღმერთმა სიფათში ჩააფარა ჩვენს რომანს, — არც კი გაუღიმია, ისე თქვა ჯებემ („ეს გაიძვერა და ჭკვიანი ოხერი“, — გაიფიქრა კაჭუჭიამ), — მას შემდეგ ღვთაებრივად დარტყმული დადის...

რომანმა ცალი თვალით ახედა, ნაღდად დამცინისო. ცხვირზე სათვალეწამოსკუპებული ჯებე კათედრაზე გადმომხობილ პროფესორს ჰგავდა და რომანმა ამოიოხრა, მართლაცდა ხელდასხმული ვარ, ოღონდ ეს არავინ იცისო.

ყვინჩილა ამღერდა. ყვერულივით ყელს მაღლა იშვერდა. ხმის სიმებს იწყვეტდა, თუმცა ჩახრინწული ყიყლიყოს გარდა არაფერი ამოსდიოდა.

ყურისწამღებად დაიწივლა მუხრუჭმა, გაიჭახუნა. მინის

ნამსხვრევები მირიად ნაწილაკებად მიმოიფანტა ასფალტზე. საბურთალოდან მომავალი მანქანა დაეჯახა ვარაზისხევიდან ჩამომავალს.

ჰაერი კი, ცხელი და გათანგული, ტორტმანებდა როგორც უზარმაზარი და გამჭვირვალე ჯინი, რომელიც ეს-ესაა ბოთლიდან ამოუშვეს...

* * *

შეღამებულზე სიცხე შეგუბდა. ჩრდილები დაგრძელდა და მთაწმინდის კალთაზე პირველი ლამპიონები აციმციმდა. სქელი და მძიმე ჰაერი ისე ეხვეოდა კაცს, როგორც ჭუჭყიანი და თბილი წყალი გუბურაში ჩაყვინთულს. ნიავი არსაით იძროდა.

ბიჭები არყისა და ლუდისაგან მთლად გამობენტერდნენ. მუცლები გაებერათ, თვალები დაუსისხლიანდათ, უპეები ჩაუშავდათ, ოფლის ღვარში გაწუწულნი, არაქათგამოცლილნი, ბუზებდახვეული საჭმლის ნამუსრევთან ერთად ლოღნიდნენ სათქმელს და ხეირიანად თვითონაც არ იცოდნენ, რას მიედ-მოედებოდნენ.

რომანმა თეფშიდან თავი ასწია. იდაყვებსა და სახეზე ნამცეცები მიწებებოდა. თვალები გადმოვარდნაზე ჰქონდა. ჩამომწკრივებულ ბოთლებში გაჩხირულს ვერ მოეაზრებინა, სად იმყოფებოდა და რას აკეთებდა. ავთო და დათო ფილოსოფიური აუმღვრევლობით იყურებოდნენ სადღაც სივრცეში. ყვინჩილას ხმა ჩახრინწოდა; არ ეშვებოდა ვოკალურ სავარჯიშოებს და ყველას თავი მოაბეზრა. ჯებე უეცრად ასლუკუნდა, მუშტისტოლა ცრემლები ჩამოუგორდა, ამდენი ფული თქვენი ოხერი და მამაძაღლი კუჭების ამოსაყორავად რად დავხარჯეო. კაჭუჭიამ რამდენიმე თუმნიანი კიდევ მიუგდო ზიზღით. ჯებემ უფრო ააღვარღვალა ცრემლები, ის რომ არ დამეხარჯა, ესეც მომემატებოდა და ხომ ბევრი მექნებოდაო.

კაჭუჭიას გულზე ეზიდებოდა. უკვე მეათეჯერ ჩადიოდა ბინძურ საპირფარეშოში. გრძნობდა, შმორიანი ტალახი ფეხსაცმელზე აეგლისა და თან დაჰქონდა. ქეიფიც საბოლოოდ მოყირჭდა. თავი ვერ წარმოედგინა ამაზე მთვრალი და შინ წასასვლელად

გაიწია. სხვებიც აჰყვნენ ბანცალ-ბანცალ.

— აუჰ! – შეჰღმუვლა მერამდენეჯერ გაფიცხებულმა რომანმა და მაგიდას წიხლი ჰკრა. აზრიალდა დამსხვრეული ბოთლები.

— რას შვრებით, ბიჭები, არ დამღუპოთ! – მოვარდა მებუფეტე.

— აჰა და გაჩუმდი! – თუმნიანი მიუგდო კაჭუჭიამ.

ვერც შეამჩნია, მთვრალი ბიჭები როდის შემოეცალნენ...

მანქანაში ჩაჯდა და სიმთვრალე უფრო მოერია. მთელი დღე ნასვამ-ნაჭამი ყელზე ადგებოდა. ეჩვენებოდა, რომ მუცელი რუმბივით გაუსივდა და მანქანაში ვერ ეტევა. ორივე ხელით ეჭირა. ცდილობდა ნაკლებ ეყანყალა, დამძიმებული თავი გამუდმებით უვარდებოდა. ძალაუნებურად შუბლს წინა სავარძლის ზურგს ახლიდა, ანდა გვერდზე გადავარდებოდა და აფოფხებას უნდებოდა.

კიბეზე კინაღამ წაეძინა. გაახსენდა, როგორ მღეროდა ყვინჩილა, თვითონ კი ერიდებოდა, თორემ გულში ბანს აძლევდა. ახლა თავი შეიმაგრა და მძინარე ეზოს ისეთი ხმით შეჰღაღადა, თითქოს ქვაბს ხეხავსო: „შუმილი ვორექ ღვინითია, ჭიჭე ქუმომთვინითია!..“ (მთვრალი ვარ ღვინით და ცოტა მიმითმინეთო!)

ეზომ დუმილით უპასუხა.

კაჭუჭია გათამამდა და კვლავ შემოსძახა. ისე ჭექდა, ფანჯრის მინებს წკარუნი გაჰქონდა. სადღაც ბავშვს გამოეღვიძა, აღნავლდა.

„შუმილი ვორექ ღვინითია, ჭიჭე ქუმომთვინითია!..“ – მღეროდა კაჭუჭია და მოაჯირს იშველიებდა, რადგან მთელი აივანი ხომალდივით ტორტმანებდა.

ზემო სართულზე სინათლე აინთო. ვიღაცამ გადმოიხედა. ფარდას იყო ამოფარებული და კაჭუჭიამ თვალი ვერ შეასწრო. მის მთვრალ ტვინში შავი ჯოჯოები დაძრწოდნენ და იმ სიშავეში ერთადერთი ნათელი ლაქა ფარფატებდა, სულს უბორგავდა, ახსენებდა რაღაც უჩვეულოს, ძველთაძველს, ბავშვობის დროინდელს. მერე თეთრ ლაქას კონკრეტული აზრი მიეცა. ის იყო თეთრფრთებიანი პეპელა, როგორც მან ნახა პირველად, ასი წლით ადრე ტატოს გარდაცვალებამდე.

ეზო კი დუმდა. მეზობლები გასუსულიყვნენ თავიანთ ცხელ ლოგინებში, მოთმინებით ელოდნენ, როდის დაბრუნდებოდა სიწყნარე.

საკუთარ კარს აუარა.

მესამე სართულის კიბეს შეუყვა. ამირანის ბინას მიადგა. სიფხიზლეში დაკაკუნებასაც ვერ გაბედავდა, ახლა კი მუშტები დააბრაგუნა და მთელი ქვეყნის გასაგონად აღრიალდა:

— მზია, მზია!

თითქოს ელოდნენო, კარი უცბად გაიღო.

— მზია, — ხმა ჩაუწყდა კაჭუჭიას.

ზღურბლზე პერანგისამარა ბუბა იდგა. მის უკან ამირანის გააფთრებული სახე მოჩანდა.

— რა დაგემართა, კახაბერ, რამ გადაგრია? – პირქუშად შეეკითხა ბუბა.

— შემიშვი, მზია უნდა ვნახო, — თხოვნის კილო გაურია კაჭუჭიამ და დაასლოკინა.

— წადი ახლა, გამოიძინე, ხომ ხედავ მთვრალი ხარ.

— მზია უნდა ვნახო! – ჯიუტად აიჩემა კაჭუჭიამ.

— ხვალ გვეწვიე, შე კაცო, გამოფხიზლდი ჯერ...

— არად მაგდებთ, ხომ? – გულზე შემოენთო კაჭუჭიას, — ვითომ რატომაო? შესახედაობა მაკლია, ჭკუა, ვაჟკაცობა თუ ფული?.. – თუმნიანების მთელი ბღუჯა ამოიღო, ბუბას ცხვირწინ დაუტრიალა, – ფული ჩეჩქივითა მაქვს, სულ ვიყიდი ამ სახლს! – ხელი უშვა და დაჭმუჭნილი თუმნიანები კიბესა და დერეფანში მიმოიფანტა.

— გაეთრია აქედან! – შეჰკივლა ამირანმა და გამოიწია, მაგრამ ბუბა ედგა წინ და არ გამოატარა.

— კახაბერ, მისამართი აგრევია და შინ წადი, სანამ ლამაზი ხარ! – ბუბას ბრაზისაგან ფერი დაჰკარგოდა.

— არ კმარა? ამდენი არ კმარა?.. — გიჟივით იძახდა კაჭუჭია, ამოჰქონდა ბღუჯა-ბღუჯა თუმნიანები, ისროდა ჰაერში, ფეხით თელავდა, — აი, კიდევ, აი, კიდევ...

მერე მეხსიერების ძაფი გაწყდა. შუბლში რაღაც დაეტაკა და თვალთაგან ნაპერწკლები გადმოსცვივდა. იგრძნო, რომ სადღაც გადაფრინდა, კიბეზე დაგორდა და იქ მდგარი ჯუმას მკლავებში აღმოჩნდა.

თავი III. მარიფათი

უფროსი ძმის ალიყურები დილას არც მოჰგონებია. რაღაცა რომ დააშავა, ეს კი იცოდა. ცდილობდა გაეხსენებინა, კერძოდ, ვის დაუშავა და რა, მაგრამ ტაქსიდან გადმოსვლის შემდეგ მეხსიერებაში ბნელი უფსკრული გასჩენოდა.

გადაწყვიტა დადინჯებულიყო. ასეთი მდიდარი კაცისათვის სასმელის გადაყოლა არ ვარგოდა. ჯობდა, საქმისათვის მიეხედა, თორემ არამი ფული ვის არ გააფუჭებდა.

ლოგინშივე დაიწყო ფიქრი, რაში გამოეყენებინა მოულოდნელი ძალა, რომელიც თვითონ არ იცოდა, საიდან გამოუჩნდა. არ იცოდა, თუმცა ხვდებოდა, რომ წყაროს ძირი წმიდათაწმიდა არ უნდა ყოფილიყო. ამით ძალიან არ შეწუხებულა. ოღონდ, შარვალს რომ იცვამდა, ფულიანი ჯიბეების სისველე არ ესიამოვნა. ჯიბეებს გარედანაც დასჩენოდა მუქი წითელი ლაქები და ეს აფიქრებდა.

ჯუმას წერილი დაეტოვებინა მაგიდაზე. ჭკვიანად იყავი, ნუ მიჰქარავ, მთელი დღეები დაკავებული ვარ და აღვირი ნუ აიხსენიო. მზეჭაბუკი სოფელში გაბრუნებულა და არ ვიცი, წელს გადაიფიქრა ჩაბარება თუ არაო. პატარა ძმის გახსენებაზე კაჭუჭიამ სინდისის ქენჯნა იგრძნო. სასაფლაოზე მომხდარი ჩხუბის შემდეგ მზეჭაბუკი გაქრა. გაღიზიანებული ჯუმა მის სახელს არც ახსენებდა. კაჭუჭიასაც არსად უძებნია, უფრო იმიტომ, დარწმუნებული იყო, სოფელში წავიდოდაო. ასეთი გულუბრყვილო და უცოდველი ბიჭი ადვილად ვერ შეეგუებოდა ქალაქის რიტმს.

ბინიდან გასვლისა ერიდებოდა. არ იცოდა, როგორ შეხვდებოდნენ მეზობლები. დაელოდა, სანამ სამსახურში გაიკრიფებოდნენ, და რაფიკა მაკლერს მიუკაკუნა.

— რაფიკჯან, ხომ ვიცი შენი მარიფათის ამბავი. ერთი გამიძეხ და რამერუმე მაშოვნინე. ფული ჩეჩქივითა მაქვს, მე კი მათხოვარივით დავდივარ!

რაფიკამ ხელები მოიფშვნიტა, კმაყოფილება ვერ დამალა.

— გენაცვალოს ჩემი თავი, კახაჯან!

* * *

ორი სახედრის ურემი ერთმანეთს რომ ვერ ჩაუვლიდა, ისეთი პაწია მოედნის კუთხეში, ნოხებგადმოფენილი აივნის ჩრდილქვეშ სუბიექტი იდგა. უაზროდ იყურებოდა სივრცეში, დინჯად ღეჭავდა კევს. ზედაც არ შეუხედავს ჩამვლელთათვის, მაგრამ მასში ის ონავარი ღლავი იგრძნობოდა, სულელი ლიფსიტის მოლოდინში რომ გარინდულა და მხოლოდ მაშინ ამოქმედდება, როცა ნადავლს იგრძნობს.

იქვე ახლოს, ყრუ კედელთან კიდევ ორი ტიპი ჩაცუცქულიყო და ასფალტზე დახატულ შაშს თამაშობდნენ. ისე იყვნენ გართულნი, თითქოს დარდი არაფერი აწუხებდათ, თუმცა გაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რაღაცას ელოდნენ და უცხო ნაბიჯის ხმაზე ხელი ჰაერში უშეშდებოდათ.

ცოტა მოშორებით რამდენიმე მცირე ჯგუფი შეამჩნია. იდგნენ და წყნარად მასლაათობდნენ. ზოგი კრიალოსანს თვლიდა თავისთვის და თვლემდა. მხოლოდ თვალების უნებლიე, ხარბ გაელვებაში ჩანდა, რომ ყოველ მოსახვევში და კუთხე-კუნჭულში ანკესი იყო ჩაგდებული და იმასღა ელოდნენ, ვის ანკესზე რა თევზი წამოეგებოდა.

ერთგან ნარდი გამოეტანათ პირდაპირ ქუჩაში, გახურებული თამაში მიდიოდა კაპიკიანებზე. მოთამაშენი ალბათ არ ეკუთვნოდნენ ანკესის პატრონთა წრეს და თავს უფრო ლაღად გრძნობდნენ.

— რამე გაქვს? – კაჭუჭია კევის მღეჭავთან შეჩერდა. სუბიექტმა პასუხის ღირსადაც არ ჩათვალა. რაღაცნაირად მოჭყლეტილი ტიპი იყო, გაპარსულიც გაუპარსავსა ჰგავდა.

კაჭუჭიამ მხრები აიჩეჩა და ახლა მეორეს, ტყირპიანს მიმართა:

— ფეხსაცმელი მინდა უცხოური, პალტო, ჯინსები, კურტკები...

— ვაჰ, მეც ბევრი რამ მინდა! – ტყირპიანმა მიამიტურად გაშალა ხელები.

— მაგას ცოლის გაშვება უნდა, მაგრამ ალიმენტისა ეშინია! – ჩაურთო მეორემ.

კაჭუჭიამ რაფიკას მოჰხედა. მაკლერმა თვალი ჩაუკრა, მკლავზე ჩამოეკიდა.

— ეგრე არა, კახაჯან, ქვეყანა ნუ დააშინე. შენ აქ მაიცა, აი მამენტ...

გაძვრა-გამოძვრა, ხან ერთთან მივიდა, რაღაცა უთხრა, ხან მეორესთან. რაღაცა გაჩარხა, რაღაცა ჩააწყო და შაურიანისტოლა მოედანი თავისი ცუნცულით გამოაცოცხლა.

კაჭუჭიამ მოწყენაც ვერ მოასწრო, აივნის ქვეშ აყუდებულმა სუბიექტმა კევი გადააპურჭყა, პერანგის უბე გადასწია და უცხოური „ბოტასები“ გამოაჩინა.

— ჰხმ, მთლად მუქთია, სამოცი მანეთი.

კაჭუჭიამ ზიზღით შეაქცია ზურგი.

რაფიკამ ერთი ჩაკურატებული ტიპი მოიყვანა, გოჭს მოჰგავდა, მუცელზე მავანს რომ მოეფხანა, ალბათ ღრუტუნ-ღრუტუნით გაწვებოდა შუა მოედანზე. წითური წვერი მოსდებოდა პირისახეზე, გაპარსვა არაფერსა შველოდა.

— პატიოსანი კაცი ვარ, — ფრთხილად არჩევდა სიტყვებს წითური, — პასპორტი და შრომის წიგნაკი მაქვს, დარაჯადა ვმუშაობ. ყიდვა-გაყიდვა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ნაცნობი მყავს. ხომ მყავს ნაცნობი? – შეეკითხა რაფიკას.

— გყავს, მაშ! – კვერი დაუკრა მელის კუდმა.

წითურმა ქვეშ-ქვეშ გაიხედ-გამოიხედა და მომიჯნავე ქუჩისკენ წაჩლახუნდა.

რაფიკამ მკლავზე ხელი სტაცა შეყოვნებულ კაჭუჭიას, თან გაიტაცა.

გზა, ცხადია, ვერ დაიმახსოვრა. იმდენი იარეს მარჯვნივ და მარცხნივ, წინ და უკან, შეიძლება სულაც იმ მოედნის ირგვლივ ტრიალებდნენ. ყველა ქუჩა ჰგავდა და არც ჰგავდა ერთმანეთს.

„ნაცნობის სახლი“ თავად წითურისა რომ იყო, ამაში ეჭვიც არ შეჰპარვია. ორი ისეთი ღარიბული ოთახი გაიარეს, შეეჭვდა კიდეც, ამის პატრონმა რა უნდა შემომთავაზოსო. შიგ არაფერი იყო თვალის გასახარელი. დანჯღრეული ხუთმანეთიანი სკამები და მრგვალი მაგიდა, ზამბარაამოცვენილი ძველი ტახტი, პირველი გამოშვების ტელევიზორი „რეკორდი“, ერთი ხელისდადება ეკრანით. ეს იყო და ეს!

მასპინძელმა ერთხელაც შეამოწმა, ვინმე ხომ არ აგვეკიდაო

და საკუჭნაოში შეუძღვა. კაჭუჭიას სუნთქვა შეეკრა, ლოყები ისე დაებერა, ყბებში ბამბის ტამპონები ჩაუწყვესო. ჩინური, იაპონური, ამერიკული, ფრანგული კოსტიუმები და პალტოები, ყველა ჯურის პერანგი, საფირმო ჯინსები, რომელთა ღირსებასაც უკანალზე მიშტამპული კოვბოები, ლომები და ჟირაფები ამტკიცებდნენ, მტკავლის სიფართე ქამრები, ვერცხლით მოჭედილნი, რევოლვერის ბუდით, შიგაც რევოლვერის ფორმის სანთია რომ იდო, მოდიდან გასული ბაწრისა და ულტრამოდური თვალისმომჭრელად ჭრელი ჰალსტუხები, იმ სიფართენი, გაჭირვებაში ლაბადად გამოადგებოდა კაცს, ბუგები და მოკასინები, ბოტასები და პლატფორმები... ვისაც რა მიაჩნდა მოდის ძახილად, იმას შეიძენდა აქ.

— დოლარებიც მაქვს, — წასჩურჩულა მასპინძელმა, — ნაღდი ამერიკულია...

— რაში მჭირდება, ვინ მიშვებს ამერიკაში.

— ისე, ინტერესის გულისათვის.

კაჭუჭიას არც გაუსინჯავს, რამდენიმე ნივთი ისე გადააწყო. საუკეთესო ჯინსი შეარჩია, სინათლეზე გახედა. თმას მოვუშვებ, ჰიპივით ვივლიო, — გადაწყვიტა. ტანზე დაიხედა, არ მოეწონა. შარვალი გაიცრიცა, პიჯაკის ჯიბეები იმნაირად ჩამოეზიდა, თითქოს შიგ ქვები ეტარებინოს, საყელოსაც, ვინმე ზედ მჯდარაო, ისეთი შესახედაობა ჰქონდა.

— ფული ყელამდეა! – წაიტრაბახა, – ამ ძველმანებს მოვიშორებ, ახლები უნდა ჩავიცვა. ბუხარი არა გაქვს? ცეცხლში ჩავყაროთ!

გაიძრო პიჯაკი და პირდაპირ იატაკზე მოიქნია. პერანგი და მაისურიც მას მიაყოლა. მასპინძელმა მოართვა არჩეული, უცხოური, მყვირალა ფერებით მოხაჭუჭებული სამოსი. კაჭუჭია სარკის წინ გაიჯგიმა, მედიდურად გაიარ-გამოიარა, მკერდი ამობურცა, კუნთები შეათამაშა... ერთ შეხედვად ღირდა.

— მაგარი ხარ, მაგარი! – თაფლავდა მწითური, არარსებულ მტვერს აცლიდა ზამშის ახალ პიჯაკს, კვლავაც გოჭს მიუგავდა ცხვირ-პირი.

— აბა, ახლა ამ ჯინსსაც ჩავიცვამ!

კაჭუჭიამ შარვალზე ღილები შეიხსნა და ხელი უშვა. ფულის

დასტებით დატვირთული შარვალი ჩამოუცურდა. დახრა დაეზარა, ფეხი ფეხზე მოუსვა, ისე წაიძრო. ზედ შედგა და ჯინსის ჩაცმა დაიწყო. ისე მოერგო, საგანგებოდ მისთვის შეიკერაო. უფრო მოეწონა თავი, უფრო გაიბღინძა სარკის წინ, წითური კი მთლად დადნა და გუნებაში, რაც დრო გადიოდა, ფასს უმატებდა.

სარკეში რაფიკას სახე დალანდა თვითკმაყოფილებით გავსებულმა კაჭუჭიამ და არ მოეწონა. მაკლერი გაკვირვებული უყურებდა იატაკზე დაყრილ გამონაცვალ ტანსაცმელს. მერე კაჭუჭიას გაცრეცილი პიჯაკი აიღო, შეარხია, ჯიბეები მოუსინჯა და დაადგდო. კაჭუჭიამ მის მზერას გააყოლა თვალი და ფეხქვეშ დაიხედა. ძველი შარვალი მტვერში ამოგანგლულიყო, თანაც ისე დაეჭმუჭნა, თვით პატრონი ძლივსა ცნობდა.

დაცეცხლა კაჭუჭიას. ჯინსის ჯიბეში ჩაიყო ხელი, ვერაფერი იპოვა.

— ფული! – გამოსცრა და შუბლი ოფლით დაეცვარა, – სად არის ჩემი ფული?

დამფრთხალმა კაცებმა ერთმანეთს გადახედეს. მასპინძელს ფერი ეცვალა, ენის ბორძიკი დაიწყო:

— და-ამშვიდ-დი, გეთაყვა, სა-ად წავიდოდა...

— აი იქ ნახე, კახაჯან, იქ! – რაფიკამ ხელი ძველი შარვლისკენ გაიშვირა.

კაჭუჭიამ ჯინსი სწრაფად ჩაიხადა, იატაკზე მოისროლა. ძველი შარვალი დაბერტყა, მტვრის ბუღი დააყენა და ჩაიცვა. ბარკლებზე უმალ იგრძნო ფულის დასტების სიმძიმე.

— ჩაო, სხვა დროს შემოვივლი! – ხელი დაუქნია წითურს, – ჯერ ამ შარვალშიც კარგადა ვარ!

(ავტორის გვიანდელი კომენტარი: იმ დროს წითური სპეკულიანტი და კრიმინალი იყო, დღეს ალბათ პატივცემული ბიზნესმენია და არც კაჭუჭიასნაირებს მოუწევთ საყიდლებზე იატაკქვეშეთში ჩაშვება)

თავი IV. ქვევრი უძირო

რაფიკა მაკლერს თავი რომ დააღწია, წიპუკას წააწყდა. სანაპიროს პარაპეტს გადაჰყუდებოდა და მტკვარში იყურებოდა. სახე, რომლის პროფილი ფილთაქვას მიუგავდა, ნაღველით ავსებოდა.

წიპუკას მთელი ქვეყნიერებისათვის ზურგი შეექცია და გულის გამაწვრილებელ ბაიათებს მოთქვამდა წვრილი ხმით.

კაჭუჭიამ ცოტა ხანს უსმინა, უნდოდა გვერდი აექცია, ხათაბალას გადამყრისო, მაგრამ ვერ მოითმინა და მხარზე ხელი ღონივრად დაჰკრა.

— აგრე რამ დაგაღონა, წიპუკ-ჯან?

წიპუკამ ბაიათი შეწყვიტა, მტკვრისთვის მზერა არ მოუშორებია.

— ეჰ, ნაღველი შემომაწვა, ჯიგარო. ვადა გაუვიდა ალბათ წიპუკას ცხოვრების პასპორტს. ცხონებული პაპაჩემი მიხმობდა ამას წინათ. ხომ იცი, მტკვარში ჩაიხრჩო ამ ასიოდე წლის წინ... მერედა რა ცურვა იცოდა!

— კაი, რა, წიპუკა, ნუ იწყებ ხოლმე ცრემლის ღვარღვალს. რა თავს იკლავ, შე კაცო. ალბათ საქეიფო ფული შემოგელია და მტკვარში გადახტომა ახლა იმიტომ დააპირე.

— ეჰ, კეთილო კაცო, არ იცნობ შენ წიპუკას... – ამოიხვნეშა. მხოლოდ ახლა შეხედა კაჭუჭიას, ეტყობა ვეღარ იცნო, არ დაიმჩნია და გაღმა ნაპირას კლდეზე წამომართულ მეტეხს ისე მიაშტერდა, ხსნასა და გადარჩენას მასში პოულობსო, — ეჰე-ჰე, ჯიგარო, ძველებურად ვეღარ ვცხოვრობ, ახლებურად ვეღარ ავაწყვე, ცხოვრების სხვა საშუალება აღარ ვიცი და...

— წავიდეთ, ერთი, გაგამხიარულო! – კაჭუჭიას ამდილანდელი გადაწყვეტილება თავიდან გაუფშვიტინდა და კვლავ დროსტარება მოუნდა.

წიპუკა კომიკურად შეტრიალდა ქუსლებზე, ჯიბეები ამოიბრუნა, აქაოდა კაპიკიც არ მიჭყავისო.

— წავიდეთ, წავიდეთ, ფული აქამდეა! – ყელზე ხელი მოისვა კაჭუჭიამ.

„არაგვში“ თითო ბოთლი დალიეს. წიპუკას არ მოეწონა, ნამეტანი საპარადო სიტუაციაა. კლიენტებს შორის ყველაზე ცუ-

დად იყვნენ ჩაცმულნი და ოფიციანტი ცოტა აგდებულად ემსახურებოდა. გაჯავრებულმა კაჭუჭიამ ანგარიში სამჯერ გადაათვლევინა, სამი თუმნიდან თუმანნახევრამდე დააყვანინა, შემდეგ კი ექვსი თუმანი დაუყარა და პირდაღებული დატოვა.

მერე ტაქსი აიყვანეს, ყველა ცნობილ რესტორანში თითო ბოთლი დავლიოთო, — დათქვეს.

იქვე სანაპიროზე მიგრიალდნენ. მძღოლს აცდევინეს. ოფიციანტს ეჩხუბნენ, სწრაფად რატომ არ გვემსახურებიო.

ასე ჩამოყვნენ სხვა რესტორნებსაც, „თბილისშიც“ წაიქეიფეს, „ინტურისტშიც“, „ივერიაშიც“, „იმერეთშიც“...

ბოლოს ტაქსი გაუშვეს და ღრიალ-ღრიალით დაუყვნენ სანაპიროს.

ბარათაშვილის ხიდთან წიპუკა შეჩერდა.

— გადავხტეთ, ჯიგარო?

— ვინც არა?! – ძლივს ამოღერღა კაჭუჭიამ. სიმთვრალისაგან ფეხზე ვერ იდგა და წიპუკას მკლავს ჩამოკონწიალებოდა.

— ჯერ ერთიც ვიმღეროთ!

— ვოისარაიდა, სივორაიდა, ვო რაიდა, სივორაიდა!.. – ხმის სიმები ჩაიწყვიტა კაჭუჭიამ.

— აიიაი, აიიაი!.. – თავის ბაიათებს გაიძახოდა წიპუკა და მათი ხმები ღამეულ სანაპიროზე იშვიათ გამვლელს აფრთხობდა.

მოაჯირს გადაეყუდნენ.

ვერცხლისფრად მოციმციმე მტკვარი მოედინებოდა ჩუმი დუდუნით, ხიდის ჩრდილში იკარგებოდა და ის ადგილი ბნელ უფსკრულს ჰგავდა.

— გადავხტეთ? – კვლავ იკითხა წიპუკამ.

— მააშ! – უმალვე დაეთანხმა კაჭუჭია.

წიპუკა დინჯად გადაფოფხდა მოაჯირზე, წამით შეყოვნდა და ხელი უშვა.

— წავედიით! – დაიძახა და გაქრა, წყლის ტყლაშუნი მოისმა მხოლოდ.

— მო-ოვდივარ, — ჩაილუღლუღა კაჭუჭიამ, ძლივს მოახერხა მოაჯირზე გადაფოფხება და ახლა ხელის შეშვება კმაროდა, რათა თავი წყალში ამოეყო.

უცებ მთვრალ ტვინში ერთმა სიტყვამ გაიელვა. ღონე ელეოდა, თავბრუ ეხვეოდა, იქნებ ცივ წყალს გამოეფხიზლებინა კიდეც, მაგრამ ამ სიტყვამ შეაჩერა.

„ფული!“ – გაიფიქრა კაჭუჭიამ და კვლავ ხიდზე ამოფოფხდა. ერთხანს ადგილზე ბანცალებდა, მოაჯირს ეყრდნობოდა. ბოლოს მოახერხა და ჯიბეები შეიმოწმა. წინანდებურად გამოტენილი ჰქონდა.

— ვოისარაიდა... – წაიყროყინა და უმალ ხმა ჩაიწყვიტა. წიპუკა გაახსენდა. დაიხრჩოვო, — ჩაიზლუქუნა. სანაპიროს დაუყვა რიყის ყოფილ უბანში. აქ შენობები ახლახან აიღეს, კაჭუჭია ხან მავთულის გორგალს აწყდებოდა, ხან რკინაბეტონს, ხან ფეხი გამსკდარ ასფალტში უვარდებოდა, ან თხრილში... ერთიორჯერ ბეწვზე გადარჩა, კისერი კინაღამ მოიტეხა. მაინც ჯიუტად დგებოდა და მიტუსტუსებდა, თან უაზროდ მიზლუქუნებდა – „დაიხრჩო, დაიხრჩო, დაიხრჩო...“

ასე მიაღწია მეტეხის ხიდამდე და წიპუკას იქ წააწყდა. წყლიდან ამოსულიყო და ტანსაცმელს იწურავდა.

— ცოცხალი ხარ, ჯიგარო, მეგონა წყალმა წაგიღო! – ხალისიანად შეაგება.

— წიპუკა, შე ძველო! – გაიხარა კაჭუჭიამ, – ძლივს არ გიპოვე? როგორ შემაშინე, შე უსინდისო!.. – გული აუჩვილდა.

— კაი, კაი, ნუ ამიქვითინდი! წიპუკას, ძალითაც რომ გინდოდეს, ჯერ ვერ მოჰკლავ! ნახევარი საუკუნე კიდევ მიწერია ბედის დავთარში... ჰო, მართლა, ახლა სადღა მივდივართ? შემოგველია რესტორნები, შუაღამეა...

— სადგურის რესტორანში!

— არა ღირს რა! წამო ჩემთან, ჩემს ცოლს ექნება რამე გადამალული. თუ არა და იმ ვირისთავ კიკას შევაწეროთ, ორ-სამ ჭიქას როგორ დაგვამადლის?

— შევაწეროთ! უარი თუ გვითხრა, იმ ქვევრიანა ვიყიდი, ოჯახს ავუწიოკებ, მაგ ყურუმსაღს!.. – იმუქრებოდა კაჭუჭია, თან ცდილობდა მრისხანე გამომეტყველება მიეღო, მაგრამ სიმთვრალისაგან ისე იყო მორღვეული, წიპუკა რომ არა, ასფალტზე გაწვებოდა ლამაზად.

მთელი გზა ეძინებოდა, მაინც ცდილობდა ხმა აეყოლებინა წიპუკას ბაიათებისათვის...

ეზოში ისე შევიდნენ, როგორც ბნელ გვირაბში. არც ერთი ნათურა არ ენთო. მოშვებული ონკანი ჩხრიალებდა კუთხეში. კაჭუჭიას თვალის გახელა ეზარებოდა და ეგებ იმიტომ ბნელოდა. ზურგით ალაყაფის კარს მიეყრდნო. გადაწყვიტა, ბნელში ნაბიჯიც არ გადაედგა. „უნდა გამძარცვოს!“ – გაიფიქრა. ტვინში აზრი ძლივს ზოზინებდა და საგნობრივი ფორმა რომ მიეღო, მრავალგზის უნდა გაემეორებინა. „უნდა გამძარცვოს!“ – კვლავ გაიფიქრა და ახლა სხვანაირად შეაბრუნა: „უნდა მომკლას! ამ სიბნელეში ყელს გამომჭრის და ფულს წამართმევს!“ ორივე ხელით ჯიბეებს ჩაეჭიდა, რათა დაეცვა თავისი ულევი სიმდიდრე და წაიბურტყუნა:

— არა ხარ შენ კაი კაცი.

— არა ვარ, მაშ, ვარ? – თითქმის ყვირილით შეეპასუხა წიპუკა, – ახლა ვინაა კაი კაცი? ყველანი ჩათლახებია! მაშა! კიკაა კაი კაცი?! გამოვიდეს, ერთი გვეჩვენოს!.. კიკა, შე ძველო ყაჩაღო, გამოეთრიე გარეთ!

ეზომ დუმილით უპასუხა.

— სძინავს, — ჩაიფშლუკუნა კაჭუჭიამ.

— სძინავს კი არა, დედას ვუტირებ! ბაღლინჯოსავით სისხლსა მწოვს, ფუ, მაგისი, დინამიტს შევუგდებ ფანჯარაში! კიკა, შე გზის ყაჩაღო, მე ვარ დებილი, შენ კი არა, გამოეთრიე გარეთ!

უცებ ზედ ყურის ძირთან კიკას ჩაგუდული ხმა გაისმა:

— ხოშიანი ბიჭი ხარ, წიპუკ, გეტყობა, ფული გიშოვნია, გამხიარულდი... რა დაგიშავა კიკამ, აგრე ლანძღავ?.. მაგრამ კიკა მილიციაში არ ჩივის, რადგან წიპუკა ჯიგარი ბიჭია, სმა და ქეიფი უყვარს...

— შენ მე ლათაიებს ნუ მეუბნები, გამო გარეთ!

— გამოვა, გენაცვალე, მაშ კიკა არ გამოვა?

კაჭუჭიამ თვალი ფართოდ გაახილა, ეგებ რამე ვნახოო. სიბნელეში რაღაც ზვავივით დაიძრა, ქშენითა და ფათხაფუთხით მოიწევდა, როგორც ძველი ორთქლმავალი.

კაჭუჭიამ ადგილი მოინაცვლა, კარზე არ მიმაჭყლიტოსო.

— მოიწი აქეთ და გაგვიღე მარანი!

— რა მარანი, შენი ჭირიმე, შიგ ღვინოს რა უნდა? – ბნელში

ბრაგუნი გაისმა, კიკა მჯიღს იცემდა მთასავით მკერდზე.

— მაგ საკენკი სხვა ქათმებს დაუყარე! ჩქარა, თორემ ხომ იცი, ჯიბეში დინამიტი მაქვს...

— კაი რა, წიპუკა, ნუ ახირდები ხოლმე... რაც არ არი, არ არის! გაიყიდა რა!.. გინდა ყურანზე დაგიფიცო?

— შენ ყურანზე დაიფიცავ და რაზეც გინდა, გიცნობ, ვინცა ბრძანდები. გასაღები!.. გასაღები!.. – ბოლო სიტყვები აღმოსავლურ ყაიდაზე წაუმღერა წიპუკამ.

კაჭუჭიას მოულოდნელად ქვითინი მოესმა. ჯერ წიპუკას ბაიათები ეგონა, მაგრამ ქვითინი აშკარად გაარჩია და იგი იმ მხრიდან ისმოდა, სადაც ზღვის სიღრმეში ჩამალული მეჩეჩივით წამოყუდებულიყო კიკა.

— ტირის! – უსაზღვრო გაოცება დაეუფლა კაჭუჭიას.

— ტირის! – წამოიძახა წიპუკამ, – აფერისტია, მაგისი ცრემლები რა დასაჯერებელია! გული უნდა აგვიჩვილოს!

ფხიზელ კაჭუჭიას ცრემლი რას დააკლებდა, ოღონდ ღვინო ყელზე ჰქონდა მობჯენილი და ერთი წვეთი სითხე რომ წაჰმატებოდა, მეტი არც სჭირდებოდა. თვითონაც გული აუჩვილდა, ესაა ცრემლების ღვარღვალი არ დაუწყია.

— რა ატირებს, ჰკითხე რა, წიპუკ, რა ატირებს?

— ფული უნდა დაგვცინცლოს, გულის ამაჩუყებელ ამბავს მოჰყვება, შვილები შიმშილით მეხოცებაო, პურის ნატეხი აღარა გვაქვსო, ზანდუკები კი გამოტენილი აქვს. წყალწყალა ღვინითა ვაჭრობს და... სმით ხომ მუდამ სხვის ხარჯზე სვამს!

— აჰა, შე კაცო, ფული! დაგვალევინე ცოტა, ხახა გაგვიშრა! ვის რად უნდა შენი ნაჩუქარი ღვინო!

ქვითინი უცებ შეწყდა. გაიჩხაკუნა ჩამრთველმა და პირდაპირ კაჭუჭიას თავზევით ნათურა აინთო.

ტაშტებითა და ვედროებით ჩახერგილ ეზოს ყოველი მხრიდან ბრმა ფანჯრები დაჰყურებდა.

კიკას ზეწრისტოლა ცხვირსახოცი ამოეღო და ცრემლს იწმენდდა.

— შენს მარანს სულ ვიყიდი, თუ გინდა! – დაიტრაბახა კაჭუჭიამ, – შენც გიყიდი ცოლშვილიანა!.. – თავში ეშმაკუნები უხტოდნენ.

ბნელი ფანჯრები, ნათურა, კიკას დასიებული ცხვირ-პირი ისე ქანაობდნენ, როგორც მდინარეში ლანდები, – დადექით ერთ ადგილას, თავი ნუ გამაბეზრეთ, — თქვა უკვე დაღლილმა, — თუ დამალევინებთ, დამალევინეთ, თუ არა და თქვენს მკვდარსა და ცოცხალს...

— განა კიკა უარზეა? თქვენისთანა კაი ბიჭებისათვის!.. განა კიკამ არ იცის, რომ არ დაჩაგრავთ?.. ეგეთი პატარა კაცია კიკა...

— პატარა კი არა, ნეხვის გორა ხარ, გააღე ჩქარა! – შეუფუცხუნა წიპუკამ.

კაჭუჭიამ რამდენიმე თუმნიანი ამოაცოცა, მოკუჭა და გადაუგდო. კიკამ ჰაერშივე დაიჭირა, მშიერი ძაღლი ძვალს რომ დაიჭერს, ისე და მთელი სახე, გავარვარებულ ტაფაზე ზეთი რომ დაესხათ, ისე გაუმხიარულდა.

— ახლავე, ბიჭებო, ახლავე! ისეთი ღვინო დაგალევინოთ, უკეთესს სულთანიც ვერ ინატრებს!

გასაღებმა გაიჩხაკუნა და კაჭუჭიამ მარანში შეაბიჯა.

რაღაც განსაკუთრებულმა გრძნობამ შეიპყრო. ეს იყო ექსტაზი, ფანატიკოს წარმართს რომ დაეუფლება, კერპის წინაშე გართხმულს. კაჭუჭიას უნდოდა დავარდნილიყო და შუბლი მიწაზე ეხალა. ალკოჰოლისაგან თავი ისე დაუმძიმდა, ეშინოდა ვერ წამოვდგებიო და მუხლებზე დაცემა იკმარა.

— დასხედით, ჯიგრებო, ქეიფი ახლა იწყება! კიკა, მწნილი გააჩინე!

— ახლავე, გენაცვალე, ახლავე! – კიკამ ქვევრს მოხადა, მერე კუთხიდან ხონჩა მოათრია, ზედ რამდენიმე დაბერებული კიტრი ეგდო. საკმაოდ ჭუჭყიანი ჭიქებიც მოაყოლა.

— შენი სულისა, ერთი გამასინჯე! – მოზღვავებული გრძნობისაგან წიპუკას ყელში წაუჭირა და წმიდათაწმიდასავით ასწია სავსე ორშიმო, ჭიქაში ჩაისხა, გამოავლო, უნდოდა გადაეღვარა, მაგრამ ვერ გაიმეტა, პირში ჩაისხა და ისევ შეივსო, – უჰ, ღვინო არ იყოს, ეს ცხოვრება გროშად არ ეღირებოდა! ამას მე ვამბობ, წიპუკა! მე კი იმდენი ღვინო დამილევია, ერთი ქარხნის გეგმა იქნებოდა!

კაჭუჭიამ სიტყვა შეაშველა:

— ეგრე, წიპუკ, დალიე და შეგერგება!

წიპუკამ ნება-ნება შესვა, შეავსო, კაჭუჭიას მიაწოდა.

— ხოში მაქვს, „დო კონცა“ უნდა დავლიოთ, — გაიჯგიმა კაჭუჭია, — ამ ქვევრს ფსკერი უნდა ვუნახოთ!.. ეს რა ღვინოა?

— კახურის მასალაა, ძვირია ეს ოხერი! – კიკას ფული ეცოტავა და კაჭუჭიას სქელ ჯიბეებს თვალებით ბურღავდა.

— ნუ აწუწუნდი! – დაუტატანა წიპუკამ.

— ფეხებზე მკიდია, რამდენი დახარჯე! – კაჭუჭიამ ჭიქა გამოსცალა და გადაუგდო, – დალიე, თორემ ტყვიას დაგახლი მაგ ათფუთიან გოგრაში!

— მე რათა, მე რას ვაშავებ?.. კიკას კუჭმაჭი ტკივა, ექიმმა თქვა არ დალიოსო...

— ენანება, საკუთარი ღვინო ენანება! – დაიღრიჯა წიპუკა, – დაჰკრა უნდა ეს ორშიმო თავში და ჩააგდო ქვევრში... ჩემთან რომ სვამ, მაშინ რატომ არ გახსენდება ექიმი?

კიკამ დაიხია, ამ გატრეტილებმა მართლაც ქვევრში არ ჩამაგდონო.

— ენანება? – გაჯავრდა კაჭუჭია, – იმიტომაც მოიტანა ასეთი ჭიქა, ცოტას დამილევენო... ქეიფი მწადია-მეთქი, არ გითხარი? სულ უნდა ამოვწრუპო!.. კათხა!.. მონახე ლუდის კათხა!

წიპუკამ საიდანღაც გამოათრია მტვრითა და აბლაბუდით დაფარული კათხა. არც გაუწმენდია, ღვინო ამოიღო და კიკას მიაჩერდა.

— გადაყლურწე, თორემ ქვევრში ჩაგაყუდე თავით!

— არ შემიძლია, წიპუკჯან, არ შემიძლია, ჯიგრებო! კუჭმაჭი მაქვს გამსკდარი, უსინათლო ნაწლავის წყლული მჭირს და ისა... ტრიპტიხი...

— ტრიპტიხი ხარ შენ, ერთ ტილოზე ვერც დაეტევი, — იოხუნჯა კაჭუჭიამ, — დალიე, დალიე!.. ყოველ დალეულ კათხაში თუმანს ჩამოვდივარ!

კიკას სახე გაუნათდა, დაუმრგვალდა, სიხარულისაგან ცხიმი შემოადნა და წინწკლები დააჩნდა.

— გაგიმარჯოთ, ბიჭებო! თქვენი კიკა მოგიკვდეთ, ისე უყვარხართ, მეტი აღარ შეუძლიან!

— მოგვიკვდეს, მოგვიკვდეს! – კვერი დაუკრა წიპუკამ. კათხაში ჩარჩენილი ღვინო გადაღვარა, ხელახლა აავსო და სადღეგრძელოს სათქმელად მოემზადა...

* * *

დიდხანს არ ეყოთ გამძლეობა. ღვინო თავში აუვარდათ, ენა დაებათ და უკვე იმდენიც არ შეეძლოთ, სავსე კათხა ამოეღოთ და ერთმანეთისათვის მიეწოდებინათ.

კიკა ყვინთავდა. სადღეგრძელოებს არ ამბობდა. ყოველ მოწოდებულ კათხას, სანამ შეეძლო, უსიტყვოდ ცლიდა. როცა დალევის თავი უკვე არ ჰქონდა, ჩუმჩუმა კუთხეში ღვრიდა. თავიდან ცდილობდა დაეთვალა, თუ რამდენი კათხა გამოსცალა, მერე სათვალავი აერია და ანგარიშში თავის სასარგებლოდ ტყუვდებოდა.

არც კაჭუჭიას შეეძლო მეტი. ღვინის სუნისაგან გულზე ეზიდებოდა. თანამეინახეებს ვერც ამჩნევდა, ღვინოს მისთვის სმენა დაეხშო, თვალზე ბინდი ჩამოეფინა. ამ ბინდში ფეიერვერკებად გაიქროლებდნენ ჯამბაზები, გაკრთებოდა წიპუკასა და კიკას უსიცოცხლო ნიღბები. ხანდახან აპირქვავდებოდა ქვევრი, რომელშიც ოქრო დუღდა და კაჭუჭიას პანიკური შიში ეუფლებოდა, ვაითუ ფეხი დამიცდეს და ამ ადუღებულ ოქროში გადავვარდეო. ზოგჯერ მოაგონდებოდა „ჯიბეები“, დაფრთხებოდა, ყველაფერი ერთბაშად ხომ არ გაქრაო, ხელებით მოჭმუჭნიდა შარვალს, დარწმუნდებოდა ფულის დასტების სიმკვრივეში და უდარდელი, ბედნიერი, ჩახლეჩილი ხმით ცდილობდა ემღერა რამე „ჩვენებური“, „ლოთიანი“, „ჟინიანი“...

წიპუკას სხვაზე ნაკლებ ემჩნეოდა სიმთვრალე. გარეგნულად სრულიად მშვიდი ჩანდა, წელგამართული იჯდა. არც თავი უვარდებოდა კაჭუჭიასავით, არც ენა ებმებოდა. სადღეგრძელოებს ჩვეული გატაცებით ამბობდა და ერთხელაც არ შემცდარა. ის კი არა და ერთი-ორი ორიგინალური სადღეგრძელოც მოაქიჩმაჩა. მისი თვალები მაინც ვერ მალავდნენ იმას, რომ ქუთუთოებს მიღმა ალკოჰოლი იწვოდა.

კაჭუჭიას სიმღერის ნაცვლად გაბმული ზმუილი გამოსდიოდა.

კიკა ხანდახან გამოფხიზლდებოდა. გაფაციცებით ითვლიდა, სიმთვრალემ არ დამღუპოს და წაგებული არ დავრჩეო.

წიპუკას სნეული აზრი კი სიცარიელეში ფოთინობდა, ბნელსა და გიჟურ ზრახვებს ბადებდა.

— წიპუკაც დათვრა! – განაცხადა მოულოდნელად.

— შე-უ-ძლე-ბე-ლია! – კაჭუჭია წიპუკას ისე ხედავდა, როგორც საკუთარ თავს სიცილის ოთახში.

— ხუმრობს! – დიაცივით ჩაიკისკისა კიკამ.

— წიპუკა დათვრა და ახლა ბანაობა უნდა! – რაღაც გიჟურ გადაწყვეტილებას აყოლილი დაბორიალობდა ჩაბნელებულ მარანში.

კაჭუჭიამ თავს ძალა დაატანა, რათა გაეგო რა ხდებოდა.

— წავიდეთ, მტკვარში გადავხტეთ! – ვითომ წაუმღერა, – ვიბანაოთ და ამ ქვევრს წირვა გამოვუყვანოთ!

— ჩემი ვალი არ დაგავიწყდეთ, ჯიგრებო! – დაიღრიჯა კიკა.

— რაღა მტკვარში? – ცივად გაიცინა წიპუკამ და მისმა სიცილმა კაჭუჭიას მთვრალ ტვინში რია-რია გამოიწვია.

„უნდა გამცარცვოს“, — გაიფიქრა და ჯიბეებზე ხელი იტაცა.

— არა ხარ შენ კაი კაცი! — ჩაიდუდუნა.

წიპუკას მისი ნათქვამი არ გაუგონია.

— ვინც მამაცია, ამ ქვევრს ძირი უნახოს!

— მააშ, ვინც მამაცია! – დაეთანხმა კაჭუჭია, რადგან საქმე მის ჯიბეებს არ ეხებოდა.

— ჯერ შენ გადახტი! – კიკას დაადო ხელი წიპუკამ.

— ვა, გიჟია! მე რათა?.. რომ ვერ ამოვიდე, ამდენი ღვინო გავაფუჭო?

— ეჰ, შე მართლაცდა კიკა... – დანანებით გააქნია თავი წიპუკამ. – აბა, კახაბერ, ვუჩვენოთ, რა მაგრებიცა ვართ!

— მე? – გაოცდა კაჭუჭია, – გადავხტე?.. კი, კაცო, გადავხტები, მაგრამ ტანსაცმელი?

— გაიხადე!

— იჰ, მერე ფული?

წიპუკამ ბრაზიანად გადააფურთხა, ხელები ისევე ასწია, როგორც მტკვარში გადახტომის დროს, ერთიც შეჰკივლა – „წავედით!“ და ქვევრში გადაეშვა...

თავი V. ზარდახშა

ორი კვირა წვეთიც არ დაულევია. სმის მოყვარულ მეგობრებს გაურბოდა. გვიან გადაუარა კოშმარულმა შიშმა, რაც იმ ღამეს ჭამეს მან, კიკამ და კიკას ჯალაბობამ, როცა ქვევრიდან ძლივს ამოათრიეს ცოცხალ-მკვდარი წიპუკა... უსაქმობას დაეჩვია. ლექციებზე დასწრებით არც წინათ იკლავდა თავს, ახლა კი სულ აიღო ხელი. თუმცა სწავლა რაში სჭირდებოდა ამდენი ფულის პატრონს. მისი მთავარი საზრუნავი ფული გახდა, ის იყო მისი ავადმყოფობის მიზეზი, ფული შეეყარა როგორც სახადი, ტიფი, შავი ჭირი. ფული აღელვებდა, როგორც პირველი სიყვარული, ფულის ტკიცინი ისე ჩაესმოდა, როგორც ტკბილი მუსიკა.

ახლა უკვე თავისი ოთახები ჰქონდა, დაღუპული დედაბრის ბინას დაეპატრონა. შიგ ჩაიკეტებოდა, ამოაწყობდა ჯიბიდან თუმნიანების გაქონილ დასტებს. მიეჩვია და ყურადღებასაც არ აქცევდა სისხლის ლაქებს. თითს დაინერწყვავდა და ისე ითვლიდა. იმდენი ჰქონდა, დათვლას ვერ აუდიოდა და მეორე კვირის თავზე ჯიბეს ჯიბე მიაკერა.

ერთხელ ჯუმამ სთხოვა, ფული მასესხეო. უარი სტკიცა, საიდან ფულიო, თუმცა შარვლის ჯიბეები სიმძიმისაგან ასკდებოდა და უფროსმა ბედიამ მრავლისმეტყველი მზერა ესროლა. კაჭუჭიამ ხელები ააფარა ჯიბეებს, ამით თუ ცდილობდა ხელყოფისაგან დაეცვა თავისი სიმდიდრე, სწრაფად შევარდა ოთახში და ჯუმას კაკუნს მოუყრუა.

ერთ საღამოს ძველი ქალაქის უბნებს მიაშურა. რაფიკა მაკლერიც აიყოლია. საქმიანად იძუნძულეს აღმა-დაღმა. რაფიკას ყნოსვა უფრო უჭრიდა, მუდამ იცოდა სად რა იშოვებოდა. დოლარების მსხვილი დასტა შეიძინა. ცნობისმოყვარეობამ უბიძგა, თორემ რაში უნდა დასჭირვებოდა. მერმე გაუტკბა. მიჰყო ხელი და მალე მისი კარადის (ვასასი კუზიანის კარადის) უჯრაში ჩალაგდა ლირები და იენები, ფრანკები და გირვანქა სტერლინგები, დრახმები და მარკები... თავს კოლექციონერს ეძახდა, ცხადია, ფიქრში, თუმცა, ვინ იცის, მომავალი რას უქადდა. მომავალზე ფიქრმა ოქრო შეაყვარა. ყოველთვის ხომ არ იქნებოდა შოვნის დრო. ბედსაც

შეეძლო ეღალატნა. ოქროს კი ფასი მუდამ ექნებაო და ყიდულობდა ბეჭდებსა და საყურეებს, სამკერდეებსა და მანჟეტებს, საათებსა და სამაჯურებს... არც ნაირ-ნაირი ჭურჭლეულობა დავიწყნია, უმთავრესად ოქრო-ვერცხლისა, არც ძვირფასი და პატიოსანი ქვები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს... ბინაში აქა-იქ ჩუმად მიყუჩდა განძსაცავები. შუაღამეზე, როცა ყველას ეძინა და დაგვიანებული მანქანის თუხთუხიღა მოისმოდა შორიდან, ბნელ ოთახში ზღაპრულ ფერებად ციმციმებდა მძივებად ასხმული ლალი და ფირუზი, მარგალიტი და ბრილიანტი... გამოჩნდა პატარა, მძიმე ზოდები, ოქროს ზოდები, კარადის ორმაგი ფსკერის ქვეშ უჩუმრად რომ ელოდნენ თავიანთ დროს.

ქვეყნიერება დაავიწყდა კაჭუჭია ბედიას, სიმდიდრეში ცურავდა და სხვა არავინ და არაფერი უნდოდა...

გვიან მიხვდა, რომ შეიცვალა. ყველაფერი ძველებურად იყო მის ირგვლივ, მაგრამ თვითონ გარდაისახა, აქამდე ღარიბი გახლდათ, მაგრამ ხელგაშლილი, გულღია, კეთილი... ასე ეგონა ყოველ შემთხვევაში. ახლა კი ფულის ყოველი დასტის შეძენით უფრო და უფრო ხელმოჭერილი ხდებოდა და კაპიკიანს დაჰკანკალებდა. წინათ უთვალავი ძმაკაცი, მეგობარი, თანამეინახე, ან უბრალოდ კაი ნაცნობი ჰყავდა. ახლა ყველა მტრად მიაჩნდა, ყველას ფულის წაგლეჯა სურდა, მძარცველნი და ბოროტმოქმედნი ეხვივნენ გარს... ფანჯრებზე რკინის გისოსები აასხა თავისი ხელით, მუშას ვერ ენდო, კარს ცხრაკლიტული გაუკეთა; არავის შინ არ იღებდა, იშვიათ სტუმარს აივანზე ხვდებოდა, მარტოხელა კაცის ცხოვრება ხომ იცით, არეულ-დარეული მაქვს ბინა და შინ იმიტომ ვერ გეპატიჟებითო.

საშოვარზე თუ არ დადიოდა, საქმე მეტი არა ჰქონდა რა და მთელი დღე ლოგინზე ეგდო, ჭუჭყიან ლოგინზე, რადგან გასარეცხად ვერ იცლიდა, სამრეცხაო კი ეძვირებოდა; იწვა ტანსაცმლიანა, რათა შემთხვევით ჯადო-შარვალი არ გამქრალიყო. სარკის წინ თუ ჩაივლიდა, შიგ ჩახედვა ეზარებოდა, ტანზე ხომ დაჭმუჭნილი ეცვა, თვითონაც დაჭმუჭნილსა ჰგავდა. პირზე ბღუჯა წვერი გაეზარდა და ადრე ბუნჩულა ლოყებს ფერი გადაუვიდა. არ მოსწონდა თავისი გარეგნობა, მაგრამ ყველაზე მდიდარი რომ გავხ-

დები, მაშინ მივხედავ თავსო, ფიქრობდა.

ფიქრით კი თავი მართლაც უსკდებოდა. მთლად ეგეთი გაფუჭებული არა ვარო, საკუთარ სინდისს არწმუნებდა. წამდაუწუმ იხსენებდა, როგორ გულუხვად გაუმასპინძლდა წიპუკას, როგორ დაასაჩუქრა თვალებდავსებული ჯებე, თუმცა მეორე წუთს გული მოსდიოდა, ენანებოდა ის თუმნიანები, უბრალო ახირება იყო, მეტი არაფერიო...

შემდეგ და შემდეგ საშოვარზე მხოლოდ შეღამებულზე დადიოდა. ეშინოდა, ნაცნობებს გადავეყრები, ასე ჩამოჩაჩული ვის ვენახვებიო, უფრო კი იმიტომ, ეგებ ვინმემ ფულის ჩასესხება მთხოვოსო.

ერთ დღეს, მოულოდნელად, სული შეეხუთა ოთხ კედელს შუა და აივანზე გამოვიდა, მზეს დაენახვა...

* * *

სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა. საჭირო არ იყო მეზობლებს ეკალივით თვალებში ამოსვლოდა. აივანზე კაციშვილი ვერ დალანდა და გამხნევდა. ტახტზე ჩამოჯდა, მზეს მიეფიცხა. ოთახის ბნელ სიგრილეში შესცივნოდა და მცხუნვარე სხივები ესიამოვნა.

მზემ რული მოჰგვარა.

გაითიშა, აზრს ჩაეძინა, სიცოცხლეს დასცილდა წამიერ.

— რას გავხარ, ტანსაცმელი ვერ გამოიცვალე? ან პირი ვერ გაიპარსე?! – შეაკრთო უხეშმა მომართვამ.

მოდურად ჩაკოსტუმებული ჯუმა წამოსდგომოდა. მშვენიერი ჰალსტუხი ეკეთა, ბრჭყვიალა ლაკის ფეხსაცმელებს ჭრაჭუნი გაჰქონდა. ნიანგის ტყავის ჩანთას დინჯად აქანავებდა. კისერი ყინჩად ეჭირა.

კაჭუჭიამ შური იგრძნო, თავი დაუქნია.

თვალი მიაყოლა მიმავალ ძმას, თან წონიდა, ჩემზე მეტი ფული ექნება თუ არაო.

ჭიშკართან ახალთახალი „ვოლგა“ იდგა. შოფერმა ქუდი მოუხადა, კარი გამოუღო და ისე ელოდა ჯუმა ბედიას დაბრძანებას.

„ბიჭოს, მთლად არ გამინისტრებულა?“ – გაუკვირდა კაჭუ-

ჭიას. ერთმანეთის გვერდით ვტრიალებთ და ეგეთი ფერისცვალება როგორ ვერ შევამჩნიეო, უფრო ეს აოცებდა.

კვლავ გაყუჩდა, უკვე არ ეძინებოდა. ეზო ბავშვებისაგან დაცარიელებულიყო, აგარაკებზე წაეყვანათ. თუთის ხის ჩრდილში პერანგისამარა მამაკაცები ისხდნენ და დომინოს უხათქუნებდნენ. „უსაქმურები!“ – გაიფიქრა კაჭუჭიამ. ისეთი შოვნის დრო დადგა, კაცურ კაცს ახლა დომინოსათვის როგორ უნდა ეცალოს! „კაცურმა კაცმა“ შეაცბუნა. სულ ცოტა ხნის წინათ სხვანაირი ეჩვენებოდა ეს ცნება, სხვა შინაარსს დებდა შიგ. ბავშვი იყო მაშინ, გულუბრყვილო ბავშვი! მადლობა ღმერთს თვალი აეხილა და ცხოვრების ჭეშმარიტი მიზანი შეიცნო.

ზედა სართულებს ახედა. დოცენტ პაპუა ჩირგაშვილის ფანჯარაში ხანდახან გოგო-ბიჭების სილუეტები გამოკრთებოდა. ახალგაზრდა მეცნიერი დაუღალავად იხვეჭდა ფულს იმ მწირი ცოდნის საფასურად, რასაც აწვდიდა სწავლამოწყურებულ, ნიჭიერებამოკლებულ აბიტურიენტებს.

„იმისი“ ფანჯარა მიგმანული იყო, ფარდები ჩამოეშვათ. იმ დილის შემდეგ არსად ენახა და როდესაც ფულით დაავადებულის ტვინში სიცხე დაიწევდა, მაშინ გაახსენდებოდა, ოღონდ როგორც შორეული და სანატრელი რამ, ჯილდოდ რომ ელოდა ოდესმე. მაშინ ავჩქარდი და კინაღამ საქმე გავაფუჭეო, ფიქრობდა და ეჭვიც არ ეპარებოდა, საბოლოო გამარჯვება მას რომ დარჩებოდა. წარმოიდგინა კიდეც ის სანეტარო დრო, როდესაც რვაოთახიან ბინაში (ძვირფასი ჭაღები ჭერზე, ბროლი და ოქროვერცხლი კარადებში, რა თქმა უნდა), ფაფუკი ნოხებით მოფენილ მუხის პარკეტზე გამოგოგმანდება თეთრი ფერია და სულთანივით შემოსილი კაჭუჭია ფარჩა-დიბებს დაუფენს ფერხთით... აღტაცებული ქალწული კი კისერზე შემოეჭდობა, მკერდზე თავს მიადებს (კაჭუჭიას მკერდზე დაეფინება მისი გაშლილი თმები) და წაიჩურჩულებს: „ოჰ, ჩემო ბატონო კახაბერ!“ ცოცხალი სურათივით დაუდგა თვალწინ კაჭუჭიას ყოველივე და განცხრომას მიეცა...

ზმანებიდან ფეხის ხმამ გამოიყვანა. რაფიკა მაკლერი ამოცუნცულდა კიბეზე. ისე მორბოდა, ვინმე დასაჭერად მოსდევსო.

— კახაჯან, შინ შევიდეთ და იქ მოვრიგდეთ, — ჩასჩურჩულა, სულს ძლივს ითქვამდა.

— რამ შეგაშინა, შე კაცო! – ნაძალადევი სიმშვიდით თქვა კაჭუჭიამ.

— ვა, ისეთი რამაა, ვინმემ წამართვას, რა ვქნა? მე შენ გეტყვი და მილიციაში გაიქცევი საჩივლელად.

— რა არის ისეთი? – მუჭში ჩაამთქნარა კაჭუჭიამ, ვითომ სულ არ მაინტერესებსო.

— ნუ შემევაჭრები, კახაჯან. ისეთი რამეა, თითებს დაიკოცნი, გეგონება თაფლში ამოვლებულიაო.

— თუ ძაან ძვირია... – ჭოჭმანი დაიწყო კაჭუჭიამ.

— არა თქვა მაგი, შენთვის ძვირი კი არა, მისწრებაა. ძლივს დავითანხმე. ახლა არ შემარცხვინო და უარი არ თქვა, სიტყვა სიტყვაა. ხომ იცი, რაფიკა არჩევანში არ შეცდება. ისეთი რამეა, ისეთი, ერთ მუზეუმად ღირს...

— ფასი?

— აქ არა, აქ არა, გენაცვალე, ოთახში...

— არავინ გვიყურებს, თანაც ვინ მიხვდება რამეს.

— შვიდი ათას ხუთასი... – თქვა რაფიკამ და ხმა ჩაუწყდა, იმედიანად მიაშტერდა კაჭუჭიას.

— ძველი კურსით?

— ძველით ახლა ბებიაჩემი თუ ითვლის, შე კაცო.

— მატყუებ? – თავი გააქნია კაჭუჭიამ. – ერთი „ჟიგულის“ ფასია.

— ამ ადგილას გავქრე, მეხი დამეცეს, კახას ტყუილს ვეტყვი? ამოვწყდეთ ორთავე, მე და ჩემი სუსანა...

— კაი ახლა, დედაკაცივით ნუ იწყევლები! – უხეშად გააწყვეტინა კაჭუჭიამ.

რაფიკა მაკლერს ხელები უცახცახებდა, დახეული გაზეთი ძლივს შეხსნა. მის ქვეშ უბრალო ზარდახშა იყო, გაუწაფავი ხელით შეღებილი.

— აი... – რაფიკას უნდოდა რამე კიდევ დაემატებინა, მაგრამ ნერწყვმა კინაღამ დაახრჩო და ზარდახშა გახსნა.

კაჭუჭიას თვალები გადმოუცვივდა. შიგნით ოქროს ჯვარი იდო, ალბათ ძალიან ძველი, ნატიფი ოსტატის შექმნილი, ძვირფასი, გაუხუნარი ქვებით მოოჭვილი... მარგალიტის ყელსაბამი ჰქონდა, მსხვილ-მსხვილი მარგალიტების მთელი ასხმულა... მართლაც არ ექნებოდა ფასი ამ სიმდიდრეს, ათ კაცს უზრუნველყოფდა მთელი სიცოცხლე, თუ ნამდვილ ფასს ამოიღებდნენ. ოღონდ საშიშიც იყო იგი და მავანი ცდილობდა სასწრაფოდ მის გასაღებას.

— როგორია? – ენის ბორძიკით იკითხა რაფიკამ და ზარდახშა ფრთხილად დახურა.

— მძარცველები! – დამარცვლით ჩაისისინა კაჭუჭიამ.

— მმ! – რაფიკას ხველება აუტყდა.

— მუზეუმის ქურდები!

— სუ, სუ, კახას ვენაცვალე, არავინ გაიგონოს, — ფერი ეცვალა რაფიკას, ხელები გაასავსავა.

— ქვეყანას აქცევთ, არა? – აღშფოთებული მარცვლავდა კაჭუჭია, – მარტო თქვენი მუცლის ამოყორვა გინდათ, არა? არაფერს ინდობთ ამ ქვეყანაზე, არც ეროვნული საგანძურია თქვენთვის რამე! უნდა გამოუძახოს კაცმა მილიციას და საკუთარი ხელით მიგატანინოს სადაც ჯერ არს!..

— არ დამღუპო, კახას ჭირიმე, — ცრემლი მოერია რაფიკას, — სუსანას ვფიცავარ, არ მოგვიპარავს. ნაცნობი თავადისაგან იყიდა პატრონმა და ახლა ფული დასჭირდა.

— მუზეუმში უნდა წაგეღოთ! პატრიოტები არა ხართ? არ გიყვართ სამშობლო?

— გვიყვარს, როგორ არ გვიყვარს, კახაჯან... – კვნესოდა რაფიკა მაკლერი და თავბედს იწყევლიდა, ეს რა შარში გავებიო.

— აბა, ერთი შემახედე! – მოლბა კაჭუჭია.

რაფიკამ ზარდახშა ძლივს გახსნა, ხელი უკანკალებდა. მართლაც შესანიშნავი რამ იყო. კაჭუჭიას მთელი ქონება, ერთად აღებული, ამისი ფასი არ იქნებოდა. მარგალიტების სიგრილემ გულში შეუღიტინა, ოქროს ჯვრის სიმძიმემ ისეთი ნეტარება აგრძნობინა, უმშვენიერესი ქალის ალერსზე არ გაიცვლებოდა.

— კარგი, მებრალები და მილიციას იმიტომ არ მოვუხმობ! – დაასკვნა და ყუთი ჩაბღუჯა.

რაფიკამ შვებით ამოისუნთქა და შუბლზე ოფლი შეიწმინდა.

— ოღონდ ექვსი ათასი ყელამდე გეყოფათ.

— კახაჯან, ჩემი ხომ არ არის?

— მაგისი პატრონი, ვიცი, ხუთსაც იკმარებს. შენ კი ერთიც თავზე გადაგივა, აი ასე. გაშალე მაგი გაზეთი!

თუმნიანების ექვსი დასტა ჩაულაგა ძველ გაზეთში და იგრძნო, რომ ჯიბე კიდევ უფრო დაუმძიმდა.

რაფიკამ ნერწყვი გადაყლაპა, შურიანი თვალები შეავლო კაჭუჭიას ჯიბეებს.

„თუ ვინმე მომკლავს, ეს მომკლავს“, — გაჰკენწლა კაჭუჭიას და ზარდახშას თავისი დაჭმუჭნილი პიჯაკი გადააფარა.

— ჰა, მომწყდი ახლა თავიდან! – ნერვულად შეუღრინა.

რაფიკამ შემრიგებლურად ჩაიქირქილა, მიიხედ-მოიხედა, ვინმე ხომ არ გვითვალთვალებსო. საეჭვო ვერაფერი ნახა და გაზეთში გახვეული ფული შინ შეაცუნცულა.

კაჭუჭიამ ზარდახშა ჩაიხუტა. იმას ფიქრობდა, სად შეენახა. ყოველ შემთხვევაში, აივანზე ჯდომა არაფერს არგებდა. წამოდგა კიდეც, მაგრამ ამ დროს დოცენტ პაპუა ჩირგაშვილის ბინის კარი გაიღო და იქიდან იღლიაში წიგნგაჩრილი ახალგაზრდა გამოვიდა. კაჭუჭიამ ზარდახშა ტახტზე დადო და ზედ დაჯდა. ყმაწვილი დინჯად ჩამოვიდა, უსალმოდ ჩაიარა კაჭუჭიას ცხვირწინ და ეზოში დაეშვა. ის იყო, კაჭუჭია ისევ წამოიწია, მეორე ბიჭი გამოვიდა დოცენტის ბინიდან, ახლა სათვალიანი, იმანაც ამ გზით ჩამოიარა. მერე ბაფთებიანმა გოგონამ ჩამოირბინა ფეხსაცმელების ბაკიბუკით, კიდევ ერთმა გოგონამ, ცხვირაპრეხილმა და უკარებამ... თითო-თითოდ გამოდიოდნენ ბინიდან, თითქოს არალეგალური სხდომის შემდეგ იფანტებიანო. სულ ბოლოს როგნედა გამოვიდა და პაპუა ჩირგაშვილი აივანზე გამოჰყვა გოგონას, რაღაცას თვალთმაქცურად ექაქანებოდა. კაჭუჭიას არ მოეწონა, ეს ახვარი ხომ არ „აბამსო“. გოგონა თავდახრილი უსმენდა, მერე უცებ შეტრიალდა და კიბეზე მკვირცხლად ჩამოირბინა.

კაჭუჭიამ ცბიერი ღიმილი შეაგება, წაიხარა, წამოდგომა კი ვერ გაბედა.

როგნედამაც გაუღიმა, ნაბიჯი შეანელა.

— გამარჯობა! – სალამი არ დააყოვნა კაჭუჭიამ.

გოგონას გაეცინა.

— ყუთზე რატომ ზიხარ?

კაჭუჭია აირია, წამოდგა.

— ისე რა, შიგ არაფერია!

გოგონამ კვლავ გაიცინა, თითქოს ტკბილმა სიმმა გაიწკრიალა ვაჟის სულში.

— სად გაქრა მზეჭაბუკი? – თამამად შეეკითხა, – რამდენი ხანია თვალი არ მომიკრავს!.. – ხმაში ბზარი გაჟღერდა, რის მიზეზსაც კაჭუჭია არ ჩასძიებია.

— სოფელში წავიდა, ბებია გვყავს ცუდად.

გოგონამ ჩანთა შეაქანა, ჩამოშლილი თმები მხრებზე დაეფინა. ეტყობა, სიცოცხლეში პირველად წაესვა ქუთუთოებზე ღია ცისფერი და შვენოდა.

— გამოცდებს არ ჩააბარებს?

— მანამდე ეგებ ჩამოვიდეს, თუ არა და გაისად... – კაჭუჭიას ახლა უფრო შესჯავრდა პაპუა ჩირგაშვილი. უყურე მაგ ცუცურაკს, ასეთი მწყრის შებმა განუზრახავსო, – თუ არ ჩააბარებს, ქვეყანა არ დაიქცევა, დარჩება სოფელში, ჩაის მოკრეფს...

როგნედას არ მოეწონა ნათქვამი, კოპები შეკრა, არაფერი უთქვამს, გამოსამშვიდობებლად თავი დაუქნია.

— ალბათ ძალიან გადატვირთული ხართ მეცადინეობით, — კაჭუჭიას ასე უცებ არ უნდოდა მისი გაშვება.

გოგონამ მხრები აიჩეჩა.

— თუმცა რა გასაკვირია, მალე გამოცდები იწყება და ძალღონე არ უნდა დაიშურო, — უფროსის სიდინჯით არიგებდა კაჭუჭია, — ოღონდ თან გადაყოლაც არ იქნება, დაიღლები, თავში გოგლიმოგლივით ყველაფერი აიდღვიბება. მე თუ მკითხავ, დღისით უნდა იმეცადინო, საღამოს კი უნდა დაისვენო. ზოგიერთები ღამეებს თეთრად ათენებენ და ისე გამოშტერდებიან...

— მე თავს არ ვიკლავ, — გაეღიმა როგნედას და კვლავ წასვლა დააპირა.

— საღამოს, თუ მოიცლი, კინოში წავიდეთ! – შესთავაზა კაჭუჭიამ.

— დღეს არ მცალია.

— ხვალ?

— არც ხვალ.

— აბა, ზეგ?

გოგონა შეყოყმანდა.

— ვნახოთ!

კაჭუჭიამ მზერა მიადევნა კიბისკენ მიმავალს, მერე ზემოთ, დაგმანული ფანჯრისაკენ აიხედა. იქ, იმ ოთახში განმარტოებულიყო ერთადერთი არსება, ვისაც ვერავინ შეცვლიდა დედამიწის ზურგზე...

ამოიხვნეშა, ზარდახშა ჩაიხუტა, მაგრამ წასვლა ისევ არ დასცალდა.

პაპუა ჩირგაშვილმა თავი გამოყო კარიდან და კაჭუჭიას დააკვირდა. ალბათ არ მოეწონა მისი გასაუბრება როგნედასთან. კაჭუჭიამ თავი უხერხულად იგრძნო. ზარდახშა ზურგსუკან დამალა. ეგონა დოცენტი გაძღება ჩემი თვალიერებით და კარს მიკეტავსო. ჩირგაშვილი კი აბრეშუმის ჭიასავით გამოძვრა აივანზე. საქმიანი იერით ჩამოვიდა კიბეზე. ცხვირაწეული მოდიოდა და უზარმაზარი ჩანთა მოჰქონდა. ეს ჩანთა მთელ თბილისს დაამახსოვრა, მუდამ წიგნებით გამოტენილს დაათრევდა. ჩანთის ყიდვის დღეს ჩააწყო შიგ და მას შემდეგ არც გაუხსნია.

ისე გაიარა, კინაღამ ფეხი დაადგა კაჭუჭიას, გამარჯობაც კი არ უთქვამს. არც კაჭუჭია შეწუხებულა დიდად, ოღონდ თავის ოდნავი დაქნევა შერჩა და ამან გულზე გახეთქა.

ცოტა კიდევ შეიცადა. მერამდენეჯერ წამოდგა. ზარდახშა იღლიაში ამოიდო და ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ისევ გახევდა.

ზემო სართულიდან ვიღაცა ჩამოდიოდა. ფეხს აუჩქარებლად და რბილად ადგამდა. შარიშურობდა შავი სატინის ქსოვილი და კაჭუჭიამ კიბეზე ჯერ ამოუკვალთავი ძაძა დაინახა, შემდეგ კი მთლიანად „ის“.

პირისახე გადაჰფითრებოდა. დიდი, ცისფერი თვალები ნაღველითა და დარდით ავსებოდა, სისუსტე სინაზეში გადაზრდოდა და ზღაპრულ ფერიას დამსგავსებოდა.

მოაბიჯებდა ნელ-ნელა, მსუბუქად, თითქოს იატაკს არც ეკარებოდა, მოცურავდა... აბლაბუდაში გახვეულივით დაბნეული

ჩანდა, არც უწყოდა საით მიდიოდა და რისთვის.

— მზია! – წინ გადაუდგა კაჭუჭია. გული ყელს მოებჯინა. შეებრალა მგლოვიარე ასული და საკუთარი თავიც. უნდოდა რამე ისეთი ეთქვა, რომ გაერღვია ეს ჯადოსნური ბადე, ყველაფერი გასაგები და ნათელი გაეხადა, სითბოსა და სიყვარულში ყოფილიყვნენ ამიერიდან და ქვეყნიერება კვლავ იქნებოდა წმინდა და ბედნიერი.

— მზია, — უნდოდა ეყვირა, მაგრამ ჩურჩულის მეტს ვერაფერს ბედავდა.

გოგონა ღრმა უფსკრულში იდგა. გაოცება და ტკივილი ეხატა სახეზე. ეს უხეში, ბიწიერი ხმა შეურაცყოფდა სმენას.

კაჭუჭიამ ზარდახშა გამოაჩინა და გახსნა.

— დახედე, აი, დახედე! – ოქრო და მარგალიტი აელვარდა, ათინათი აციმციმდა აივანზე. კაჭუჭიას ხელებში პაწია მზე აინთო წამით.

შეშფოთებულმა ასულმა უკან დაიხია.

— აიღე, მზია! შენგან არაფერი მინდა! ძალიან ლამაზი ნივთია, აიღე! – სხაპასხუპით აყრიდა კაჭუჭია და ხელებში ზარდახშას ჩრიდა. ვერ ბედავდა აეხსნა, ძვირიაო, რათა თვითვე არ დაემცირებინა ეს მოულოდნელი, გულწრფელი და წმინდა აღტკინება.

— ბუბა! – დაიძახა შეშინებულმა მზიამ.

კაჭუჭიამ ზარდახშა დახურა და გოგოს გვერდი აუქცია. ბუბამ ჩამოირბინა. არ მისალმებია კაჭუჭიას, მუქარით შეავლო თვალი და მზიასთან მიიჭრა.

— რა იყო, რამ შეგაშინა, შე გლახა! – ალერსით უთხრა და გვერდით გაჰყვა.

კაჭუჭია დაიბოღმა.

ჩაბღუჯა ზარდახშა და კვლავ ბინაში ჩაიკეტა...

ნაწილი VII

აღზევება

სიზმრისა არა მჯერა, მაგრამ იმ ღამეს ჯუმა ბედია პირდაპირ სიზმარში გამომეცხადა და ამაფორიაქა. ხალხმრავლობაზე გახლდით, ოღონდ ვერა ვხვდებოდი, ცირკი იყო, ბაზრობა თუ ჰიპოდრომი... იდგა ერთი გნიასი და გაწამაწია. ხალხი ერთმანეთს ღილებს აწყვეტდა და მეც კარგად დამიზილეს გვერდები. ყველა ერთად რამ გადარია-მეთქი, მიკვირდა. მოვიხედე, მაჯის სიმსხო თოკი გაუჭიმიათ. ერთი ბოლო სადღაც გუმბათში იკარგება, მეორე, ქვედა ბოლოს კი ბრბო აწყდება, ცდილობენ ზედ გასვლას, ერთმანეთს არ აცლიან. თუ ვინმე მოახერხებს და თოკზე გავა, სხვები ჩააფრინდებიან, უკან ჩამოათრევენ, სილაქებსაც ბლომად მიაყოლებენ. ზოგნი მაინც ახერხებენ აძვრომას, ავი ძაღლებივით იღრინებიან, ტლინკებსა და მუშტებს იშველიებენ, მაგრამ თოკზე სიარული ყველას როდი ძალუძს და ზედ გასულები უკანვე ცვივიან.

ერთი პირობა ვიფიქრე, იქნებ მეც ბედს ვეწიო-მეთქი. ახლოსაც ვერ მივეკარე. იმდენი დასახიჩრებული და გაბოროტებული ადამიანის დანახვამ შემაძრწუნა. განზე გავდექი, სეირის მაყურებელთა შორის... ვხედავ, იქ, სადაც ყველაზე დიდი თავპირისმტვრევაა, ჯუმა ბედია ირჯება; ისე ღონივრად მუშაობს მხრებით, წინ ვერავინ უდგება. სპორტულმა აზარტმა შემიპყრო, გავა თუ ვერ გავა-მეთქი. გუნებაში ჩემს ფალავნად ვაღიარე და ყოველ მის ნაბიჯს ტაშით ვეგებებოდი. ბოლოს მიაღწია კიდეც თოკამდე, მიყარ-მოყარა მეტოქეები, უკან მიწეულს წიხლი უთავაზა, წინ გაჭრილი კალთით დაითრია, ძირს დასცა და... თოკზე გავიდა...

მიდის ჯუმა ბედია გაჭიმულ თოკზე, აღმა მიჰყვება... ბრბოს ღრიანცელი უკვე ვეღარა წვდება მის სმენას. აღშფოთებულთა ცალკეული ხმები იძირება გამამხნევებელ ტაშის გრიალში. პირზე ალებასტრის ფერი ადევს, თავს ნათელი ადგია, მხრებზე მსუბუქი კვამლივით ეზრდება ფრთები ანგელოზისა... „სატანაა!“ – გაიძახიან მისი მტრები... „წმინდანია!“ – პასუხობენ ქლესანი და ფარისეველნი.

და აჰა, თითქოს მიაღწია ბოლომდე... ფრთის ერთი გაქნევა და ჩაიკარგება გუმბათის სილაჟვარდეში, სადაც ოქროს ასოებით აწერია: „უკვდავება“... მაგრამ უცებ, ბედი მუხთალია, წონასწორობა დაკარგა, შეტორტმანდა...

„აჰ!“ – ამოიხრიალა ბრბომ და სულგანაბული მიაცქერდა ბედისწერასთან მოჭიდავეს.

ამოვიგმინე, ცივმა ოფლმა დამასხა და გამომეღვიძა...

თავი I. პირველი საფეხური

პირველ დღეებში არაფერი შეცვლილა. ჯუმა ბედია მზეჭაბუკის დაკარგვამ შეაწუხა და საკუთარ თავზე არ ფიქრობდა. მთელი კვირა ელოდა, მაგრამ მზეჭაბუკი არ გამოჩენილა. სოფლიდან ბოლო დროს წერილი წერილს მოსდევდა, როგორა ხართ, რატომ არაფერს იწერებითო. ჯუმა მოშხამული და გაუღიმარი დადიოდა, თავს მოტყუებულად გრძნობდა. ღამე კოშმარული სიზმრებით დაქანცულს, დღე გულისრევა და შაკიკი აწამებდა. ამხანაგ-მეგობრებს ჩამოსცილდა, თუმცა ჰყავდა კი ამხანაგ-მეგობრები? აქამდე ეგონა, რომ ჰყავდა. როცა გაუჭირდა, მოიხედა და გვერდით მეგობრის იდაყვი ვერ იგრძნო... მოგვიანებით დედისაგან დეპეშა მიიღო, მზეჭაბუკი ჩამოვიდა, მთელი დღე გაბუსულია და ხმას არ იღებს, ყველას მუნჯი ჰგონია, ეგეთი რა დამართეთო. მადლობა ღმერთს, ცოცხალი მაინც ყოფილაო, გაიფიქრა ჯუმამ და ამ აზრმა მცირედი შვება მოჰგვარა.

მეორე ძმამ, კაჭუჭიამ თავი მოაბეზრა. დღენიადაგ გალეწილი დაეთრეოდა. არყის სუნით ააქოთებდა ოთახს, მიეგდებოდა ლოგინზე და მისი ხვრინვისაგან სარკმელში მინას წკრიალი გაჰქონდა. ძილში წამდაუწუმ მზიას სახელს ბურტყუნებდა. ჯუმა ცოფდებოდა, მზად იყო ბალიშით გაეგუდა საშუალი ძმა; ისე იყო შეურაცხყოფილი, თითქოს კაჭუჭიას სარძლოსათვის ეკადრებინოს აუგი. ეშინოდა გულში დავანებული სიძულვილისა და თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ქალაქში, რათა მიყრუებულ, უცნობ

კვარტალებში ხეტიალით ოდნავ დამშვიდებულიყო

სამსახური შესჯავრდა, თუმცა როდის უყვარდა? თანამშრომლები დასანახავადაც ეზარებოდა. რამდენიმე დღე ზედიზედ აცდენდა, ჯანდაბას, თუ გამაგდეს, გამაგდონო. გუნებაში აგინებდა დირექტორს, განყოფილების გამგეს, ჭორიკანა ქალებს. დილიდან საღამომდე კარის ჭუჭრუტანასთან იყო დაჩოქილი, ეგებ მზიამ ჩამოიაროს ზემო სართულიდანო, მაგრამ ბედი ამაშიც არა სწყალობდა.

ყველაფერში გუჯმახანს ადანაშაულებდა. ფიქრშიც ვერ ბედავდა მის ლანძღვას. ცხადში და სიზმარში ელანდებოდა მგელზე ამხედრებული ეშმაკეული...

გუჯმახანს კი ეტყობა ბედიები არ ავიწყდებოდა.

ამას მაშინ მიხვდა, როცა სახლმმართველობიდან მოვიდნენ და ვასასი კუზიანის ბინის გასაღები კაჭუჭიას ჩააბარეს. ოდნავ ამოისუნთქა. მარტოობა ერჩივნა. არავინ შეუშლიდა ხელს. იჯდა თავისთვის, არც კითხულობდა, არც წერდა, არც რადიოს უსმენდა. ტელევიზორი შეიძინა, მარტო ერთ გადაცემას უყურებდა ავადმყოფური ცნობისწადილით, — „კანონიერების სადარაჯოზე“, თორემ სხვა დროს არც ჩართავდა... იჯდა და უსმენდა ქუჩის დაუსრულებელ ხმაურს, იმახსოვრებდა გამვლელთა გადანალაპარაკევს, რისთვის, ეს თვითონაც არ იცოდა. ხანდახან შიშით შეავლებდა თვალს კედელზე ჩამოკიდებულ შავ ფარდას, რომლის უკან გუჯმახანის საუფლო იმალებოდა.

თანდათან ჩამოშორდა კაჭუჭიას. არ აინტერესებდა მისი ამბავი. ავიწყდებოდა კიდეც, რომ ჰყავდა ძმები, მშობლები, ნათესავები, რომ არ იყო ეული ამ ქვეყანაზე, რომ უხილავ ვალდებულებათა ძაფებს გადაება მრავალ ადამიანთან...

ორშაბათ დილას კარზე ფრთხილად მოუკაკუნეს. დირექტორის მძღოლი აღმოჩნდა. აქამდე შელაზღანდარებულნი იყვნენ. მძღოლი კორექტორებს არაფრად დაგიდევდათ, რაც ენის წვერზე მოადგებოდა, იმას ლაქლაქებდა. ახლა კი ჯუმას კართან კრძალვით დაიწმაწნა, უხერხულობისაგან არ იცოდა ხელები სად წაეღო.

— ბატონო ჯუმა, დირექტორმა სამსახურში თუ ინებებთ მობრძანებასო!

ჯუმა გაშრა, ეგონა დამცინისო, კინაღამ ყანყრატოში ეცა, მძღოლის თვალში მორჩილება ჩანდა და ამან შეაჩერა.

— ქვევით დამელოდე, ახლავე ჩავიცვამ! – უხეშად მიუგდო.

განგებ იცვამდა ნელა, მართლა დამელოდება თუ არაო. გრძნობდა, მის ცხოვრებაში ამ წუთიდან იწყებოდა ახალი ერა. შინაგანი პროტესტის სუსტი ხმები ჩაახშო და იწამა თავისი გამორჩეულობა.

ახალ კოსტიუმში გამოიწკიპა, ფეხსაცმელები გაიპრიალა. ჰალსტუხის განასკვა ცუდად ეხერხებოდა და სარკის წინ კაი ათი წუთი იჯახირა...

აივანზე ამაყად გაიარა.

ტროტუარის პირას დირექტორის ახალი, გაკრიალებული, შავი „ვოლგა“ იდგა. მძღოლმა კარი მოწიწებით გაუღო. ჯუმა მხრებგაშლილი გამოიჭიმა წინა სავარძელში და ხელი აიქნია, ნება დართო დაძრულიყვნენ. მძღოლმა მისგან გაიწია, შეუმჩნევლად ცდილობდა ცხვირი ღია სარკმელში გაეყო. „რას მაიმუნობს?“ – მიზეზს მიუხვდა ჯუმა და გულში შხამი ჩაეღვარა.

მას კვლავ დამწვრის სუნი ასდიოდა.

„დედას გიტირებთ ყველას, — იქადნებოდა, — ამ სუნსაც ისე მიგაჩვევთ, ვარდის სუნამო გეგონოთ!“

ამას ფიქრობდა მთელ გზაზე და თვალებში ვერ იხედებოდა. ხალხით სავსე ტროტუარები კალეიდოსკოპივით ჭრელი იყო.

კიბეზე არავინ შეხვედრია.

მისაღებიდან მდივანმა გამოიხედა. კეკლუცად გაუღიმა, თუმცა ცხვირზე აბრეშუმის ქათქათა ცხვირსახოცი აიფარა.

— ბატონო ჯუმა, დირექტორი გელოდებათ!

„ტყავს გამაძრობს, — დაფრთხა ჯუმა, — იმ დღეს რომ გავეხუმრე... ვინ მექაჩებოდა ენაზე?“

ჯერ საკორექტოროში შევიდა. სანამ კარს შეაღებდა, კისკისი და რია-რია ესმოდა. თავი შეყო თუ არა, უმალვე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

არავისკენ მიუხედავს. თავი ჩაღუნა და ისე გაემართა მაგიდისაკენ. ბატონი ნიკიფორე წამოდგა, ჩაახველა. „ახლა გაცდენებზე დამიწყებს ლაილაის“, — გაიფიქრა ჯუმამ.

— ცოტა შეუძლოდ ვიყავი... – უნდოდა დაესწრო.

— მიულოცე, ბიჭო, — ლიამ წასჩურჩულა, — პერსონალური გაინაღდა.

გამგეს სახე უცინოდა.

— მომილოცავს, ბატონო ნიკიფორე! – გულსგარეთ გაუღიმა.

— გმადლობთ, ყმაწვილო, გმადლობთ! – სიხარულის ცრემლი დამჭკნარ ლოყაზე ჩამოეკიდა გამგეს, გული აუჩვილდა.

„როგორ უხარია ცალი ფეხით კუბოს ფსკერის მოსინჯვა!“ – იქედნურად გაიფიქრა ჯუმამ.

მდივანმა შემოიხედა, ნაძალადევი ღიმილი შემოაფრქვია.

— დირექტორი გელოდებათ, ბატონო ჯუმა!

„ჩხუბს მაინც ვერ ავცდები, — სევდიანად დაასკვნა ჯუმამ, — კედელთან ნუ მიმამწყვდევს, თორემ დავფქვავ რაც ვიცი და იხტუნოს მერე... ბევრი რამ ვიცი მე!“

დირექტორი კართან შემოეგება.

— გელოდი, ბატონო ჯუმა, შეუძლოდ ხომ არ ბრძანდებოდი?

ჯუმამ მადლობისმაგვარი რაღაც ჩაიბურტყუნა. დაელოდა, კიდევ რას ეტყოდნენ, რათა მანამდე დაწყნარებულიყო.

— დაბრძანდი, გეთაყვა! – სავარძელზე მიუთითა დირექტორმა. მრისხანების კვალიც არ ეტყობოდა. ჭაბუკმა შიშით დახედა სავარძელს, ხომ არაფერს მიხიმანდრებენო.

დირექტორი თავაზიანად იცდიდა და ჯუმა ბედია მოხერხებულად მოკალათდა.

— ეწევი? – პაპიროსის კოლოფი გამოუწოდა დირექტორმა.

ჯუმას უნდოდა უარი ეთქვა. გაახსენდა, დამწვრის სუნი რომ სდიოდა და იფიქრა, თამბაქოს სუნად გავასაღებო. პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა და ფეხები ნებიერად დააწყო.

— რაზე დამიბარეთ? – აგდებულად იკითხა, გული კი შიშისაგან ეწურებოდა.

— აქამდეც მინდოდა შენი ნახვა, მაგრამ სამსახურში არ დადიოდი და... მესმის, მესმის, შეუძლოდ ბრძანდებოდი... საყვედური არც მიფიქრია, სიტყვამ მოიტანა... იმ დღეს კი...

— უკბილო ხუმრობა გამომივიდა, უჯრაზე რომ ვთქვი, — კომპრომისი არჩია ჯუმამ.

— სინდისს გეფიცები, ვერ მივხვდი, რა უჯრაზე მეუბნებოდი. საკუთარ თავში ეჭვიც კი შემეპარა. ჩვენს შორის დარჩეს და ყველა უჯრა გადავქექე...

— ჩვენს შორის დარჩეს, — დაეთანხმა ჯუმა. დირექტორთან ასეთი ინტიმის შესაძლებლობაც კი ვერ წარმოედგინა.

— მე შენ მომწონხარ, — გაეღიმა დირექტორს, — კარგი ბიჭი ჩანხარ. ხმები მომდის, ნიჭიერებას გიქებენ, შრომის უნარს. შენისთანა ახალგაზრდები უნდა წავახალისოთ. სულ ჩვენ ხომ არ ვიქნებით, ახალგაზრდებიც უნდა მივაჩვიოთ მმართველობის ურთულეს საქმეს. ხვალ ეგებ შენც ჩაგაბარონ დიდი საჭე, ასეა, ჩემო კარგო!

ჯუმას ბედნიერებისაგან თავბრუ დაესხა. დირექტორი სავარძელში გადაწვა, ცხვირსახოცი პირზე აიფარა და ისე ლაპარაკობდა.

— ჩვენი ნიკიფორე პენსიაზე რომ გადის, გაიგებდი ალბათ, — პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— დიახ! – შეეცადა უდარდელად ეპასუხნა.

— რას იტყოდი, გამგედ რომ გაგიშვა?

იწყებოდა, დიახაც იწყებოდა მზის ამოსვლა ჯუმა ბედიას ცხოვრების თვალსაწიერზე. ახლა გადადგამდა პირველ ნაბიჯს... მართალია, არცთუ ისე მაღალ საფეხურზე, მაგრამ დასაწუნიც არაფერი ჰქონდა.

უცბად მაინც არ დათანხმებულა. თვალები მილულა, ღრმად ჩაფიქრებული კაცის სიფათი მოირგო.

დირექტორმა დრო იხელთა, ღია ფანჯარაში გაყო თავი, ცოტათი სული მოითქვა.

— არა! – კატეგორიულად წამოიძახა ჯუმამ.

— რა არა? – ვერ მიხვდა დირექტორი, – ამ საქმეს ვერ მოუვლი?

— მე ჩემი ნიჭიერებისა მჯერა! — თავხედურად შეეპასუხა ჯუმა, — უფრო მეტსაც მოვერევი. სულაც არ ვაპირებ ჩემი ახალგაზრდობის წლები ანაბეჭდების კითხვასა და მტვრიანი გვერდების თვლაში ჩავახრჩო.

— აბა, რა გინდა? – მკვახედ შეეპასუხა დირექტორი, – ჩემი სავარძელი ხომ არ მოგწონს?

„იმასაც მოვესწრები!“ – გაიფიქრა ჯუმამ, თქმით კი სხვანა-

ირად უპასუხა:

— თქვენთვისაც უმჯობესია, — და ამ „თქვენთვისას“ ხაზი გაუსვა, – სხვა რამ შემომთავაზოთ.

— მაგალითად? – მტრულად შეეკითხა დირექტორი.

— ჩამაბარეთ პოეზიის განყოფილება!

— მერედა შენ რა გესმის პოეზიისა?! – იქუხა დირექტორმა და მუშტი მაგიდაზე დაჰკრა, პირისახე ჭარხალივით გაუხდა. „ახლა გული წაუვა“, — მშვიდად გაიფიქრა ჯუმამ.

დირექტორი სავარძელში მიესვენა და ჩურჩულით, უღონოდ უჩვენა კარისაკენ:

— გაეთრიე აქედან, აყროლებულო ვირთხავ!

— ერთ საათში თვითონვე დამიბარებთ! – ბეჯითად თქვა ჯუმამ, კარი გაიჯახუნა და მდივანს დაუგდო: — მიდი, შეფს წვეთები დაალევინე!

დამფრთხალი მდივანი კაბინეტში შევარდა. ჭაბუკმა კი ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და უდარდელი გამომეტყველებით დაუყვა დერეფანს. შიში ჩარჩა, სულით შფოთავდა. უკიდურესად შეურაცხყო დირექტორის ბოლო სიტყვებმა, ფიქრში ათასნაირი სისაძაგლით პასუხობდა. უფრო „აყროლებულმა“ შეაწუხა, ვიდრე „ვირთხამ“. გულში მოხვდა, რადგან მის ამ ნაკლს ვერაფრით დამალავდა და ყველას მტრად თვლიდა, ვინც კი შეამჩნევდა.

სართულის ვესტიბიულში პინგ-პონგს თამაშობდნენ. შესვენებამდე კარგა ხნით ადრე იწყებოდა თამაში და, თუ დირექტორი ახლოს არ ეგულებოდათ, სამსახურის ბოლომდე აგრძელებდნენ. მაგიდის ირგვლივ რამდენიმე რედაქტორი და ბუხჰალტერიის თანამშრომელი შეკრებილიყო. პოეზიის განყოფილების გამგე, ოციოდე თითოფორმიანი წიგნის ავტორი, რომელთაც თვით მთხზველისა და მისი მეგობარი კრიტიკოსების გარდა არავინ კითხულობდა და გარეგნულად უფრო ყასაბსა ჰგავდა, ვიდრე პოეტს, ენერგიულად ეთამაშებოდა კრიტიკის განყოფილების გამგეს, დამხრჩვალ, აწურულ კაცს, ვისაც თავ-კისერი ისე ჰქონდა ჰალსტუხით მჭიდროდ შეკრულ საყელოში ჩასობილი, როგორც კალამი კალმისტარში. ეს კრიტიკოსი საყოველთაოდ ცნობილი პიროვნება გახლდათ, რადგანაც ყველას ძმაკაცი იყო, თავის ორმოც წიგნში აქებდა ორმოც ცოცხალ გენიოსს (თანამდებობიანს, ცხადია!), ორ პატარა წერილში კი მიწასთან ასწორებდა ორ დამწყებ ავტორს, რომელთა სახელები მხოლოდ ამ წერილებიდან შეიტყო მკითხველმა საზოგადოებამ. ამ ორმა შტუდიამ მამაცი და შეუბრალებელი კრიტიკოსის სახელი დაუგდო და ბევრი დააფრთხო. იმასაც ამბობდნენ, ყოველ ცოცხალ ლიტერატორზე თითოფორმიანო მონოგრაფია აქვს წინასწარ დაწერილი და კაცს სულის ამოხდას არ აცლის, ისე მიარბენინებს რედაქციაშიო. კრიტიკის ბურჯს ბეჯითად გულშემატკივრობდა პროზის განყოფილების გამგე, კაცი არანაკლებ ცნობილი, უთვალავი რომანის ავტორი, რომლებშიც ქვეყნიერება გაფურჩქნულ ბოსტანს მიაგავდა. ამიტომაც მის წიგნებს მუდამ ხახვისა და ნივრის სუნი სდიოდა. თვითონ იგი სულაც არ იყო ვეგეტარიანელი და გაუთლელ ფანქარზე პლასტელინის ბურთი რომ მიგეწებათ, მისი სრული გარეგნობა გამოვიდოდა. სხვებიც შორიახლო იდგნენ, თავიანთ რიგს ელოდნენ და გულცივად უყურებდნენ ამ ორთაბრძოლას. პოეზიის განყოფილების გამგე თავგანწირვით ცდილობდა წაეგო კრიტიკის განყოფილების გამგესთან, ოღონდ ეს უკანასკნელი ისე უგერგილოდ თამაშობდა, ვერაფრით ახერხებდა ამას.

ჯუმამ უმალვე შეაფასა ვითარება.

— მათამაშებთ?

— რიგი დაიკავე და ითამაშებ! – უპასუხა ბუჰხალტერიის თანამშრომელმა.

— რიგი არა, ბოლოკი, — ამაყად მოუჭრა ჯუმამ, — მომე, თუ კაცი ხარ, და წამში გიჩვენებ, როგორ უნდა დაჯაბნო მტერი!

მის ხმაში აზარტიც ისმოდა და თავხედობაც. კრიტიკის ლომმა, თუმცა მაინცდამაინც დაღლილი არ იყო, ღრმად ამოიქშინა და ჩოგანი დააგდო.

ჯუმა თამაშობდა ენერგიულად, საზრიანად. ყოველ დარტყმას „აჰა, შენ!.. ეგეც შენო!“ — მიაყოლებდა. მართლაც შავი დღე აყარა მოწინააღმდეგეს. გულშემატკივრები ირგვლივ შემოეხვივნენ და დამარცხებულს შეძახილებით ამხნევებდნენ. პოეზიის განყოფილების გამგეს მელოტი ოფლით დაეწინწკლა. თავს არ იზოგავდა, მაგრამ საკმარისი ხნისაც იყო და ჯუმას სისწრაფე და თავდაჯე-

რებულობა აკლდა. ბოლოს ჩოგანი დააგდო და გულდაწყვეტილმა ქოშინს ამოაყოლა:

— წავაგე!

— იცნობდეთ ბედიებს! – დაიტრაბახა ჯუმამ, – ჩემთან ჭიდილში ხარიც მოიმტვრევს რქებს.

გამგემ შუბლი შეჰყარა, შეურაცხმყო თუ არაო. ამ დროს დერეფნიდან შეშფოთებული მდივანი გამობაკუნდა.

— გიბარებენ!

— შეფი? დამელოდოს, ახლავე მოვალ!

მდივანი შეცბუნებული შეტრიალდა. ეტყობა, არ იცოდა რა პასუხი მიეტანა დირექტორისათვის.

მოთამაშეებმა ერთმანეთს გადახედეს. დირექტორს არ უყვარდა თავხედები და ადვილად ვერაფერს უბედავდნენ. ჯუმას სითამამემ ზღვარი აღმართა მასა და დანარჩენებს შორის. იცოდა, თუ გაუჭირდებოდა, არავინ ეყოლებოდა ქომაგი.

ამაყად თავაწეული გაშორდა მოთამაშეებს.

— პოზიორი! – მიადევნა ვიღაცამ. ჯიქურ შემოტრიალდა. თამაში განახლებულიყო და მას არავინ უყურებდა. ჯუმამ კბილები გააღრჭიალა. საჩხუბრად მომართული შევიდა კაბინეტში, უსიტყვოდ ჩაეშვა სავარძელში და დირექტორს მიაჩერდა.

დირექტორი ფანქარს აწვალებდა, გულმოდგინედ ათვალიერებდა საკუთარ ფრჩხილებს.

— იმ კაცს რა ვუყო? – ყრუდ იკითხა.

— კორექტურა ჩააბარეთ. ნერვები მშვიდი აქვს. ამდენი შინაბერიდან ეგებ ერთმა მაინც შეასაღოს თავი.

უკბილო ხუმრობაზე დირექტორმა ცალყბად გაიღიმა.

— მერე და მოერევი საქმეს?

— ვინც უნდა შევცვალო, პინგ-პონგის თამაშის მეტს არაფერს აკეთებს, პინგ-პონგს კი მასზე უკეთესად ვთამაშობ.

— ძაან კი ხარ ხუმრობის გუნებაზე. მიყურე მე შენ, კისერს რომ წაიტეხ...

— ვიცი, ეს გინდათ და ესაა, — მომხიბლველი ღიმილით პასუხობდა ჯუმა, — მაგრამ ეგეთი თამაში არ გამოგვივა. აქედან თუ წავედი... ჟურნალის რედაქტორად მაინც წავალ. ასე რომ, თუ

გინდათ თავიდან მომიშოროთ, ხელი შემიწყვეთ!

— შენ ნორმალური ხარ?

— სავსებით!

— ღმერთმა ქნას, ღმერთმა ქნას!.. სიმართლე გითხრა, ასეთი წარმოუდგენელი თავხედობა...

— გაჭირვება მიჩვენეო, ბატონო...

— კარგი, კარგი... შენ ისეთი ვიღაცა ჩანხარ, შორს წახვალ!

— მეც ამისი იმედი მაქვს, თქვენი შემწეობით!

— ვნახოთ, ვნახოთ!

ჯუმა მეგობრული ღიმილით გამოემშვიდობა, ხელიც კი გაუწოდა, დირექტორმა ვითომ ვერ შეამჩნია.

კარს რომ იხურავდა, დირექტორის ხმა მიეწია:

— აბანოში მაინც წადი, შე კაი კაცო, ხალხში ხარ!

ჯუმამ კარი სასწრაფოდ მიკეტა. მდივანმა, ეტყობა, გაიგონა დირექტორის ნათქვამი, რადგან გაწითლდა. ერჩივნა, მიწა გახეთქოდა. გულში ბოღმა ჩაიხშო და მდივანს გაუღიმა, აქაოდა მე და შეფი ძმაკაცებივითა ვართ შეხუმრებულებიო.

პინგ-პონგის თამაში მოეთავებინათ და სამი ბრძოლაგადახდილი გამგე დერეფანში მოსეირნობდა.

ჯუმამ პოეზიის განყოფილების გამგეს ხელი მკლავზე წაატანა.

— მომილოცავს!

— რა?

დანარჩენებიც შედგნენ.

— ახალი დანიშვნა... შეფი გიბარებდა!

— რა დანიშვნა, შენ რა, შეხურებული ხომ არა ხარ?

— შებრძანდი და ნახავ!

პოეზიის განყოფილების გამგე დირექტორის კართან აიტუზა. ერთხანს იყოყმანა, კარი ოდნავ შეაღო.

— შეიძლება, ბატონო!

კაბინეტში ლომივით ჩაიბუხუნეს. მხრებაწურული გამგე კარს მიღმა გაქრა. სულ რაღაც ხუთიოდე წუთი უცადეს მისაღებში. მერე კარი გაიღო, ჯერ უკანალი გამოჩნდა, მერე მოხრილი ზურგი.

— კი ბატონო, როგორ არა ბატონო!.. – პასუხობდა უჩინარ მბრძანებელს.

როცა შემოტრიალდა, კაცის ფერი არ ედო. ერთხანს უყურა

ჯუმას, რაღაცის თქმა დააპარა, პირს აცმაცუნებდა მხოლოდ. ბოლოს ძლივს ამოშაქრა:

— ბატონო ჯუმა...

— თვითონ ბატონო, — ალერსით შეეპასუხა ჯუმა, შეეცადა თანაგრძნობა გამოეხატა.

— რა მოხდა, რა იყო? – მიცვივდნენ კოლეგები. კარებიდან სხვა თანამშრომლებმაც გამოყვეს თავები, ყურაცქვეტილნი ელოდნენ ცხელ-ცხელ ამბებს.

— გადამიყვანეს, — ხმა აუკანკალდა პოეზიის განყოფილების ექს-გამგეს, — კორექტურა ჩამოგვირჩაო, შენ კი ყველაზე გამოცდილი და მოწინავე მყავხარო. პატივი დაგვდე და ჩამორჩენილი უბანი ამოქაჩეო, ასეო, ისეო, უარი ვერ ვკადრე...

— ფიე, — დაუსტვინა კრიტიკოსმა, — უნდა იჩივლო!

— რას იჩივლებ, თავს ზევით ძალა არაა, — ხელი ჩაიქნია ექს-გამგემ, — რომ იცოდეთ მაინც, ვინ შემცვალა!

— ა? უკვე დანიშნეს? ვინაა?

ჯუმამაც კისერი წაიგრძელა, ვითომ წარმოდგენაც არაფერზე ჰქონდა.

— აჰა, გაიცანით, ბატონი ჯუმა ბედია! ჩვენ აქამდე არაფერი ვიცოდით და თურმე საუკეთესო სპეციალისტი ყოფილა ვერსიფიკაციის დარგში!

გაკვირვებული მოძრაობა, მზერა, სამარისებური სიჩუმე... ჯუმა იდგა და ელოდა მოლოცვებს, პირფერთა აღტაცებულ ტიტინს, ტაშს. დუმილი კი გაჭიანურდა.

— ბატონებო! – თვითონ დაარღვია იგი.

ვილაცამ ჩაიხითხითა, შეურაცხმყოფლად, აგდებულად. ჯუმას თითქოს გააწნესო, რისხვა შემოენთო, მაგრამ თავი მოითოკა.

ყველა თავის საქმიანობას მიუბრუნდა. დერეფანი დაცარიელდა. ჯუმამ არ იცოდა საით წასულიყო. ძველ მაგიდას არ სურდა დაბრუნებოდა, ახლისაკენ კი ეუხერხულებოდა.

— როგორ ჩააწყო ეგეთი საქმე? – მოესმა კარის ღრიჭოდან.

— ეყოლება ვინმე!.. ეჰ, ეგეთები ხდება? – ამოიხვნეშა სხვა ხმამ.

ჯუმა შებრუნდა და ქუჩაში გავარდა. არავის, არავის უყვარდა იგი, არავინ თანაუგრძნობდა. „მე გიჩვენებთ სეირს, დედას ვუტირებ ყველას!" – გუნებაში ჭირსა და ქოლერას უგზავნიდა მტერმოყვარეს და ვერაფრით დამშვიდებულიყო.

თავი II. მაცაცუნა

ქუჩა სავსე იყო მანქანებით, გაუთავებლად მიიჩქაროდნენ სადღაც, ერთმანეთს ასწრებდნენ და ხანდახან უწყვეტ გუგუნში გაერეოდა მუხრუჭის უსიამოვნო ხრჭიალი. ტროტუარებზე გავლა ჭირდა, იმდენი ხალხი გამოსულიყო ზაფხულის ცხელ ჰაერზე. ჯუმა ბედია წინ და უკან დარბოდა გამომცემლობის წინ და ვერ გადაეწყვიტა, სამსახურში დაბრუნება ჯობდა თუ სადმე გადაკარგვა.

მაცაცუნა, როგორც ყოველთვის, ჭადრის ძირას იდგა, მას ელოდა. რა იცოდა რა დროს გამოვიდოდა, სამუშაოს ბოლომდე ჯერ ხომ შორი იყო? „ალბათ წინასწარ გრძნობს, როცა მაპამპულებენ", — გაიფიქრა. მთელი ის ჯავრი, რითაც გული გასიებოდა, ახლა მაცაცუნას უნდა დასტეხოდა.

— რა გინდა?! – უკმეხად შეეკითხა.

— არაფერი... ისე ვიდექი... – შეცბა მაცაცუნა.

— ვითომ მე არ მელოდებოდი! – ბოროტად გაიღიმა ჯუმამ. ვერაფრით აეხსნა ეს სიძულვილი ქალიშვილისადმი, მაგრამ მზად იყო, რაიმე სისაძაგლე ჩაედინა.

— მე, არა... – ცრემლი მოადგა მაცაცუნას. ისე დააბნია ჭაბუკის სიუხეშემ, ტირილიც ვერ გაბედა.

— წამოდი! – უბრძანა უცებ ჯუმამ.

— საად?

— წამოდი! მესამეჯერ კი არ გაგიმეორებ!

ჯუმა შებრუნდა და ტაქსის გაჩერებისაკენ გაემართა. დარწმუნებული იყო, მაცაცუნა მისდევდა.

მანქანას დროზე მიუსწრეს.

— ჩაჯექი!

გოგომ ფეხი აითრია. ჯუმამ მანქანის კარი გამოაღო, მკლავზე

მტკიცედ სტაცა ხელი და ჩასვა.

ჩუმად ისხდნენ. ჯუმა განზე იყურებოდა. არც არაფერს ფიქრობდა, ვერც ვერაფერს ხედავდა. ფანჯარაში გაელვებული მანქანები, გამვლელები, სახლები, ტროტუარები, ხეები ფერადი გორგალივით იხვეოდა და მეხსიერებაში კვალს არ ტოვებდა. მანქანათა შეწყობილი გუგუნი ჰარმონიულ რიტმს ჰქმნიდა და ჯუმა თანდათან მშვიდდებოდა. უკვე არ იყო გული სავსე ბოღმით, უკვე შეეძლო შეწყნარება, უკვე არ სურდა მაცაცუნას მოსპობა, ოღონდ მის პირქუშ პირისახეს ეს ცვლილება არ დასტყობია. ჩვეულებრივ მოტიკტიკე და მხიარული მაცაცუნა ახლა დაზაფრული იჯდა და კაბის კალთას აწვალებდა. ბოლოს ველარ მოითმინა.

— რა იყო, რა, ჯუმა, ისე შემაშინე, მუხლები მიცახცახებს! – ძლივსა თქვა. ვაჟმა არაფერი უპასუხა. მაცაცუნამ ხმას მოუმატა: — მე რა დაგიშავე? არასდროს ცუდი არც მიფიქრია, ისე ახლობლად გთვლიდი... მერე ტატო რომ დაიღუპა, იმის შემდეგ...

— ამირატრატდი ახლა! – თვალები გაკვესა ჯუმამ და კვლავ ფანჯარას მიუბრუნდა.

მაცაცუნას ენა ჩაუვარდა. ერთხანს ჩუმად იყო. ისევ ალაპარაკდა:

— ძალიან ცუდად მექცევი. ყველას კი ვერ მოვუთმენ ამდენს. შენი საკუთრება კი არა ვარ, დედაცა მყავს და მამაც...

— მდიდრებია? – ჯუმას კილოში დაცინვა იგრძნობოდა, რამაც გოგო უფრო დააბნია.

— კი.

— ეგებ სასიძოს მანქანა უყიდონ, ა, რას იტყვი?

— შეიძლება...

— ეჰ, შე მართლა მაცაცუნა!

ეს უკვე მეტისმეტი იყო.

— ახლავე გააჩერეთ! შენ აუტანელი ხარ! არაფერი მინდა შენგან!.. – თვალცრემლიანი დაეჯაჯგურა კარის სახელურს, ხელები უცახცახებდა და ამიტომ გაღებას ვერ ახერხებდა.

— გავაჩერო? – გულგრილად იკითხა მძღოლმა, ახალგაზრდების კინკლაობას ყურს არც უგდებდა.

— მიდი, კაცო, მე გეტყვი სადაც გააჩერო!

— არა, მე ახლავე ჩავდივარ! – გაჭირვეულდა მაცაცუნა.

— იჯექი წყნარად! — ჯუმამ პირი ფანჯრისკენ მიაბრუნა, მაცაცუნა კი სავარძლის კუთხეში მოიკუნტა. თანდათან დამშვიდდა, წყენამ გადაუარა. ცდილობდა სარკეში ჩაეხედა, წამწამებზე საღებავი ხომ არ ჩამომერეცხაო.

კიბეზე და აივანზე არავინ შეხვედრიათ. მხოლოდ სუსანამ გამოყო თავი წამით, შეთქმულივით ჩაუკრა თვალი და მიიმალა. ჭაბუკს არ ესიამოვნა, კაჭუჭიას კარს ფეხაჩქარებით ჩაუარა და ქალიშვილს ოთახში შეუძღვა.

— აქ ცხოვრობ? – გაკვირვებით იკითხა მაცაცუნამ.

— აბა, სრა-სასახლეები ჯერ არ ამიშენებია, – მოუჭრა ჯუმამ.

— არა მაგრამ...

— შენი ბინა როგორია?

— რა ვიცი, გვექნება ალბათ ხუთი-ექვსი ოთახი...

— ჰმ, ხუთი-ექვსი... – აბორგდა ისევ ჯუმას სული, ისევ ვიღაცა იყო დამნაშავე, ისევ ებადებოდა სურვილი შურისძიებისა, მაგრამ მთელ ქვეყნიერებას ვერ მოერეოდა და ეს გონებით უმწეო გოგოლა შერჩენოდა ბოროტი ვნების დასაოკებლად. ტრაგედიის გმირის დიდებული გამომეტყველებით გაჩერდა სარკმელთან და მოულოდნელად ბრძანების კილოთი წარმოთქვა:

— გაიხადე!

მაცაცუნამ უცებ ვერ გაიგო, თვალები ააპარპალა. პირისპირ აღმოჩნდა ჯუმასთან და თუმცა აზრი ჯერაც ვერ დავიდა მის გონებამდე, მაგრამ უცნაური ვნებიანი ტალღა უვლიდა, გრძნობდა, არ ძალუძდა წინააღმდეგობა.

— რა?

— გაიხადე! – პირქუშად გაუმეორა ჯუმამ და მაცაცუნა მიხვდა, რომ იღუპებოდა.

— ვინა გგონივარ... – ხმაში სულაც არ გაჟღერებულა პროტესტის კილო. მეტი არც უთქვამს რამე. ჯუმას თვალებიდან იღვრებოდა უშრეტი, დაუოკებელი, ჯოჯოხეთური ვნება და მაცაცუნას ტერფით თხემამდე ცხელმა ალმა დაუარა.

ხელები უცახცახებდა, ღილებს ვერ პოულობდა. კიდევ ცოტა და მუხლი მოეჭრებოდა. ნელ-ნელა იხდიდა უჩვეულო ძალით დათრგუნული; ელოდა იმ წამს, თუ როდის მოეჭრებოდა ჭაბუკი,

შემოაძარცვავდა ყოველივეს და ერთად ჩაეშვებოდნენ თავბრუდამხვევ მორევში...

ჯუმა კი შორს იდგა, გულზე ხელები დაეკრიფა, ადგილიდან არ იძროდა. თვალებში უცნაური, შემზარავი სხივი უკიაფებდა, ყურში განუწყვეტლივ გუგუნებდა დისჰარმონული მუსიკა, სხეული ეწვოდა მცხუნვარებისაგან, გული იხრჩობოდა მოძალებულ სისხლში, ისევ და ისევ უბრუნდებოდა უჩვეულო ტალღა, თავით ფეხებამდე დაუვლიდა, გონებას უბნევდა... იმატა დამწვრის სუნმა, თითქოს ნახანძრალზე ეგდო, ფერფლში ჩაფლულ ნაკვერჩხლებზე იწვოდა უხმოდ...

გოგონა კი შიშვლდებოდა და მისი თეთრი, ნორჩი სხეული სიგიჟისაკენ ერეკებოდა ჯუმას... ჭაბუკს დაავიწყდა ქედმაღლობა, სიამაყე, თავი, მზად იყო მუხლებზე დაცემულიყო, ებობღა მის წინაშე, დორბლით წაებილწა იატაკი, მოეშთო იგი, მისი მტერი, რათა გამქრალიყო ის ღვთაებრივი ძალა, რომელიც გრძნობათა უკეთილშობილესი მწვერვალიდან ასე ადვილად ჩააგდებს ადამიანს საკუთარ სიბილწეში...

ჯუმა გიჟი იყო და დედიშობილა ქალიშვილი თრთოლვით მოელოდა მის ველურ თავდასხმას...

ელვასავით გაჰკრა ჯუმას... გაახსენდა სანაპირო, დღე, როცა მარცხი მარცხზე დაემატა, როცა ყველამ ხელი ჰკრა და ბოროტებას გაუხსნა გზა მის სულში; გაახსენდა მაცაცუნას ბოლო სიტყვები, მისი შეურაცხმყოფელი სიცილი და შურისძიების სიტკბოებით შეპყრობილმა გულგრილად, უფრო ზიზღით მიუგდო:

— წადი!

მაცაცუნამ ვერ გაიგო. მის თვალებში იგრძნობოდა მოწოდება, ხვეწნა, მუდარა. მისი ყოველი ნაკვთი, ყოველი იოგი ელოდა მორჩილად, ფატალურად, როცა ყველაფერი უკვე განსაზღვრულია, რადგან საკუთარ თავთან დამარცხებულზე გამარჯვებას ზეიმობდა მტერი – ვნება... მაგრამ ჰაერში ჩამოკიდებული სიტყვის მნიშვნელობა თანდათან მივიდა მის შეგნებამდე და ჯუმამ ბოროტი სიხარულით შენიშნა, სირცხვილისაგან როგორ წითლდებოდა გოგონა, წითლდებოდა მთლიანად, რბილი, ვარდისფერი ტალღა ედებოდა სახეზე, მკერდზე, მუცელზე...

იწვოდა ჯუმაც, ოღონდაც შურისძიების სურვილი უფრო ძლიერი იყო და სისინით გამოსცრა:

— ჯუმა ბედიას შეურაცხმყოფელი სამაგიეროს მიიზღავს, დაიმახსოვრე! ახლა კი აჩქარდი, მე არ მცალია!

მაცაცუნა უცებ მოიკაკვა, ტანსაცმელი მოხვეტა და საწოლის ზურგსუკან მიმალულს ისტერიული ტირილი აუვარდა.

ჯუმამ ზურგი შეაქცია, სარკმელში უყურებდა გამვლელთა ქუდებს, რათა დამშვიდებულიყო, მაგრამ ვნება ისევ და ისევ ცოცხლდებოდა, მოძალებული სისხლი ვერ პოულობდა გამოსავალს...

კარის ჯახუნი რომ გაიგონა, მაშინღა შემობრუნდა. ოთახში მარტო დარჩენილიყო. იზმუვლა ჯუმამ, ღონემიხდილი დაეცა ლოგინზე და ბალიშს კბილებით ჩააფრინდა...

* * *

მთელი ღამე ბორგვასა და ძილ-ღვიძილში გაატარა. ლოგინში ტრიალებდა, თითქოს მინის ნამსხვრევებზე იწვა. თეთრეული, ბალიში, საბანი მიჰყარ-მოჰყარა და სიბნელეში ყველაფერი აერია. ეჩვენებოდა, რომ ველური ვნებით და აღტაცებით პერანგს აგლეჯდა მაცაცუნას თეთრ სხეულს და რაც უფრო აშიშვლებდა, მით უფრო მიუწვდომელი ხდებოდა იგი. მერე მაცაცუნა კი არა, მზია ჩაემწყვდია მკლავებში, შავ ძაძას ახევდა, შავი ძაძა ისევ მრთელდებოდა და ვერა და ვერ მიაღწია საწადელს... ხანდახან გონს მოდიოდა, ფხიზლდებოდა. აუტანელი დამწვრის სუნი იდგა, თავი უხურდა. მცირე ხანს დადგებოდა ღია სარკმელთან, რათა სუსტ ნიავს გაეგრილებინა ცოტათი, დაეცხრო.

ქალაქს კი ეძინა. ღამე წვიმა მოსულიყო. ლაპლაპა ასფალტზე ნათურები ბრწყინავდა. უჩვეულო და შიშისმომგვრელი იყო ქუჩა. ვიღაცა სარკმელქვეშ ატუზულიყო და მას დარაჯობდა... იცოდა, ეს მხოლოდ მისი ტვინის ნაყოფი იყო და კვლავ წვებოდა, თავზე საბანს წამოიხურავდა და იძირებოდა ზმანებათა ბნელ უფსკრულში. ისევ მის გვერდით ჩნდებოდა მაცაცუნას თეთრი და ლბილი სხეული, რომელიც ხან მზიად იქცეოდა, მერე კვლავ მაცაცუნად...

სასურველი და მიუწვდომელი იყო შიშველი ქალწული და ჯუმა ბედიას ახრჩობდა მოძალებული და დაუოკებელი ვნება...

* * *

მაცაცუნა ვერ მიმხვდარიყო რა დაემართა. ტანში აზრიალებდა, ცახცახი ვერ ჩაეხშო, არ იცოდა სად იყო, რას აკეთებდა, საით მიდიოდა. კედელს მიყრდნობილი მიიწევდა ნათელი ლაქისაკენ – აივნისაკენ. ჯერ კიდევ ვნება ღელავდა მის ძარღვებში, ვნებას დაებინდა და მოესპო აზრის უნარი.

არ ფიქრობდა შეურაცხყოფაზე, ღირსების შელახვაზე, მზად იყო მუხლებზე ეხოხა ჯუმას წინაშე, რათა გაელხო მისი მკაცრი გული, მოედრიკა კერპი, რომელიც ახლა კიდეც უყვარდა და კიდეც სძულდა. ყველაფერი აერია თავში მაცაცუნას და ჯოჯოხეთი რიალებდა მის ტვინში, მის გულში, მის სულში... თვალში სიბნელე ედგა, სხეულში კი ჯუმა შემოდიოდა შანთით, მის ყოველ იოგს ცეცხლი ეკიდებოდა, სისხლს კი არა, გამდნარ მაგმას მიერეკებოდა გული-ვულკანი ძარღვებისაკენ.

უცებ წინ კარი გაიღო, როგორც შავი ხახა ურჩხულისა და იმ ურჩხულის ღრჯუ კბილივით კაჭუჭია აიტუზა.

მაცაცუნამ თვალი დახუჭა, ყველაფერი მოჩვენებას ჰგავდა, ყველაფერი სიზმარი იყო. ეგებ კაჭუჭია კი არა, თვით ჯუმა იდგა მის წინაშე, პატიების ითხოვდა და კვლავ თავისკენ იხმობდა...

მცირედ ნაბახუსევ კაჭუჭიას სითამამე შეჰმატებოდა. ეგრე დარეტიანებული გოგო რომ ნახა, უფრო მეტი იფიქრა, ვიდრე ამის საფუძველი არსებობდა.

— ესმა, ისე გამოგვივიდა, თითქოს პაემანი დაგვენიშნოს! – ჩაიქირქილა და მუხლებგამობერილი შარვალი აიწია, არ დამივარდესო.

მაცაცუნა ვერაფერს მიხვდა, სიტყვათა აზრი არ ესმოდა.

კაჭუჭიამ ხელი ფრთხილად ჩაავლო, არ ავჩქარდე და არ გამიფრინდესო მწყერი ნანატრი. გოგო მორჩილად დაჰყვა. მაშინაც არ გასძალიანებია, როცა კაჭუჭიამ ტახტზე დასვა, მხარზე ხელი მოჰხვია.

მერე კი, წინააღმდეგობას რომ ვერ წააწყდა, თამამად დაადო

ხელი მკერდზე, მოუჭირა.

მაცაცუნას დენმა დაუარა თავიდან ტერფამდე, კბილს კბილზე აცემინებდა ციებიანივით. ელვის უსწრაფესად გაუელვა აზრმა, ასე უსახელოდ, უსიხარულოდ ვიღუპებიო.

ხელი ხელზე უხეშად აუკრა კაჭუჭიას, წამოიწია.

— გამიშვი!

კაჭუჭია მისმა ხმამ უფრო წაახალისა. ღონივრად ჩაბღუჯა გოგო და შეეცადა ტახტზე მიეწვინა.

მაცაცუნას თითქოს წყალი გადაასხესო, ვნებიანი ლტოლვა, წვა და დაგვა ერთბაშად ბოროტი სიჯიუტით შეეცვალა და ჭაბუკის შემოტევას მძულვარე გახელებით შეხვდა. ხმას არ იღებდა, პირი მოეკუმა, მაგრამ მუხლებით და ფრჩხილებით იგერიებდა მოძალადეს.

კაჭუჭიამაც დაკარგა გონიერება, დაუნდობლად ებრძოდა მის მკლავებში გამომწყვდეულ გოგოს.

არც ერთს არ ახსოვდა როდის შემოელიათ ღონე, რამდენი დრო გავიდა ამ ჭიდილში.

გოგო უცბად მოითენთა, უღონოდ მიესვენა...

კაჭუჭიაც დაღლილი გაიშოტა მის გვერდით, თვალებმილულული ისვენებდა.

მაცაცუნამ ძლივს წამოიწია. გათავდა მისი ცხოვრების ერთი ნაწილი. დაკარგულს უკვე ვერ დაიბრუნებდა. იგრძნო, რომ სული ჩაეფერფლა. არ იყო არც ვნება, არც სიყვარული, არც სითბო... დარჩენილიყო მხოლოდ წყურვილი შურისძიებისა.

წამოდგა, ტანსაცმელი გაისწორა. ზემოდან დახედა გაშოტილ კაჭუჭიას, რომელიც ბრიყვული ღიმილით შესცინებდა.

— განანებთ ორთავე ძმას, მე თუ ქალი ვარ! – ესღა თქვა.

კაჭუჭია შეშფოთდა, კარისაკენ მიმავალ გოგოს შესაბრალისი წუწუნი აადევნა...

* * *

დერეფნის სულიშემხუთველი სიბნელიდან მზით განათებულ აივანზე გამოსული მაცაცუნა შეჩქვიფდა, მოეჩვენა, რომ სახალხოდ გააშიშვლეს და ყველა მას ათვალიერებდა.

მსუქანმა დედაკაცმა ჩაუარა დუდღუნით, დაეთრევიანო აქ ნაირ-ნაირები, არც სინდისი, არც ნამუსი, ბავშვები მაინც არ ხედავდნენო.

ამის ატანა ვერ შეძლო. მუხლები მოეკვეთა, მოაჯირთან პირდაპირ იატაკზე დაეშვა და აქვითინდა.

შეწყდა ეზოში ბავშვების აურზაური, დედაკაცთა გადაძახილი, დომინოს ხათქახუთქი თუთის ძირას, მანქანათა შორეული გუგუნი... მაცაცუნამ ცრემლებს მისცა გზა. ახლაღა იგრძნო, რაოდენ იყო მოტყუებული, ბოროტად გათელილი, შეურაცხყოფილი... შესძულდა სიცოცხლე, შესძულდა ადამიანი, მამაკაცი, ბედიების მთელი საგვარეულო, შესძულდა თვით სიყვარული – მატყუარა და დაუნდობელი, განადგურება რომ უფრო ძალუძს, ვიდრე გაცოცხლება...

— ადექი, ესმა! – უთხრა ნაცნობმა ხმამ.

თავი უფრო დახარა, სახე ხელებში ჩამალა. ერჩივნა ეს სახლი წამომხობოდა, ოღონდ ახლა არ შეეხედა მზიასათვის, არ ენახა მისი დარდიანი თვალები.

— ადექი, ესმა, წამო ჩემთან! – გაუმეორა მზიამ, მხრებში ხელი ჩაავლო, წამოსწია.

მაცაცუნა ნებას აჰყვა, წამოდგა. სახიდან ხელები არ მოუცილებია, ასე ბანცალ-ბანცალ მიჰყვებოდა უნებლიე ქომაგს. „ვინ ეკითხება, რა მისი საქმეა? – ფიქრობდა მაინც, ჩახშობოდა მადლიერების სუსტი გრძნობა, – ვითომ თვითონაა კარგი, კეთილი...“

— კარგი აწი, ნუ ტირი, ყველაფერი გამოსწორდება, – გზაგზა ამშვიდებდა მზია და მხარზე რბილად ხვევდა ხელს.

— არაფერი აღარ მინდა, სიცოცხლეც არ მინდა... – ისტერიული თავშეუკავებლობით აჩურჩულდა მაცაცუნა, — არაფერი აღარ მინდა, არავისგან არაფერი... ყველანი საძაგლები ხართ, ყველანი, ყველანი...

— ჰო, ჰო, დაწყნარდი...

შინ არავინ იყო. სტუმარი თავის ოთახში შეიყვანა. სავარძელში ჩასვა. მაცივრიდან ცივი „ბორჯომი“ გამოუტანა.

— დალიე, მოგიხდება!

მაცაცუნას ხელი უკანკალებდა, „ბორჯომი“ ეღვრებოდა. ცოტა მოსვა, გული გადაეწმინდა. თანდათან მშვიდდებოდა. ხმას არ იღებდა, ხანდახან გულს ამოაყოლებდა დარდიან ამოოხვრას.

— ერთი წუთით დაგტოვებ, ყავას მოგიხარშავ! – მზია სამზარეულოში გავიდა.

მაცაცუნა სავარძელში ჩაიჭუჭკა, მიმოიხედა... მზიასთან პირველად მოხვდა. დაბნეული ფიქრობდა, აქ რამ ამომიყვანა, შინ რატომ არ გავიქეცი, თავი რად დავიმცირეო.

ცნობისმოყვარედ ათვალიერებდა დაბინდულ ოთახს. განსაკუთრებული ვერაფერი შეამჩნია. პირიქით, ტუალეტის მაგიდა თითქმის ცარიელი იყო. „სოფლუშკაა, — დაასკვნა, — ნეტა რატომ მოსწონთ ბიჭებს?.. შტერები! იმათ ნორმალური ქალი რას გაუგებს...“

კედელზე სურათი მიეკრათ. ვიღაცას შავი ფანქრით დაეხატა. მხატვარი დიდად გამოცდილი არ უნდა ყოფილიყო, მაცაცუნა მაინც მიხვდა, ვინც გამოესახათ. „ნუთუ ტატოსაც უყვარდა? – შური ეწვია, – ჰმ, სახალხოდ არ გაიტრიზავა თავი? ძაძა ჩაიცვა, კუბოს მიუჯდა ცოლივით... საყვარელი იქნებოდა... დიდი ამბავი! ბიჭი ბიჭად არაფერი იყო, ლექსებს კი ვინ არ წერს ახლა!“ სხვაზე ფიქრმა სადარდებელი შეუმსუბუქა. ახლა უფრო საღი თვალით შეხედა მომხდარს, კვლავინდებურად ლანძღავდა ბედიებს, უფრო ჯუმას, რადგან თავმოყვარეობა შეელახა. „შენს სისხლს დავლევ, ჯუმა ბედია, დამაცადე, შენი სისხლი თუ არ დავლიე!..“ – იქადნებოდა.

სარკეში ჩაიხედა. ცრემლებს საღებავი ჩამოერეცხა და სახე ერთიანად მოთხუპნოდა. ცხვირსახოცით ჩამოიწმინდა, ქუთუთოებზე კვლავ სქლად წაისვა შავი ფანქარი, თმა აიჩეჩა, ერთიორჯერ სავარცხელი გაკრა, ხელით დაიყენა. „ვითომ რა მიშავს? ჯუმა ბედია ჩემზე უკეთესს მონახავს ვინმეს?“ მართლაცდა არა უშავდა რა. ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ მომხიბლაობა არ აკლდა და დღეში სამი ბიჭი მაინც უხსნიდა სიყვარულს.

სარკესთან ფოტოსურათი იდო. მზია იყო გამოსახული საზაფხულო ტანსაცმელში. იცინოდა და იმ დროს გადაეღოთ. თვალები გასხივოსნებოდა, კბილები უკრიალებდა, მთელი პირისახე სინათლით ავსებდა. მკერდზე გადმოფენილ თმას ნიავი უწეწავდა.

მაცაცუნა საკუთარ ანარეკლს მიაჩერდა, მერე ფოტოსურათს დახედა. შურმა, მწველმა შურმა გულ-ღვიძლი აუმღვრია. თავი კვლავ შეურაცხყოფილად და დამცირებულად იგრძნო. ჯუმას ეს სხივოსანი გოგო ეყვარებოდა. ამიტომ უარყო ასეთი ზიზღით მაცაცუნას სიყვარული, შეურაცხყო, გათელა იგი.

მტრობა შეიჭრა მაცაცუნას სულში, იქ დაიბუდა...

მზიამ შემოიხედა, გაუღიმა:

— ხომ არ მოიწყინე?

— არა, ყველაფერმა გამიარა, — ნაძალადევი ღიმილით უპასუხა.

მზიას არაფერი უკითხავს. მაგიდაზე ნამცხვარი, შოკოლადი და ორი ფინჯანი ყავა დადგა.

— მიირთვი, გაგახალისებს! – ხმა სუსტი და ნაზი ჰქონდა, გაფერმკრთალებულიყო, ნაავადმყოფარსა ჰგავდა.

„მალე ყველაფერი გაუვლის, ისევ პირველი მეტოქე გახდება“, — მაცაცუნამ ყავა მოსვა, — გმადლობ, ძალიან შეგაწუხე! – ზრდილობიანად შეეპასუხა, — „იმან ათრია, ახლა ვითომ პატიოსანი გოგოა!“ – ყავა სიამოვნებდა.

ჩუმად ისხდნენ. მზიამ არ იცოდა რაზე წამოეწყო ლაპარაკი. ეშინოდა, რამე ისეთი არ წამომცდეს, სტუმარი ნაწყენი დამრჩესო. გაოცდა კი, ბედიების აივანზე აქვითინებული რომ დაინახა.

— შენ ისეთი კეთილი ხარ, მზია, — გულსგარეთ თქვა მაცაცუნამ, — იმ ამბის შემდეგ, რაც შენ გადაგხდა, საიდან შეგრჩა იმდენი ძალა, სხვათა ჭირი გაიზიარო...

მზია უფრო გაფერმკრთალდა. „უფრო მშვენიერი გახდა!“ – შურით გაიფიქრა მაცაცუნამ. იცოდა, ტატოზე არ უნდა ელაპარაკა. ენამ წასძლია... თვალს ადევნებდა, თუ როგორ იხატებოდა მზიას სახეზე ტკივილები, ბოლომდე შეუხორცებელ ჭრილობებად რომ აჩნდა მის სულს.

— დრო ყველაფრის მკურნალია, გენაცვალე, ადამიანს რა არ დაავიწყდება...

— არ ვიცი, არ ვიცი! – სწრაფად გააწყვეტინა აღელვებულმა

მზიამ... თავი შეიკავა და სტუმარს საკმაოდ მშვიდად უთხრა: — არ ვიცი, რა გითხრა. ვარ და არცა ვარ, გავითიშე. რაღაც ჩატყდა სულში. ძნელია ასე ცხოვრება. მამა მეცოდება, დავტანჯე, თორემ...

— სისულელეა, გენაცვალე, ყოველივე, — მაცაცუნამ ხელი ჩაიქნია. უნდოდა ეთქვა, აგერ მე რა დამემართაო. ენას დროზე დააჭირა კბილი, — შენისთანა ლამაზ გოგოს ვინ დატოვებს უყურადღებოდ. უქმროდ შენ არ დარჩები...

— მე სხვა მაქვს მხედველობაში, — უმალვე ჩაიკეტა მზია, სიტყვა „ქმარმა“ შეურაცხყო მისი სმენა.

— ეგეთი ლამაზი რომ ვიყო... – მაცაცუნას უჭირდა ამის აღიარება.

— შენც იტყვი რა, — შეწუხდა მზია, — ჩემს ბეჩავ შესახედაობას თუ სილამაზე ჰქვია, უშნო რაღაა?.. ან რად მინდა ეს სილამაზე? ვისთვის?.. მე ვცხოვრობ მამისათვის, მამას კი ისედაც ვუყვარვარ, ლამაზიც და ულამაზოც...

— როგორ თუ ვისთვის? ძაან კი ნუ აჩქარდები, გენაცვალე! ქალისათვის მთავარია სილამაზე, — საკუთარმა აზრმა გაიტაცა მაცაცუნა, — სილამაზეზე დიდი ბედნიერება წარმოუდგენელია. საყოველთაო აღტაცება, ყურადღება, განგმირული გულები. მაშ, ამ ცხოვრებიდან მეტს რას წაიღებ?

— არც არაფრის წაღებას ვაპირებ! ყავას კიდევ დალევ? – საუბარმა არასასიამოვნო მიმართულება მიიღო.

— გმადლობ, საკმარისია... ისე კი სილამაზე თუ არ გჭირდება... – შეყოვნდა, — იცი თუ არა, როგორ მიშლი ხელს? – უცბად სიბრაზე მოაწვა.

— მე? ხელს გიშლი? – გაოგნდა მზია.

— უცოდველი ბატკანივით კი ნუ მომაჩვენებ თავს. ეს ბედიები რომ გადამირიე, ვითომ არაფერი?

მზიას პირკატა ეცა, ცვილისფერი გახდა. ხმა ვერ ამოიღო, თვალებგაფართოებული შეჰყურებდა მაცაცუნას.

— ჰო, ჰო, რას მიყურებ? პირში სიმართლე არავის უყვარს. აქეთ ტატოს კუბოს უზიხარ, იქით კი... საბრალო ტატო...

— სტუმარი რომ არ იყოთ... – მზია ძლივს წამოდგა, ფანჯარასთან მილასლასდა, თავი არ მოუბრუნებია, ისე უბრძანა ჩურჩულით: — ახლავე დამტოვეთ!

— მაგდებ, არა? – მუქარით დამარცვლა მაცაცუნამ.

— წადით და თქვენს სინდისს მოჰკითხეთ! – გახურებული შუბლი ცივ მინას მიადო, გაირინდა.

მაცაცუნა მიხვდა, რომ გადააჭარბა. არ უნდა აჰყოლოდა წუთიერ უგუნებობას. „ენა მაქვს მოსაჭრელი, ენა...“ – იმეორებდა თავისთვის და კარისაკენ ფეხათრევით მიდიოდა.

ზღურბლზე შედგა, მოიხედა. მზიას მხრები უცახცახებდა. ალბათ უხმოდ ტიროდა. გული დაეთუთქა მაცაცუნას, უცბად მივარდა ფანჯარასთან ატუზულ გოგოს, მუხლებზე დაეცა მის წინაშე, ფეხებზე მოეხვია.

— მაპატიე, დაიკო, მაპატიე! ისეთი ცუდი ვარ, ისეთი ბოროტი! – და ცრემლი მერამდენედ წასკდა.

მზიას თითქოს მუხლის ძარღვები დააწყვიტესო, იქვე დაეშვა და ასე ჩახვეულნი ტიროდნენ დიდხანს.

მერე, როცა ცრემლმა გულები გადაწმინდა, შერცხვათ. მაცაცუნა პირველი ვერ ბედავდა ხმის ამოღებას და სლუკუნებდა.

— ეჰ, რა სულელები ვართ ეს გოგოები, — გაეღიმა მზიას. მის სველ, დაბინდულ თვალებში იმ სხივმა გაიელვა, ფოტოზე რომ შენიშნა მაცაცუნამ.

— ქალის ბედს რა ვუთხრა, — ამოიოხრა, — ღირდნენ მაინც ეს მამაკაცები ამდენ ცრემლებად.

მზია წამოდგა, მაცაცუნაც წამოაყენა. ხელიხელგადაჭდობილნი მივიდნენ სარკესთან.

მაცაცუნას საღებავი ისევ ჩამორეცხოდა, აშკარად იცრიცებოდა მზიას გვერდით.

— ჩემს ქორწილში არ დაგპატიჟებ, — ნაძალადევი ხუმრობით წარმოთქვა, — ჩემმა საქმრომ რომ დაგინახოს, ზურგს შემაქცევს...

— ღმერთს დავიმოწმებ, ოღონდ ბედნიერი იყავი და, თუ ეს შესაძლებელია, წაიღე ჩემი სილამაზე!

უსიამოვნო ხითხითი გაისმა კედელს მიღმა. ოთახში გოგირდის სუნი დატრიალდა.

მზიამ თავბრუსხვევა იგრძნო, თითქოს იცლებოდა სასიცოცხლო ძალებისაგან. გონს რომ მოეგო, სარკეში თავი ძლივს იცნო.

მისი მშვენიერი პირისახე უბრალო გოგოს პირისახედ ქცეულიყო, მაცაცუნა კი სადედოფლოდ გამზადებულსა ჰგავდა...

თავი III. სარბიელი

დაღლილს გამოეღვიძა ჯუმა ბედიას. თავი სტკიოდა. ანალგინის ორი ტაბლეტი გადაყლაპა. შეეძლო შინ დარჩენა, მაგრამ დღეს ელოდა რბილი სავარძელი და ცალკე მაგიდა საკუთარ კაბინეტში. ასეთი ზეიმის სხვა დროისათვის გადადება მის ძალას აღემატებოდა. თვალები უნდა დაეთხარა მტერთათვის, გაეხარებინა მოყვარენი.

აივანზე ჩვეული სიდინჯით გაიარა. ახედა მზიას მიგმანულ ფანჯრებს. ახლა რატომღაც ეჩვენებოდა, რომ გუშინ დედიშობილა მზია ჰყავდა შინ და არა მაცაცუნა. თავს ილანძღავდა უკანასკნელი სიტყვებით, ეს რა მომივიდა, ასეთი შემთხვევა ხელიდან როგორ გავუშვიო. თვითონაც ვერ გაერკვია, რომელი შემთხვევის დაკარგვა უკლავდა გულს, წუხანდელი შურისძიება თუ მძინარე მზიას დანდობა... ყველაფერი ერთმანეთში აერია, ქალის გამჩენსა და თავის გამჩენს ერთნაირად წყევლიდა.

შავი „ვოლგა“ კვლავ ჭიშკართან დახვდა. დირექტორი ყურადღებას არ აკლებდა. „როცა საკუთარს შევიძენ, არ შევაწუხებ“, — გაივლო გუნებაში და ეს აზრი ისე შეერია მისი ფიქრების ქაოსში, როგორც გრილი სიო დახუთულ ოთახში.

— შეფი უკვე მოვიდა?

— დიახ, უფროსო!

ჯუმას გულზე მოეფონა. „უფროსო!“ – თავის სიცოცხლეში პირველად მიმართეს ასე. ამიერიდან უნდა მისჩვეოდა, პირველად გაგონილი მაინც სხვანაირად ფხანდა გულს. მძღოლს მეგობრულად მოუთათუნა მხარზე ხელი. მძღოლმა უნებლიეთ განზე გაიწია, დამწვრის სუნმა შეაწუხა. ჯუმა მიხვდა, მაგრამ ძველებურად არ დაბოღმილა, აპატია...

კიბეზე მძიმედ ადიოდა, ნაცნობებს არ უჩერდებოდა საჭოროაოდ. სალამზე თავის ქნევით პასუხობდა, როგორც საქმეებით მძიმედ დატვირთულ ადამიანს ჩვევია. ვესტიბიულში რამდენიმე

ახალგაზრდა აწყობდა პინგ-პონგის მაგიდას.

— ითამაშებ? – დაუძახა ერთმა.

— სადა მცალია! – მხრები აიჩეჩა ჯუმამ და პირდაპირ თავის კაბინეტს მიაშურა.

ერთი ციდა იყო. საწერი მაგიდის გარდა ორიოდე სკამი თუ ეტეოდა. ცალკე კაბინეტი დირექტორსა და მის მოადგილეს ჰქონდათ. პოეზიის განყოფილების გამგეს პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად შეურჩიეს და სახელდახელოდ გაურემონტეს. მანამდე ამ ოთახში დამლაგებელი ჩვრებსა და ცოცხებს ინახავდა, რის გამოც ობის სუნი ჯერაც იგრძნობოდა.

ჯუმამ კარი ჩაიკეტა, ბედნიერებისაგან თვალები აუჟუჟუნდა. მაცქერალი არავინ ჰყავდა, — არც მოშურნე, არც ტაშის დამკვრელი; ცნობისმოყვარეთა მზერა ვერ შეაღწევდა ტყავგადაკრულ კარში. ათრთოლებული ჯუმა ბედია, ვისაც სულ სხვა ვნება ეწვია, ვიდრე ვნება ქალისადმი, ცერებზე მიეპარა საწერ მაგიდას. პრიალა ზედაპირს ალერსით გადაუსვა ხელი. მერე ნებიერად ჩაეშვა სავარძელში. რბილ საზურგეს მიეყრდნო, ხელები სუფთა ქაღალდის დასტაზე დააწყო და მზეს მიფიცხებულ კატასავით აკრუტუნდა.

უცბად ანგლობა მოუნდა, თავისთვის ჩაიხითხითა, ტელეფონის ყურმილს მისწვდა.

— ალო, ჟურნალ „პეგასის“ რედაქტორი მინდოდა! – შეცვლილი ხმით იკითხა.

— დიახ, ვინ ბრძანდებით? – უპასუხა ანეკდოტების ოსტატურად მოყოლას დაჩვეულმა ხმამ.

— ღმერთი გირეკავს, ჯიგარო!

— რა გნებავთ, ბატონო ღმერთო?

— კი მარა, სანამ უნდა იჯდე მაგ რბილ სავარძელში?.. მოიცა, შეგიყენებ წყალს!

ესა თქვა და ყურმილი დააგდო. ერთხანს ჩუმად, შეშფოთებული უყურებდა ტელეფონს, ახლავე გაიგებენ, ვინც დარეკა და შავ დღეს დამაყრიანო, ტელეფონი დუმდა და ჯუმამ გადაიხარხარა.

ისევ საზურგეს მიაწვა, აკრუტუნდა. ამ დროს დარეკა ტელეფონმა. ჯუმა კინაღამ სავარძლიდან ჩამოვარდა. ფერი ეცვალა. უაზროდ შეჰყურებდა და ყურმილის აღებას ვერ ბედავდა. „ჩემი

ოინი გაიგო, მიხვდა, რომ მე დავრეკე, მიხვდა!“ – თავბედს იწყევლიდა, ეს რა ბავშვური სიანცე მომივიდაო, ენაზე ვინ მეზიდებოდაო. „ბავშვურ სიანცეს“ ჩაეჭიდა. გადაწყვიტა, თავი მოეკატუნებინა, რამდენიმე დღე მაინც ყოფილიყო კრავივით წყნარი.

ყურმილს მისწვდა და ალერსიანად, რბილად თქვა:

— გისმენთ! ჯუმა ბედია გახლავართ!

— ა, ჯუმა ბატონო, მოგილოცავთ წარმატებას, ჯუმა ბატონო!

— თქვენ ბრძანდებით, ბატონო ბესო? – დამშვიდდა ჯუმა და ახლა ცივად პასუხობდა.

— ჰო, ბანძელაძე ვარ, ბესო! როგორ, დაგავიწყდი თუ, რაშია, ჯუმა ბატონო, საქმე?

— თქვენ თავს რა დამავიწყებს, ბესო ბატონო! – აღიზიანებდა ეს ირონიული „ბატონო“, თუმცა ბესოს ხმას ირონია არ ეტყობოდა.

— აიტ, შე ეშმაკო, რა ღობემძვრალასავით გამძვრალ-გამომძვრალხარ, ბიჭო!

— მე არსად არ გავმძვრალ-გამომძვრალვარ, ბესო ბატონო! – იწყინა ჯუმამ.

— ვიცი, ძამიკო, ვიცი, ვიღაცა გყავს ზევით, — ჩაიცინა ბესომ, — კაი ახლა, ამაზე ხომ არ დავხოცავთ ერთმანეთს, სათხოვარი მაქვს შენთან...

— თუნდაც ათასი, ბესო ბატონო, რაც შემიძლია! – უმალვე დაეთანხმა და იქვე გადაწყვიტა, თითიც არ გაენძრია.

— იქ, თქვენთან ერთი საცოდავი ბროშურა მიგდია, სული ამომხადეს წინ და უკან სირბილით. თუ ძმა ხარ, მიმიხედე მაგ საქმეს. მგონი კრიტიკოსებთანაა...

— ვეცდები, ბესო ბატონო, რაც შემიძლია!

— ჰო, მართლა, რატომ არ გამოიარე, სტატია რომ გაქვს ჩვენთან, არ უნდა მიხედვა?

— რომელი სტატია? – ვითომ ვერ გაიხსენა ჯუმამ.

— არ გახსოვს თუ? რიცხვნიშნობას რომ ეხება, იყიდიან, გაყიდიან...

— აკი დამიწუნეთ?

— რას ამბობ? დაწუნება კი არა, კათედრაზე წავაკითხე

კოლეგებს და ჩემი აზრიც ვუთხარი. ეს-მეთქი მნიშვნელოვანი შენაძენია-მეთქი მეცნიერებისათვის. ცოტას თუ დაუმატებს, გაშლის, გააფართოებს, საკანდიდატოს ხელს გამოკრავს-მეთქი...

— გმადლობთ, ბესო ბატონო!

— ათი წუთიც არაა, ასაწყობად ჩავუშვი. ხვალ, ხომ იცი, კორექტურა უნდა წაიკითხო და...

ჯუმამ ყურმილი დადო, ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

მდივანმა შემოიჭყიტა. დაბნეული ჩანდა. მოუთმენლობა ეტყობოდა, როგორც დიდი და მოულოდნელი ამბის გაგების დროს ემართებათ.

— გაიგეთ?

— რა მოხდა?

— „პეგასის“ რედაქციიდან დარეკეს!

— მერე, რაო?

— გული!.. გივი გასპარაშვილს გულმა უმტყუნაო!

— მოკვდა? – ჩუმად იკითხა ჯუმამ, სახე ცვილისფერი გაუხდა.

მდივანს ღაწვზე ცრემლი ჩამოუგორდა.

— არა, მადლობა ღმერთს, სასწრაფოს მოუსწრია. გადარჩებაო, ამბობენ...

ჯუმა სავარძელში მოიკუნტა, სასტიკი დაღლილობა იგრძნო. თვალი მილულა და მისი მზერის თვალსაწიერზე ამოტივტივდა ჩვენება: შიშველი ასულის სხეული, ორსახოვანი, და ვერ გაერკვია, მზია ენატრებოდა თუ მაცაცუნა...

ოთხშაბათს გაზეთი დაისტამბა, ხუთშაბათს, სამსახურში მისვლამდე, უნივერსიტეტის ბაღში გაისეირნა, რათა მოლოცვების მოსავალი მოემკო. სოსო წინამასწარაშვილს ხომ ვერავინ დაასწრებდა, კინაღამ ხელი ჩამოგლიჯა, თუმცა ჯერაც არ წაეკითხა. ჯანო ჩიკინტილაძემ ისე გაიხარა, თითქოს ამაზე ძვირფასი რამ დაბადებიდან არ წაეკითხოს. ბესო ბანძელაძე იქით გაახარა, აჟურშია საქმეო. ბესომაც, კაცი ხარ კაცურიო, და ასე დაშორდნენ... გზაზე ორი-სამი ნაცნობი შეხვდა კიდევ, აქეთ მოეთითლიბაზენ, იქითაც ხურდა დაუბრუნა და ასე მოაღწია სამსახურამდე. ჯიბეში რამდენიმე ეგზემპლარი გაზეთი ედო, ჩუმად ელოლიავებოდა. ორი

დღის წინ, როცა თავის სტატიის კორექტურას ასწორებდა, გულში თბილი ტალღები უვლიდა. ისევ და ისევ ათვალიერებდა სათაურის თავზე შავი შრიფტით დაბეჭდილ სახელსა და გვარს: ჯ უ მ ა ბ ე დ ი ა. პირველი მერცხალი იყო და იმიტომ ხარობდა, თორემ მომავალში, როცა დიდების ზენიტს მიაღწევდა, ღიმილით გაიხსენებდა ამ უცოდველ აღტყინებას. დღეს კი დილიდანვე თავბრუდახვეული დადიოდა. ეჩვენებოდა, რომ გამვლელნი აღტაცებულ მზერას ესროდნენ. ნეტა სად მოახერხეს დილაუთენია წაკითხვაო, ფიქრობდა. მერე თანდათან გამოფხიზლდა. მიხვდა, მისი სტატიისათვის არავის სცხელოდა. მხოლოდ კრიტიკის ლომმა გამოაჩინა ჩაყვითლებული კბილები ხალისით:

— ვხედავდი შენს შტუდიას. რაო, ქართველებმა მაშინაც ვიცოდით მიმატება-გამოკლება?

ჯუმა გულზე გასკდა, მაგრამ მხოლოდ ნერწყვი გადაყლაპა.

— ისე, მაპატიე, არ წამიკითხავს და... ვეღარ მოვიცალე! – მიხვდა ეშმაკის კერძი, ბებერაზე რომ დააბიჯა.

დანარჩენ თანამშრომლებს ყურადღებაც არ მიუქცევიათ. ჯუმას მეხსიერების შავ სიაში შეჰქონდა იმათი გვარი, ვინც იმდენად ზარმაცი აღმოჩნდა, აღარ ეყო ხალისი, კოლეგის ნაშრომისათვის პატივი დაედო.

გუნება მაინც არ წახდენია. კაბინეტის კარი ჩაკეტა. გაზეთი მაგიდაზე დააფინა, თვითონ რბილ სავარძელში მოკალათდა და ასე ნებივრობდა. მოლოცვები, თბილი სიტყვები ჰაერში ეკიდა, სასიამოვნო მუსიკალური პასაჟებივით სულს უთრთოლებდა.

და უცებ, წამიერ, მისი დახუჭული თვალების წინ, გონების ვრცელ სცენაზე შემოიჭრა თითქმის მივიწყებული და სინდისს მიღმა გადამალული ჩვენება: მზიანი სივრცე კასკადს მიღმა, ნაზ ტირიფებთან... ჯინსიანი, თეთრპერანგიანი ჭაბუკი... სისხლით შეფერილი პერანგი... ტატო!.. გახსენება მტკივნეული და ულმობელი იყო. აქამდე თითქოს არ არსებობდა ეს სახელი, არ არსებობდა მისი სიკვდილის ფაქტიც. ყოველივე სიზმარი იყო, ჯუმა ბედია კი უდანაშაულო გახლდათ... ახლა კი... ერთადერთმა სიტყვამ ააფორიაქა მისი სული, ჩააქრი სხივი, შავი უფსკრული გაამეფა...

ჯუმამ სიმწრისაგან ტუჩი ჩაიკვნიტა, გაზეთი მოკუჭა და

კუთხისაკენ მოისროლა... თავბრუდამხვევი დამწვრის სუნი დაგუბდა. ხრჩოლავდა მისი სული და ჰაერი არ ეყო. ფანჯარას მივარდა, ღრმად ჩაისუნთქა.

მერე ტელეფონს მისწვდა, ნომერი აკრიფა.

— ალო, გისმენთ!

იმ ბოლოს მოუთმენლად ელოდნენ პასუხს. ჯუმას ყურმილი ჩუმად ეჭირა. ხმის ამოღებას ვერ ბედავდა.

— ალო, ვინ ბრძანდებით?

„გამოჯანმრთელებულა, მადლობა ღმერთს!“ – შვებით ამოისუნთქა.

ერთხანს ტელეფონში მხოლოდ სუნთქვა ისმოდა, მერე გაბზარულმა ხმამ წაიჩურჩულა:

— შენა ხარ, ხო?.. იმ დღეს ხომ კინაღამ მიმიყვანე ინფარქტამდე. ლაჩარი რომ არ იყო, ხმას ამოიღებდი...

ჯუმამ ყურმილი ფრთხილად დადო. გარინდებული მიაშტერდა კედელს, რაღაც უსასოობა დაეუფლა, ფიქრი კი, არც ავი და არც კარგი აღარ ეკარებოდა.

კარზე დააკაკუნეს. ჭაბუკი ძლივძლივობით გამოდიოდა ბნელეთიდან, ცდილობდა თავი დაეღწია კოშმარული მოჩვენებებისაგან.

— ჰეი, მუზა ხომ არ გეწვია? ერთი საათია კარს მუშტებით ვამტვრევ!

— შემოდი!

— აქ შენთან სტუმარია, ჟურნალ „პეგასიდან“ მოგაკითხეს!

ჯუმას ფერი ეცვალა. გაშეშებული იდგა და ისე იცდიდა, თითქოს კარიდან მინოტავრი მაინც შემოვიდოდა. „საიდან გაიგეს? როგორ მიხვდნენ, რომ ტელეფონით ვიანგლე? – აწრიალდა ფიქრი, – სახალხოდ უნდა შემარცხვინონ, გამათახსირონ...“

ლიტმუშაკი კვინტილიანე შემოვარდა, ჯუმას გამოწვდილ ხელს ეცა. დაზაფრული მასპინძელი ცდილობდა ხელის გამოგლეჯას, სტუმარი კი ენერგიულად ანჯღრევდა და რაღაცას აღტაცებული ქაქანებდა.

— ასე უნდა დავიწყება? აქეთ უნდა გეძებოთ, შე საიდან მოსულო და სად მიმავალო? მთელი ქალაქი ავაწრიალე, ქვეყანა შევყარე...

— ასეთი რა დავაშავე, ხალხო? – წამოიკნავლა ჯუმამ და სავარ-ძელში უღონოდ ჩაეშვა.

— ბედი გქონია, ძმაო, ძაღლის ბედი! სამახარებლო მეკუთვნის, ამას არ უნდა ჯანჯალი, ამას უნდა ჯონჯოლი, ჰა-ჰა, ერთი ბოთლი შამპანური, თორემ კრინტს არ დავძრავ... — ლიტმუშაკი ფანჯრის რაფას ჩამოეყრდნო, პაპიროსის ნაფაზი დაარტყა, თუმცა კაბინეტი ისედაც ქარხნის მილს ჰგავდა.

— ეგება, ერთი ბოთლი კი არა, მთელი ყუთიც დავდგა, გააჩნია რისთვის! — ჯუმას გული საგულეში ჩაუდგა, შიშიანი განცდები გადაავიწყდა, სასიხარულო ამბის მოლოდინში ბავშვივით აცეტდა.

— პირდაპირ იქიდან მოვდივარ!.. ხომ გაიგონეთ, რა თქვა, მთელი ყუთიო? – კრიტიკის ლომს მიუბრუნდა კვინტილიანე, – იქიდან მოვდივარ-მეთქი, არა ვთქვი? კოლეგიის სხდომა გვქონდა. ჯუმა ბედია გამოვიყვანოთო ასპარეზზე... უახლოეს ნომერში ვიხილავთ ახალგაზრდა გენიოსის ნამოღვაწარს...

ჯუმას გულში ეშმამ ჩაუყო ხელი, კლანჭები მოუჭირა. ასეთი ბედნიერება ძნელი წარმოსადგენი ყოფილა. თავი მოითოკა, მაგიდაზე არ შემხტარა, დავლური არ დაუვლია. წყნარად იკითხა:

— ხომ არ მამასხარავებთ?

— აჰ, არ იკადრო მაგი! — გამოცოცხლდა კრიტიკის ლომი, იგი აქამდე ზურგით კედელს იყო მიყრდნობილი, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და ტანს წინ და უკან აქანავებდა ნელი ტაატით.

— ნაღდია და ეს არის! – ფანჯრის რაფაზე შესკუპდა კვინტილიანე, ცალი ფეხი სავარძლის ზურგს მიაბჯინა, – მე ხომ თავიდანვე ვთქვი, ნაღდია-მეთქი. ზოგიერთი არ მეთანხმებოდა, მაგრამ ჩემმა აზრმა გაიმარჯვა. ბატონმა გივიმ, ხომ იცით, ბოლო დროს შეუძლოდ იყო, ვიღაცამ რაღაცა უხიმანდრა, კაცს კინაღამ გულმა უმტყუნა, ბატონმა გივიმ ჯუმა ბედიას სახელი ჩვენს აქტივში ჩაიწერებაო, სიტყვა-სიტყვით...

— რახან ასეა, მადლობის მეტი რა მეთქმის, — წამოდგა ჯუმა, — ამ საქმეს მართლაც მოუხდება დასველება, ბედიებმა არ იციან უკან დახევა!

— უჰ, შენი ჭირიმე, ვიცოდი რანაირი ბიჭიც იყავი! – კრიტიკის ლომმა ხელები მოიფშვნიტა, – ჩვენებს დავუძახო? ბიჭები ცოდ-

ვანი არიან, კვირაა, არაფერი დაგვილევია!

— დაუძახე ვისაც გინდა!

კრიტიკის ლომი ჩიტივით გაფრინდა.

— მე არა ვსვამ, ღვიძლი მაწუხებს, მაგრამ ამ კაი ამბავს ვერ დავაკლდები, — ლიტმუშაკმა მორიგი პაპიროსი გაირჭო კბილებში, — ჰო, მართლა, პატარა საქმეც მქონდა, ამდენ ლაპარაკში კინაღამ დამავიწყდა. სამფორმიანი წიგნი მაქვს თქვენთან, აგერ მეორე წელი უთავდება. დირექტორი მპირდებოდა, მაგრამ, ხომ იცი...

— ვუშველით რამეს!

— ჩვენს რედაქტორს, ბატონ გივის, შენი იმედი აქვს. მაგისი რჩეული უკვე წარმოებაშია. მიმიხედეო, შემოგითვალა. ხომ იცი, სუსტი გული აქვს, მაგისი წყენინება არ იქნება!

ჯუმამ თავი დაუქნია. ალმაცერად გახედა ტელეფონს, შავ რევოლვერს ჰგავდა შავი ტელეფონი...

* * *

„დასველებაზე“ ათიოდე კაცმა მოიყარა თავი. ბატონი გივიც მობრძანდა, „პეგასის“ რედაქტორი. პირისახე გაჰფითრებოდა, უპეები ჩაშავებოდა. ცხადია, ღვინის დალევას ვერ შეძლებდა. ბევრი ელრიჯა ჯუმა და თითქმის ძალით წამოიყვანა. „ბორჯომის“ მეტს არაფერს დაგალევინებთო, დაპირდა. პირისპირ დაუჯდა. თავს უხერხულად გრძნობდა. რამდენჯერმე დაიჭირა რედაქტორის ეჭვიანი მზერა. ხმაზე ხომ არა მცნობსო, გულ-ღვიძლი ეწვოდა. ამიტომაც ზომაზე მეტს მხიარულობდა, ხმაურობდა, მღეროდა, ცეკვავდა, აიკლო რესტორანი. ზოგჯერ ხვდებოდა, ვაჭარბებო. გაყუჩდებოდა, თვალს შეავლებდა ბატონ გივის, ისევ ხომ არ ეჭვიანობსო. ბატონი გივი კი მორიგ ანეკდოტს ყვებოდა. ათიოდე წუთით გაჩუმდებოდა, სხვებსაც აცლიდა დროსტარებას, მანამდე ახალ ანეკდოტს გამოაცხობდა და ყველას გააცინებდა... ჯუმას ღვინო მოეკიდა. ახლა დარწმუნებული იყო, ბატონი გივი მცნობსო და კუჭში ჩაღვრილი ღვინო სულში შხამად ამოსდიოდა. „მართლაც რომ ინფარქტმა დაგარტყას?“ – დაირხა აზრი მთვრალ ტვინში. არც სინდისის ქენჯნა გამოუწვევია, არც აღშფოთება. თავი

უხურდა, გული კი გასციებოდა და არავის არაფერს აპატიებდა.

ჩააჯინდა, გინდა თუ არა, სამშობლოს სადღეგრძელო დაგვილიეო.

ბატონი გივი, ცხადია, ფხიზელი იყო, ღვინო უყვარდა და ისედაც ძლივს ითმენდა.

— თავიდანვე ხომ ვთქვი, ვერ დავლევ-მეთქი! – სუსტად იცავდა თავს. – თქვენც კარგად იცით, ორი დღე ძლივსაა, რაც საავადმყოფოდან გამოვეწერე!

— მაგი არაფერია! თქვენისთანა ვაჟკაცს სამი-ოთხი ჭიქა რას დააკლებს? გული ახლა ვის არ აწუხებს? ექიმებმა არაფერი იციან, ვაჟკაცმა მათ ყური არ უნდა ათხოვოს...

სხვებიც საკმაოდ გამოტყვრნენ ამ დროისათვის, ყველაფერი ეიოლებოდათ და ჯუმას აჰყვნენ.

ბატონმა გივიმ ჭიქა დალია, მეორეც მიაყოლა, ხელი ჩაიქნია, სანამ ვარ ვარო და ყანწიც ზედ დაურთო.

აგრემც ბოლო მოგეღებაო, — გულცივად ფიქრობდა ჯუმა.

რედაქტორს გული აუჩვილდა. ანეკდოტები გადაავიწყდა. ყველას ეხვეოდა, კოცნიდა, „კლასიკოსის“ ტიტულებს არიგებდა.

რესტორნიდან გვიან გამოვიდნენ. ორი თვის ჯამაგირი დატოვა ჯუმამ, მაგრამ არ ენანებოდა. ფული კი არ იყო მთავარი. თანა მეინახეებს პირზე კოცნით გამოემშვიდობა. რედაქტორი ტაქსით წაიყვანა შინ. კიბეზე ააცილა, თუმცა თვითონაც ძლივს იდგა ფეხზე. ცოლმა შეიცხადა, ავადმყოფი კაცი ვინ დამითროო. ჯუმამ თავი იმართლა, ბევრი ვეხვეწე, ნუ სვამ-მეთქი, მან კი აიჩემაო. რედაქტორის პატარა ბავშვს მოეფერა: „დედა, ლა კალგი ხალო“ და კმაყოფილი შინისაკენ გამოეშურა.

ქუჩები უკვე დაცარიელებულიყო. იშვიათი გამვლელის ფეხის ხმა ექოს გამოსცემდა. ქუჩის ნათურები სუსტად ბჟუტავდნენ. ჯუმა ხმადაბლა ღიღინებდა, ღვინო უფრო და უფრო ერეოდა. ტვინში ბურანი ედგა, მუხლებში ძალა მოაკლდა. თანდათან ეუფლებოდა მთვრალი სევდა. ცარიელი ქალაქი, ცარიელი ქუჩები... მეეზოვეებს ჭიშკრები ჩაეკეტათ, მცხოვრებთ კარ-ფანჯრები ჩაეგმანათ და ცხოვრობდნენ თავიანთ თბილ, მყუდრო ბინებში, როგორც აბრეშუმის ჭია პარკში. მარტო ჯუმა იყო კარში გაგდებული. მას არავინ ელოდა, არავის უყვარდა, არავინ უწილადებდა სითბოს. ამოდენა ქალაქში კაციც არ მოიძებნებოდა, ვინც კარს

გაუღებდა, შეითბობდა, წმინდა, ამაღლებულ მეგობრობასა და სიყვარულს შესთავაზებდა. მარტო დარჩა ჯუმა, სულ მარტო... ცრემლი მოერია, ფეხები ებლანდებოდა, ბარბაცებდა და წუთს წინანდელი ღიღინი ქვითინით შეეცვალა... მზია გაახსენდა და ამან უფრო აატირა... მხოლოდ მზიას შეეძლო წმინდა სიყვარული, სუფთა, უმწიკვლო მეგობრობა, მას ძალუძდა გაეფანტა ჭაბუკისათვის მარტოობით გამოწვეული კაეშანი... ოღონდ ჯუმასა და მზიას შორის წამოიმართა ტატოს საფლავი და ჯუმამ არ იცოდა, როგორ გადაელახა იგი... „მზია, მზია...“ – ხმადაბლა მოთქვამდა მთვრალი ჯუმა და ხან კედელს მიასკდებოდა, ხან ხეებს, რომელნიც შუაღამისას დასეირნობდნენ ტროტუარებზე და თვალებში ვერ იხედებოდნენ...

გზაჯვარედინზე გოგონამ გადაიარა.

— მზია! – გასძახა ჯუმამ და თავი შეიმაგრა.

გოგონამ შეშფოთებით მოიხედა. ღამეული ნეონის შუქზე მხოლოდ თვალები აუკიაფდა, პირისახეს კი მოყვითალო ფერი გადაეკრა და ჯუმას მომაჯადოებლად ლამაზი მოეჩვენა, თუმცა იგი არ იყო მზია.

ფეხდაფეხ მიჰყვა, თან ბოდიშებს ლუღლუღებდა გაუთავებლად.

გოგონა შეშინდა, ფეხს აუჩქარა, მერე კი გაიქცა. ჯუმაც აჩქარდა, ოღონდ მუხლებში იმდენი ძალა არ ჰქონდა და ვერ ეწეოდა.

— მოიცადე, შენი ჭირიმე, მოიცადე!.. – ეგონა ჩუმად ვუხმობო, მისი ხმა კი მდუმარე ქუჩაში სროლასავით ისმოდა.

ვნება ეუფლებოდა და სიგიჟემდე მისული არც ფიქრობდა, ვის მისდევდა, ან თუ დაეწეოდა, რა უნდა მოემოქმედა.

გოგონა უცებ გაქრა, თითქოს მიწამ პირი უყო. ჯუმა უაზროდ ტორტმანებდა ერთ ადგილზე. უზარმაზარი სახლის წინ იდგა. მრავალი სადარბაზო ჰქონდა სახლს და თვალი ვერ მოჰკრა, რომელში გაუჩინარდა მისი მსხვერპლი.

კვლავ შინისაკენ დაადგა გზას. ვნებააშლილი იყო და ჟინით შეპყრობილს ახლა მაცაცუნა მოაგონდა. მისი შიშველი ნაკვთები წარმოუდგა თვალწინ. გონება დაუბნელდა, არც იცოდა, სწორად მიდიოდა თუ არა. წაიბორძიკა და კინაღამ ტროტუარს დაასკდა. აკაციას წააწყდა, ჩაეხვია. „მაცაცუნა, მაცაცუნა!..” – ღმუოდა და აკაციის უტყვ ტანს ეხუტებოდა...

* * *

მოლოცვები და გუნდრუკის კმევა მალე მობეზრდა. ყველას მოსწონდა მისი სტატია. მხოლოდ კაჭუჭიამ უთხრა უჟმურად, რადგან ნაბახუსევზე თავი სტკიოდა:

— რა გააჭირეთ საქმე, ასეთ ბუხჰალტერიას მეც მოვაჩათლახებ!

— ბრიყვი ხარ, არაფერი გესმის!

მალე დაავიწყდა ძმის შენიშვნა და წარმატებით კვლავ ტკბებოდა. ხანდახან თუ იხსენებდა თავის ჯაჯგურს აკაციასთან და სირცხვილის ალმური უვლიდა სახეზე. კიდევ კარგი, არავის დაუნახავს!

შეეჩვია ქებას. ზედმეტმა ტკბილმა მოყირჭება იცის. თუ ვინმე გაახსენებდა „რიცხვნიშნობას“ (ყველა ასე ეძახდა შემოკლებით), სახელისა და დიდებისაგან დაღლილი ადამიანის გამომეტყველებით თავს ოდნავ დაუქნევდა და ამოიხვნეშებდა, აქაოდა, მე არაფრად ვაგდებ ჩემს ნაშრომს, თქვენ რაღამ გადაგრიათო. ამით იმის თქმა უნდოდა, ეს რაა, ამიერიდან რასაც გავაკეთებ, ის ნახეთო. მართლაც უნდოდა დაეწერა ორიოდ სტატია ან ნარკვევი. დაბეჭდვა ნაღდად არ გაუჭირდებოდა. პირდაპირ გაზეთის ან ჟურნალის რედაქტორთან შეაფრიალებდა და რიხით ეტყოდა: „ჯუმა ბედია!.. ჩემი სახელი არაფერს გეუბნებათ?.. მე ავტორი გახლავართ „რიცხვნიშნობისა“, რომელმაც ეგზომ დიდი გამოხმაურება პოვა საზოგადოებაში!“ სამწუხაროდ, არ იცოდა რაზე ეწერა და ოხრავდა, ეს რა უპრობლემო საუკუნეში დავიბადეო.

კვირის თავზე ამინდი შეიცვალა. გადაუღებლად წვიმდა. კაცს ქუჩაში ცხვირის გაყოფა დაეზარებოდა და ამ დროს დარეკეს. ტელეფონში პირველი ხმას არ ამოიღებდა, ეშინოდა ბატონმა გივიმ არ დამირეკოსო. იქნებ ხმაზე ეცნო, ვინაც საქმე საინფარქტოდ გაუხადა. ამიტომაც გაწვალდა და საბოლოოდ შესჯავრდა ბატონი გივი. „უგემოვნო მეანეკდოტეს“, „პროფანს“ ეძახდა, ცხადია, გუნებაში... ჯუმამ ყურმილი აიღო და ჩაახველა. კვინტილიანე რეკავდა, შენი მოთხრობების ანაბეჭდები მზადაა, თუ გსურს ჩაიკითხეო. „გამოვივლი ნაშუადღევს“, — დაჰპირდა ჯუმა.

ათიოდე დღე და მისი მოთხრობები დღის სინათლეს იხილავდა. ვერ გარკვეულიყო, უხაროდა თუ არა. ბოლო წლებში ერთი სიტყვაც არ დაუწერია. იმედს მაინც არ კარგავდა, დამაცადეთ, რაიმე გენიალურს მოვიფიქრებო. გენიალური აზრი არ იბადებოდა, დრო კი მიდიოდა და მიდიოდა... კვლავ „რიცხვნიშნობა“ გაახსენდა. უჯრიდან ამოიღო და გადაშალა.

დიდხანს უყურა ლამაზი ქართული ასოებით გამოყვანილ სახელსა და გვარს. ვერაფერი იგრძნო, ვერც სიხარული, ვერც წუხილი, სიმიც არ დარხეულა სულის სიღრმეში... მართლა აინტერესებდა ვითომ ეს პრობლემა? კითხვა დაიწყო და პირველმავე ფრაზამ სირცხვილისაგან სახე აუწვა... თავს ძალა დაატანა, დაძაბული ყურადღებით კითხულობდა. თანდათან უხერხულობის მწვავე გრძნობა ეუფლებოდა. ასეთი რამ ესტუმრება მსმენელს, როცა ვიღაცა ყრუ, ჩახლეჩილი ხმით დაიწყებს ოპერის სცენაზე ტენორის პარტიის შესრულებას... სისულელე და არაფრისმთქმელი იყო ყოველი ფრაზა, პრობლემა კი ყურით მოთრეული... „მაშ, რად მაქებენ, რად მეფერებიან? – გამწარებულმა გაზეთი მობღუჯა, ნაფლეთებად აქცია, სანაგვეში გადაუძახა, – დამცინი ხომ, ბესო ბანძელაძევ? ყველანი დამცინით, არა? მამასხარავებთ, ხომ?..“ – ფიქრში მძვინვარებდა და სული კვლავ ბოროტებით ევსებოდა. მხოლოდ ძმა ყოფილა პირუთვნელი, მშობელი ძმა. „ტატო რომ ყოფილიყო?“ – გაუელვა ანაზდად. ცივმა ოფლმა დაასხა. „ახია, ახია ჩემზე! – შუბლზე ხელები შემოიწყო და გაილურსა, – ახია, ახია ჩემზე!..“

„წავალ „პეგასში“ და ჩემს მოთხრობებს ამოვაგდებინებ, ისინი უფრო შემარცხვენენ!“ – მტკიცედ გადაწყვიტა.

წვიმას გადაელო. სუსტი ნიავი ტოტებიდან წვეთებს ბერტყავდა.

მანქანები ტროტუარებზე ასხურებდნენ ჭუჭყიან, ნაწვიმარ წყალს.

წინ მიმავალ ბრბოში მაცაცუნას ზურგი იცნო. ფეხდაფეხ მიჰყვა და მიეწია.

— ესმა, გამარჯობა! – მკლავზე ხელი წაატანა.

მაცაცუნამ გაკვირვებით მოჰხედა, წარბები აწკიპა, მკლავი განზე წაიღო, რათა ჭაბუკის ხელი მოეშორებინა.

თვალს არ დაუჯერა ჯუმამ. ასეთ გასაოცარ მეტამორფოზას ვერც კი წარმოიდგენდა. ხომ არ შევცდიო, შეყოყმანდა. გოგო, ვისი მკლავიც თამამად ჩაებღუჯა, მაცაცუნა იყო და არც იყო. მის ნაკვთებში მზიას მშვენიერ ნაკვთებს პოულობდა და ეს შეხამება დამაბრმავებელ სიმშვენიერეს ანიჭებდა ამ ცით მოვლენილ არსებას.

— აჰ, ჯუმა, როგორ შემაშინე! – გულცივად თქვა გოგომ და გზა განაგრძო.

— ესმა, მოიცადე, რა დაგემართა?! – ისევ წამოეწია ვაჟი და უჩვეულო მორიდებით გაჰყვა გვერდით.

მაცაცუნას ხმა არ ამოუღია. ყელმოღერებული მიდიოდა. ხორბლისფერ ღაწვებზე სიწითლე მოსდებოდა და ეს ფერი ძვირფასი თოჯინის ოსტატურად შერჩეულ ფერსა ჰგავდა. შიში და აღტაცება ერთად დატრიალდა ვაჟის გულში.

— ესმა, ხმა გამეცი! თუ არ გინდა, მითხარი და გაგშორდები! როდის იყო კისერზე გეკიდებოდი?

მაცაცუნა შედგა, ცივი ღიმილით ახედ-დახედა ჯუმას, ზურგი უსიტყვოდ შეაქცია და გაშორდა.

თავგზააბნეული ვაჟი ადგილზე დარჩა, შორიდან უყურებდა, რა დიდებულად მიარხევდა მაცაცუნა მოხდენილ მხრებსა და თეძოებს.

ცოფი გულში ჩაიმწყვდია, დენთით სავსე კასრს დაემსგავსა.

„ქუჩის ქალი! გამყიდველი! მოღალატე!..“ – ილანძღებოდა გზადაგზა. გუნებაში ათასნაირ სასჯელს იგონებდა მაცაცუნასათვის. ინკვიზიციის დილეგების ყველა წამება გაიხსენა, კმაყოფილი მაინც არ იყო.

თანდათან დამშვიდდა.

„პეგასის“ რედაქტორთან ძველი ძმაკაცივით შევიდა. ბატონ გივის თვალები მთლად ჩასცვენოდა. „დიდხანს ვერ გასტანს, — დაასკვნა ჯუმამ, — ვაითუ მიხვდა, რომ მე დავურეკე!.. მაშინ ხომ ყველაფერი დაიღუპება!“ ნანობდა იმ ანგლობას, თუმცა ბატონ გივის ეჭვის ნატამალიც ვერ შეატყო. იგი მისუსტებული ხმით ყვებოდა უკბილო ანეკდოტს. კაბინეტში მყოფი კვინტილიანე და მდივანი ქალი ნაძალადევად ქირქილებდნენ.

ჯუმამ ანაბეჭდები წამოიღო, ხვალისათვის წაკითხულსა და

გასწორებულს მოგართმევთო, დაიბარა. მადლიერებისაგან სულ თაფლად იღვრებოდა, იატაკს თავს ურტყამდა. საკმარისი იყო ენახა ტექსტის ანაწყობი, უმალ გადაავიწყდა წეღანდელი გადაწყვეტილება, მოთხრობებს არ დავბეჭდავო...

კაბინეტში ჩაიკეტა. დიდხანს კითხულობდა და ასწორებდა კორექტურას. ხან აღტაცებაში მოჰყავდა საკუთარ ნიჭიერებას, ხან გულმდუღარედ მოისროდა ფურცელს, რადგან, რაც იქ ეწერა, არაფრად ვარგოდა... წუთის შემდეგ მუხლებზე დაფორთხავდა და კრეფდა იატაკზე გაბნეულ ქაღალდებს.

ეჭვებმა შეაწუხა, ალბათ „პეგასელებიც“ დამცინიანო.

ტელეფონს დახედა. რევოლვერსა ჰგავდა, რომლიდანაც ტატოს ესროლა.

ყურმილი აიღო და ნომერი აკრიფა. გულს ბაგაბუგი გაუდიოდა.

— გისმენთ!.. ალო, გისმენთ!.. – მოესმა ჩვეული ხმა.

— შენ ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ? ინფარქტს გადაურჩი, არა? – ხრინწიანი ხმით ჩასჩხავლა.

— რა გინდა, რა გინდა, რა გინდა?! – ისტერიულად იკივლა იმ ბოლოს ხმამ და უცებ ჩურჩულით დაამთავრა: — რა გინდა, რას გადამეკიდე? – მერე სწრაფი სიგნალები გაისმა.

ჯუმას ხელი გაუშეშდა. მერე ყურმილი ფრთხილად დადო, თითქოს ხელყუმბარა ყოფილიყოს და შეიძლებოდა აფეთქებულიყო.

ფიქრი არაფერზე უნდოდა. ნელა ადგა, ფეხაკრეფით გავიდა კაბინეტიდან და კარი გაიკეტა...

თავი IV. მაჩუქე სიცოცხლე

უბედურების იმ დღემ ზღვარი დადო, მზიასათვის ყველაფერი გათავდა. არსებობამ თითქოს აზრი დაკარგა. ცოტა ხნით ადრე კი თავს იმ ასაკში გრძნობდა, როცა ჯერაც ბავშვობა არ დამთავრებულა, მაგრამ ქალიშვილობამაც კარზე მოუკაკუნა. ბავშვებთან მეგობრობდა. ხანდახან ეზოში ჩაირბენდა, პატარების მარაქაში გაერეოდა, მათთან ერთად თამაშობდა. ამირანი უწყრებოდა, ალ-

ვის ტოლა გაიზარდე და ჭკუით ამ გიგო-ბიჭს როგორ ვერ გაასწარიო. ყველაზე მეტად სწორედ გიგო-ბიჭი უყვარდა. ისიც გრძნობდა ამას, ლეკვივით კუდში დასდევდა, თუმცა უკვე „დეიდას“ ეძახდა. უცბად, შუა თამაშის დროს მზიას მოაგონდებოდა, რომ ის დიდია, უკვე ქალიშვილია, უკვე შეყვარებულია, მაშინათვე დადინჯდებოდა და ბავშვებს გამოეთიშებოდა. გიგო-ბიჭი გამოუდგებოდა, „მზია დეიდა, არ წახვიდე რა, ვითამაშოთ!“ მზია კი თითებს თმებში შეუყოფდა, ხუმრობით მოქაჩავდა, საქმე მაქვსო, ხომ იცი, დიდები რა საქმიანი ხალხი ვართო და შინ ამოვიდოდა. იქ კი დადგებოდა სარკის წინ, ერთხელაც დარწმუნდებოდა, რომ უკვე ქალიშვილია, სიდინჯე მართებს. იმდენს ტრიალებდა სარკესთან, ბუბა დასცინოდა, შინ როცა არა ხარ, სარკეში შენი ლანდი მაინც ჩანსო. ამირანი კი ემუქრებოდა, ამ სარკეს ჩამოვხსნი და ჩემი სიდედრივით წყლით სავსე ტაშტში იყურეო.

მერე, მაცაცუნა რომ დაასაჩუქრა, იმის შემდეგ, სარკე არაფერში ჭირდებოდა. აითვალისწუნა, რადგან საკუთარი გარეგნობა შესჯავრდა. ერთადერთი, სიცოცხლელა შერჩენოდა, არაფრისმაქნისი, მოსაწყენი, უგულო. დაჯდებოდა ფანჯარასთან და ეზოში იყურებოდა, სადაც პატარები კვლავინდებურად ხალისიანად ყირაზე გადადიოდნენ. ეს იყო, იმ ბავშვებში გიგო-ბიჭი არ ერია. გიგო-ბიჭი ავად გამხდარიყო. მისი დარდით ზაზუნაც კი ჩამოდნა, უბედურებამ გაალამაზა. ნორა მთელი დღე გადმომდგარიყო აივანზე და უსასოოდ ტიროდა, გინდა თუ არა, მე დავღუპე ჩემი ბიჭიო.

უყურებდა ყოველივე ამას მზია და გული სევდითა და ტანჯვით ევსებოდა. გრძნობდა, ესეც მახე იყო, მის წინააღმდეგ დაგებული. არ ძალუძდა გვერდი აექცია ამ მახისათვის. ეშინოდა, რომ ბოროტებასთან ჭიდილს გიგო-ბიჭი უდანაშაულო მსხვერპლად შეეწირებოდა... თანდათან მის გონებაში გამოიკვეთა გადაწყვეტილება და ერთ დღეს, როცა მიხვდა, მეტის დაყოვნება არ შეიძლებაო, მაგიდაზე წერილი დატოვა, ზედ ორად-ორი სიტყვა ეწერა: „მაპატიე, მამიკო!“

მერე ქვევით ჩავიდა. ნორასათვის არაფერი უთქვამს, პირდაპირ შეაღო ავადმყოფის ოთახის კარი.

ბავშვს თითქოს ეძინა, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

— შემოდი, დეიდა მზია!

მოულოდნელობისაგან გული გადაუქანდა, გიგო-ბიჭის ხმა სუსტი ფაჩუნივით მოისმა.

— აღარ გძინავს?

— ახლოს მოდი. თვალს კარგად ვერ ვახელ. ვიცოდი, მინახულებდი...

მზიამ სკამი უხმაუროდ მოიჩოჩა, ჩამოჯდა.

— მეგონა, გეძინა. ბევრს ნუ ილაპარაკებ, დაიღლები.

— არ დავიღლები... ზოგჯერ განგებ ვიმძინარებ თავს... დედიკო სულ ტირის და ტირის, არ შემიძლია...

— თავს როგორა გრძნობ? – მზიამ ენას კბილი დააჭირა, კითხვა უადგილო იყო.

— რა ვიცი. ასე მგონია, სულ სიზმარში ვარ... არაფერი არ მტკივა, უბრალოდ, ვიძირები, ვიძირები... მერე რაღაც სიმღერა მესმის... გოგონების გუნდი შეყრილა, ჭრელი კაბები აცვიათ, ეგებ ფრთებია... დაფარფატებენ და ნაზი ხმით მღერიან... ზანზალაკები გეგონება...

— ხომ არ დაიღალე?

— არა... ვიცოდი, დეიდა მზია, რომ მოხვიდოდი... გუშინაც ხომ იყავი, გუშინწინაც... ჩამოჯდები ხოლმე ჩუმად... მე კი თვალს ვერ ვახელ და მაინც გხედავ...

მზია გაწითლდა, ხმა ვერ ამოიღო.

— შენ ძალიან ლამაზი ხარ, დეიდა მზია, ოღონდ დამიჯერე, იმას ნუ გაყვები...

— ვის, გიგო-ბიჭი, არაფერი მესმის?

— ჩემს აივანზე რომ ცხოვრობს... შენ ყველას უყვარხარ, მაგრამ ის საშინელია... აივანზე რომ ჩაივლის, ვგრძნობ, სადღაც გოგირდი იწვის...

— გაჩუმდი, გიგო-ბიჭი, დაიღლები.

— ოღონდ არ წახვიდე რა, დეიდა მზია, გეხვეწები... იმდენ სისულელეს ვლაპარაკობ, ალბათ მოგწყინდა... მეტს არაფერს ვიტყვი... შენი ხელი სად არის? ხელს ვერ ვხედავ...

მზიამ ახლაღა შეამჩნია ბიჭის ფერმკრთალი ხელი, საბანზე

უღონოდ ესვენა. ხელისგული დააფარა, მოეფერა. გიგო-ბიჭმა სუსტად მოუჭირა.

— დეიდა მზია, პიანინო სადა დგას, გაიტანეს?

— არსადაც არ გაუტანიათ, აგერა დგას, მაგრამ გიგო-ბიჭს შეაწუხებსო... ყველა ამბობს, გიგო-ბიჭი პიანინომ დაღალაო...

— არავინ არაფერი იცის... მაგათ ჰგონიათ... იცი, დეიდა მზია? დედიკო რომ მაძალებდა, ისე მძულდა, ისე მძულდა... ვიფიქრე, ნაჯახს ავიღებ, დავჩეხავ და გავიქცევი-მეთქი... ახლა კი, როგორ გითხრა, მინდოდა კალამი ამეღო, სანოტო ქაღალდზე დამეწერა... აი, ის... არ ვიცი რა იყო... მელოდია, პიესა... ღონე არ მეყო, კალამი გამივარდა...

— როცა გამოჯანმრთელდები, ადგები, ღონეც მოგეცემა და დაწერ, — ცრემლის წვეთი შეუმჩნევლად მოიწმინდა მზიამ.

— წამოვდგები კი არა... შენ ტირი და...

— მე არ ვტირი, რა მაქვს სატირალი, რაღაც ჩამივარდა თვალში.

— ვეღარ წამოვდგები, დეიდა მზია, ღონე არა მაქვს... თანდათან ვსუსტდები, ვსუსტდები... სულ მეძინება... მერე ჩავიძინებ და... მე არ მეშინია, მაგრამ დედა...

— სულელო ბიჭო, გაჩუმდი, გაჩუმდი! – დაიხარა და უღონო ხელზე აკოცა.

— დაუკარი, დეიდა მზია, ექიმი მიკრძალავს, შენ კი მაინც დაუკარი... რამე სერიოზული...

მზიამ პიანინოს სახურავი ახადა. იმ საშინელი დღიდან, როდესაც ვაკის პარკიდან ამირანმა შინ უგონო მოიყვანა, მისი თითები არ მიჰკარებია კლავიშებს, თუმცა სულში მუდამ რეკვიემი ჟღერდა. ახლა კი არ შეეძლო, არ ჰქონდა უფლება, სევდა შემოეტანა ამ ოთახში... თითები შეახო კლავიშებს და ჰაერში დაირხა ნაზი ბგერები, მშვენიერი ყვავილი მუსიკის ყვავილნარიდან, ღვთაებრივი შოპენი...

ქალბატონმა ნორამ შემოიხედა. გაოგნებულმა შეხედა ჯერ მზიას, მერე ბავშვს. ეშინოდა მუსიკისა, რომელიც თურმე მის ბიჭს კლავდა. წყევლიდა იმ დღეს, როცა გიგო-ბიჭი ძალათი, ცემატყეპით დასვა პიანინოსთან და დაიფიცა ან „კამპაზიტორს“ გავხდი, ან არ ვაცოცხლებო.

მზია მიხვდა, ვიღაც შემოვიდაო, და დაკვრა შეწყვიტა. თავდახრილი იჯდა და ელოდა საყვედურს.

— რა მოხდა, დეიდა მზია? – სუსტი ხმით იკითხა ბიჭმა, – რატომ შეწყვიტე?

— შენთვის მავნებელია, შვილო, დაიღლები, — საბანი შეუსწორა ნორამ.

— შენა ხარ, დედიკო? ცოტახნით დაგვტოვე, რა? ბოლომდე მომასმენინე!

— კარგი, შვილო.

ქალბატონმა ნორამ კარი ჩუმად გაიხურა.

— თავიდან დაუკარი, დეიდა მზია.

მზია დაემორჩილა. თითები სულის სიმებს ეხებოდა სათუთად და ოთახი ივსებოდა ჰაეროვანი ბგერებით... ცხოვრება მშვენიერია, ლამაზი, ოღონდ ოდნავ სევდიანიც... წამით დაავიწყდა, სად იმყოფებოდა, რატომ და ვისთვის უკრავდა... შეეძლო ოდნავ აეჩქარებინა, მეტი სიხარული შეეტანა და მუსიკაც ხალისიანი იქნებოდა, მაგრამ ვერსად გაქცეოდა უნებლიე სევდას და როდესაც ოთახში დაირწა, დაფარფატდა ბოლო აკორდი, რომლის შემდეგაც სულში ისევ და ისევ გრძელდებოდა სიმების თრთოლვა, კარგა ხანს იჯდა კლავიშებზე დახრილი. ბავშვის ხმამ გამოიყვანა უცნაური ზმანებიდან.

— დეიდა მზია, შენ ბედნიერი უნდა იყო, შენ კი არა ხარ ბედნიერი.

მზიამ ნაძალადევად გაიცინა, წამოდგა და კედლის სარკეს შეავლო თვალი.

ამოიოხრა. დაიხარა ბავშვისაკენ, მის ულონო ხელს შეეხო.

— გიგო-ბიჭი, რას ინატრებდი, ყოვლისშემძლე რომ ვიყო?

გიგო-ბიჭმა სუსტად გაიღიმა.

— შენ რომ კეთილი ფერია იყო, დეიდა მზია, შენ რომ ჯადო გქონდეს...

— მაშინ?

— გეტყოდი: მაჩუქე სიცოცხლე!

მზიას სუნთქვა შეეკრა. ვაითუ ტყუილუბრალოდ აღელვებდა ბავშვს, ვაითუ ის გაუგებარი ძალა, რამაც მას წაართვა სილამაზე, უკვე არ არსებობს. მაშინ ჯობდა ხმა არ ამოეღო, არაფერი შეეთავაზებინა.

დაიხარა, ბავშვს სიცხიან ლოყაზე აკოცა და წასჩურჩულა:

— ჩემი ძალ-ღონე შენ, შენი ავადმყოფობა მე... ჩემი ჯანმრთელობა შენ...

სიტყვა ბოლომდე არც დაემთავრებინა, ვიღაცამ კედელს მიღმა იქედნურად ჩაიხითხითა და გოგირდის სუნი დადგა.

მზიამ იგრძნო, რომ თავბრუ ეხვეოდა. ხელები ჩამოუცვივდა, მუხლის ძარღვები დასწყდა, ერთიანად მოთენთილი და უღონო პირდაპირ იატაკზე დაეშვა. სადღაც გადაქანდა ჭერი და კედლები, იატაკი დაირწა აკვანივით, ბავშვის კივილი მოისმა შორი, ბნელი უფსკრულიდან. წამწამები ვერ აზიდა, თვალი დახუჭა...

თავი V. „იცნობდეთ, ბედნიერი ჯუმა ბედია!“

მოთხრობები დაიბეჭდა. ჟურნალი „პეგასი“ ვერ იქნა, ვერ გასაღდა. კიოსკებში მთელი თვე ეყარა. ჯუმა ბედია ყოველდღე თითო ცალს ყიდულობდა, ჯიბეში გაიჩრიდა, თანაც ისე, რომ ჟურნალის სახელწოდება კარგად გამოჩენილიყო. სამსახურში საწერ მაგიდაზე გადაშლიდა, ეფერებოდა საკუთარი სახელისა და გვარის ანაბეჭდებს. კითხვით კი არ კითხულობდა. თვითონაც არ იცოდა, რატომ ვერ ბედავდა. მთელი დღე მეტს არაფერს აკეთებდა. ნაცნობებიცა და უცნობებიც, რომელთაც ათასი სათხოვარი ჰქონდათ განყოფილების გამგესთან, მოჰკრავდნენ თვალს გადაშლილ ჟურნალს და ძალაუნებურად, იქნებ ჩვენი საქმეც წინ წავიგდოთო, თავის მოქონვას უწყებდნენ, ავტორს არწმუნებდნენ, მსგავსი რამ დიდი ხანია არ წაგვიკითხავსო. ჯუმა სერიოზული სიფათით ერთ-ორ ადგილს გადახაზავდა, აქაოდა არ მომწონსო, რაც თავმდაბლობად ეთვლებოდა.

— რა ვიცი, რა ვიცი, — წუწუნებდა ქვეყნის გასაგონად, — ბევრი ნაკლი აქვს ჩემს მოთხრობებს. რა ვქნა, საჟურნალო ვარიანტია. წიგნისათვის დავხვეწავ და ის იქნება... ეს მაინც განვლილი

ეტაპია, დღეს მე სხვა რამე მიტაცებს. მასშტაბური რომანი უნდა დავწერო, ეპოპეა, ტეტრალოგია და არანაკლებ... მთელი ჩვენი ცხოვრება უნდა ავსახო, გლობალურად. ეს საუკუნე, აი, ასე მიდევს ხელისგულზე... აბა!

ასეთი გრანდიოზული გეგმა ყოველ მსმენელს თრგუნავდა და პატივისცემის გრძნობით მსჭვალავდა. მის ჩანაფიქრზე ნაირ-ნაირი ჭორი ვრცელდებოდა. ისინიც კი, ვისაც მისი მოთხრობები არაფრად ეპიტნავა, ვეღარ ბედავდნენ აზრის გამოთქმას. მითქმა-მოთქმა ჯუმას ყურამდე აღწევდა და დღე განცხრომაში გადიოდა. საღამოს კი, კვირაში ერთხელ მაინც, ავტომატიდან ურეკავდა „პეგასის“ რედაქტორს: „კვლავ ცოცხალი ხარ? აღარ ჩაძაღლდი? ინფარქტმა არ მოგიღო ბოლო?..“ შედეგზე არ ფიქრობდა. ორი-სამი დღის შემდეგ მიაკითხავდა „პეგასის“ რედაქციას, სადაც საკმარისად გაშინაურდა. ანეკდოტებს თამამად ყვებოდა. ჭადრაკს თამაშობდა შაურიანზე და ყველასთან იგებდა, გარდა რედაქტორისა, ვისაც ათასნაირი თითლიბაზობით ხიბლავდა. ორი შაურის მოგებით გაბედნიერებული გივი შესჩიოდა, ვიღაცა უსინდისო არ მასვენებს, ტელეფონით მირეკავს და მემუქრებაო.

— მტერი მყავს, ბატონო, მტერი! ვიცი მე, ვინც არის! მე მითხრის ორმოს და თვითონვე ჩავარდება შიგ!.. – შუბლს მოისრესდა, რადგან ბოლო დროს შაკიკი მოუხშირდა.

— ყოველ კაცურ კაცს ჰყავს მტერი, ბატონო გივი. თქვენი ბარიკადაა თქვენი თანამდებობა, უნდა გაუძლოთ მტრის შემოტევას!

— მე კი ვუძლებ, მაგრამ ეს ოხერი გული... – „პეგასის“ რედაქტორი მკერდზე მიიკაკუნებდა და ჯუმას ეცოდებოდა კიდეც.

საღამოობით ფეხით დასეირნობდა. „ეს ჩემი რაციონია, — ეტყოდა გზად შეყრილ ნაცნობთ, — რა ვქნა, ძალიან ვიღლები, ლიტერატურული შრომა თავგანწირვას მოითხოვს!“

შინ დაბრუნების წინ, როგორც წესი, წააწყდებოდა ვინმე ჭკუით ბედნიერს, ვისაც ოღონდ დაბეჭდილი ტექსტი უჩვენე, ეგონება, ღვთიურ ჭეშმარიტებას ეზიარაო. წარწერით აჩუქებდა ჯიბეში თრევით შელახულ ჟურნალს, ჩემს უძვირფასეს მეგობარსა და დამფასებელს ასე და ასე, ავტორისაგანო...

სამსახურში სიტყვას ხომ უბატონოდ ვერავინ სცემდა, შინ

მეზობლები მოწიწებით ექცეოდნენ, აქაოდა, ჩვენს სახლში მწერალი ცხოვრობსო, თანაც „ცნობილიო“, მთელ ქალაქში გაფანტულ ნაცნობ-მეგობრებში ესღა ჰქონდათ სალაპარაკო. საქმე იქამდე მივიდა, ხალხი აკითხავდა, ცნობილი კაცი ხარ, დაგვეხმარეო. ჯუმა ყველას თავს უკანტურებდა, „თუ შევძელი, ძალას არ დავიშურებო“, — პირდებოდა და არაფერს აკეთებდა... სად სცალოდა ასეთი წვრილმანებისათვის!

ზოგჯერ კაჭუჭია მოენატრებოდა. ძმური სიყვარულის შემოტევები ისევე იშვიათად მოსდიოდა, როგორც თავის ტკივილი, ბუნებით ხომ ჯანმრთელი იყო... კარზე დაუკაკუნებდა. კაჭუჭია აივანზე გამოდიოდა და იქ საუბრობდნენ, შინ ერთხელაც არ შეუწვევია კაჭუჭიას უფროსი ძმა... დამფრთხალი ჩანდა, ძმას გადაუკრა, ეგება გავბედო და ცოლი შევირთოვო. ჯუმას ვერც წარმოედგინა ცოლიანი კაჭუჭია, თავის შეწუხება შეეზარა და არ ჩასძიებია.

ეზოში ბავშვებს კამფეტებს ურიგებდა. ქალაქელი ბავშვების თავგასული სითამამე და აუტანელი ჟრიამული ეჯავრებოდა, მაგრამ ამას არ ამჟღავნებდა. ვითომდა პატარებზე ვგიჟდებიო, ტურტლიან ლოყებზე კოცნიდა, მერე ჩუმად იწმენდდა ტუჩებს. ბავშვებს კი მისი დამწვრის სუნი აწუხებდათ და გაურბოდნენ, სუნიანი მოდისო, — ერთმანეთს გადაუჩურჩულებდნენ და მიმოიფანტებოდნენ. მის ნაჩუქარ კამფეტებს კი ჩუმად ურნაში ყრიდნენ.

შაბათ-კვირაობით საქმე არაფერი ჰქონდა. ძილისა და უსაქმურობისაგან დაღლილი მთავარ პროსპექტზე მიდიოდა გასასეირნებლად. რუსთაველის პროსპექტი უყვარს-თქო, რომ ითქვას, უჩვეულო ამაში არაფერია, მაგრამ ჯუმას იგი რაღაცნაირად მტკივნეულად იზიდავდა. პუშკინის სკვერიდან რუსთაველის ძეგლამდე გავლას ხუთ-ექვს საათს ანდომებდა. გაზეთის ყველა კიოსკში შეჰყოფდა თავს, წყლის ყოველ ჯიხურთან ჭიქას დაცლიდა. მუზეუმთან მეტხანს ტრიალებდა, ეგებ ვინმემ შემამჩნიოსო (მერე იმასაც ამბობდნენ დღე და ღამე მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში იკარგებოდაო). კინოთეატრ „რუსთაველთან“ მავან ნაცნობს გამოიჭერდა და ლიტერატურის კარდინალურ პრობლემებზე გამართავდა მსჯელობას და, რასაკვირველია, ქართულ კინოს ზედ მიალანძღავდა. გალერეაში თუ გამოფენა იყო, აუცი-

ლებლად შეივლიდა. ფერწერა ძილსა ჰგვრიდა, მაინც რეპლიკებს ისროდა ფერზე, კომპოზიციაზე, მანერაზე, სკოლებზე და ა.შ. ერთი საათი რუსთაველის თეატრთან დაეყუდებოდა, მეორე კი – ოპერასთან. არც იქ დადიოდა და არც იქ, მაგრამ იმდენჯერ უნახავთ ამ შენობების წინ, თეატრალის სახელი დაუმკვიდრდა. „აჰ, თეატრი ჩემი სისუსტეა, — იტყოდა ხოლმე ნაცნობთა წრეში, — თუ მოვიცალე, ტრაღედია უნდა შევთხზა... ღმერთო, რატომ არ დავიბადე მუსიკოსად, ისეთ ოპერას შევქმნიდი...“ მერე ამბობდნენ, ჯუმა ბედია ტრაგედიას წერსო. ზემელის უსაქმურებმა გამოუგონეს კიდეც – „დამიდექ, უილიამ შექსპიროო!“ არც წიგნის მაღაზიებს აკლებდა ყურადღებას, საათობით ფურცლავდა ახალ წიგნებს. გამყიდველებთან ისე გაშინაურდა, არც არასოდეს ყიდულობდა რამეს, მაგრამ პირველ კლიენტად ითვლებოდა. რესტორნებს თავს არიდებდა, დღეს რომ დავლიო, ხვალინდელი დღეც გამიცდება და ამდენ დროს ვერ დავკარგავო. დემონსტრაციულად ჯდებოდა კაფე „ნარგიზში“ და მიირთმევდა ბლინებს, ხაჭომწვარსა და ორ ჭიქა მაგარ, უშაქრო ჩაის...

ზურგსუკან ხშირად ესმოდა ჩურჩული: „ნუთუ არ იცნობთ? ეს ხომ ჯუმა ბედიაა!“ ისიც იფერებდა, თუმცა ეცოტავებოდა კი. გამვლელთ თვალებში შეჰყურებდა, ვინმე ხომ არ მომესალმებაო. თუ ოდნავ თავს დაუქნევდნენ, უმალვე ღრმა სალმით პასუხობდა. იმდენ სალამს არიგებდა, ბოლოს თვითონაც ირწმუნა თავისი პოპულარობა.

პროსპექტის ბოლოს რომ გავიდოდა, ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

დიდების ნაყოფს იმკიდა ბედნიერი ჯუმა ბედია... ასედაც ესმოდა ყოველ ნაბიჯზე: „გაიცანით, ბედნიერი ჯუმა ბედია!“

* * *

კაბინეტში ჯანო ჩიკინტილაძემ შემოყო თავი. ჯუმა ბედიას არ გაჰკვირვებია, ელოდა მის მოსვლას. არ მოუხმია, არ შეუთვლია, მოდიო, მაგრამ შეუძლებელი იყო ჯანოს დაკარგვა. ის აუცი-

ლებლად უნდა გამოჩენილიყო.

ჯუმამ ქაღალდები გასწია, სავარძლის ზურგს მიეყრდნო და უხმოდ მიაჩერდა ჯანოს თავს, რადგან ტანი ჯერ კიდევ არ ჩანდა.

ერთხანს ასე უყურეს ერთმანეთს. ორივე ფიქრობდა, ესმის თუ არა ჩემი ზრახვები მეორესო.

ჯანომ ჩაიხითხითა და უმალვე ხმა ჩაიწყვიტა.

ჯუმამაც ჩაიხითხითა, სახიდან სერიოზული ნიღაბი კი არ მოუხსნია.

ჯანომ ცოტა უფრო ხანგრძლივად ჩაიხითხითა, ყური მიუგდო, ჯუმა ბედია რაღას იზამსო.

მანაც მთელი წუთი იხითხითა და გაჩუმდა.

მაშინ ჯანო კარის ღრიჭოში შემოძვრა, ფართოდ გაღება ვერ გაბედა, სწრაფად მიკეტა ზურგით, მაგიდასთან მიიჭრა და ახლო მანძილიდან დაიწყეს ერთურთის თვალერება.

უცბად ორივემ გადაიხარხარა. ჯანომ მხარზე ძმაკაცურად დაჰკრა ხელი. ამისათვის კინაღამ მაგიდაზე მოუწია გაწოლა, რადგან ვეღარა სწვდებოდა. ჯუმამაც მოასწრო და საპასუხოდ ღონივრად უთავაზა.

— გასაგებია? – უკვე წარბშეკრულად იკითხა.

— გასაგებია! – მოკლედ უპასუხა ჯანომ.

— როდისთვის იქნება მზად?

— უკვე მზადა მაქვს! – ჯანომ თაბახების მთელი შეკვრა ამოიღო, – რამდენიმე ვარიანტად გავაკეთე. ერთი ჩვენი გაზეთისათვის, არ ვიცი ბესო რას იტყვის. ერთი სარეკლამო ბიულეტენისათვის. ერთიც საღამოს გაზეთისათვის, იქაც მგონი გამოვა რამე... დიდ გაზეთებში მერიდება...

— ჰმ, იმათთვისაც მოამზადე, ეგებ გამოგვივიდეს. თუ არა და რას ვკარგავთ? ბესოს მე დავურეკავ, უარს ვერ მეტყვის... თუმცა ახლავე...

ნომერი აკრიფა, დაკავების სიგნალი მოესმა და ყურმილი დადო.

— მერე დავურეკავ, მიჩვენე ერთი ცალი!

— ხომ იცი, პირდაპირი კაცი ვარ! – ნაჩქარევად თქვა ჯანომ, – მიეთ-მოეთები არ მიყვარს. არც პირში მოვეფერები ვინმეს. კრი-

ტიკოსისათვის მთავარია პირდაპირობა...

— ვიცი, ვიცი, ჰმ...

ჯუმამ სწრაფად ჩაათვალიერა და აქა-იქ ამოიკითხა: „დიდი ხანია ასეთი სიამოვნება არ მიგვიღია...“ „ეს პირველი მერცხალია დიდი ძვრიდან, რაც ლიტერატურაშია მოსალოდნელი...“ „ჩვენი დიდი იმედები რომ გამართლდება, ამის საწინდარია ის ნიჭიერება...“ „ჯუმა ბედიას ფრაზა...“ „ბედიას თვითმყოფადი სტილი...“ „თემატიკა მოიცავს გლობალურ პრობლემებს...“ „მარადიული პრობლემები მოცემულია ისეთ მხატვრულ დონეზე, რომ...“

გემოს უსინჯავდა ფრაზებს, თან ბუტბუტებდა:

— ყოჩაღ, ყოჩაღ ჯანო!.. კაცი ხარ კაცური!.. როგორ გიჭრის, ბიჭო, კალამი!.. ვაჰ, ვაჰ, საიდან ამდენი!.. რას არ დაწერენ ეს კრიტიკოსები!..

ბოლო აბზაცს დაადგა თვალი, არ მოეწონა: „ორიოდე მცირე შენიშვნა, რომლის გათვალისწინება ავტორს...“

— შენიშვნა კი არა, იხვის ტოლმა, მოაშორე აქედან!

— კი მარა, ჯუმა...

— რა მარა? მე შენზე მეტი შენიშვნები მაქვს, მაგრამ კი არ ვცდილობ ქვეყანას მოვდო!

— აქ მხოლოდ წვრილმანებზე ვლაპარაკობ...

— სულ ერთია, წვრილმანია თუ მსხვილმანი, ერთი ფასი აქვს. თუ წვრილმანია, რად იდებ თავს?

— ბატონი ხარ!

— ხვალ ჰონორარს ავიღებ და ერთად აღვნიშნოთ! – მოუთაფლა, რადგან ჯანოს უგუნებობა შეატყო.

— მე არა ვსვამ.

— ცოტა დალიე!.. ჰო, იმ კვირას გამოიარე, შენს წიგნზე მოვილაპარაკოთ!

— რა გაეწყობა, ოღონდ ღვინოს ნუ დამაძალებთ.

ჯანო ჩიკინტილაძე გამხიარულდა და ხელნაწერი აკრიფა...

* * *

ასე და ამგვარად ამაღლდა ბედნიერი ჯუმა ბედია... ერთხელაც შინ მარტო ბრუნდებოდა. იმ საღამოს ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეებთან მოუწყვეს შეხვედრა. იმდენი აქეს და ადიდეს, გული მთლად გაულხვა. ისევ და ისევ იხსენებდა სიტყვებს, ტაშს, შეძახილებს, მაამებლურ ჩურჩულს, გოგონათა ჟუჟუნა თვალებს... ყოველივე ამით მთვრალს სიმღერა მოუნდა და ცოტათი წაუღიღინა.

გვიანი იყო. იშვიათი გამვლელი გზას უთმობდა, ან მთლად მოპირდაპირე ტროტუარზე გადადიოდა. „მთვრალი ვგონივართ!“ – უფრო გამხიარულდა ჯუმა და ხმასაც მოუმატა: „ოდელია, დილოვდელა, ოდელია, რანუნი!..“

ტროტუარი ევიწროვა და შუა გზაზე გადავიდა. შუქნიშნის ქვეშ გაჩერდა, ხითხითი აუტყდა, თითებს ხრიდა და მოგება-წაგებას ანგარიშობდა. კარიერის ჭერამდე შორი იყო, მაღალი კიბე უნდა აევლო. „მოთხრობებს წიგნად გამოვცემ... რეცენზიებს ჩავაწყობ... დისერტაციას გავაკვარახჭინებ... კანდიდატობა... დოცენტურა... დოქტორობა... პროფესურა... თანამდებობები... მაღლა... მაღლა...“ – ეს ბოლო სიტყვები ხმამაღლა თქვა, რეჩიტატივით. „პირველი საფეხური განვლილია... კარგი სამსახური მაქვს, მაგრამ ჩემი ნიჭის პატრონისათვის ცოტაა... ცოტაა... „პეგასი“ თუ გავხედნე, აი, ღირსეული ასპარეზი!..“

აზრის ლოგიკა აქ გაუწყდა. ცხადი იყო, ბატონ გივის მასზე მეტი წონა და ავტორიტეტი ჰქონდა, ფიქრადაც არავის მოუვიდოდა თანამდებობიდან მისი მოხსნა... „უნდა მოახერხო!“ – უბრძანა თავს.

ტელეფონის ჯიხურში შევიდა. ორკაპიკიანი არა ჰქონდა, ორშაურიანი არ დაიშურა. დიდხანს ესმოდა გრძელი სიგნალი. იმედი გაუწყდა და ამ დროს ქალის ნამძინარევმა ხმამ ჩაიბუზღუნა:

— ვინა ხართ? რა მოხდა ამ შუაღამეს?

— ჩემი გივიკო შინ არის? – დედაკაცის ხმით ჩაიკნავლა ჯუმამ.

— ვინ ბრძანდებით?

— მისი პირველი ცოლი!

ყურმილში დუმილი ჩამოვარდა. მერე ჩხუბი და კინკლაობა

ისმოდა ცოტა ხანს, ოღონდ სიტყვების გარჩევა ჭირდა. ბოლოს ბატონ გივის გაღიზიანებული ხმა გაისმა:

— ვინ რეკავს?

ჯუმამ ხმა კვლავ შეიცვალა.

— რას აკეთებდით, ბატონო გივი?

— რას ვაკეთებდი და ვიწექი, გენაცვალე!

— კუბოში, ბატონო გივი?

იმ ბოლოს უცნაური ხრიალი გაისმა, კაცი ვერ მიხვდებოდა, თუ რა ხდებოდა. ტელეფონმა გაიჩხაკუნა, გამოირთო.

ჯუმა სიცილმა აიტაცა. დიდხანს იცინოდა ისტერიულად. ჯიხურის დამტვერილ მინაზე საკუთარ ლანდს შეჰყურებდა და მასთან ერთად იცინოდა. ჰზარავდა სიცილისაგან ორად გახეული პირი და ცოტცოტაობით შიში შეეპარა.

უცებ ხმა ჩაუწყდა. ვიღაცა იდგა ჯიხურს გარეთ. სახე მინაზე მიედო და ფართოდ გახელილი თვალები მისთვის მოეპყრო. დაღვრემილი პირისახე ეცნაურა ჯუმას, სადღაც აქამდეც ენახა.

ყელში ბურთი გაეჩხირა, გამოხეთქა ჯიხურის მინის კარი და თავზარდაცემულმა შინისაკენ მოკურცხლა.

თავი VI. „ჰეგასი“

მთელი ღამე შიშისაგან კანკალებდა. სარკმლისაკენ მიხედვას ვერ ბედავდა. ვიღაცის სახე ჩანდა, ვიღაცა ტროტუარზე იდგა და ვიწრო სარკმლიდან ოთახში იყურებოდა. უნდოდა წამომდგარიყო, ჩუმად გაპარულიყო აქედან, კაჭუჭიას კარზე დაეკაკუნებინა, მაგრამ დერეფანში გასვლას უფრთხოდა. ვაითუ იქაც გადაყროდა მავანს, იქნებ იქაც იყო ჩასაფრებული. თითქოს მართლაც ეპარებოდა კარს, იატაკმა გაიჭრიალა მსუბუქი ნაბიჯების ქვეშ, ვიღაცა ფრთხილად დაეჯაჯგურა სახელურს.

— ვინა ხარ, რა გინდა?! – იკივლა ჯუმამ.

ჩახჩახა ნათურა შუქსა ჰფენდა ოთახის ყველა კუნჭულს, ოღონდ კედლებიც ვერ იცავდნენ ჯუმას.

ტროლეიბუსმა ჩაიარა გუგუნით. ბუგელმა გაკვესა ჩვეულ ადგილას. პირველი გამვლელის ფეხსაცმელი აბაკუნდა ტროტუარზე.

„ნერვები, — თავს იმშვიდებდა ჯუმა, ნაძალადევად ხითხითებდა, — რა სისულელეა, სულ არ მივარგა ნერვები!”

ნათურა ჩააქრო და ლოგინში ჩაწვა. ქალაქში რიჟრაჟი შემოდიოდა, კვამლისფერი სინათლე აღწევდა სარკმლიდან და თანდათან იკვეთებოდა საგნები. მაჯის საათი წყნარად წიკწიკებდა თავისთვის.

ვიღაცა კი იქვე იდგა, სარკმელთან ან დერეფანში, და იცდიდა უხმოდ, მოთმინებით.

ჯუმამ თავს ძალა დაატანა, თვალი დახუჭა. თვითონაც არ ახსოვდა რამდენი ეძინა. კაკუნმა გამოაღვიძა.

— ა!

საწოლზე წამოჯდა და უაზროდ მიმოიხედა. სარკმელთან გამვლელთა საუბარი ისმოდა. ქუჩა სავსე იყო მსუბუქი მანქანებით და ტროლეიბუსებით.

საათზე დაიხედა, ათი გათავებულიყო.

დერეფანში ვიღაცამ გაირბინა.

„ცოლი უნდა შევირთო, — გადაწყვიტა უცებ, — ეშმაკმა იცის, რეები მელანდება! მარტოდმარტო მაინც არ ვიქნები... იქნებ მზიას დავუჩოქო, ის თუ გადამარჩენს, ის დამიცავს...“

ტანზე ჩაიცვა. ოთახში დამწვრის სუნი ტრიალებდა და სარკმელი გამოაღო.

პირსახოცით ხელში დერეფანს მიაშურა.

გიგო-ბიჭი ჩამოდიოდა ზემო სართულიდან.

— უკვე მომჯობინდი? – გაუკვირდა ჯუმას.

— კარგად ვარ! — მტრულად შეეპასუხა გიგო-ბიჭი.

— ყოჩაღ! – უნდოდა ქოჩორზე ხელი გადაესვა, ბიჭმა თავი ჯიუტად გასწია.

ჯუმას ეწყინა.

— ისეთივე ხულიგანი დარჩი?

— როდის ვიყავი ხულიგანი?

— აბა, ზევით რა გინდოდა?

— დეიდა მზია ვინახულე.

— რაო, დეიდა მზიამ?

— კვდება! – გიგო-ბიჭს თვალზე ცრემლი მოადგა და გაიქცა.

ჯუმა ადგილზე გაშეშდა. შეუბრალებელი, ყინულივით ცივი ხელი შეუძვრა სულში, უხეშად მოუფათურა, გული მონახა და მოუჭირა.

შემდგომ წუთს სული მოითქვა, საცოდავად გაუღიმა იმედისმომცემ აზრს: „მომატყუა მაგ მაიმუნმა, მეც კაი შტერი ვარ!“ შვება არ მოუტანა ამ აზრმა, ეჭვი უწეწავდა სულს. პირსახოცი ძირს დაუვარდა, არც შეუმჩნევია. დაუფიქრებლად აჰყვა კიბეს. ზარის ღილაკს თითი დააჭირა. რეკვის ხმა არ გაუგონია და მორიდებულად დააკაკუნა. მიაყურადა. ფლოსტებმა გაიტყაპუნეს. კარი ამირანმა გაუღო. დარდისაგან მთლად დალეულიყო, ცხვირი დაგრძელებოდა. ჭაბუკის დანახვისას თვალი აუწყლიანდა და თავი დაუქნია, შემოდიო.

ჯუმა აწრიალდა. ბიჭის სიტყვები სიმართლეს ჰგავდა.

სამზარეულოში ბუბას ჰკიდა თვალი. მაგიდას თავით დაყრდნობილს ეძინა.

შეაღო კარი ოთახისა, რომელშიც ფეხი აქამდე არ შემოუდგამს, და ზღურბლზე გახევდა. გაახსენდა გუჯმახანთან სტუმრობა, სალაფავიანი კარდალი, გუჯმახანისა და ტურფას სიფათები, გოგირდისა თუ დამწვრის სუნი და სიწმინდის ხილვა, — ის, რაც წამითაც არ დავიწყებია, — ერთად-ერთი ნაღდი ჯილდო სულის საფასურად.

მზის ალმაცერი, სიფრიფანა სხივები იცრიცებოდა ფარდებში, ავსებდა ნათელ ოთახს. თეთრ, ქათქათა სარეცელზე იწვა ფერმკრთალი, გამხდარი გოგონა... არც ისე ლამაზი, როგორც აქამდე ენახა, არც ისე ბრწყინვალე, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო შეგრძნება სიწმინდისა, ჯუმამ თავი ჭუჭყიანად იგრძნო.

კარი ზურგით მიკეტა. იქვე ზღურბლთან მუხლებზე დაეშვა, შუბლი იატაკს დაჰკრა, უბედურებით სავსე გული ვერ დაიოკა და აქვითინდა.

საკუთარ იღბალს დასტიროდა ჯუმა ბედია, თავის ურყვნელ სიახალგაზრდავეს, რომელსაც უკვე ვერ დაიბრუნებდა. ასე მუხლებით მიფორთხავდა მზიას სარეცლისაკენ, თან კი ეშინოდა, გაჰკარებოდა.

— ვინა ხარ? – ბაგეები ოდნავ შეარხია ავადმყოფმა. ისე სუსტი იყო მისი ხმა, ჯუმას უიმედო ზლუქუნში გაქრა.

სარეცლის კიდეზე ჩამოდო თავი, ასე გაირინდა, მხრები უთრთოდა მხოლოდ.

— ვინა ხარ? – ხელახლა იკითხა მზიამ.

— გადამარჩინე, მზია, ვიღუპები და გადამარჩინე! – შეჰღაღადა ჯუმამ და მის წვრილ, გაფითრებულ ხელს დაეკონა სველი ტუჩებით.

— აჰ, ჯუმა ბედია, — იცნო გოგონამ, — მგონი რაღაცა იწვის.

— ეს მე ვიწვი, მზია, მე მიკიდია ცეცხლი, მე ვიღუპები!

— მე რა შემიძლია?.. მაპატიე, ღონე არა მაქვს... – სვენებ-სვენებით თქვა გოგონამ. დაიღალა, გაყუჩდა. უღრმეს უფსკრულში ჩაეშვა, თავის წმინდა „მეში“, და სამუდამოდ გამოეთხოვა ჯუმა ბედიას.

— ყური დამიგდე, მზია, ყური დამიგდე!.. – სიგიჟე ეახლა ვაჟს. თავში აზრი არეოდა და არ იცოდა რომელ ერთ ფიქრს ჩასჭიდებოდა: უნდოდა ხელში აეტაცა ავადმყოფი, გულში ჩაეკრა, მასთან ერთად გადახვეწილიყო სადმე, ფარად გაეხადა, ამით დაეცვა თავი გუჯმახანისაგან...

მხარზე ხელი შეახეს. ამირანს სახე შეცვლოდა, ნიკაპი უთრთოდა. ბუბასაც გამოეღვიძა, ზღურბლზე იდგა, თვალებს აცეცებდა, ვერ მიმხვდარიყო რა ხდებოდა.

— კარგი აწი, ნუ გადაღლი! – გაკვირვება ჟღერდა ამირანის ხმაში.

— მაპატიე, ძია ამირან! – ჯუმას თავი არ აუწევია, ისე გავიდა.

ქუჩაში მზე ბარჩხალებდა. მსუბუქი ნიავი ქროდა და ჯუმამ ღრმად ჩაისუნთქა. სუფთა ჰაერმა დარდი შეუმსუბუქა. თანდათან დამშვიდდა, ბედს შეურიგდა. ახლა უკვე სხვანაირად წონიდა თავის საქციელს. რცხვენოდა, რა ბალღივით ვღნაოდიო. ცდილობდა მოეშორებინა ფიქრი მომაკვდავ მზიაზე, მიუყუჩდა გულისტკივილი და სულ მალე ყრუ ხინჯად თუ ჩაესმოდა სადღაც გულის გულში. იქ პატარა სანთელივით ენთო ადრინდელი მზია, მისი მშვენიერი სახება, მაგრამ ისე შორს იყო იგი, როგორც ყველაზე შეუმჩნეველი ვარსკვლავი.

სავარძელში გაიშოტა და ასე იყო კარგა ხანს. არ იცოდა რომელი ერთი საქმისათვის მოება თავი, საქმეები კი ბლომად დაუგროვდა.

„პეგასის“ ნომერი გადაშალა, საკუთარი მოთხრობების კითხვას შეუდგა. კითხულობდა ნელ-ნელა, დაგემოვნებით და პირისახე თანდათან სისხლით ევსებოდა... უცბად დახურა, გული შიშისაგან შეეკუმშა. თვალი დახუჭა და ყურები თითებით დაიცო. მერე ჟურნალი უჯრაში ჩადო, რაც შეიძლებოდა ღრმად და ზედ სხვა ქაღალდები მიაყარა...

ისევ სავარძელში გაიშოტა, რათა მზიაზე ეფიქრა, ან მაცაცუნაზე, ან ჯანდაბაზე, ან არაფერზე...

ტელეფონმა დაიზრიალა. ჯუმა შლეგივით წამოიჭრა და ისევ ჩაჯდა. სავარძელში ჩასძინებოდა. საათზე დაიხედა. სულ ნახევარი საათი ეძინა, მაგრამ ისე ღრმად, თითქოს წუთისოფელს გამოსალმებოდა. ვინ იცის, რამდენი რეკა ტელეფონმა, სანამ ძილს დაუფრთხობდა. ყურმილი ასწია. უკვე დაგვიანებული იყო, დამრეკავს იმედი გაუწყდა.

ეშმაკმა შეაშველა ხელი. ყურმილი მაინც ხელში ეჭირა და დაზეპირებული ნომერი აკრიფა. სულის სიღრმეში იქნებ უნდოდა კიდეც, რომ ტელეფონს ემტყუნა. ალბათ შინ არ იქნებიანო, შვებით ამოისუნთქა და ამ დროს ქალის დაღლილმა ხმამ წარმოთქვა:

— ალო!

ჯუმამ სინდისის სუსტი გაფაჩუნება ჩაიხშო და შეცვლილი ხმით იკითხა:

— ბატონი გივი შინ ბრძანდება?

— ბატონ გივის დამბლა დაეცა! – ძლივს უპასუხა ხმამ, მცირე დუმილის შემდეგ კი ჩურჩულით დაუმატა: — თქვენ დაღუპეთ იგი... მითხარით მაინც, რა დაგიშავათ?

ჯუმა თითქოს სისხლისაგან დაიცალა, ყურმილი მოწყვეტით დააგდო. უფრო იმან შეძრა, რომ ქალის ხმაში საყვედურის ნატამალიც არ იგრძნობოდა. მუშტი მოკუმა და ახურებული შუბლით დაეყრდნო. მეორე წუთს კი აბორგდა მისი სული: „ახია მაგაზე, ახია! რად წამოჯდა საჩემო ადგილზე, რად გადამიდგა გზაზე!..“

„შენ დაღუპე, შენ დაღუპე!..“ – ჩასძახოდა მშვიდი ხმა და აცოფებდა, დორბლს აყრევინებდა. მოეჩვენა, რომ ფანჯარაზე მოაკაკუნეს. კისერი მოეღრიცა და ისე გაუშეშდა. არავინ იყო. ან ვინ უნდა ამოსულიყო ამ სიმაღლეზე? შიში დაეუფლა და დერეფანში გავარდა.

მდივანმა ჩვევისამებრ გაუღიმა.

— შეფი კაბინეტშია?

— საუზმობს!

დირექტორს არ უყვარდა, როცა საუზმის დროს ხელს უშლიდნენ. აფორიაქებულ ჯუმას თავი ვერ მოეთოკა და დირექტორის გუნება-განწყობილება არაფრად ჩააგდო.

— ახალი ამბავი გეცოდინებათ!

— შენ თუ იმ საბრალო გივიზე მეუბნები, წუხელღამ გავიგე, – გულგრილად თქვა დირექტორმა, თან შაქარმოყრილი ხაჭოს ჭამა განაგრძო.

შემოსულისათვის სკამი არ შეუთავაზებია. ჯუმამ უბოდიშოდ გამოსწია, ზედ დაეტყეპა და გულუბრყვილო სიფათი მიაპყრო.

ასე ისხდნენ კარგა ხანს. დირექტორი არ ჩქარობდა, ჯუმა კი უდიდესი ყურადღებით ადევნებდა თვალს საუზმის დახვეწილ პროცედურას. ბოლოს დირექტორმა მცირედ დაიმორცხვა, კინაღამ ნამცეცი გადასცდა, უცოდველი მზერით შეხედა ხელქვეითს.

— ისაუზმე?

— რას ფიქრობთ ამ ამბავთან დაკავშირებით? – კითხვა შეუბრუნა ჯუმამ.

— რა უნდა ვიფიქრო? კაცს გული სტკიოდა, ხუმრობაა? დამბლაც ხომ იქვეა ჩასაფრებული... ეჰ, ყოველივე ეს ბუნებრივია ჩვენი ასაკის ადამიანისთვის, — დირექტორს მადაც წაუხდა, გუნებაც, — ჭორი დადის, ვიღაცა სამარეს უთხრიდაო!

ჯუმას თავი არ გაუცია. მშვიდად იჯდა. დირექტორმა ეჭვიანად შეავლო თვალი. აღარაფერი უკითხავს, ხაჭოს მიუბრუნდა, ოღონდ ისე უმადოდ ღეჭავდა, რეზინის ლანჩებიაო.

— აწი რედაქტორად ვერ იმუშავებს, — ამოიხვნეშა ჯუმამ.

— ვერა, — თავი გააქნია დირექტორმა, თან პიჯაკზე ჩამოვარდნილი ნამცეცი ორი თითით აიღო და პირში გადაუძახა.

— აბა, დაიწყება ბატალიები მაგისი ადგილისათვის...

— ალბათ, — ისევ დაუმოწმა დირექტორმა, — მაგრამ მე რა?.. აგერ ვზივარ ჩემს სავარძელში მშვენივრად.

— სამაგიეროდ მე არ ვზივარ საჩემო სავარძელში!

დირექტორმა ერთხანს ჩუმად უყურა. ჯუმა უფრო და უფრო ფიცხდებოდა, თუმცა დირექტორის ზედმეტად გაღიზიანებას ერიდებოდა.

— ხუმრობ? – გაოცებით იკითხა დირექტორმა.

— რა დროს ხუმრობაა, ბატონო...

— მაგრამ მე რა შემიძლია?

— როგორც გინდათ! – ჯუმა წამოიწია, მაინცდამაინც არ აჩქარებულა, – თუ თქვენ გსურთ გყავდეთ ჩემისთანა თანამშრომელი, აგერა ვარ... კაცი, რომელმაც ყოველთვის ყველაფერი იცის, ეგ მე ვარ! – საჩვენებელი თითი მკერდზე იტაკა და დამარცვლა: — ყოველთვის ყველაფერი!

— კარგი რა, ჯუმა, რა ისეთი დიდი კაცი მე მნახე, სხვათა ბედი განვაგო!

— მაგი როგორც გენებოთ, — გააწყვეტინა ჯუმამ, — სხვათა შორის, ხომ წაიკითხეთ ახალგაზრდა კრიტიკოსის ჯანო ჩიკინტილაძის წერილი ჩემს მოთხრობებზე?

— მე რას მომატყუებ, შვილოსა, იმ ჩიკინტილაძესთან საქმე ჩააწყვე და... ჩიკინტილაძესთან კი არა, ღმერთთან ვაწყობდი, ჯეელი რომ ვიყავი.

— ჰოდა, ახლაც ხელგეწიფებათ!

— ეშმაკი ხარ, ჯუმა ბედია, ეშმაკი! – თითი დაუქნია დირექტორმა, — მაგრამ ცოლიანი მაინც უნდა იყო. მარტოხელა კაცს, ხომ იცი, ნაკლები ნდობა აქვს, რესპექტაბელობა აკლია...

— ერთ თვეში დავქორწინდები!

— ჰო? კაი, კაი, დამასვენე აწი!

ჯუმა კარს იყო მიღწეული, როცა დირექტორმა ბოლო სიტყვა მიადევნა, გულზე გასახეთქი:

— ის მაინც ინახულე, ჯუმა, ის ცოდვით სავსე გივია. არა ხარ მაგასთან მართალი, კაი კაცი არა ხარ შენ!

ჯუმამ კბილები გააღრჭიალა... ერთი საათის შემდეგ კი საავადმყოფოში იყო.

* * *

თეთრი ხალათი მხრებზე მოიგდო. დერეფანს დაჰყვა. მისი ნაბიჯების ხმა რბილ ხალიჩაში იხშობოდა, მაინც ეჩვენებოდა, რომ ძალუმად ადგამდა ფეხს, არღვევდა საავადმყოფოს მყუდროებას.

„სისულელეა, არავინ არაფერი იცის... ტყვიის გასროლა არავის გაუგონია, ტელეფონზე ვიხუმრე, ვინ გაიგებდა?“

კარზე დაკაკუნება ვერ გაბედა, ვერც უნებართვოდ გაღება. მშველელი არავინ იყო, დერეფანში სულიერი არ ჩანდა. იდგა ასე ორჭოფულად, სანამ კარი თავისით გაიღებოდა და გივი გასპარაშვილის მეუღლემ ზღურბლზე გადმოაბიჯა.

— თქვენ ჩვენთანა ხართ?

— მაპატიეთ ქალბატონო, ბატონ გივის სანახავად მოვედი, — ჯუმამ თავი მორცხვად დახარა და მანდილოსანს მიხაკების თაიგული გაუწოდა.

— ეჰ, ჩემს გივის როგორ უყვარდა მიხაკები! ახლა მისთვის სულ ერთია, – მადლობის მაგიერ თქვა ქალმა.

ჯუმა ოდნავ მოხრილი იდგა, ყურადღებითა და თანაგრძნობით უსმენდა.

— ცოდვამ უწიოს ჩემი და ჩემი გივის დამღუპველს! – ქალს მზერაში ეჭვი ჩაუგუბდა.

ჯუმა გრძნობდა, როგორ ედებოდა სიწითლე სახეზე, ყვრიმალზე, კისერზე.

— თუმცა თქვენ რად გაყოვნებთ ზღურბლზე, შემობრძანდით! – ქალმა დაიხია და პალატაში შეუძღვა.

— ძალიან შეგაწუხეთ, — ლუღლუღით ბოდიშობდა ჯუმა, — ვშიშობ არ გადავღალო... მყუდროება არ დავურღვიო...

— რას ბრძანებთ, ბატონო...

— ჯუმა.

— ბატონო ჯუმა. მაგას აწი რა მოუტანს მყუდროებას, თუ არა სიკვდილი... სიკვდილი მაგის დამღუპველს! – წყევლა მიაყოლა ქალმა.

ჯუმა კვლავ გაწითლდა და თავი უხერხულად იგრძნო.

საკმაოდ სახიერი კაცი, ბატონი გივი, ისე დაჩიავებულიყო,

საწოლს ძლივს ემჩნეოდა. სახის კანი ყვრიმალებს გადაჰკვროდა, თვალები ჩასცვენოდა.

— თავს როგორა გრძნობთ, ბატონო გივი? – ზრდილობისათვის შეეკითხა.

— ღუ-ღუ-ღუ... – დუჟს ხრიალი ამოაყოლა ავადმყოფმა და განაწამები მზერა აარიდა სტუმარს.

ჯუმა გაშრა. მიხვდა, ავადმყოფი რაღაცას ხვდებოდა, მაგრამ დამბლადაცემულს არ შეეძლო რაიმე ეღონა...

* * *

საავადმყოფოდან რომ ბრუნდებოდა, საკუთარ თავს ფიქრში აჩქარებდა: „სწრაფად, სწრაფად!.. რომ გამოჯანმრთელდეს, ხომ დავიღუპე, ქვეყანას მოსდებს!.. ცოლს მოვიყვან, გავრედაქტორდები, კრინტს ჩავა-წყვეტინებ...“

ყველაფერი უცბად გადაწყვიტა. მაცაცუნას საძებრად ქვეყანა შეჰყარა. უნივერსიტეტის კორპუსები დაიარა. მისმა ამხანაგებმა, დღეს თვალი არ მოგვიკრავს, ლექციებზე არ ყოფილაო, უთხრეს. ტელეფონის ნომერი გამოართვა გოგონებს, ავტომატიდან დარეკა, მაგრამ ზარი ვერ გადიოდა. ტაქსი დაიქირავა და ბინას მიადგა.

ფაშფაშა დედაკაცმა გამოიხედა, პირისახეზე უზრუნველი სიმაძღრე აჩნდა. უხმოდ მოაპყრო ვიწროდ გამოჭრილი მონგოლური თვალები.

— ესმას ამხანაგი ვარ, — ჯუმა წამით დაიბნა. დედამისი, აბა, როგორი იქნებოდაო, ღვარძლიანად გაიფიქრა.

— ჰხმ! ესმა, გენაცვალე, გამთენიისას გავიდა შინიდან და არ გამოჩენილა! – მამაკაცური, ბოხი ხმით უპასუხა ქალმა, თან მტრულად შეათვალიერა. არც შეუპატიჟებია, ზღურბლზე ისე იდგა, ძალითაც ვერ დაძრავდა კაცი. „ესმა თუ შევირთე, ამ სახლში ფეხს არ შემოვდგამ“, — საკითხი თავისთავად გადაწყდა. ამ წუთას მზია არც კი ახსოვდა.

სულ რომ არ ელოდა, სწორედ მაშინ წააწყდა მაცაცუნას. უნივერსიტეტში, კიბეზე იდგა. ორ ბიჭთან ლაზღანდარობდა.

თმა ხელახლა შეეღება, ახლებურად დაეყენებინა, ქუთუთოები შავი ფანქრით მოეთხუპნა და თოჯინას დამსგავსებოდა. მშვენიერი ნაკვთები, მზიას სახის ნაკვთები, მაინც ვერ გაეფუჭებინა. ეს მსგავსება მზიასთან ახელებდა ჯუმას. ის, რაც მზიას სიწმინდეს ამჟღავნებდა, მაცაცუნასთან სისხლს უმღვრევდა ჭაბუკს.

ჯუმა მოურიდებლად ჩადგა ბიჭებში. უნდოდა მოულოდნელი და ექსცენტრული გამოჩენით დაებნია გოგო, მაგრამ მაცაცუნას არ გაჰკვირვებია, უცნობ ბიჭს მკლავზე ჩამოეკიდა, აეტმასნა, თანაც თვალებს აჟუჟუნებდა.

— აჰ, ბატონო ჯუმა, თქვენ თურმე მთელი დღე მეძებდით! რა მოხდა? თანაკურსელი გოგოები გაგიგიჟებიათ!

ჯუმას სუნთქვა შეეკრა. პასუხი უცბად ვერ მოისაზრა, უხეშად სტაცა მკლავზე ხელი და ბიჭს მოაშორა.

— ისე მელაპარაკები, წერას აუტანიხარ, მგონია!.. წამოდი ახლავე!

ბიჭები აიმრიზნენ. ჯუმას მათთვის ყურადღება არ მიუქცევია, გოგო თითქმის ძალათი ჩამოიყვანა კიბეზე.

მაცაცუნა თუმცა დაფრთხა, იხტიბარს მაინც არ იტეხდა.

— ხომ არ დაეჩვიე, ჯუმა ბედია, ბინაში ჩემს ტარებას? არ გამოგივა, იცოდე, შენებურად!

— თუ არ გამომივა, იმასაც ვნახავთ! – გულღრძოდ შეეპასუხა.

მხოლოდ კიბის ბოლოს წამოეწია ბიჭის ხმა:

— მეგობარო, ერთი წუთით! – ყმაწვილს რაინდულმა გრძნობამ ხმა ამოაღებინა. მეორე ბიჭიც ნაცემივით იდგა და აქეთ იყურებოდა.

— რა იყო, გენაცვალე?! – მუქარით შეეკითხა ჯუმა.

ბიჭი შემკრთალი ჩანდა. რაღაცის თქმა დააპირა. ჯუმამ დემონსტრაციულად შეაქცია ზურგი და მაცაცუნა თან გაიტაცა.

— ესენია შენი ძმაკაცები?.. ლაწირაკები!

— რა გინდა, ბავშვებია... – მაცაცუნას ხმაში მუდარა გაისმა.

ჯუმამ პასუხი არ აღირსა.

ეზოს ბოლომდე ჩაასეირნა.

ბელურა ჩამოჯდა წყაროს პირას, საქმიანად აიტაცა წყლის წვეთი, თავი მაღლა აიღო. მოახლოებულ ახალგაზრდებს ეჭვიანად შეხედა და იშხუვლა.

ჯუმა მოლბა. მაცაცუნაც დამშვიდდა.

— მე არ მცალია, მეტს ვერ წამოვალ! თუ რამე გინდოდა...

ჯუმა ხის მორზე ჩამოჯდა. გოგო არ მიუპატიჟებია. თავდახრილი იჯდა და მხოლოდ მაცაცუნას ბლაგვცხვირა ფეხსაცმელებს ხედავდა. მზია მოაგონდა და ამ გახსენებამ გულის იარა გაუშიშვლა. ის კვდებოდა, ის თანდათან ქრებოდა ყველასათვის უცნობი ავადმყოფობით და ამქვეყნად ტოვებდა გულმოკლულ ჯუმას... სიცოცხლე მაინც საჭირო იყო. წინ დიდი საქმეები მოელოდა და გული უნდა მოეთოკა.

— ესმა...

სმენა უკვე გადაეჩვია ალერსიან ხმას და მაცაცუნა მათრახის შხუილს უფრო მოელოდა. დაიბნა, ძარღვებში კვლავ ის უჩვეულო, ყოვლისმომცველი ვნება ჩაეღვარა და წამიდან წამზე ღონე ეცლებოდა. ამ ჭაბუკს კი, ვინ იცის, კიდევ რა სატანჯველი მოემზადებინა მისთვის.

— ესმა, უნდა გთხოვო... მე და შენ დღესვე წავიდეთ ქორწინების სახლში... საბუთები შევიტანოთ, ჩემი გოგო!

მაცაცუნას ბაგე აუკანკალდა, თვალები ცრემლით აევსო. უცებ მუხლებზე დავარდა ჯუმას წინაშე და ხელები მაჯებზე სტაცა.

— რატომ დამცინი, რატომ?! რა დამიშავებია შენთვის?!

ჯუმა დაიბნა, გაკვირვებით შეხედა, ირგვლივაც მიმოიხედა, მოსეირნეების ყურადღება იგრძნო და გოგოს მხრებში ჩაეჭიდა, წამოაყენა.

— გონს მოდი! ვინ დაგცინის?! ახლავე წავიდეთ, თუ პასპორტი თანა გაქვს!

მაცაცუნამ მკერდზე ხელი ჰკრა, მოიშორა.

— არა!

— რა არა? – ვერ გაიგო ჯუმამ.

— არა-მეთქი, არ მინდიხარ, მძულხარ, როგორ ვერ გაიგე, მძულხარ!

— ესმა!

— გაწყდა თქვენი სინსილა, ბედიებო, გაწყდა!..

— გაჩუმდი!

— გრცხვენია? არავინ გაიგოს, ხომ? ბატონო მწერალო, ბატონო მეცნიერო, ბატონო რედაქტორო!.. რაში მჭირდები?! მამაკაცი არა ხარ!

ჯუმა გაფითრდა, ხელი ასწია.

— დამარტყი! ყველამ დაინახოს, რა ვაჟკაციცა ხარ, დამარტყი!

ჯუმამ ტუჩი ჩაიკვნიტა, ერჩია მიწა გახეთქოდა.

— მორჩი ისტერიკას, გეთაყვა! – შეეცადა მოელბო.

— ხელის გარტყმასაც ვერ ბედავ, რა კაცი შენა ხარ!

მოთმინების ფიალა აევსო. ხელკავი გაუყარა, ძალით გაიყოლია, თან პირზე ღიმილი აისახა.

მაცაცუნას ღონე გამოელია, სუსტ წინააღმდეგობას უწევდა, ჩუმად ტიროდა... წამწამებიდან ჩამორეცხილმა საღებავმა სახე მოუთხუპნა. ჯუმამ გაქათქათებული ცხვირსახოცი მიაწოდა. მაცაცუნამ სახე აარიდა. ვაჟმა მზრუნველად მოსწმინდა პირი და ცხვირიც... მაშინ კი ხმამაღლა აქვითინდა განიარაღებული გოგო. ემწარა ეს უჩვეულო ალერსი...

ასე ჩაიყვანა კიბეზე, მერე ვარაზისხევით დაეშვნენ გმირთა მოედანზე. იქ ტაქსი გააჩერა და ორიოდე წუთში გრიბოედოვის ძეგლთან გაჩნდნენ.

— პასპორტი თანა გაქვს? – საქმიანად ჰკითხა ჯუმამ.

მაცაცუნამ ჩანთა გახსნა და პასპორტი უხმოდ გაუწოდა.

— ჭკვიანად იყავი, თვის თავზე ხელს მოვაწერთ! – ჯუმამ ჩახედა ლამაზ სახეში, სადმე საღებავი ხომ არ აჩნევიაო. თვალები არ მოეწონა, დაბუშტებოდა ცრემლისაგან.

მეორე დილით მოსაწვევი ბარათი წინ დაუდო დირექტორს, ზუსტად ერთი თვის თავზე ქორწილი მაქვს, პატივი დაგვდეთ და გვეწვიეთო.

დირექტორმა ალმაცერად ახედა.

— ვინ უნდა გააბედნიერო, ჯუმა ბედია?

— ვითომდა რატომ არ გავაბედნიერებ?

დირექტორი ხუმრობის გუნებაზე დადგა.

— წარმომიდგენია პირველი ღამის იდილია. პატარძალს ეგონება სახლს ცეცხლი წაეკიდაო, ისეთი სუნი ტრიალებს...

ჯუმას კბილატკიებულივით პირისახე მოეღრიცა.

— ვხუმრობ, ამხანაგო ჯუმა, ჩვენს შორის, ხომ იცი, ეგეთები

მოდის!

— რასაკვირველია, ბატონო დირექტორო!

თავს ძალა დაატანა, გაიღიმა.

— ახლა შენ თითქმის დაოჯახებულინ ხარ. თანამდებობაც კარგი გაქვს, ბინაც, ხელფასიც. უკვე დაიბეჭდე. შენს წიგნს ალბათ ჩვენ გამოვცემთ, არა?

— მინდოდა თქვენთვის მეთხოვნა, — თავი მოისაწყლა, არ იცოდა, ეხუმრებოდნენ თუ სერიოზულად სთავაზობდნენ.

— ისღა დაგვრჩენია, ხელი გამოგიწოდოთ. ჩვენ ვაფასებთ შენისთანა ახალგაზრდებს. მე არ დამვიწყებია მაშინდელი დაპირება. აქა-იქ უკვე ჩავაწვეთე, შევეცდები სიტყვა კიდევ შეგაწიო. ეგებ მართლაც გაჭრას და „პეგასის“ უნაგირზე აღმოჩნდე, ა, რას იტყვი?

„თავიდან უნდა მომიშოროს!“ – უბოროტოდ გაიფიქრა ჯუმამ.

— თუ ვინმე გყავს ისეთი... – დირექტორმა თითი ზევით ასწია, — სთხოვე, გიპროტექტოროს... ძნელია ამ საქმის მოკვარახჭინება, თუმცა ახლა საკმაოდ რესპექტაბელური ტიპი ხარ!

* * *

ჟურნალ „პეგასის“ რედაქცია ისეთ შენობაში იყო მოთავსებული, შორიდან პართენონს მოგაგონებდათ. მძლავრ კოლონადას ეჭირა გირლიანდებით მოქარგული მძიმე კარნიზი. შესასვლელთან ორი დატანჯული ატლანტი იდგა. კუნთდაბერილებს ბეტონისაგან ჩამოსხმული გადაშლილი წიგნისათვის შეებჯინათ მხრები.

აქედან იწყებოდა საპარადო კიბე, რომელიც არსაით არ უხვევდა, ისე ადიოდა მესამე სართულზე. საფეხურები ისეთი პრიალა მარმარილოსი გახლდათ, გამოუცდელ კაცს უთუოდ ფეხი დაუცდებოდა, იქიდან ჩამოგორებულს კი იშვიათად შერჩებოდა მრთელი ნეკნი.

ჯუმა ბედია შავი „ვოლგიდან“ ძლივს გამოეტია. თუმცა წონაში არ მოუმატია, მაგრამ სიამაყეც ხომ წონას ჰმატებს ადამიანს.

დინჯად, დარბაისლურად გადაკვეთა ხალხმრავალი ტროტუარი.

— ბატონო რედაქტორო!

კიბის პირველ საფეხურთან ლიტმუშაკი კვინტილიანე იდგა. ჯუმამ იგი ისე შეათვალიერა, თითქოს უხარისხო სათვალეში იცქირებოდა. დაჩიავებული ეჩვენა. წინათ, როდესაც ჯუმა დამწყები ავტორი იყო, კვინტილიანე უფრო მაღალი და ბეჭებრტყელი ჩანდა. მერე ჯუმა პოეზიის განყოფილების გამგე გახდა ცნობილ გამომცემლობაში და ლიტმუშაკი ჩემზე მაღალი არ ყოფილაო, გაიფიქრა. ახლა კი მხრებამდეც ვერ წვდებოდა. ჯუმამ თათი ზიზღით ჩააწოდა, არ ესიამოვნა ასეთი ცვლილება. კვინტილიანე ორივე ხელით დააცხრა მის ულონო ხელს.

— ბედნიერი ვართ, ბატონო ჯუმა! თქვენი ხელმძღვანელობით „პეგასი“ არნახულ წარმატებებს მოიპოვებს!

ეს კი ესიამოვნა, ზიზღი გაუნელდა.

— ლიფტი აქეთ არის, ბატონო რედაქტორო, კიბეზე დაიღლებით!

ჯუმამ მხარზე ხელი მოუთათუნა. ახლა უკვე მოსწონდა. რედაქტორის გვერდით მართლაც ცეროდენა ჩანდა. მხრებში მოხრილიყო, ზურგი კუზივით ამობურცვოდა, ისე იხრებოდა, თითქმის მარმარილოს საფეხურს ახლიდა შუბლს... დიახაც, ჯუმა ბედია თავის ხელქვეითებში ვერ მოითმენდა თავისზე მაღალს.

— კიბე მირჩევნია! – წაიდუდუნა და მხარზე ხელახლა მოუთათუნა ხელი. კვინტილიანე სიამოვნებისაგან გაინაბა. ორივე ხელი შეაშველა რედაქტორს, ფეხი არ დაუცდეს და არ დავიღუპოთო. ასე ანარეკლივით მიჰყვებოდა რედაქტორის ბურჯი, მისი საყრდენი...

ჯუმას მხრები ლაღად გაეშალა, ფილტვები ჰაერით აევსო, რათა უფრო წარმოსადეგი და ბრგე გამოჩენილიყო. დინჯად ადიოდა მარმარილოს ბრწყინვალე კიბეზე, რომელსაც იგი რედაქტორის რბილ სავარძლამდე მიჰყავდა.

ნაწილი VIII

ეჯვი

თავი I. ღამეუკუნი

ქალაქი ჰგავდა ნათურების გირლიანდებით დახუნძლულ უზარმაზარ ხომალდს, რომელიც ოკეანის სიღრმეში იძირებოდა. მზეჭაბუკ ბედია ქალაქს გაეცალა, ბნელ ღამეს მისცა თავი. სივრცე იყო უკიდეგანო, შავი უსასრულობა ეხვია ირგვლივ და თავგანწირული ვარდებოდა უძირო უფსკრულში. სიბნელე შემოვიდა მის არსებაში, ცივი წკვარამი ცდილობდა მთლიანად დაეპყრო მისი სული, რათა საბოლოოდ განედევნა ნათელი. მის ახალ სამყაროში ისე ცოტა იყო სინათლე, ისე იშვიათად გამოკრთებოდა ეული სხივი – შორეულ სახლებში ლამპის სუსტი ნაპერწკალი, ან მრავალი კილომეტრის იქით ჩავლილი მანქანა, ფრთხილად რომ მიმოაფენდა წყვილ საცეცებს... მთების კალთებზე მოულოდნელად აბრდღვიალდებოდა ურცხვი, საგანგაშო ფარები, უხეშად არღვევდა ჯოჯოხეთურ სიშავეს, მაგრამ არა ჰყოფნიდა ძალა, ვერა სძლევდა ოკეანეს და ქრებოდა...

მზეჭაბუკი არაფერზე ფიქრობდა. ფიქრიც ის სინათლეა, სიბნელეს რომ არღვევს, მას კი ძალ-ღონე არ ჰყოფნიდა ისევ ნათელს წაჰპოტინებოდა. ერთსახოვანი, უცვლელი სიბნელე აზრს აძინებდა და უფრო ადვილი ასატანი იყო.

ღრუბლის თვალუწვდენი, გაფაფრული ქულა უცბად გადმოეფინა. გველეშაპის ზონზროხა ტანი უჩანდა, მთელი ცისიერი დაეპყრო და თავისი ამონასუნთქით ქვეყნიერების წალეკვას ეპირებოდა.

ღრმად შესცურა ნესტიან და ბნელ ქულაში. თუმცა დასაკარგავი არც-რაი ჰქონდა, თვითგადარჩენის ინსტინქტი აიძულებდა გასცლოდა. სიცივე შემოეტმასნა, აცახცახდა. ტანსაცმელი ცივმა ოფლმა დაულბო. წვრილი, უხილავი წვეთები ებნეოდა პირისახეზე. ჰაერი არ ყოფნიდა, ფილტვები ნესტით აევსო...

მერე ცამ გამოიჭყიტა ერთბაშად. ჯერაც მსუბუქი ფთილა ეფარებოდა, მაგრამ გადაიძრო თვალთაგან და მირიადი ვარსკვლავებით მოჭიქული წამოემხო თავზე. ათასფერება, მოცინარი ვარსკვლავებით აივსო სამყარო და თავში ამოტივტივდა კითხვა: ბოროტი იყო ყოველი თუ კეთილი?

დაღლილი მზეჭაბუკ ბედია ზურგზე გაწვა და ასე მიჰყვა ქარის დინებას. ქვევით დარჩა რუხი ქარავანი ღრუბლებისა... ირმის ნახტომი გადატყორცნილიყო კიდიდან კიდე და ეს უწყვეტი გაელვება სივრცეში, სამყაროს გაყინული წამი, არღვევდა ყოველგვარ განზომილებას, ყველა თეორიას. კვლავ და კვლავ იბადებოდა მის სულში მარადიული კითხვა: ბოროტი იყო ყოველი თუ კეთილი?

უტყვი ვარსკვლავეთი, ათასნაირი ცხოველებით, გმირებით, ლეგენდებით დასახლებული ღამეული ზეცა მუდამ სიკვდილსა და სიცოცხლეზე აფიქრებდა მზეჭაბუკს... შემოდგომის ერთ თბილ საღამოს ჭილობზე იწვა თავის ეზოში. მაშინ პატარა იყო, რაღაც ზღაპარს კითხულობდა. ალბათ დაიღალა, მოითენთა, ძილმა წასძლია და, როცა გამოეღვიძა, ციდან ფერადი ფანტელებივით ცვიოდნენ ვარსკვლავები და თვითონაც მიცურავდა უსაზღვრო სივრცეში... ატირდა პატარა მზეჭაბუკი, შეშინდა... დედის ხმა მოესმა, ხომ არ დაიჟამაო ბავშვი, მოირბინა, მის თავთან დაიხარა. სიბნელეში არცა ჩანდა, მაგრამ დედის ხელებს თბილი სურნელი ასდიოდა, დედობრივი...

შემდეგ კი, უკვე სიყმაწვილეში, ასტრონომიის მასწავლებელმა უჩვენა ღამეული ცა და ჩამოუთვალა: ეს დიდი დათვიაო, ის პატარა დათვიო, აგერ პოლარული ვარსკვლავი კაშკაშებსო. მთელი ზოოპარკია ცაზეო. თუ გნებავთ ფოცხვერი ეგერააო, პატარა ლომიც და ჩვეულებრივი ლომიც ზედ ჰორიზონტთანო, მწევრებიცო, არწივი და დელფინიო, აგერა მენახირეცო... არ დაიჯერა! დაიმახსოვრა, ასე რომ ერქვათ, ოღონდ ყოველ თანავარსკვლავედს სხვა სახელს უძებნიდა; თავისი ძმების, დედის, მამის, მეგობრების სახელებს არქმევდა. დიდი დათვის თანავარსკვლავედის ვარსკვლავ მიცარს ფაციკოს ეძახდა და ნასიამოვნები გოგონა კისკისებდა და კისკისებდა...

გამოერკვა. ვარსკვლავეთით მოჯადოებულს ჩასთვლემოდა.

სამყარო ვერ იცნო. თეთრ სივრცეში ვარდებოდა. დასავლეთის ცისკიდურზე აქათქათებულმა მნათობმა ქვეყანა თეთრად გადასუდრა და ამ სითეთრეში, როგორც თვალუწვდენელ ჰოსპიტალში, მიცურავდა გულით დაკოდილი მზეჭაბუკ ბედია; ჩქარი ნიავის ფრთებზე მიექანებოდა მნათობისაკენ...

მთვარე დაბრძანდა სამეფო ტახტზე, მიანავლა, ჩააქრო ვარსკვლავები. კაშკაშა სხივმა გაასპეტაკა ღრუბელთა დაუსრულებელი ქარავნები, რომელთაც აქა-იქ არანაკლებ სპეტაკ მთათა თოვლიანი მწვერვალები არღვევდნენ.

კვლავ ამოტივტივდა აკვიატებული აზრი: ბოროტი იყო ყოველი თუ კეთილი?.. პასუხი არ მოდიოდა.

კარგად დანაყრებული ობივატელის პირისახეს მიამსგავსა გაბადრული მთვარე, ლენჩური ღიმილით რომ დაჰყურებდა ყველას და ყველაფერს... მაგრამ, დააკვირდა მზეჭაბუკი და სახედაღარული, დაღლილი, მტვრიანი, დამწვარი წარმოუდგა თვალწინ... ვრცელი უდაბნოები, კლდეები, უფსკრულები, ზღვების, მდინარეების, ოკეანეების სახელები რომ ჰქვიათ... ნაყვავილარივით მიმოფანტული კრატერები, სადაც მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილი სუფევს... სიცრუე იყო ყოველი, რადგან წვეთი წყალიც არ მოიძიებოდა ზღვასა და ოკეანეში, ერთი ვარდიც არ ყვაოდა მთათა კალთ-ებზე, ნიავიც არასოდეს დაიქროლებდა ხეობებსა და უფსკრულებში...

სახედაღარული, დაღლილი მთვარე მიცურავდა ზეცაზე. თოვლივით ქათქათა, ცივ სხივებს ჰფენდა გარემოს, რომლის ცენტრი მზეჭაბუკ ბედია იყო...

შესცივდა. დიდი ხანია სციოდა, იმ წუთიდან, რაც ნესტიან ღრუბელში შესცურა. მერე თითქოს გადაავიწყდა და ახლაღა მიხვდა, სიცივით მთლიანად იყო გაჯერებული...

მთვარე კი ზედიზედ აქრობდა ვარსკვლავებს, როგორც ბეჯითი კამერდინერი მარადიული სასახლის უთვალავ სანთლებს.

დაქანცული ყმაწვილი ძილს ებრძოდა, ცდილობდა თავი დაეღწია, მაგრამ ძილქუში ისევ ეტმასნებოდა, გულში იკრავდა, უნანავებდა... ეგონა, მღვიძარე მივფრინავ თეთრად გაცრეცილ ცაზეო. სინამდვილეში კი თვალი უკვე დაეხუჭა. სიზმარში ხედავდა ბუმბერაზის თავს – მთვარეს, მთელი ზეცა რომ ეკავა და დაღარულ სახეზე უსაზღვრო ტკივილები აღბეჭდოდა.

შეძრწუნებული მზეჭაბუკი მიხვდა, რომ თვითონაც ტანჯვისათვის მოვლენოდა ქვეყნიერებას... სასოწარკვეთით წამოიკვნესა და გამოფხიზლდა.

სამყაროს გუმბათქვეშ მიფრინავდა, მოცისფრო სფეროში. არსადა ჩანდა წამებული მთვარე, ვარსკვლავები კი სათითაოდ ქრებოდნენ. ქვევით გაყურსულიყო უკიდეგანო ზღვა და ჩუმი შფოთით უსმენდა შორეული ეტლის გრიალს, მეწამული ცისკიდურის მიღმა ფრთა აეტყორცნა მზეს.

შემობრუნდა მზეჭაბუკ ბედია, გახედა მრუმე ნაპირს და მის მიღმა გაშლილ ქვეყანას, სადაც მრავალი ქალაქი და სოფელი მიმობნეულიყო... ვრცელ კოლხეთს ზღუდედ შემორტყმოდა თოვლიანი, მზის სხივებით აელვარებული კავკასიონი.

თავი II. სოფლის იდილია

ძაღლმა დაიყეფა, მერე იწკმუტუნა, იწკმუტუნა და კვლავ შეჰყეფა. მზეჭაბუკს გამოეღვიძა. გომურის კედელს მიყრდნობილს ჩასძინებოდა. მზე საკმაოდ მაღლა ასულიყო, გომურის კედელს მხურვალება სდიოდა და დასცხა. მის წინ ბურჯა იჯდა, გამალებით უბათქუნებდა ფუმფულა კუდს მიწაზე.

— ბურჯა, ბურჯა! – ხმადაბლა მოუხმო. ძაღლი წამოვარდა, სიხარულისაგან გადაირია, ერთხელაც შეჰყეფა, გაიქცა, ეზოს შემოურბინა, ქათმები და ინდაურები ააწიოკა და ისევ მოვარდა. ორივე თათი მხარზე დააწყო, ლოყაზე ენა აუსვა.

— ნელა, ბურჯა, ნუ მომთხვარე! – გახალისდა მზეჭაბუკი. ძაღლს ხელები მოჰხვია, შუბლი მის ლბილ კისერში ჩამალა. ბურჯამ დაიწკმუტუნა, დაუსხლტა და ისევ შეახტა. მზეჭაბუკი გულსგარეშე შეუწყრა. ძაღლი მიაჩერდა, ელოდა, წყრომა გაუვლის და გამიღიმებსო.

მზეჭაბუკი წამოდგა, ტანსაცმელი ჩამოიბერტყა. „ბურჯა თუ ფიქრობს რამეს?“ – უნებურად დაინტერესდა, ყური მიუგდო. ძაღ-

ლის ტვინში, ალბათ, ძაღლის ხმა იყო ჩაბუდებული, საწყალობელი წკმუტუნი გაიგონა მხოლოდ.

გომურს შემოუარა. ბოსლის ღია კარიდან ნეხვისა და ფუჩეჩის სუნი გამოდიოდა. პირუტყვი უკვე გაერეკათ.

ჭასთან წვრილფეხა ფრინველი შეყრილიყო. მზეჭაბუკის მიახლოებაზე ქათმები ტკარცალით დაიფანტნენ. ინდაურები გაბერილნი დააბოტებდნენ, კლოხ, კლოხო, — იმუქრებოდნენ. მზეჭაბუკმა ჯაჭვს მოჰქაჩა. ოწინარი აჭრიალდა და ეს ჭრიალი ისე ჩაესმა, როგორც რაღაც შორეულის, მშვენიერის, განუმეორებლის გახსენება.

ის კვლავ შინ იყო...

გვიმს გადაეყუდა. ცის ნაჭერი ჩავარდნილიყო ფსკერზე, ულურჯესი. ნელა მოძრაობდა ღრუბლის ფაფუკი, მსუბუქი ფთილა. ირხეოდა ჯაჭვზე დაკიდებული, შავი, ხავსიანი სათლი, წიაღიდან ამოჰქონდა მიწის სისხლი, უკვდავების წყალი, ლაღი სიგრილე, ნატკენი გულის დამაამებელი...

გვიმის კიდეზე შეაჩერა. მოპირთავებული სათლიდან წყალი იღვრებოდა, ჩხრიალი გაჰქონდა ფსკერზე... ორივე ხელით ჩაეჭიდა, მოიყუდა. სვამდა პატარა ყლუპებით, მერე უცბად გადმოსწია და ზედ გადმოისხა...

თვითონვე გააცინა ბავშვურმა ანგლობამ. მხიარულად ხტოდა ადგილზე, წვეთებს იბერტყავდა.

მერე აივანზე ავიდა და უცნაური დუდღუნი მოესმა. ფანჯარაში შეიჭვრიტა. ჩათუ-ბები საწოლზე პერანგისამარა იჯდა, ჭაღარა თმა გაჰბურძგნოდა. თავისთვის ბუტბუტებდა რაღაცას და გამწარებული იფხანდა წვრილ წვივებს. მის მოძრაობაში იყო რაღაც არანორმალური და მზეჭაბუკს გუნება გაუფუჭდა, გამობრუნდა.

ნალიიდან კალათა გამოიტანა, პლანტაციისაკენ გასწია...

ბილიკი სიმინდის ყანას ჭრიდა. სიმინდი უკვე ორი კაცის სიმაღლისა აიშოტა, ტაროებიც ესხა უკვე. ლობიოს ყველაფერი ერთმანეთზე გადაეხლართა და ზოგან გავლა ჭირდა. კვახის უზარმაზარი, ბუსუსიანი ფოთლები ქოლგებივით ჩამწკრივებულიყო, გადასწევდი და ბრიყვი გოგრა გორაობდა ქოლგის ქვეშ...

კიდევ ცოტა და ჩაის ვრცელი პლანტაციები გადაიშალა. ქარსაცავი ზოლები ზუსტ კვადრატებად ჰყოფდა ველს, რომელიც თითქოს მწვანე თოვლს ჩაენამქრა.

შეჩერდა. ჩაის ხასხასა, სწორი რიგები თვალს გრილი, სასიამოვნო ფერით ავსებდა, სულს ამშვიდებდა. იქვე, პირველსავე ბუჩქზე გაიშხლართა. ჩაის ყვავილის თავისებური სურნელი, ნედლი ფოთლის რბილი, საამო შეხება, თავზევით მოქანავე ევკალიპტის ფიორა ტოტი უძირო ცის ფონზე – ეს იყო მისი ედემი, მისი ნანინანატრი სამოთხე... აქ მშვიდდებოდა, აქ არ შეიძლებოდა თუნდაც იოტისოდენა ბოროტება მომხდარიყო. ქალაქის გახსენებაც კი არ უნდოდა... ყველაფერი, რაც აქამდე მოხდა, იყო მხოლოდ მოჩვენება, სიზმარი... ტატოს სიკვდილი, ჯუმას დამწვრის სუნი, გალეშილი კაჭუჭია სანაპიროზე, ჯვარს გაკრული მზეჭაბუკი და თვით ფრენა, ღვთაებრივი და ეშმაკეული ერთდროულად...

წამოდგა და ევკალიპტის ხეივანს გაუყვა...

* * *

მზეჭაბუკმა ყლორტს თითები შეუცურა, ღერო ფრჩხილით გადაჭრა. ასე უნდა მოეწყვიტა სამი ნორჩი ფოთოლო, სისხლსავსე დუყი, მწვანე კი არა, ლბილი ჟანგისფერი რომ გადაჰკრავს... მზე აცხუნებდა, მაგრამ ბუჩქებში ჯერაც სიგრილე ბუდობდა და ჩაის დუყიც გრილი იყო. მზეჭაბუკმა პერანგი გაიძრო, თავზე ისე წამოიცვა, მის კალთებს შიშველი მხრებიც რომ დაეცვა. პირველი ბღუჯა მოუქნელად ჩაყარა კალათაში. საკუთარი სისწრაფე არ მოეწონა. საქმეს გადაჩვევა ცოდნია თურმე. ყურადღება გაამახვილა. მუჭი რომ ჩაის დუყებით აევსებოდა, სანამ კალათაში ჩაიყრიდა, თვალი უკვე ასწრებდა ბუჩქის გადათვალიერებას და ყლორტების მონიშნებას. ასე მუშაობდა მთელი საათი და სიამოვნებდა ეს ერთფეროვანი, დაძაბული შრომა, რადგან სხვა რაიმეზე ფიქრის საშუალებას არ აძლევდა.

მზე საკმაოდ მაღლა ავიდა, უხვად აფრქვევდა სხივებს. პლანტაციებს მსუბუქი ოხშივარი ასდიოდა. ქალების ჭრელაჭრულა მანდილები ხასხასა კოინდარზე აქა-იქ დაშვებულ პეპლებსა ჰგავდნენ. იმ ქალებში ერია თათუშაც... პირველი შეხვედრის გაო-

ცება: „უიმე, დაგენაცვლოს დედიკო!“ (სიხარულიცა და იმედგაცრუების სინანულიც ერთდროულად!); მეზობელი ქალების მოკითხვები და ვაი-ვიში (მათი შვილებიც ხომ უმაღლესების კარებს ანგრევენ!); ბოდღოს ხუმრობანარევი სიმკაცრე: „არ მომეკარო! ჩაიჭერი, ხომ?“ (და მზეჭაბუკმა ამ დროს სმენა დაძაბა, მამის ნაფიქრალი ვერ გაიგონა. ალბათ, რასაც არ ამბობდა, იმას არც ფიქრობდა ბოდღო ბედია); ფაცის მოულოდნელი გაუცხოება (მანდილი მოიგლიჯა, თმები ჩამოეშალა, უცნაური მორიდებით, შორიდან გაუღიმა)...

ის უკვე შინ იყო და სხვებთან ერთად ჩასდგომოდა ჩაის რიგს...

ვერც შეამჩნია, როდის აივსო კალათა. ბოლო ბღუჯა ხელში შერჩა და ფარდულისაკენ გაემართა...

— აქეთ მოიწი, დედიკო, ჭამე რამე! – თათუშამ მოიხმო.

სადილობის დრო დამდგარა!

— არ მშია! – მზეჭაბუკი მოშორებით ჩამოჯდა, ისეთ მანძილზე, სხვათა ნაფიქრალი რომ ვერ მოსწვდენოდა. ხანდახან თუ ესროდა მზერას ფაცის. გოგონას თავი მორცხვად დაეხარა და უგემურად წიწკნიდა ჭვიშტარს. შეხედავდა და უმალ პლანტაციისაკენ მიაბრუნებდა თვალს. მწვანე რიგებს უხვად ეფრქვეოდა შუადღის მწველი სხივები, ვერცხლისფერი ათინათები იპნეოდა ბრჭყვიალა ფოთლებზე, თითქოს ვერცხლის ძაფით მონაქსოვი ბადე დაეფინა ჩაის ბუჩქებზე.

თვალი მილულა. სახსრები ტკიოდა. ახლაღა მიხვდა, რაოდენ დაღლილიყო ბნელ ღამესთან ჭიდილში. კუნთებმოშვებული, მიწისპირს მინებებული იწვა და ნეტარებდა.

ეგდო ხელებგაშლილი და იწოვდა იმ მცირე სიგრილს, მიწის წიაღიდან რომ მოდიოდა. მწვანე, ძარღვიან ბალახში დამალული ძალა მის სისხლში გადადიოდა. ყოველივე ამქვეყნიურს მოსწყვეტოდა. ჩაესმოდა მანქანის შორეული თუხთუხი, ქალების გადანალაპარაკები, გაფრენილი ჩიტის ფრთხიალი... მეტი არაფერი... თავში აზრი ზოზინებდა, მიედებოდა ამქვეყნისას, იმ ქვეყნისას... ასე უნდა ეცხოვრა ჯერჯერობით, აზრის გარეშე, მოსვენებით, სანამ საღი თვალით არ მოიხედავდა უკან და არ აწონიდა ავსა და კარგს...

„რატომ არ შემომხედე?.. ასე მალე დაგავიწყდი?.. ქალაქელმა გოგოებმა თუ გაგიტაცეს?“ – ჩაესმა ნელი დუდუნი. თვალი არ გაახილა, შეშფოთებული ტვინი დაიწყნარა. სამიოდ ნაბიჯზე, ჩერეში მჯდარი ფაცი ფიქრობდა ასე... სხვა დროს რაოდენ გაახარებდა ამის მოსმენა. ახლა აღარაფერი სურდა, გარდა მარტოობისა... „ყოველდღე ჩაიში ვივლი, — გაიფიქრა, — დილიდან საღამომდე... შრომა ყველაფრის წამალია... თანაც მარტო ვიქნები...“

„ახლაც ვითომ გძინავს... ხომ ვიცი, რომ არ გძინავს... ქალებიც არ გვიყურებენ... მოსალმებისას რომ გეკოცნა, ცუდს არავინ იფიქრებდა...“

კოცნა! გოგოს ბედნიერებად მიაჩნია მისი კოცნა, მაგრამ მიდი და აკოცე! სილას არ გაკმარებს, ქვეყანას შეგიყრის... იქნებ არც შეჰყაროს?

ფიქრი თავიდან მოიშორა, სმენა დაიხშო... გადაბრუნდა, მკერდზე დაწვა და ლოყის ქვეშ ნები ამოიდო. ბალახი ეცაცუნებოდა ლოყაზე, არ ასვენებდა... ფაცის აჩემებული ფიქრიც არ ასვენებდა, ცდილობდა ყური არ ეგდო...

მერე მართლაც ჩაეძინა. შეიძლება არც ჩასძინებია. მოწყდა პირმიწას და უფსკრულში ვარდებოდა. უფსკრული უძირო ცა იყო, დედამიწა კი იმ კლდის ქიმი, საიდანაც ჩამოვარდა... კინაღამ იყვირა... სიცილი მოესმა. ყურზე ბალახის ღერო შეეხო. ფაცი ჩაცუცქულიყო, ბალახის ღეროთი აღვიძებდა, თან მხიარულად ტკარცალებდა. შორიახლო თათუშა იდგა და იღიმებოდა.

— ძილისგუდა! – თათუშას სიახლოვემ გაათამამა გოგო.

— გეძინა, დედა გენაცვალოს? შინ წამო, შვილო, ნამგზავრი ხარ, დაისვენე!

— საღამომდე აქ დავრჩები, — პირქუშად თქვა მზეჭაბუკმა.

— რად მინდა, ბიჭო, შენი დაკრეფილი ჩაი, წამოდი შინ! – ხმა გაებზარა თათუშას.

— საღამოს მოვალ!

მზეჭაბუკმა კალათას ხელი დაავლო და ჩაის რიგს მიჰყვა.

„რაღაც ფარსაგი უნდა იყოს მაგის თავს!“ – ჩაესმა თათუშას შიშნარევი ნაფიქრალი...

* * *

სოფლის ორღობე განუმეორებელი სიყრმისეული ფერებით, ხმებითა და სურნელებით აივსო. ნახირმა ჩამოიარა დინჯად. ხბორები ზმუილით ეძახდნენ თავიანთ დედებს. რძის სუნი დატრიალდა ჰაერში. მზეჭაბუკს ბავშვობის გახსენებასავით ჩაესმოდა სათლში რძის ჩხრიალი და მწყრალი წამოძახილი: „დიკინ, გინ, ვიშო!“ („გაიწი, ხბოვ, იქით!“). ბურჯა ფხიზლობდა ჭიშკართან, ყეფით მიაცილებდა ჩამვლელთ, უბოროტოდ, რადგან საღამოს სიმშვიდე მის ძარღვებშიც ჩაღვრილიყო.

მზეჭაბუკი აივანზე განმარტოვდა. მოაჯირს გადაეყრდნო და ასე გაირინდა. მზე უკვე ჩავიდა, მაგრამ დასავლეთი ჯერ კიდევ ღვიოდა. სხივთა ანარეკლი ეფინა ეზოს და ახლა ყველა ფერს ერთიც წამატებოდა – სიფრიფანა, გამჭვირვალე, შეიძლება ჟანგისფერი ან ღია ვარდისფერი, — ამის გაგება ძნელი იყო, თითქოს ყოველ ბალახს, ხეს, ფოთოლს, ჩირგვს, ტრიფოლიატის ღობეს თავის არსებაში შეენახა სინათლე და, როცა მზემ ქვეყნიერება დატოვა, ესენი გასცემდნენ თავიანთ ღარიბულ საუნჯეს... ყრუ დუდუნით მოედინებოდა მღვრიე ენგური, მისი ვერცხლისფერი ზედაპირი დიდხანს ფანტავდა ყოველი კუთხიდან მომძლავრებულ ბინდს... ბინდი კი განუხრელად მუქდებოდა, ნაბიჯ-ნაბიჯ იპყრობდა ირგვლივეთს, დაბოლოს, როდესაც მარტო ზეცა და ენგური დარჩნენ სინათლის სამყაროში, უცბად აკიაფდა საღამოის ვარსკვლავი...

მზეჭაბუკ ბედიამ იწამა წამიერ: „წმიდა არს!“

ენთებოდა ვარსკვლავეთი ცაზე... ზოგი ძალიან ახლოს იყო, თვალებში შემობრდღვიალებდა, ზოგი სუსტად ციმციმებდა, მორცხვობდა, ზოგი ისევ ქრებოდა, რათა მერმე შერთვოდა საერთო გუნდს, და როცა განიბნა მირიადი სამყარო — ირმის ნახტომი, კვლავ გაიმეორა გუნებაში: „წმიდა არს!“

შეჰყეფა ბურჯამ, ჭიშკრისაკენ გაიქცა... ქათმები აყუტყუტდნენ ლეღვის ტოტებზე... შეწუხებული დედაღორი აღრუტუნდა გომურში... მოფრიალდა ნიავი და სიმინდის ყანებს დაუარა იდუმალმა ღელვამ, უჩინარი არსებებით აივსო ცისქვეშეთი... კვლავ გაიმეორა მზეჭაბუკ ბედიამ იჭვნეულად: „წმიდა არს!“

„წმიდა არს?“

ფიქრის წრიალი მოაწყდა საიდანღაც. ვინ ფიქრობდა? აზრი ვერ გაეგო. ვიღაცა ედგა ზურგსუკან, შფოთავდა გიჟურ შიშს აყოლილი... შემოტრიალდა ელდანაცემი, არავინ იყო. მიხვდა, ავადმყოფი ბებია წრიალებდა თავის ლოგინში...

ამოიხვნეშა. თვითონაც ლოგინს მიაშურა.

ცისმარე წამოხტა. მამას მაინც ვერ აასწრო... ლეღვის ტოტებიდან ქათმები ვაი-ვიშით და კრიახით ეშვებოდნენ და ეზოს იკლებდნენ. ბურჯა დათარეშობდა მხიარულად, ხან ქათამს გამოეკიდებოდა, ხან გოჭს ააჭყვირებდა, ან თავმომწონე ინდაურს წაიგდებდა წინ.

მდელოზე მარგალიტის მძივებივით ბრწყინავდა ნიჟი.

გრილოდა.

ბოდღო მოდიოდა ყანიდან. წინადღეს მოთიბული თივის უზარმაზარი ბულულა მოეგდო ზურგზე, ბოსელში მიჰქონდა. იქ მოუწველავი ძროხა ზმუოდა და ხესთან მოკლეზე მიბმული ბოჩოლა პასუხობდა საცოდავად.

წინ გადაუდგა მამას უმცროსი ნაშიერი. პირი აარიდა ბოდღომ. მხარი აუქცია.

— ბაბაია, რაღაცას მიმალავ! – მიაძახა მოულოდნელად მზეჭაბუკმა.

თივის ბულული შეჩერდა. ნელა მობრუნდა. ბოდღოს თვალებში ეჭვი და შიში ჩანდა. „ვაითუ ყველაფერი იცის...“ – შფოთიანი კითხვა მისწვდა მზეჭაბუკს.

— ეჰ, სქუა, შენც მიმალავ რაღაცას!

მზეჭაბუკმა ზურგი შეაქცია. სამზადის კედელზე ჩამოკიდებულ კალათას ხელი დაავლო და ჭიშკრისაკენ გასწია.

— გესაუზმა მაინც! – მიადევნა ბოდღომ.

მზეჭაბუკმა არაფერი უპასუხა... მის გონებაში ეჭვი წრიალებდა...

თავი III. ჩათუ-ბები

თვე გავიდა, მერე მეორეც. მზეჭაბუკი ყოველ ცისმარე პლანტაციაში მიდიოდა და საღამომდე იქ რჩებოდა. არც უქმე იცოდა, არც დღესასწაული. გზაში არავის დაელაპარაკებოდა, იქ კი, ყველასაგან განმარტოებული, შეუსვენებლად მუშაობდა. საათში კალათს ავსებდა, ხუთიოდე წუთი ფარდულამდე მის მიტანას და დაცლას ჭირდებოდა და ისევ განაგრძობდა კრეფას... მის მოძრაობაში იყო რაღაც აჩემებული, არაბუნებრივი... თავიდან მამა შეეხვეწა, ცოტა შეისვენეო, მზეჭაბუკმა პირქუშად შეხედა და არაფერი თქვა. ბოდღოს ხმა ჩაუწყდა და მას შემდეგ უხმოდ, ერთგვარი შიშით უთვალთვალებდა შვილს.

ამინდი საგანგები იდგა. ორი თვე ღრუბლის ფთილა არ გამოჩენილა ცაზე. თუმცა იკლო სიცხემ, ჩანდა, ზამთარს დადგომა არ ეწერა. მზეჭაბუკი ნეტარებდა. არ დაბრუნებულა წინანდელი, გულუბრყვილო, ბავშვური სილაღე, მაგრამ თავს სულ სხვანაირად გრძნობდა, ჩვეულ და ამავე დროს უჩვეულო სამყაროში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მის დასაწყნარებლად შეექმნათ: ცხოვრობდა მინის გამჭვირვალე სფეროში. ერთი მხრივ, ხასხასა მწვანე დედამიწა ერტყა, მისი პლანტაციებით, ქარსაცავი ზოლებით, ბაღ-ვენახებით, თუნუქის წითელი სახურავებით, მეორე მხრივ კი – ზევიდან, ცისფერი მინის უზარმაზარი ხუფი... ყველაფერი გამჭვირვალე და ბუნდოვანი იყო ამ სამყაროში. ფერები სულში იღვრებოდა, ჰაერში ეკიდა რაღაც უთქმელი ბგერები, მზისა და ყვავილთა სურნელება... მეხსიერება კი... მეხსიერება გადაეკეტა იმ დღეს, როდესაც პირველი ყლორტი მოწყვიტა ჩაის ბუჩქზე.

მხოლოდ საღამოობით ეუფლებოდა გაურკვეველი მღელვარება. თვითონაც არ იცოდა, რატომ, შინისაკენ ფეხებს ითრევდა. ჩუმად მიუჯდებოდა შუაცეცხლს (საღამოობით უკვე ანთებდა თათუშა), ელოდა, როდის მიიწვევდნენ ტაბლასთან. გვიანობამდე რჩებოდა სამზადში, უჭირდა ოდის კიბეზე ასვლა. მერე ჩაწვებოდა ლოგინში, ჩაეხუტებოდა ბალიშს და თითქოს ჭიანჭველების ქალაქზეა წამოწოლილიო, აფუთფუთდებოდა ეჭვი, რომელსაც

ძალუმად დევნიდა. არ იცოდა რა ეჭვი იყო ეს, ვისზე ეჭვობდა, რა საფუძველი ჰქონდა ამ ეჭვს... ღამე საკმაოდ გრძელი იყო, ძილი არ მოდიოდა. თვალგახელილი შეჰყურება ბნელ ჭერს, მხოლოდ გუმანით ხედავდა მარტივ, ხელით ნაჩორკნ ჩუქურთმებს (იხვების რიგი იყო ვითომ), რითაც, თავის დროზე, სახლის ხუროს თავი მოჰქონდა... მეზობელი ოთახიდან კი მთელი ღამე შემოდიოდა სულით ავადმყოფის გიჟური ჩვენებები...

ას წელს გადაცილებული ბებიის გაბავშვება არავის უკვირდა. ღმერთო შეგცოდე და დრო იყო შორეულ გზაზე დადგომისა. მზეჭაბუკს არ შეეძლო იმის ყურება, თუ როგორ ბავშვდებოდა დედაბერი, როგორ მალავდა ჯიბეში კამფეტებსა და შავ ხურდას, როგორ წუწუნებდა უაზროდ. არ შეეძლო მოესმინა უფროსების თუნდაც უბოროტო ხუმრობა დედაბრის ჭკუადამთხვეულობაზე... ეს ქალი უკვე არ იყო ჩათუ-ბები, მის მიხრწნილ გვამში სხვა სული ჩასახლდა, დაშინებული, დაკნინებული, სიგიჟის სენით შეპყრობილი...

ღამე მიიზლაზნებოდა, არ თავდებოდა... სახლი ბნელს მოეცვა. ჩუმდებოდა ბაყაყი, ჩუმდებოდა ჭრიჭინობელა, აღარ ყეფდნენ ძაღლები, აღარ ისმოდა საქონლის ფშვინვა, არც ქათმების ყუტყუტი... ქურდის დრო დგებოდა... აღარ ახსოვდა როდის იძირებოდა ძილში, როდის გამოდიოდა ძილქუშიდან... ეგონა, სულ არ მიძინიაო. ამასობაში იყივლებდა მამალი, გაიცრიცებოდა ბინდი, გამოიკვეთებოდა საგნები, ფანჯრის მიღმა კი ერთი და იგივე ტოტი, დილის ნამით დამძიმებული ფოთლით... იატაკზე შიშველი ფეხით გაიფლატუნებდა ბოდღო, აკრუსუნდებოდა თათუშა, ეზარებოდა თბილი ლოგინის დატოვება... პერანგისამარა მზეჭაბუკი გამოვიდოდა აივანზე, გადახედავდა მზით გაბრწყინებულ, ცვრით ნაბან ქვეყანას და კალათას დაავლებდა ხელს...

ერთხელ, მოსახვევთან მანქანა დამუხრუჭდა, ჯიმშედმა გადმოიხედა.

— ჰეი, სად მიხვალ, კაცო?

მზეჭაბუკი ვერ მიხვდა, რატომ ეკითხებოდნენ.

— ჩაიში!

— გათავდა ჩაი!

— როგორ გათავდა?

— სეზონი დამთავრდა, არავინ კრეფს დღეს!

მზეჭაბუკი უხმოდ შეტრიალდა, შინისაკენ გაბრუნდა.

არ იცოდა დრო რითი მოეკლა. წიგნი აიღო, ენგურისპირა კბოდეზე ჩამოჯდა. აქედან მდინარე ვრცელი და წყალუხვი ჩანდა. ბორანი მიიზლაზნებოდა გაღმა ნაპირისაკენ. ავტობუსი ელოდებოდა და მძღოლი მოუთმენლად აპიპინებდა.

მზეჭაბუკი წიგნში იყურებოდა. სიტყვასაც კი ვერ გებულობდა. სამჯერ ჩაიკითხა მცირე აბზაცი. ვერაფერი გაიგო, აზრი შორს მიჰქროდა, რაღაც უსხეულოს, უსაგნოს ეპოტინებოდა, რაიმე არსებითზე ვერ ჩერდებოდა.

წიგნი დახურა, მღვრიე წყალს ჩააშტერდა. ასე იჯდა დაბინდებამდე.

საღამოს კი, ჩუმი ვახშმის შემდეგ, წამოკრიფა თავისი ლოგინი და ბოძკინტებზე შემჯდარ ნალიაზე აძვრა. მოსავალი ხომ ჯერ აღებული არ იყო. კუთხეში შარშანდელი სიმინდი ეყარა; ჭერზე შარშანდელი პილპილის, ზაფრანის კონები, ხახვისა და ნიორის გალა ეკიდა და სასიამოვნო სუნი ტრიალებდა. აქ დაიგო ლოგინი. კარს ურდულის მაგიერ ძალაყინი გაუყარა და წამოგორდა.

„ვაიმე, მთლად დამეღუპა შვილი!“ – მკერდზე მჯიღი იკრა თათუშამ. ქმარმა დაუცაცხანა, რისი გეშინია, წინათაც ხომ ხშირად გაუთევია იქ ღამეო.

მზეჭაბუკი იწვა სრულ სიბნელეში, პირველყოფილ მდუმარებაში, რომელსაც სოფლის შორეული ხმებიღა არღვევდა.

ვერც კი გაიგო, როდის ჩაეძინა...

სიწყნარემ გამოაღვიძა. არაჩვეულებრივი მდუმარება იდგა. თვალზე ხელი მოისვა, რადგან უსინათლო გამხდარიყო. თვალი თანდათან შეაჩვია სიბნელეს. გაიხსენა, რომ თავის საწოლში არ იწვა. ჰაერში ნიორისა და ზაფრანის მძაფრი სუნი ტრიალებდა. ყოველივე ეს სიამოვნებდა კიდეც, ოღონდ არაჩვეულებრივმა სიჩუმემ შიში მოჰგვარა, თუმცა არ იცოდა, რისი უნდა შეშინებოდა. ვინ რას უშავებდა ამ ნალიაში, ან ვინ იცოდა, რომ მას აქ ეძინა?

გასუსული იწვა საბანში, განძრევას უფრთხოდა. თანდათან მღვრიე ტალღა შემოიჭრა წმინდა მდუმარებაში, ააშფოთა. მოეჩვენა, რომ მის გვერდით ვიღაც ბუტბუტებდა. მზეჭაბუკს

სუნთქვა შეეკრა. თავი წამოსწია. ბუტბუტი აშკარად მოესმა, ოღონდ გარედან.

საბანი ფრთხილად მოიგდო მხრებზე, კედელთან მიცოცდა, ძელებს შორის საჰაეროდ დატოვებულ ჭრილში გაიხედა.

გარეთაც ბნელოდა. მაინც შეიძლებოდა ეზო-ბაღის გრაგნილის ან ოდა-სახლის სახურავის შავი სილუეტის გარჩევა. გუმანითაც ხვდებოდა, სად რა იყო და ამიტომ ეგონა, ვხედავო.

შიშისაგან თმა აებურძგლა. იქვე, ნალიის ძირას, თეთრი ლანდი გაკრთა. მისგან მოისმოდა ყრუ, გაუგებარი დუდღუნი, აშკარად ნათქვამი თუ ნაფიქრალი, ამის გარჩევა ახლა ძნელი იყო.

თეთრი ლანდი ნელი მოძრაობით ტრიალებდა, მერე დაიძრა, ეზოში იფარფატა, რაც უფრო შორდებოდა ნალიას, მით უფრო სუსტდებოდა გაუგებარი ბუტბუტი. მალე სიბნელეს შეერია, თუმცა მზეჭაბუკს დიდხანს ეჩვენებოდა, რომ ხედავდა ტრიფოლიატთან.

უცბად ეზოს შორეულ კუთხეში გაისმა მჭახე სიცილი და უმალვე ჩაქრა. მზეჭაბუკს გულმა ბაგუნი დაუწყო, სისხლი სცემდა საფეთქლებში, სუნთქვა შეეკრა. ხელი მოაფათურა, სადმე წალდი ხომ არ გდიაო. შემოსასვლელი ერთხელაც შეამოწმა, ძალაყინით უფრო გაამაგრა.

თეთრი ლანდი კვლავ ბრუნდებოდა, მოფარფატებდა და რაღაცას ბუტბუტებდა. სუსტად დაეტაკა ბოძს, რომელზეც ნალია იდგა, შეაჯაჯგურა. ოთხივე ბოძი მაგრად იყო ჩარჭობილი, ვერ მოერია. ისევ გაიჭახჭახა უსიამოვნოდ. მეორე ბოძს დაეჭიდა, მერე მესამეს, მეოთხეს...

„კიბეს ვერ ამჩნევს“, — ოფლმა დაასხა ყმაწვილს.

თეთრი ლანდი მცირე ხანს ბურტყუნებდა რაღაც გაუგებარს, უაზროს, გიჟურს. მერე იმ კუთხესვე მიაშურა და დაიკარგა. მისმა გაუჩინარებამ მზეჭაბუკი ვერ დაამშვიდა. ძილი საბოლოოდ დაუფრთხა. იჯდა სათვალთვალო ადგილზე და ფხიზლად ათვალიერებდა ეზოს.

მამლის ყივილზე ირიჟრაჟა. წასთვლიმა, ძილი მოეძალა. კედელთან მოკუნტულს ეძინა... ეზოს გამოცოცხლება არ გაუგია. ბოდღომ ქამარში წალდი გაირჭო, ფიჩხის მოსაგროვებლად წავიდა ახლო ტყეში. თათუშა დილის საქმეებს შეუდგა გულმ-

ოდგინედ... მზემ აიწია... ბავშვს გავაღვიძებო, იფიქრა, მაგრამ მოღუშული მზეჭაბუკი უკვე ჩამოდიოდა ნალიის კიბეზე...

უხმოდ დაუქნია თავის დედას. გული არაფერზე მიუდიოდა. ძარღვებში სიზანტე ჩაუდგა. მისი ზოზინა აზრი წუხანდელ მოჩვენებას დასტრიალებდა, ისევ და ისევ უბრუნდებოდა, შიშსა და ცნობისწადილს უღვივებდა.

თათუშამ საუზმეზე მოიხმო. არც ამჩნევდა რას ჭამდა, ათი წუთის შემდეგ კი უკვე დაავიწყდა, ისაუზმა თუ არა.

— შვილო, რა დაგემართა? ხმა მაინც გამეცი!

მზეჭაბუკმა გაოცებით შეხედა.

— არაფერი, დედიკო, რა უნდა დამმართნოდა?

ლოყაზე აკოცა და კვლავ ფიქრში ჩაიძირა... ენგური მიაქანებდა მღვრიე ტალღებს და წყლის მონოტონურ დუდუნში მზეჭაბუკს ერთმანეთში აერია თბილისი, ტატო, ჯუმა, კაჭუჭია, თეთრი ლანდი ბნელ ღამეში...

ნავახშმევს ისევ ნალიაში აძვრა. კარი საგანგებოდ გაამაგრა რკინის ძალაყინით, ლოგინზე გაუხდელი წამოწვა.

ბნელი ღამე იყო. მზეჭაბუკს არ ეძინებოდა. თვალგახელილი მისჩერებოდა სიბნელეს, ყურს უგდებდა სოფლის ხმებს. სადღაც მანქანა აგუგუნდა. ვიღაცის გადალაპარაკა მოისმა, მებორნე ჭიჭყინებდა ბორანზე, მანქანა თუ გადაჰყავდა. შხუოდა ენგური. ქათამს გამოეღვიძა, ფრთა ააბათქუნა, მიწყნარდა. ბურჯამ ჩაიღრინა, ერთი შეჰყეფა, მერე საცოდავი წკმუტუნი აღმოხდა და ისიც გაჩუმდა.

მდუმარება ჩამოწვა. იშვიათად თუ გაიფაჩუნებდა სიმინდი, ან ნიავი გაიქროლებდა, ტოტებს შეარხევდა. მზეჭაბუკი უმალვე თავს წამოსწევდა, მიაყურადებდა... რული მაინც მოაწვა. დიდხანს ებრძოდა ძილს, ხან ჩაიძირებოდა, ხანაც ამოტივტივდებოდა. ეჩვენებოდა, რომ ვიღაც ეპარებოდა, თვალს გაახელდა და ისევ ბურანში იძირებოდა.

უკვე აღარ იცოდა, სიზმარში იყო თუ ცხადში. რაღაც თეთრი, ფუმფულა უფარფატებდა თვალთახედვის წინ. გრძნობდა ნივრის, პილპილის, ზაფრანის მძაფრ სუნს... დაავიწყდა სად იყო, ვერ ხვდებოდა, რა ემართებოდა.

გამთენიისას გამოფხიზლდა. ცოტათი თავი ტკიოდა, გაოფლილს პერანგი ტანზე უსიამოვნოდ ეწებებოდა...

* * *

ორი კვირის თავზე დეპეშა მოვიდა. ჯუმა და კაჭუჭია იტყობინებოდნენ, ცოლებს ვირთავთო. ატყდა ფაციფუცი, ორომტრიალი. თათუშამ არ იცოდა, რა საქმისათვის მოეკიდა ხელი. ბიჭები ალბათ პატარძლებს სოფელში ჩამოგვიყვანენ და არ შევრცხვეთო. „ასე შეიძლება? წინასწარ მაინც ეთქვათ მაგ გათახსირებულებს, დამაცადონ ერთი!“ – დაბნეულად დუდღუნებდა და დილიდან საღამომდე ფეხზე ტრიალებდა, ხან მწნილს დებდა ლაგვანში, ხან ფქვილს ცრიდა, მეზობლებში სახაჭაპურე ყველს სესხულობდა, გოჭებსა და ფრინველს ითვლიდა, ღვინო არ გვეყოფაო და ქმარს ეჩხუბებოდა, გაინძერი და სადმე იშოვეო. „ჰაი, ჰაი, — გულზე ხელს იბრაგუნებდა ბოდღო, — დამეზარდნენ არწივები, აბა! ახლანდელი ახალგაზრდები მშობლებს არაფერს ეკითხებიან... მოვიდნენ ერთი, ყურები ავაღლიტო, ჰაი, ჰაი...“ – ტყუილად იმუქრებოდა, თორემ გაამაყდა, სოფლის შუკებში ისეთი რიხით დადიოდა, ქვეყნის ბედ-იღბალი მას ჩააბარესო.

ამ საქმეებში გართული ცოლ-ქმარი მზეჭაბუკისათვის სულ ვერ იცლიდა და ყმაწვილი თავის ფიქრთან განმარტოვდა. ფიქრი კი ისე აეწეწა, აზრის დალაგება საბოლოოდ მიატოვა. გრძელი დღეები ენგურის პირას და არანაკლებ გრძელი ღამეები ნალიაში არ ამახსოვრდებოდა, რადგან ეს უწყვეტი ქაოტურ აზრთა სრბოლა ერთფეროვანი იყო, როგორც ოკეანე ტივზე მოცურავე კაცისათვის. არსად ჩანდა მეხსიერების ის კუნძული, რომელიც გაურკვევდა სამყოფელს სამყაროს უსასრულობაში.

ერთ დღეს, ნაპირზე მჯდარს, ფაცი წააწყდა, შეწუხება ვერ გაუბედა, უსიტყვოდ გვერდის ავლაც არ შეეძლო და ამან ააწრიალა. მზეჭაბუკმა ადრევე შეამჩნია, ოღონდ ჯიუტად მიშტერებოდა წყალს და იცდიდა, როდის დატოვებდნენ მარტო. ფაციმ წკნელი გადატეხა. ისეთი ჭახანი გაისმა, უყურადღებობა არ იქნებოდა. მზეჭაბუკმა თავაუწევლად იკითხა:

— რა გინდა?

— აქეთ მოვდიოდი და... – დაიბნა გოგო.

— მერე გზაზე ხომ არ ვზივარ, თუ გინდა, გავიწევი!

გოგო მთლად აირია, არ იცოდა რა ეპასუხნა. თვალზე ცრემლი მოადგა და სწრაფად მიაყარა:

— რაღაც სხვანაირი ხარ, მზეჭაბუკ, რა გაგიკეთეს იმ ქალაქში, გული ხომ არ გამოგიცვალეს?

— გამომიცვალეს, გამომიცვალეს! მერე შენ რა?! – ფიცხად გააწყვეტინა მზეჭაბუკმა.

გოგო შეტრიალდა, ტირილს ვერ იკავებდა. მზეჭაბუკი მღვრიე წყლისაკენ გადაიხარა, სმენა დაიხშო, არც კი გაუგონია გაქცეული გოგოს ჩქარი ფეხის ხმა...

ღამე გამოეღვიძა. გვიანი იყო. ალბათ მალე გათენდებოდა... უცბად ვერ მიხვდა, რა ხდებოდა. რაღაცა მოხვდა ნალიის ბოძს. მზეჭაბუკი მოულოდნელობისაგან წამოჯდა, ნაცნობი ბუტბუტი მოესმა და გაირინდა. ისევ ის თეთრი ლანდი ეჯაჯგურებოდა, ნალიის ჩამოქცევას ცდილობდა. ისევ არ ეყო ღონე, გულბოროტად, ჯავრიანად ბუტბუტებდა, იწყევლებოდა. ოდნავ გაიელვა და ჩეხვის ხმა გაისმა. ეტყობა ნაჯახით ჭრიდა ბოძს. წაბლისა იყო, არც ისე იოლი გასაჩეხი, და მალე მობეზრდა. „კიბეს ვერ აგნებს“, — გაიფიქრა მზეჭაბუკმა. თეთრმა ლანდმა თითქოს გაიგონა მისი ნაფიქრალი, ჩაიხითხითა, ნალიის ირგვლივ ცეცებ-ცეცებით დაბორიალდა. მალე კიბე აჭრაჭუნდა. მზეჭაბუკი მთლად აიზღარბა. გული სწრაფად უცემდა. საგანგებოდ მომზადებულ კეტს დაავლო ხელი. „თუ შემოძვრა, ვლეწავ და გავათავებ!“ – დაიქადნა გუნებაში. სუნთქვაშეკრული მოკუნტულიყო კუთხეში და ელოდა. ხელის ფათური გაისმა, მომხდური საძრომს ეძებდა. დაეჯაჯგურა, თანაც ხმადაბლა ხითხითებდა. ვერ გააღო, ძალაყინი ვერ ჩამოაგდო. გაბრაზდა, უაზროდ ბურტყუნებდა. მზეჭაბუკმა ყური ცქვიტა და მის სმენას მისწვდა გიჟური ფორიაქი სულისა: „ტყაში მაფაშ სქუა!.. ტყაში მაფაშ სქუა!..“ ელდა ეცა, შიშის გამო კი არა, ეჭვის გამო.

ამასობაში კიდეც გათენდა. მზეჭაბუკმა ძალაყინი გამოაძრო და გარეთ გაიხედა.

სოფელს ჯერ კიდევ ეძინა. ეზოში სრული სიმშვიდე სუფევდა. ბურჯამ შესწკმუტუნა, ფუმფულა კუდი შეარხია.

მზეჭაბუკი ოდის კიბეზე ქურდულად აიპარა, კართან მიირბინა. ბოდღო ხვრინავდა გემრიელად. დედაბრის ოთახიდან ჩქამი არ ისმოდა. ფრთხილად შეაღო კარი და შეიჭყიტა. დედაბერი გასუსული იწვა. მზეჭაბუკი დაიფიცებდა, წამის წინ იგი თვალგახელილი იყო და ახლა თავს იმძინარებდა. დააკვირდა მის სახეს. სიბერისაგან დამჩაჩოდა. მიხურულ ქუთუთოებქვეშ თვალის გუგები მოუსვენრად ტრიალებდნენ. ყმაწვილის სმენამდე აღწევდა ხმა: „არ შემოვიდეს!.. არ შემოვიდეს!.. ტყაში მაფა!..“ და მიხვდა, ამ ნაფიქრალში არაფერი იყო გიჟური. დედაბერი სულაც არ იყო შეურაცხადი, მის აწრიალებულ ფიქრებში საიდუმლო რამ იმალებოდა.

— ჩათუ-ბები! – ჩუმად დაუძახა. დედაბერი არ შეტოკებულა.

მზეჭაბუკმა კარი გაიხურა და მდინარისაკენ გასწია.

ჭიშკართან ბურჯა წამოეწია, ფეხებში გაუწვა, კუდი ააბათქუნა.

— რა გინდა, შე უჭკუო, — კისერზე ხელი მოუთათუნა, — შენ მაინცა ხარ ბედნიერი!

ბურჯა სიხარულისაგან გაგიჟდა. შეჰყეფა, მკერდზე შეხტომა ვერ გაუბედა და ეზოში გაქუსლა.

მეზობლის სახლისაკენ გაიხედა. ფაცი ამდგარიყო და ჭასთან ტრიალებდა. აქედან არ ჩანდა, რას აკეთებდა. ეს არც აინტერესებდა. ჩუმად დაუსტვინა. ფაცი გაირინდა, ხელები ჩამოჰყარა. მზეჭაბუკმა მხოლოდ გაუღიმა და აჩემებულ ადგილს მიაშურა, ჯირკზე ჩამოჯდა.

მალე ფაჩუნი მოესმა. თავი არ მოუბრუნებია, ისე ჩაიწია, ადგილი გაათავისუფლა. ფაცი ჩუმად მიუჯდა. ასე ისხდნენ ხოლმე მზეჭაბუკის გამგზავრებამდე. „რა კარგი იყო მაშინ, აქ ვიჯექი და ველოდი, ეგებ მაკოცოს-მეთქი... ერთხელ ხომ მაკოცა კიდეც!“ მზეჭაბუკი მოიღუშა, გუნება წაუხდა: „აკი თავს იკლავდი, აღარ მინდა შენი კოცნაო?“

— ერთი ეს მითხარი, დედაჩემს როგორ იცნობ? – შეეკითხა.

ფაციმ გაოცებით შეხედა, ვერ მიუხვდა.

— ჰო, რას გაგიკვირდა, მეზობლები არა ვართ? რამე ხომ არ გაგიგია, ჭორი, ზღაპარი?!

— რა უნდა გამეგო?

— ე, რა შტერები ხართ ეს გოგოები? ხომ შეიძლება ვინმეს რამე გაეხუმრა?

— თათუშა დეიდა მე დედაჩემივით მიყვარს! – ეს რომ თქვა, ლოყებზე ცეცხლი მოეკიდა, თვალებში წყალი ჩაუდგა.

მზეჭაბუკმა ყურადღებით შეხედა.

— ისიც არ მითხრა, რომ ბებიაჩემი ბებიაშენივით გიყვარს!

გოგომ ნიკაპი მუხლისთავებზე დააყრდნო, ფლოსტებს დაჰ-ყურებდა ბეჯითად.

— ვერაფერი გამიგია, მზეჭაბუკ, შენ... – ხმა ჩაუწყდა, „ისეთი კარგი იყავიო“, — ფიქრში განაგრძო.

— მე ისეთი კარგი ვიყავი... – მის მაგივრად დაამთავრა მზე-ჭაბუკმა, — მაშინ თქვენც ყველანი კარგები იყავით, არ ტყუოდით... ასე მეგონა! – ფიცხად დაასრულა, – ბებიაჩემზე მაინც ხომ გაგიგონია?.. არ შეიძლება არ გაგეგონოს!.. ყველა ბებიაზე ყვებიან რამეს!

— მერე რა, ეს ხომ ჭორია?.. მამაჩემის დედას ხომ იცნობ, მსუქანი ბებია რომ არის, „შე ჩხიროო“ დედაჩემის დედას აჯავ-რებდა... ის კი ხუმრობით პასუხობდა...

— ეს არა, ეს არა! – ზიზღით გააწყვეტინა მზეჭაბუკმა, — ბან-ზე ნუ მიგდებ სიტყვას!

— არ მესმის, რას მეკითხები? – სერიოზულად თქვა ფაციმ, – ის ხომ არ გინდა გიამბო, ბებიაშენი რომ ტყაში მაფას ეჩხუბა?

მზეჭაბუკი აირია, ძარღვებში ცახცახმა დაუარა. ასეთი რამ მართლაც არ გაეგონა.

— რაო, ტყაში მაფაო?

— მერედა ეს ხომ ზღაპარია? ჭორიკანა დედაბერი რომაა, ნადიაკვნარის ცოლყოფილი, ის ყვებოდა, მაგრამ იმას რა დაეჯე-რება. შენც ხომ იცი, რა ტყუილების გუდაა. რა დროს ტყაში მაფაა? ჩვენს დროს, მეოცე საუკუნეში... ასეთი რამ არც შეიძლებოდა მომხდარიყო...

— მაინც რაო ნადიაკვნარის ცოლყოფილმა?

— კარგად არ ვიცი. ვითომ იმ ტყეში ისეთი წივილ-კივილი ის-მოდა, მთელი სოფელი გამოეფინა... მერე ამბობდნენ, — მე ეს არ მჯერა, რასაკვირველია, — თურმე ბებიაშენი შებრძოლებია ტყა-ში მაფას. ის კიდევ ფეხმძიმედ ყოფილა... მეტი არაფერი ვიცი...

— მერე, რითი დამთავრდაო ის ბრძოლა?

— არ ვიცი რა! არ ვიცი! – მუდარით შეეპასუხა ფაცი. გრძნობ-და, რაღაც ავი და ზედმეტი წამოსცდა.

მოულოდნელად წამოხტა, გაიქცა.

— ფაციკო!

— არ ვიცი, არ ვიცი!.. – თავის ეზოში შევარდა.

იმ ღამეს არაფერი მომხდარა, არც მეორეს, არც მესამეს. ცხოვრება ჩვეულებრივი გზით მიდიოდა. ენგური სულ უფრო და უფრო კლებულობდა, სივრცე პატარავდებოდა, რუხი ნაპირები შიშვლდებოდა.

ღამღამობით უკვე ციოდა.

კვირის დასასრულს ძილი კვლავ დაერღვა. აშკარა ბუტბუტი შემოესმა. მასში იგრძნობოდა რაღაც ბოროტი, დაუნდობელი, არა უნებური, წამიერი, სიფიცხით გამოწვეული, არამედ ძველთაძვე-ლი, გულში ღრმად ნატარები, ნალოლიავები...

თეთრი ლანდი მოუახლოვდა კიბეს, აჭრაჭუნდა თხელი საფეხ-ურები. ვიღაც ფრთხილად ჩაეჭიდა კარს, დაეჯაჯგურა. ძალაყი-ნი მაგრად იყო სახელურში ჩამაგრებული, მაგრამ მზეჭაბუკს შიში სულ უფრო იპყრობდა და ხელ-ფეხს ცივი ტყვიით უვსებდა.

— რა მოხდა, ჩათუ-ბები, რატომ არა გძინავს?! – წამოიძახა თავისდაუნებურად.

კარს მიღმა ხმაური შეწყდა. დუმილი დასადგურდა. იფიქრა, მომეჩვენაო. კიბე ისევ აჭრაჭუნდა მსუბუქად. თეთრი ლანდი ქვევით ეშვებოდა.

მზეჭაბუკი ლოგინში ჩავარდა, საბანი თავზე წამოიხურა... შესცივდა, დასცხა, კვლავ შესცივდა... ცუდად ხდებოდა... ყვე-ლაფერი გაქრა... როცა გონს მოეგო, თავის ლოგინში იწვა, ოდაში და თავზე ექიმი ადგა...

თავი IV. ნადიაკვნარის ცოლყოფილი

ნადიაკვნარის ცოლყოფილი თვითონვე მოვიდა თავისი ფეხით. მზეჭაბუკი ლოგინში იწვა, თავი მაღალ სასთუმალზე მიედო და ღია კარით ეზოს გასცქეროდა. ოთახის კუთხეში ტელევიზორი იდგა, დილიდან გვიან ღამემდე ჩართული იყო. ყმაწვილი ერთნაირი გულგრილობით უყურებდა ყველა გადაცემას... წიგნი სწრაფად ღლიდა, ტელევიზორი თუ შეაწუხებდა, მოიხმობდა ვინმეს და ხმას ჩააწევინებდა. უფრო მეტად კი ეზოს უთვალთვალებდა გაურკვეველი მოლოდინით. თურმე ნადიაკვნარის ცოლყოფილის მოსვლას ელოდა. ამას მაშინ მიხვდა, როცა დედაბერმა ჭიშკარი შემოაღო. ბავშვობის დროიდან არ ენახა ქვრივი, მაგრამ ჭიშკარმა რომ დაიჭრიალა, უმალვე იცნო. სახე პატარა, ჩექმის ყელივით შავი და დაჭმუჭნული ჰქონდა. ტანად ერთი ციდაც არ იქნებოდა და ის სიმაღლეც ეკარგებოდა, რადგან ხელჯოხს ჩამოყრდნობილი წელში მოხრილი დადიოდა. ყველას ერთნაირად უღიმოდა უკბილო ღრძილებით. ამით მავანს აგრძნობინებდა, ერთი საცოდავი ვიღაცა ვარ, არავის არაფერს ვუშავებ და მეც ხელი არ მახლოთო. დაშავებით კი ვის არ უშავებდა. მთელი სოფლის ჭორი მძივივით ჰქონდა ასხმული, ყველაზე ყველაფერი იცოდა და ენაზე არაფერი უჩერდებოდა. თავისი დრო და სიცოცხლე იმითღა გაიტანა, დღე ერთი იყო, მეზობლებთან სამჯერ სადილობდა ცინცხალი ჭორის ხარჯზე, რომელიც დიდის გულმოდგინებით დაჰქონდა კარიდან კარზე. ამას ისე მიეჩვივნენ, სოფელი თავს ვალდებულად თვლიდა შეენახა აბეზარი დედაბერი.

ტელევიზორში ჰოკეის მატჩს გადმოსცემდნენ. მრავალათასიანი ბრბო ღრიალებდა: „შაიბა, შაიბა!..“ ძველი რაინდებივით მოუხეშავ ტანსაცმელში ჩაჯავშნული ჰოკეისტები გამეტებით სცემდნენ ჯოხებს და მსაჯთა ყოველ სტვენას ტრიბუნების აუტანელი ზრიალი მოსდევდა. ჰოკეი არ აინტერესებდა. მაინც უყურებდა და ცდილობდა ამოეხსნა თუნდაც ერთი კითხვა ათას ერთიდან, რომელიც მისი გონების თვალსაწიერზე ტრიალებდა: „ვინ არიან ესენი? რანი არიან? რა ამოძრავებთ? რა ასულდგმულებთ? რას ნიშნავს ეს ჯანსაღი, ოპტიმისტური ყიჟინა?“ – კითხვებს რა გამოლევდა, მარტივი პასუხი არ არსებობდა.

ეზოში ამ დროს თათუშა და ნადიაკვნარის ცოლყოფილი ბოდიშებით, თავპატიჟით, ურთიერთმოკითხვებით ერთმანეთს აწამებდნენ და თვალთმაქცობა ამოსდგომოდა სიტყვაზე დასმულ ყოველ მახვილს.

— კანტორისაკენ მივდიოდი პენციის ასაღებად და ქიონია შემხვდა, ბარდღას შინაბერა, იმან მითხრა, ბიჭი ჩაუვარდათო ლოგინად. ავმა თვალმა თუ გათვალა-მეთქი და აქეთ გადმოვუხვიე... – ყოველ სიტყვას უმიზეზო ხითხითს მოაყოლებდა დედაბერი.

— ვერ გადავიხდი შენს პატივისცემას, — ფაციფუცობდა თათუშა, — ახლანდელმა ექიმებმა არაფერი იციან, შენი ჭირიმე. ნევრასთენიაა, ის ჭირიანი თვითონაა ნევრასთენიკი...

— გათვალულია, ნამდვილად გათვალული...

ესეც „ჩვენი საუკუნე“ იყო! მზეჭაბუკს გაახსენდა ფაცის სიტყვები, „ჩვენს დროსო“, „ჩვენს მეოცე საუკუნეშიო“... ახლა ამაზე ფიქრი არ მოისურვა, კედლისაკენ შებრუნდა და თავი მოიმძინარა.

ტელევიზორში ბრბო ისევ ღრიალებდა: „შაიბა, შაიბა!“

— ჩასძინებია, დედიკო ენაცვალოს, — წაიჩურჩულა თათუშამ.

— მოიცა, შევულოცო, ხვალ-ზეგ გაუხედნავი კვიცივით იკუნტრუშებს, — ჩუმად შეეპასუხა დედაბერი. თავს დასტრიალებდა მწოლიარეს, ჭაობისა და ხავსის სურნელებით ავსებდა ოთახს.

ჩიფჩიფებდა შელოცვას, იმეორებდა გაუგებარ სიტყვებს, აბრაკადაბრას, რომლის აზრი იქნებ თვითონაც არ ესმოდა, სულში კი უწყვეტად ხითხითებდა მისი ნამდვილი, დედაბრული „მე“.

„აჰა, ეს შეტევაც დამთავრდა და „შინნიკმა“!..“ – სულმოუთქმელად იგლეჯდა ხმის სიმებს დიქტორი და უცბად ოვაცია შეწყდა.

ოთახში არავინ იყო, ტელევიზორში მულტფილმს უჩვენებდნენ, ეს იყო ზარმაცი ბიჭუნას ზღაპარი, შემდეგ რომ ბეჯითი გახდა.

მზეჭაბუკმა თვალი დახუჭა და მართლაც მიიძინა...

ნადიაკვნარის ცოლყოფილის შელოცვა აბა, რას უშველიდა, კარგა ხანს შერჩა ლოგინს. ერთი პერიოდი, ამინდი გაფუჭდა. შემოდგომის ცივი, უჟმური წვიმები წამოიწყო. ბოდღო მთელი დღე ბუხარს ეფიცხებოდა, ნაღვერდალში აპურჭყებდა.

— ფუი, მოგიკვდა მომგონი, — აგინებდა ავდარს, — ე, სიმინდი ჩაგვილპა ყანაში, მშივრები დავიხოცებით წელს. ამ დილას გავიარე, ყველაზე როხო კვახი რომ ეგდო, ძვრას ვერ უყოფდი, ცალი გვერდი მოლპობია... ფუი, დაგლახვროს ეშმაკმა!..

წვიმა კი ბოდღოს დუდღუნს არაფრად აგდებდა, ცრიდა და ცრიდა.

— ეს კიდევ აქა ზის? – კაპასობდა თათუშა, – მიხედე, კაცო, საქმეს, რამდენი რამეა გასაკეთებელი, არაფერი გვაქვს ქორწილისათვის, სირცხვილს ხომ არა ვჭამთ?!

— მოგცლია, რა, დედაკაცო! – უგერგილოდ ჩაიქნევდა ბოდღო ხელს.

მზეჭაბუკის ოთახში ელექტროქურა დადგეს. ყმაწვილს არ უთხოვია, არ სციოდა. ხმა მაინც არ ამოუღია, მისთვის სულ ერთი იყო.

იწვა გაშოტილი, უყურებდა ტელეეკრანზე ასახულ ცხოვრებას, რომელიც ეგზომ მრავალფეროვანი იყო, ოღონდ იმდენად შორს ხდებოდა, მზეჭაბუკის გულს არ აღელვებდა. ეგონა, ამიერიდან ვერასოდეს ვერ ადგებოდა ლოგინიდან, დღე-დღეზე ელეოდა ღონე და თანდათან ქრებოდა სანთლის ცვილივით.

მაგრამ გამოიდარა. მზემ კვლავ გამოაცხუნა, ორთქლი აადინა ეზო-ბაღებს. მზეჭაბუკი გაღებული კარიდან უყურებდა გადაბანილ ეზოს და გვიან შეამჩნია, რა ხარბად ისუნთქავდა სუფთა ჰაერს. გაუკვირდა ასეთი სწრაფვა სიცოცხლისაკენ. ბალიშზე წამოიწია და უკეთ გახედა. ნიავის ყოველ გაფაჩუნებაზე ბაღში ყვითელი და ვარდისფერი ფოთლები ცვიოდა და მიწა რბილ ხალიჩას დამსგავსებოდა.

მზეჭაბუკს გაეღიმა. მოუნდა წამოხტომა, ბავშვური სიანცით ეზოში გავარდნა, ხეხილზე შერჩენილი მომჩაჩული ხილით პირის ჩატკბარუნება. გაახსენდა, რომ ავადმყოფია, ნ ე ვ რ ა ს თ ე ნ ი ა სჭირს და უღონოდ მიესვენა. რა იყო ბოლო-ბოლო ეს ნევრასთენია? უცნაური, შიშისმომგვრელი სიტყვა... ტელეეკრანზე ცირკის ოსტატები ყირამალა გადადიოდნენ... და მაშინ პირველად გაიფიქრა: „ნადიაკვნარის ცოლყოფილთან უნდა წავიდე!“

* * *

უხმაუროდ ჩაიცვა. ფანჯარა გამოაღო. ბაღიდან გრილი ჰაერი შემოიჭრა, პირზე მოელამუნა, საბოლოოდ გამოაფხიზლა. საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, ჩაფიქრდა. სად მიდიოდა, რისთვის, რა უნდა ეკითხა იმ უკბილო დედაბრისათვის? ან იმას რა ეცოდინებოდა ჭორის მეტი? რას ეძებდა თავად მზეჭაბუკი, რისი ცოდნა ეწადა, რა საიდუმლოება უნდა გაერკვია?

„უნდა გაირკვეს! – ჯიუტად უთხრა თავს, – ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს... თორემ ძნელია ასე!“

ფანჯრიდან გადავიდა, ბაღის თავზე გასცურა. თან წამოეწია წამიერი, შიშიანი ფიქრი, „ესეც ნევრასთენიაა?“ გრილმა სიომ გუნება გაუხალისა, ჭმუნვამ თანდათან გაუარა. ზე აიჭრა და იქიდან დასცქეროდა სოფელს... ცა წვრილი ვარსკვლავებით იყო მოფენილი, მთვარე კი ვარკალებდა თვალისმომჭრელად და მთელ სივრცეს უცნაური, არაამქვეყნიურად ბრჭყვიალა ფერებში ხვევდა. თეთრი, გამჭვირვალე მტვერი ეფინებოდა შავ სახლებს, ეზოებს, ბაღებს, ყანებს...

მზეჭაბუკმა დაიცხრო წამიერი აღტყინება, სწრაფად დაეშვა, რათა ვინმე ძილგატეხილს თვალი არ მოეკრა მისთვის. ყანა-ყანა გასწია, მაღალი სიმინდის თავთავებს ეხებოდა თითქმის. სველი ჩალის სურნელით გაივსო ღამეული ჰაერი. ყანა ჰგავდა ცხვრის შავ ტყავს, რომლის ბეწვისათვის თმის გასაპრიალებელი ზეთი წაუსვამთ...

სწრაფად გადაუქროლა სოფლის ნაცნობ უბნებს, ტყეს...

უცებ აღმოჩნდა პატარა, ვიწრო ეზოში. ორივე მხარეს ჭაობი შავად ზიმზიმებდა და ბაყაყების უწყვეტი ყიყინი იდგა.

ჯარგვალის დირესთან დაეშვა. კვამლის სუნი ეცა, ალბათ შუაცეცხლიდან მოდიოდა. არ სძინებიაო, გაიფიქრა.

დაკაკუნება უნდოდა. გაწვდილი ხელი ჰაერში შერჩა, კარი გაღებული დახვდა.

— შემოდი, ვინცა ხარ! – დედაბრის ჩახლეჩილმა ხმამ შეაკრთო.

— ბნელა! – წაილუღლუღა.

— ახლავე ცეცხლს ავანთებ! – სიბნელეში ლანდი დაფაცურ-

და. იქ, სადაც შუაცეცხლი უნდა ყოფილიყო, ნაპერწკლები აცვივდა. „ცეცხლი გაუხვევია“, — დაასკვნა მზეჭაბუკმა.

დედაბერმა ბურბუშელა მიაყარა. ცეცხლი აბრიალდა. იქიდან კოჭობს მოუკიდა და ძირს დადგა, მიწატკეპნილ იატაკზე. მაშინღა მოიხედა.

— შემოდიხარ?

მზეჭაბუკს შერცხვა. თუმცა ერჩივნა გაქცეულიყო, თავს ძალა დაატანა, დირეს გადააბიჯა.

დედაბერს არ გაკვირვებია, იქნებ ელოდა კიდეც.

— დაჯექი!

ჯორკოზე ჩამოჯდა. დედაბერი წინ ჩაუცუცქდა. მზეჭაბუკს გაახსენდა, ბავშვობაში როგორ ჰზარავდა ეს ქალიცა და მისი განმარტოებული ჯარგვალიც. ცნობისმოყვარეობა ახლაც აწუხებდა, ოღონდ თავის მობრუნებას ვერ ბედავდა. ამ ადგილიდან კი შავად მოლაპლაპე ძელებსღა ხედავდა.

— თქვი! – დედაბერი თვალებში მისჩერებოდა. მზეჭაბუკი ელოდა, როდის ატეხდა ნადიაკვნარის ცოლყოფილი ხითხითს, მაგრამ მასპინძლის მზერა წურბელასავით მისწებებოდა და მზეჭაბუკმა პირისახე აარიდა.

— უნდა მიამბო ბებიაჩემისა და ტყაში მაფას ამბავი! – თქვა და თუმნიანი, სხვა ადგილი რომ ვერ ნახა, კოჭობს ამოუდო ქვევიდან

დედაბერმა თვალი მიადევნა, ჩაიხითხითა...

* * *

ამბავი ძველი იყო. თუმცა ნადიაკვნარის ცოლყოფილს კარგად ახსოვდა. რომ გეკითხათ, როდინდელიაო, ხელს ჩაიქნევდა, ალბათ ადამსა და ევას აქეთ არ მომხდარაო. ეგებ ყველაფერი ზღაპარი იყო, უთუოდ ასეც იქნებოდა, მაგრამ ტყუილ-მართალი ერთმანეთში აილესა და მზეჭაბუკი ამის გარკვევას ცდილობდა.

— ახალგაზრდებს მაინც არაფრისა გჯერათ, ჰი-ჰი-ჰი, — წამდაუწუმ ხითხითებდა ნადიაკვნარის ცოლყოფილი, — სარკეში საკუთარ დრუნჩებს რომ უყურებთ, გგონიათ სულ მაგეთები

იქნებით?.. ჩვენი უკბილო, დანაოჭებული სიფათები გეზიზღებათ. ალბათ, შენც დარწმუნებული ხარ, რომ დედის მუცლიდან ასეთი შეუხედავი დავიბადე...

მზეჭაბუკმა ნაძალადევად გაუღიმა, შუაცეცხლისა და კოჭობის შუქზე შეათვალიერა. დედაბერი ბინძური საცვლებისამარა იჯდა. მხრებზე ნაფლეთებად ქცეული შალი მოეხურა. სიღარიბის გამო კი არა, ცხოვრების წესის გამო იყო ეგრე, — იმთავითვე მიხვდა ყმაწვილი და ზიზღი ყელში მოებჯინა.

...თექვსმეტი წლისა რომ შესრულდა, გოგო კი არა, ცეცხლი იყო. მშობლებს ჯაჭვებით ებათ, თორემ უცხო მამაკაცს რომ ჩამოევლო, შარაზე გაეკიდებოდა და ქვეშ გაეგებოდა. ამას ჩვენ ვერ მოვუვლითო და გადაბერებულ ნადიაკვნარს შეაჩეჩეს. ნადიაკვნარი შეძლებულ კაცად ითვლებოდა. არ შიოდათ, ფარჩა-აბრეშუმს არ აკლებდა, ოღონდ პირველ ღამეს გვერდით რომ მიუწვა, ახალგაზრდა ცოლს ვეღარ მოერია. ეფერებოდა, აშოშმინებდა, ქალი კი უფრო ხელდებოდა და დილაადრიან, უკმარისობით შეჭირვებული, კვლავ ისეთივე, როგორიც აკვნიდან ადგა, ქმარს გაექცა... ქალის ჩივილს არავინ უსმინა და უკანვე მიჰგვარეს... ნადიაკვნარმა, უფრო სირცხვილის გამო, მათრახით სცემა და საწოლის ფეხს მიაჯაჭვა. კაცი კაცად არ ვარგოდა და ამით რას უშველიდა?

ასეთ წამებაში წელიწადი გავიდა... მეზობლის თვალი ვერაფერს ხედავდა. სამზადიდან კვამლი ამოდოდა. სტუმარს გულუხვად მასპინძლობდნენ. მოსავალი ბეღელს ავსებდა. ვალს დროზე აბრუნებდნენ, სესხს არავის უჭერდნენ. მაგრამ ქალის სულში ჯოჯოხეთის ცეცხლი ტრიალებდა და სიკვდილი ერჩივნა ამგვარ ყოფას.

ერთ დღეს მგელზე ამხედრებული კაცი შემოჯირითდა სოფლის შუკაში. ვინც კი თვალი შეასწრო, თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. ატყდა წივილ-კივილი, „თავს უშველეთ, გუჯმახანი მოდისო!“ ზარცემულთა ხმას შეერთო მგლის ყმუილი, გუჯმახანის ხარხარი, დარაბების რახარუხი... კვამლი ავარდა გზის გასწვრივ, მოიხრუკა ფოთლები, დანახშირდა შუკისპირა ღობეწნული...

გამოერკვა ნადიაკვნარის ახალგაზრდა ცოლი. ეზოს ჰგვიდა

იმ დროს. ცოცხი მიაგდო, წინსაფარი და თავშალიც მიაყოლა. უჩვეულო, შემზარავმა ყმუილმა და ყიჟინამ ჟრუანტელი მოჰგვარა, მიმქრალი ვნება გაუღვიძა, ორღობეში გამოაგდო.

მგელზე ამხედრებული წოწოლა, მწითური კაცი მოჰქროდა.

ქალმა ხელი აუწია ჯადოქარს, გაუცინა, მოიხმო.

„მესტუმრეთ, ბატონო!“

გუჯმახანმა მგელი შეაყოვნა, გაოცდა, ელამი თვალები მოჭუტა.

„დიაცო, სიკვდილს არ უფრთხი?“

„ჩემი საცოდავი სიცოცხლე რად გინდა, ბატონო, ჩემი თავი და სარეცელი კი შენთვის დამითმია!“

„ოჰო, ოჰო, მშვენიერი დიაცი ხარ, მშვენიერი!“ – ეზოში ჩამოხტა გუჯმახანი.

მგელი ბოსელში შეუშვა ნადიაკვნარის ახალგაზრდა ცოლმა, იქ ძროხა ება მეწველი.

მხედარს წარუძღვა ოდისაკენ.

მამაკაცისაგან მცხუნვარება მოდიოდა და ვნებისაგან გათანგული დიაცი სარეცლისაკენ მიისწრაფოდა.

რასაც ჩაუვლიდნენ, ყოველივე ნახშირდებოდა უმალ. ისლით გადახურულ ნალიას რომ გაუარა, ისლის სახურავს ცეცხლი წაეკიდა, ტკაცატკუცი აუტეხა. მერე გომურზე და საქათმეზე გადავიდა, იქიდან თავლაზე და სამზადიც მათ მიჰყვა.

წარბიც არ შეურხევია ახალგაზრდა დიასახლისს. ვნება მიერეკებოდა და, მასთან ერთად ქვეყნიერებაც რომ დაღუპულიყო, უკან არ დაიხევდა.

კიბეს აჰყვა გუჯმახანი. სადაც ფეხს ადგამდა, დანახშირებული ნაფეხურები აჩნდებოდი. გამხმარ ფიცრებს ნაპერწკლები სცვიოდა. ფანჯარაში მინა ჩამოიფშვნა ზრიალით.

სარეცელთან შედგა დიაცი, სამოსი გაიძრო და ცეცხლი შეხვდა ცეცხლს.

აკივლდა ვნებისაგან გახელებული ქალი, ყიჟინა დასცა გუჯმახანმა. შეგუბდა დამწვრის სუნი. ალმა მოლოკა კედლები, ალმა აჰყვა, სახურავზე ავარდა...

ამ დროს მოადგა ნადიაკვნარი თავის გატიალებულ სახლკარს.

„ავავაი!..“ – თავპირზე მუშტი იცა საბრალომ.

„ვინ არის?“ – წარბი შეჰყარა გუჯმახანმა.

„ძალად ქმარია ჩემი!“ – შესჩივლა დიაცმა.

„იქცეს გოგრად!“ – ბრძანა გუჯმახანმა.

ჰოდა, საბრალო ნადიაკვნარი კიბიდან ჩამოგორდა. შესანიშნავი გოგრა იყო, იმ სიმსხო, მტერს თვალი დაუდგებოდა. მთელი თვე ეგდო კიბესთან. მერე მეზობლის ღორი შემოპარულა და შეუჭამია...

— ჰი-ჰი-ჰი... – დიდხანს ქირქილებდა დედაბერი, — მას შემდეგ მეძახიან ცოლყოფილს, ჰი-ჰი-ჰი...

...იმ დღიდან სოფელმა აითვალისწუნა. არავის უნდოდა კარის მეზობლობა ჯადოქრის შეყვარებულთან. ჩუმჩუმად ჩაქოლვასაც უპირებდნენ, მაგრამ გუჯმახანის შიშით ცაზე ყვავი ვერ გაფრინდებოდა და ვინ გაბედავდა პირველი ქვის სროლას. თვითონ არ მოისურვა იქ დარჩენა. ნახანძრალი მიატოვა. ამ ჭაობში დაიდო ბინა, სოფლის განაპირას. ჯარგვალი აიშენა საკუთარი ხელით, დაჯდა კერიის პირას და დაელოდა მგლის მხედარს.

არაერთხელ გაუგონია შემზარავი კივილი ჭაობებიდან სოფელს. ეს გუჯმახანი ღრეობდა ნადიაკვნარის ცოლყოფილთან, დაფეთებულ მონადირეებს არაერთხელ უნახავთ მგლის მხედარი, რომელსაც კალთაში თავისი ვნებიანი სატრფო ესვა. ოღონდაც წყალს პირში იგუბებდნენ, რადგან ამბის მომტანის ოჯახი და საქონელი ერთ კვირაში ნადგურდებოდა ჟამისაგან.

და, აჰა, გუჯმახანმა შემოისვა მიჯნური, ტაბაკონაზე წაიყვანა, ჭინკათა თავყრილობაზე. ვერ მოასწრო ქალმა მგლის ზურგიდან ჩამოსვლა, ვიღაცა გამოუვარდა ჯადოქართა ფერხულიდან.

„ამაზე გამცვალე, გუჯმახან?!“ – იკივლა გახელებით, თმაში სწვდა და დაითრია ნადიაკვნარის ცოლყოფილი.

„ვინც გაიმარჯვებს, ის შემრჩება!“ – ბრძანა გუჯმახანმა.

ნადიაკვნარის ცოლყოფილს ღონე კი ერჩოდა, მაგრამ ჯადოქარს ჯადოქრობა ეხერხებოდა და მალე წამოაჩოქა, მიწას დასცა, ყელში ხელი წაუჭირა.

„ოღონდ ნუ მომკლავ და შენი მოახლე გავხდები!“ – შესთხოვა ნადიაკვნარის ცოლყოფილმა.

ჯადოქარმა ხელი უშვა, „მე ქალბატონი და შენ მოახლეო!“ – უბრძანა.

ამიერიდან ასე ცხოვრობდნენ. ერთგულად ემსახურებოდა თავის ქალბატონს და მხოლოდ მაშინ, როდესაც გუჯმახანს დაიმარტოხელებდა, ლოგინში ჩაუწვებოდა, იცხრობდა გიჟურ ვნებას. ჯადოქრის თვალს, აბა, რა გამოეპარებოდა. უმალ იკრავდა ღალატის სუნს და სასჯელად სამი დღე და სამი ღამე ფეხებით ჰკიდებდა მაღალი თხმელის წვერზე.

— ჰი-ჰი-ჰი... – ქირქილებდა უკბილო დედაბერი, — ქარი დაუბერავდა და ანკესზე ჩამოკიდებული თევზივით ავსხმარტალდებოდი, ჰი-ჰი-ჰი...

— თქვენ ცრუობთ, მასხრად მიგდებთ! – ბრაზი მოაწვა მზეჭაბუკს.

დედაბერმა მუხლისთავები მოიქექა, გამხმარ წვივებზე ფრჩხილები მოისვა, ისე მოიფხანა, სისხლიანი ზოლები დააჩნდა. ქირქილი მაინც არ შეუწყვეტია.

— მე დაგპატიჟე?.. მეკითხები და რაც მახსოვს, იმას გიყვები! ტყუილი და მართალი თვითონ განსაჯე!

— კი მაგრამ, რა შუაშია ჩათუ-ბები?

— ჰი-ჰი-ჰი... – გადაფიჩინდა დედაბერი, მისი უკბილო პირი თაგვის სოროს დაემსგავსა, – ვერ მიხვდი? ჩემი ქალბატონი ბებიაშენი იყო, ჰი-ჰი-ჰი...

— ერთი სიტყვაც არა მჯერა თქვენი!

— არ გჯერა და ნუ გჯერა! ეჰ, ძილის დროა უკვე, ბაყაყებიც კი გაჩუმდნენ...

— განაგრძეთ, განაგრძეთ! – მოლბა მზეჭაბუკი.

...დრო მიდიოდა. ხეზე ჩამოკიდებას თუ არ ჩავთვლით, ცხოვრება ჭკუამხიარულად გრძელდებოდა. მაგრამ მოულოდნელად ღურღუთი ტყეებიდან გამოჩნდა ტყაში მაფა.

ნადიაკვნარის ცოლყოფილი სილამაზით სოფელში გამოირჩეოდა, მისი ქალბატონი ხომ ბევრად სჯობდა მას, ტყაში მაფაზე ლამაზი კი, მთელ დუნიაზე, არც შეიძლებოდა ვინმე დაბადებულიყო.

ჰოდა, გუჯმახანმა ის რომ დაინახა, მთლად გადაირია. ჯერ პირისპირ შეებრძოლა, მაგრამ ვერაფერი დააკლო, რადგან თვით ჯგრაგი მფარველობდა ქალს, მარად მყინვარებში რომ ცხოვრობს.

რა ხრიკი არ მოუგონა, ვერაფრით ავნო. ბოლოს ჯადოსნური ვაშლი მიუგდო და ამით აცდუნა.

მშვენიერი, უბიწო ტყაში მაფა დაორსულდა.

მაშინ ესტუმრა ქალბატონსა და მის მოახლეს ჭუჭყიანი ჭაობის ბატონი – შური, ამაზრზენი არსება, რომელიც მუდამ იქ არის, სადაც ბილწ ვნებას აქვს ადგილი. ესტუმრა და მათს გულებში დაიდო ბინა.

კარგად გაუგეს ერთმანეთს ქალბატონმა და მოახლემ. მყუდრო და ბნელ ტევრში ითათბირეს, ტყაში მაფა თუ დავჯაბნეთ, გუჯმახანის სარეცელი ორთავემ გავიყოთ თანაბრადო.

სამი დღე და სამი ღამე, კიდევ სამი დღე და სამი ღამე იხეტიალეს ტყე-ღრეში, სანამ ტყაში მაფას კვალს მიაგნებდნენ.

თხმელის ძირას მარტო წამოწოლილიყო მშვენიერი ასული, უბიწოდ ჩასახულ შვილს მეშვიდე თვეა ატარებდა უკვე. ღონემიხდილი ისვენებდა ჩეროში.

დაჰკივლეს ჯადოქარმა და ნადიაკვნარის ცოლყოფილმა, წამოხტომა არ აცალეს. ატყდა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, შემზარავი კივილი კარგა ხანს ესმოდათ სოფელში. დამფრთხალი სოფლელები შუკებში გამოცვივდნენ. არავინ იცოდა, რა ხდებოდა იქ და ვერც ვერავინ ბედავდა ამბის მოსატანად წასვლას.

ხელჩართული ბრძოლისაგან მიწა ზანზარებდა, ბებერი ხეები ილეწებოდა, ქვა სკდებოდა. ორნი მისწვდენოდნენ მზის სადარის ყელს და ახრჩობდნენ. სადაც დაადებდა ხელს ტყაში მაფა, ახალგაზრდა სხეული იშრიტებოდა, ძაბუნდებოდა, ბერდებოდა.

ბოლოს, როდესაც ომი დამთავრდა, მომაკვდავი ტყაში მაფა დაეცა გადაჯეგილ მდელოზე. შვიდთვიანი ბავშვი ღნაოდა მის ფერხთით, ჩათუ და ნადიაკვნარის ცოლყოფილი, მიხრწნილ დედაბრებად ქცეულნი, ღამის სიბნელეს აეფარნენ და ისე მილასლასდნენ შინ...

— ჰი-ჰი-ჰი... – ისევ ქირქილებდა დედაბერი, თუმცა სასაცილოს ვერაფერს ამბობდა, — ასე და ამგვარად, გენაცვალე, ასე და ამგვარად... ჰი-ჰი-ჰი...

— მერე? – მოუთმენლად ჰკითხა მზეჭაბუკმა.

— დანარჩენი ბებიაშენს ჰკითხე...

— თქვენ ვერ მეტყვით?

— მეტს ვერას გეტყვი!.. იჩქარე, მალე ისიც ვერ გეტყვის... ნამეტანი კი შევრჩით ამ სიცოცხლეს... ჰი-ჰი-ჰი!.. – დედაბერმა უცბად შეწყვიტა ქირქილი, თვალები ბოროტად გაკვესა და წაისისინა: — გეყოფა, ყმაწვილო, წადი ახლა, ერთი თუმნის გულისათვის დილამდე ხომ არ გინდა მაყურყუტო?

გაოგნებული მიდიოდა შინისაკენ, მიდიოდა, რადგან დაავიწყდა, რომ ფრენა შეუძლია. გონს მაშინღა მოეგო, როცა ორღობეში ბომბორა ძაღლი გადმოუხტა ღაფღაფით.

უმალვე ზე აიჭრა, ორიოდ წამში თავის ფანჯარასთან გაჩნდა. ოთახში ბნელოდა. რატომღაც შიშით შეიხედა. იქნებ მის არყოფნაში ვინმე შეიპარა? ნეტა რას ვუფრთხიო, თავი დაიტუქსა. შინ შესრიალდა, საწოლზე ჩამოჯდა. „სისულელეა, — ჭოჭმანებდა, — ნევრასთენიკი გავხდი. იმ გადაღრძუებულმა ფული დამცინცლა და ზღაპრებით გამომისტუმრა!“ მოუნდა ახლავე შესულიყო ბებიასთან, გაეღვიძებინა, ეთქვა გულისნადები.

კარი შეაღო და შეიხედა. სიბნელეში ჩქამი არ ისმოდა, კვლავ შიში აუფუთფუთდა. გული ძალუმად უცემდა. იქ, სადაც ბებიას საწოლი უნდა ყოფილიყო, ნახტომისათვის გამზადებული რაღაც თეთრი ზიმზიმებდა. მზეჭაბუკმა წინ ვერ წარსდგა ნაბიჯი, უკან დახევისაც შეეშინდა, ხელი გაიწვდინა, კართან ახლოს ჩამრთველს მისწვდა და სინათლე აანთო.

საწოლზე ბებია იჯდა. შიშველი, გაჩხინკული ფეხები იატაკზე დაედგა. ხელებით მუხლებს დაყრდნობოდა და წინ წამოწეულიყო, თითქოს წამოხტომას აპირებდა. სახე საშინელი ჰქონდა. კბილები ზიზღით დაეკრიჭა, გადმოკარკლული, ცივი თვალები მტრულად მოსჩერებოდნენ შემოსულს.

თავზარი დაეცა მზეჭაბუკს, წამით ენა დაება. სწრაფად დაიხია უკან, დედ-მამის ოთახში შევარდა და იღრიალა:

— დედიკო, ბაბაია, ჩათუ-ბები მოკვდა!

თავი V. ფაცი

ძმებმა ვერ მოახერხეს თბილისიდან ჩამოსვლა. დეპეშაც გვიან მოვიდა, ცნობა დროზე ვერ მივიღეთ, თქვენთან ერთად გულამოსკვნით ვიტირეთ ძვირფასი ჩათუ-ბები, ორმოცზე კი აუცილებლად ვიქნებითო. მზეჭაბუკს დეპეშაზე არც დაუხედია. დარწმუნებული იყო, ორმოცზეც არ ჩამოვიდოდნენ... ბოდღოსა და თათუშას გულზე ეცეცხლათ. ბიჭების ჩამოუსვლელობა დიდი სირცხვილი იყო. ბოლოს და ბოლოს დედაბერი ხომ ოდესმე მოკვდებოდა, მაგრამ ცოცხლებს ჭორებისათვის უნდა აერიდებინათ თავი. არა და, სოფელში უკვე აჩურჩულდნენ ახალგაზრდა ბედიების გულქვაობაზე. თათუშას ხმა ჩაეხლიჩა. როგორც კი სამძიმარზე მოსულთ მოჰკრავდა თვალს, ცრემლს დააღვარღვალებდა, თან ერთსა და იმავეს იმეორებდა, შენმა შვილიშვილებმა ვერ დაგიტირესო, ძვირფასო დედიკო, შენს საყვარელ ჯუმას თურმე გულზე შემოეყარა, საავადმყოფოში წევს ახლაც და კაჭუჭია თავზე ადგასო. ყველამ იცოდა, რომ თათუშას ფანტაზიის ნაყოფი იყო ეს ყოველივე. მაინც კვერს უკრავდნენ, აბა, აბა, საბრალო ბიჭებს ისეთი თავზარი დაეცათ, ცოცხლები როგორ არიან, გასაკვირიაო.

მზეჭაბუკს არ შეეძლო ამის მოსმენა. სიმინდის ყანაში განმარტოვდებოდა ხოლმე, მსხლის ძირას კუნძზე ჩამოჯდებოდა და იქიდან უსმენდა განუწყვეტელ ვაივიშს.

მერე თათუშა შეამჩნევდა, მზეჭაბუკი სადღაც გაქრაო. ფაცის გაგზავნიდა საძებრად. გოგომ იცოდა, სადაც უნდა მოენახა. თავზე წამოადგებოდა, მორიდებით ეტყოდა, დედაშენი გეძებსო. მზეჭაბუკი მცირე ხანს ხალხში გაერეოდა, ისმენდა სამძიმრებს, ქილიკს, მოთქმას, სიცილს და არავისი არაფერი სჯეროდა.

დასაფლავების დღეს წვიმა მოვიდა. ათასი ფეხის ქვეშ ეზო ტლაპოდ გადაიქცა. ბაღ-ბოსტანი გაპარტახდა. იქ უზარმაზარი სეფა გაშალეს და მრავალი ასეული ადამიანი ნთქავდა ლობიოს, მწნილს, მაკარონს, პურს, სვამდა სულის მოსახსენებელს. მზეჭაბუკი ზიზღით დადიოდა ამ ტალახში. მის გარდა ყველა გაწამაწიაში იყო. ის კი მხოლოდ აკვირდებოდა. გაურკვეველი პროტეს-

ტის გრძნობა გულში არ ეტეოდა. ქვეყანას მე ვერ გავასწორებო და პირზე კლიტე დაიდო... მეზობლის გოგო-ბიჭები წელებზე გაწყდნენ ამდენი ხორაგის ზიდვით. დაუღლელი, ცრემლისაგან თვალდასიებელი ფაცი ხანდახან მოსამსახურეთა ჯარში გაერეოდა, განკარგულებებს არიგებდა, თვითონაც ხელს წაჰკრავდა საქმეს, უფრო კი მზეჭაბუკს ასდევნებოდა ლანდივით. ყრმას ეს აღიზიანებდა, თავშეკავება ღალატობდა, მოიხმობდა: „აქ რას დარბიხარ? მიდი, კუბოსთან დადექი, ცოტა წაუტირე, დედაჩემს ხმა ჩაუწყდა!“ ფაცი მართლაც გარბოდა მომცრო ფანჩატურში, სადაც ნაძვის ტოტებსა და ყვავილებში ჩაფლული ერთი ციდა ჩათუ-ბები ესვენა. მალე იქიდან მოისმოდა მისი მოთქმა-ტირილი. ისეთი ნიჭიერი იყო, ისე ოსტატურად მოუქცევდა, ქალებს სულ ზლუქუნი აუვარდებოდათ. „მსახიობია, — ფიქრობდა მზეჭაბუკი, — აქ ყველანი როლებს თამაშობენ... არტისტები... არავის ედარდება ჩათუ-ბები...“ ნახევარი საათის შემდეგ გოგო გამოვიდოდა ფანჩატურიდან, თვალებს შეიმშრალებდა და ისევ მზეჭაბუკის შორიახლო ტრიალებდა.

— ნეტა ამდენს რა გატირებს? – ვერ მოითმინა მზეჭაბუკმა.

— მე ჩათუ-ბები...

— ვიცი, ჩათუ-ბები ისე გიყვარდა როგორც საკუთარი ბებია! – უხეშად გააწყვეტინა და ზურგი შეაქცია. თვითონაც არ უწყოდა, რად ექცეოდა ასე ამ გოგოს.

სასაფლაოზე მარტო დარჩა. საფლავის ბორცვი სახელდახელოდ იყო გასწორებული. დამჭკნარი ყვავილები და გაძარცული გვირგვინები ტალახში ეყარა. ბიჭი ფერხთით ჩამოჯდა, დაფიქრდა. საყოველთაო თეატრს მოაკლდა მისი ერთი მსახიობი. ერთადერთი როლი, რომელსაც ანი ჩათუ-ბები უცვლელად ითამაშებდა, იყო მკვდრის როლი. მკერდზე საჟენი მიწა ეყარა და მზეჭაბუკმა წარმოიდგინა, რომ იქ, ქვევით, კუბოში ჩაჭედილი ჩათუ-ბები თვალდაჭყეტილი მისჩერებია სიბნელეს, სარკასტული ღიმილით უსმენს შვილიშვილის ფიქრთა ნაკადს.

ბინდი მოცოცდა ფეხაკრეფით. ვიღაცამ გაიარა. მზეჭაბუკი შეკრთა, წამოდგა.

ფაცი იყო.

— მეშინია!

— მერე რას დაძვრები აქ?!

ფაციმ არაფერი უპასუხა.

შინისაკენ გამოსწიეს. ფაცი უკან-უკან იყურებოდა, ვინძლო ჩათუ-ბები არ გამოსდევნებოდათ სასაფლაოდან.

ჭიშკართან უხმოდ დაშორდნენ ერთმანეთს...

* * *

ჩათუ-ბების დაკრძალვის მეორე დღეს კვლავ ნალიაში გადაბარგდა.

თვალგახელილი იწვა.

კიბე აჭრაჭუნდა.

სოფელს ეძინა. ენგური დუდუნებდა ყრუდ. ძილგატეხილი ვასაკას კრუალი მოისმოდა შორიდან.

— მზეჭაბუკ! — ფაცის ხმა იყო. ვიწრო კარში თავი შემოყო. მოქურუშებული ცის ფონზე შავ ლანდად გამოიკვეთა.

— რად მოხვედი? – მკაცრად ჰკითხა, თუმცა ხმაში თრთოლვა შეეპარა.

— ჩვენებს სძინავთ... – მეტის თქმა ვერ გაბედა. ნალიის კართან ჩაცუცქდა.

იყუჩა მზეჭაბუკმა, მიხვდა რაზომ სუსტი იყო თვითონ, არ უნდა გაჰკვირვებოდა სხვათა სისუსტე.

— წადი! – შეგუბებული ხმით უბრძანა, – მეზობელი ხარ, ერთად გავიზარდენით... წადი!

სიბნელიდან სლუკუნი მოესმა.

— რა გინდა?

— არაფერი...

— ჰოდა, წადი!

გოგო არ მიდიოდა. აღელვებული მზეჭაბუკი წამოჯდა. გრილოდა. კანზე ბუსუსებმა დააყარა. ნერვულ თრთოლვას ამ სიცივეს აბრალებდა.

დუმილი ჩამოვარდა და მზეჭაბუკი უსმენდა ფაცის აფორიაქებულ აზრს: „საძაგელი! თვითონ მოვედი, ეს კი მაგდებს... რატომ მამცირებს?.. არაფრად მთვლის... მე კი მიყვარს...“

„იქნებ მართლაც ვუყვარვარ?“ – გული მოულბა.

— მანდ გაიყინები, — შემრიგებლურად თქვა, — ცივი ღამეა!

გოგომ დაისლუკუნა. ალბათ ბნელში ვერაფერს ხედავდა და ეშინოდა. შეატყო, ვაჟს გუნება შეეცვალაო და ფრთხილად გამოცოცდა, ფათურით მოაგნო, ლეიბის კიდეზე ჩამოჯდა.

ყმაწვილმა იგრძნო მისი სიახლოვე, უფრო აღელდა. უჭირდა თავის შეკავება. საბანი ტანზე მოიხვია. არ იცოდა რა ეთქვა. „წავიდეს რა?“ – გაიფიქრა, თუმცა არც მისი წასვლა სურდა.

დრო კი ჩუმად მიიპარებოდა. გოგო ბედნიერი იყო. მის თავში ერთადერთი აზრი ტრიალებდა: „რა კარგია?.. მირიგდება... მირიგდება...“

— უკვე გვიანია...

— ჰო...

— თქვენებს გაეღვიძებათ და ძებნას დაგიწყებენ.

— შენ არ მიწყრები, ხომ? – საწყალობლად იკითხა გოგომ.

— არა, ოღონდ ახლა წადი.

გოგოც ცახცახებდა. ძლიერი, მბრძანებელი ძალა ეზიდებოდა ბნელში გაყუჩებული ყრმისაკენ. თავს მოერია და ხელის ფათურით კარამდე მიაღწია.

მერე კიბე ისევ აჭრაჭუნდა, ბურჯამ შეჰყეფა, აწკმუტუნდა. მდუმარება დასადგურდა.

მზეჭაბუკი ლოგინში ჩაემხო, საბანი თავზე წამოიხურა. ფიქრი ქაოსმა მოიცვა. „ეგებ ვუყვარვარ?“ – გაიფიქრებდა და წმინდა ტალღა აწყდებოდა გულს; მეორე წამს კი სხვა აზრი მოსდიოდა: „ქალი... სექსი... სხეული – ცოცხალი, მბორგავი, ცხელი...“ და გონება ბნელდებოდა, შავი ნისლი ედებოდა... „მართლაც ვუყვარვარ?“ – სჯიდა მთელი დღე, მალვით უთვალთვალებდა მეზობლის ეზო-სახლს. იქ არავინ ჩანდა. ფიქრებისაგან განაწამები, თვალებჩაცვენილი უცებ გაშტერდებოდა და ასკვნიდა: „არა, მამრი უნდა!“ მაშინ შურისძიების სურვილი აალდებოდა სულში, მზად იყო ყელში სწვდომოდა, წაეხრჩო. ცოტა ხანში კი კვლავ უბრუნდებოდა აზრი: „მართლა ვუყვარვარ!“ და გულში სიმშვიდე და ნათელი შემოჰქონდა...

მეორე ღამეს მზეჭაბუკს თვალი არ მოუხუჭავს. დარწმუნებული იყო, რომ მოვიდოდა. წინასწარ აღგზნებული, ნერვებდაწყვეტილი ელოდებოდა. წამი საუკუნედ ეჩვენებოდა და გუნებაში ილანძღებოდა, თავი მოტყუებულად და დამცირებულად მიაჩნდა... კიბე რომ აჭრაჭუნდა, ყველა ფიქრი გადაავიწყდა და ვნებიანმა თრთოლვამ თავით ფეხებამდე დაუარა.

— მზეჭაბუკ, გძინავს? – ნერვული ჩურჩულით იკითხა.

— არა!

შემოფოფხდა და კართან აიტუზა.

მზეჭაბუკი იცდიდა. გოგო არ განძრეულა და მოუთმენლად წაიჩურჩულა:

— სადა ხარ?

— აქ, — ძლივს გაისმა პასუხი.

— ახლოს მოდი!

გოგო შეყოვნდა, ყოყმანობდა. მერე შეუმჩნევლად მოცოცდა და ლეიბის კიდეზე ჩამოჯდა.

მზეჭაბუკი კბილს კბილზე აცემინებდა.

— რას დაეხეტები ყოველღამ, რატომ არ გძინავს? – ნაძალადევი სიმკაცრით ჰკითხა.

— რა ვიცი...

ყმაწვილმა სიბნელეში ხელი მოაფათურა, შიშველ მკლავს წააწყდა. ცივი იყო და თრთოდა.

— გცივა?

— ჰო.

— აქეთ მოიწი, გაგათბობ.

ოდნავ მოჰქაჩა. გოგო სუსტად გაუძალიანდა. იქნებ არც გასძალიანებია, მზეჭაბუკს მოეჩვენა.

გვერდით მოიწვინა, საბანი გადააფარა და უცებ დამშვიდდა.

გოგოს ხალათი ეცვა, ისეთი ცივი იყო, თითქოს მაცივრიდან გამოეტანათ.

— როგორ გაყინულხარ.

— ჰო.

„ვუყვარვარ? – კითხულობდა მზეჭაბუკი, – იქნებ მამრი უნდა მხოლოდ?.. ან იქნებ მართლაც ვუყვარვარ?..“

ეჭვი კლავდა და სიმშვიდეს უკარგავდა.

„სასურველო... ჩამეხვიე, ჩამეხვიე...“ – რეკავდა გოგოს აზრი. ღვთაებრივი სიყვარული იხმობდა მზეჭაბუკს თუ ხორციელი ჟინი? ძნელი იყო რამის გარკვევა.

წამოიწია. ცივ ლოყას ბაგე შეახო. გოგო გაიტრუნა, ფიქრი გაუჩერდა. ყმაწვილმა ბაგე გააცოცა, ჟინიანი ტუჩები მონახა. აღელდა, აცახცახდა, საკინძე შეუხსნა.

გოგო უცებ ასლუკუნდა, ვაჟის ხელებს იშორებდა და თვითონვე ეტმასნებოდა.

— რა მოგივიდა?

— არ გიყვარვარ, არ გიყვარვარ... – წაიჩურჩულა. მზეჭაბუკმა ტუჩებზე სიმლაშე იგრძნო.

— ასე თუ ფიქრობდი, რას მოდიოდი? – საკმაოდ უხეშად უთხრა. მიხვდა, გადააჭარბა, მობოდიშება უნდოდა.

გოგომ ხმა გაკმინდა, ცრემლს მაინც ვერ იკავებდა.

— ჩუმად, ისტერიკა არ დამიწყო, თორემ ჩემი ნერვები ისედაც დაწყვეტაზეა, — შემრიგებლურად უთხრა მზეჭაბუკმა.

„სასურველო, ჩამეხვიე, ჩამეხვიე...“ – ესმოდა ტვინის სიღრმეში ჩაჭუჭკული აზრი და აღგზნებული ვაჟი ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა თავდავიწყებამდე.

— ხელი გამიშვი, — მუდარა გაისმა გოგოს ხმაში.

„მატყუარა, — შფოთავდა მზეჭაბუკი, ბრაზი მოსდიოდა, — მატყუარა, ერთს მეუბნება, მეორეს ფიქრობს...“

შიშველ ძუძუს მიაგნო, გოგოს კვნესა აღმოხდა.

„მამრი გინდოდა, ხომ?“ – ვნება და რისხვა ერთად მოაწვა მზეჭაბუკს, ცდილობდა ხალათისათვის ღილები დაეწყვიტა. გოგო კი ძალას ღონეს უპირისპირებდა. თვითონაც ეფერებოდა ვაჟის ჟინით აბორგებულ სხეულს, მაგრამ იქვე, მეზობელ სახლში ეძინა მის მამას, დედას, ძმას... მთელ სოფელს ეძინა და შიში და ძრწოლა ერია მის ამ ალერსში.

— წადი! – ხელი ჰკრა გახელებულმა მზეჭაბუკმა, სახე ბალიშში ჩარგო, – წადი, ახლავე წადი, თორემ ვერ გადამირჩები!

უსიტყვოდ წამოვარდა გოგო, სიბნელეში კედლებს ეხლებოდა, გასასვლელს ვერ პოულობდა. მერე მიწყდა მისი სლუკუნი და სიჩუმე ჩამოწვა...

* * *

რამდენიმე ღამე არ მოსულა. მზეჭაბუკი ჟინისაგან იწვოდა და ბორგავდა. ღამეებს თეთრად ათენებდა. მხოლოდ გამთენიისას ჩაეძინებოდა ხოლმე. თათუშა რომ სადილზე მოიხმობდა, მაშინღა ჩამოდიოდა ნალიიდან უპეჩაშავებული, გაყვითლებული, თმააბურძგნული... მოსავლის აღება დაგვიანდა, მაგრამ შაბათს ნადი მოიხმეს, ყანას შეესივნენ და მზეჭაბუკიც ცოტათი გამოცოცხლდა. სიმინდი დატეხეს, ოდაში მოაქუჩეს. მერე მამას მოეხმარა, ჩალა აზვინეს დიდ მსხალზე. ამ დროს ზევიდან დაჰყურებდა სოფელს, უნებლიე ფიქრს მიედევნებოდა, ანდა მთლად გაუწყდებოდა აზრის ძაფი და გარინდებული ტოტს ხელს უშვებდა. ბოდღო ქვევიდან აჰყურებდა და გული უსკდებოდა. „ჰე, ჰე, ფრთხილად მანდ! არ ჩამოვარდე!“ მზეჭაბუკი გონს მოდიოდა, მამის დასამშვიდებლად ტოტზე შედგებოდა. ეს საქმეც მოთავდა და უმაქნისობით გული კვლავ დაელია. ერთხელ ჩათუ-ბების საფლავს ეწვია. გააკოხტავა, თეთრი კენჭები შემოუწყო, ვარდი დარგო... ამას ცოტათი გული გადააყოლა... ეჭვი მაინც ფეთქავდა მისი ცნობიერების სიღრმეში. რამდენჯერმე დააპირა, ნადიაკვნარის ცოლყოფილს ვესტუმრებიო, მაგრამ ფაცის ელოდებოდა და არსად წასულა.

ერთ საღამოს ღვართქაფი მოვარდა. სახურავზე ისე არახუნდა, ბუხართან მოკალათებულმა ბოდღომ ლაპარაკი შეწყვიტა, მოსაუბრეს ხმას ვერ მივაწვდენო.

— კარგ დროს ავიღეთ მოსავალი, თორემ დაგვეღუპებოდა! – კმაყოფილებით თქვა.

მზეჭაბუკმა თავი დაუქნია. ლაპარაკი ეზარებოდა. მიშტერებოდა ნაკვერცხლებს და წვიმის ხმაურს უგდებდა ყურს.

თათუშა წინდებს კემსავდა. ყუნწმოტეხილი სათვალე ცხვირზე ჩამოეცვა, გულისყური იმისკენ ჰქონდა, არ ჩამომივარდესო.

— დაგვიზამთრდა, — ამოიოხრა, — ნეტა რას შვრებიან ჯუმა და კაჭუჭია, ცოლებზე არაფერს იწერებიან...

— ცოლი კი არა, გამზრდელი ბებია არ დაიტირეს! – გულჯავრიანად გაეპასუხა ბოდღო.

— რა ვიცი კი მოიწერეს და...

— იჰ, — ხელი ჩაიქნია ბოდღომ, — ვატყობ, აგე, მზეჭაბუკი დაასწრებს მაგათ...

— რას ატყობ? – წამოვარდა შეჩქვიფებული მზეჭაბუკი, – შენ რა იცი?

ბოდღომ გაკვირვებით ახედა. თათუშას ნემსი გაუშეშდა ხელში, სათვალე ჩამოუვარდა, შეშინებული თვალი მიაპყრო შვილს.

— რა მოგივიდა, ვხუმრობ... ანი კაცი ხარ და, რა გასაკვირია, ცოლზე იფიქრო?

— ეჰ, ნეტავი თქვენ! — ხელი ჩაიქნია გაწითლებულმა მზეჭაბუკმა და აივანზე გავარდა.

ჩამობნელებულიყო. წყლის ფარდის იქით ხეები თივის უზარმაზარ ბულულებს ჰგავდა. წყალი გამეტებით უჟაპუნებდა ენგურის ზედაპირს და ისეთი ჩქრიალი ისმოდა, ეტყობა ქვეყნიერებას წყლით დატბორვა ემუქრებოდა.

„ხომ არაფერი შემამჩნიეს?“ – შფოთავდა მზეჭაბუკი. რას წამოვარდა, რატომ ვერ მოითმინა?.. მამამ იხუმრა, ახლა კი ნამდვილად დაეჭვდებიან...

შინ შებრუნება არ მოისურვა. ძველი, დაფლეთილი ლაბადა თავზე მოიგდო და ნალიისაკენ გაიქცა. კვლავ მარტოობას ეძებდა, კვლავ უნდა მიეცა თავისუფალი სარბიელი ეჭვებისათვის.

ნალიაში ციოდა. საბანიც ნესტიანი ეჩვენა, სიცივისა და ნერვულობისაგან ცახცახებდა, მაგრამ მალე ჩათბა.

ასეთ წარღვნაში ფაცი ალბათ ვერ გაბედავდა მოსვლას.

ფიქრი მოეძალა.

თბილისს შეუბრუნდა. იხსენებდა ყოველ წამს იქ ჩასვლიდან წამოსვლამდე. წონიდა ყოველ სიტყვას, ყოველ ნაბიჯს, თითქოს ფართო ეკრანზე უყურებდა ყოველივეს. თვალგახელილი მისჩერებოდა სიბნელეს და ხედავდა თეთრ ეკრანს, რომელზეც უწყვეტ ჯაჭვად მოძრაობდა უხმო პერსონაჟებით სავსე მოქმედება... ერთადერთი მუსიკა წვიმის უწყვეტი შხუილი იყო. მის მონოტონურ ხმაურში დისონანსი შეჰქონდა წვეთების რახარუხს ყავარზე, ლაფაროში წყლის ჭყლოპინს, ტოტებში ჩაგუდულ შხრიალს... წყლის მრავალხმოვანი ორკესტრი ამოქმედებულიყო და როკავდნენ ლანდები სიბნელეში გაჭიმულ თეთრ ეკრანზე.

უცბად მზია გაახსენდა. კი არ გაახსენდა, თვალწინ წარმოჩინდა ვითარცა ხორცი და სისხლი ცხოველი. მზის ბარჩხალა სხივებში ტრიალებდა, ლურჯკოპლებიანი თეთრი კაბა ტანზე გატაცებით ეხვეოდა. ისეთი მოულოდნელი იყო, ისე შორიდან, ქვეშეცნეულიდან ამოტივტივდა, რომ გული ერთი მუჭა გაუხდა, — შეშინდა. „ნუთუ მიყვარს? – გაიფიქრა უზომოდ განცვიფრებულმა, — მაშ, როგნედა? მაშ, ფაციკო?.. შეუძლებელია!“

ძალათი განდევნა მშვენიერი ჩვენება. არ უნდა ეფიქრა აკრძალულზე, მათ შორის ხომ ტატოს საფლავი იყო...

საბანი თავზე წაიხურა. წვიმის ჩხრიალში თანდათან წასთვლიმა. სიზმარი ეახლა. მზია ამოდიოდა და კიბე ჭრიალებდა. მზეჭაბუკი აღელვებული წამოჯდა. საბანი გადაიგდო... მზე ჩახჩახებდა და ვიწრო შემოსასვლელში მზე და მზია იყურებოდა. „მზეჭაბუკ, გძინავს?“ – ჩურჩულით იკითხა მზიამ. „არა, არ მძინავს!“ – ენა ძლივს დაძრა ყმაწვილმა. შერცხვა, მაისურის ამარა რომ იჯდა ლოგინზე, საბანი ნიკაპამდე აიფარა. ასე შესციცინებდა მზეში გახვეულ მზიას. „შემოვიდე?“ ვაჟს ხმა ჩაუწყდა, დასტური ვერ გაბედა, ხელი გაიწვდინა და თვალიც გაახილა... სიბნელეში იწვა. შუქი არსაიდან აღწევდა. წვიმის შხუილში ბურჯას საწყალობელი წკმუტუნი გაერია. კიბე აჭრაჭუნდა...

კარმა დაიჭრიალა.

— მზეჭაბუკ, გძინავს?

მზეჭაბუკი ლოგინზე წამოჯდა და დაელოდა. ფაცი ხელის ფათურით ახლოვდებოდა. ვაჟის გაწვდილი ხელები მის სველ ხელს წააწყდა.

— მთლად გალუმპულხარ.

— ჰო, დავსველდი.

ძლივს გასაგონი ხმით ჩურჩულებდნენ. თუმცა ამ წარღვნაში ვინ გაიგონებდა რამეს.

— გაიხადე, თორემ გაცივდები.

გოგომ არაფერი უპასუხა. სველი ხალათი გადაიძრო და იქვე დააგდო.

— მოდი.

უხმოდ მიუწვა გვერდით. სისველეს ხალათში გაეტანა და მზეჭაბუკი ნესტსა და ოხშივარში გაეხვია.

— ხელი არ მახლო! – ხმა უთრთოდა გოგოს.

„აბა, რისთვის მოხვედი?“ – ბრაზი იღვიძებდა მზეჭაბუკის სულში.

„ჩამეხუტე, ოქროსთმიანო, ჩამეხუტე!“ – ფაჩუნუბდა გოგოს ნააზრევი, ენა კი თრთოლვით სხვა სიტყვებს ამბობდა:

— ხელი არ მახლო!

— მომშორდი! – გაჯავრებულმა ვაჟმა ჩაიწია.

გოგო არ განძრეულა. კბილს კბილზე აცემინებდა, ალბათ შესცივნოდა.

შეებრალა, თვითონაც თრთოდა, ოღონდ ვნებისაგან... ხელი მოჰხვია და ჩაეწმახნა.

— გამიშვი, გამიშვი, მზეჭაბუკ... – იხვეწებოდა გოგო და მკერდზე ეხუტებოდა.

„ჩამეხუტე, მაგრად ჩამეხუტე!“ – თრთოდა აზრი და მზეჭაბუკი მის შინაგან გულისთქმას უფრო უგდებდა ყურს.

— ოჰ, დედიკო! – ამოიკვნესა გოგომ, სუსტად ხელი ჰკრა და უმალვე თვით მოეხვია.

მზეჭაბუკი მიხვდა, გოგო ნებდებოდა... ახლა უნდა გახსენებოდა ჯიმშედი, მეზობლები, დედ-მამა... ძალა არ ეყო.

— ოჰ, დედიკო... – კვნესოდა გოგო და მზეჭაბუკის სასურველ მკლავებში მომწყვდეულს, სიყვარულისაგან, ჟინისაგან, ტკბილი შეცოდებისაგან, განწირულების ნეტარი გრძნობისაგან ცრემლები ღაპაღუპით სდიოდა.

მერე უხმოდ იწვნენ გვერდიგვერდ.

მზეჭაბუკს ბაგე მოეკვნიტა და ებრძოდა თავისა და გოგოს ფიქრებს.

„ახლა რა ვუთხრა დედას? ახლა რა ვუთხრა ჯიმშედს?.. მამას?.. რა წყალში გადავვარდე ახლა?..“ – უხმო ცრემლი მოღვარღვალებდა ფაცის თვალებიდან.

„თვითონ მოვიდა, ლოგინში ჩამიგორდა... ხომ გავაგდე? პირველსავე ღამეს არ გავაგდე?“ – სულმოკლედ თავს იმართლებდა. მთელი სოფლის სამსჯავროს წინაშე იდგა და ქვებით უპირებდნენ

ჩაქოლვას. ყოველ ქვაზე ეწერა ერთადერთი სიტყვა – „დაუნდობელი!“ „რა ჩემი ბრალია? რას ფიქრობდა, მამაკაცს რომ ლოგინში ჩაუწვა?“ – საკუთარი სინდისი უპირებდა ჩაქოლვას და იმის წინაშე იმართლებდა თავს.

„რა ვუთხრა დედას, ჯიმშედს?.. რა პირით შევხედო ხვალ?.. ნეტა სულ არ გათენდებოდეს, ნეტა წარღვნა წამიღებდეს...“

— ახლა რა ვქნათ? – იკითხა მზეჭაბუკმა, უფრო საკუთარ თავს შეეკითხა, ვიდრე გოგოს. მისი ხმა ამ ნესტით დამძიმებულ, გრილ სიბნელეში, წვიმის ქაოსურ დგრიალში გაისმა ცივად, უგულოდ.

გოგოს აზრთა დენა შეწყდა. კრინტი არ დაუძრავს.

მზეჭაბუკი მისკენ შებრუნდა, სიბნელეს მიაშტერდა. გრძნობდა მის სუნთქვას, ესმოდა ჩუმი სლუკუნი... მისი ცხელი სხეული ისევ უღვიძებდა ჟინს. უნდოდა სახეში ჩაეხედა, თვალებში ამოეკითხა პასუხი, ოღონდ სიბნელეში არაფერი ჩანდა.

ხელი შეახო იქ, სადაც კისრის ძარღვი ფეთქავდა. ჩამოაცურა, რათა შიშველ მკერდს მოჰფერებოდა.

წამოვარდა გოგო, მოიშორა მისი ხელი. გული ამოუჯდა, მაგრამ ცდილობდა ქვითინის შეკავებას. სველი ხალათი აიტაცა და წვიმაში გავარდა, სიბნელესა და სიმარტოვეს შეატოვა ვაჟი.

მარტოსულად იგრძნო თავი მზეჭაბუკმა. ახლაღა მიხვდა, იმ გოგოს მკლავებშიც მარტო იყო, უიმისოდ უფრო მარტო დარჩა და აუტანელი სევდა შემოაწვა.

წვიმა თანდათან ნელდებოდა...

* * *

მთელი დღე ცრიდა და ნალიიდან გვიან გამოვიდა. ნესტი ძვალრბილში ატანდა, ლოგინიდან ადგომა ეზარებოდა. შიში აეკვიატა, ჩემი წუხანდელი შეცოდება ალბათ მთელმა სოფელმა გაიგო და ყველასაგან გაკიცხული ვარო. ვაითუ ეზოში დარაჯობდნენ ფაცის მშობლები და ძმა. ყველაზე მეტად მაინც ჯიმშედისა ერიდებოდა... მართლაც, რა უნდა ეთქვა, რითი ემართლებინა თავი?

თათუშამ გადმოსძახა ოდის აივნიდან, გული ხომ არ წაგივიდა, აქამდე რომ გძინავსო.

თვალი ვერ გაუსწორა დედას და მამას. ჩუმად ისაუზმა. ში-

ნიდან გასვლას არ აპირებდა. გულის ფანცქალით მოელოდა, ახლა კი არა, ახლა მომადგება კარის მეზობელი და პასუხს მომთხოვსო. ასე გავიდა ნახევარი დღე. გამოიდარა.

მანქანის ხმა რომ გაიგონა, მოთმინების ძაფი გაუწყდა, მხრებზე ძველი ლაბადა მოიგდო და ეზოდან გავიდა.

ჯიმშედი სატვირთო „კოლხიდას“ სალტეს უცვლიდა. შორიდან მოჰკრა თვალი მზეჭაბუკს, ხელი დაუქნია.

— ჰეი, ბუკიოტო! ამბობენ, შენ ისევ იმ სოროში შეძვერი და გარეთ ცხვირს არ ჰყოფო!

მზეჭაბუკს შესცივდა... „ხომ არაფერს ეჭვობს?“ – ფრთხოდა აზრი და ყმაწვილი ფეხათრევით უახლოვდებოდა ჯიმშედს.

— რა მოგივიდა? – იმან ერთი შეხედა და საქმეს მიუბრუნდა. მანქანის ქვეშ დომკრატი შეედგა და სახელურს ატრიალებდა. ძარა შესამჩნევად მოწყვიტა მიწას, ფეხი ჰკრა სალტეს, დაატრიალა, – ჰა, რა მოგივიდა?

— რა უნდა მომსვლოდა?

— ერიჰაა! ისევ ავად ხომ არა ხარ? კაცის ფერი არ გადევს!

— იტყვი რაღა შენც... – უკმაყოფილოდ წაიბურტყუნა მზეჭაბუკმა.

„მართლაც ავადაა... რა აჭამეს, ნეტა, დედაქალაქში?“ – გაიფიქრა ჯიმშედმა. მზეჭაბუკმა გაიგონა, მოიღუშა. მდინარის პირას ჩამოჯდა. აქედან უთვალთვალებდა ჯიმშედის საქმიანობას და წყალში კენჭებს ისროდა. „რა მისი საქმეა? – ფიცხობდა, – ვინ ეკითხება?“

ჭიშკრიდან ფაცი გამოვიდა. მზეჭაბუკი დაინახა, შეკრთა, ლოყებზე ალმური წაეკიდა.

— წყალი გამომიტანე! – ჯიმშედი სალტეს ეჭიდებოდა და არ მიუხე-დავს.

ფაცი ადგილზე გაიყინა, ძმის ბრძანება არ გაუგონია. მზეჭაბუკმა თვალი აარიდა, საქმიანად განაგრძობდა კენჭების სროლას. მერე წამოდგა და ნაპირს დაუყვა.

— რა მოგივიდა, გოგო, შენ?

— რა მოხდა?

— რავა დარეხვილები ხართ ყველანი, წყალი-მეთქი, არ გთხოვე?!

— ახლავე, რა იყო ისეთი... – ჩაიბუზღუნა ფაციმ და წყლის მოსატანად გაიქცა.

მზეჭაბუკი აჩემებული ჯირკზე ჩამოჯდა, აქ დაელოდა. დარწმუნებული იყო, გოგო მოირბენდა. რამე მაინც უნდა ეთქვა. ასე ჩუმად ხომ არ ჩაივლიდა ყოველივე. ჭკუას ძალას ატანდა, საჭირო აზრი არ მოსდიოდა. წიწკნიდა ბალახის ღეროს, ხან ისე წონიდა, ხან ასე. თავს ყოველმხრივ დამნაშავედ გრძნობდა, ოღონდ იმასაც ადანაშაულებდა და ამით იმსუბუქებდა სასჯელს... „ვინ ეხვეწებოდა, რომ მორბოდა, ვინ ეხვეწებოდა...“

მართლაც მოირბინა, შორიახლო გაჩერდა. მზეჭაბუკი წამოდგა, უნდოდა პირდაპირ თვალებში ჩაეხედა, მზერა ვერ გაუსწორა.

— მე ვარ დამნაშავე! – თქვა უცებ ფაციმ, ცრემლმა წამით დაუბინდა თვალი, თავი შეიკავა, – ნურაფრის გეშინია, ნუ განიცდი, მე ვარ დამნაშავე...

მზეჭაბუკმა შვება იგრძნო და შერცხვა.

— მეც დავაშავე, მაგრამ... – მოუბოდიშა.

— არა, არა, საჭირო არ არის! – სწრაფად გააწყვეტინა გოგომ.

— გინდა დავქორწინდეთ? – გულსგარეშე შეეკითხა.

— არა, არა...

მზეჭაბუკმა თავი დახარა. უხერხულობას გრძნობდა. სირცხვილი და თანაგრძნობა აწუხებდა.

„ჩემი ლამაზი, ველური ბიჭი...“ – აშკარად გაიგონა.

— კიდევ მოხვალ? – შეეკითხა უნებლიეთ, მღელვარებისაგან ბაგეები გაუთეთრდა.

— არა, რა საჭიროა? მაინც არ გიყვარვარ... შენი გული იქ დარჩა, დიდ ქალაქში.

— მე არავინ მიყვარს! – სწრაფად შეეპასუხა მზეჭაბუკი.

— არ ვიცი... – უკვე უნდა წასულიყო, ადგილიდან კი ვერ იძროდა.

„ჩემი ლამაზი, ველური ბიჭი...“

მზეჭაბუკს აბნევდა ეს სიტყვები, ეჭვებს უხსნიდა გზას.

— სიმართლე გითხრა, არც მე მიყვარხარ! — მოჭრა უცებ გოგომ, ნაძალადევად გაიცინა და ამ დროს უპეებში ცრემლი აუკიაფდა, — არ მიყვარხარ და რა ვქნა? თავს ძალას ხომ ვერ დავატან!

გული ეტკინა, არ შეპასუხებია, სიბრალული იგრძნო და ერ-

თხელაც დაისაჯა თავი.

თვალი მიადევნა გოგოს მოქნილ ტანს, ძარღვებში თრთოლვამ დაუარა. რატომ არ შეიძლებოდა ფაცის სიყვარული, რა უშლიდა ხელს?..

„გულს ვერ უბრძანებ!“ – გაიფიქრა და ისევ მოეჯარა ეჭვები... არსებობის არც ერთი წამი არ იყო მყარი, დაიღალა თოკზე სიარულით, წონასწორობა ეწადა...

თავი VI. დედა

დიდ ბუხარში ცეცხლი გუგუნებს. გოგონები შიგ ფუჩეჩს ყრიან დროგამოშვებით. წამით ცეცხლი მინავლდება, მერე აბრიალდება, აბარჩხალდება. „დიდუ, ოდა არ დამიწვათ, თქვე არგასაწყვეტლებო!“ – ჩხუბობს თათუშა. ბოდღო გარეთ გარბის, ბუხრის მილიდან საშიში ნაპერწკლები სამზადის ისლის სახურავს ხომ არ უწევსო. ზედადგარზე უზარმაზარი ქვაბი დგას, შიგ კვახი და სიმინდი იხარშება. კვახი ისეთი მაგარი აღმოჩნდა, ნაჯახით ძლივს გაჩეხეს და წყალში ქვასავით ჩაიძირა. სიმინდი კი, ძალიან ჭყინტი არ ეთქმის, მაგრამ არც დაიწუნება... სასტუმრო ოთახს თითქმის ჭერამდე უწევს ფუჩეჩიანი სიმინდი. მეზობლის გოგო-ბიჭები სიმინდის ზვინზე სხედან, ტაროს არჩევენ, კალათებში ყრიან, ლაზღანდარობენ, ჭყინტს ცალკე აქუჩებენ მოსახარშად, დაჭიანებულს ცალკე, ღორის გასასუქებლად. ფოჩებისაგან წვერ-ულვაშს იკეთებენ, ერთმანეთს ამასხარავებენ... არის ერთი ტკარცალი და მხიარულება... რომელიმე გათამამებულ ჯეელს, ვითომდა შემთხვევით დაუკრეფავში რომ მიძვრება, ჟივილ-ხივილით დაესევიან გოგოები, ფუჩეჩში ჩამარხავენ... „დიდუ, სახლი არ დამინგრიოთ თქვე არგასაწყვეტლებო!“ – სიცილს ძლივს იკავებს თათუშა.

ბიჭები უწმაწურ ანეკდოტებს ყვებიან. გოგოები ყურებში თითებს იცობენ. სიმღერასაც წამოიწყებდნენ, მაგრამ ვერ ბედავენ. ჩათუ-ბების ორმოცი ახლახან გადაიხადეს. „იმღერეთ, შვილებო, თუ გემღერებათ!“ – ნება დართო ბოდღომ. მაინც ვერავინ ბედავს დაწყებას... არც ორმოცზე ჩამოსულან ჯუმა და კაჭუჭია, დეპეშაც არ გამოუგზავნიათ. გოგოები ჩუმჩუმა ენას იფხანენ. გულის სიღრმეში სწყინთ, ძმებმა ბედიებმა ქალაქელი „კეკელკები“ რომ არჩიეს და სოფელში ფეხი ამოიკვეთეს. ამიტომაც ჭორი უფრო დაუნდობელია... ბიჭებსაც თავისი სათათბირო გაუხსნიათ: „ვაჰ, წიე, იცი რა ფეხბურთია? ესპანეთიდან გადმოსცემენ!.. ეგებ ტელევიზორი ჩაგვირთონ, ა?“ ჩათუ-ბების გარდაცვალების შემდეგ ტელევიზორი არავის ჩაურთავს. იქნებ ვინმემ ყურში ჩააწვეთოს მასპინძლებს ბიჭების სურვილი.

მზეჭაბუკი განდგომოლივითაა. საერთო მხიარულებაში მონაწილეობას არ იღებს, თუმცა ძველებურად არაა მოქურუშებული. ცოტა გახალისდა კიდეც, მოსწრებულ ხუმრობაზე ეღიმება ხოლმე... შეიძლება სხვებთან ერთად ფუჩეჩში გორაობაც სურდეს, ოღონდ გაუთვითცნობიერებელი ძალა ხელ-ფეხს უბორკავს, თავისუფლებას უზღუდავს. სავსე კალათები ბეჯითად დააქვს ნალიაში და იქ ცლის. კალათა მძიმეა, მხარზე ბებერა დააჩინა, დაბამბულ ნაჭერს იდებს კალათქვეშ. განსაკუთრებით ნალიის კიბეზე უჭირს ასვლა, კიბის ჭრიალი აგონებს ღამეებს, როცა მასთან „ის“ მოდიოდა...

ფაციც გოგოებთანაა. ჩვეულებრივ ანცი და დაუდგრომელი, ახლა ცდილობს და ვერ ახერხებს სხვებს აჰყვეს. მისი სიცილი ნაძალადევია... ჯიმშედს დაეჭვება ეტყობა, ცუდად იბღვირება. ვერა და ვერ აიყოლიეს ჭკუამხიარულმა გოგოებმა და თავი დაანებეს. ისიც ზის, ტაროს ფუჩეჩს აცლის და ზუსტად ისვრის კალათაში.

შუაღამე რომ გადასცილდა, ბოდღომ ბიჭებისათვის ჭაჭის არაყი ჩამოატარა, გოგოებისათვის შინაური ლიქიორი, თათუშას ნაოსტატარი.

ვიღაცამ ტელევიზორი ახსენა. გოგოებმა იწივლეს, არ გვინდა ფეხბურთიო. მზეჭაბუკმა ბიჭები დაიხმარია და შემოიტანეს, კუთხეში დადგეს. „ოღონდ ტარო არ მოახვედროთ, არ ჩამიმტვრიოთ!“ – იხვეწებოდა თათუშა.

ფეხბურთის მატჩი ნახევრად დამთავრებული იყო. უცხოური გუნდები თამაშობდნენ, იმ წამსვე „ჩვენიად“ და „იმათიად“ გაიყვეს... „უყურე!.. ვაჰ!.. ეგ რეებს ვხედავ!.. მიდი!.. ყოჩაღ!.. მეკარეც ასეთი უნდა, საპოჟნიკია!.. ჭყინტი სიმინდი მაგას!..“ სულ ერთი იყო, ვინ

იგებდა, ვინ აგებდა, ოდაშიც და ტელეეკრანიდანაც გამაყრუებელი ღრიანცელი ისმოდა...

დაიღალნენ... კვახიც მობეზრდათ, ჭყინტი სიმინდიც, ხუნტრუციც...

მიწყნარდნენ...

გარედან ნელი სტვენა მოისმა.

— ჩათუ-ბების სულმა მოგვაკითხა! – იყვირა ვიღაც ლაზღანდარამ, თვითონაც დაფრთხა.

გოგოები აწივლდნენ... თეთრად შესუდრული არსება წამოიმართა ზღურბლზე.

სიმინდის ტაროები მიაყარეს.

ბოდღო აღმოჩნდა. თეთრი ზეწარი გადაიძრო და „არ მომკლათო“, ხელები ასწია.

გამოცოცხლდნენ... ერთმა მკვდარი სული ახსენა, მეორემ ოჩოკოჩი, ტყაში მაფა...

გულში გაკენწლა მზეჭაბუკს. კუთხეში მიჯდა თავისთვის, ჩუმად უსმენდა. ნადიაკვნარის ცოლყოფილის ნაამბობი არ სჯეროდა, თუმცა მასში იგრძნობოდა რაღაც საიდუმლოება. ყურს უგდებდა ახალგაზრდების ლაზღანდარობას და ამჩნევდა, რომ შიში თანდათან იპყრობდა მათ. აქაც არავის სჯეროდა არსებობა ირეალურისა, იმქვეყნიურისა, შიში მაინც კრთოდა. გოგოები უმწეოდ აფახულებდნენ თვალებს, ზოგი იზაფრებოდა, ზოგი იხვეწებოდა: „კაი რა, გაჩუმდით, რა მოგივიდათ?.. ნუ ყვებით რა?..“ ბიჭები ბაქიობდნენ, აგდებულად იცინოდნენ.

— იმ დღეს სასაფლაოსთან გავიარე, — ყვებოდა ერთი, ეშმაკურად აცეცებდა თვალებს, — ღამე იყო და გული კინაღამ გამისკდა, ჩათუ-ბების საფლავზე თეთრი რაღაცა დაფარფატებდა...

— ერთხელ ჩვენს ტყეში, სატურიას სერზე ოჩოკოჩი ვნახე, ვეებერთელა, საშინელი... თითს მიქნევდა, მიხმობდა... ელდა მეცა და მოვკურცხლე... ორი დღე მუნჯივით ვიყავი. ხმის ამოღება არ შემეძლო...

— ნეტა ტყაში მაფა დამანახა, ამბობენ, ისეთი ლამაზიაო!

— ახლა სად არის ტყაში მაფა. რაც მანქანები შემოვიდა, დაფრთხა, ღურღუთს მისცა თავი. წინათ ყოველ ნაბიჯზე იყო თურმე...

— მართალია, ბოდღო ბიძიას უნახავსო? – წამოიძახა წრიპა გოგომ კუთხიდან. ახალგაზრდებმა ყური ცქვიტეს. მზეჭაბუკი შეირხა.

ბოდღო ბუხართან იჯდა, ჩიბუხს ექაჩებოდა. ცეცხლი მინავლდა და იმას შეუჩუჩხუნა. დროის მოსაგებადო, ასე მოეჩვენა მზეჭაბუკს.

— ბოდღო ბიძია, მოგვიყევი რა!

— რა მოგიყვეთ, ჭირიმა, ტყაში მაფა არ ვიცი მე! — ხმა გაებზარა, თავი არ აუწევია, მზერა დამალა. მზეჭაბუკს სურდა თვალებში ჩაეხედა, სიმართლე ამოეკითხა. „ტყაში მაფა, ეჰ, ტყაში მაფა!..“ – ფიქრის ნაფლეთი მოესმა და დედას შეხედა.

თათუშა მალულად უთვალთვალებდა შვილს, შეშფოთება დაეტყო. ყრმის მზერას რომ წააწყდა, ნაძალადევად გაეხუმრა ქმარს:

— შენი ენა გღუპავს, შე საცოდავო, სიმთვრალეში მოატყუე ალბათ ვინმე, ხმა გაგივრცელეს!

მზეჭაბუკს გულზე შემოაწვა. ასთავიანი ურჩხული – ეჭვი ფუთფუთებდა სულში და უჭირდა დაეცხრო, გულგრილობის ნიღაბი ჩამოეფარებინა. ყველა იმას ცდილობდა, როგორმე მოეტყუებინა იგი, გზა-კვალი აებნია, ბნელში ჰყოლოდა. ვიღაც უჩინარი ძალით ართმევდა მის წილ სიმართლეს, სიცოცხლეზე ძვირფასსა და მნიშვნელოვანს... მზეჭაბუკმა თავი გაძარცულად იგრძნო.

„ვინ ვარ მე?“ – პირველად იკითხა და პასუხი ვერ გასცა. ეჭვს საფუძველი ამ კითხვაში ჰქონდა და როცა პასუხი მოიძებნებოდა, მაშინღა განათდებოდა გონება, იქნებ სიკეთეს ემძლავრა ბოროტზე, სინათლეს – ბნელზე...

ყმაწვილი უკვე არავის უსმენდა. გრძელდებოდა ყაყანი, სიცილი, ლაზღანდარობა... თანდათან გაიზიდა ნალიაში ტარო და ფუჩეჩი. ბუხარში ცეცხლი ჩაიშრიტა, ქვაბში აღარ თუხთუხებდა წყალი... დაღლილი მეზობლები თითო-თითოდ ემშვიდობებოდნენ მასპინძლებს... საცაა გათენდებოდა...

მზეჭაბუკს ჰაერი არ ეყო. აივანზე გავიდა. სიგრილე შემოეტმასნა როგორც სველი ტილო, გააჟრჟოლა. იდგა ერთხანს, ბნელში იყურებოდა. ღამე იცრიცებოდა უკვე. თეთრი ნისლი მიიზლაზ-

ნებოდა ორღობეში, ედებოდა ხეთა გაბარჯღულ ტოტებს, ფუმ-ფულა ქულები გასაპენტ ბამბასავით ეხვეოდა... აწკაპუნდა ტოტებზე დაკიდებული წვეთები... რაღაც იდუმალი ედებოდა ქვეყანას და შიშს ჰგვრიდა აივანზე გადმომდგარ ყმაწვილს.

ნისლის ფთილა შეეხო, დასწინწკლა. შეაჟრჟოლა, შესცივდა, თითქოს სველი ხელი საყელოში ჩაუყო ვიღაცამ.

იგრძნო, რომ გადაიღალა. ბეჭები სტკიოდა. ოთახში შებრუნდა, საწოლზე დაეგდო. თვალი დახუჭა თუ არა, მძიმე ბურანში ჩაიძირა, მოსწყდა ყოველივე ამქვეყნიურს. ალბათ დიდხანს გასტანა ძილქუშ-მა, დღე ღამეს ცვლიდა, ღამე დღეს, ის კი ისევ ისე გაუნძრევლად იწვა და ეგებ ცოცხალიც არ იყო უკვე. მერე უცებ გამოერკვა. ოფლ-ში გახვითქულიყო და პერანგი ზურგზე მისწებებოდა.

მეზობელი ოთახიდან ჩოჩქოლი მოისმოდა. დარჩენილი სტუმ-რები რიჟრაჟს ელოდნენ და ჭაჭის არაყით ერთობოდნენ.

„რამდენ ხანს ვიწექი? ათი წუთი, ათი საათი, ათი დღე?..“

გონება თანდათან ეწმინდებოდა და იქ, ვით ყამირზე, კვლავ ითესებოდა ეჭვის თესლი.

ცხელოდა. ფანჯარას მისწვდა და გამოაღო. გრილმა, ნესტიანმა ჰაერმა შემოაღწია, ხილისა და ნეშოს სუნი შემოჰყვა... ესიამოვნა.

— დედა! – ხმადაბლა დაუძახა.

მოეჩვენა, რომ თათუშა აქამდეც კარსუკან იდგა და ჭუჭრუ-ტანიდან ადევნებდა თვალს.

— დედა! – ხმას აუწია.

მეზობელ ოთახში ბოდღო რაღაცას ჰყვებოდა და სტუმრები სიცილისაგან იჭაჭებოდნენ.

კართან ვიღაცა დაფაცურდა.

„ალბათ ვგიჟდები“, — შიში კენწლავდა მზეჭაბუკს, გული სწრაფად უცემდა, სისხლი საფეთქელზე უკაკუნებდა.

— დედა!

თათუშა შემოვიდა, შუქი აანთო.

— აქა ვარ, დედა შემოგევლოს, ჩემო გულის დარდო, — ხმად-აბლა შეეპასუხა, მის მზერაში შიში კრთოდა.

— აქ მო, დედა!

თათუშა მოუახლოვდა, საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, შუბლზე

ხელი დაადო, მოეფერა.

მზეჭაბუკმა ხელზე ხელი მოუჭირა.

— მითხარი სიმართლე!

თათუშას მიტკლისფერი დაედო, აჩქარებით წამოიძახა:

— ვაიმე, შვილო, მოგიკვდეს ჩემი თავი, რას მეკითხები?!

— მითხარი სიმართლე!

თათუშამ სახეზე ხელი აიფარა, ატირდა. მზეჭაბუკს გული ერთი მუჭა გაუხდა. თავს სძლია და დაჟინებით გაიმეორა:

— მითხარი სიმართლე, მითხარი, მითხარი!

— ამ ძუძუთი გამიზრდიხარ, შვილო!

— მუცლით არ გიტარებივარ?! – ყრმის თავზე წისქვილის ბორბალი დატრიალდა.

— შენი ძმების აკვანში გამიზრდიხარ, შვილო!

— მაშ, შენგან არ დავბადებულვარ?!

— ღამეები თეთრად მითენებია, „ნანას“ გიმღერდი, შვილო!

— თურმე სხვისი შვილი ვყოფილვარ!

გაფიცხებული, აცახცახებული საწოლზე წამოიჭრა, კედელს ზურგით აეკრა.

— რა ვქნა, მე უბედურმა, რა ვქნა? – მკერდზე მჯიღი დაიკრა თათუშამ, ღაწვი ჩამოიხოკა.

მზეჭაბუკი თითქოს დამშვიდდა, ხელები უღონოდ ჩამოყარა, ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა. რამდენჯერმე წყნარად გაიმეორა:

— თქვენ ყველანი, ყველანი მატყუებდით?!

— ვაიმე, თუგინდ მომკალი, შვილო! – შესთხოვა თათუშამ.

მზეჭაბუკმა დედას მზერა აარიდა, შებრუნდა და ფანჯარაში გადაეშვა.

ნაწილი IX

დიდი ქოშნილი

თავი I. სიყვარულის მეცნიერება

მზემ რომ ლოგინში მოაკითხა, როგნედამ იგრძნო, ამიერიდან ასე ვერ იცხოვრებდა. ბიჭი რომ ყოფილიყო, ადგებოდა და ცხრა მთას იქით გადაიკარგებოდა, სადმე რევოლუციას მოახდენდა, ლამაზ გოგოს მოიტაცებდა, ყველაზე მაღალ მწვერვალზე აძვრებოდა, პოლუსებს მოიხილავდა... იგი კი ჩვეულებრივი გოგო იყო, ოთახის ყვავილი, ფუფუნებაში და მზრუნველობაში გაზრდილი. აქამდე მისი ცხოვრება ივსებოდა ბებიისა და დედის ალერსიანი, ოღონდ ჯიუტი მოთხოვნებით: „ფისო, რძე დალიე!“, „ფისო, ფაფა ჭამე!“, „ფისო, არ გადაიღალო!“, „არ დაეცე!“, „გოგო ხარ, ეგრე ნუ იღრიჯები!“, „ცხვირსახოცი რა უყავი, ცხვირში ნუ იჩიჩქნები!“, „მოხდენილად გაიარე, ჯარისკაცი ხომ არა ხარ?“, „გაკვეთილი ისწავლე!“, „კარგმა გოგომ მუსიკა უნდა იცოდეს!“, „კარგმა გოგომ ფრანგული უნდა იცოდეს!“, „ინგლისური უნდა იცოდეს!“, „ცეკვა უნდა იცოდეს!“, ეს იცოდეს, ის იცოდეს...

როგნედას კი ამ დილით მართლაც რაღაცა უნდოდა, განსხვავებული, თავისებური, რაც ხელის ერთი მოსმით დაამსხვრევდა მინის აკვარიუმს, მაგრამ რა იყო ეს „რაღაც“? იქნებ მომავალი გამოცდები, სტუდენტობა, კურსის ამხანაგები... დაბადების დღეები, ექსკურსიები, „შატალო“, კინო, ბიჭები... კინომ საშუალი ბედია გაახსენა. დღეს უკვე სწორედ ის „ზეგ“ იყო, თუმცა ეგებ ვაჟს დაავიწყდა კიდეც, ქალიშვილი რომ დაჰპატიჟა კინოში.

ცნობიერებაში მზეჭაბუკი ამოტივტივდა... ის ღამე, როცა ჩვეული აკვარიუმიდან ამოიყვანეს, სუფთა ჰაერზე გაანავარდეს და ამ სისუფთავემ, უჩვეულო ამაღლებულობამ კინაღამ გული გაუხეთქა, ძარღვები დააწყვიტა. ის მხოლოდ სიზმარი იყო, შიშისმომგვრელი თეთრი სიზმარი... გაიღვიძა და მზეჭაბუკ ბედია ვერ იპოვა, იგი გაქრა, გადაიკარგა. „სოფელში წავიდა! ჩვეულებრივი სოფლელი ბიჭია, ქალაქში ბრინჯივით იბნევა!“ – ფიქრში დიდი

ხანია უარყო იგი. არც მისი ოქროს თმები მოსწონდა, არც ცისფერი თვალები, ჩუმი და წყნარი მზერა, მაგრამ, როცა გაიხსენებდა, გული ჩხვლეტდა და სევდა ეუფლებოდა.

ამ დილასაც, მზემ რომ ლოგინში მოაკითხა, გამოაღვიძა, პირველი გახსენება მზეჭაბუკ ბედია იყო. თვალნათლივ წარმოიდგინა ფანჯარასთან მდგომი, ბნელი ღამიდან მოსული. თვალი დახუჭა. ერთხელაც იგრძნო, როგორ აიტაცა ძალამ, მოსწყვიტა იატაკს, სიბნელეში გაიტაცა... ძალუმად ეხვეოდა მის სხეულს, გადარჩენაზე ფიქრობდა და იმიტომ ეხვეოდა, ახლა კი, ლოგინში, მოეჩვენა, რომ კვლავ ეტმასნებოდა სასურველის მკერდს, მკლავები შემოეჭდო მისი ბეჭებისათვის...

შეათრთოლა, საწოლიდან წამოვარდა.

„ქუჩის ბიჭი, სოფლელი ბიჭი, მძულს, მძულს!..“ – ცდილობდა თავი დაეღწია ამ დამღლელი ზმანებისაგან.

სარკეში ჩაიხედა, ტუჩები აიბზუა.

— ფისო, ადე, გენაცვალე, რძე გაგიცივდება! – დაუძახა ღაღულიმ.

„რძე, რძე... ამათ ბავშვი ვგონივართ, მე კი...“ – ხელები აისვა წელზე, საკუთარი მკერდის ბორცვაკებს რომ წააწყდა, შერცხვა. „სულელი, სულელი...“ – იმეორებდა გუნებაში.

კედლის საათს შეხედა. ცხრაზე სამეცადინოდ უნდა წასულიყო რეპეტიტორთან, თორმეტზე კი მზეჭაბუკის ძმა ელოდებოდა – საშუალი ბედია...

ფილმი უღიმღამო გამოდგა. ვიღაცას ვიღაცა უყვარდა. ამას იმით გამოხატავდნენ, რომ დღენიადაგ ანგრეულ ლოგინში კოტრიალობდნენ, თან ერთმანეთს ეფიცებოდნენ, შენი სიყვარულით ვგიჟდებიო.

შემოსვლისას აფიშაზე არც შეუხედავთ, აქ კი ტიტრების ჩვენება დამთავრებული იყო. ამიტომ არც იცოდნენ რა ფილმს უყურებდნენ, არც აინტერესებდათ. ხანდახან, როცა ფილმის გმირები ზომიერ სიშიშვლეს გამოაჩენდნენ, წინა რიგებიდან თავშეუკავებელი ხორხოცი, არცთუ ზრდილობიანი შეძახილები მოისმოდა.

კაჭუჭიამ მხოლოდ ერთხელ გაიფიქრა, ამ გოგონას უკანა

რიგში დავსვამ და სიბნელეში ჩემებურად დავბუბნიო, მაგრამ გადაიფიქრა, აჩქარება არ ივარგებდა.

ჩუმად ისხდნენ, ეკრანს მისჩერებოდნენ და ვერაფერს ხედავდნენ. ორთავეს საკუთარი საფიქრალი აწვალებდა. კაჭუჭიას მაცაცუნა გაახსენდა, ის მოულოდნელი ბრძოლა და შედეგი. ქუჩის ქალი ეგონა და იმიტომ დაატანა ძალა...

როგნედას ცნობისმოყვარეობა წვავდა. შეხვედრისას წამით შეავლო მზერა და უმალვე მიხვდა, მთლად ნორმალური რომ არ იყო საშუალი ბედია. შესანიშნავი ფეხსაცმელი ეცვა, უცხოური, საფირმო პერანგი, შარვალი კი – დალაქავებული, ჩამოფეხვილი, მუხლებდაბერილი, უშველებელი ჯიბეებით... ალბათ ჯიბეში ათასი ხარახურა ჩაუჩურთავს და ისე დადისო, ფიქრობდა გოგონა და ცოტათი ეშინოდა კიდეც.

— წავიდეთ აქედან, — წასჩურჩულა.

კაჭუჭია ფიქრებისაგან გამოერკვა.

— რა თქვი?

— წავიდეთ აქედან!

— ფილმი არ მოგწონს? – ჩაიქირქილა.

— არ მომწონს! – გამომწვევად შეეპასუხა.

კაჭუჭია გაჩუმდა, სიბნელეში გოგოს ხელი მოძებნა. როგნედამ გაიწია.

— ნუ გეშინია, — ცბიერი ჩურჩული გაუბა, — ლაწირაკი კი არა ვარ, ამ სიბნელეში რამე გაკადრო!

ხელი მიანება. კაჭუჭიამ ფულის დასტებით გამოტენილ ჯიბეზე მიიდო.

— რა არის ეს?

— ძალიან საინტერესო რამაა, დარწმუნებული ვარ, მოგეწონება.

— რას ჩურჩულებთ მანდ, გვაყურებინეთ, ბატონო! – უცებ ქალური ხმით წინა რიგიდან დაიწრიპინა ზონზროხა ტიპმა, აქამდე დაუსრულებლად რომ აკნატუნებდა მზესუმზირას.

მცირე ხანს გაჩუმდნენ.

— გინდა ეს დამპალი გამოვათრიო და ვცემო? – შეთქმულივით შეეკითხა კაჭუჭია.

— არ ღირს, დებილია ვიღაცა, — ამ შეტაკებამ ერთი ნაბიჯით დაახლოვა ქალ-ვაჟი.

როგნედამ დაიჯერა მისი ძლიერება, იდაყვითაც გრძნობდა ჭაბუკის დაკუნთულ მკლავს.

კაჭუჭიას მისი ხელი არ გაუშვია, ვითომ უნებურადო, ჩამოაცოცა და მუხლზე დაიდო. გოგონას არაფერი უთქვამს. გაყურსული შეჰყურებდა ეკრანს და ცნობისმოყვარეობა უწეწავდა ნერვებს.

უცებ დენმა გაჰკრა. გაახსენდა ბნელი კუპე, მატარებლის დაგადუგი, სიბნელეში გამოწვდილი მზეჭაბუკის ხელი, — „გამარჯობა!“, — „გამარჯობა!“ გადაჭდობილ ხელებს ზოგჯერ ფანჯრიდან შემოჭრილი სხივი ეფინებოდა და ისევ სიბნელეში ინთქმებოდა. ხელიდან ხელში გადადიოდა რაღაც თბილი, უნაზესი, ხაფიფი, უბიწო... კაჭუჭიას ღონიერ თათში მომწყვდეული მისი ხელი კი იდო ამ გაზინთულ, ტურტლიან შარვალზე... რატომ? რისთვის? ვის სიამოვნებდა ეს?.. ზიზღი მოაწვა, ხელი უხეშად გამოსტაცა და წამოხტა:

— წავიდეთ აქედან, აღარ მინდა!

კაჭუჭია უხმოდ წამოდგა, გასასვლელისაკენ გაუძღვა.

ქუჩაში როგნედა დამშვიდდა, თანდათან გადაავიწყდა კინოს ბნელ დარბაზში გადახდილი განცდები. ღიმილით შეავლო თვალი კაჭუჭიას ჩამოგიდელებულ ჯიბეებს, არაფერი ჰკითხა.

— კინოში ისე დავიხუთე, — თავი იმართლა.

— ჰო, — უგემურად გაეპასუხა კაჭუჭია.

უყურადღებობამ გოგონა გაანაწყენა. გაიხსენა, რომ ხელი ედო ჭაბუკის მუხლზე, უფრო სწორად, ძალით დაადებინეს, გაუკვირდა, აქამდე რატომ არ შემოვწყერიო.

— აქ უნდა დაგემშვიდობოთ! – მოიღუშა.

კაჭუჭია გამოერკვა, საფიქრალს წაეღო და გვერდით მიმავალი გოგო გადავიწყებოდა.

— ოჰ, მაპატიე, მეგონა ერთი გზა გვქონდა... გაგაცილებ!

— მადლობელი ვარ, — ნიშნის მოგებით თქვა გოგონამ, – ისედაც დიდი პატივი მეცი, იმ სიბნელეში კინაღამ ხელი მომამტვრიე!

— რა გაუთლელი ვიღაცა ვარ, — მოინანია კაჭუჭიამ, თვალებში კი ურცხვად შეჰყურებდა, — ყველაფერი ინსტინქტურად

მოხდა, არც კი მახსოვს, რატომ ჩაგავლე ხელი. ცუდი რამ გუნებაში არ გამივლია... მაპატიე!

როგნედა მორბილდა. ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო და ტროტუარს დაჰყვნენ.

— გუნებაში ალბათ დასცინი ჩემს ჩაცმულობას, — ალაპარაკდა კაჭუჭია, — კარგად მესმის ყელაფერი. უნდა მოგახსენო, ყოველ გამორჩეულ ადამიანს უცნაური თვისებები აქვს... დიახ, ნუ გეღიმება, — როგნედას არც გაუღიმია, — ნუ გიკვირს, თავს რომ გამორჩეულად ვთვლი. გარეგნობით ყველაზე დიდი გენიოსი ჩვეულებრივი ადამიანია. სულს კი წუთიერი ნაცნობობით ვერ შეიცნობ, ამას დრო უნდა... ასე იმიტომ გეუბნები, მეც გამაჩნია საიდუმლო, ნიჭი... ჯერჯერობით ბოლომდე ვერ აგიხსნი, თვითონაც არ მესმის ასე რად გენდობი... ღმერთმა ქნას, არ მოვტყუვდე...

როგნედა თავდახრილი მოაბიჯებდა. გული სწრაფად უცემდა. ვაჟის ხმაში გულწრფელი სიმი ჟღერდა.

უცნობ სადარბაზოსთან გაჩერდნენ.

— ოღონდ არავინ დაგვინახოს, — ჭაბუკმა ტროტუარი მიმოათვალიერა. ახლოს არავინ ჩანდა. ეზოშიც შეიხედა. იქაც სიწყნარე იყო. გოგონა თითით მოიხმო.

— არავისთან წამოგცდეს, ხმა არსად ამოიღო, — ამ სიტყვებთან ერთად კურტაკის კალთა გადაიწია და ჯიბე გამოაჩინა. ასმანეთიანების მკვრივი დასტებით იყო გამოტენილი. კაჭუჭიამ ერთი დასტა გამოაძრო, ხელში შეათამაშა, უკან ჩაიჩარა.ჯიბე ძლივს იტევდა ამდენ ფულს.

— როგორ მიბედავ? – უცებ წამოენთო როგნედა, — ვინა გგონივარ?

წამით გაუკვირდა კაჭუჭიას, მერე გაიცინა, ნაძალადევად, უხალისოდ. რაც ფული გაუჩნდა, ერთხელაც არ გაუცინია ძველებურად.

— ვერ გამიგე, ჩემო კარგო! ვინა მგონიხარ და წესიერი გოგო მგონიხარ. იმიტომაც გენდე. უკუღმართი რამე არც მიფიქრია!

როგნედას შერცხვა, შეწუხდა, მაინც ჯიუტად გააქნია თავი.

— სიმართლე თუ გინდა, მომეწონე და ესაა! – მოიღუშა კაჭუჭია, თვალებში სიცივე ედგა.

— არ მიყვარს ასეთი ლაპარაკი, დაჩვეული არა ვარ! – თავი კვლავ გააქნია გოგონამ, — ეს რაა? ფულს ხომ არ ბეჭდავ?

— იჰ, ორი თავი სად მაბია, — ეშმაკური ღიმილი აისახა კაჭუჭიას სახეზე, — გასამეტებელი თავი სადა მაქვს?

კიბეზე ფეხის ხმა გაისმა. კაჭუჭიამ კურტაკი გაისწორა. კედელს მიეყრდნო.

მაცაცუნამ გამოიხედა.

კაჭუჭიას ფერი ეცვალა, თავი არ აუწევია, მაცაცუნა უხმოდ მიაშტერდა და ვაჟი იძულებული გახდა აეხედა. რა ბედი მაქვს, ამის კართან რამ მომიყვანაო, გაიფიქრა. საწყლად გაუღიმა.

მაცაცუნას ბაგე ზიზღით მოექცა და როგნედას მიაყარა:

— გოგონა, ნუ დგახარ მასთან, არ დაუჯერო! ეს ბილწი, უსინდისო კაცია! გაიქეცი აქედან, გაიქეცი!

როგნედამ ფეხი არ მოიცვალა, სახეზე სიავე აესახა.

— ჭკუას ნუ მასწავლით, დედაჩემი მეყოფა, პატარა კი არა ვარ!

კაჭუჭია მიტკლისფერი გახდა, ნაბიჯი წარსდგა, თავში სისხლი აუვარდა. — წაეთრიე აქედან, შე ძუკნავ, თორემ...

— აბა, თითი დამაკარე!

კაჭუჭიას თავშეკავებამ უღალატა, მუშტი მართლაც აღმართა, მკლავზე როგნედა ჩამოეკიდა და უჩვეულო სითბოთი წასჩურჩულა:

— დამშვიდდი, გეთაყვა, ვითომ არაფერი გაგიგონია!

ვაჟი გონს მოეგო, კედელს მიეყრდნო და ასე გაირინდა.

მაცაცუნა აჩქარებით სუნთქავდა, ბაგეზე კვლავ დამცინავი ღიმილი უთამაშებდა.

— რას უდგახართ, წადით აქედან! – მიაძახა როგნედამ, თან კაჭუჭიას მკლავს არ ეშვებოდა.

— კაი გველის წიწილი ყოფილხარ, მაგრამ წაიტეხ კისერს! — ბოროტად მიუგდო მაცაცუნამ და სადარბაზოში შებრუნდა.

— უყურე ერთი, რეებს მიბედავს, — აბობოქრდა კაჭუჭია, — მთლად არ გავიდა თავს? ეს ქურდბაცაცა, ქუჩის ქალი!...

— კაი, ჰო! ნერვებს ნუ იწყვეტ!

მოულოდნელმა ჩხუბმა წამში დააახლოვა ქალ-ვაჟი, თითქოს საიდუმლო, რაც მხოლოდ ორმა იცოდა, ნდობის ჯაჭვად გადაიქცა

და იგი იოლად ვერ უნდა გაწყვეტილიყო.

„ვითომ ამან არ გაქურდა მზია!“ – გაიფიქრა კაჭუჭიამ.

თვალზე ბინდი გადაეკრა, სულ ერთი წამით, გული შეუფრთხიალდა თითქოს... გონს მოეგო. შუბლზე ხელი მოისვა. უნდა დაევიწყებინა, თუ ცხოვრება ეწადა... ჰქონდა ფული, სიმდიდრე, ქალების მეტი რა იყო... ის უნდა დაევიწყებინა...

როგნედა წყნარად მისჩერებოდა. სულ სხვანაირად ხედავდა კაჭუჭიას. მისი ჩამოგიდელებული შარვალიც არ ეჩვენებოდა ასე უშნო. „ალბათ შემიყვარდა!“ – ამას წონიდა და გრძნობდა, რომ მართლაც გაეხვია რაღაც უჩვეულო, თბილ ტალღებში.

კაჭუჭიამ გოგოს მზერა დაიჭირა. მიხვდა, მათს ურთიერთობაში რაღაც შეიცვალა.

როგნედამ თვალი დახარა, სადღაც გულის გულში კვლავ აფუთფუთდა ზიზღი, მაგრამ უმალ ჩაიხშო.

— კახაბერ, — მღელვარებისაგან ხმა აუთრთოლდა, — რაღაც მინდა გკითხო და არ მომატყუო!

— აქამდე როდის გატყუებდი?

— მართლა გიყვარვარ? – ლამაზი თვალები მოანათა გოგომ.

კაჭუჭიას არ ახსოვდა, რომ სიყვარული აეხსნას მისთვის. უკან მაინც არ დაუხევია.

— კი, მიყვარხარ! — გულგრილად დაუმოწმა.

როგნედას თვალები სინაზით აევსო.

თავი ფართო მკერდზე მიადო და გაინაბა.

„ლამაზი კი არის ეს ოხერი!“ — უჩვეულო გაუბედაობამ შებოჭა კაჭუჭია.

— ცოლად მითხოვ? — ჩურჩულით დაეკითხა გოგო.

— დღედაღამ ამაზე ვოცნებობდი! — აუღელვებლად შეეპასუხა.

როგნედამ წყნარად ჩაიცინა. კაჭუჭიამ ყვრიმალზე აკოცა და გაიფიქრა: „ვინმე ხომ უნდა შევირთო, ეს კი ლამაზი მაინც არის...“ კი გამოდგებოდა სათადარიგო ვარიანტად, უკეთესს თუ ვერ იშოვიდა...

თავი II. მაცაცუნას განცდები

იგი მტერი იყო, ჯუმა ბედია, იგი იყო დემონი, ვინაც დაიმორჩილა მაცაცუნას სული, მთელი სიმძიმით დააწვა და ამოსუნთქვის საშუალება მოუსპო. მაცაცუნას გაუქრა ის გატაცება, სურვილი მონობისა, რაც სიყვარული ეგონა. ახლა მარტო სიძულვილი შერჩა, სიძულვილი, რომელიც არ აძინებდა ღამით, მოსვენებას უკარგავდა დღისით. სძულდა ჯუმა, კაჭუჭია, ბედიების სახსენებელი... შურისძიების ათას საშუალებას იგონებდა, არც ერთი არ მიაჩნდა საკმარისად, ამიტომ არაფერს აკეთებდა და უსასოოდ მიჰყვებოდა მოვლენათა დინებას.

და აი, მოულოდნელად თვით ჯუმამ ჩაუდო ხელში იარაღი...

რა დასამალი ეს იყო და მორჩილი შვილის როლი გაითამაშა. თავდახრილმა ტელევიზორთან შეყრილ მშობლებს განუცხადა:

— ორ კვირაში ვთხოვდები!

მამა პოლიტიკურ კომენტატორს უსმენდა გაფაციცებით. აფრიკის ერთ ქვეყანაში სამხედრო გადატრიალება მომხდარიყო. ასეთ დროს ოჯახის წევრთა გადალაპარაკებას ვერ ითმენდა და ბრაზით ჩაისისინა:

— მომასმენინეთ, თუ შეიძლება!

კომენტატორი ფაქტს აზოგადებდა, ორი წუთის სათქმელს უკვე ნახევარი საათი ღეჭავდა.

— გითხარი, ბატონო, მეორე ტელევიზორი ვიყიდოთ და კაბინეტში დაიდგი-მეთქი! – მკვახედ შეეპასუხა დედა.

— შენი ფულებით რომ ვიყიდით, იმას დავიდგამ კაბინეტში! – არ შეარჩინა კაცმა, თან ტელევიზორისათვის თვალი არ მოუცილებია.

„არც კი აინტერესებთ!“ – ჯავრი მოაწვა მაცაცუნას.

— ვინ არის? – გულგრილად შეეკითხა დედა.

— ერთი კაცია...

— კაცი რომ იქნება, კი ვიცი! — უხეშად გააწყვეტინა, — ბინა აქვს?

— კი, თითქმის ცენტრში...

— Тогда ещё ничего!.. დიდია?

— ვინ? ახალგაზრდაა!

— ბინაზე გეკითხები.

— რა ვიცი, აბა...

— Тогда не стоит, милочка !.. აქ არ შემომიყვანო, თვითონაც ძლივს ვეტევით!

— ამოდენა ბინა გვაქვს... – გაუბედავად შეეკამათა მაცაცუნა.

— ყველაფერს თავისი რიგი აქვს, ის მამიკოს კაბინეტია, ის ბიბლიოთეკაა, ის სასტუმრო, ის საძინებელი, ის სამზარეულო...

— აქვს-მეთქი ბინა, ხომ გითხარი? რომც შეეხვეწო, არ შემოგივა ზედსიძედ!

— Тогда ещё ничего!.. მუშაობს? სად მუშაობს? დიპლომიანია? ხომ იცი ჩვენი წრე, საზოგადოება...

მაცაცუნა ნერვებზე მოიშალა, თავი მაინც შეიკავა.

— დიპლომიანია, ცნობილი მწერალიცაა, რედაქტორი...

— ხელფასიც კაი ექნება?

— არც თუ ისე დიდი, მაგრამ...

— Тогда не стоит, милочка !.. გაწვალდები.

— მომასმენინეთ, ბატონო, თუ შეიძლება! – მოთმინება დაკარგა ოჯახის უფროსმა, – საკუთარ სახლში, საკუთარ ტელევიზორთან ვერ მოგისვენია კაცს!

— თავი შენ გაგისკდა, ქალიშვილის ბედი არც გაინტერესებს!

— მაინტერესებს თუ არა, მომიყვანს ახლა ხვითოს, ისიც ჩემს კისერზე შეჯდება ალბათ!

— თქვენთან სამათხოვრო არაფერი გვექნება! – წამოიძახა მაცაცუნამ.

— ბებია გიცხონდა, ერთ კვირაში კარზე მომადგებით! გიცნობთ ახლანდელ ახალგაზრდებს, რა ჩიტებიცა ხართ!

— თორემ შენ წყვეტდი ვარსკვლავებს!

— ესმა, მამას აგრე უხეშად ნუ ელაპარაკები! – ქმარს გამოესარჩლა დედა.

— აბა, რატომ ამბობს ასე? – ცრემლი გადმოჰყარა მაცაცუნამ.

— დამშვიდდი ახლა! თუ ყველაფერი გადაწყვეტილია, საქმეს უნდა მიხედვა!

მაცაცუნა გაიტრუნა. ძალიანაც უნდოდა მშობლები დახარჯულიყვნენ, რათა მომავალში კიდევ ერთი სასაყვედურო ჰქონოდა ჯუმა ბედიასთან.

— შემჭამეთ ახლა! — იქუხა უცებ მამამ, – სადა მაქვს, ქალო, ამდენი? ხომ იცი, ათი თუმანი მეძლევა ჯამაგირი, შენ კი ზიზილ-პიპილებსა და აგარაკებს არ იკლებ!

— მეხი კი დაგაყარე, მაშინ მე ქმარი და შენ ცოლი, იჯექი შინ და მე წავალ საშოვარზე!

— გადამრევს ეს ქალი! — იყვირა მამამ. კომენტატორმა უკვე მოათავა, მამამ ტელევიზორი გამორთო, გაცეცხლებულ დიასახლისს ზურგი შეაქცია, გაზეთი გაშალა, რათა იგივე ამბავი აქაც წაეკითხა და ერთხელაც დარწმუნებულიყო, რომ ქვეყანაში, რომლის არსებობა აქამდე არც იცოდა, მთავრობა ჩამოაგდეს.

— რა არის, დედა, ეს, რა არის?! თავს მომაკვლევინებთ თქვენ! — კვლავ ატირდა მაცაცუნა.

— კაი ახლა, ნუ დააყენე ზღვა, — შემრიგებლურად თქვა დედამ, – აგრეც არ შეიძლება, შვილო! ხომ იცი, ბოლო დროს ხარჯი გვქონდა. აგარაკმა ბევრი წაიღო, მანქანაც ხომ დიდი ხანი არაა, რაც ვიყიდეთ?.. ახლა იმდენი არ მოაქვს მამაშენსაც, ველარ შოულობს. ცუდი დრო დადგა, ხალხს იჭერენ... იქნება იმ ჩვენს სასიძოს ჰქონდეს მეტი საშუალება? თანაც, ჩვენთან რომ ხუთასი სტუმარი შემოვიყვანოთ, ამ პარკეტს რა ეშველება? მოსამსახურესაც ვერ იშოვი, ძლივს გავაპრიალებინე...

— პარკეტი? — ანგარიშმიუცემლად იკითხა მაცაცუნამ.

— ჰო, შვილო, იმ სასიკვდილემ ტყავი გამაძრო, გაპრიალებით კი, თვითონ ხედავ, სულ მე მომიხდა. სტუმარი, ხომ იცი, წინდებით არ შემოვა ოჯახში...

— პარკეტი, პარკეტი, პარკეტი! – ისტერიულად წამოიძახა მაცაცუნამ და ოთახიდან გავარდა.

— აი, ასეთია ახალგაზრდობა! შენი გაზრდილია მაგი! — ნიშნის მოგებით ჩაილაპარაკა კაცმა, გაზეთი თავზე გადაიფარა და ხვრინვა ამოუშვა.

— მეხი კი დაგაყარე! — არ შეატოვა ცოლმა.

* * *

„საბედნიეროში“, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე საქორწინო კაბა შეუკვეთა, თეთრი, ოღონდ მოკლე, მუხლები უნდა გამოეჩინა, ქორწინების დღეს ვერ დამალავდა თავის ლამაზ ფეხებს... ფატა იქნებოდა რაღაც არაჩვეულებრივი, მსუბუქი, ჰაეროვანი, უცხოური, ძვირიც დაუჯდა... ეჩქარებოდა, მაღაზიაში მაინც შეყოვნდა. საქმროსათვის მანჟეტებიანი პერანგები შეარჩია, ცხვირსახოცების კომპლექტი; ორ დღეში იმპორტული ფეხსაცმელებიც გვექნებაო და, სთხოვა, გადამინახეთო...

როცა გამოვიდა, აგვიანდებოდა. ჯუმა ელოდებოდა უნივერსიტეტის ეზოში. მაცაცუნა თავს არიდებდა საქმროს, ხშირად არ ენახვებოდა. მთლად გადამალვაც არ ივარგებდა და დღეს დროზე უნდა მისულიყო. ტროლეიბუსსა და ავტობუსს ვერ დაენდო, ტაქსის აყვანა გადაწყვიტა. ხელი აუწია. ტაქსმა ჩაიარა. იმავე წამს ვიღაცამ ახალთახალი რძისფერი „ჟიგული“ მოაყენა საბურავების მსუბუქი შრიალით. მანქანა ისე პრიალებდა, სარკედ გამოდგებოდა.

მაცაცუნამ უკან დაიხია. საპატარძლოსათვის არ ივარგებდა კერძო მანქანით სეირნობა. საჭესთან მჯდომი ახალგაზრდა გადმოიწია, კარი გააღო, მომხიბლველი ღიმილი მოანათა:

— დაბრძანდით!

„სულ ერთი არაა?“ — გაიფიქრა მაცაცუნამ. მანქანაში ჩასკუპდა და გაიტრუნა, ვაჟისაკენ არც მიუხედავს.

მანქანა ლბილად გასრიალდა. არც გოგოს ამოუღია ხმა, არც ვაჟს უკითხავს, საით უნდა წაგიყვანოო. ხანდახან მრავლისმეტყველ მზერას ესროდა მგზავრს. მაცაცუნას დასცხა, პირზე ალმური მოეკიდა, ბაგე მოკუმა, იხტიბარს არ იტეხდა, ვითომ ყველაფერი ეს ბუნებრივი იყო.

ორ წუთში გმირთა მოედანზე იყვნენ, წრე დაარტყეს და ისევ საბურთალოსაკენ მიმავალ გზას დაადგნენ.

„საით მივყავარ?“ – ფრთხოდა მაცაცუნა, ენა ჩაეგდო და ბედს მინდობოდა.

მხოლოდ ერთხელ ასწია თავი, როდესაც გურამიშვილის ქუჩით ვაკისაკენ გადაუხვიეს. სარკეში ვაჟის თვალებს წააწყდა და

დაფეთდა. კუპრივით შავი თვალები მომნუსხავად მისჩერებოდნენ. შავ, გადაბმულ წარბებზე უხვი ქოჩორი ეყარა. სპორტულად ეცვა, ისედაც ეტყობოდა, სპორტსმენი რომ იყო.

— კოტეს მეძახიან! – პირველად მაშინ ალაპარაკდა, როდესაც წყნეთის გზას დაადგნენ.

— მე აქეთ არ ვაპირებდი, — ბოლოს და ბოლოს, ხმა ამოიღო მაცაცუნამაც.

— ქალაქში ცხელა, აქეთ კი სიგრილეა, სუფთა ჰაერი, ლაღი ბუნება... – ვაჟმა გაიღიმა, მტაცებლის კბილები გამოაჩინა.

— მაინც სად მიგყავართ?

— საითაც მიბრძანებთ! თუ გნებავთ, ახლავე მოვაბრუნებ!

— მნებავს!

— ამ ადგილზე აკრძალულია, ცოტა ზევით მიბრძანეთ და მოვაბრუნებ.

გზა დაიკლაკნა. მაცაცუნა განზე იხედებოდა. ხან ვრცელი ხედი გადაიშლებოდა, მოჩანდა საბურთალოს მასივის მრავალსართულიანი სახლები, უნივერსიტეტის ახალი კორპუსი, ლისის ტბა, ხან კი ტანმორჩილი ნაძვები არბოდნენ კალთებზე. საბურთალოს თავზე მოცისფრო ჭავლი ეკიდა, ლისის ტბა კი მირაჟს ჰგავდა, ყოველ წამს იცვლიდა ფორმას.

— კოტე მქვია-მეთქი, გითხარით, თქვენ კი პასუხი არ გამეცით. არ მიყვარს ნაცნობობის თავზე მოხვევა, თუ არ გნებავთ...

— ესმა.

— შესანიშნავი სახელია ე ს მ ა, — გემო გაუსინჯა, — ე ს მ ა... ლამაზი სახელია. ცუდად არ გამიგოთ და თქვენც ლამაზი ბრძანდებით!

— გმადლობთ!

— გულწრფელად ვამბობ! გოგოებს ჰგონით, თუ ბიჭი დაელაპარაკა, აუცილებლად მისი გამოჭერა უნდა. მე კი არაფერი მინდა! მიხარია თქვენი გაცნობა და მორჩა.

— თქვენ განსაკუთრებული ყოფილხართ, — ირონიას მოუხმო მაცაცუნამ.

— დიახაც, — ცოცხლად გამოეპასუხა კოტე, — ალბათ განსაკუთრებული...

მანქანა წყნეთში შესრიალდა. მწვანეში ჩაფლულ მდიდრულ აგარაკებს შორის ერთი მათიც იყო და მაცაცუნამ თავი დახარა, ვინმემ არ მიცნოსო.

კოჯრის გზაზე გადაუხვიეს. მაცაცუნას ხმა არ ამოუღია. არც ჭაბუკს უთქვამს რამე, ჩუმად მართავდა მანქანას.

— თქვენ გჯერათ სიყვარული პირველი დანახვისთანავე? – დუმილი დაარღვია კოტემ.

— მხოლოდ კინოში.

— აგრე გული რამ გაგიტეხათ? – გაეცინა ვაჟს. მაცაცუნას კვლავ მოეწონა მისი სიცილი.

გზა კალთებზე შეფენილ მუხნარს ჭრიდა. დიდი სისწრაფით მიდიოდნენ. ვაჟი ლაღად მართავდა მანქანას. მოსახვევთან უცბად დაამუხრუჭა, კინაღამ ფერდზე გადავარდა. იწივლა საბურავებმა, ასფალტზე შავი კვალი დაამჩნია, წინა ბორბლები კოლბოხზე ააგდო. მაცაცუნამ თავი ძლივს შეიკავა. ორივე ხელით ჩააფრინდა სახელურს. შიში მოგვიანებით ესტუმრა, როცა გაიაზრა, რას გადავურჩიო. ენა ძლივს მოიბრუნა.

— ასე ხომ შეიძლება დაიღუპოთ?

ვაჟი უდარდელად მიეყრდნო სავარძლის ზურგს, ხელი მშვიდად ედო საჭეზე, გაუღიმა.

— მინდოდა ფერდზე გადახტომა, ბოლო წამს გადავიფიქრე!

— თქვენ გიჟი ხართ?

— თავზეხელაღებული!

მაცაცუნამ ვერაფერი უპასუხა, ბაგე ჩაიკვნიტა, ჯიუტად იცქირებოდა ტყისაკენ, სადაც ტოტებდაკვრანჩხული მუხები მშვიდად გარინდულიყვნენ. გრძნობდა, ვაჟი დაკვირვებით ათვალიერებდა; ბრაზდებოდა, ვიღაცაა, სერიოზულობა აკლიაო.

— მეც მომხედე გოგო, იმ ტყეს რად უნდა შენი ლამაზი მზერა, — წასჩურჩულა.

მაცაცუნას ლოყები აეწვა.

— თქვენ თუ გგონიათ... – თავის მოუბრუნებლად დაიწყო, ხმაში მუქარა გაურია.

— არაფერიც არ მგონია, — სწრაფად შეაწყვეტინა კოტემ, — მე მოვკვდე, ცუდი რამე თუ გამივლია გულში!

— აბა, აქ რას გავჩერდით?

— სიტყვა მინდა გითხრა...

მაცაცუნამ თავი დახარა, ტუჩს იკვნეტდა და ნერვულად აწვალებდა კაბის კალთას.

— „საბედნიეროს“ წინ რომ გნახე, რეტი დამესხა, — ხმადაბლა ამბობდა ვაჟი, — კინაღამ ტროტუარზე ამოვაგდე მანქანა. ვინ იცის, რა საცოდაობა დატრიალდებოდა. გუნებაში წინ მიმავალი ტაქსის შოფერს დავემუქრე, არ გაუჩერო, ჩემი მგზავრია-მეთქი. იმანაც თითქოსდა გაიგოო, გვერდით ჩაგიარა. შენ ჩემს მანქანაში შემობრძანდი, როგორც დიდი ხნის წინათ მიძინებული და ახლადგაღვიძებული ოცნება.

— ძალიან ლამაზად კი ქარგავ, მაგრამ წავიდეთ... – მაცაცუნამ მშვენივრად იცოდა, რა ბადესაც უქსოვდნენ. თავი მაინც ვერ აიძულა უხეშად გამოპასუხებოდა.

კოტემ მხიარულად გაიცინა, მანქანა გზაზე გამოიყვანა, ადგილს მოსწყვიტა.

— არ გჯერა?.. გულწრფელად ვლაპარაკობ და მაინც არ გჯერა?

— ჩემზე ამდენ სიტყვას ხარჯავ, შენს ცოლს რაღა დარჩება?

— მერედა ვინ გითხრა, ცოლიანიაო?

— ცოლიანი კი არა, შვილიც კარგა მოზრდილი გეყოლება, – გათამამდა მაცაცუნა.

— რა ეშმაკები ხართ ეს გოგონები! – გულიანად გადაიხარხარა კოტემ.

კოჯორში შეუმჩნევლად შევიდნენ. სახლებს იქით, მთაზე აზეულას ციხე წამოიმართა. გაღმა ხევიდან ნისლი იბოლქვებოდა, ციხეს ეტანებოდა. „ამინდი შეიცვლება!“ – გაიფიქრა მაცაცუნამ.

— გინდა ციხეზე ავიდეთ?

— შორია.

— წამში იქ გავჩნდებით!

კოჯორში ბავშვობის დროს დაუსვენია, მაგრამ ციხეზე არასოდეს ასულა. ახლაც დუმილი არჩია. კოტემ თანხმობად მიიჩნია და მართლაც ცოტა ხანში ტყით დაფარულ კალთაზე ავარდნენ.

მაცაცუნა მანქანიდან გადმოვიდა. მუხლის გამართვა ესიამოვნა. კოტესთვის არ მოუცდია, ნელა აჰყვა ფერდობს. კოშკს მიადგა და გალმა ხევისკენ გადაიხედა. ნისლს ამოევსო პირთამდე, ნისლის მსუბუქი ფთილები კოშკს აწყდებოდნენ უხმოდ.

უმიზეზო სევდა დაეუფლა. არასოდეს ყოფილა ასეთი დინჯი, სიტყვაძუნწი... ბოლო დროს მეგობრები ვერ ცნობდნენ. ჩქარი, ენარატრატა, კუდაბზიკა და მეტიჩარა, ახლა გულჩათხრობილი გახდა, ყველასაგან დაფარულ წუხილს ეზიდებოდა.

ფეხის ხმა მოესმა. ვაჟი უახლოვდებოდა. მხრებზე ხელები შეავლო. უნდა მობრუნებულიყო, ცერებზე შემდგარიყო, თვალდახუჭული დალოდებოდა მისი ბაგის შეხებას. ჯუმა გაახსენდა. შეტრიალდა, ვაჟს მხარი აუქცია, ხმაგაბზარულმა წამოიძახა:

— წავიდეთ, დამაგვიანდა!

კოტეს მხოლოდ წამიერი იმედგაცრუება აესახა სახეზე. ვითომაც არაფერიო, ჩვეული ხალისით ჩაჯდა მანქანაში და ორი-სამი წუთის შემდეგ კოჯორი დატოვეს.

უკანასკნელად მოხედეს ციხეს. რაც უფრო შორდებოდნენ, მით უფრო მაღლდებოდა.

— შორიდან რა ლამაზია, ჰა? – სიტყვის მასალად გამოიყენა კოტემ, მეგობრულად გაუცინა მაცაცუნას და ჩაიღიღინა: — ე ს მ ა, ე ს მ ა... ასე სად მიგეჩქარება?

— ხომ მითხარი, შევბრუნდებითო, ახლა საითკენ მიგყავართ? – პასუხის მაგიერ შეეკითხა ნირწამხდარი მაცაცუნა. მიხვდა, ნამეტანი გაათამამა ვაჟი, წინააღმდეგობა უნდა გაეწია, თორემ მერე გვიანი იქნებოდა.

— ვბრუნდებით, მაშ! წყნეთიდან ამოვედით, ახლა სოლოლაკში ჩავალთ! აქეთ უფრო მოკლეა, მთაწმინდას შემოვუვლით ირგვლივ... ამ გზაზე არ გივლია?

— როგორ არ მივლია, თბილისში გავიზარდე, — მხრები აიჩეჩა მაცაცუნამ, — წავკისშიც ვყოფილვარ სტუმრად, — ამწვანებულ სოფელზე მიუთითა.

ხელმარცხნივ, მთაწმინდის შუბლზე სატელევიზიო კოშკი წამოიმართა.

— მაინც სად მიიჩქარი?

— საქმრო მელის! – მაცაცუნა გაღიზიანდა, გუნება შეეცვალა.

— საქმრო?.. – გაკვირვებით დაუსტვინა კოტემ, არაგულწრფელად, მაინცდამაინც არ შეუწუხებია ამ ცნობას, – ალბათ მატყუებ!

— რატომ უნდა მოგატყუო, დღეის სწორს ვქორწინდებით, თუ გნებავთ, დაგპატიჟებთ.

— მერე და გიყვარს შენი საქმრო? – სარკეში გამომცდელად შეავლო თვალი. გოგო მოიღუშა.

— რატომაც არა, ძალიანაც!..

— არ გიყვარს! – დაასკვნა ვაჟმა, — ალბათ ფულიანი ბიძაა... გინდა, ერთი შევუბერო და გავაქრო ის შენი საქმრო?

— თქვენი საქმე არ არის! – უხეშად შეეპასუხა მაცაცუნა.

— ჩვენ ბოდიში!

მთელი დანარჩენი გზა მდუმარენი ისხდნენ, მომდურებულებივით. წავკისის ლამაზი ხეობით სოლოლაკში რომ ეშვებოდნენ, მაცაცუნას გუნება კვლავ გამოუკეთდა, გახალისდა... ბოტანიკური ბაღი, ოქროყანა, მთაწმინდა, სატელევიზიო კოშკი, „როტონდა“... ქვევით კი ხანდახან გამოჩნდებოდა დასერილი კლდეების ძირას მიყუჟული ძველთაძველი უბნები, რომლებიც დღისით აოცებენ ადამიანს თავის ფანტასტიკური არქიტექტურით, ღამით კი აღმოსავლურ ზღაპრებს აძლევენ თავშესაფარს...

გადაკვეთეს ქალაქი და მაცაცუნამ სასტუმრო „საქართველოსთან“ გააჩერებინა, მადლობა დაუგდო, გადმოხტა.

კოტემ კარი გამოაღო, თავი გამოყო.

— ნუთუ აწი არ შევხვდებით?

— დაკარგულს ვერ დაიბრუნებ! – სიანცემ მოუარა მაცაცუნას.

ვაჟი გაწითლდა.

— უჰ, შენი!... ჩამივარდები კიდევ ხელში! – გაიცინა.

მაცაცუნამ ხელი დაუქნია, უნივერსიტეტის ბაღისაკენ გაიქცა.

შორიდან დალანდა საქმრო.

ჯუმა ბედია თითებს იკვნეტდა. სამი საათი ელოდებოდა და ამან გააცოფა. აუცილებელი საქმე არ ჰქონდა, მაგრამ ეჭვმა აუმღვრია გონება.

მაცაცუნამ თავი დამნაშავედ სცნო. აქოშინებული მივარდა

და მკლავზე ჩამოეკიდა.

— ძვირფასო, ბევრი გაცდევინე?.. ჩემი სიკვდილი!.. ვერაფრით ვერ გამოვაღწიე!.. – ისე სწრაფად რატრატებდა, ჯუმამ სიტყვაც ვერ ჩაურთო, გალხვა, სიფიცხემ გადაუარა, გულში მაინც ეჭვი უფუთფუთებდა.

— სად იყავი? – ჰკითხა ბოლოს, როცა მაცაცუნამ ერთი და იგივე სიტყვა ათას სხვადასხვა ვარიანტში ჩამოაჭიკჭიკა.

— ხომ გითხარი? – გაიოცა საპატარძლომ, – აბა, რას გიხსნი ამდენ ხანს? გოგოებმა გამომიჭირეს, არ გამომიშვეს, ხომ იცი, როგორ აინტერესებთ. „საბედნიეროში“ შენთვისაც გავახერხე რაღაც-რაღაცა... – თვალს ვერ უსწორებდა, გან-გან აცეცებდა.

ჯუმამ გამოკითხვას თავი მიანება. მაცაცუნა, როგორც კი მიხვდა, ეჭვი გავუქარწყლეო, გულგრილი გახდა, დამშვიდდა. ახლაღა იგრძნო მძაფრი დამწვრის სუნი, თავბრუ დაეხვია. „რა სჭირს ასეთი?“ – უკმაყოფილოდ გაიფიქრა. არ ღირდა ამის გამორკვევა, ზიზღისათვის არ უნდა მიეცა გასაქანი, თორემ ისედაც ძლივს იკავებდა თავს.

ერთხანს ილაპარაკეს ქორწილის წვრილმანებზე, საყიდლებზე, სტუმართა დაპატიჟებაზე... ჯუმას ეჩქარებოდა.

— სხვა დროს ამდენი არ მაცდევინო, — მოქურუშებულმა უთხრა, — ისედაც გადატვირთული ვარ სამსახურის საქმეებით, დრო ბევრი არა მაქვს!

— მესმის, ძვირფასო! – შესცინა საცოლემ.

როგორც კი ჯუმა გაეცალა, სახის გამომეტყველება შეეცვალა, ავად გააკვესა თვალები...

* * *

რამდენიმე დღე კვლავ გაწამაწიაში იყო. არ დაუტოვებია მაღაზია, სამკერვალო, ოქრომჭედელი... ჯუმა ბედიას საცოლის მორთულობით უნდა გადარეულიყვნენ სტუმრები. ქალაქში ყველა ნაცნობმა გაიგო, თხოვდებაო და კარი აუტალახეს. დედამისი გამუდმებით წუწუნებდა, პარკეტი მთლად გამიფუჭესო. იმდენს

ვერ ბედავდა, მოსალოცად მოსული სტუმრებისათვის კარი ცხვირწინ მიეკეტა. მამა კაბინეტში დაეყუდა, ხანდახან მოწყალედ ფულის მორიგ დასტას გამოუგზავნიდა, თქვენ იცით, საქმეს თვითონ მოუარეთ, მე კი თავი დამანებეთო, არც სტუმრებს ეჩვენებოდა, არც ოჯახის წევრებს. ფინანსური გენიოსი მორიგი საბინაო კოოპერატივის ორგანიზებით იყო დაკავებული და დიდძალ ფულს ატრიალებდა.

ერთხელაც იყო და, საპატარძლომ ჯუმას მოაკითხა სამსახურში. ლიტმუშაკი კვინტილიანე კართან დახვდა. კაბის კალთაზე არ მთხვევია, თორემ ისე იქცეოდა, რედაქციაში თვით ბრიტანეთის დედოფალი მობრძანებულიყოს. კაბინეტში მძიმე, მასიური მაგიდის უკან გამოჭიმული ჯუმა საცოლეს აცნობდა თანამშრომლებს. მაცაცუნა იჯდა ტყავგადაკრულ სავარძელში, რომელიც უფრო სადედოფლო ტახტსა ჰგავდა. თანამშრომლები თითოთითოდ შემოდიოდნენ, სახეგაბრწყინებულნი ხელს ართმევდნენ. განსაკუთრებით მამაკაცები გადაირივნენ, უფრო გაბედულებმა ხელზეც აკოცეს, ქალები კი მაცაცუნას გვერდით დაიჩაგრნენ და შურით იწვოდნენ.

ჯუმა ბედნიერების მწვერვალზე დაფრინავდა... იგი ზეიმობდა...

— ბატონო ჯუმა, ქალბატონო ესმა! – კვინტილიანე სიჩუმეს ითხოვდა, – მთელი ჩვენი კოლექტივის სახელით... ბატონო ჯუმა, ქალბატონო ესმა!.. ჩვენ უაღრესად... ბატონებო, ვივატ, ვივატ!..

შეკრებილებმა ტაში დასცხეს.

ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ჯუმამ ყურმილი აიღო, თან ხალისით უგდებდა ლიტმუშაკს ყურს.

ტელეფონის იმ ბოლოს დუმდნენ.

— ალო! – ჩასძახა ჯუმამ და დაელოდა.

არავინ გამოეპასუხა და უცებ მიხვდა, მასაც ისევე ებრძოდნენ, როგორც თვითონ იბრძოდა აქამდე.

ვიღაცამ შეცვლილი ხმით წამოიწყო კიდეც:

— ჯუმა ბედია...

გველნაკბენივით დააგდო ყურმილი, გუნება მოეშხამა. იცოდა, რასაც ეტყოდა უჩინარი მტერი... „ვერ მოგართვი, მაგარი ნერვები

მაქვს!“ – პირზე უდარდელი ღიმილი აისახა, გულს კი ჭია უხრავდა.

არავის შეუმჩნევია მომხდარი, აღტაცებული დითირამბები გრძელდებოდა.

მაცაცუნას გუნება გადაეწმინდა, არცთუ ურიგო საქმე იყო რედაქტორის ცოლობა. რომანს თუ არ დავწერ, რომელიმე წიგნს ვთარგმნი, დეტექტიურს, ფულისათვის, და მეც დამიბეჭდავენო. დიდებას ჯუმასავით არ ესწრაფვოდა, მაგრამ თუ თვითონ ეახლებოდა, არც უარზე დადგებოდა.

ჯუმამ კიბეზე ჩამოაცილა. კვინტილიანეც ბოლომდე ჩამოცუნცულდა. რედაქციის მანქანა დაკავებული იყო და ტაქსის გაჩერება მოინდომა.

უცბად რძისფერი „ჟიგული“ დაინახა მაცაცუნამ. სუნთქვა შეეკრა. ჯუმას აეფარა, კოტემ არ შემამჩნიოსო. კოტემ ადრევე დალანდა, არ დაიმჩნია, რომ იცნობდა, და მანქანა გააჩერა, აქაოდა ხალტურაზე გამოვედიო.

— აქ ტაქსის გაჩერება ძნელია, ამასაც არა უშავს რა... – ქაქანებდა ლიტმუშაკი.

ჯუმამ თვითონვე გაუღო უკანა კარი. მძღოლი შეათვალიერა. მისი სილამაზე არაფრად ეპიტნავა, ლიტმუშაკის თვალში არ უნდოდა დამცირებულიყო და უკან არ დაიხია.

— ძმაკაც! ერთი ეს ქალიშვილი მიიყვანე, სადაც გითხრას! – ფანჯარაში სამმანეთიანი ჩაუგდო.

კოტეს ფულისათვის ხელი არ უხლია, არც ხმა გაუცია, უცდიდა როდის ჩაჯდებოდა მაცაცუნა.

— კერძო მანქანა არ მინდა. ტაქსი მოვძებნოთ, ან სულაც ავტობუსით წავალ! – ჭირვეულობდა საპატარძლო. ჯუმამ მანქანისაკენ უბიძგა.

— შენ რა, გეშინია? ჯუმა ბედიას საცოლეს ვინ გაუბედავს რამეს?

კვინტილიანემ პირფერულად ჩაიხითხითა, კოტეს თვალი უყო, ჯუმას სმენასაც რომ მისწვდენოდა, ისე ჩასჩურჩულა:

— დიდი კაცია, ცნობილი მწერალია...

კოტემ თავი უხმოდ დაუქნია.

მაცაცუნა ჩაჯდა და ჯუმა მანამ უქნევდა ხელს, სანამ მანქანათა ნაკადს შეერთვებოდნენ.

— გამარჯობა, ესმა! – ხმადაბლა მიესალმა კოტე.

— არ დაგვიწყებიათ ჩემი სახელი? – საკმაოდ უკმეხად უპასუხა მაცაცუნამ.

— შენს თავს რა დამავიწყებს, ჩემო კარგო, — ხალისიანად გაიცინა ვაჟმა. სავარძელზე დავარდნილი სამმანეთიანი ორი თითით აიღო, სარკმელში გადაუძახა და პედალს დააჭირა.

მაცაცუნამ ფულს თვალი გააყოლა, არაფერი თქვა. სავარძლის კუთხეში მოკალათდა. აქედან დროგამოშვებით შეათვალიერებდა კოტეს ბეჭებს, მხრებამდე დაფენილ თმებს. „ნებიერაა, — ფიქრობდა, — დიდი კაცის შვილია!“

ვაჟი მოურიდებლად მიაქროლებდა შუა ქუჩაში, ხან ვის გაასწრებდა, ხან ვის, წამდაუწუმ არღვევდა მოძრაობის წესებს, მილიციელები კი ვითომ ვერ ამჩნევდნენ, ან თუ შეამჩნევდნენ, ხელის აწევით ესალმებოდა და ისინიც ღიმილით პასუხობდნენ. ზოგჯერ კრიალა კბილებს მოანათებდა მაცაცუნას. გოგოს გული უსკდებოდა, წინა მანქანას არ შევასკდეთო. ერთხელ თვალი ჩაუკრა ვაჟმა, თუმცა იქნებ მოეჩვენა კიდეც, რადგან ამ დროს ფანჯარაში იყურებოდა.

ასე მიემგზავრებოდნენ უხმოდ.

პლეხანოვის პროსპექტი ბოლომდე ჩაათავეს. ჩელუსკინელთა ხიდზე გადავიდნენ, გმირთა მოედანზე წრე დაარტყეს და სანაპიროზე გავიდნენ. აქ ვაჟმა ხმა ამოიღო.

— „არაგვში“ ხომ არ შევსულიყავით?

მაცაცუნამ თავი გააქნია. ვაითუ რესტორანში ნაცნობებს წაწყდომოდა. კოტე არ შეჰკამათებია. მიაქროლებდა მანქანას და აკვიატებულ „ჩიტო-გვრიტოს“ ღიღინებდა.

გოგო მტკვრისაკენ იყურებოდა. წყალი დაშრეტილიყო. სანაპიროს გასწვრივ ალაგ-ალაგ რიყის ქვებით მოფენილი ნახევარკუნძულები გამოეჩინა. მაცაცუნას გაახსენდა ის პირველი საღამო, როცა ჯუმამ აქ გაასეირნა. სევდა მოაწვა. როგორ უყვარდა მაშინ და რა ცუდად შეტრიალდა ყოველივე...

მარქსის ხიდზე გადავიდნენ და ისევ პლეხანოვის პროსპექტს დაუყვნენ. გზა ევიწროვა კოტეს, მიუხვ-მოუხვია, ვიწრო ქუჩებით

მალაკნების ბაზართან გავიდა.

ერთი კიდევ მოხედა გაყუჩებულ გოგოს, აქაოდა ამაზე რას იტყვიო და ნაძალადევისაკენ გაუხვია.

მაცაცუნას არც ახლა ამოუღია ხმა.

ხუთიოდ წუთში რუსთაველის მემორიალთან აღმოჩნდნენ. მაცაცუნა ფართოდ გაშლილ ქალაქს გადაჰყურებდა ზევიდან. ეძებდა საკუთარი სახლის სახურავს, მაგრამ ათას დიდსა და პატარა სახურავში ჭირდა მისი მოძებნა.

უცბად გაუელვა აზრმა: ის „ღალატის გზაზე“ იდგა. ახალთახალი „ჟიგულით“ მიეჩქარებოდა ღალატისაკენ და უკან შემობრუნება არ ძალუძდა.

თვალი დახუჭა. არაფრის ნახვა არ სურდა, არც არაფერზე ფიქრი... „მე ყველამ მიღალატა უკვე!“ – გაიფიქრა მწარედ.

საბურავების ასფალტზე შრიალი უცბად შეცვალა კენჭების ხათქა-ხუთქმა ძარის ქვეშ.

თვალი გაახილა. ირგვლივ ახალგაზრდა ტყე იდგა.

„საით მივდივართ?“ – უნდოდა ეკითხა, ენა არ დაუძრავს.

კოტემ ისევ გადაუხვია, ეტყობა ამ მხარეს ყოველი ბილიკი იცოდა.

მანქანა გააჩერა და ძრავა ჩააქრო.

სიჩუმე ჩამოვარდა. ხმას არ იღებდნენ, ქალაქის ხმაური კი აქ ვერ აღწევდა. მხოლოდ უცნობი ჩიტი ჟივჟივებდა შორიახლო.

მაცაცუნა იმ ჩიტს უგდებდა ყურს, საფიქრალი გადაენახა უძირო სკივრში.

ვაჟი მანქანიდან ჩამოვიდა, კარი მოაჯახუნა, მიიხედ-მოიხედა, ვინმე ხომ არ გვიყურებსო. უკანა კარი გამოაღო, გოგოს გვერდით აღმოჩნდა.

მაცაცუნა გამოერკვა. მიხვდა, რომ ბევრი დათმო. ინანა, ოღონდ გვიანი იყო, აწი თვითონაც არ ძალუძდა წინააღმდეგობის გაწევა.

ხელები ჭაბუკის მკერდს მიადო ინსტინქტურად, თითქოს ცდილობდა მისგან თავის დაცვას, მაგრამ ღონიერ მკლავებში ჩამწყვდეულმა, ვაჟის კოცნას კოცნა შეაგება...

თავი III. კაჭუჭია

პირველი, რაც კაჭუჭიას იმ დღეს მოაგონდა, იყო მილიცია. მაცაცუნას შეეძლო ეჩივლა და მაშინ მილიცია კარზე მოადგებოდა.

შიშისაგან ვერაფერ ჭკვიანურს თავი რომ ვერ მოაბა, იფიქრა, მოდი, ცოტა ხნით გადავიკარგები, დრო კი ყველაფრის მკურნალიაო. ადგა და სტუდქალაქში მცხოვრებ რომანს შეეკედლა. საშინლად გაწვალდა. ოთახში რომანის გარდა კიდევ სამი ბიჭი ცხოვრობდა. კაჭუჭია მასპინძელთან ერთად იძინებდა თავფეხშექცევით. ამან მთლად მოათავა. პატრიოტი და შვიდი რომანის ავტორი მერვე მოდერნისტულ რომანზე მუშაობდა. მთავარი ამ რომანში ის იყო, რომ სასვენი ნიშნები არ სჭირდებოდა, თუ არ ჩავთვლით მრავალწერტილს, რომელიც გმირთა დიალოგებში ყოველ სიტყვას, ზოგჯერ კი ყოველ ასოს მოსდევდა. რომანი იძახდა, ეპოქალურ ნაწარმოებს ვწერო. გვიან ღამემდე ულვაშებს იწიწკნიდა, კალამს აწვალებდა, უსინდისოდ თეთრი ფურცლები არ იცოდა რითი შეევსო... კაჭუჭიას აწუხებდა კაშკაშა ნათურა, ძილს უფრთხობდა. დაღლილობას მაინც თავისი გაჰქონდა და როცა შუაღამეს გამოეღვიძებოდა, ზედ ცხვირთან იგრძნობდა რომანისტის დაუბანელ ფეხებს.

ხანდახან ლილი აკითხავდა. ეს მუდამ იმ დროს ხდებოდა, როცა რომანი ლექციაზე იყო. დაჯდებოდა და უხმოდ მოაჩერდებოდა კაჭუჭიას. მშიერ თვალებში მუდარა ედგა. კაჭუჭია ზიზღით ივსებოდა, თავს ძალას ატანდა, რათა გულსგარეთ მოჰფერებოდა.

მერე რატომღაც აიჩემა, ჩემს არყოფნაში ბინას გამიძარცვავენო. შიში დაავიწყდა და შინ დაბრუნდა.

წინანდებურად ჩაიკეტა, კარს არავის უღებდა.

დაივიწყა უნივერსიტეტი, ამხანაგები, უფროსი ძმა, სოფელი... ან ეძინა, ან ჭამდა, ან იჯდა და განძს ათვალიერებდა. ძველი საცვლების ნაფხრეწებით წმენდდა წითელ ლაქებს. მერმე ამოალაგებდა ჯიბიდან ფულის დასტებს. ითვლიდა, ითვლიდა თავდავიწყებით, სანამ სათვალავი არ აერეოდა, თავბრუ არ დაეხვეოდა. მაშინ წუთიერ ზიზღს იგრძნობდა ხელის ამ ჭუჭყისადმი, განძსა და ფულს გადამალავდა, ხელ-პირს საპნით დაიბანდა. თავს გა-

მოჰყოფდა დერეფანში. ცოტა ხნით ჩაისუნთქავდა სუფთა ჰაერს, ცდილობდა არ მიეპყრო ვისიმე ყურადღება. ამ გაგანია სიცხეში ძველ ლაბადას იცვამდა, რათა მისი კალთებით ჯიბეები დაეფარა.

ზოგჯერ სუსანა გამოგოგმანდებოდა აივანზე. ძველებური სითამამით ვერ ექცეოდა ჭაბუკს. იმედიან თვალებს შეავლებდა. კაჭუჭია ჯიბეებზე ხელს აიფარებდა. ისევ ოთახში ჩაიკეტებოდა. რაფიკა მაკლერი კვლავ სადღაც დაცუნცულებდა, ჩუმ-ჩუმად საქმეებს აკვარახჭინებდა. ბირჟა შეეცვალა, ალექსანდროვის ბაღიდან გაგვრეკეს, მშრალ ხიდზე გადავედითო, კაჭუჭიას აცნობა. კაჭუჭიასათვის სულ ერთი იყო, კაპიკის დახარჯვას არ აპირებდა. ისედაც არ ეტეოდა ჯიბეებში ფული... ოცნებობდა, ხუთოთახიან ბინას ვიყიდი, თანამედროვეს, კერძოს, გათბობით, კანალიზაციით, ტელეფონით... „ვოლგასა“ და „გაზიკს“ ეზოში ჩავიყენებ, შოფერსა და ლაქიას დავიქირავებო. იცოდა, ყოველივე ეს იყო მირაჟი. ამდენი რომ დაეხარჯა, ჯიბეები დაუსკდებოდა, სისხლიანი ფულის სიმძიმე ისედაც წყვეტდა წელში, დაკუნთულ ბარძაყებზე შავი ფორეჯები აჩნდა. არადა, შარვალს ვერ იშორებდა, ეგონა, დავკარგავო... ყველგან უჩინარი ქურდი ელანდებოდა.

„ცოლს შევირთავ!“ – გაიფიქრა ერთხელ. ეს მაშინ, როცა აივანზე მზეს მიეფიცხა. ზაფხულის მზე საკმაოდ აცხუნებდა. ლაბადაში ისე გაოფლიანდა, მოხარშულ თევზს დაემსგავსა. მიხვდა, ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა, გამოსავალი უნდა ეძებნა. მაშინ მოუვიდა თავში ეს გადაწყვეტილება: „ცოლს შევირთავ!“

სამი დღე და ღამე განაგრძობდა ამაზე ფიქრს. უნდა მოეძებნა ისეთი საცოლე, ვინც დაიცავდა მაცაცუნასაგან, შეუქმნიდა მშვიდ, პატრიარქალურ ოჯახს.

გუნებაში იხსენებდა ნაცნობ გოგონებს და რიგრიგობით უარყოფდა... ნაზიბროლა, ლელა, ნარგიზა, ზიზი, ჟიჟი, მარინა, მანანა, მაკა... ზოგის გარეგნობა არ მოსწონდა, ზოგის ოჯახი, ზოგის ჭკუა... ზოგს ფულით ვერ შეაბამდა, ამიტომ საქმის დაწყებაც არ ღირდა... დონდლო ლილი?.. ფუჰ!.. ეს კახპა მაცაცუნა... ამათი ცოლობა რა მოსაგონია!.. როგნედა? ჰმ, როგნედა!.. როგნედა სად გაიქცევა, გამოჭერილია ჩიტივით... როცა ყველა სახელი აწონდაწონა, მაშინღა გაბედა, გუნებაში წარმოეთქვა ერთადერთი სახელი, წამითაც რომ არ დავიწყებია – მზია.

* * *

მზია იყო ერთადერთი სინათლე მის ბნელ ცხოვრებაში და ერთადერთი ტკივილიც, რომელიც ნამდვილად სტკიოდა. იქნებ არც ძალუძდა კაჭუჭია ბედიას ამაღლებული, წმინდა სიყვარული, იქნებ მის წარმოსახვაში ხორციელი ლტოლვა ჭარბობდა სულიერს, მაგრამ, რაც შეეძლო, გულწრფელად მზად იყო მზიას ფერხთით დაეფინა.

რამდენადაც შეიძლებოდა, გაწმინდა თავისი ჩამოფეხვილი შარვალი, ჩაიცვა ახალთახალი, ძვირადღირებული ფეხსაცმელები, მტკაველა ლანჩებით. ზამშის ქურთუკიც არ დავიწყებია. ოღონდ პერანგი მთლად ვერ ბრწყინავდა უმწიკვლობით.

დინჯად შეჰყვა კიბეს და ამირანის კარზე დააკაკუნა.

კარი ბუბამ გაუღო. იმ უსიამოვნების შემდეგ კარგა ხანი გავიდა. აქამდე ერთმანეთს არ დალაპარაკებიან. ბუბას გაუკვირდა, თუმცა არ დაიმჩნია. მობრძანდითო, თავი დაუქნია და შემოუშვა. ბოლო-ბოლო მაშინ კაჭუჭია მთვრალი იყო, შემდეგ კი ხმა არ ამოუღია, არავინ შეუწუხებია... ბუბა წინ გაუძღვა, სასტუმროში შეიყვანა, სადაც ღამენათევი, უპეებჩაშავებული ამირანი მაგიდასთან ისვენებდა. მოულოდნელი სტუმრობა არ გაჰკვირვებია. მისალმების პასუხად თავი დაუქნია, ცარიელ სკამზე მიუთითა. კაჭუჭია დაჯდა. ღელავდა, არ იცოდა ხელები სად წაეღო. ბუბამ მკერდზე ხელი დაიკრიფა, ზურგით კედელს მიეყრდნო.

— გისმენთ! – ამირანს ხმა ჩახლეჩოდა, სიტყვა ცივად გაისმა.

— ჩვენ ერთმანეთს უნდა გავუგოთ, ძია ამირან, – მხნეობა მოიკრიფა კაჭუჭიამ, — არც ქუჩის ბიჭი ვარ, არც ტყეში გაზრდილი ნადირი, როგორც თავიდან მოგეჩვენათ...

— როგორ გეკადრებათ, კახაბერ, — ამირანს თითქოს კბილი ეტკინა, — რად კადრებთ მაგას საკუთარ თავს!

— მართალია, თქვენს წინაშე დავაშავე... გთხოვთ, მაპატიოთ! – მის ხმაში გულწრფელობა გაჟღერდა, – ვერ გამიგია, რა დამემართა მაშინ... ისე, ცუდი სიმთვრალე არ ვიცი ხოლმე, მაშინ კი გონება დავკარგე... სიმართლე გითხრათ, აღარაფერი მახსოვს.

— არ ღირს გახსენება, — სიტყვა შეაწია ბუბამ. მხარს მიჭერ-

სო და კაჭუჭია ცოტა გათამამდა. სავარძელში უფრო მოხერხებულად მოკალათდა, მუხლი მუხლზე შემოიდო. შინაური კაცივით განაგრძობდა მასლაათს.

— რაც გადამხდა, ცუდკაცობით არ მომსვლია. რა ვქნა, რაღა დაგიმალოთ, და, სრულიად სუფთა და წმინდა გრძნობა მიბიძგებდა. სიყვარულს კაცს ვერავინ დაუშლის, გულს ვერ უბრძანებ...

ამირანის სახეზე სიფითრემ იმატა. ბუბა შეტოკდა, ოღონდ კვლავ ადგილზე დარჩა. კაჭუჭია დაფრთხა, ღრმად ხომ არ შევტოპეო. პასუხი არავის გაუცია და ნაკლები თავდაჯერებულობით განაგრძო:

— მინდა გამიგოთ, კარგად ვიცი, რამდენად გიჭირთ... თქვენს უბედურებას ჩემს უბედურებად ვთვლი. ლხინში მეგობრობას, გაჭირვებაში თანაგრძნობა ჯობია. ჰოდა, მინდა გულით გითანაგრძნოთ.

— მადლობელი ვარ, ჩემო ბატონო, — ამირანმა თითები გადააჭდო, ზედ ნიკაპით ჩამოეყრდნო. მის ხმაში წინანდელი სიცივე აღარ იგრძნობოდა. ბუბამ მხოლოდ ამოიხვნეშა, არაფერი უთქვამს.

— ნებას თუ მომცემთ, ჩემს აზრს გაგიზიარებთ. ახლანდელ დროში მოურჩენელი ავადმყოფობა თითქმის არ არსებობს. საშუალება იყოს, თორემ მომაკვდავს მოვაბრუნებთ. აქ მისი გაჩერება არ შეიძლება, უნდა წაიყვანოთ მოსკოვში, ლენინგრადში, დაახვიოთ სპეციალისტები, არ დაზოგოთ ფული! თუ საჭიროა, საუკეთესო უცხოელი სპეციალისტები უნდა მოიწვიოთ. სადმე თუ წამალი არსებობს, ოქროს ფასი რომ ღირდეს, უნდა შეიძინოთ...

— ეჰ, ჩემო კარგო, ჩემი მარჯვენის გაყიდვა რომ შეიძლებოდეს, მოვიჭრიდი. ჩემი და ბუბას ხელფასი რას ეყოფა ამდენ რამეს. ამ ბინის გაყიდვას ვაპირებთ, განცხადება გავაგზავნეთ „ცნობის ფურცელში“, მაინც რას გვეყოფა...

— მოხარული ვარ, ამაში მაინც შემიძლია დაგეხმაროთ, — კაჭუჭია წამში გაიზარდა. ისედაც ბეჭებგანიერი და დაკუნთული, მთლად ბორბალს დაემსგავსა. ცხვირ-პირი ერთობ დიდებული და კეთილშობილი გაუხდა, — ფული იმდენი მაქვს, ნახევარ ქალაქს ვიყიდი. ეს ჩვენ შორის დარჩეს, ძალიან გთხოვთ, ნუ გაახმაურებთ. მოინდომეთ და სპეციალურ თვითმფრინავს დავიქირავებ, დღესვე გავემგზავრებით, საუკეთესო კლინიკაში მოვაწყობთ, სპეციალისტებს დავახვევთ...

ამირანი და ბუბა ჩუმად, დაძაბულად უსმენდნენ.

— იქნებ ექიმი არ სჭირდება, სუფთა ჰაერი უნდა, მთისა ან ბარისა. რომელი კურორტიც არგებს, იქ წავიყვანთ, თუნდაც უცხოეთს. ახლა ბევრ ქვეყანაში შეიძლება წასვლა. საგზურს გავჩარხავთ, ვიზას გავკვაჭავთ, ოღონდ თქვენ მოისურვეთ და...

— ზღაპარია ეს, კახაბერ ბედია, — გააწყვეტინა ამირანმა, — უნდა მოგახსენოთ, რომ საგზური სამსახურშიც შემომთავაზეს, მაგრამ...

— მერე რა, — აჩქარდა კაჭუჭია, — მით უკეთესი! ფული მაინც საჭიროა, ბევრი ფული. იქნებ გგონიათ, ვტრაბახობდე, — საზეიმო განწყობილებით დაირტყა ხელი ჯიბეზე, — ეს სულ ათთუმნიანების ბანკნოტებია. ამ ჯიბეებით რამდენიმე „ვოლგა“ დამაქვს, რომ იცოდეთ...

ამირანი მოიღუშა. კაჭუჭიამ ბუბასაკენ მოიხედა, მხარდაჭერას ეძებდა. ბუბაც მოქუფრული იჯდა.

— კარგი, ვთქვათ, დაგთანხმდით, გამოგართვით ამდენი ფული. მერე როდის გადავიხდი მაგას ჩემი შემოსავლით. ვალი ჩამყვება საფლავში.

ამირანი წინ გადმოიხარა, თვალებში მზერა გაუყარა.

კაჭუჭიას სული შეუგუბდა, მისი სურვილების გაგება არცთუ ძნელი იყო, მაგრამ მოსაუბრეებს ერთმანეთისა არ ესმოდათ.

— მერე ვინა გთხოვთ ვალის გადახდას? მევახშე კი არა ვარ, სესხი გაძლიოთ. რა, არა გჯერათ უანგარო სიკეთისა?

— როგორ არა გვჯერა, ოღონდ კაცი კაცისაგან განსხვავდება! – ამირანი სკამის ზურგს მიეყრდნო, ახლა თითქოს უფრო შორიდან ელაპარაკებოდა იმ ადამიანის გამომეტყველებით, ვისთვისაც ყველაფერი ნათელია და დასკვნაც სათანადო გააკეთა.

— მე რა შემამჩნიეთ ისეთი?

— როგორ გეკადრებათ, შეურაცხყოფა არც მიფიქრია, თქვენ იმოდენა საჩუქარს გვპირდებით... – ამირანმა თავი ურწმუნოდ გააქნია, — ადამიანი, მოგეხსენებათ, სუსტია, სიკეთის წილ სხვა

სიკეთეს მოითხოვს. ჩვენ შორის დარჩეს და... – ეს ბოლო ფრაზა მთლად კაჭუჭიას ხმით წარმოთქვა.

კაჭუჭია წამოენთო, დამცინისო, მაგრამ ამირანი სერიოზულად შესცქეროდა და ამან დაამშვიდა.

— ასეც რომ იყოს, ისეთს რას მოგთხოვთ, რისი შესრულებაც ვერ შეძლოთ...

— რა ვიცი, იქნებ მომთხოვოთ კიდეც.

— არა ვარ ისეთი ხარბი... – კაჭუჭია დაიბნა. საუბარი სწრაფად მიმდინარეობდა, ვერ ასწრებდა სიტყვის აწონვას, ამიტომაც პასუხობდა პირდაპირ.

— მაინც, მაინც... – ჩააჯინდა ამირანი.

— პირდაპირ მოგახსენებთ, რახან ეგრეა! ვაჭრობა აქ სასირცხვილოა... თქვენ იცით, რომ მზია...

მცირე ხანს დუმილი ჩამოვარდა. კაჭუჭია ბუბასკენ არც იხედებოდა, ნერვები დაეჭიმა, უჩვეულო შიში ეპარებოდა.

— მაინც როგორი ნაძირალები ხართ, ძმები ბედიები!

კაჭუჭიას შოლტი გადააწნესო, სუნთქვა შეეკრა, ჯიქურ მიტრიალდა, ბუბას ისეთი თვალებით მიაშტერდა, მზერით რომ კაცის მოკვლა შეძლებოდა, იქვე გააფრთხობინებდა სულს.

— აჰ, ასე არა? – კბილი გააღრჭიალა.

— ბუბა! – მკაცრად შეხედა ამირანმა.

— ძია ამირან, ამდენს რად ითმენთ ამ ვაჭრუკანასაგან? იმის მაგიერ, რომ კინწისკვრით გააგდოთ... – ბუბა ხმადაბლა ლაპარაკობდა, მშვიდად, ჩვეულებრივ, ოღონდ სახე გაჰფითრებოდა.

— მაცალე, ბუბა! – ამირანი კაჭუჭიასაკენ შებრუნდა, – სიყვარულს ხომ ვერ დაუშლი კაცს? კი მაგრამ, ყმაწვილო, ვთქვათ და გამოჯანმრთელებულმა მზიამ თქვენსკენ არ მოიხედოს?

კაჭუჭია გაღიზიანდა, თავმოყვარეობა შეელახა, უხეშად პასუხობდა:

— ვითომ რატომ არა? ან რა გამოსავალი ექნება? ტატო მკვდარია, სხვა არავინ უყვარს. თვითონაც ის არ არის, რაც წინათ იყო. არც განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა, ჯანმრთელობითაც ვერ დაიკვეხნის. რაღა დარჩა? მიყვარს და იმიტომ, თორემ, რომ მოვინდომო, მაგაზე უკეთეს გოგოს ვერ ვიშოვი?

— ხომ გეუბნებოდი, ძია ამირან, ვიცოდი ამით დამთავრდებოდა! – ისევ მშვიდად თქვა ბუბამ.

— რატომაც არ ვიტყვი, რატომ? – ბრაზი ყელში მოებჯინა კაჭუჭიას. – გყავდეთ, ბატონო, თქვენი ხეიბარი გოგო, მოგიკვდებათ და თქვენი ბრალი იქნება!..

ამირანმა თვალი დახუჭა, ხმას არ იღებდა, თავს ებრძოდა. მერე წყნარად შეხედა და სიმშვიდით, რომელშიც შინაგანი დაძაბულობა იგრძნობოდა, თქვა:

— წადი, კახაბერ, მხოლოდ იმიტომ გაპატიებ, სიყვარულით რომ მოგდის, თუმცა ბოროტი სიყვარულით... წადი და ჩვენს სახლში ფეხი არ დადგა!

კაჭუჭია უსიტყვოდ წამოდგა, ბინიდან ისე გავიდა, კარამდე არავის მიუცილებია.

* * *

ქალბატონი ღაღული ჯერ გადაირია. კუდში დასდევდა როგნედას, ტყვიამფრქვევივით ისროდა უამრავ სიტყვას, რომელთა შინაარსი ისედაც ერთ ფრაზაში ჩაეტეოდა: „ჩვენ სხვა წრეს ვეკუთვნით, ეს ტეტია ბედიები კი...“ როგნედა ჯიუტად იცობდა ყურში თითებს, ოთახიდან ოთახში გაურბოდა დედას, ის კი არ ეშვებოდა. ამათ მოვიშვიშე ბებიაც მისდევდა და სამივე ერთად საკმაოდ საინტერესო სანახაობას წარმოადგენდნენ. ბოლოს როგნედა ტუალეტში ჩაიკეტა. ქალბატონი ღაღული კართან დოინჯშემოყრილი იდგა და არ აპირებდა გაჩერებას. ბებიაც მხარში ამოსდგომოდა, გამხმარ ფერდებზე ხელებს იტყაპუნებდა და თავისი გასაჭირით მაღალ ღმერთს აწუხებდა.

როგნედა წყალს ჩამოუშვებდა ხოლმე, მისი ჩქრიალით ფარავდა დედის რატრატს.

ასეთ მდგომარეობაში ნახა მომავალი ნათესავები კაჭუჭია ბედიამ.

ვაჟს ახალთახალი შავი პიჯაკი ეცვა, ქათქათა პერანგი, ცისარტყელას ყველა ფერით აჭრელებული პირსახოცისოდენა ჰალსტუხი ეკეთა... ვის არ მოხიბლავდა, ჯიბეგამოტენილი, მუხლებ-

გაქონილი შარვალი რომ არა.

ქალბატონი ღაღული დაიბნა, არც ბებია ჩავარდნილა კარგ დღეში, იდგა და თვალებს აპარპალებდა.

— მობრძანდით!

კაჭუჭიამ, უდროო დროს მოვსულვარო, უხერხულობა იგრძნო. იხტიბარი მაინც არ გაიტეხა.

სასტუმროში შეიპატიჟეს. გზა-გზა ათვალიერებდა ბინას, წონიდა, აქ გადმოსვლა ჯობს თუ ახალი ბინის ყიდვაო.

სტუმარი დასვეს, ქალბატონი ღაღულიც ჩამოჯდა სკამის ძგიდეზე. თითებს იმტვრევდა, არ იცოდა საიდან დაეწყო.

ბებიამ ხილი და ნახევარი ბოთლი ლიქიორი დადგა. სტუმარმა პირი არ დააკარა, ლიქიორი რა მისი საქმე იყო.

როგნედამ წყალი ერთხელ კიდევ ჩამოუშვა. დედის აკომპანიმენტი რომ ვერ გაიგონა, წასულაო და ტუალეტიდან თავი გამოყო.

სასტუმროში შეიჭყიტა. ერთხანს გულგრილად ათვალიერებდა ვაჟს, მართლა მიყვარს თუ არაო. ვერაფერი გადაწყვიტა, ჭოჭმანით დაასკვნა, ალბათ მიყვარს, რადგან მასზე ვთხოვდებიო.

მორცხვად მიესალმა საქმროს, ტახტზე მოკალათდა.

— ქალბატონებო, როგნედამ ალბათ ყველაფერი უკვე მოგახსენათ! – დაიწყო კაჭუჭიამ.

ქალბატონი ღაღული ამ სიტყვებმა თითქოს თვლემიდან გამოიყვანა.

— მაკვირვებს თქვენი ამბავი, ყმაწვილო, დედ-მამა არა გყავთ?

კაჭუჭია გაწითლდა, უკან მაინც არ დაიხია.

— დედაცა მყავს და მამაც!

— ასეთ საქმეზე უფროსი უნდა გამოგეგზავნათ, უფრო დადინჯებული, დარბაისელი...

— ვფიქრობ, ქალბატონო, ჩვენი ასაკისათვის შესაფერი არც სიდინჯე გვაკლია, არც სიდარბაისლე. ჩემს ამბავს კი ჩემზე უკეთ ვერავინ გაგაცნობთ!

„თავხედი!“ – ქალბატონ ღაღულის უპეები დაუვიწროვდა. ბებია შეშფოთდა, სკამი ააჭრაჭუნა.

— თქვენი დამცირება კი არ მინდოდა, ყმაწვილო, დედა ვარ, როგნედა კი ჯერ ბავშვია, ცხოვრებისა რა იცის...

— დედა! – მუდარით შეაწყვეტინა როგნედამ.

— გაჩუმდი, შენთვის სიტყვა არ მომიცია! როგორ გათავხედდნენ ეს ბავშვები, არც უფროსი იციან, არც უმცროსი...

— ქალბატონო, უფროსების მიმართ პატივისცემამ მომიყვანა აქ. მართალი ბრძანებაა, ახლანდელი ახალგაზრდები ცუდად არიან აღზრდილნი, უფროსებს არაფერს ეკითხებიან! მე, მაგალითად, ეგებ ამ ცხოვრებაში სხვაზე ჩამორჩენილი ვარ, მაგრამ მშობლებმა ჩამინერგეს უფროსების პატივისცემა... ჰოდა, ამიტომაც გეახელით!

ქალბატონი ღაღული დაიბნა.

„არცთუ ურიგო ყმაწვილი ჩანს, — გაიფიქრა, — კარგადაც აცვია, მაგრამ ეს შარვალი...“

ბებიას თვალები აუწყლიანდა, გალხვა. თითქოს უჩინარი ტალღებით გადაეცემოდა შვილის გუნება-განწყობილება, მასთან ერთად და მის მსგავსად განიცდიდა ყოველივეს. დიასახლისმა სიტყვა შეარბილა.

— აჩქარება არ გარგებთ, შვილო. ჯერ პატარები ხართ, მოვიცადოთ, დრო ბევრია. როგნედამ უმაღლესში უნდა ჩააბაროს, გამოცდები კარზეა მომდგარი, მძიმე გამოცდები იქნება. მე, ბატონო, ათასები არა მაქვს პაპუა ჩირგაშვილისათვის. თავისი ცოდნით თუ მოეწყობა, ჰო, თუ არა და, რა ვქნა?

— პაპუა ჩირგაშვილს მე მოვუვლი, ამაზე თქვენ ნუ შეწუხდებით. გამოცდაზე მთლად უპატრონოდ ვერ გავუშვებ, კი მაქვს ამის ზურგი. რაც შეეხება მოცდას, მე და როგნედას ძალიან გვეჩქარება!

ქალბატონმა ღაღულიმ გააწყვეტინა:

— ჯერ მე თანხმობა არ მომიცია...

— თქვენი ნათქვამიდან ასეთი დასკვნა გამოვიტანე, — მომხიბვლელად გაუღიმა კაჭუჭიამ, სიტყვა არ აცალა, — რახან გადაწყვეტილება მიღებულია, თქვენს ოჯახში ხელცარიელი ვერ გამოვჩნდებოდი. გთხოვთ, მიიღოთ მცირე ძღვენი!

ჯიბიდან კოლოფი ამოიღო, ოქროს ყელსაბამი თავისი ხელით კისერზე ჩამოკიდა ქალბატონ ღაღულის, ლოყაზე აკოცა.

— ბედნიერებაში, დედიკო!

ქალბატონ ღაღულის თვალზე ცრემლი მოადგა. კოცნა დაუბრუნა, ხმა კი ვერ ამოიღო.

— ეს კი ჩვენს ბებიას!

ვერცხლის სათუთუნე, თვალებით მოოჭვილი მიართვა დედაბერს, იმასაც ლოყაზე აკოცა.

— როგნედას კი...

მოზრდილი კოლოფი გახსნა, მირიადი ვარსკვლავი ამოციმციმდა თითქოს. ქალბატონ ღაღულის ასეთი სიმდიდრის დანახვისას კინაღამ გული შეუღონდა.

იმავე საღამოს ინახულა პაპუა ჩირგაშვილი კაჭუჭიამ. შორიდან არ მოუვლია. რამდენიო, — პირდაპირ შეეკითხა. პაპუა დაფრთხა, თავი უცოდველი ბატკანივით მოაჩვენა, ეგეთ საქმეებში არ ვერევი, ისიც არ ვიცი, საგამოცდო კომისიაში ვიქნები თუ არაო. კაჭუჭიამ დაამშვიდა, თვითონ ნურაფერი წამოგცდება, მე კი ქვაზე მუნჯი ვარო.

— ასეთ საქმეს ვერ ვკისრულობ, გენაცვალე. არ იცი, რა დრო დაგვიდგა? კაცური საქმე ვერ გაგვიჩარხია. ჩამშვებნი მომრავლდნენ. თვითონ არაფრის გამკეთებლები არიან, სხვებსაც ხელს უშლიან. ამიტომ წინანდელზე ძვირი დაგიჯდება. სარისკო საქმეა, გენაცვალე, ერთი ნაბიჯია ციხემდე.

— არ მინდა ამდენი ლაი-ლაი! – მტკიცედ თქვა კაჭუჭიამ. – მეც ვიცი საქმე როგორ კეთდება, ყურბალიშზე კი არ მძინავს, ასე, რომ ათი ნაჭერი გეყოფა!

პაპუას თვალი აუციმციმდა, მაინც შეევაჭრა.

— ცოტაა, გენაცვალე, სარისკო საქმეა და...

— კი ხარ გაქნილი ტურა, — გაეცინა კაჭუჭიას, — არ მევაჭრო ახლა, თოთხმეტი ნაჭერი და ამაზე მოვრჩეთ. თითი არ გამიხდეს გასანძრევი, იცოდე!

პაპუა ჩირგაშვილმა ჩაიხითხითა, ხელი გამოუწოდა. კაჭუჭიამ ვითომ ვერც შეამჩნია.

მოგვიანებით უფროსი ძმის კარზე დააკაკუნა.

— მგონი გიკვირს კიდეც ჩემი გამოჩენა! ჩვენი კარები ერთმანეთს შეჰყურებენ, ჩვენ კი რამდენი ხანია საგამარჯობოდაც არ შევხვედრილვართ.

— რა ვიცი, მთლად დამივიწყე და... — ჯუმამ უკან დაიხია, ოთახში შემოუშვა, — ბაიყუშივით გამოკეტილი კი არა ვარ. რამდენჯერ დაგიკაკუნე, ხმა არ გამეცი. ნეტა რა კუკუ-დამალობანას მეთამაშები? ერთი პირობა, ვიფიქრე, ცუდი რამე ხომ არა სჭირს-მეთქი, კარი მინდოდა შემენგრია. რაფიკა მაკლერმა მითხრა, კარგად არის, ოღონდ ზოგჯერ უქეიფოდააო...

— ჰო, ვერა ვარ ხანდახან კარგად, — თავი მოისაწყლა კაჭუჭიამ, — სევდა შემომაწვება ხოლმე. კაცის დანახვა მეზარება. ვიცი, მაპატიებ, ან რა გზა გაქვს, ძმა ხარ ჩემი, სისხლი და ხორცი...

თვალს ეშმაკურად აცეცებდა. ოთახს ახალი ტელევიზორი შეემატა, მეტი არაფერი შეცვლილა. ჯუმა მაინცდამაინც არ შეწუხებულა სიმდიდრეზე ფიქრით. „სახელის კეთებითაა დაკავებული, — ფიქრობდა კაჭუჭია, — სულელი! ყველაფერი წარმავალია, სახელში კი რა ხეირი ყრია!“ შემოსვლისთანავე დამწვრის სუნი ეცა, ამაზე ხმა არ ამოუღია.

— არ გაინტერესებს მაინც, რას ვაკეთებ? ეგებ ავად ვარ, ვკვდები, ფული მჭირდება, — წუწუნებდა ჯუმა, თან ეჭვით ერთიორჯერ შეავლო თვალი ძმის გამოტენილ ჯიბეებს. ფულის ხსენებაზე კაჭუჭია შეკრთა, მოუყრუა, სავარძელში გაიშოტა.

— ვკითხულობ პრესას, ჟურნალებს... – ზანტად შეეპასუხა, — შენი სახელით ქვეყანა აივსო. ყველა იმას ამბობს, ამომავალი ვარსკვლავიაო. თუმცა შენს ბინას ეს არ დასტყობია.

— დიდი კაცისთვის სახელია ქონება! – მოუჭრა ჯუმამ, – მომავალში სახელი მატერიალურ ღირებულებებსაც მოიტანს. ვინც მარტო ქონებას გამოედევნება, სად სცალია სასახელო საქმეების გასაკეთებლად...

— იფ, კაი სასახელო საქმეებსაც შენ აკეთებ... – წამოსცდა კაჭუჭიას, იქვე შეეცადა გამოესწორებინა: — მოვრჩეთ ამას, რად გვინდა ეგზომ მაღალფარდოვანი საუბარი. საქმეზე მოვედი!

ჯუმა შეურაცხყო რეპლიკამ, არ ჩასძიებია, თავშეკავება არჩია.

— ვიცი საქმე მოგიყვანდა, აბა, ისე სად გაგახსენდებოდი!

— ისევე მახსოვდი, როგორც შენ გახსოვდი! დროა ასეთი! ადამიანს საკუთარი თავისათვის არა სცალია!.. ჰოდა, ახლაც ბოდიშს გიხდი, მაგრამ მეჩქარება... შემოვიარე, რომ გითხრა, სულ

მალე ცოლს შევირთავ... არ მინდოდა შენთვის დამესწრო, უფროსი ხარ, ოღონდ რა ვქნა, წინდის გამრეცხავი არავინა მყავს.

ჯუმამ პირი დაღო.

— რას გაიოცე? – ნერვულად შეიშმუშნა კაჭუჭია.

— იცი რა, მეც იგივე მინდოდა შენთვის მეთქვა, მაგრამ დამასწარი... ვინ არის შენი რჩეული?

— არ იცნობ, კაი გოგოა, ოჯახის შვილი, პატიოსანი, ოღონდ ვერ გავიგე, რა უნდა გეთქვა?

— მეც ვქორწინდები, განცხადება უკვე შევიტანე.

— მმ... – კაჭუჭიას გაეცინა, — მით უკეთესი, ერთად გადავიხდით, თანაც ისეთს, ქვეყანას უკეთესი არ ენახოს... ერთი ეს მითხარი, ვიცნობ ჩემს სარძლოს?

— როგორ არა... ესმას ვირთავ!

— ესმას?!

კაჭუჭია ძმას დააკვირდა. ახლაღა შეამჩნია ღრმა ცვლილებების კვალი. ოდნავ დაბერებული ჩანდა, ნაოჭები გასჩენოდა. თმას ნაადრევი ჭაღარა შეერია, გაუთხელდა. თვალებში რაღაც არაამქვეყნიური აღტყინება კიაფობდა, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. მის უკან შიში იმალებოდა... „ეტყობა ამასაც ცუდი ამბავი გადახდა“, — გაიფიქრა კაჭუჭიამ.

— ესმა?! – გაიმეორა, ძალაუნებურად წითლდებოდა, – მე გთხოვ, როგორც ძმა ძმას... არა მგონია ჩემზე ახლობელი ვინმე გყავდეს ამ ქალაქში... ჰოდა, მე გთხოვ, ხელი აიღო ამ ქორწინებაზე!

— ვერ გავიგე!

— თუ გინდა, დაგიჩოქებ და ისე გთხოვ, მაგ გოგოს ნუ შეირთავ, თორემ ინანებ!

ჯუმა წამოენთო.

— ჩემი საქმისა მე ვიცი! – უხეშად უპასუხა.

— შენ ხომ სხვა გიყვარდა?

— აჰ, ეს გქონდა სათქმელი? – ჯუმას ბოროტად აუელვარდა თვალები, – მუდამ ჩემს ნაკვალევზე დარბიხარ, ბიჭუნა, ცდილობ გადამასწრო. მიყვარდა? მერე რა!.. ახლაც მიყვარს!.. მზია!.. შენც გიყვარს!.. ჩემს ძმას უყვარსო, მიხვდი და იმ წამსვე თვითონაც მივარდი, არა?.. ახლა, ალბათ, ესმაც მოგინდა!

— ვის რად უნდა... – კინაღამ შეიგინა კაჭუჭიამ.

— ხმა! მეტი სიტყვა არ გამაგონო! ძმა ხარ და მიპატიებია! წადი აქედან!

კაჭუჭია უხმოდ გავიდა. არც კი შეუხედავს ძმისთვის. ტუჩზე დამცინავი ღიმილი მიეყინა...

თავი IV. რედაქტორი „კი, ბატონო!“

ჯუმა ბედია განცხრომას მიეცა. მას არ დაუწყია ქონების დაგროვება, თუმცა ფული არ სძულდა, არც ჭამას მისძალებია, თუმცა მადა საკმარისი ჰქონდა და კბილები ჯერაც ჯანსაღი, არც ქალებს გადაჰყოლია, თუმცა, რაც რედაქტორი გახდა, მის მკლავებში ნებივრობის მსურველნი მრავლად გამოჩნდნენ. რაღაც ტკივილნარევი სიყვარულით ეტრფოდა თავის სავარძელს; ტკივილნარევით – პირდაპირი გაგებით, რადგან ყველაზე რბილ სავარძელზე (უკვე სამი-ოთხი სავარძელი გამოაცვლევინა რედაქციის მნეს) ხაოიანი ბუსუსივით ჩნდებოდა დაუკვირვებული თვალისათვის შეუმჩნეველი ეკლები. ეს მსუბუქი ტკივილი ვერ უშხამავდა სავარძლით ტკბობას, რაიც ძლიერი იყო ყოველნაირ სხვა ტკბობაზე.

უპირველესი მისი საზრუნავი მდგომარეობის განმტკიცება გახდა. მთავარი თანამდებობამდე მიღწევა კი არაა, არამედ მისი შენარჩუნება. ეს ანაბანა კარგადაც უწყოდა და ძალ-ღონეს არ იშურებდა.

თანამშრომლებთან იმთავითვე კარგი ურთიერთობა დაამყარა. ზოგს სიტყვით მოეფერა, ზოგს ხელფასის მომატება აღუთქვა, ზოგს დაბეჭდვა და კარგი ჰონორარები. ყველაზე უფრო ლიტმუშაკი კვინტილიანე დაიახლოვა. საჭირო და გამოსადეგი კაცი აღმოჩნდა. ყოველ ნაბიჯზე ხოტბას ასხამდა ახალ რედაქტორს, აძაგებდა ძველს. ამას ისე ახერხებდა, მისი ყოველი სიტყვა ჯუმას ყურამდეც აღწევდა ცხადია. თუმცა ახალ რედაქტორს არც დისტანციის საჭიროება დავიწყებია. ის მაინც რედაქტორი იყო, მეფე ამ პაწია სამყაროსი, რომელსაც მ ი ს ი ჟურნალი ერქვა.

ღამე იშვიათად თუ დაესიზმრებოდა რამე. მაშინაც ვითომ ანგელოზი იყო და ფრთების ფართქუნით კაშკაშა სინათლისაკენ მიფრინავდა. გამოღვიძებულს ესეც ავიწყდებოდა. დილით ადგომას არ ჩქარობდა. ლოგინშივე აწყობდა მომავლის გეგმებს, ამას დავბეჭდავ, იმას არაო. საკუთარიც შეეძლო ებეჭდა, ვინ დაუშლიდა. სამწუხაროდ, ხელთ არაფერი ჰქონდა. ვერ იქნა, ვერ მიუჯდა მაგიდას, ვერ მოახერხა თუნდაც ერთი უდღეური რეცენზიის, ან ანოტაციის დაწერა. ერთადერთი, რაც მისი სახელით ქვეყნდებოდა, იყო ვრცელი ინტერვიუები, სადაც კაცობრიობას ჭკუას ასწავლიდა და ათასნაირ პირობებსაც დებდა. მისთვის რომ მოგესმინათ, ქვეყნის ავიც და კარგიც მის მხრებს აწვა.

საუზმეს მთელი საათი უნდებოდა. ამ დროს ახსენდებოდა მაცაცუნა. მალე ხომ „მხევლად გაიხდიდა“, „ტყავს გააძრობდა“, „სულს ამოხდიდა“, „კუთხეში დააჩოქებდა სიმინდის მარცვლებზე“... წინასწარვე ტკბებოდა თავისი მეორე ნახევრის ტანჯვა-წამებით.

თორმეტ საათზე რედაქციის მანქანით მიბრძანდებოდა სამსახურში. როგორც წესი, კვინტილიანე საპარადო კიბის პირველ საფეხურზე ხვდებოდა, მუსაიფით ადიოდნენ ზევით (ლიფტს ისევ არა სწყალობდა), გზა-გზა წყვეტდნენ ავტორთა და ჰონორარების ბედს. ჩვეულებრივ, საქმე ისე იჩარხებოდა, როგორც ეს წელში გადადრეკილ, პატივისცემით გამსჭვალულ ლიტმუშაკს აწყობდა.

ჟურნალის საქმეები რედაქტორის ჩაურევლადაც კეთდებოდა. იჯდა სავარძელში, თვალმილულული ისმენდა ანეკდოტებს, ხითხითებდა. მერე თვითონაც ყვებოდა უკბილო ანეკდოტს, რომელიც ხელქვეითთა ცოცხალ გამოხმაურებას პოულობდა. განსაკუთრებით პირველ თვეს იყო უსაქმოდ. ორი-სამი ნომერი წინა რედაქტორს ჰქონდა მომზადებული და საქმე ინერციით მიდიოდა. ამიტომაც ანეკდოტები რომ ამოიწურებოდა, პრესას გადაათვალიერებდა, ბრძნულ შენიშვნებს აკეთებდა საერთაშორისო ამბებთან დაკავშირებით. მდივანი ქალის მიერ მორთმეულ ყავას დალევდა სვენებ-სვენებით. მიიღებდა რამდენიმე ავტორს და დღის ბოლომდე ჭადრაკით ერთობოდა. მალე რედაქციის ჩემპიონი გახდა, რადგან მოწინააღმდეგენი გულდასმით და ნიჭიერად

თამაშობდნენ წაგებაზე.

„ნიჭიერი კაცი ყველა საქმეში ნიჭიერია!“ – ვითომ გულდაწყვეტით განაცხადა ლიტმუშაკმა კვინტილიანემ, ვინაც აქამდე ჩემპიონის ტიტულს მარტო „იმ საცოდავ გივიას“ უთმობდა, წინა რედაქტორს.

საღამოობით „ბედნიერი ჯუმა ბედია“ ჩვეულებისამებრ დასეირნობდა რუსთაველის პროსპექტზე, ახლა უკვე ყოველდღიურად...

თავდაპირველად კაბინეტში რომ შევიდა, აათვალიერ-ჩაათვალიერა კარადები, სადაც შტაბელებად ეწყო ხელნაწერები, რომლებშიც, ვინ იცის, რა არ იქნებოდა, გენიოსის გაელვებიდან გრაფომანის ნაბოდვარამდე. ვის ეყოფოდა მოთმინება და ნერვები გამოერჩია ოქროს მარცვლები ქვიშიდან. ყოველ შემთხვევაში, ჯუმა ბედია არ გახლდათ ის კაცი. ამიტომაც არც არაფრისთვის უხლია ხელი. „ჟურნალი რეზინისა არ არის, ამდენი რამ შიგ ვერ ჩაეტევა!“ – ეს ლოზუნგად გაიხადა, მაგრამ არც არავის განაწყენებას აპირებდა და ვინც არ უნდა მოსულიყო, ყველას მიმზიდველ ღიმილს შეაგებებდა. „კი, ბატონო!“ – მისი უსაყვარლესი გამოთქმა გახდა და პირველსავე დილას ათიოდე კაცი ასე რომ გაისტუმრა, კვინტილიანე შეშინდა, ამდენი სად დავბეჭდოთო.

— მოგცლია ერთი! მადლობა მითხრან, რომ არ ვაწყენინებ, კაი სიტყვით ვხვდები. შვებულებაში რომ გავალ, ყველა უარით გაისტუმრე!

ასე და ამგვარად აეწყო საქმე. საჭირონი იბეჭდებოდნენ, სხვები ზღურბლს ტყუილად ატალახებდნენ. ზოგი უძლებდა, ზოგი ვერა! ვინც ვერ უძლებდა, სამუდამოდ გადაიკარგებოდა, სხვა ჟურნალებისაკენ გარბოდა.

თვალნათლივ ხედავდა, სახელი და დიდება ყოველდღიურად რომ ემატებოდა. მეტი ხალხი ესალმებოდა ქუჩაში, უჩერებდნენ მანქანას, ხალტურაზე გამოსული მძღოლები ხშირად ფულს არ ართმევდნენ, „ჩვენ ისე, უფროსო!“ იცოდნენ, დიდ კაცთან ჰქონდათ საქმე. გამომცემლობა-რედაქციების კარი ღია იყო. ეკითხებოდნენ, როდის მოგვიტანთ თქვენს ნაშრომებსო. ისიც მალე-მალეო, იძახდა. წლიურ საგამომცემლო გეგმებში შეჰქონდათ და უთვლიდნენ, თხზულებები გამოგვიგზავნეთო. ავანსებსაც სთავა-

ზებდნენ, მაგრამ არარსებულ რომანებს საიდან მოიტანდა. ამიტომაც ავანსებზე უარს ამბობდა. რესტორანს ისე ვერ ჩაუვლიდა, ვინმეს მკლავზე ხელი არ ეტაცა, შენი ჭირიმე, თითო ბოთლი დავლიოთო. ჩაის დალევაც რომ მოსურვებოდა, მის მაგიდაზე უმალ ჩამომწკრივდებოდა შამპანურები და კონიაკები. ვინმე მაძღარი პატრიოტი დაადგებოდა თავზე და ბლუკუნით ეუბნებოდა:

— ჯუმა ბედიას გაუმარჯოს!.. თქვენ ჩვენი დიდება ხართ!.. თქვენი ლექსები რომ წავიკითხე, ცრემლი წამსკდა!.. თქვენი წიგნები ჩვენი ოჯახის მთავარი ქონებაა!.. წერეთ ეგრე, სიმართლე წერეთ!.. გენაცვალეთ ჯიგარში!.. ხალხის იმედო, ერთი ჭიქაც გადავხუხოთ!..

პასუხს არ დააგვიანებდა, თავმდაბლობის განსახიერება იყო. თუმცა მთვრალებთან მტლაშამტლუშს ვერაფრით შეეგუა, ითმენდა. ნამეტანს ნუ მაქებთო, იტყოდა. ვცდილობო ნიჭიერებისდა მიხედვით. მწერალმა მარტო სიმართლე უნდა წეროსო, მეც სიმართლისთვის თავი გადამიდვიაო. სიმართლის მთქმელს კართან ცხენი უნდა გეყენოსო. მძიმეაო ტვირთი სიმართლისა, მაგრამ ვზიდავო, სანამ არ დავეცემი სულმიხდილიო...

რა ჯობია დიდებას! თუმცა მასაც ჰქონია თავისი მინუსები. ეს იყო ძველი მეგობრები. ყველა ნაცნობმა ახლა მოინდომა ლექსის, მოთხრობის, სტატიის, მემუარის წერა. კუდში დასდევდნენ და თავს აბეზრებდნენ.

რომანმა ხომ თავი მოსჭამა. არც ახსოვდა, როდის იყო მისი მეგობარი. დაუჯდებოდა ცხვირწინ, მუდარით აღსავსე სიფათს მიაპყრობდა, უპეში ცრემლი გაუბრწყინდებოდა. იყო ასე ჩუმად, მეტად არავის აწუხებდა, ჯუმას კი გუნება უფუჭდებოდა. არა და, მისი რომანების დაბეჭდვას ჯობდა საკუთარი ხელით დაეწერა განცხადება, არ მინდა, ბატონო, რედაქტორობა და გამათავისუფლეთო. ძალა არ ეყო, ეთქვა, ეგ რა სისულელეებს მიჰქარავ, ჩემო რომანო. პირიქით, ხელწერას უქებდა, დღეს-ხვალეთი ისტუმრებდა. ასევე დაარბენინებდა წინამასწარაშვილსა და ჩაფიკაძეს... მხოლოდ ჯანო ჩიკინტილაძეს გაეხსნა გზა ფართო. დაურეკავდა „რედაქტორს ვახლავარო“ და ჯუმა ხვდებოდა, მსოფლიო ლიტერატურულ-სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებით სავსე სტატია გამოცხობილი იყო. წინასწარვე იცოდა, ჯანოს ინდურ ვედებზე, ან ძველ ჩინურ პოეზიაზე რომ დაეწერა, სადმე მაინც მოახერხებდა ჯუმა ბედიას მოხსენებას. ამიტომაც უხდიდა სამაგიეროს. არც ჩახედავდა, ისე წააწერდა კუთხეში: „აიწყოს“.

ხანდახან ხვდებოდა მაცაცუნას. პაემანს უნიშნავდა ხან უნივერსიტეტის ბაღში, ხან სამსახურში, ანდა პირდაპირ ბინაში. ცივად მიესალმებოდნენ ერთმანეთს, მერე ჩუმად იყვნენ. არაფერი ჰქონდათ საერთო, არ იცოდნენ რაზე ელაპარაკათ. ჯუმა ერთხელაც არ მოჰფერებია, ერთხელაც არ უთქვამს ალერსიანი სიტყვა. ხალხში თუ შეხვდებოდნენ, გულგარეშე გამოიკითხავდა, რა არის ახალი, როგორა ხარო. მომაკვდავი რომ ყოფილიყო, გოგო ერთი სიტყვით პასუხობდა: „კარგად“. „თქვენები როგორ არიან?“ პასუხად კვლავ „კარგად“. ვაჟმა ერთხელ შეახსენა, ბევრი დრო არ დაგვრჩენია, მალე ხელს მოვაწერთო. ისეთი კილოთი ამბობდა, თითქოს ეუბნებოდა, დასჯამდე მცირე დრო რჩებაო. „ჰო!“ – მოკლედ უპასუხა მაცაცუნამ. ბინაში თუ მოაკითხავდა, ამდენსაც არ ლაპარაკობდნენ. მაცაცუნა სწრაფად მიალაგებდა ოთახს, ჭურჭელს დარეცხავდა, როცა დრო რჩებოდა, კერძსაც გააკეთებდა. ამ ოთახში, მუდამ რომ დამწვრის სუნი ტრიალებდა, სული ეხუთებოდა, უსაქმოდ ვერ ჩერდებოდა.

ჯუმა კუთხეში იჯდა, ერთსა და იმავე სარეკლამო ჟურნალს ათვალიერებდა. ჟურნალის გატყლარჭული, მყვირალა რეკლამა ყელში ამოსდიოდა... ზოგჯერ ჩაფიქრდებოდა, გამოეთიშებოდა, მერე, როცა გამოერკვეოდა, გაოცებული შეჰყურებდა მაცაცუნას, ეგ აქ საიდან გაჩნდაო.

საქმეს რომ მორჩებოდა, მაცაცუნა უმწეოდ გაჩერდებოდა შუა ოთახში. ჯუმას არც შეხედავდა, ისე იტყოდა:

— წავედი ახლა.

— ჰო, მიდი! – ჟურნალს უფრო ჩააკვირდებოდა ჯუმა, თუმცა თვალწინ ფერადი ლაქები ულივლივებდა.

* * *

ასე ცხოვრობდა ჯუმა ბედია ქორწინების დღემდე. ასეთი ცხოვრება არჩია თვითონ. ამას ეძახდა ბედნიერებას, თან კი ჩუმად უმიზნებდა უფრო მაღალ საფეხურებს...

თავი V. ქორწილი

წინა დღეს ჯერ კიდევ შეიძლებოდა ქორწილის ჩაშლა. ოთხიდან არც ერთი არ გრძნობდა თავს ბედნიერად...

კაჭუჭია ბედიას ღამეც ეშინოდა შარვლის გახდისა. ოთახში ჰაერი დაიხუთა, რადგან რკინის გისოსებაკრული ფანჯარა არ იღებოდა, კარს კი იმდენი კლიტე და ურდული ეკეთა, თავზე ხელაღებულთა ბანდა ვერ შემოანგრევდა. მთელი ღამე რაღაც კოშმარი ესიზმრებოდა. ვითომ ფულიან შარვალს ხდიდნენ, ეს კი ებღაუჭებოდა, არ ანებებდა. უცებ ყველა კედელი ერთად გასკდა, ფანჯრიდან გისოსები ჩამოცვივდა და უხილავი ქურდები ფათურობდნენ მის განჯინებში, კარადებში, კედლებს დატანებულ სამალავებში... შიშისაგან ოფლში გახვითქული კაჭუჭია ლოგინზე წამოიჭრებოდა, ვერ იხსენებდა, რა დაესიზმრა და კვლავ წვებოდა...

ჯუმა ბედიასაც არ უძინია მშვიდად. ცუდი წინათგრძნობა აწუხებდა. იცოდა, მოთავდა განცხრომის დღეები. თავისი ნებით ყულფში გაყო თავი. გული სხვა ვინმეს დაუთმო, იქ მეტს ვერავის შეუშვებდა. საცოლეს საკუთარ ჭერს სთავაზობდა მხოლოდ. მტერს უშვებდა შინ და არ შეეძლო უკან დახევა... უცნაურმა სიზმრებმა შეაწუხეს. ღრმა ძილში უცაბედად მოსწყდებოდა და ვარდებოდა... ქრებოდა საწოლი, ოთახი, მიწა... შიშით შეძრწუნებულს გამოეღვიძებოდა, გონს ვერ მოდიოდა დიდხანს... მერე ისევ ღრმა ძილში ინთქმებოდა, ისევ მოსწყდებოდა და გული ამოხტომაზე ჰქონდა... გარიჟრაჟზე მოთენთილს და დაღლილს გამოეღვიძა. თავი სტკიოდა. ღამით ოთახში დამწვრის სუნი დაგროვდა, ყველაფერში გაჯდა, კედლებში, ავეჯში, ჭერ-იატაკში, მისი განდევნა არ შეიძლებოდა.

მაცაცუნამ ღამე თეთრად გაათენა. ლოგინში არც ჩაწოლილა. პერანგის ამარა იჯდა საწოლზე, სიბნელეს მისჩერებოდა. ფიქრი ნელა ზოზინებდა, მნიშვნელოვანს არაფერს ეკარებოდა. აუტანელი გახდა ბნელში მარტო ჯდომა. მარტოობა, სამუდამო მარტოობა, აი, რისთვის დავბადებულვარო. ამიერიდან იცოდა, ნატრი ქორწილით იწყებოდა მარტოობის გრძელი გზა. „არ გავყვები!“ – ყოყმანით თქვა. ტყუოდა. არ შეეძლო არ გაჰყოლოდა, არ შეეძლო დაეწყვიტა უხილავი ძაფები, გაქცეულიყო. ტირილი მოუნდა, ცრემლი თუ მოულბობდა გულს. თავი შეიკავა, არ უნდოდა მარტოს ეტირა, თანამგრძნობლის გარეშე. ადგა და დედის ოთახში შეიპარა. ქუჩის ფარნები სუსტ სინათლეს ჰფენდა ოთახს. მამის კაბინეტიდან ხვრინვა ისმოდა. ფინანსურ გენიოსს იქ ეძინა. მაცაცუნამ სინათლე აანთო და დედის საწოლთან მივიდა.

— რა მოხდა? – უკმაყოფილოდ იკითხა გამოღვიძებულმა.

მაცაცუნამ არაფერი უპასუხა, ქვედა ტუჩი უკანკალებდა.

— რა გეტირება, რომ ტირი? წადი, დაიძინე, ხვალ ლამაზი უნდა გამოჩნდე!

მაცაცუნამ სინათლე გამორთო, თავის ოთახში დაბრუნდა. კვლავ საწოლზე აძვრა. მუხლებს მკლავი შემოჰხვია და ზედ ნიკაპი ჩამოაყრდნო.

ცრემლის უხმო წვეთი ჩამოუგორდა...

როგნედას ჩვილი ბავშვივით ეძინა. სიზმარიც ბავშვური ესიზმრა. ყვავილებით მოფენილ ვრცელ მინდორზე პეპელასავით დაფარფატებდა. მერე ოქროსთმიანი ყრმაც მოფრინდა. ოქრომკედით ნაქსოვი ტანისამოსი ეცვა. უფლისწული უნდა ყოფილიყო. შემდეგ ესეც გაქრა. ვითომ მრავალი სარკის წინ იდგა, უამრავჯერ მეორდებოდა მისი გამოსახულება და საკუთარი მშვენიერებით მოხიბლული იმეორებდა: „რა ლამაზი ვარ!.. ჩემისთანას ვინ არ შეიყვარებს?..“

გამოეღვიძა. თენდებოდა. მზის სხივის მრავალგზისი ანარეკლი წითელ ლაქად დააჩნდა კედელს. ფანჯარა ღია იყო და დილის სიგრილე შემოდიოდა.

— დედა, დედა! – ჭირვეულად დაიძახა.

დედის ოთახიდან ხვნეშა და საწოლის ჭრაჭუნი მოისმა.

პერანგის ამარა, ნახევრადმძინარე ღაღული შემოფრატუნდა.

— რა დროა? ასე ადრე რამ გამოგაღვიძა? – ყბები უსკდებოდა მთქნარებისაგან, – ჩაიწი ერთი, მეც დამაწვინე!

როგნედამ ჩაიწია. ღაღული ჩაწვა, უმალვე თვალი დახუჭა. როგნედა ჩაეხუტა, წასჩურჩულა:

— ვერ ვიხსენებ.

ქალბატონ ღაღულის ხმის ამოღება ეზარებოდა, ძლივს შეეპასუხა:

— რას ვერ იხსენებ?

— კახაბერს! რამდენი ხანია, ვცდილობ წარმოვიდგინო და ვერ ვიხსენებ. იქნებ სულაც არ მიყვარს, ა?

— გიჟი ხომ არა ხარ? რა დროს მაგია? დაიძინე!

როგნედამ ხმა გაკმინდა. გუნებაში მაინც უტრიალებდა აკვიატებული აზრი: „იქნებ სულაც არ მიყვარს, ა?“

* * *

კაჭუჭია ბედია კაპიკს დაჰკანკალებდა და ათასებს ხარჯავდა. ყოველი მანეთის გაღებით თითო წვეთი სისხლი ეღვრებოდა გულიდან. ხელგაშლილი კაცის როლს თამაშობდა. ამით უნდოდა დაეფარა მუხლებჩამოგიდელებული შარვალი და უფროსი ძმის დამწვრის სუნი. თავდაპირველად ფიქრობდა, ჯუმაც გაიღებს თანხასო. ფროსი ძმა ტაქტიანად ახერხებდა თავის დაძვრენას. ხელფასის მეტი სხვა შემოსავალი არა მაქვსო, — იფიცებოდა. ასეც იქნებოდა, თუმცა ხელფასს საკმაოდ სოლიდურს ღებულობდა. კაჭუჭია არ შეჰკამათებია. ეშინოდა, კინკლაობის დროს ზედმეტი არაფერი წამოსცდენოდა...

ქორწინების სახლში იმ დღეს ბევრნი აწერდნენ ხელს. ძმები ბედიები გამოირჩეოდნენ მაინც და საყოველთაო ყურადღება მიიპყრეს. ზარზეიმის ვითარებაში ჩატარდა არცთუ რთული ცერემონიალი.

ბოლო წამს, როცა ხელში საწერკალამი ეჭირათ, ყოველი მათგანი შეტოკდა, ყოყმანი დაეტყოთ, ჩუმად ამოიოხრეს.

ჯუმა ბედიას კალმის დაგდება მოუნდა, თავს ძალა დაატანა, დაიხარა და მოაწერა ახალი, „რედაქტორული“ ხელმოწერით.

მაცაცუნა ეგზალტირებული იყო. ყოველ მოძრაობას ანგარიშმიუცემლად, მანქანასავით აკეთებდა. ხელიც ასევე მოაწერა. უცებ ცრემლი წასკდა, უხმოდ ტიროდა. ჯუმას შერცხვა, მოეფერა,

რამ დაგაფრთხო, ძვირფასო, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, სულ ხელისგულზე გატარებო. მაცაცუნამ იცოდა ლიტონი სიტყვის ფასი, ცრემლი მაინც მოიწმინდა. შიში ღრმად ჩამალა გულის გულში და გაღიმება სცადა.

კაჭუჭია ჩქარობდა, ნერვულობდა. კალამი რომ გამოუწოდეს, ისე ჩაბღუჯა, თითქოს ვინმე ეს ესაა ეცემა და ძალათი გამოჰგლეჯსო. როცა ხელის მოსაწერად დაიხარა, მის ტვინში მხოლოდ და მხოლოდ პრესტიჟის დიდი კითხვის ნიშანი ეხატა. კაჭუჭიას ამხანაგებს შურდათ მისი ბედნიერება და ეს ახალისებდა.

როგნედა, თამამი და სულსწრაფი როგნედა, მთლად აირია. თვითონაც არ იცოდა, მართლა უყვარდა კაჭუჭია, თუ მოეჩვენა წამიერ. აშკარად დამფრთხალი ადევნებდა თვალს კალმის მანიპულაციებს. როდესაც ხელში ჩაუდეს, საქმროს თითების ოფლი გამოჰყვა და კინაღამ გააგდო. კაჭუჭიას ფერი ეცვალა. ქალბატონმა ღაღულიმ დაასწრო: „აქ მოაწერე, გენაცვალე, აი, ამ ადგილას!“

გრიბოედოვის ძეგლთან მანქანების ტევა არ იყო. მეფე-პატარძლები ორ საგანგებოდ დაქირავებულ ეტლში ჩააბრძანეს. ორთავეს თეთრი ცხენები ება, ოქროს ჯინჯილებიანი, ფაფარში წითელ ლენტებჩაწნული. წინ უფროსი წყვილის ეტლი მიჰქროდა, მას კაჭუჭიას ეტლი მისდევდა. კუდში კი არანაკლებ ხუთი ათეული „ვოლგა“ მოჰყვებოდა.

საზეიმო კორტეჟმა გადაჭრა ჩელუსკინელთა ხიდი და ვაკის პარკისაკენ გაემართა.

ჯუმა ბედია ისე იჭიმებოდა, თითქოს მხრებს მარშლის ეპოლეტები უმშვენებდა. ტროტუარებზე ცნობისმოყვარე გამვლელები ჩერდებოდნენ. აივნებზე ხალხი გამოეფინა. საგზაო მილიციამ ტრანსპორტს გზა გადაუკეტა, რათა კორტეჟი გაეტარებინა. უფროს ბედიას მთლად დაავიწყდა, რომ გვერდით პატარძალი ეჯდა და საყოველთაო ყურადღების ტკბილ ტალღებში მარტოდმარტო დაცურავდა.

მაცაცუნა, საოცრად რომ უხდებოდა საქორწინო თეთრი კაბა და ყვავილწნულებიანი ფატა, ისეთი მომხიბლავი იყო, ბევრი შენატროდა იმ დღეს ჯუმა ბედიას.

როგნედა პატარა პრინცესას ჰგავდა. ნეტა ეს ბავშვი ვინ გა-

იმეტა გასათხოვებლადო, — რამდენმა იფიქრა. მღელვარებისაგან თვალები უბრწყინავდა, ოღონდ ეს არ ყოფილა სიხარულის განცდით გამოწვეული ღელვა.

კაჭუჭია თვალდახრილი, ტუჩგაბუშტული იჯდა და მუხლებზე ხელებს იფარებდა. იმთავითვე არ მოსწონდა ასე საქვეყნოდ საკუთარი ღირსება-ნაკლოვანების გამომზეურობა. ჯუმამ აიჩემა, თორემ არჩევდა, ჩუმად, უხმაუროდ გაეჩარხა საქმე.

ჭავჭავაძის პროსპექტიდან რომ გადაუხვიეს, მძღოლებმა შეთანხმებულებივით დააჭირეს კლაკსონებს ხელი. გამაყრუებელი გუგუნი ატყდა. მეორედ მოსვლა ეგონებოდა კაცს. ზარზეიმით მიაცილეს საბანკეტო დარბაზის კარამდე და მანამ აკივლეს კლაკსონები, სანამ მილიცია არ ჩაერია...

* * *

პირველი ბიძგი სუსტი იყო. თითქმის არავის შეუმჩნევია. ჭაღი შეტორტმანდა, ბროლის ფირფიტებმა წკარუნი გამოსცეს. ჯუმამ იგრძნო, რაღაც უნდა მომხდარიყო. შეშფოთებულმა შეხედა ჭაღს. სუსტად ირხეოდა. უკან მოიხედა, კედელს ბზარი გასდევნებოდა. „მიწისძვრა“, — გაუელვა და უცებ ქალის ისტერიულმა კივილმა დაჰფარა მემთვრალეთა ხორხოცი:

— მიწისძვრა!

საზოგადოება უკვე თვრებოდა. აღაჟღაჟებულმა მამაკაცებმა ჰალსტუხები მოუშვეს, პერანგის ღილები შეიხსნეს, ჯაგარმოსილი მკერდები გამოაჩინეს. ქალები ნერვულად კისკისებდნენ... ესტრადაზე გამაყრუებლად ჟღრიალებდა ორკესტრი. ბეჭებზე თმებდაყრილი, წვერულვაშიანი, ჩაჯინსებული ბიჭები გაჰკიოდნენ არაამქვეყნიურ სიმღერებს არარსებულ ენაზე.

— მიწისძვრა!

იატაკი მძლავრად შეტორტმანდა. ჭაღი მიასკდა აქეთ-იქით, ბროლის ნამსხვრევები სუფრებს გადაეპნა. გაისმა ბოთლების ჭახანი, ჭურჭლის ლაწალუწი. აწივლდნენ ქალები, მამაკაცები თავისას გაიძახოდნენ. აირია, პანიკამ მოიცვა დარბაზი. სკამებიდან წამოცვივდნენ. კუთხის მაგიდა გადაყირავდა. ბრბო კარს

მიაწყდა. მაწანწალა ძაღლებმა არ შეგვაწუხონო და ჩაეკეტათ. კარს მიჭყლეტილ მთვრალს საკეტი თავისი ტანით დაეფარა, ვერაფრით მიმხვდარიყო, რატომ ეჯავჯგურებოდნენ, წინ და უკან ექაჩებოდნენ.

მოულოდნელად დარბაზს უცნაური ჰანგი მოეფინა. თითქოს ელექტრომუსიკალური ინსტრუმენტების ორკესტრი უკრავდა. მელოდიურ, კოსმიურ მუსიკაში წამყვან თემად მოისმოდა ყრუ გუგუნი, ბორბლების გრიალს თან რომ სდევს.

— ჩუმად!.. დამშვიდდით!.. რა ამბავია!.. – გაისმა შეძახილები. ვისაც ნებისყოფა ეყო, სუფრას დაუბრუნდა, თუმცა არ დამჯდარა. რცხვენოდათ პანიკისა, დაფარული შიშით იყურებოდნენ ჭერისაკენ. სხვები კედლების გასწვრივ მიეტმასნენ ერთმანეთს, რესპექტაბელური მექორწინეები წუთიერ სიგიჟეს დაეჭმუჭნა, ტანსაცმელშემოხეულნი, გაოფლიანებულნი, დაზაფრულნი იდგნენ.

უჩვეულო ჰანგი მინავლდა. ავისმომასწავებელი გუგუნი კი უფრო და უფრო გაძლიერდა. მერე ზედ ყურებთან დაჰბერეს საყვირებმა.

შუა დარბაზში იატაკს ბზარი დააჩნდა, თანდათან გაიხსნა ბნელი სიღრმე, პირი დააღო უძირო უფსკრულმა, საიდანაც ბოლქვებად ამოდიოდა შავი კვამლი და მჭვარტლი. დარბაზი კუპრისა და დამწვრის სუნით გაივსო.

ისტერიულად ჩაიქვითინა ვიღაცამ, უმალ პირზე ხელი იტაცა.

— ხალხო, წარღვნაა, — ჩურჩული მოისმა.

სადღაც უფსკრულის შორეულ სიღრმეში წერტილი გამოჩნდა, თანდათან გაიზარდა. შუა დარბაზში ამოცურდა ოქროს ტახტი, რომელზეც წოწოლა კაცი წამოსკუპებულიყო და ხითხითებდა.

გუგუნით დაიხურა იატაკი, შეწყდა უცხო ჰანგი, წოწოლა კაცმა ელამი თვალები მოავლო დადუმებულ საზოგადოებას.

— ბოდიშს ვიხდი დაგვიანებისათვის! – დაიყივლა, – არ შემეძლო ჩემი ნათლულების ქორწილს დავკლებოდი!

გაფითრებული ჯუმა მიეახლა, წინ დაუდგა, თავი დახარა.

— მოხარული ვარ, ძვირფასო გუჯმახან, რომ გვიკადრეთ და ჩვენს ქორწილში მობრძანდით! მეგობრებო, გთხოვთ ყველანი

სუფრას დავუბრუნდეთ, ლხინი გრძელდება!.. გაუმარჯოს ჩვენ ძვირფას გუჯმახანს, დიდება!..

— გაუმარჯოს! – დაიწრიპინა ქალის დამფრთხალმა ხმამ.

— გაუმარჯოს!.. დიდება!.. – კანტიკუნტად გაისმა, ტაშიც შემოჰკრეს.

მდგომარეობა განიმუხტა, გამხიარულდნენ. გადაბრუნებული მაგიდა ააყენეს. სკამებიც დადგეს. დამსხვრეულ ჭურჭელს არაფერი ეშველებოდა და იატაკზე დატოვეს. თამადა თავის ადგილს დაუბრუნდა, მიკროფონი აიღო, შიშით მოხედავდა ხოლმე ახალ სტუმარს, ენა ებმებოდა, მორიგი სადღეგრძელოს შეთხზვას ცდილობდა.

— ღვინო მომართვით! – ბრძანა გუჯმახანმა.

ყანწი მიურბენინეს.

— გადღეგრძელებთ! – მოკლედ მოჭრა. ფრჩხილი გაჰკრა. ალი ამოვარდა სასმისიდან, ყანწი გავარვარდა. გუჯმახანმა თავი გადასწია, ცეცხლით აგიზგიზებული სითხე პირში გადაისხა.

სტუმრებს შიში შეუბრუნდათ, გაუცხოველდათ, სკამებიდან წელი ვერ ასწიეს, კრიჭა შეეკრათ.

— ჯუმა ბედია, ხელცარიელი არ მოვსულვარ!

ხელი ხელს შემოჰკრა. ოქროს ტახტის გვერდებიდან ქაჯები გადმოცვივდნენ, ყოველნაირი ფერის და ფორმის, წარმოუდგენელი მოდის ტანსაცმლითა და მთლად ტიტლიკანანი, კუზიანები, ბრუციანები, ელამები, თვალდავსებულნი, უცხვირონი, მრავალცხვირიანები, უცხვირპირონი, ყრუჩუნები და შუბლზე მიწებებული ყურებით, უპირკბილონი, სამპირიანები... ხონჩებით ხელში მოედვნენ დარბაზს, ჩამოარიგეს შემწვარ-მოხრაკული, გველი და ბაყაყი, ხოჭო და ვირთხა, ღამურა და ჯოჯო...

სტუმრები თქვლეფა-თქვლეფით მიესიენ მორთმეულ ნუგბარ კერძებს, ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს:

— რა გემრიელი ვარიაა!

— ეს გოჭი შესანიშნავია!

— მწყერი გადაიღეთ!

— ეს ალბათ კალმახია!

— თუ სმა არის, სმა იყოს! – არ ცხრებოდა გუჯმახანი.

— დავლიოთ, დავლიოთ... – წაუმღერა თამადამ

— დავისხათ და დავლიოთ, დავლიოთ, დავლიოთ... – ყველა ერთბაშად ამღერდა.

მოულოდნელად ოთხივე კედლიდან გადმოხეთქა შამპანურმა, მთელი დარბაზი დატბორა. დატრიალდა გოჩგოჩანა, პერმოდებული, შუშხუნა ღვინო. მათრობელმა წინწკლებმა აავსო ჰაერი, თავბრუ დაასხა, დაათრო, გადარია ისედაც გატრეტილი მექორწინეები.

მოთქრიალებდა შამპანური და წინწკლებს აპნევდა. შამპანურის ტბაში დაცურავდნენ მთვრალები. შიგ იხრჩობოდნენ, ყვინთავდნენ, იბერებოდნენ და კვლავ მღეროდნენ:

— დავლიოთ, დავლიოთ, დავლიოთ!..

კაჭუჭია სკამზე შედგა. შამპანური მაინც მუხლებამდე სწვდებოდა. როგნედა მაგიდაზე შესვა, ძმას გადაუჩურჩულა:

— ნამეტან პატივსა გვცემს ეგ შენი გუჯმახანი, ამდენი არც არის საჭირო.

წელში მოტყდა ჯუმა, გაცურა შამპანურის ტბა, ტახტის საფეხურს შუბლი ახალა, მოელაქუცა:

— გუჯმახან, შენი სიკეთე განუზომელია!

შემზარავმა ხარხარმა დააყრუა ჯუმა. კვლავ გაიხსნა იატაკი და გუჯმახანი ოქროს ტახტიანად გადაიჩეხა ბნელ უფსკრულში. შამპანურის მძლავრმა ჩანჩქერმა რამდენიმე მთვრალი ჩაითრია. მათს თავზევით იატაკი ისევ შეერთდა. ჯუმამ მოასწრო, ატივტივებულ სავარძელს ჩააფრინდა და ამან იხსნა.

დარბაზი თანდათან ივსებოდა. შამპანურმა კარი გახეთქა, ფანჯრებიდან ქუჩაში გადაიღვარა, სწრაფ ნაკადულს მიჰქონდა მხიარული მემთვრალეები, რომლებიც ხმაშეუწყობლად ღრიალებდნენ:

— დავლიოთ, დავლიოთ, ოჰ, დავლიოთ, დავლიოთ!..

ჯუმას გვერდით ლეო პირველი გაცურდა. ხელში მიკროფონი ჩაეგდო და საკუთარ ლექსს ამბობდა. მიკროფონს ზონარი მოსწყვეტოდა და, საბედნიეროდ, მისი დეკლამაცია არავის ესმოდა... მერე რომანი ამოტივტივდა. ზღვის ლომივით დასჭყეტოდა თვალები და სველ ულვაშებს იწუწნიდა... ყვინჩილას სავსე ჭიქა

მაღლა ეჭირა და სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა: „აბა, მე მისმინეთ!.. აბა, მე მისმინეთ!..“ პაპუა ჩირგაშვილი უზარმაზარ ყანწზე შემომჯდარიყო, ეტყობა ცურვა არ ეხერხებოდა და შამპანურის ნაკადი ხან ერთ მხარეს მიაგდებდა, ხან მეორეს...

ჯუმამ მხარული გაუსვა, სუფრის თავისაკენ გასცურა. კაჭუჭიას მაგიდაზე სკამები შეედგა და პატარძლები ზედ შეესვა. თვით მას კი შამპანური ყელამდე მისწვდენოდა და წინწკლებისაგან ცხვირს წამდაუწუმ აცემინებდა.

— აქედან უნდა მოვუსვათ! – შეუძახა ჯუმამ.

— საით გავიდეთ? ბრბო გაგვიტანს!

— სამზარეულოდან გავაღწევთ!

პატარძლებს ჩაავლეს ხელი და სამზარეულოსკენ გასცურეს. შუშხუნა ნაკადმა ისინი უკანა ეზოში გაიყვანა.

ქუჩაში უკვე ბნელოდა.

ფანჯრებიდან კვლავ თქეშით იღვრებოდა შამპანური. ჰაერში ღვინის მძაფრი სუნი იდგა. ქორწილის სტუმრები ღრიანცელით შველოდნენ თავს.

სირენების კივილით მოჰქროდნენ მილიციის მანქანები...

თავი VI. განხეთქილება

გუჯმახანის ნახვამ როგნედას თავზარი დასცა. შიშისაგან მუხლები ეკეცებოდა, გზა-გზა მეუღლის მკლავს ეყრდნობოდა. კოტეს „ჟიგულს“ წააწყდნენ, ადრევე ეშველა თავისთვის. ძლივს გაიწურეს ტანისამოსი. მანქანაში რომ ჩასხდნენ, როგნედამ შვებით ამოისუნთქა, თუმცა დამწვრისა და ღვინის სუნის ნაზავი გულს ურევდა.

— რა იყო ეს?.. რა იყო ეს?.. – რამდენჯერმე იკითხა ნამტირალევი ხმით. კაჭუჭიამ მხარზე ხელი მოჰხვია, მოეფერა, ნუ გეშინია, აგერ არა ვარო? უფროს პატარძალს სახე გაფერმკრთალებოდა. სავარძლის კუთხეში იჯდა კოტეს უკან, ხმა გაეკმინდა.

წინა სავარძელში ჯუმა გამოიჭიმა. ისიც აღგზნებული და გაფითრებული ჩანდა. შიში და ძრწოლა მასაც გადადებოდა. ცდილობდა ამის დაფარვას. ძალიან კი გაოცდა, კოტე რომ შეიცნო. ეჭვი აუფუთფუთდა, უნდობლობის ჭია გაუცოცხლდა.

— რა იყო ეს? – იმეორებდა გაოგნებული როგნედა.

— კარგი აწი, დამშვიდდი, ხომ ხედავ, ყველანი ცოცხლები ვართ, — უკმაყოფილოდ გააწყვეტინა კაჭუჭიამ.

მანქანიდან ჩამოსვლისას მაცაცუნას თავი არ აუწევია, ბოლო წამს მზერა ესროლა კოტეს, იმან თვალი ჩაუპაჭუნა. მაცაცუნა შეკრთა, ჯუმამ ხომ არ შეამჩნიაო. ჯუმა მშვიდად იყო. მხოლოდ კაჭუჭიამ შეხედა რძალს აგდებულად, იქნებ შეამჩნია კიდეც თვალის ჩაპაჭუნება და რაღაც იეჭვიანა.

საბედნიეროდ მთელს უბანში სინათლე ჩაქრა, სიბნელეში ერთმანეთს ძლივს არჩევდნენ.

ჯუმამ მხარზე ხელი გადაჰხვია თავის კანონიერ ცოლს და წინ გაატარა. სიბნელეში ჩაიძირნენ ორივენი. მაცაცუნა თითქოს ბნელი უფსკრულის პირას მიდიოდა. ინსტინქტურად ჩააფრინდა ჯუმას პიჯაკს. ჭაბუკიც შემკრთალი იყო, ოღონდ იცოდა ოთახში სად რა ელაგა, პირდაპირ სარეცლისკენ გაუძღვა.

სარკმლის მიღმა ჯერაც არ ეძინა ქალაქს. მოისმოდა გამვლელთა ფეხსაცმლის ფრატუნი. მანქანა გაიქროლებდა და წამით შემოაფრქვევდა ჭრელ საცეცებს, კედელზე დახატავდა სასაცილო ფიგურებს, გაქრებოდა.

მაცაცუნამ იგრძნო ჯუმას ხელი, საკინძეს უხსნიდა ჭაბუკი. მერე მძლავრი მკლავები შემოეჭდო გოგოს, სუნთქვა შეუკრა. უნდა აღელვებულიყო, უნდა მუხლები მოჰკვეთოდა, მაგრამ სურვილი დაშრეტოდა, გულგრილად ეჭიდავებოდა არასასურველს, ცდილობდა თავი დაეძვრინა მისი ხვევნისაგან. ვნებისაგან გახელებული ჯუმა კი წინააღმდეგობას ქალურ კეკლუცობად უთვლიდა და მოურიდებლად ახევდა საპატარძლო კაბას.

დიდხანს გაგრძელდა ჭიდილი, ბოლოს მოერია, სარეცელზე დასცა. უცბად აბრდღვიალდა სინათლე. ჯუმას მოეჩვენა, რომ მის წინ ქალიშვილი კი არა, სარკეში დანახული ჩონჩხი ეგდო, იქედნური ღიმილით შესცქეროდა თვალებით – ბნელი სოროებით.

თვალი დახუჭა ჯუმამ, კბილები დააღრჭიალა, უკუაგდო ზარდამცემი ჩვენება. თუმცა თითქმის გაქრა ვნება, თავი ვალდებუ-

ლად ჩათვალა ბოლომდე ეთამაშა სიყვარულის სცენა...

დრო დაავიწყდა ორთავეს. არც ახსოვდათ რამდენხანს გრძელდებოდა ცრუ ალერსი... ჯუმა გრძნობდა, როგორ იყინებოდა მისი გული, ეყინებოდა სისხლი, ვნება, და ყოველივე ეს ეცვლებოდა მტანჯველი ზიზღით.

ზე წამოიჭრა სახედაღრეჯილი, გახელებული, სიბრაზისაგან თვალები გადმოუცვივდა.

შეუბრალებლად ლეწა ყბაში და დაუსისინა:

— ვი-ინ?!

* * *

როგნედა ვერაფრით დამშვიდდა. საერთოდ, წუწუნს არ იყო ჩვეული, მაგრამ ზარზეიმით დაწყებული ქორწილის ასე არევამ თავგზა აუბნია. დედისა და ბებიის ამბავიც აწუხებდა. თვითონ გამოიპარნენ, მათ კი, ვინ იცის, რა გადახდათ თავს. აქ კი სინათლე არ დახვდათ და ახლა რა უნდა ექნათ.

სავარძელში მოკალათდა. სინათლის უმნიშვნელო სხივიც არსად ჩანდა. კაჭუჭია ოთახში დაბორიალობდა, ხან რას წამოედებოდა და ხან რას, იგინებოდა, ოხრობაში და ტარტაროზში აგზავნიდა ყველას და ყველაფერს. ხმამაღლა იმიტომ ლაპარაკობდა, გოგონა დაემშვიდებინა, თორემ თვითონაც კარგი დღე არ ადგა. ბოლოს მოქანცულმა ტახტს მიაგნო და ჩამოჯდა.

— ნუ გეშინია, ჩართავენ ალბათ!.. ეს ოხერი, ასანთიც ვერ ვიპოვე! სად ჯანდაბაში გადავაგდე?!

როგნედა ყურს არ უგდებდა. ხომ შეიძლებოდა აქაც გახსნილიყო იატაკი და ბნელ უფსკრულს ჩაენთქა ნეფე-დედოფალი? ხედავდა, რომ ისჯებოდა, ოღონდ ვერ ხვდებოდა რისთვის.

— ღმერთო, რა დავაშავე, რა ბრალი მიმიძღვის? – იმეორებდა წამდაუწუმ. თავს ატრიალებდა, რადგან სიბნელე მოჩვენებებს ბადებს, როგნედას კი გამუდმებით ვიღაცა ეპარებოდა, რათა ტურტლიანი ბრჭყალებით მოჰფერებოდა.

სინათლე უცებ ჩართეს. ბნელს მიჩვეული თვალები წამით დახუჭა. როცა გაახილა, განწყობა უცებ შეეცვალა.

— მადლობა ღმერთს! – ტაში შემოჰკრა.

— შენ კი გეშინოდა, — გაუღიმა კაჭუჭიამ.

ტახტზე წესიერი ბიჭივით იჯდა. მუხლები ქალიშვილივით მიეტყუპებინა. ხელები ზედ მორცხვად დაეწყო. როგნედას ეუცხოვა, თითქოს პირველად ხედავდა. მასში იგრძნობოდა რაღაც უსუფთაო, ოფლიანი, სიბნელიდან გამოსულს ბნელი ნაფლეთი საზარელი უფსკრულისა თან გამოჰყოლოდა თითქოს. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებდა გაქონილი შარვალიც, ალაგ-ალაგ რომ გარღვეოდა და დაკუნთულ ფეხებს უჩენდა.

თვალი აარიდა, მიმოიხედა. ოთახი საკმაოდ დიდი იყო. პირთამდე აევსო ძვირფასი ავეჯეულობით, გასავლელი ადგილი არ დარჩენოდა. კედლებზე ფერწერული ტილოები ეკიდა, ალბათ ძვირად ღირებული. ფანჯრები აეჭედათ ჟანგიანი გისოსებით. პატარა, მუშტი რომ გაეტეოდა, ისეთ სარკმელში აბლაბუდა ფარფატებდა... როგნედას სული შეეხუთა, ჰაერი არ ეყო.

„ნუთუ ეს მიყვარს?“ – თავს შეეკითხა და ვაჟის შარვალს დაადგა თვალი. დროა საქორწილო კაბა გაიხადოს, იმ უზარმაზარ სარეცელში ჩაწვეს, მერე ეს მოვა თავის გაქონილი შარვლით და... როგნედას კინაღამ გული ამოუბრუნდა.

— ცუდად ხომ არ გახდი? – კაჭუჭიამ შეამჩნია მისი კრთომა.

— „ბორჯომი“ თუ გაქვს? — ხმადაბლა სთხოვა.

— ახლავე!

სამზარეულოსაკენ გაქანდა. იქ ჭურჭელს აუტეხა რახარუხი. მალე მობრუნდა გახსნილი ბოთლითა და ჭუჭყიანი ჭიქით ხელში.

როგნედამ შიშით შეხედა ჭიქას. სამზარეულოდან უსიამოვნო სუნი მოდიოდა. ბინას ქალის ხელი აკლდა.

კაჭუჭიამ ჭიქაში „ბორჯომი“ გამოავლო, პირდაპირ იატაკზე გადმოასხა, შეავსო.

გოგონამ ყლუპი მოსვა, თბილი იყო. არ ესიამოვნა. მაგიდაზე დადგა.

— უგუნებობას გატყობ, ალბათ დაიღალე, — შეშფოთდა კაჭუჭია.

— კი დავიღალე... — თავი დაუქნია და უცებ ჰკითხა: — რა, ამ შარვალს საერთოდ არ იშორებ?

კაჭუჭიამ შარვალზე დაბნეულად დაიხედა. სწრაფადვე გამო-

ცოცხლდა. ეცა როგნედას სავარძელს, წამოდგომა არ აცალა, მაგიდასთან მიაჩოჩა, თვითონაც სკამი დაიდგა და მიუჯდა.

— ახლავე გიჩვენებ, ჩემო ლამაზო ცოლიკო, ეგეთი ქმარი გყავს, ჩიტის რძეს არ მოგაკლებს...

როგნედას არ ესიამოვნა სიტყვა „ცოლიკო“, ცნობისმოყვარეობამ მაინც წასძლია.

კაჭუჭიამ საზეიმო გამომეტყველებით ამოაჩოჩა პირველი დასტა ჯიბიდან. ჯერაც გაუხსნელი ათთუმნიანები იყო, მკვრივად დაპრესილი.

— ხედავ? — ისეთი მოწიწებით დადო მაგიდაზე, ვითომ ფაიფური ყოფილიყოს, – აი კიდევ...

პირველს მეორე დასტა ამოაყოლა, მეორეს მესამე... მალე მაგიდაზე ფულის მთელი გორა დადგა.

გოგონამ იცოდა, კაჭუჭია რომ ბევრ ფულს დაატარებდა ჯიბეში. მაინც ამდენი თუ ექნებოდა, ვერ წარმოედგინა.

— დავთვალოთ? — კაჭუჭიას სახე უბრწყინავდა.

როგნედამ თავი დაუქნია.

— არა, ჯერ სხვა რამეს გიჩვენებ და მერე დავთვალოთ!

კარადაში თავი ჩარგო, იქ სხვა კარი გამოაღო და რკინის კარგა მოზრდილი ყუთი გამოსწია. ძლივს მოჰქონდა ორივე ხელით, ხვნეშოდა. შუბლზე ოფლის წინწკლები დააჩნდა.

შუა გზაზე შეჩერდა, ეჭვით შეხედა როგნედას

— არავის ეტყვი?

— ვის უნდა ვუთხრა? – კითხვა შეუბრუნა.

— იცოდე, ენას კბილი დააჭირე... მე, ჩემო კარგო, ფერებაფერებაში შეიძლება ყელიც გამოგღადრო!

გოგონას თითქოს ზურგზე ცივი ხელი შეახეს. თავი ძლივს დაიმშვიდა, მეხუმრებაო.

კაჭუჭიამ ყუთი წინ დაუდო, ტუჩზე ღიმილი არ მოჰშორებია.

— თვითონ გახსენი! — შესთავაზა.

როგნედამ გასაღები გადაატრიალა, სახურავს ძალა დაატანა. გახსნა.

— მძივებია? – იმედგაცრუებით იკითხა.

— რა მძივები, აბა, ასწიე!

პირველად თხილისოდენა მარგალიტების გრძელი აცმულა ამოიღო.

— იცი, ამით რამდენი მანქანის ყიდვა შეიძლება?

მერმე უამრავი ბეჭედი, ყელსაბამი, საყურე, სამაჯური, გულსაბნევი ეყარა, ყველა ერთმანეთზე ძვირფასი და მშვენიერი. ყუთის ძირში ლალი და ფირუზი, ბრილიანტი და იაგუნდი ბრწყინავდა... სახელები არც იცოდა... სახე გაუნათდა, ერთი ასხმულა მაჯაზე დაიხვია და სარკეში ჩაიხედა. ძალიან შვენოდა. გადაირეოდნენ მისი ამხანაგი გოგოები. უცებ წინწკალი შენიშნა, ყოველ მარგალიტზე სისხლის წინწკალი ესხურა... ელდა ეცა, ხელიდან გაუვარდა...

— რა არის ეს? — იკითხა ზიზღნარევი ხმით.

— ყურადღებას ნუ აქცევ, — ხელი ჩაიქნია კაჭუჭიამ, — მეც თავიდან მეზიზღებოდა, შემდეგ მივეჩვიე, — თითო-თითოდ იღებდა ძვირფას ნივთებს და ჩვრით აპრიალებდა.

როგნედამ ხელი სასწრაფოდ შეიწმინდა და ცხვირსახოცი მოისროლა.

— მე ვერ შევეჩვევი, მომაშორე თავიდან!

კაჭუჭიას სახე შეეფაკლა, შეურაცხყოფილი დარჩა. უხმოდ დაკეტა ყუთი და განძი კვლავ სამალავში შეინახა.

მერე მაგიდის უჯრა გამოსწია, ოთხკუთხა საგანი ამოიღო.

— ხედავ?

— მმ?

— ოქროს ზოდია. ასეთები აქ მიწყვია.

როგნედა ფრთხილად შეეხო, უნდოდა გაესინჯა. უმალვე ხელი უკან გასწია. ოქროს ზოდსაც სისხლის წინწკლები აჩნდა.

— საშინელებაა!

— რაა საშინელება? – ვერ გაიგო კაჭუჭიამ.

როგნედამ არაფერი უპასუხა.

ახლა უკვე აშკარად ეზიზღებოდა ოქროც, თვალ-მარგალიტიც, კაჭუჭიაც.

— გინდა ფული დავთვალოთ?

— მოდი, დავთვალოთ, — უხალისოდ დაეთანხმა, რათა გადაეწია გარდაუვალი დრო, როცა სარეცლისაკენ მოიხმობდნენ...

ათთუმნიანის ბანკნოტი ჯერაც ხელში არ სჭერია. არც იცოდა, რა ფერისა იყო. ხელი რომ დაავლო, რაღაც აიმღვრა მის სულში. თითქოს საწამლავს სვამდა. დამღუპავს ეს ფულიო, გაიფიქრა. საკუთარი თავი ვერ გადასძალა. სახვევი შემოახია დასტას და ბანქოსავით გაშალა... რა იყო ეს?.. რა მაგიური ძალა ჰქონდა ფულს? რითი განსხვავდებოდა იგი ჩვეულებრივი, მოხატული ქაღალდისაგან? რა იტაცებდა მასში ადამიანს?.. ვითომ საყიდლები? ის აურაცხელი სიმდიდრე, კაჭუჭიას რომ ჩაუკეტია თავის სამალავებში?.. იქნებ საზოგადოებრივი მდგომარეობა? ხომ ამბობენ, ფული ყველგან გაიკვლევს გზასო... როგნედას თავისი მდგომარეობა აქამდე დიახაც არ მიუჩნევია ურიგოდ და არც ესწრაფვოდა აღზევებას... მაშ, რა იყო ის ძალა, რამაც გოგონა ერთ წამში მოხიბლა, მიაბა ამ მაგიდას, აიძულა მოკრძალებით, როგორც ღვთაებისათვის, ისე ეცქირა ამ უბრალო ქაღალდებისათვის? რა ეშმაკეული ფათურობდა მისი სულის ჯერაც მარტივ კუნჭულებში?

ბეჯითი მოლარის სახით უჯდა მაგიდას. აუჩქარებლად ითვლიდა ათთუმნიანებს. ეჭვი არც ეპარებოდა, რომ ყოველ დასტაში ასი ცალი უნდა ყოფილიყო. მაინც ითვლიდა, თითოეულ დასტას ერთხელ კი არა, რამდენიმეჯერ... ისევ და ისევ რწმუნდებოდა, ამდენი და ამდენიაო, ხელიდან კი ვერ უშვებდა...

ბედნიერი კაჭუჭია იქვე იჯდა. ქიმიურ ფანქარს ენის წვერით ასველებდა. იწერდა ციფრებს, მრავალნულიანებს, თავიდან ანგარიშობდა, თუმცა წინასწარვე იცოდა, რა შედეგსაც მიიღებდა. ენა და ტუჩები მელნით მოეთხუპნა, მაგრამ ამას ვერ ამჩნევდა.

წუთი წუთს მისდევდა. როგნედას ანგარიში აერია. ერთი ორად ეჩვენებოდა. ბრუ დაეხვია, თავი დაუმძიმდა, შაკიკმა მოაკითხა, ფულის დასტას კი ხელს ვერ უშვებდა. ზედ მისწებებოდა... მისწებებოდა... უცებ მართლაც მიეწება ერთი ბანკნოტი ხელისგულზე, ძლივს მოიშორა... გონს მოეგო. ორივე ხელი ისე მოთხვროდა, თითქოს სისხლით სავსე გეჯაში დაებანა. გამოშტერებული დაჰყურებდა ყასაბის ხელებს, თავის ხელებს... მერე გულმკერდზე და კალთაზე დაიხედა, სისხლის ლაქებით ასჭრელებოდა საქორწინო თეთრი კაბა.

ზიზღი ყელს მოებჯინა, წამოიჭრა. უდიერად ხელი ჰკრა, ფულის დასტები იატაკზე გადმოაპნია.

— რას შვრები შენი!.. – შეჰკივლა კაჭუჭიამ, მკლავზე ხელი სტაცა.

როგნედა მაგიდაზე მკლავებით დაემხო, ცრემლი გადმოყარა.

— ვაჰ, რა ისტერიკიანი ყოფილხარ! – კაჭუჭია დანარჩენ ფულებს გადაეფოფრა.

თავი წამოსწია გოგომ. მაგიდაც სისხლით იყო მოთხვრილი და ახლა იდაყვებიც მოეთხვარა.

— ხელი დამაბანინე, ჩქარა დამაბანინე! – ტირილით სთხოვა.

— ეგერაა ონკანი და დაიბანე! – კუშტად მიუგდო კაჭუჭიამ. თავგზააბნეული და უკიდურესად შეურაცხყოფილი დარჩა. „ძალიან ველოლიავები, — გაიფიქრა, — ასე თავს გავა... ცოლია, არა? ლოგინში ჩავიგდებ და მთელი ზიზილ-პიპილები ჩამოსცილდება!“

სკამზე დაეშვა... დიახაც, დარწმუნებული იყო საკუთარ ძალასა და სიმდიდრეში.

როგნედამ ვერ მოასწრო ხელის დასაბანად წასვლა, კარს ვიღაცამ წიხლი მოარტყა.

ყოველივეს შემდეგ ამის ატანა შეუძლებელი იყო. ნერვებაწეწილი გოგონა შიშისაგან გათავდა. უაზროდ შეჰყურებდა რკინის კლიტეებითა და ურდულებით მოჭედილ კარს, თავისი ციხის კარს და უსაზღვროდ მოუნდა, აქედან დაუყოვნებლივ გადაკარგულიყო.

კარს გარედან მუშტები დასცხეს, მთელი სახლის გასაგონად გაისმა გამწარებული ღრიალი:

— გააღე კარი, შე ვირისთაო, გააღე კარი!..

კაჭუჭია გაშრა, ფერი ეცვალა. მუხლის ძარღვები მოჰკვეთესო, ადგილიდან ვერ წამოიწია. კარს მიღმა მისი უფროსი ძმა, მისი სისხლი და ხორცი ბობოქრობდა:

— გააღე კარი, დედიჩემის შვილო, თორემ შემოვამტვრევ!.. გააღე-მეთქი, შე ლაჩარო!

როგნედამ უხმოდ შეხედა წუთით მეუღლეს. მის თვალებში შიში, ზიზღი, სიძულვილი ამოიკითხა კაჭუჭიამ.

— გაგიჟდა ალბათ, — საცოდავად ჩაილუღლუღა, — ჩემთან

რა უნდა, გაგიჟდა ალბათ...

როგნედა კარისაკენ წავიდა. აუჩქარებლად ატრიალებდა გასაღებებს, ხსნიდა საკეტებს, ბოლო ურდული რომ გასწია, კარი ჯიქურ შემოხეთქა ჯუმამ, ხელი ჰკრა ზღურბლზე შეყოვნებულ რძალს.

კაჭუჭია სკამიდან არ წამოწეულა, თავზე ხელები აიფარა.

ჯუმამ საკინძეზე წაავლო ხელი, მეორეთი სახეში სთხლიშა. კაჭუჭია სკამიანად გადავარდა და ჯუმაც თან გადაიყოლა.

დიდხანს კოტრიალებდნენ ძმები მაგიდის ქვეშ მიმოფანტულ ათთუმნიანებში, საკუთარი და ფულიდან ნაჟონი სისხლით მოთხუპულნი. შემაზრზენად აგინებდნენ ერთმანეთს, შეუბრალებლად ულანუნებდნენ.

გულხელდაკრეფილი როგნედა ზღურბლზე იდგა, შორიდან უყურებდა ძმათა ჩხუბს, მერე შებრუნდა, დერეფანში გავიდა. კართან თვალებჩალილავებული, ნაგვემი მაცაცუნა იდგა, ისიც გულხელდაკრეფილი. სახეზე შურისძიების სიხარული ეხატა.

ამრეზით შეავლეს თვალი ერთურთს, როგნედამ ფეხს აუჩქარა.

შიშნარევი ზიზღისაგან ქუჩაშიც მთელი ტანით თრთოდა. შინამდე რომ მიაღწია, ოდნავ დამშვიდდა.

ღამე, როცა ნაბანავებს, ქათქათა საცვლებში, საკუთარ ნათელ ოთახში, თეთრ საწოლში გამოეღვიძა, უცებ მიხვდა, რომ ფულის ელვარებამ დააბრმავა. მისი ერთადერთი, მარადიული სიყვარული არ შეიძლებოდა ყოფილიყო კაჭუჭია ბედია...

ჯეროვ

ნაწილი X

თავი I. ქვაბი იდუმალი

უბიწო, პირველყოფილმა სიწყნარემ გამოაღვიძა. მშრალ ნეშოში ჩათბუნებული ვერ მიხვდა სად იმყოფებოდა, როგორ აღმოჩნდა ამ სიბნელეში. ფიქრს დევნიდა, მაგრამ ძალაუნებურად ებადებოდა აზრი. ფრთხილად მოაფათურა ხელი. ვიწრო ხვრელში გაათია ღამე, ნეშო კი ტყეში მოაგროვა. თითებით ყოველმხრივ მშრალ თიხას აწყდებოდა... გასასვლელს წუხელ ლოდი ამოაფარა. ახლა გადასწია. ცივი ჰაერი შემოვარდა, საყელოში შეუძვრა, გააჟრჟოლა. ნეშოში უფრო ღრმად ჩაეფლო. ასე იწვა და გაჰყურებდა ბნელი ტყით მოსილ ხევს.

მდუმარებაში გამოიკვეთა ფლეიტის ხმასავით წმინდა, სუსტი წკანწკარი. ხეობის ძირში მცირე წყარო იკრეფდა ძალას.

არ იცოდა, რა დრო იყო, არც აინტერესებდა. ოდესმე ხომ გათენდებოდა. ღამეს სიმშვიდე მოჰქონდა, დღეს რა უნდა მოეტანა, გარდა ბიწიერი საქმეებისა.

ხან ეჩვენებოდა, რომ ჩაეძინა. ეს წყნარი სიბნელე სიზმარი იყო მხოლოდ.

მშვიდი სიმყუდროვე თვით სულში შემოჭრილიყო, გაეთავისუფლებინა ყოველივე წარმავალისაგან. უსასრულოდ შეიძლებოდა ასე არსებობა. დრო გაჩერდა, ის კი ამ გაჩერებულ დროში ეკიდა. არ არსებობდა რამე, რასაც შეეძლო შეეშფოთებინა მის სულში მიძინებული მოჩვენებები; განიცდიდა მხოლოდ ნეტარებას, უზომოდ ტკბილ მოდუნებას, როცა ერთი კუნთიც არ ირხევა, ერთი აზრი არ შეფარფატდება.

მზეჭაბუკ ბედიამ იპოვა თავისი სამყარო, ვიწრო და ბნელი ხვრელი, სადაც ვერ აღწევდა ვერაფერი გარე არსებული.

სადღაც ტოტებში გაიწკვიტინა უხილავმა ჩიტმა. შეფრთხიალდა. ალბათ იგრძნო, ღამე ტყდებოდა.

ბინდში თანდათან გამოისახა უცნაურად აფუებული, დაგორგლილი ურჩხულები, ტოტებგაბარჯღული ქმნილებანი, დინოზავრების უჩინარ აჩრდილებს რომ ჰგავდნენ.

კვლავ შეაჟრჟოლა. სუსტ ნიავს შემოდგომის ტყის სუნთქვა მოჰქონდა, სურნელება ნეშომპალისა, გამხმარი ყვავილებისა, გადაბერებული ხილისა და კენკრისა, ყვითელი ფოთლებისა, დაკორძებული ხეებისა... ერთად შეზავებულნი ბნელ ღამეშიც ავლენდნენ თავიანთ არსებობას, ოღონდ ისე ჭირდა ცალკეული მათგანის გამოყოფა, როგორც არამუსიკოსს უჭირს სიმფონიური კონცერტის დროს ცალკეული ინსტრუმენტის გამორჩევა.

მზეჭაბუკმა ღრმად ჩაისუნთქა. ფილტვები სუფთა, გრილი ჰაერით აევსო. ის ცოცხალი იყო და ესეც კმაროდა. ბუნება მისგან არ მოითხოვდა მოწამეობრივ ცხოვრებას, სინდისის ქენჯნას, სულისა და სხეულის გვემას. აჰა, ჰაერი, ეუბნებოდა ხეობა, ამიერიდან მისი სამფლობელო, აჰა, წყაროს სუფთა წყალი, აჰა, ხილი... დღისით მზე და ღამით ვარსკვლავები... მეტი რა გინდა, მეტს რას მოითხოვ?

გმადლობთ, ესეც ბევრია, ძალიან მდიდარი ვარ! – პასუხობდა მზეჭაბუკ ბედია.

მართლაც მეტი რაღა უნდოდა?

სიბნელე თანდათან იცრიცებოდა. გამოეპარა წამი, როცა ხვრელის პირას დაკვრანჩხული, ბებერი მუხა გამოიკვეთა.

შესჭახჭახა შაშვმა, გათენება იზეიმა...

„შენ რატომ დარჩი? – გაიფიქრა მზეჭაბუკმა, – შენ რატომ არ გაფრინდი?.. მალე დაჰქროლებს ჩრდილოეთის ცივი ქარი...“

მოპირდაპირე თხემმა გადაკვეთა ცა კიდიდან კიდემდე. სავარცხელივით იდგა ტყე თხემის თავზე, სათუთად ვარცხნიდა მზის ჟანგისფერ სხივებს, რომელიც ცას მოჰკიდებოდა და ხეობის ყოველ კუნჭულში იჭყიტებოდა.

მერე ამოგორდა მზე, გავარვარებულმა ბორბალმა გაირბინა თხემის თავზე, მიღმა კი, ზეცის კიდეზე, ვერცხლისფრად ააბრიალა თოვლიანი მწვერვალები.

მზეჭაბუკი ფორთხვით გამოძვრა ხვრელიდან და მკლავები ტკაცუნით გაშალა...

* * *

ხელები აღმართა, მზეს მიეფიცხა. დილის სითბო სულის სიღრმეში აღწევდა, ასუფთავებდა შხამისაგან, რაც კაცთაგან ამოჰყვა.

„თავისუფლება ბედნიერებაა!“

მზეჭაბუკმა იგრძნო ძალთა მოზღვავება. კუნთები მოითხოვდა საქმეს, ფილტვები ხარბად სუნთქავდა.

მოსწყდა მიწას და ჰაერში შეიკისკასა.

აქანავდა შემოდგომის ხეობა, ოქროსფერი ტყეები თავზე გადმოემხო ჰაერში ატაცებულს, მკერდი გადაუშალა, ჭრელ ფარდაგად განერთხო ფერხთით...

დაკისკასობდა მზეჭაბუკ ბედია, მთელი სხეულით გრძნობდა სიცოცხლის ბედნიერებას, მთელი სხეულით იწოვდა შემოდგომის ჰაერს, მზეს, ტყეთა სურნელებას. ხან აღმა ავარდებოდა ხეობის თავზე, ხან დაბლა ჩამოსრიალდებოდა ნასახლარებისაკენ. თხემიდან თხემს გადაევლებოდა. ყველაფერი დაჰვიწყებოდა, თავისუფლების ბედნიერებას დაეტყვევებინა.

მერე შეყოვნდა, როგორც დაღლილი მოცურავე, ზურგზე გაწვა სადღაც ცის გუმბათქვეშ. ირწეოდა ლბილი ნიავით ნანანავები, ცარგვალი კი თვალებში უღვრიდა მკვეთრ სილურჯეს. თვალებმილულულს კინაღამ ჩაეძინა.

უცებ დაჰბერა გრილმა სიომ, წინწკლები შემოაფრქვია.

ღრუბლის ქულა შემოჰხვეოდა შორეულ, თოვლიან მწვერვალებს.

გაახსენდა, რომ არაფერი ეჭამა.

სწრაფად დაეშვა ხეობაში, წყაროს პირას... სუსტი ნაკადი მოწანწკარებდა. პეშვით შეისხა პირზე წყალი, ყლუპი დალია. ამან უფრო მოაშივა.

ნასახლარში ჩაფრინდა. ტყემალი და მსხალი დაკრიფა, ორიოდე მიჩამიჩებული ლეღვიც იპოვა, იმით ისაუზმა.

„თავისუფალი“ იყო და საქმე არაფერი ჰქონდა.

დაჯდა ხვრელის შესასვლელთან, გაირინდა. ცდილობდა არაფერზე ეფიქრა, უნდოდა ბედნიერად ეგრძნო თავი, მაგრამ მოსწყინდა.

ჯიბეში ხელი მოიფათურა. ფული ამოჰყვა. დახედა. ფული

ცივილიზაციას, ადამიანებს, ახლობლებს ახსენებდა. გული ეტკინა, სევდა შემოაწვა.

„თავისუფლება ბედნიერებაა!“ – გაიმეორა ჯიუტად და ფული ბუჩქებში მოისროლა.

მზემ კი წრებრუნვა მოათავა, დასავლეთის თხემზე დასკუპდა.

მოუსვენრობამ შეიპყრო მზეჭაბუკი, ზე წამოიჭრა, ჰაერში ავარდა. მიფრინავდა მაღლა და მაღლა. ბურუსიანი სივრცეები ფართოდ იშლებოდა. თხემს თხემი გასდევდა. ხეობა ხეობის გვერდით მიიკლაკნებოდა, მთა მთაზე აღზევებულიყო... მზე ნელ-ნელა ეშვებოდა. საღამოს ჟანგისფერი სხივები თანაბრად ეფინებოდა მთათა კალთებსა და ვრცელ ბარს.

ჰორიზონტს ხანძარი წაეკიდა. ცეცხლი მოედო ძირს გართხმულ სივცესაც.

მიხვდა, იქ ზღვა იყო.

ქვასავით დაეშვა ძირს. ტყეში ჩამობნელდა უკვე. ძლივს მონახა თავისი საცხოვრისი, კალთაში შეჭრილი ხვრელი. შიგ შეძვრა, შემოსასვლელს ლოდი ააფარა.

ნეშოში ჩათბუნდა. გარეთ წკაპუნი ისმოდა. ეგებ წვიმა ცრიდა, ან ჯანღმა ნიჟი შეატოვა ტოტებს.

დიდხანს ვერ დაიძინა, შიმშილისაგან კუჭი ეწვოდა...

დილის სიცივემ გამოაღვიძა. ლოდი ცუდად აეფარებინა. გარეთ უსიამოვნოდ ცრიდა. მოპირდაპირე თხემს ღრუბლის ქულა გამობმოდა. მთელ ხეობაში ჩამოწოლილი ღრუბლები ისე პირქუშნი ჩანდნენ, თითქოს წარღვნისთვის ემზადებოდნენ.

უხმო ღვაფი ეფინებოდა ტყეს, წყლით გაიჟღინთა ხე, ფოთლები, მიწა... ხეობის ძირიდან მოისმოდა მომძლავრებული ნაკადულის ჩხრიალი. ჩიტი წკვიტინებდა სადღაც საცოდავად.

მზეჭაბუკს გუნება წაუხდა. ნეშოში უფრო ჩაძვრა. შიმშილმა შეაწუხა. გუშინ მორჩენილი ორიოდე ტყემალი მოწუწნა. მცირე ხნით კუჭი დაუამდა. ასე წოლა მოწყინდა და გარეთ გამოძვრა.

ჩიტივით მოიბუზა, არ იცოდა სად შეეფარებინა თავი.

რაღაც ახალმა აზრმა გამოაცოცხლა. იმ ადგილს მიაშურა, სადაც გუშინ ფული გადაყარა. წვრილი ხურდა ფოთლებში ჩაკარგულიყო, ქაღალდის ფული ნიავს მიმოეფანტა. სათითაოდ აკრიფა.

მერე სწრაფად მოსწყდა ადგილს და თხემთა რიგებს გადაევლო. ფრენისას უფრო სველდებოდა. ზევით აიწია, ღრუბლის ფრთა გაარღვია და მზით აკაშკაშებულ ცისქვეშეთში აღმოჩნდა.

თვალსაწიერზე მიიზლაზნებოდა ვერცხლისფერი ფუმფულა ფარა. აქა-იქ გორაკებზე ამოეშვირათ მწვანე ქოჩრები, მეჩეჩებივით ცნობისმოყვარედ იმზირებოდნენ. არაამქვეყნიურმა მშვენიერებამ წამით საზრუნავი დაავიწყა მზეჭაბუკს.

სოფლის პირას დაეშვა. თავდახრილი მიჰყვებოდა ორღობეს. ჩუმად მიიპარებოდა, როგორც უცხო ჯაშუში მტრის ბანაკში. ჩუმადვე მონახა სოფლის მაღაზია.

ნოქარმა ხელები მოიფშვნიტა, აწუწუნდა, მუშტარი გაწყდაო ამ სოფელში.

მზეჭაბუკს კრინტი არ დაუძრავს. მოზრდილი პური დაითრია, სულუგუნის ნაჭერი, ასანთი, ერთიც ნაჯახი.

ნოქარმა შუბლზე ხელი მიიკაკუნა, ეტყობა ყველაფერი ადგილზე არა აქვსო.

მზეჭაბუკი კი ამ დროს ღრუბლის თავზე მიფრინავდა „თავისი“ ხეობისაკენ; ფიქრობდა, რომ იძულებულია პური მაინც დაესესხოს კაცთ, რომელთაც ზურგი შეაქცია...

* * *

პირველად მარჯვენა კედელს ჩაასო ნაჯახი. თიხა რბილი იყო, ადვილად იფშვნეოდა. მუშაობა მაინც გაუძნელდა. მწოლიარეს უნდა ეთხარა, თიხა სახეზე ეყრებოდა. მთელი საათი ჩიჩქნიდა, მერე პერანგის კალთით გარეთ გაიტანა. საქმე ნელა მიიწევდა. არც ეჩქარებოდა სადმე.

დღეში სამჯერ ჭამდა. ხელისგულისოდენა პურის ნატეხს, ციცქნა ყველს, ორ-სამ ტყემალს, ერთ მსხალს. ხევში ჩაფრინდებოდა ყლუპი წყლის დასალევად. არადა, იწვა და ჩიჩქნიდა.

ტყუპისცალი დღეები წაეწყო ერთმანეთს. ზეცა დილიდან საღამომდე მოქურუშებული იყო, ჟინჟღლავდა, იშვიათად თუ გამოიხედავდა მზე. ორთქლი დაეკიდებოდა ტყეზე, ნისლის ხაფიფი პირბადე ეფინებოდა ხეთა კენწეროებს. აბოლქვდებოდა

მთელი ხეობა. გაუნათდებოდა მზეჭაბუკს, მზეს მიეფიცხებოდა. დიდხანს არ გასტანდა ნეტარება. ისევ მოიღუშებოდა ცა, წამოვიდოდა თქეში, აღრიალდებოდა ხევში მღვრიე ნაკადული. მერე კი მთელი დღე ჟინჟღლავდა და ჟინჟღლავდა.

ერთი კვირის შემდეგ ქვაბში შეძლო მუხლებზე წამოჩოქება, ერთი თვის შემდეგ კი ფეხზე დგებოდა...

პური გამოელია. მეორეჯერ ჩაფრინდა სოფელში, ამოიტანა. ხანდახან, როცა მობეზრდებოდა თხუნელასავით მუშაობა, დააგდებდა ბლაგვ ნაჯახს და ტყეში გავარდებოდა. დაფრინავდა ტოტებს შორის. ხანაც უფრო ზევით გაინავარდებდა, ხილსა და კენკრას ეძებდა. ერთი ასეთი გაფრენის დროს უბე აივსო წაბლით. მეორეჯერ კვრინჩხი იპოვა. მოცისფრო ნაყოფი მჟავე იყო. „ყინვამ უნდა დაჰკრას“, — გაიფიქრა და ადგილი მოინიშნა, უფრო გვიან მოვაკითხავო.

მესამეჯერ პანტა-მსხალს წააწყდა. ფეხით მისეირნობდა ნადირის ბილიკზე.

ათიოდე ნაბიჯზე დათვის ბელი ნახა. შეჩერდა, შორიდან უთვალთვალებდა. ბელმაც შეათვალიერა, პირი იბრუნა. სასაცილოდ მიგვანგვალებდა. მზეჭაბუკი კინაღამ მიეწია, რათა აეტაცა საყვარელი არსება. თავი შეიკავა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვა.

პანტა-მსხალს დედა-დათვი მისდგომოდა და ეჯაჯგურებოდა. მწიფე პანტა ცვიოდა. იქვე მეორე ბელიც მიირთმევდა ხილს.

მზეჭაბუკი შიშმა გაჰკენწლა.

დათვმა წყრომით მოჰხედა. ბურტყუნ-ბურტყუნით ტყეს მისცა თავი. ბელებიც მიჰყვნენ დედას...

დღის უმეტეს ნაწილს კი ნაჯახი ეჭირა და ჩიჩქნიდა გამოქვაბულს...

* * *

თვეც გათავდა და ქვას წააწყდა. მორღვეულ მიწაში იდო. მთელი დღე ეჯაჯგურა, ვერ ამოიღო. გაოფლიანებული, დაღლილი, დაბოღმილი ნეშოში ჩაძვრა და მკვდარივით ჩაეძინა.

დილის სიცივემ გამოაღვიძა, კერიაზე ცეცხლი ჩაფერფლილიყო, ლოდის ამოდება კვლავ დავიწყებოდა. გარეთ წვიმა ასხამდა.

ალბათ ადამიდან მეორედ მოსვლამდე უნდა ეწვიმა. მოქურუშებული ზეცა, წყლით გაჟიჟინებული მიწა და ხე, ნესტით გაჯერებული ჰაერი სევდით უვსებდა გულს.

საუზმე არ გახსენებია, არც ცეცხლის დანთება, სინათლემ შემოაღწია თუ არა, ქვასთან გაჩნდა. ძალას არ ატანდა. ცოტცოტაობით აცლიდა მიწას, აშიშვლებდა, მაგრამ საათი საათს მისდევდა, ბოლო კი ვერ უნახა.

შიმშილმა თავისი გაიტანა. წყაროზე ჩასვლა დაეზარა. ფოთლებში ჩაგუბებული ყლუპი წყალი დალია, ლუკმა პური მოიტეხა და ისევ ქვას მიუბრუნდა. მეორე მხარე შემოაჩიჩქნა... მოულოდნელად ჩამობნელდა. ვერც კი მიხვდა რატომ დაღამდა ასე სწრაფად.

დაღლილობისაგან არაქათგამოლეულს ჩაეძინა.

მესამე და მეოთხე დღეც ქვასთან ჭიდილში გაატარა... საოცრად შეიცვალა. ციებიანს დაემსგავსა. ლოყები ჩაუცვივდა, სახეზე სიყვითლე მოედო. ღონე გამოელია. ვერც ერეოდა, მაინც ეჯაჯგურებოდა. ნაჩიჩქნი თიხა არ გაჰქონდა, ფეხქვეშ დაუგროვდა. უცეცხლობამ ნესტი გააბატონა, ქვაბის კედლები დილდილობოთ თრთვილით იფარებოდა. მთელი ღამე სიცივისაგან ძაგძაგებდა და ვეღარ ხვდებოდა რა დაემართა.

მეხუთე დღეს გონს მოეგო. ქვას თავი მიანება. პურის ნატეხი ჭამა. წყაროზე ჩაფრინდა და ჭუჭყი ჩამოიბანა. გამოცოცხლდა, სიცოცხლისაკენ იბრუნა პირი. გახალისდა, ხეობის თავისაკენ აიქროლა.

ფოთლები დასცვენოდა ტყეს. ბებერი წაბლი და მუხა, იფანი და თელა ასდევდა დამრეც კალთებს. ყვითელ-ვარდისფერ ფოთლებს დაეფარა მიწა, მაღლიდან ძვირფას ხალიჩას მიაგავდა.

ტყის თავზე მიფრინავდა. თავს არიდებდა ტოტებსა და კენწეროებს. მარტოობის ბედნიერებით გულსავსე იყო, რადგან მის გარდა ძე ხორციელი არსად ჭაჭანებდა.

შველი გამოკრთა. მარტო იდგა და ბუჩქებს წიწკნიდა. გვერდებზე მოყვითალო ზოლები აჩნდა. სველი ბეწვი წვიმას დაეგლისა. ტანი უთრთოდა.

მზეჭაბუკის გულში სითბო დაიბადა. მოუფიქრებლად დაეშვა

ძირს, სურდა მოჰფერებოდა, მკერდში ჩაეხუტებინა ნაზი არსება.

დამფრთხალი ცხოველი განზე გახტა, თავდაუზოგავად მოჰკურცხლა ფერდობის გასწვრივ. მზეჭაბუკი ხალისით მიჰყვა. ასე მიჰქროდნენ გვერდიგვერდ, დაწყვილებულნი. ყრმის სული აღტაცებით ივსებოდა. იგი ბუნების შვილი იყო, იგი იყო თვით ბუნება, ვითარცა წმინდა შველი.

უცებ დამთავრდა სერი, ბოლო მოერღვია უფსკრულს. მის ფსკერზე დაკბილული ლოდები ეყარა.

ჰაერში ასრიალდა მზეჭაბუკი, შველმა კი ერთი საცოდავად შეჰკვნესა, პატარა ბავშვივით, და გადაეშვა... თვალი დახუჭა ჭაბუკმა, სისხლი გაეყინა, გულგამეხებული ვერ ბედავდა დაეხედა თავისი ნამოქმედარისათვის. სახეზე ხელებაფარებული ირწეოდა უფსკრულის თავზე, მერმე შემობრუნდა და საცხოვრისს მოაშურა...

ორი-სამი დღე თითიც არ გაუნძრევია. დილიდან საღამომდე გორაობდა. საკუთარ თავთან ლაპარაკს დაეჩვია, ოღონდ უმნიშვნელო რამეებზე. ლანძღავდა ამინდს, ცას, მიწას, ღმერთს და ეშმაკს. ცდილობდა მეხსიერებიდან ამოეგდო დამფრთხალი ცხოველის ჩვენება. ყურს იცობდა, რადგან ყურში ჩაესმოდა მისი განწირული პეტელი... ხანდახან პურს მოტეხავდა და უგულოდ ღეჭავდა. მიწაზე დაცვენილ ნამცეცებს სათითაოდ იღებდა, დიდხანს უბერავდა სულს, ვითომ მტვერს აცლიდა, და პირში იგდებდა. ნელ-ნელა ამტვრევდა ფიჩხს, ნაკვერცხლებზე აყრიდა. სხვა დრო გასუსული იწვა, ნიკაპი მკლავზე დაეყრდნო და ხეობაში იყურებოდა. ვერაფერს ხედავდა, გარდა უხმო წინწკლებისა, ციდან უწყვეტად რომ იცრებოდა.

ერთხელაც ფიჩხი დაილია, ცეცხლი ჩაიფერფლა. იძულებული გახდა გარეთ გასულიყო. ფრენა არ ეწადა. ხოხვა-ხოხვით დაძვრებოდა დაქანებულ ფერდობებზე, რათა ქარისა და მეხის მიერ მომტვრეული ტოტები მოეგროვებინა.

იმდენი დაახვავა შემოსასვლელთან, დიდხანს ეყოფოდა.

გიზგიზა, ბრდღვიალა ცეცხლი დაანთო. ნესტი და სიბნელე განდევნა ცეცხლმა, სითბო და მყუდროება მოიტანა.

გამხიარულდა. მუჭა წაბლი შეჰყარა ნაკვერჩხლებში. ტკაცატკუცი ატეხა წაბლმა, სკდებოდა. ყრმა ხელში აბურთავებდა და

სულს უბერავდა.

დაწოლის წინ, როცა ნეშო გაასწორა, თვალი ჰკიდა ქვას. სულში რაღაც აუწრიალდა, მოთმინება დაეკარგა და კვლავ დაეჯაჯგურა. ძვრა ვერ უყო. უკვე დაბლაგვებული ნაჯახით მიუჯდა. თხრიდა ჯიუტად, ფიცხად. მტკავლისოდენა მიწას მოთხრიდა და იმწამსვე ეტაკებოდა, ცდილობდა ჩამოეგდო. ქვა კი, ეტყობა, ღრმად იდო. ისევ დაავლებდა ხელს ნაჯახს, ისევ თხრიდა და ეჯაჯგურებოდა.

გვიანი ღამე დადგა, ვერ გაერკვია რა დრო იყო. იქნებ გათენდა კიდეც, ისევ დაღამდა. იქნებ ბევრჯერ გათენდა და დაღამდა. მზეჭაბუკს ყველაფერი დაავიწყდა, გარდა მიწაში ჩადებული ლოდისა.

მოულოდნელად შეინძრა ლოდი, ვით ამოსაგდები კბილი. სიხარულის ყიჟინა აღმოჰხდა მზეჭაბუკს. ყოველი იოგი შეუთრთოლდა სხეულში. მოიკრიფა უკანასკნელი ღონე, თლილ ლოდს ჩამოეკიდა.

წამოვიდა... წამოვიდა...

მზეჭაბუკი განზე გახტა, რათა ქვეშ არ მოჰყოლოდა.

ლოდი ჩამოცურდა, წვერზე ჩამოჯდა, აუჩქარებლად გადმოყირავდა. ცეცხლის შუქზე ხუთ ასოს ჰკიდა თვალი ყრმამ და ეს ასოები გადმობრუნებულმა ლოდმა ქვეშ მოიყოლია.

ისეთი ხმა გამოსცა, თითქოს მიწისძვრა ყოფილიყოს. წვრილი ნაპრალებით დაიძარღვა ქვაბის კედლები და ჭერი. ფხვიერი მიწა ცვიოდა ნარღვევში და თანდათან ავსებდა.

ლოდის გადმობრუნება მოინდომა. ვერას გახდა. ჯოხი შემოათრია, ბერკეტად შეუყენა. ლოდი ოდნავადაც არ შექანებულა.

დაღლილობისაგან სახსრები სტკიოდა, წელში ვერ გაიმართა. ასე მოკაკვული მიჩოჩდა და ცეცხლის პირას ჩამოჯდა.

კვნესოდა და ფერფლში ჩხირით ხატავდა სასაცილო ტიკინებს. შეეცადა მეხსიერებაში აღედგინა ის წარწერა. თვალწინ წარმოუდგა ლოდის გადმობრუნების დროს გაელვებული ხუთი ასო და ფერფლზე დახატა ასომთავრული „ჯგრაგ“.

„ჯგრაგ!.. ჯგრაგ!.. ჯგრაგ!..“ – გუნებაში რამდენიმეჯერ გაიმეორა ეს სიტყვა, თითქოს ეცნაურა.

ნეშოზე თავდაღმა დავარდა და უმალვე ჩაეძინა...

გამთენიისას ღრიალმა სმენა დაუხშო, ზედ ცხვირ-პირში მყრალად შეაორთქლეს. ელდანაცემმა თვალი დაჭყიტა. ხელის გაწვდენაზე ველურ თვალებსა და ხახადაღრენილ დრუნჩს შეეფეთა. უცბად გონს ვერ მოეგო, შიშისაგან ხელ-ფეხი შეეკრა, ადგილიდან ვერ დაიძრა.

ქვაბში შემოფორთხებულმა უზარმაზარმა დათვმა შეჰღმუვლა, ელვარე კბილები გამოაჩინა, ყრმისაკენ წამოჩოჩდა.

მზეჭაბუკი ფეხზე წამოიჭრა. ხელი მოაფათურა, ნაჯახი მოიძია, ვერსად იპოვა.

ჩაფერფლილ კოცონს მივარდა, მდუღარე ფერფლი აიტაცა და ნადირს დრუნჩში მიაყარა.

დათუთქული ბეწვის სუნი დადგა.

დათვმა უფრო საზარლად შეჰღმუვლა, ოდნავ უკან დაიწია.

მზეჭაბუკმა მუგუზალს სტაცა ხელი და ნადირს დაუშინა. ემწარა დაუპატიჟებულ სტუმარს. ღრიალებდა და ფორთხვით იხევდა.

ძლივს გაიტანა ტანი ვიწრო ხვრელიდან, ერთხანს კიდევ მოთქვამდა მწარედ, ქვაბის პირას ტრიალებდა.

მზეჭაბუკმა კერას ფიჩხი მიაყარა.

ქვაბიდან კვამლი და ცეცხლის ენები გამოვარდა. დათვმა იკადრა და ტყისკენ მოუსვა.

უკან ორი წამოზრდილი ბელი მისდევდა.

ღონემიხდილი და დაზაფრული მზეჭაბუკი ძირს დაეშვა. კარგა ხანს ვერ დამშვიდდა. მერე შუბლი ხელით მოისრისა, რაღაცას იხსენებდა და ვერაფრით ახერხებდა.

ქვაბის სიღრმეში დაგდებულ ლოდს შეავლო თვალი და თავისთვის გაიმეორა: „ჯგრაგ!“

გაახსენდა: თბილისი... ტატო... გლოვის დღეები... გუჯმახანი და თეთრკაბიანი ბერიკაცი – ჯგრაგ...

თავი II. თეთრი მდუმარება

არ იქნა და არ გათენდა. გრძნობდა, გარე სამყაროში რაღაც შეიცვალა. შეეჩვია წვიმას, ნესტს. ეზარებოდა ნეშოს ლოგინიდან წამოდგომა, გარეთ გასეირნება.

გასასვლელთან მიჩოჩდა. უმოქმედობა აძაბუნებდა. მრავალი საათის განმავლობაში შეეძლო ჩუმად წოლილიყო, თითქოს ლეთარგიულ ძილში ჩაძირულიყო. კუნთებს თანდათან ეკარგებოდა სიმკვრივე. სახეზე დააჩნდა პირველი წვრილი ნაოჭები, მისი ასაკისათვის ნაადრევი.

ქვა რომ გამოსწია, ხვრელში ცივმა ჰაერმა ფუმფულა ფიფქი შემოიტანა და მინავლებულ ფერფლში ჩააგდო, აშიშინდა.

მზეჭაბუკმა ნაკვერჩხლები ამოქექა, ფიჩხი მოაყარა.

კვამლისაგან თვალი აეწვა.

ქვა ბოლომდე გადმოაგორა და თავი გარეთ გაჰყო.

ბარდნიდა.

მუშტისტოლა ფიფქები ტრიალ-ტრიალით ჩამოდიოდა ციდან, შარიშურით ეფინებოდა ხეობას.

ათიოდ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა.

მიწაზე ღრმა თოვლი იდო. ტოტებზე თოვლის გუნდები ახუხულავებულიყო, ბუჩქებს კი უზარმაზარი თეთრი ქუდები ჩამოეფხატათ.

გასაოცარი სიმშვიდე სუფევდა, ფიჩხის ტკაცატკუცი არღვევდა მხოლოდ.

დათოვლილ მიწაზე ფეხი არ დაუკრავს, ისე გაეხვია ფაფუკ ფიფქებში. ქარის მიერ წაღებულ ფთილასავით მიჰქროდა ცაზე. ფიფქი უხვად ეყრებოდა ყოველი მხრიდან, უძვრებოდა ნესტოში, პირში, თვალებში, საყელოში... უცაცუნებდა ლოყებზე, შიშველ მკერდზე.

წამიერი სიხარული ეწვია. თამაშ-თამაშ დაჰქროდა. ხან ზურგზე გადაბრუნდებოდა, ხან თავდაღმა. ხან ზევით ავარდებოდა, კვლავ დაბლა ეშვებოდა. მისხმარტალებდა როგორც ჭორომზე აღმა მოცურავე კალმახი, არაფერი ახსოვდა, გარდა თამაშისა ფიფქებთან, რომელთა მიღმა არც ცა ჩანდა, არც მიწა.

გვიან გაახსენდა, რომ გზა დაკარგა. ვერ გაერკვია სად იყო „ზევით“, სად „ქვევით“. ფიფქები ყოველი მხრიდან მოფარფატებდნენ მისკენ და არსაიდან მეტი არაფერი ჩანდა.

გაუარა ბავშვურმა სიანცემ, დადინჯდა. სწრაფად დაეშვა, საკუთარ სიმძიმეს მიენდო. კარგად ვერ გაზომა, ფაფუკა თოვლში ჩავარდა. მიწა ეგონა, მაგრამ თოვლი მოირღვა და სადღაც ქვევით მოატანა ბათქანი. უზარმაზარი ფიჭვის კენწეროზე ჩამომჯდარიყო.

არ ახსოვდა ეს ფიჭვი, ადგილი ვერ იცნო.

შესცივდა. სველი ტანსაცმელი ეკვროდა ტანზე.

ხან ერთ მხარეს გაქანდა, ხან მეორეს. ტყის თავზე დაფრინავდა. ერთ, მთლიან გორგალს მიაგავდა თოვლით დაფარული ტყე; უფრო რეცხვისგან დაფლეთილ ზეწარს, რომელსაც აქა-იქ ტიტველი ხეები შავ ლაქებად აჩნდებოდა.

მთის ფერდობებს წააწყდა, თეთრი კედელივით აღმართულიყო და ფიფქები ზედ აწყდებოდა. იქნებ გაღმა სერი იყო, ან გამოღმა, ან სულაც სხვა.

სერს დაუყვა გასწვრივ, ბოლო ვერ იპოვა.

მოსწყინდა უგზოუკვლოდ ხეტიალი. დაიღალა, გაითოშა, მოშივდა.

უკვე არ ახარებდა ეს ბნელი სითეთრე, ვერასოდეს გაიგნებდა აქედან გზას. დიდხანს მიფრინავდა აღმა, ფიფქების საპირისპიროდ. ფიფქებმა თავზე თეთრი ქუდი ჩამოაცვეს, მხრებზე ეპოლეტები ჩამოჰკიდეს.

სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა თვალსაწიერი, იზღუდებოდა თეთრი სივრცე. ვიღაცამ თეთრ სფეროში ჩასვა ალბათ და მასთან ერთად ჩაამწყვდია ფიფქები – თეთრი პეპლები. ზის ახლა ეს გიგანტი მთის წვერზე და ერთობა მზეჭაბუკის ტანჯვით.

ღრუბლები და ფიფქები ერთმანეთში აირია. აქ ცოცხლდებოდა ფიფქი, მაგრამ გათოშილ ჭაბუკს უკვე არაფერი აინტერესებდა.

უცებ ამოიჭრა ღრუბლებზე მაღლა და მზის ცივმა სხივებმა შემოაფრქვია...

მზე დაბლა იდგა. თითქოს სულ ახლახან გათენდა, მაგრამ უკვე დასალიერში ჩაგორებულიყო. სპილენძისფერი საჰაერო

ბურთივით მიტივტივებდა ღრუბელთა უკიდეგანო ოკეანეზე. იძირებოდა და, მთელ სივრცეზე, ღრუბელთა უსწორმასწორო ზედაპირი განემსჭვალა სისხლისფერი მახვილით. ცეცხლი მოჰყვებოდა ღრუბელთა კუნტებს, სუსტი ალი გარბოდა თივთიკა ქოჩორზე... ყრმა ჩაეშვა ალში, ოღონდ ცივი იყო იგი... თვით მზეც გაეყინა, გაეთოშა ზამთარს, მოჩვენებითღა ბრჭყვიალებდა.

სივრცის ცენტრში ტორტმანებდა მზეჭაბუკ ბედია. არსად ჩანდა მყარი საყრდენი, რაზეც შეძლებდა ფეხის დადგმას. ყოველივეს დაეკარგა ფორმა, დაბრუნებოდა ქაოტურ საწყისს. ღვთაებრივი ვნება იყო საჭირო, რათა წესრიგი აღმდგარიყო.

ერთხანს დანავარდობდა ვარდისფერი ოკეანის თავზე, გარბოდა ღრუბლის ქოჩორზე. სიმძიმეს ვერ უძლებდა ფაფუკი ქულა, წელამდე ეხვეოდა შიგ, ისევ ამოსრიალდებოდა. ეძებდა მიწას, მიწა კი მისგან დაფარული იყო. ის გაექცა თავის შვილს, გაითქვიფა კოსმიურ უსასრულობაში.

ზამთრის პირზე დაკარგა მზეჭაბუკმა თბილი ბუნაგი. მოენატრა ის ბნელი სორო, კვამლიანი ჰაერი, თვალებს რომ წვავდა, ნახევრად დამპალი ტყემლის ჩირი, პურის ხმელი ქერქი, დაობებული ნეშო, ბუმბულის საბანს რომ ერჩივნა... თვალს არ იტაცებდა პირველყოფილი სამყაროს მშვენიერება, რადგან ცაში დაკარგულს ძილი წამოეპარა...

თეთრ ღამეში, როცა მხოლოდ თოვლის ფიფქი ანათებს, მიაგნო ნაცნობ ფერდობს. ღონე გამოელია. თოვლში ჩაეშვა. ფეხზე ვეღარ დადგა. ძლივს ამოძვრა ნამქერიდან. თავს ძალა დააატანა, ხოხვით შეძვრა საცხოვრისში. ფერფლი გადაქექა, სუსტი ნაკვერჩხლები გააღვივა, ფიჩხი მიაყარა... მერე დავიწყების თბილ მორევში ჩაეშვა, მრუმე სიღრმეში... წაიქცა ნეშოზე და ბურანში გაეხვია... ხან სიცივისაგან აძაგძაგებდა, ხანაც სიცხისაგან ოფლად იღვრებოდა, ცდილობდა არარსებული საბნის გადაგდებას. აბოდებდა, უხმობდა დედას, ფაცის, როგნედას და რატომღაც სხვაზე ხშირად მზიას... ესიზმრებოდა: მზია მოფრინავდა მზით გასხივოსნებულ უკიდეგანო სივრცეში... ვითომ ეძებდა ყრმის ქვაბს იდუმალს... მონახა კიდეც, შემოფრინდა, თავთან დაუჯდა ... წამში ყველაფერი გაქრა, შლეგივით წამოვარდა, ცეცხლი

კერიიდან ნეშოს გადმოყვა და ახლა მის პერანგს შემოჰხვეოდა... თვალი დააჭყიტა დამფრთხალმა. სრულ სიბნელეში იწვა. ფიჩხი კვლავ ჩაფერფლილიყო... ისევ დაეცა და ისევ ბურანში ჩაიძირა...

მერე საბოლოოდ მოიხედა. სიცივისაგან გათოშილს აძაგძაგებდა. ნეშო ვეღარ ათბობდა. ცეცხლი დიდი ხნის ჩამქრალი იყო. პურის ყუა ქვას უფრო ჰგავდა. თავბრუ ეხვეოდა, სუნთქვა უჭირდა. ასანთი გაჰკრა, წუმწუმამ სუსტად გაიელვა და ჩაქრა. წამოდგომა ვერ შეძლო. თავი რომ წამოსწია, საშინლად ემძიმა.

მიხვდა, ცოცხლად იყო დამარხული. ჰაერი არსაიდან შემოდიოდა. გასასვლელამდე მიხოხდა. ქვა არ აუფარებია, მაგრამ, სადაც ხვრელი ეგულებოდა, თეთრი კედელი დახვდა.

„რა ბევრი მოუთოვია“, – გაიოცა. ღმერთმა უწყის, რა დრო იყო გასული, როდის შემოძვრა ამ ხვრელში, რამდენი ხანი ისუნთქა ამ მოწამლული ჰაერით.

მზეჭაბუკმა ერთხელაც უხმო ღონეს, ცულით დაუწყო თოვლის კედელს თხრა. სვენებ-სვენებით მუშაობდა. ბევრი არაფერი გაუკეთებია, შუბლზე ოფლის ღვარი მაინც გადაასკდა.

ბოლო მოქნევაზე ცული ხელიდან გაუსხლტა და თოვლში გადაუვარდა.

ვიწრო ნასვრეტში სუსხი და მზის ჭყეტელა სხივი შემოიჭრა.

მხოლოდ მაშინ მონახა მიწაზე დაგდებული პურის ყუა და ლოღნა დაუწყო...

* * *

ჰაერი გასუფთავდა, მაგრამ სუსხიც შემოვიდა. იჯდა ერთ ადგილას, აძაგძაგებდა. შეშისათვის გასვლა ეზარებოდა. სიცივე აუტანელი შეიქნა.

მზეჭაბუკი წამოიმართა, თავის ნებაყოფილ ციხეში აწრიალდა. თანდათან გათბა, ღონე მოემატა.

უნებლიეთ თვალი მიაყინა იმ ლოდს, კედლიდან რომ ამოთხარა.

გაიხსენა თბილისი, ტატო, უცნაური სიტყვა „ჯგრაგ“.

შეეცადა ლოდის გადმობრუნებას. ხან ერთი მხრიდან დაეტაკა, ხან მეორედან. ვერსაიდან მიუდგა.

შრომამ გაახალისა. პურის დაძველებული ყუა ეგემრიელა.

იმ ადგილიდან, საიდანაც ლოდი ამოჩიჩქნა, მიწა ჯერაც იფშვნეოდა. საქმე გაიჩინა. ნაჯახის ყუით გადმოხვეტა. ფხვიერი მიწა ადვილად ემორჩილებოდა. ნაჯახი გადადო, ხელებით მოხვეტა. სულ მალე თვითონ რომ შეეტეოდა, იმოდენა ხვრელი გაკეთდა.

ასე შეეძლო თვეობით ეთხარა. ვინ იცის სად გაიყვანდა ეს ჯირგინი, ვიღაცას რომ უხსოვარ დროს გაეთხარა და დროის განმავლობაში მტვრითა და მიწით ამოვსებულიყო.

ცნობისმოყვარეობა ერეკებოდა.

მთელი დღე თხრიდა, მერე გვიან ღამემდე.

დაღლილი დაეცა. როცა შესცივდა, კვლავ წამოდგა, სიბნელეში ბრმად განაგრძო თხრა.

მხოლოდ ერთი კვირის თავზე მოისვენა, როცა არც ფიჩხი შემორჩა, არც პურის ნამცეცი. ხვრელი კი სადღაც ოხრობაში ჩადიოდა და ბოლო არ უჩანდა.

დაღონებულმა სისხლიანი ფრჩხილებით უკანასკნელად მობღოჭნა მიწა და მყარ საგანს წაჰკრა ხელი.

კვლავ გამოცოცხლდა. ჯილდო უნდა ეპოვა შრომის წილ. სიბნელეში ვერაფერს ხედავდა. მიწა ფრთხილად შემოაცალა და თავისკენ გამოსწია.

უსაშველოდ გრძელი მოეჩვენა. ფორთხვით გამოძვრა ჯირგინიდან. მიწაყრილზე ჩამოჯდა, ნაპოვნი განცვიფრებით დაათვალიერა.

ხმალი იყო, უწრთობი, პირბლაგვი. ოქროს ვადა ჰქონდა ხმალს. ზედ მთათა გრეხილი ამოეტვიფრა ლითონმჭედელს. მწვერვალის თავზე არწივს გაეშალა ფრთები.

მეორე მხრიდან კი წვრილი მძივივით ასომთავრულით კუთხეში ეწერა ის ერთადერთი სიტყვა: ჯ გ რ ა გ.

სული შეეხუთა, ქვაბი ევიწროვა...

გარეთ გამოვიდა და წამში თვალის ჩინი წაერთვა...

ათიოდე წუთი ხელაფარებული იდგა, ვერ ბედავდა თვალის გახელას. ცოტცოტაობით შეაჩვია, მაინც უჭირდა...

მთელი ხეობა აღმა და დაღმა მზეს ამოევსო პირთამდე. ულურჯესი ციდან იღვრებოდა მზე. ქათქათა თოვლში ტყდებოდა აღურაც-

ხელი ცეცხლის ისარი. თეთრი ელვარება გადადიოდა კალთებზე, ათასი მზე მიმოპნეულიყო ირგვლივ. კაშკაშა სხივი მსჭვალავდა ხეებსა და ბუჩქებზე ჩამორიგებულ თოვლის ქუდებს... ვიღაცას გაეხსნა თვალ-მარგალიტით სავსე ზანდუკი, დახურვა კი დავიწყებოდა.

გაიხარა მზეჭაბუკმა. მირიად ათინათებში გაინავარდა, როგორც ციცინათელების გროვაში, ცისარტყელებით დასერილ ჰაერში, ბენგალური ცეცხლის ნაპერწკლებში, ციდან ჩამოკიდებულ ფერად სერპანტინებში... თვით დედა-ბუნება აწყობდა საზეიმო ფეირვერკს თავისი შვილისათვის... დიდხანს ვერ გასტანა სიხარულმა. სუსხი შემოეჭდო ჯალათის მარწუხებით, ილუზია განუფანტა...

ხმალი ქვაბში დამალა. თვითონ სოფლისაკენ დაეშვა, რათა პური და ყველი ამოეტანა, ჩვეულებრივი მიწიერი საზრდო, რასაც ჩაის კრეფით ნაშოვნი ფულით იძენდა...

* * *

იმ საღამოს პირველად გაიგონა მგლის ყმუილი. ჩამავალი მზის სხივებს შეჰყმუოდა სერზე გადმომდგარი მგელი. მისი შავი ლანდი იკვეთებოდა ცის ფონზე.

მზეჭაბუკი ფიჩხს აგროვებდა და სანახაობამ შეაყოვნა. თავზარდამცემი იყო ეს უსასოო მოთქმა.

მალე სხვა მხრიდან მისცა ბანი ხროვამ და ყრმა სასწრაფოდ განერიდა იმ ადგილს.

ქვაბის შემოსასვლელთან გიზგიზა კოცონი გააჩაღა.

გუგუნებდა ალი, ცეცხლის ენები ხარბად ლოკავდა ხმელ ტოტებს. ქვაბი აივსო სითბოთი და სინათლით.

პირდაპირ მიწაზე იჯდა. ცეცხლს ჩაჰყურებდა, ბუტბუტებდა ხმადაბლა, თვითონაც არ უწყოდა რას. უნანავებდა საკუთარ თავს.

წასთვლიმა, თავი წაართვა ძილმა.

წინ და უკან ირხეოდა მთვლემარე მზეჭაბუკი, ბუტბუტებდა, ცეცხლს უხსნიდა სიყვარულს.

შორს კი, სერზე მგლები ყმუოდნენ, ყინვა უჭერდა, ჩათბუნებულ დათვს ეძინა ბუნაგში. ცას შესეოდა ირმის ნახტომის ვარსკვლავეთი.

უცბად გაიხსნა კედელი და პირდაპირ კოცონზე გადმოალაჯა თეთრწვეროსანმა ბერიკაცმა. თეთრი კაბა ეცვა. წვერი იატაკამდე მოსთრევდა. ცეცხლის ალი ეტანებოდა, არ კი ეკიდებოდა. ლურჯ თვალებში ღვთაებრივი შუქი კრთოდა.

ხელი აღიღო ბერიკაცმა. აკურთხა ყრმა ბედია და წარმოთქვა:

„აღსდეგ, შვილო ჩემო, და შეეწიე ნაშიერსა ადამისასა!“

შეკრთა მზეჭაბუკი, ზე წამოიჭრა. ბრიალა ცეცხლი მინავლებულიყო. ნაკვერჩხლები მეწამულ შუქსა ჰფენდა.

არავინ იყო. თავისი გულის დაგადუგი ესმოდა ცივი ღამის მდუმარებაში.

ხეობის ქვევით კვლავ შეჰყმუვლა მგელმა. გაჰკენწლა მზეჭაბუკს, არ მოეწონა.

სწრაფად გავარდა გარეთ, კაკაჩა ღამეში გაეხვია...

თავი III. ბავშვი

მიისწრაფოდა.

ბურანში იყო გახვეული, ვერცხლისფერ ნისლს მიარღვევდა თითქოს. სამყაროს სიმქრქალე ეფინა, უნაზეს ფერებად სხივდებოდა.

კაკაჩა მთვარე ეკიდა ცაზე. გიგანტური გვირგვინი ედგა ვერცხლის ჯიღასავით. ვარსკვლავები ცდილობდნენ მეტოქეობას, ვერას ხდებოდნენ. მთვარე ბატონობდა, ვერცხლისფერი ნისლით ავსებდა მთელ ხეობას.

მიისწრაფოდა, მისრიალებდა, როგორც მოთხილამურე გიგანტურ სლალომზე.

თოვლში ჩამკვდარი ხეობა, არარეალურ, სიზმრისეულ სურათად ეხატებოდა.

ხეები პირქუშ ჩონჩხებად აჩაჩხულიყვნენ. პიტალო კლდეებზე მძიმე ფარდებად ეკიდა ვერცხლის ლოლუები. თოვლქვეშ ჩაკარგული ნაკადული ცოცხლდებოდა ზოგჯერ, ჭორომებსა და პაწია

ვარდნილებზე ჩხრიალებდა, ტანზე მთვარის შუქს იპნევდა, ფანტავდა წინწკლებს — ვერცხლის მძივებს.

ყრმა აითქვიფა ამ ზღაპარში. დაავიწყდა, რამ გამოაგდო ბნელი სოროდან, საით მიჰქროდა ასე გამეტებით, რა უნდა მოემოქმედა.

სუსხიანმა ქარმა ჩაიკრა მკერდში, შემოათოშა ტანისამოსი, ააძაგძაგა.

ქვევით ბნელ ტყეში შეჰყმუვლა მგელმა. ღმუოდა გაბმულად, შიშსა და სევდას აღვიძებდა. ხროვა აჰყვა უმალ, შემზარავი გალობა დაეკიდა ვერცხლისფერ ღამეში.

მზეჭაბუკმა იქითკენ გაუხვია.

თოვლიანი ველი გამოკრთა. მთვარის შუქზე უამრავი ნაკვალევი დაინახა. დიდ ხროვას გაევლო ეტყობა.

დაბლა დაეშვა, მიჰყვა ნაკვალევს.

წინ კვლავ აყმუვლდა ხროვის ბელადი. უცბად მიეახლა ყრმა ბედია. კბილებმა გაიწკაპუნა სულ ახლოს.

ელვის უსწრაფესად აიჭრა ჩონჩხადქცეული ხის ტოტზე, ზევიდან დააცქედა.

ალყა შემოერტყა ხროვას ხისათვის. ისხდნენ წრეზე, ხანდახან გააწკაპუნებდნენ კბილებს. წამოდგებოდა ბელადი, გადმოდგამდა რამდენიმე ნაბიჯს, ჩაცუცქდებოდა, შეჰყმუვლებდა. სხვებიც იმ ერთს მიჰბაძავდნენ, წინ გადმოირბენდნენ, სევდიანად შეჰქვითინებდნენ კაკაჩა მთვარეს, დასცემდნენ ზარს, თითქოს რაღაც რელიგიურ რიტუალს ასრულებდნენ.

ალყა თანდათან ვიწროვდებოდა.

დააკვირდა მზეჭაბუკი. უცბად ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა ყოველივე ეს. ზედ ხის ძირში რაღაც არსება მოკუნტულიყო და გაუგებარ ზმუილს გამოსცემდა.

ფრთხილად დაეშვა დაბალ ტოტზე, თვალი ხროვისაკენ ეჭირა. აშკარად გაარჩია უხმო ჩივილი: „დედიკო, დედა, დედიკო, დედა...“

ფიქრის დრო აღარ იყო. წამში დაეცა ყრმა ბედია, ხის ტოტზე აიტაცა გათოშილი, შიშისაგან გონდაკარგული არსება.

საზარლად შეჰყმუვლეს მგლებმა, ნადირი მოაწყდა ხის ძირს, თათებით დაუწყეს ფხოჭნა. ხროვის ბრაზიანი ბელადი მაღლა შეხტა, ჰაერში კბილი გააწკაპუნა, მაგრამ მზეჭაბუკმა ნადავლი

მკერდში ჩაიკრა და ზევით-ზევით მიიკვლევდა ტოტებში გზას...

ათიოდე წუთი გავიდა, რაც სიზმარმა წამოაგდო, მთვარიან ღამეში ანავარდა და რაღაც შეიცვალა, გადატყდა მის სულში.

ზამთრის გრძელი ღამე არ თავდებოდა. მთვარე ვეშაპმა გადასანსლა, ვარსკვლავები მომძლავრდნენ, ბნელი ჩაეჭდო ხევს...

მალე უნდა გათენებულიყო.

ყრმის სულში უნაზესი სიმი თრთოდა, აზრი მღეროდა, იბადებოდა მუსიკა. გული გაუთბა. ისე უცემდა, ხეობის ერთი ბოლოდან მეორეში მოისმოდა მისი ფართქალი.

მკერდში ჩაკრულ არსებას პაწია ხელები კისერზე შემოეჭდო. შიშისა და დაღლილობისაგან გონი დაეკარგა, ან სულაც ეძინა.

ნეშოზე დააწვინა ფრთხილად, ცეცხლი გააღვივა, ცეცხლის შუქზე პირველად დახედა გადარჩენილს.

სამი-ოთხი წლის ბავშვი იქნებოდა. ღრმა ძილით ეძინა. ხანდახან თუ შეთრთოლდებოდა, სატირლად დაებრიცებოდა პაწია ტუჩები, ნაფიქრალი გაფოფინდებოდა ჰაერში: „დედიკო, დედა, დედიკო, დედა...“ ოქროსფერი, ხუჭუჭა თმა შუბლზე ეყარა, ნეშოში არეოდა. ბიჭურად ეცვა, მაგრამ გოგონა უნდა ყოფილიყო.

ყრმა სასოებით შეეხო ბავშვის ლბილ თმას. შეშინდა, გავაღვიძებო. მოშორდა. რაც ტანისამოსი ჰქონდა, ყველაფერი მას დააყარა. თვითონ კი თითქმის შიშველი კერიასთან მოიბუზა და ცეცხლს შეუკეთა.

ასე გაათენა დილამდე, უფრო სხვა სითბოთი გამთბარმა, ვიდრე ცეცხლის სითბო იყო.

გარიჟრაჟზე კი, როცა უნებლიეთ წასთვლიმა, უცბად წკრიალა ხმამ გამოაღვიძა:

— შენ ვინა ხარ?

მზეჭაბუკი შეკრთა. გამოფხიზლდა. ბავშვს თავი წამოეყო. თვალებში გაოცება ეხატა, შიშიც, ცნობისმოყვარეობაც.

— ხომ არ გეშინია? – გაუღიმა ყრმამ.

— არა, — ყოყმანით თქვა ბავშვმა, მოულოდნელად დაუმატა, — თუ არ შემჭამ!

— აბა, რა მიგავს კაციჭამიას? – გახალისდა მზეჭაბუკი. გულში სიხარული ჩაუგუბდა, ამას ვერ ფარავდა.

— შენ მაუგლი ხარ! – დაასკვნა პატარამ.

— მზეჭაბუკი მქვია, შენა?

— დედიკო კუდაბზიკას მეძახის, ისე კი ლელა ვარ, — გადაიკისკისა. ნეშოს საწოლიდან ჩამოფოფხდა, ცეცხლის პირას ჩაუცუცქდა. შიში უკვე არ ემჩნეოდა. ლურჯ თვალებს აცეცებდა ცნობისმოყვარედ.

— შენ მე მომიტაცე? – იკითხა გახარებულმა, – შენ მეფის შვილი ხარ?

— ჰო, მეფის შვილი ვარ, უფლისწული. ჩემი სასახლე აქედან შორსაა.

— მე შენი ცოლი ვიქნები?

მზეჭაბუკი გაწითლდა. გოგონა გულუბრყვილოდ შემოსციცინებდა.

— სულელო, მე შენი უფროსი ძამიკო ვიქნები.

— თმა რატომ გაქვს გოგოსავით?

მზეჭაბუკმა თავზე გადაისვა ხელი. ოქროს თმები ამ ბავშვივით მასაც მხრებზე ეყარა. რბილი წვერ-ულვაში წამოზრდოდა, სახე ფრესკაზე დახატულ იესოს მიუგავდა.

— ღარიბი უფლისწული ვარ, სასახლეში პარიკმახერი არა გვყავს.

— არა გყავთ? – გაიხარა გოგონამ, ახლოს მოიწია, ყრმის გვერდით დასკუპდა, – მშია!

მზეჭაბუკმა პური და ყველი მიაწოდა.

— ეს არ მიყვარს.

— მეტი არაფერი მაქვს.

— აკი მეფის შვილი ვარო?

— მერე რა? მეფის შვილებიც ყველსა და პურს მიირთმევენ. როცა ერთ ლუკმას ჩაკბეჩენ, ეს ხაჭაპურიაო, იტყვიან, მეორეს რომ ჩაკბეჩენ, ეს ნამცხვარიაო, მესამეს – ეს შოკოლადიაო, თუ გინდა ნაყინი დაარქვი, ან ბროწეული, რაც მოგეწონება.

— ეს ნაყინია, — კრიალა კბილებით ჩაკბიჩა პატარამ, თან სიცილს ძლივს იკავებდა.

მზეჭაბუკი ლბილ თმებზე მოეფერა. ბავშვი ნდობით აეკრა.

— მეტი არ მინდა.

— გინდა ჩქარაჭამობია ვითამაშოთ?

— რომ არ ვიცი!

— გასწავლი, — თვითონაც მოიტეხა პური, ყველი ვერ გაიმეტა თავისთვის.

— მე უფრო ჩქარა, მე უფრო ჩქარა... – კისკისებდა ბავშვი.

მზეჭაბუკის გული გალღვა და უცებ, თავისდაუნებურად, თვალთაგან ცრემლი წასკდა, სახეზე ხელი აიფარა.

ბავშვი გაყუჩდა, შეშინდა, მერე ხელი მოჰკიდა.

— ძამიკო, ნუ ტირი, რა! აი, ნახავ, მე შეგიყვარებ!

მზეჭაბუკმა ბავშვი მიიზიდა და როცა პაწია მკლავები კისერზე შემოეჭდო, ადამიანებს აპატია ყოველი...

* * *

თვითონაც გაბავშვდა. მთელი დღე ერთად თამაშობდნენ. ანცობით აიკლეს ხეობა. ბავშვის ხალისიანი კისკისით გამხიარულებული დაღლას ვერ გრძნობდა.

გუნდაობდნენ. ლელა ცდილობდა თოვლის გუნდა მოეხვედრებინა. ყრმა იცდენდა. იშვიათად, ვითომ ვერ გავასწარიო, მოიხვედრებდა. ბავშვი სიხარულისაგან ჩაბჟირდებოდა, თოვლში იწყებდა კოტრიალს, ფართხალს. ზოგჯერ ყრმა ტოტს შეარხევდა, წვრილ ფიფქებს დააყრიდა თავზე. მაშინ პატარა გოგო ჭირვეულად აწივლდებოდა:

— არ გინდა რა, ცივია რა!..

სულაც არ გაჰკვირვებია ფრენის უნარი მზეჭაბუკისა. ყრმა ბედია ხიდან ხეზე ციყვივით ხტოდა, ან მოულოდნელად ჰაერში ყირაზე გადავიდოდა. ლელა ხელებს ჰაერში იწვდიდა, ეხვეწებოდა:

— მეც ამიყვანე, მეც ამიყვანე!..

მზეჭაბუკი გულში ჩაკრულს აიტაცებდა, ხეობაში აღმა-დაღმა გააქროლებდა. პაწია ჩააფრინდებოდა, წივილ-კივილით ქვეყანას აქცევდა.

— დამსვი რა, მეშინია რა, არ მინდა რა!.. — იხვეწებოდა.

თოვლის პაპა გააკეთეს. მზეჭაბუკმა უზარმაზარი გუნდა დააგორა. ლელაც ვითომ ეხმარებოდა, ფეხებში ებლანდებოდა.

შესასვენებლად რომ შედგებოდნენ, გაწითლებულ ხელებს გამოუწვდიდა, საცოდავად იტყოდა:

— მცივა!

მზეჭაბუკი გუნდას თავს მიანებებდა, ბავშვის წინ დაიჩოქებდა და მის ხელებს თავის ხელებში ჩამალავდა, სულს უბერავდა, თითებს უკოცნიდა.

— აი, ამ თითს ცივა, — იტყოდა ეშმაკუნა, — ახლა ამას... ახლა ამას...

ასე დაუკოცნიდა ათივე თითს და თოვლის გუნდას მიუბრუნდებოდა.

ძლივს წამოაყენა ქვაბის შესასვლელთან თოვლის კოლოსი. მხრებზე ნესვივით წაკოხილი თავი დაადგა. თვალების ადგილას ორი ნახშირი მიაწება, პირის ადგილას ჯოხი, ცხვირზე კი — ფიჭვის გირჩა... ხელში ნაძვის ტოტი, ვითომ ცოცხიაო...

— ეს იქნება ჩვენი მეეზოვე, დარაჯი და ვეზირი... — დოინჯი შემოიყარა, თვითონაც მოეწონა ნახელავი.

პატარა ლელა მთლად გადაირია, დახტოდა თოვლის პაპის ირგვლივ, კისკისებდა და კისკისებდა, სანამ არაქათი გამოელეოდა.

ზედმეტად გადავღალეო, მზეჭაბუკმა ბავშვი აიტატა, ქვაბში, რბილ ნეშოზე მიაწვინა და კოცონი გააცოცხლა.

გოგონას თვალები ებლანტებოდა, მაინც მადიანად შეექცეოდა ღარიბულ ვახშამს, პურის გამხმარ ქერქსა და წვნიკ ყველს, თან უმატებდა:

— ეს ნაყინი კი არ არის, მანანის ფაფაა... ეს ბრინჯისა, ცხელია, პირი დამეწვა...

თვალები დახუჭა, გაუგებრად ბუტბუტებდა.

მზეჭაბუკმა სასთუმალი გაუსწორა, გვერდით მიუჯდა.

ბავშვი ძილში ოხრავდა. მის მარტივსა და გულწრფელ სიზმრებში თბილი და ყველაზე ახლობელი — დედა ტრიალებდა.

თითქოს თავიდან უმეორდებოდა წინა ღამის თავგადასავალი...

აი, სახლიდან გამოვიდა, ეზოდან გაიპარა, თოვლის პაპასთან მიდიოდა.

ტყე კი ძალზე ლამაზი და მყუდრო იყო. მზის სხივები თოვლში ბრჭყვიალებდა. თამაშ-თამაშ მიდიოდა ლელა. თოვლი კი სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა. დაიღალა. თამაშის ხალისი დაეკარგა. უცებ ნახა, რომ ტყეს ბინდი წამოეპარა.

მერე ყველაფერი აერია.

„დედა... დედიკო...“ — ჯერ ხმამაღლა ღნაოდა. შემდეგ ხმა ჩაუწყდა. მიდიოდა და მიდიოდა, არ იცოდა საითკენ. ამასობაში დაღამდა.

გათოშილი, დაღლილი ჩაცუცქდა დიდი, ბნელი ხის ქვეშ და ტყეში გაისმა მგლის საზარელი ყმუილი.

— დედა! — იკივლა ბავშვმა და წამოვარდა. დაფეთებულმა მზეჭაბუკმა ხელი შეაგება, მოეფერა.

— ნუ გეშინია, პატარა დაიკო, ნუ გეშინია, გესიზმრა მხოლოდ... ნუ გეშინია...

— დედიკო მინდა! — დაისლუკუნა ბავშვმა.

— გათენდება და მოვძებნით შენს დედიკოს, ნუ გეშინია.

ალერსით ცდილობდა ლელას დაშოშმინებას, თავს ილანძღავდა, პატარასავით თამაშში გავერთე, ბავშვის მშობლები კი დამავიწყდაო.

— დედიკო მინდა... — სლუკუნებდა ბავშვი, ღრმა ძილში ეშვებოდა, სადაც ბნელ თოვლიან ღამეში მარტოდმარტო რჩებოდა ხროვის წინაშე.

— ჰო, ჰო, მოიძებნება შენი დედიკო, — ჩურჩულებდა მზეჭაბუკი. ესმოდა მფრთხალი სულის ფართქალი. მერე კი ძილმა მასაც თავი წაართვა, ბურანში ჩაიკარგა.

ბავშვთან ჩახუტებულს გამოეღვიძა. განძრევისა ეშინოდა. თვალს ადევნებდა, თუ როგორ მოიპარებოდა დილის სინათლე ქვაბში და ბინდიდან თანდათან იკვეთებოდა სახე ანგელოზისა.

წამწამი ააფახულა, თვალი გაახილა, ამოიხედა.

— დედიკოსთან წამიყვანე, თორემ არ გეთამაშები!

— კი მაგრამ, ვისი ხარ?

— დედიკოსი და მამიკოსი!

— ასევე უნდა ვეძებოთ? დედიკო და მამიკო...

— ჰო, ლელას დედიკო და ლელას მამიკო!

— სად ცხოვრობ?

— სოფელში.

— რა ჰქვია იმ სოფელს?

— სოფელიაო, ასე ამბობს ბებია.

ყრმას გაეცინა.

— რა გაეწყობა, გავწიოთ შენი სოფლის მოსაძებნად!

ბავშვი ზურგზე ქამრით მიიკრა. ლელამ კისერზე მკლავები შემოჰხვია.

— მაგრად ხომ ხარ? არ გადმოვარდე!

— არა! — შიში არ უგრძვნია. უფლისწულს მიენდო, ზღაპარი ხომ სინამდვილე იყო.

მზეჭაბუკი ყვრიმალთან გრძნობდა ბავშვის სუნთქვას. გული სითბოთი ევსებოდა, თითქოს მისი პირმშო შემოჰხვეოდა კისერზე, ელაციცებოდა.

ცა იყო სუფთა, ლურჯი, ღრუბლის ფთილაც არსად ჩანდა.

დიდი კავკასიონი კაშკაშებდა ვერცხლის გამდნარ მაგმასავით, მწვერვალები კი ენთო, ვითარცა ბუმბერაზი კელაპტრები.

ფერხთით განერთხო თოვლიანი გორაკები, პირქუში ტყეებით დაბურულნი, მათ მიღმა ვრცელი ტრამალები და სადღაც შორს უკიდეგანო ზღვა.

— არ გეშინია? — შეეკითხა.

— არა! – მოწყვეტით ჩაიტკრციალა ლელამ.

— მაგრად ჩამკიდე ხელი!

ბავშვის სუსტი ღონე არ კმაროდა, მზეჭაბუკი ცივ ქარიშხლებს არიდებდა ძვირფას ტვირთს.

ქვევით მიმოიფანტა სოფლები და ქალაქები, იმდენი, რამდენის თვლაც არ იცოდა პატარა გოგომ.

— იცნობ შენს სოფელს?!

აქედან ყველა სოფელი ერთნაირი იყო. სახლები სათამაშო კუბებსა ჰგავდა, კაცნი ჭიანჭველებს.

— შორსაა, ვერ ვხედავ!

ირაოთი უვლიდნენ წრეს ხეობის გასასვლელთან.

— მოგწონს? — ნელა მისრიალებდნენ ჰაერში.

— ძალიან!.. მცივა!..

— მალე მივალთ!

მზეჭაბუკის სულში კი იმდენი სითბო დაგროვდა, აღარ სციოდა, გამოუზაფხულდა.

პატარა სოფელი აირჩია, სულ რამდენიმე კომლი ცხოვრობდა.

ყავარზე თოვლი უკვე გამდნარიყო, აქა-იქ იდო მცირე ლაქებად.

ბუხრებიდან მოცისფრო კვამლი მოიზლაზნებოდა, ცივ ჰაერში დნებოდა.

ორღობეში კენტი გამვლელი მიიჩქაროდა.

გაჩერდა, აიხედა. ალბათ ვერ გაარკვია, რა მიფრინავდა მოწმენდილ ცაზე.

დაბლა დაიწიეს. ადამიანებს არ უფრთხოდა, არავის ემტერებოდა უკვე.

აივნებზე გამოვიდნენ ზოგან, ზევით იყურებოდნენ.

ერთ ეზოსთან უამრავი ხალხი შეყრილიყო.

„ლელას სახლი“, — მიხვდა მზეჭაბუკი. იქით მიაშურა, პირმშო უნდა დაებრუნებინა მშობლებისთვის.

რაღაცამ ყურისძირში გაისტვინა. უცბად ვერც მიხვდა რა იყო. დაგვიანებით მოაღწია ხმამ — „ბუჰ!“

განაპირა სახლის აივანზე ასანთის წუმწუმისოდენა კაცი იდგა, ხელში რაღაც ეჭირა, იმ ადგილას კვამლი ნელა იფანტებოდა.

„გვესვრიან!“ — დასცეცხლა მზეჭაბუკს და ზე აიჭრა ცის ტატნობზე.

ისევ დაპატარავდა ყოველი, ადამიანთა გარჩევა უკვე არ შეიძლებოდა.

მზე კი ცივ სხივებს უხვად აფრქვევდა, მთელი ქვეყანა ისე იყო სინათლით სავსე, ბოროტის არსებობას კაცი ვერ დაიჯერებდა.

— იქ იყო! – თქვა ლელამ.

— რა იყო?

— დედიკო! იქ იყო ჩემი სახლი! — ბავშვის ხმაში საყვედური იგრძნობოდა.

სწრაფად დაეშვა ქვევით, სოფლის განაპირას.

გაყუჩებულმა ბავშვმა უფრო შემოაჭდო ხელები.

ხეთა კენწეროებს მიჰყვნენ, ღობეწნულებსა და თოვლქვეშ ჩაგრაგნილ ეკალბარდებს გადაუარეს. სახლის უკან დაეშვნენ უჩუმრად.

ოდიდან მოთქმა მოისმოდა. ეზოში ხალხს ყაყან-თათბირი მოეთავებინა, ახლა ჩუმად ისმენდნენ ოთახიდან გამოსულ ზარს.

მზეჭაბუკმა სარტყელი შეიხსნა, ბავშვი გაათავისუფლა.

— გაიქეცი, — წასჩურჩულა.

— შენ?

— მე ხომ უფლისწული ვარ, ჩემს სასახლეში უნდა დავბრუნდე.

ბავშვი შეტრიალდა. ყრმა იდგა და შორიდან უყურებდა.

შეჩერდა პატარა ლელა, მობრუნდა, მოირბინა, ხელები გამოუწოდა.

— მცივა!

მზეჭაბუკმა თოვლში ჩაიჩოქა, თითზე აკოცა.

— ახლა ამ თითს სცივა, ახლა ამას, ახლა ამას...

ათივე თითი დაუკოცნა, გაუთბო, მაშინღა გაიქცა ეშმაკუნა, ყრმის გულიც თან წაიყოლა.

თავი IV. მარადი მწვერვალი

ადრიანი გაზაფხულის მზიან დღეს პირველად მოესმა თოვლის ქვეშ პაწია ნაკადულის რაკრაკი და წასვლა მაშინ გადაწყვიტა. თოვლი დამძიმდა, მოცისფრო გახდა, ზამთარში დაგროვებულ ცის სინათლეს ახლა აბრუნებდა უკან.

ლელასთან დაშორების შემდეგ მარტოობამ გააწამა. რამდენიმეჯერ ჩაფრინდა სოფელში, ბავშვი ვერ ნახა, ღამღამობით ე სიზმრებოდა პაწია ანგელოზი, გულუბრყვილოდ ეფუჩუნებოდა რაღაცას, ყელზე შემოაჭდობდა ნაზ მკლავებს. სიზმარში სევდა აწვებოდა, ტირილი უნდებოდა. მეხსიერებაში ამოტივტივდებოდა დედა და მამა, ტატო და მზია, ფაცი და როგნედა... ყველას წინაშე იჩოქებდა, პატიებას თხოულობდა. გამოეღვიძებოდა და თავს იკიცხავდა სისუსტის გამო. გაიხსენებდა როგორ ესროლეს აივნიდან წმინდა ამაღლების ჟამს. დიახ, დაინახეს ცაში მონავარდე მოძმე, შურმა თავისი გაიტანა და თოფი ესროლეს... ათასი დიდი და წვრილმანი სიავე შეახსენდებოდა აქვე და გული უმძიმდებოდა.

დღე ერთი იყო, თხუთმეტჯერ ეცვლებოდა გუნება-განწყობილება. მელანქოლიის მწვავე შემოტევის დროს სიკვდილს ნატრობდა. მეორე წამს კი სიცოცხლე იმდენად მშვენიერი ეჩვენებოდა, მისი დათმობა შეუძლებელი იყო.

ერთ ღამეს, როცა ძილი მოეახლა, უცბად თავში გაჰკრა: „მარტო მე ვიტანჯები? სხვები შეეგუენ ყოველივეს?..“ აფორიაქდა, ძილი გაუფრთხა. დილამდე თვალგახელილი იწვა, ბნელ ჭერს მიშტერებოდა. დიახაც, უნდა ყოფილიყვნენ სულიერი ძმები, ტანჯვაში დაბრძენებულნი... და მაშინ მეხსიერებაში წამოტივტივდა იდუმალი სახელი — ჯ გ რ ა გ. წამოვარდა, ცეცხლი გააღვივა და მის შუქზე ერთხელაც წაიკითხა ხმლის ვადის წარწერა.

უნდა მოეძებნა ჯგრაგ. იმ წუთიდან აეკვიატა. გიჟის დაჟინებით იმეორებდა ამ აზრს, ელოდა დათბობას.

დილიდან საღამომდე ქვაბიდან თავი გარეთ ჰქონდა გამოყოფილი, ყურს უგდებდა, თოვლი ხომ არ გალხვა, თბილმა ნიავმა ხომ არ დაიქროლაო. არ იცოდა რა თვე იყო, ან რა დღე... მაგრამ მზე მაღლა მიიწევდა, დღე მატულობდა და დიდხანს არ მოუწევდა ლოდინი.

მერე გრიალი შემოესმა. ლუხუმურაშდუდის ფერდობს ზვავი მოწყდა, ძირს ჩამოეფინა...

ტოტებზე თოვლი დაილია, ხე ატირდა...

პირველი ნაკადულები აჩურჩულდნენ ხევში, რაც დღე გადიოდა, ძლიერდებოდა შეკავებული გუგუნი. ერთხელაც ჭახანი გაადინა, წყალმა ამოხეთქა თოვლისა და ყინულის არტახებიდან...

მაინც არ აჩქარებულა ზედმეტად. დაელოდა, სანამ მზეს მიფიცხებულ ფერდობზე თოვლი დაილეოდა, სანამ ყოჩივარდები ამოცვივდებოდნენ.

მაშინ წელზე შემოირტყა ხმალი უწრთობი, ლუხუმურაშდუდის მწვერვალზე ავარდა.

სამ კილომეტრზე და მეტადაც თოვლი და ყინული აეზიდა მწვერვალს. დაკბილული კლდეებიდან იშლებოდა შორეული ზღვის ჰორიზონტი. ლაკადის ტყითმოსილი კალთები სამეფო ბალდახინებივით ეშვებოდა ძირს, გორაკთა უწყვეტ წყებაში გადადიოდა, უამრავ ხევხუვებს დაესერა. უფრო იქით მსუბუქი ნისლი ეფინებოდა ბარსაც.

მწვერვალის ერთ მხარეს მაგანას ხეობა იკლაკნებოდა, მეორე მხრივ ენგური მიჰყეფდა ვიწრო კლდოვანებში, სხვა მხრივ ხელე-

დულა მიიკვლევდა გზას ცხენისწყლისაკენ. უკან მთა მთაზე იზრდებოდა, მაღლა აეტატებინა სვანეთის ქედი, რომლის თავზე ლაილას დიდებული კონუსი ბრწყინავდა.

აქ არ იყო ჯგრაგ!

მზეჭაბუკმა წელზე შემორტყმული ხმალი გაისწორა, ლაილას მიაშურა.

წყალგამყოფზე მიცურავდა, საკვირველი სურათი წარღვნისა სულს უშფოთებდა.

კლდოვანი ქარაფები მოემსხვრია დიად ძალას, ხანჯლებივით აშვეტილიყო მარადის გაქვავებული ძეგლები, გონმიუწვდენი კატაკლიზმის მომსწრენი.

ორთავ მხარეს ხეობებისაკენ დაშვებულ კალთებზე ქაოსს ანელებდა ასწლოვანი უღრანი ტყეები.

ფართო ხეობაში ისარკებოდა თავხედურად დაკლაკნილი ცხენისწყალი, მეორე მხრივ კი — ენგური, ერთმანეთის გადასწრებას ცდილობდნენ თითქოს, ხევთა მოლევას, რათა სადმე ზღვაში მაინც ჩაჰკონებოდნენ ერთურთს.

თოვლიანი მწვერვალის სიკაშკაშემ თვალი ატკინა...

არა, არც აქ იყო ჯგრაგ!

* * *

იმ დღესაც მზე აცხუნებდა. არც არაფერი მოასწავებდა ამინდის შეცვლას. ღრუბლის ობოლი ფთილაღა ეკიდა ცის ტატნობზე და ადგილიდან არ იძროდა. მისი ჩრდილი ფერდობზე გაყუჩებულიყო მშვიდად, ფანტასტიკური ცხოველი გაწოლილაო მოსასვენებლად.

მზეჭაბუკის ლანდი სწრაფად მისრიალებდა მდელოზე. თოვლის ჯიშთზე ალღოთი იკვლევდა გზას.

გალაღებული მიფრინავდა, სუფთა ჰაერი ლივლივით ეხვეოდა ტანზე.

ხეობას აჰყვა... მოჭახჭახებდა, ღვარძლიანად იმუქრებოდა ენგური, უწყვეტი ქუხილი მოჰქონდა ექოს...

ვრცელი მინდვრები გადასერა ყრმამ... თოვლს ნამბული ეკრა მხოლოდ, იწრიტებოდა, ენგურს აქაფებდა...

დავიწროვდა ხეობა. ლოდი ლოდზე აეხოხიალებინა სტიქიას. წარღვნისდროინდელი სამყაროს ნანგრევებს ჰგავდა გარემო...

ჩუმი ნაკადულები მოიპარებოდნენ ლოდნარიდან, ვითარცა მაჭარი საწნახლიდან, მიიჩქაროდნენ დედა-მდინარისაკენ...

სათავეს უცბად მიადგა...

ჩამოზვავებულ მყინვარს შუბლზე მონგრეული ლოდები წამოეცვა.

წყალს გამოეხრა მყინვარის გული, ორ დიდ ნაკადად მოსჩქეფდა, წყალი კი არა, რძე კი არა, რძის ქაფი... გამოეღადრა ლურჯი მყინვარი და სიხარულისაგან გადარეული მოდგაფუნებდა ყინულის ტალანიდან.

ლოდზე ჩამოჯდა ყრმა ბედია, ყინულის გუმბათს დააკვირდა. ქაფი სცემდა, აპრიალებდა ტალანის კედლებსა და გუმბათს. ორი ნაკადი მოანგრევდა გზას, და იქვე, შორიახლო თავდავიწყებით ერთდებოდნენ.

ნაშუადღევი მოახლოვდა. მზის სხივებს გრილი ნიავი ანელებდა.

ღრუბლის ობოლი ფთილა მოსწყვეტოდა მთებს, სადღაც სტრატოსფეროში ეკიდა განმარტოებით. თვალშეუწვდენ მარაგს გაეშალა ვრცელი ფრთები. კალთებზე მზის სხივები ათინათს ყრიდა.

სადღაც ზევით ზვიადი მწვერვალები წამომართულიყვნენ მედიდურად... სად იყო ჯგრაგ, რომელი მათგანი შეერჩია სამეუფეოდ...

* * *

მზეჭაბუკი ნელ-ნელა მიიწევდა მყინვარის თავზე. ფეხს არ აკარებდა, ზვავის მოსკდომისა ეშინოდა.

უზარმაზარი ურჩხულივით გაშოტილიყო მყინვარი, დაეკლაკნა ძლიერი სხეული. კლდეებს შორის ენები გადმოეგდო მკვდარი გველეშაპივით. ზედაპირი დასკდომოდა უამრავი ვიწრო ნაპრალით, რომლებშიც სილურჯე ჩაყინულიყო.

ცივი ქარი უსტვენდა ნაპრალებში, ჩხრიალი მოისმოდა სიღრ-

მისეული ნაკადებისა.

იქუხა უცბად, გასკდა ათასი ჭურვივით, მყინვარი დასერა მირიადმა ნაპრალმა. იძრა. ლოდები მოირღვნენ გრიალით. ჩაჩოჩდა უზომოდ მძიმე სხეული, კვლავ გაიყინა, გაყუჩდა. კენჭების ჩუმი ჩხაკუნი მოისმოდა კარგა ხანს.

შეკრთა მზეჭაბუკი, შიში აუფაჩუნდა სულში.

თავზევით ფრიალო კლდეები ეკიდა, სულიერს ფეხი არ დაედგა ზედ აროდეს, თოვლიც ვერ ჩერდებოდა მასზე.

ინსტინქტურად ეძებდა მტკიცე ადგილს, ვაითუ წართმეოდა ძალა ფრენისა.

დიდხანს გაგრძელდა ლტოლვა აღმა, სანამ თავზე მოექცეოდა ბაზალტისაგან გამოკვეთილ ხანჯლის პირს.

ფეხი შედგა ყრმამ. მიხვდა, ფრენას თუ ვერ შეძლებდა, ვერასოდეს ჩამოვიდოდა აქედან.

თავს ძალა დაატანა, განდევნა ყოყმანი საშიში.

ციოდა.

შორს მოჩანდა ენგურის ხეობა, რუხი მთები, უშგულის კოშკები.

კავკასიონის დიადი მთები იგრაგნებოდა. პირველყოფილ ქაოსში აირია შავი კლდეები, პირდაღრენილი უფსკრულები, კლდეს შემოსალტული მყინვარები, ბუმბერაზი მწვერვალები, მორღვეული, ნგრეული სამყარო, სადაც უსუსურია ყოველგვარი ვნება, ითრგუნება თავისუფლება, თვით სიცოცხლე.

ზღვისპირეთიდან წამოსული ღრუბლები ამოცოცდნენ კალთებზე, უზარმაზარი თეთრი ხომალდებივით ღუზა ჩაუშვეს თოვლიან გრეხილებზე, შემოეჯარნენ მწვერვალებს, იპყრობდნენ ახალ-ახალ სივრცეებს...

თქრიალმა მოახედა.

განაპირა კლდეს ყავისფერი ჭიანჭველები შესეოდა. დააკვირდა, ჯიხვები იყვნენ. ცოტა ხანი და სადღაც უფსკრულში ჩაიკარგნენ.

კვლავ მარტო შერჩა ცადაჭრილ დანისპირს.

მზემ დასავალით გადაიხარა, თუმცა შორს იყო დაღამებამდე.

ღრუბლებს მიღმა ჩაიკარგა ენგურის ხეობა. ქათქათა ქულებში, ვით საპნიან ვარცლში, ჩაიფლო მთათა გრეხილები, თხემები, კბოდეები, კლდეები... თანდათან მოსწყდა ყრმა ბედია ქვეყნიერებას, გადმოეკიდა ვრცელ ეთერში.

უცბად ჩრდილმა გადაურბინა. მთის არწივს გაეშალა ლაღად ფრთები, თავზევით ეკიდა უძრავად.

შეცბა მზეჭაბუკ ბედია.

არწივი მიჰყინვოდა ცის გუმბათს, ადგილიდან არ იძროდა, არ ეპუებოდა ცივ ქარიშხალს...

შეუძახა მზეჭაბუკმა, შეჰკივლა. მისი ხმა გადააწყდა გარეშემო ჭიუხებს, ექო მრავალგზის დაუბრუნდა კლდის წვერზე მდგომს.

ფრინველი ოდნავადაც არ შეტორტმანებულა.

„იქნებ მე არ მითვალთვალებს, — გაიფიქრა ყრმამ, — იქნებ ბუდე აქვს ახლომახლო, ან სხვა მსხვერპლს დარაჯობს და მალეც დააცხრება!“

ღრუბელთა ოკეანეში თოვლიან მწვერვალებს აქა-იქ ამოეშვიტა თავი, ვითარცა კუნძულებს ზღვაში, და სულიერი არსად ჭაჭანებდა.

მოეღო ბოლო ლოდინს. არწივმა მეფურად შემოჰკრა ფრთა ფრთას, წრე დაარტყა აუჩქარებლად და უცებ ისარივით წამოვიდა...

უხმოდ, მამაცური თავგანწირვით, როგორც ძლიერთ ჩვევიათ.

მზეჭაბუკ ბედია მოსწყდა კლდის წვეროს, განზე გავარდა.

არ მოელოდა ამაყი მეფე, თავი ვერ შეიმაგრა, კლდეს დაენარცხა.

რეტდასხმული ტორტმანით ჩაეშვა ღრუბლებში, გაქრა.

მზეჭაბუკი კი ქარს მიენდო. ბაბუაწვერასავით მიაქროლებდა ქარიშხალი მწვერვალთა სხვა მწკრივისაკენ...

თავი V. ბერი გრძნეული

გრძნობდა, რომ ღონისაგან იცლებოდა თანდათან. წინააღმდეგობას ვერ უწევდა სუსხიან ქარს.

„ეს დასასრულია!“ — გულგრილად გაიფიქრა, ბედისწერას მინებდა.

თვალი დახუჭა, ცოტცოტაობით დაბლა ეშვებოდა. როცა მოიხედა, ვერაფერი დაინახა. გარს სქელი ნისლი ეხვია. შფოთმა შე-

იპყრო. ადვილი იყო ხილულ მტერთან ჭიდილი, უხილავი კი შიშს ბადებდა.

შეეცადა განრიდებდა ღრუბლებს. გზა აებნა. მძიმე წვეთებით იწუწებოდა, ქარი კი სველ სამოსს ტანზე აყინავდა.

მერე დაიქუხა. სულ ახლოს გაკვესა გიგანტურმა გრაგნილმა, გასკდა, გაირღვა, მოლეწა გაზაფხულის პირველმა ქუხილმა... მზეჭაბუკს თითქოს ჭიანჭველები შემოესია. ცივი ალი მოედო ტანზე, ჩაქრა, ისევ მოედო...

განშორდა საშიშ ღრუბელს, თავი აარიდა. ფეხდაფეხ მოსდევდა მტერი საზარი. დაიგრიალებდა გამაყრუებლად, გაიხრიგინებდა, დაიკლაკნებოდა ალმოდებული მახვილი. აზანზარდებოდა ხილული და უხილავი სამყარო. იძროდა მთები, დიდხანს გამოსცემდა შორეულ ექოს.

მოულოდნელად მიაწყდა თოვლიან ფერდობს. გადავრჩიო, — გაიფიქრა, ფერდობი კი დაიძრა. ჯერ ნელა, მერე უფრო სწრაფად. გუგუნი გუგუნს წაემატა. ჩამოიხვეტა ზვავი, ჩამოიყოლა თოვლი და ქვა, ატეხა ქარიშხალი, გრიალ-გრიალით მოექანებოდა უხილავი უფსკრულისაკენ, ანგრევდა ყოველივეს.

ქარიშხლით ატაცებული მზეჭაბუკი მიჰქროდა ჯოჯოხეთისაკენ, ელოდა წამს, როცა თავზე წამოემხობოდა მთელი კავკასიონი, ანდა დანასავით პირწამახულ კლდეებს მიაცხებდა სულს.

„ჯგრაგ! ნუთუ ასე უნდა დავიღუპო?“

ფიქრიღა გაბედა, ხმას მაინც ვერ გადააწვდენდა სტიქიის რიალს.

უცბად დაცხრა ქაოსი. შენელდა ქარიშხალი, შეთხელდა ცივი ნისლი და მზეჭაბუკ ბედიამ თოვლიანი მწვერვალის სპეტაკ შუბლზე შედგა ფეხი.

ღონემიხდილი დაეცა. განძრევის თავი არ ჰქონდა. თოვლის ცივი სარეცელი დაირწა. „დავიძინებ, აქვე დავიძინებ!..“ — დაბეჯითებით იმეორებდა.

თვალი მილულა მართლაც. მიხვდა, გაიყინებოდა. თავს ძალა დაატანა, წამოიწია, და მაშინ მოესმა ხმა იგი უცნაური:

„ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ!“

არავის არ წარმოუთქვამს, ხმა თვით მის სულში გაისმა,

მზეჭაბუკ ბედიას ტვინში დარეკა. დაიძაბა ყრმა, წელი აზიდა, ფეხზე წამოდგა. დაბინდულ თვალებს სინათლე მოემატა.

ფაფუკი ნისლი ედგა თვალწინ, ქარი არღვევდა ნისლს, ნაფლეთებს სტაცებდა, აძარცვავდა რაღაც ფიქალივით თეთრსა და დიდებულს, რაიც კბოდეზე იდგა.

დააკვირდა ყრმა ბედია, ძლივს გაარჩია, გაუბედავად წარმოთქვა:

„ჯგრაგ!“

პასუხი კვლავ მის სულში გაისმა, ტკბილი და ამაღლებული, სითბოთი და ალერსით სავსე:

„აღდეგ და მოვედ ჩემდა!“

ყრმამ რამდენიმე ნაბიჯი წარსდგა, შეტორტმანდა, ისევ თოვლში ჩაემხო.

„აღდეგ და მოვედ ჩემდა!“ — გაიმეორა ხმამ მკაცრად.

კვლავ მოიკრიფა ყრმამ ძალა, ისევ წამოიმართა ტორტმანით, მიეახლა.

და იხილა ბერი გრძნეული.

ლურჯი ყინულისაგან გამოკვეთილი ტახტი იდგა. ტახტზე სათნო მოხუცი იჯდა. თეთრი კაბა ემოსა, ქარის შემოტევაზე ეტმასნებოდა მძლავრ, დაკუნთულ სხეულს.

ჭაღარა თმა-წვერი მოეჩეჩა ქარს, მხრებზე გადაეგდო, აფრიალებდა.

ქათქათა ფიფქები ეყრებოდა, აბეზარი მწერებივით კორიანტელს აყენებდნენ ირგვლივ. ვერცხლის ჭირხლით ევსებოდა ულვაშები, თმა-წვერი... ყინულის ლოლუები ეკიდა ძვირფას სამკაულებად, ყოველ შერხევაზე წკრიალს გამოსცემნდნენ ზანზალაკებივით.

„სთქუი!“

აღელდა მზეჭაბუკი, გულზე შემოაწვა. ყოველი საწუხარი ერთად მოაგონდა, ენა ვერ დაიმორჩილა, მთავარი და წვრილი აერია.

„ჯგრაგ! ცოდნა მწადია, უცოდინარობა მტანჯავს!.. იქნებ არც ღირდეს სიცოცხლე?.. ავი და კარგი თავზე მაცვივა, ერთიმეორისაგან ვერ გამირჩევია... რა ვქნა? ვის შევეკითხო?.. ვინ ვარ? სად ვარ? რისთვის?.. ჯგრაგ! რად გამომეცხადე, თუ გზა ჭეშმარიტი

არ მასწავლე?!“

მუხლებზე დაეცა მზეჭაბუკ ბედია, შუბლი თოვლს დაჰკრა, თვალთ ცრემლი მოადგა.

სულში აფუთფუთდა სიტყვები. ხმა ნეტარი წარმოთქვამდა ალბათ.

„აღიღე ხრმალი იგი უწრთობი, რამეთუ თქმულ არს: არა ბოროტისა მსახურებად განვსჭედე იგი, არამედ — კეთილისა!“

მჭმუნვარედ იყურებოდა ჯგრაგ. ქარი აყრიდა მსუბუქ ფიფქებს. ყინულის წვრილი ნამსხვრევები ცვიოდა თმებიდან მინის ფირფიტებივით.

ხმა უჩვეულო, ძლიერი ნებით დათრგუნვილი, ძლივს სცდებოდა ბაგეს.

„ხრმალი-იგი განიწმიდოს და იწრთოს სისხლითა ცხრათა ქართლოსიანთა!“

ბინდი მატულობდა. ქარი გაძლიერდა. თოვლი მოაყარა. ყინავდა.

ბერის სიტყვებს იტაცებდა ქარი, შორს მიჰქონდა, მზეჭაბუკ ბედიას სმენას არიდებდა.

ხმა მისი გარდაიქცა შორეულ ბუბუნად, აზრის გარჩევა უკვე არ შეიძლებოდა.

თანდათან იყინებოდა ყრმა ბედია, ძალა ეცლებოდა. ძლივს მიფორთხდა ყინულის ტახტთან, თეთრი კაბის კალთას შეახო ხელი, ყინული და თოში შერჩა...

— ჯგრაგ! — შეჰკივლა განცვიფრებულმა. ფრჩხილებით მოფხოჭნა ყინულის სვეტი. სიცოცხლის ნიშანწყალი ვერ იპოვა მასში.

გაავებული ქარიშხალი კი აღმუვლდა, თოვლი და ყინულის ნამსხვრევები აიტაცა, უღონო ყრმა მოწყვიტა მწვერვალს, სუსხიან ფრთებზე გაიტაცა... მზეჭაბუკ ბედიამ გონება დაკარგა.

მეორე დილას იპოვეს უშგულის შემოგარენში, სული ძლივს ედგა...

ნაწილი XI

ეანძაოცული

ზამთარი უსაშველოდ გაიწელა. ხვავრიელმა თოვლმა დაფარა ქალაქი. თოვა დღისით დაიწყო, დიდ-დიდი ფანტელები განუწყვეტლივ ცვიოდა ციდან. სულ მალე სახურავებს, ტოტებს, გაჩერებულ მანქანებს, ასფალტს, ეზოებს თეთრი საბანი დაეფინა. მანქანებს გაუჭირდათ მოძრაობა. შენელდა სვლა, ძლივს მიხოხავდნენ. გმირთა მოედანზე, უნივერსიტეტის წინ, ზემელზე, პლეხანოვზე ტრანსპორტი გაიჭედა, თავგზააბნეული საგზაო მილიცია ცდილობდა ქაოსში წესრიგის შეტანას... ტროტუარებზე ხალხი შეთხელდა, ყველა შინისაკენ მიიჩქაროდა...

მხოლოდ ბავშვებმა გაიხარეს. ჟრიამულით მოედვნენ ეზოებსა და სკვერებს. აკაკისა და ილიას ძეგლთან მოსწავლეებმა ომი გამართეს, უნივერსიტეტის ეზოში — სტუდენტებმა. ყოველ ნაბიჯზე უსაქმური ბიჭები იდგნენ თოვლის გუნდებით ხელში, მოწონებულ ქალიშვილს არ გაატარებდნენ. ვისაც ესროდნენ, იმათ ხომ სწყინდათ, ვისაც არა — იმათაც. დამრეც კალთებზე ციგურაობა გაიმართა. გიჟური სისწრაფით ეშვებოდნენ თვითნაკეთ ციგებზე. მძღოლები იქ ვერ ბედავდნენ გავლას, ვინმე ბორბლებში არ ჩაგვივარდესო.

სწრაფად დაღამდა. ქუჩის ნათურებს თოვლის სიქათქათე ასუსტებდა.

ბარდნიდა...

მთლად დაცარიელდა, მიტოვებულს დაემსგავსა ქალაქი...

მეორე დილით უფრო ჭირდა. მუხლებამდე მოეთოვა. მეეზოვეები ხვეტავდნენ თოვლს, მანქანების ძარაში ყრიდნენ. ტროლეიბუსები ვეღარ მოძრაობდნენ. სამსახურში დაგვიანებული ხალხი გაჩერებებზე ნერვებს ასკდებოდა.

ბავშვები ლაღობდნენ, გუნდაობდნენ, ოღონდ წინანდებურად

არ იყო თოვლი ფაფუკი და მსუბუქი... დამძიმებულიყო, წყალი გაუდიოდა...

ჭუჭყიანი ნაკადულებით დაიფარა ქუჩები, მანქანები შხეფებს ასხამდნენ ერთმანეთს...

საღამოს აქა-იქ თუ შერჩენოდა თოვლის ჩაშავებული გორაკები, ზამთარმა წამით დაიხია...

დილაადრიან გამოღვიძებულმა ქალაქელებმა ფანჯრებში გაიხედეს და გაოცდნენ. ქალაქს კვლავ თოვლის ფაფუკი, ქათქათა საბნის ქვეშ ეძინა. ციდან კი ბარდნიდა და ბარდნიდა ისეთი გულდაჯერებით, თითქოს არც არასოდეს აპირებდა გამოდარებას...

ასე გაგრძელდა მესამე, მეოთხე, მეათე დღეს...

განელდა პირველი აღტაცება... მოვიდა თეთრი კაეშანი, ნესტი, ზურგის ჭვალი, მოკლე, უფერული დღეები და დაუსრულებელი ბნელი ღამეები...

კაჭუჭია ბედიას უძილო ღამეები...

თავი I. გრძელი ზამთარი

ავტობუსიდან რომ ჩამოვიდა, სხვისთვის გამიზნული გუნდა ზედ წარბებს შორის მიეჭედა. თვალებიდან ნაპერწკლები წამოუცვივდა. დაფეთებული ბავშვები ბელურებივით შემოეფანტნენ. ავტობუსის გუგუნი მიწყდა. მარტო იდგა შუა ქუჩაში, მუხლებამდე თოვლში. თავზე აბარდნიდა.

შეტორტმანდა, სახიდან თოვლი ჩამოიწმინდა. სწორად ვერ აბიჯებდა, ფეხი უცდებოდა და თოვლში იწყებდა ფართხალს.

სადარბაზოში შევიდა და კედელს მიეყრდნო. სიმთვრალისაგან ფეხზე ძლივს იდგა.

ლიფტი სადღაც გაჩხერილიყო. ხშირად არ მუშაობდა. რკინის კარს ბრაზით წაჰკრა ბათინკის ცხვირი. კიბეს აჰყვა.

ნაცნობ ბინის კარს შუბლი მიაბჯინა, თან თითი ღილაკზე ეჭირა და არ უშვებდა.

ბინაში ზარი გაბმულად წკრიალებდა.

ფეხის ხმა მოესმა. იქნებ მოეჩვენა კიდეც. კარს მუშტი ხეთქა, ეტკინა.

— გამიღეთ თქვენი!..

თოვლი შემოადნა მხრებზე, ქუდზე, წვეთწვეთობით ჩამოსდიოდა, ბაქანზე ჭუჭყიანი გუბე დააყენა.

კარს არავინ უღებდა. იცოდა, ყველანი შინ იყვნენ და გასუსულნი უსმენდნენ.

მერამდენედ მოვიდა. მუდამ მთვრალი იყო და აყალმაყალს ტეხდა...

პირველ მოსვლაზე ქალბატონი ღაღული მოეფერა, ჯერ ბავშვია, აპატიე, მოჭკვიანდება და დაგიბრუნდებაო.

ერთი კვირის შემდეგ საჩუქრები მიუყარა, ხმაც კი არ გასცა, კარი ცხვირწინ მიუჯახუნა.

გულგასიებული კაჭუჭია პაპუა ჩირგაშვილთან ავარდა.

— ფული ხომ მოგეცი?

პაპუა დაფრთხა, რამეს ხომ არ მიპირებსო. ენა ჩაუვარდა.

— შე-ენ რომ მასესხე? — კბილები ააკანკანა, — შე-ემიძლია დაგიბრუ-ნო!

კაჭუჭიამ ჯიბიდან კიდევ რამდენიმე დასტა ამოიღო, წინ დაუდო.

— ამას დაგიმატებ, ოღონდ იმის ჯავრი ამომაღებინე!

პაპუამ თავი მორცხვად დახარა, შენ ბატონი და მე კი ყმაო. აცახცახებული ხელებით ფულის დასტები სადღაც გააქრო.

მაინც არ ენდო კაჭუჭია. გამოცდის დღეს დილიდანვე დაუდარაჯდა ცოლყოფილს. უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის წინ თმებით უნდა ეთრია სახალხოდ. წინდახედულმა ქალბატონმა ღაღულიმ მილიციელი გამოაყოლა თავის გოგოს და კაჭუჭიამ წყენა უხმოდ გადაყლაპა.

კორპუსთან, ტრიალ მინდორზე, ასეულობით აბიტურიენტი და მათი მშობლები შეყრილიყვნენ. ყველა ერთ ტაფაში იწვოდა. თვით ჰაერიც ნერვულობით იყო სავსე. ვინ უწყის, ვინ რას ლაპარაკობდა, ვინ რას გრძნობდა, ფიქრობდა... მაგრამ ყმაწვილ ბედიას ეჩვენებოდა, რომ ყველამ ნახა მისი გაბოროტება, ყველა მასზე ჭორაობდა, თითით საჩვენებელი გახდა... სხვათა ზურგებს უკან იმალებოდა...

მზე აჭერდა. ცხელი ქარი მტვერსა და ქაღალდის ნაფლეთებს ატრიალებდა, სახეში აყრიდა. გრძელ ლაბადაში გახვეულს აუტანლად დასცხა. ბარძაყებზე ფულის დასტებმა კანი გადაუყვლიფა და სტკიოდა.

ადგა და გაეცალა იქაურობას.

მეორე დღეს გაიგო, წერაში ფრიადი მიეღო როგნედას.

გამძვინვარებული მიუვარდა პაპუა ჩირგაშვილს, „დოყლაპია!“ — უძახა, რისთვის გიხდი ფულს, ერთი ლაწირაკი ვერ ჩაგიჭრიაო.

პაპუა თვალებს ახამხამებდა უხმოდ. აცალა, როცა ბოღმა დაეშრიტებოდა. მშვიდად აუხსნა, ათას სხვა ნაწერში მისი როგორ უნდა მომენახაო. „ზეპირზე კი კისერს მოვუგრეხ!“ — მტკიცედ დაპირდა.

იმ დღესაც მტვრიანი ქარი ქროდა საბურთალოზე. მტვერი საყელოში უძვრებოდა და ოფლიან კისერზე ეგლისებოდა. წყურვილმა ტუჩები დაუშაშრა. კბილებში ხვინჭკას გრძნობდა. კიოსკში კი თბილი და უგემური ლიმონათი იყიდებოდა. ყურადღებას მაინც არაფერს აქცევდა, წინასწარ ზეიმობდა მტერზე გამარჯვებას. წამდაუწუმ ელანდებოდა კიბეზე ჩამომავალი, გაფითრებული როგნედა, ცრემლებისაგან დაბუშტული თვალებით... ყოველი ჩაჭრილი გოგო, ვინც კი მინის კარიდან გამოდიოდა, ის ეგონა და ხარობდა.

მზემ მაღლა აიწია. ჩრდილი სავსებით გაქრა. კაჭუჭიას თავი უხურდა. დაიღალა. პირში სიმწარეს გრძნობდა, ყლუპი ღვინო ენატრებოდა, არადა, ბოლო დროს ყოველდღე სვამდა.

ხალხის რუზრუზი თავს აბეზრებდა. რადიო ნერვებზე შლიდა, თუმცა ყური მისკენ ჰქონდა, იქნებ რაიმე მიზეზით გამოგდებულთა შორის როგნედა ერისთავიც გავიგონოო. ნაშუადღევს კი, როცა მოთმინება დაეკარგა, უცბად გაიგონა: როგნედა ერისთავი — ხუთიო... მერე სხვა გვარები და სხვა ნიშნები...

კაჭუჭიამ ნეკზე იკბინა.

გარეგნულად დამშვიდებული იმავე საღამოს ესტუმრა პაპუას, ტყავის დიდი ჩანთა წინ დაუდო.

— რა მექნა, — თავს იმართლებდა რეპეტიტორი, — მარტო ხომ არ ვცდიდი? რაც ვკითხე, ყველაფერზე მიპასუხა, ჩემი ნამეცადინებია. თავმჯდომარე თავზე მადგა, აღტაცებას ვერ მალავდა, აიღო და იმან დაუწერა. ვერაფერი ვუხიმანდრე... ანდა რა საკადრისია, ჩვენ შორის დარჩეს და...

კაჭუჭიამ მის ბოლო სიტყვებს ყური არ ათხოვა, ჩანთა გახსნა.

— ჩააწყვე!

— რა?

— რა და ფული, უკანასკნელ მანეთამდე!

პაპუა ერთხანს ჩუმად ათვალიერებდა სტუმარს, მერე აქირქილდა, ტელეფონის ყურმილს მოეფერა.

— დავრეკო?

კაჭუჭია აიმრიზა, რეპეტიტორი აშკარად უპირებდა გაცურებას.

— შენ ფული დაყაჭე, დარეკავ თუ არა, ფეხებზე მკიდია!

— რომ მქონდეს, უარს რავა გეტყოდი, მარა... თუ გინდა, ბინა გაჩხრიკე. ხელფასიდან გადამირჩა ოცდახუთი მანეთი და ცამეტი კაპიკი. თუ გინდა, ალალი იყოს...

— ფული! — ღმუილი აღმოხდა კაჭუჭიას, საყელოში ჩააფრინდა ორივე ხელით.

— მილიცია, მიშველეთ! — წაიჩურჩულა პაპუამ.

კაჭუჭიამ მოჰქაჩა, გადმოიღო, მუხლი ძალუმად ამოჰკრა ცხვირპირში და იატაკზე მოისროლა.

— მიდი და დარეკე, შე ჩათლახო, ჩემზე უარესად თუ არა გაქვს საქმე, მიდი და დარეკე!

პაპუა იატაკზე მოიკუნტა, სახეს ხელებში მალავდა, ხმადაბლა კრუსუნებდა.

კაჭუჭიამ ფეხსაცმელის ბლაგვი ცხვირი გულიანად უთავაზა გვერდში და გარეთ გავარდა...

ორ დანარჩენ გამოცდაზეც როგნედა ერისთავმა ფრიადი მიიღო.

გულზე გამსკდარი კაჭუჭია გამოილეშა, შუაღამეს კარზე მიადგა. ბევრი აბრაგუნა, მაგრამ არავინ გაუღო.

ასე მიჰყვა დღე დღეს...

დათვრებოდა და ცოლყოფილს შინ მიუვარდებოდა. ისიც და მისი მეზობლებიც აკლებული ჰყავდა. ანდა იჯდა ტელეფონთან და დღეში თოთხმეტჯერ დაურეკავდა. ყურმილს იშვიათად თუ

აიღებდნენ, ხმაზე ცნობდნენ და უსიტყვოდ უკიდებდნენ.

ერთხელ შემთხვევით როგნედამ აიღო. ჩუმად მოისმინა კაჭუჭიას გრძელი ტირადა, რომელშიც ხვეწნაც ბევრი იყო, მუქარაც, აღთქმაც, მერე მოულოდნელად ჰკითხა:

— მზეჭაბუკი ხომ არ ჩამოსულა სოფლიდან?

კაჭუჭიას ენა ჩაუვარდა. ეჭვმა სუნთქვა შეუკრა, უხმოდ დადო ყურმილი... შუბლზე ხელი იტკიცა, უმალვე დარეკა ხელმეორედ, მაგრამ იმ ბოლოს ყურმილი მეტი არ აუღიათ.

სწრაფად გავიდა შემოდგომა, არც კი უგრძვნია როგორ... პირველი თოვლი რომ მოვიდა, გაოცდა. თითქოს სულ ახლახან იყო დიდი ქორწილი, ძმასთან ჩხუბი, როგნედას გამოცდები...

თოვლი კი ბარდნიდა... დიდთოვლიანი ზამთარი დადგა...

* * *

შესცივდა. გაყინულ კიბეზე იჯდა, სიცივემ ძვალ-რბილში გაატანა, გამოაფხიზლა. ფეხებს ვეღარა გრძნობდა. იქნებ მჯდარიყო ასე დილამდე. გამოვიდოდა ის „მოღალატე“ და უკვე გაციებულ გვამს წააწყდებოდა. გადაიფიქრა. ძლივს წამოდგა. გულამღვრეული დაეშვა კიბეზე, სიცივისა და დაღლილობისაგან მთვრალივით ბანცალებდა. ტყაპუჭი მაგრად შემოიხვია. საბურთალოს ქუჩას ქევ-ქევით დაუყვა. გვიანი ღამე იყო, მანქანა არ დადიოდა.

ძალუმად ბარდნიდა. კაჭუჭიას სულს თეთრზე უთეთრესი, ცივი თოვლი ეფინებოდა. საშინელ სიცარიელესა და მარტოობას გრძნობდა. ნეტავ ჯუმას მაინც არ წასჩხუბებოდა, შევიდოდა ძმასთან, ცოტას გათბებოდა. არადა, უზარმაზარ ქალაქს თბილად ეძინა თოვლის სქელი ფენის ქვეშ და კაციშვილს არ ეცალა კაჭუჭია ბედიასათვის.

სახეზე სისველე იგრძნო. ვერ მიხვდა, ფიფქი დაადნა თუ ცრემლი გადმოუგორდა ღაწვზე. თოვლიაო, — გაიფიქრა. მოიწმინდა. გული ოდნავ გაულხვა, ვინმე სულიერი მოენატრა. ოღონდაც, თეთრად გადაპენტილი ქუჩებიდან უკანასკნელი დაგვიანებული გამვლელნიც გაკრეფილიყვნენ. ღამის დარაჯებსაც კი შეეფარებინათ თავი და არსად ჩანდნენ.

უბიწო თოვლი ბრწყინავდა პეკინის ფართო ქუჩაზე. მიმქრალი ნათურები ნემსისწვერისოდენა ათინათებს იბრუნებდნენ. შუქჩრდილი გათანაბრდა და იდგა ერთიანი, საყოველთაო, მქრქალი სითეთრე.

მშენებარე სახლის ბნელმა ფანჯრებმა შემოჰხედეს შიშისმომგვრელად. „გამძარცვავენ!“ — შეკრთა კაჭუჭია, ჯიბეებზე ხელები აიფარა, ფეხს აუჩქარა.

მოერიდა ტროტუარზე სიარულს, შუა ქუჩაში გავიდა, რათა საფრთხე დროზე ეხილა.

თოვლს მისი ნაფეხურებიღა დააჩნდა. შავი წვეთები გასისწვრივდნენ, სისხლის წვეთები, ჯიბეებიდან რომ ეპარებოდა.

სულმოუთქმელად ჩაფორხილდა გმირთა მოედანზე. სუნთქვა შეეკრა, გული აჩქარებით უცემდა. ასე სუსტად არასოდეს უგრძვნია თავი, ბავშვიც მოერეოდა.

ზოოპარკთან ტელეფონის ჯიხურში შეძვრა. იქიდან უთვალთვალებდა მდევარს. არავინ გამოჩენილა. მაინც ვერ დამშვიდდა. დიდი ხანია ჯიბეთა ტარება უმძიმდა. ამჩნევდა გამვლელთა ხარბ თვალებს. გრძნობდა, ვიღაც ფეხდაფეხ მოსდევდა, რათა ეს აურაცხელი თანხა აეგლიჯა, ოღონდ წინასწარ არ იცოდა ვინ და როდის წამოეწეოდა.

ტელეფონის ყურმილი აიღო. ორკაპიკიანი დაენანა. მისი დახარჯვით ჯიბე ხომ კიდევ ორი კაპიკით დაუმძიმდებოდა. ვერ ბედავდა ხარჯვას. ყელში ამოსდიოდა ამდენი ფული. აპარატს იმდენი უჩხიკინა, ორი მონეტა ჩამოაგდებინა. გახარებულმა ერთი ჩააგდო. აპარატმა უმალვე გადაყლაპა. „ესეც ქურდია!“ — გაჯავრდა, მუშტი მოსცხო. მეორე მონეტა უფრო ფრთხილად ჩაუშვა. დარეკა. კარგა ხნის შემდეგ მოისმა ნამძინარევი ხმა:

— ვინ ოხერი ხარ?

— მე ვარ, კახაბერი!

— ა, კახა, არა გძინავს? — ლილიმ ეტყობა გემრიელად დაამთქნარა, თავი კვლავ ბალიშში ჩარგო და ისე ლუღლუღებდა.

კაჭუჭიამ ღვარძლიანად ჩასძახა:

— გამოიღვიძე, რას ხვრინავ?!

— ვინ ხვრინავს? — იწყინა ლილიმ, — მეძინა...

— ადექი ახლა და ჩამოდი გმირთა მოედანზე, ზოოპარკის შესასვლელთან ვარ!

— გაგიჟდი? ამ სიშორეზე როგორ წამოვიდე? მანქანებიც აღარ დადის! თან დედა არ გამომიშვებს!

— მაგი არ ვიცი მე! გამოიპარე! იცოდე, ნახევარი საათი დაგელოდები!

— არ შემიძლია, რა! — წაიკნავლა ლილიმ. კაჭუჭიამ არ მოუსმინა. ყურმილი ჩამოჰკიდა.

ახლა ეს ნახევარი საათი უნდა გაეძლო. გვერდით მინა ჩამტვრეული იყო. ჩამოეყრდნო და ასე გაჰყურებდა მოედანს. არაერთხელ ენახა ამ რაკურსით, ასეთი გასაოცარი კი — არასოდეს.

თეთრი, ქათქათა მოედანი ერთ ნაკვალევსაც არ შეელახა ჯერ. ფიფქი უხმოდ ეშვებოდა ვერცხლის მინდორზე, მინის ფხვნილით რომ მოეფინათ.

თერთმეტსართულიანი სახლის ფანჯრები ჩაბრმავებულიყო, მაგრამ აქა-იქ ფერადი ნათურა ენთო, მათი სუსტი სხივი მოედანსაც ეფინებოდა, ასხვაფერებდა.

გორაკზე წამომდგარი ცირკის შენობა თეთრი კრემით დაფარულ სადღესასწაულო ტორტს უფრო ჰგავდა. ასეთმა შედარებამ კაჭუჭიას ოდნავ გამოუკეთა გუნება, უნებური ღიმილი მიეყინა ტუჩზე.

მოეჩვენა, ვიღაცის ფეხქვეშ თოვლი აჭრაჭუნდა თითქოს.

გულისცემა მოუხშირდა, მუშტები მომუჭა. თოვლის ჭრაჭუნი კვლავ მოესმა, კვლავ ვიღაცა ეპარებოდა ფრთხილად.

შეთრთოლდა, ნერვები დაძაბა. უცბად ნაძვის ტოტიდან ბათქუნით ჩამოვარდა გუნდა და ეს ხმა ისე გაისმა ქალაქის მდუმარებაში, კაჭუჭიამ კინაღამ შეჰყვირა.

კბილებაკაწკაწებული გამოვარდა ჯიხურიდან. აქ კი აშკარად გაიგონა ფეხის ხმა. „მძარცველი!“ — იყვირა ვიღაცამ მის სულში. გაქცევა მოინდომა, მაგრამ ფეხი დაუცდა... ღონიერ მკლავებში აღმოჩნდა.

— ძლივს გამოვაღწიე, ათასჯერ წავიქეცი! — შემოსტირა ლილიმ.

„დებილი!“ — ბოროტად შეხედა კაჭუჭიამ. თავი შეიკავა, მკლავზე ხელი წაავლო.

— ჩემთან წავიდეთ!

— დედიკო მომკლავს...

— მოგკლავს კი არა, უბიწოება არ წაგართვას ვინმემ!

— რატომ იცი ხოლმე ეგრე?

კაჭუჭიას შიშმა გაუარა. სწრაფად ვეღარ ადგამდა ფეხს. ცალი მკლავი ლილის შემოჰხვია კისერზე და ჩამოეკონწიალა. გოგო ღონივრად ეზიდებოდა ფორნის ცხენივით.

„ბასტა, ჯანდაბამდის გზა ჰქონია ჩემს ცხვირმოუხოცავ ცოლუკას!“ — კმაროდა ამდენი გაწამაწია. მაინც ვერავინ დასაჯა, თვითონ კი ყოველ ნაბიჯზე ისჯებოდა. „ახია ჩემზე, — თავს იტყუებდა, — სიყვარულს ვუღალატე, პირველსა და ერთადერთს... რა ვუყოთ, რომ ავადაა!..“ მისი ციებიანი აზრი ისევ მზიას ირგვლივ დატრიალდა, თუმცა მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც შურისძიებით იყო გატაცებული, არც გახსენებია.

ლილი მძიმედ ხვნეშოდა, ძალუმად ექაჩებოდა მთლად მოშლილ კაჭუჭიას... ყოველი ნაბიჯი ტანჯავდა საშუალ ბედიას. ჯიბეში ძალათი ჩატენილი ფულის დასტები ბარძაყებზე ეხახუნებოდა. სისხლიანი კოჟრები გაუჩინა. კვალზე მოსხურებული სისხლის წვეთები, ფულისაგან ნაჟონი რომ ეგონა, იქნებ მისი სისხლი იყო. წყევლაც კი წამოსცდა ერთხელ. იმ დღეს წყევლიდა, როცა პირველად იპოვა ის შაურიანი და სიცოცხლე მოეწამლა. მაშინათვე ენა ჩაიგდო. ვერ ელეოდა ძალას, სიამაყის გრძნობას, რასაც აურაცხელი თანხის ფლობა ანიჭებდა...

ლილი ხმას არ იღებდა, ჰაერს ხმაურით ისრუტავდა, კაჭუჭია მის ზორბა მხარზე ეკიდა, დაღლილობისაგან თვალები ეხუჭებოდა. რამდენიმეჯერ ფეხი დაუცდა. თოვლში ჩაცვივდნენ. კაჭუჭიას წამოდგომა დაეზარა. გოგომ ღონივრად ასწია, მიწას მოსწყვიტა.

ასე გაიარეს მთელი გზა.

არაფრის თავი არ ჰქონდა, მაგრამ კარს რომ მიაღწია, ეჭვმა გაკენწლა. რატომღაც იფიქრა, ჩემი კარი ვიღაცას უწვალებიაო. არავითარი კვალი არ აჩნდა, მცირე ნაფხაჭნიც კი. მაინც დარწმუნებული იყო, ჩემს არყოფნაში კარის გაღებას ცდილობდნენო.

აივანზე არავინ ჩანდა. სრული სიმშვიდე სუფევდა.

სახლს ეძინა.

ვინ უნდა ყოფილიყო? უნდოდ შეათვალიერა დერეფანში ჩამწკრივებული კარები. ლილი ბნელი კოლოსივით ადგა თავზე უძრავად, შიშსა ჰგვრიდა.

— რას გამოშტერებულხარ? ხმა ამოიღე! — შეუყეფა.

ლილიმ ამოიხვნეშა.

— თუ არ გეზარება, წადი ახლა შინ!

კაჭუჭია ვერ არჩევდა მის სახეს. გოგო ცხვირს აქშუტუნებდა, ალბათ ტირილს აპირებდა.

— დედა მომკლავს...

— მოგკლავს კი არა...

გასაღებების მთელი ასხმულა დააძრო, კარის გაღების რთულ პროცედურას შეუდგა. ზოგი ბოქლომი ადვილად იხსნებოდა, ზოგიც ძალის დატანებას მოითხოვდა, ღონე კი არ ჰყოფნიდა. უჩუმრად აყუდებულ ლილის მაინც იცილებდა ეჭვიანად.

ბინაში ჰაერი ისე იყო დახუთული, კაცს წააქცევდა. შესვლისთანავე მოიხურა, ურდულების გაყრას და კლიტეების ჩაკეტვას კვლავ ნახევარ საათს მოუნდა. ცალი თვალით ლილისაკენ იყურებოდა, საკეტების სისტემას ხომ არ იმახსოვრებსო.

საძილე ოთახში არ შემოუშვა. სასტუმროში, დივანზე საბანი და ბალიში დაუგდო.

თვითონ გაუხდელად ჩავარდა ლოგინში და ნერვულმა, არეულმა ძილმა თავი წაართვა.

ფეხებზე ხუნდებს ადებდნენ თითქოს. ცდილობდა მოეცილებინა, რკინის ხუნდები კი უფრო და უფრო უჭერდა. ჭრილობებიდან სისხლი მოთქრიალებდა. „გამიშვით, რას მერჩით! ისედაც ძალა არა მაქვს!“ — იხვეწებოდა. უჩინარი ლანდები დასეოდნენ, შეუბრალებლად კოჭავდნენ.

— თავი დამანებეთ, თავი დამანებეთ! — იყვირა და გამოეღვიძა.

სასტუმროდან სინათლის შუქი გამოდიოდა.

თავზე ლილი ადგა, სინათლე ზურგზე სცემდა გოგოს, კაჭუჭია მის გამომეტყველებას ვერ ხედავდა.

— რა გინდა? — უკმაყოფილოდ შეეკითხა, უნებლიე შიში დამალა.

— ყვიროდი! — ჩაიდუდუნა ლილიმ. მის ხმაში თხოვნის კილო დაიჭირა კაჭუჭიამ, ზიზღის მეტი ვერაფერი იგრძნო, ზურგი შეაქცია.

— წადი, დაიძინე!

ძილი გაუკრთა. თვალები ფართოდ გაეხილა და ბნელი კედლისათვის მიეპყრო. ვერაფრით ხვდებოდა, რად იყო ასე უბედური. ვის რა დაუშავა, ცუდი რა გაუკეთების ვინმესთვის? ახლა ეჩვენებოდა, რომ უზრუნველი ბავშვობა, ენგურის სანახებში გატარებული, იყო უბედნიერესი ხანა, რადგან მაშინ ჯერაც არ იცოდა ფულის ფასი.

„ეგებ სოფელში წავიდე?“ — გაიფიქრა. სულში სუსტმა სხივმა შემოანათა. მარტოობის, ყველას მიერ მიტოვებულის მწველი განცდა შეუნელა. ამ აზრს გაუღიმა. რამდენი ხანია შინ არ ყოფილა. ბოლო-ბოლო ჩათუ-ბების საფლავი ხომ უნდა მოენახულებინა? მშობლები სიხარულით ცას ეწევიან, მეგობრები შეიყრებიან, ლხინს ლხინზე გადააბამს, გალაღდება... წამით ბედნიერმა გვერდი იცვალა და უცბად ყველაფერი ჩაქრა. ლილის ხვნეშა მოესმა. იქნებ მარტო არც იყო ლილი, ვაითუ ვინმეს კარი გაუღო. მოკლავენ კაჭუჭიას, გაიტაცებენ მის განძსა და ფულს.

შიში დაეუფლა, ცივი კლანჭები შეუყო გულში, მოუჭირა.

— ლილი!

ხვნეშა შეწყდა. ძველი ტახტის ზამბარები აჭრაჭუნდა. იატაკზე შიშველი ფეხის ტყაპუნი გაისმა და ლილიმ შემოაჭყიტა ბუთია თვალები.

— მოდი აქ!

ლილის აშკარა კმაყოფილება შეეტყო, საწოლის კიდეზე ჩამოუჯდა.

— ვინ არის მანდ?

გოგომ უაზროდ შეხედა, მხრები აიჩეჩა.

კაჭუჭიას შერცხვა თავისი ეჭვებისა. ზიზღნარევი სურვილით კედლისაკენ ჩაიწია, რათა ზონზროხა გოგო მის გვერდით დატეულიყო.

* * *

ბინაში გამოიკეტა. შინ არავის უშვებდა. მხოლოდ ლილი აკითხავდა დღეგამოშვებით, ერთსა და იმავე დროს. დადგებოდა კართან, არც დააკაკუნებდა, არც შეუძახებდა, მორჩილად ელოდა. კაჭუჭია ჭუჭრუტანიდან უთვალთვალებდა კარგა ხანს, ვინმეც ხომ არ ახლავსო. მერე იწყებოდა კარის გაღების რიტუალი. მხოლოდ იმდენად გამოაღებდა, ღრიჭოში ლილი შემოტეულიყო. არც მისი ნახვა ეპიტნავებოდა მაინცდამაინც, მაგრამ ლილის საჭმელი მოჰქონდა. თვითონ კაპიკის გამეტება ეზარებოდა. მაღაზიის ფასები ანცვიფრებდა, ბაზრისაკენ კი არც იხედებოდა. ძალიან თუ მოშივდებოდა, იაფფასიან ძეხვს ყიდულობდა, ან თევზის კონსერვს და იმით საზრდოობდა. ლილის კი შინიდან მოჰქონდა სადილის ნარჩენები. კაჭუჭია ამით თავს სულაც არ გრძნობდა დამცირებულად. კარს ჩაკეტავდა თუ არა, გაზეთში გახვეულ ძღვენს გამოჰგლეჯდა და პირში იტენიდა ქათმის ბარკალი იყო თუ მხალის ნარჩენი, გაციებული მჭადი თუ კვირის წინანდელი ხაჭაპური. ლილი ამ დროს გულხელდაკრეფილი იდგა და უყურებდა... კარგად რომ დანაყრდებოდა, ვაჟი თავს მაშინღა ასწევდა, ახედავდა ლილის ბრიყვულ სიფათს და დაეღრიჯებოდა:

— რას მომშტერებიხარ? მოდი აქ!

ლილი უხმოდ ჩამოუჯდებოდა ლოგინზე, ელოდებოდა.

კაჭუჭია ნასადილევს გაყუჩდებოდა, ისვენებდა, მერე უთქმელად მიუბრუნდებოდა გოგოს, უხეშად წამოაქცევდა.

შემდგომ ისევ დაჯდებოდა, გაირინდებოდა. ლილიც დაავიწყდებოდა, საკუთარი თავიც. უცბად გამოერკვეოდა, გაოცებული შეხედავდა გოგოს, გაღიზიანებული მიახლიდა:

— რა გინდა აქ, ვერ წაეთრევი შინ?

ლილი მხრებში მოიბუზებოდა, ცრემლებს გადმოაფრქვევდა, კარისაკენ გაძუნძულდებოდა. გაღება თვითონ არ შეეძლო. კაჭუჭიას ხელიდან გასაღები უვარდებოდა, ნერვულობისაგან ურდულებს ვეღარ ერეოდა, სურდა სწრაფად გაესტუმრებინა უცხო და აბეზარი გოგო...

მარტოდ დარჩენილი დიდხანს კეტავდა, ხან ერთი გასაღები ავიწყდებოდა, ხან მეორე...

ფანჯარაში კი ცნობისმოყვარე ზამთარი იყურებოდა, ცხვირპირი მინაზე მოეჭყლიტა, შინაბერას გულმოდგინებით მოექარგა. შინაგანად დაცარიელებული, მოწყენილი კაჭუჭია დიდხანს უბერავდა სულს, ალხობდა, ვიწრო სათვალთვალოდან უცქეროდა გარე ცხოვრების ფრაგმენტს. აქედან მოპირდაპირე აივნის ნაწილი მოჩანდა. ხანდახან გაიელვებდა ფეხი, შარვლის ტოტი მოხვეტავდა იატაკს. ხან გაიბაკუნებდა მაღალქუსლიან ფეხსაცმელებში გამოსკვანჩული ქალის ფეხები და კაჭუჭიას სული ემღვრეოდა იმ ვნების სუსტი ნაშთით, რაც ასე ძალუმად ჩქეფდა მის ძარღვებში ოდესღაც... ვნების ეს გაფაჩუნება ახლა სკამიდანაც ვერ წამოაყენებდა, ამოიოხრებდა მხოლოდ, კაეშნის განდევნას ცდილობდა.

თუთის წვრილი ტოტი ედებოდა მინას გარედან, ოთახში ეპირებოდა შემოსვლას. ოდნავ დაუბერავდა ნიავი და ატეხდა წყნარ კაკუნს, ეხვეწებოდა, ბარე სარკმელი გამიღე, სითბოში შემომიშვიო.

დღენიადაგ უთვალთვალებდა ამ ტოტს. გაჩხინკული ტოტი სიცოცხლისაგან დაცლილსა ჰგავდა.

იმ პირველ თოვლიან დილას ტოტზე ქუდი დაჯდა, ჩამოზნიქა, მაგრამ თოვლი ჩამოცვივდა და ტოტი ისევ გაშიშვლდა.

მეორე დღეს ისევ დაეხურა ფაფუკი ქუდი. ისეთი მსუბუქი ჩანდა, უნდა ჩამოეგდო ნიავს, ოღონდაც, ყინვამ ზედ მიაჭედა.

ერთხელაც წვეთი დაეკიდა, ცრემლივით ობოლი, ბრჭყვიალა...

იმ დღეს კაჭუჭიასაც ცრემლი მოერია, მიზეზი კი არ იცოდა. უბრალოდ ტირილის გუნებაზე დადგა. იჯდა ჩვეულ ადგილას, უყურებდა იმ წვეთს, ცრემლი კი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

ადრიან გაზაფხულს იმ ტოტზე ჩიტი დაჯდა, შესჭახჭახა...

კვირტები მოულოდნელად გაჩნდა, ვერ შეამჩნია როდის...

მერე გაიფოთლა... ეზოში იმატა ბავშვთა ჟრიამულმა...

თავი II. ოქროს ზოდების ელვარება

სამუდამოდ ხომ არ გაგრძელდებოდა ასე. ცხოვრება თავისას მოითხოვს. გაზაფხულმა კაჭუჭია ბედიაც გამოაცოცხლა. იგრძნო, რომ კუნთებში უჩვეულო ძალა შემოვიდა. სჭირდებოდა მოძრაობა, გარჯა. გაიზმორა, ძვლები გაატკაცუნა, მოუნდა გავლა, საქმიანობა.

ენერგიულად დააბიჯებდა ოთახიდან ოთახში. დახუთული ჰაერი და სივიწროვე თავბრუს ახვევდა.

აივანზე გამოვიდა. მზის სხივებით გამსჭვალულმა გრილმა ჰაერმა განსაწმენდელში გავლილის სილაღე შესძინა. იდგა და ხარბად ისუნთქავდა იმ კაცივით, ვისაც ეს-ესაა ახრჩობდნენ.

შინ შებრუნდა, პირველად ამ ნახევარი წლის განმავლობაში სარკმელი გამოაღო. ოთახში შემოაღწია ნოტიო ჰაერმა და ჟრიამულმა.

„ეჰ, კახაბერ ჩემო, ძველო ბიჭო, ცხვირი რას ჩამოგიშვია?“ — თავი გაიმხნევა. მართლაც რა სჭირდა საწუწუნო ამდენი სიმდიდრის პატრონს.

ქორწილის შემდეგ არ დაუთვალიერებია თავისი განძი. ახლა მოუნდა, საქმე გაიჩინა. გახსნა ყველა უჯრა და სამალავი. რაც კი რამ ჰქონდა, მაგიდაზე დაახვავა.

ჩაბნელებულ ოთახში ათასი ათინათი აციმციმდა, კედლებსა და ჭერზე ათრთოლდა.

ათრთოლდა კაჭუჭიაც. აღტაცებული მზერა ვერ მოსწყვიტა მის წინ დახორავებულ გორას. რად სჭირდებოდა ან ცოლი, ან ძმები, ან დედ-მამა; რად სჭირდებოდა ძე ხორციელი დედამიწის ზურგზე, როცა ასეთი განძის მფლობელი იყო.

გულწრფელად, უყოყმანოდ დაასკვნა, სწორ გზაზე ვდგავარო. „მიმიფურთხებია ყველასათვის!“ — აღფრთოვანებული სინაზით წასჩურჩულა თავის სატრფოს, თავის გულისწორს, ერთადერთს, სანუკვარს, ძვირფასეულობის ამ განძს...

ხელები ზე აღმართა, თითქოს კურთხევას უპირებდა. ბანჯგვლიანი თათები ცახცახით ჩაყო მარგალიტებისა და ბრილიანტების

გროვაში, ვერცხლისა და ოქროს ბორცვში...

რაღაცამ, რასაც სახელი არა ჰქვია, შიგ გულში შეუღიტინა. ბედნიერებით მოპირთავებულიყო მისი სული, ოქროს ზოდების ელვარებას წაეღო თვალის ჩინი. უპირველესი და უმძაფრესი სიყვარული დაეუფლა კაჭუჭიას და ნეტარებით აღავსო.

გაიჩხაკუნა. ვიღაცა იდგა დერეფანში, კარს მიღმა. ადგილზე გაშეშდა. მოეჩვენა, რომ გასაღები გადაბრუნდა კლიტეში. მერმე არც ფეხის ხმა გაუგონია, არც სუნთქვა ვინმესი, არც არაფერი. მხოლოდ ბავშვები ხმაურობდნენ ეზოში. კართან მიირბინა, ზედ აეტმასნა. „ის“ იქ იდგა!.. პანიკამ შეიპყრო. ჭუჭრუტანიდან ვერაფერი დაინახა. ურდულები უხმაუროდ ჩამოხსნა და უცბად გააღო.

არავინ იყო!

დერეფანში ყველა კარი მჭიდროდ მიეგმანათ. არც აივანზე ჩანდა ვინმე.

ფრთხილად, ცერებზე მიირბინა რაფიკას კართან. მიაყურადა. თითქოს შიგნით საგანგებოდ გასუსულიყვნენ. ეჭვმა ააწრიალა. დააკაკუნა. ოთახში ფაჩუნი მოისმა, ისევ მიწყნარდა. მომიყრუესო და უფრო მაგრად დააკაკუნა.

კარი გაიღო.

ჩაბნელებული ოთახიდან, ვითარცა მღვრიე წყლის ფერია, გამოვიდა მანდილწაკრული სუსანა. ნაძალადევად გაუღიმა.

— აჰ, კახაჯან, ისეთი შაკიკი მჭირს, ლამისაა სული გავაცხო.

— რაფიკა შინაა?

— დილას აქეთაა არ გამოჩენილა. შემოდი, ყავა დაგალევინო! სულ დაგვივიწყე და...

— არა მცალია! მაშ, რაფიკა აღარ არის?

— მაშა! არ არის და რა გიყო?

კაჭუჭიამ ზურგი შეაქცია. ზაზუნას კარს მიადგა. შიგნიდან მხიარული შეძახილები და ხორხოცი ისმოდა. ალბათ სტუმრები ჰყავდა.

— მობრძანდით! — კაკუნზე გამოეპასუხნენ.

კარი გაიღო. ზღურბლზე ჰაერით გაბერილი დიდი ბუშტივით აქანავდა სახეწამოჟინჟღლებული ზაზუნა.

— უკვე დაიძვრინე თავი? — გაიოცა კაჭუჭიამ.

კვირით ადრე ზაზუნას მაღაზია დაულუქეს და კინაღამ ჩასვეს.

— გამარჯობა, მეზობელო, გამარჯობა!.. — კაჭუჭიას სისხლით დალაქავებული ხელები ზურგსუკან ამოედო და ამიტომ ზაზუნამ მხიარულად გადაჰხვია ხელი მხარზე. როხროხებდა და თან პაწია, შიშიან თვალებს აცეცებდა.

— ყოჩაღ, ზაზუნ! მე კი მეგონა, კარგა ხნით გაგიშვებდნენ დასასვენებლად!

— მთავრობამ იცის მტყუანი და მართალი, ვენაცვალე სამართალს. რა გამოირკვა თუ იცი? ჩემისთანა უმწიკვლო და სუფთა კაცი მთელ სავაჭრო სისტემაში არ ყოფილა! — ზაზუნამ ურისტოლა მუშტი მკერდზე დაიბრაგუნა, — მე ყოველთვის პატიოსნებას ვქადაგებდი, ბატონო, სხვისი კაპიკი არასოდეს მიმისაკუთრებია. ზოგიერთი პარაზიტი ქვეყანას ყვლეფს, ისეთი ნურავის ვგონივარ. ჩემი დევიზია: პატიოსნება, პატიოსნება და ერთხელ კიდევ პატიოსნება!..

კაჭუჭია ჩუმად უსმენდა. ენის წვერზე ეკერა კითხვა, რამდენი დაგიჯდა ეგ შენი ქებული პატიოსნებაო, სხვანაირად კი მოჭრა:

— ღმერთი გფარავდეს, ჩემო ზაზუნა!

— პატიოსნება, უპირველეს ყოვლისა, ჩემო ბატონო! — ზაზუნამ თითი დამაჯერებლად ასწია, — ჩვენი შრომით უნდა ვჭამოთ პური ჩვენი... ასეა, ბატონო!

კაჭუჭიამ თავი დაუქნია ლაპარაკმოწყურებულ მეზობელს, გამოემშვიდობა. ჯუმას კარს მიაპყრო ეჭვიანი მზერა, დაკაკუნება კი ვერ გაბედა.

აივანზე გავიდა. ზედა სართულები შეათვალიერა. ბოლო სართულზე პიჟამოიანი ტიპი იდგა დურბინდით და მის სარკმელს ათვალიერებდა. კაჭუჭიას ფერი ეცვალა.

— ჰეი! — შეუძახა.

ტიპმა დურბინდი მოიშორა, გადმოხედა.

— ი-იქ ცეცხლია?! — იკითხა.

მართლაც სარკმლიდან უცნაური ელვარება გამოკრთოდა.

კაჭუჭია სწრაფად შებრუნდა ოთახში.

მაგიდაზე დახვავებული განძის ელვარება თვალს ჭრიდა.

კარი ჩაკეტა, ფანჯარაზე ფარდა ჩამოაფინა.

მაგიდას მიუბრუნდა. ზედ სისხლი იდგა. სისხლის წვეთებიეკიდა მაგიდის ძგიდეებს. მის ფეხებზე ჩამოდიოდა, იატაკზე იტბორებოდა. ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია. სისხლს მიეჩვია და მის მოტკბო სუნს ისე იტანდა, როგორც მანქანის მძღოლი ბენზინისას. განძეულს სისხლი წვრილ წინწკლებად ეფინა, თითქოს ახლახან მოეწვიმა. ძველი პერანგის ნახევით შეუდგა წმენდას. თითო-თითოდ იღებდა ნივთს, დიდხანს ატრიალებდა ხელში, სიამოვნებდა მისი სიმძიმე, ფასი... ნაზად უსვამდა ტილოს, საგულდაგულოდ წმენდდა, თუმცა იცოდა, რომ ერთ-ორ საათში კვლავ სისხლის წვეთებით დაიფარებოდა...

თანდათან გაიტაცა საქმიანობამ, საბოლოოდ გამოეთიშა გარე სამყაროს. მისთვის მხოლოდ ეს განძეულობა და ფულით გამოტენილი ჯიბეები არსებობდა.

პირველსავე ზოდს მთელი საათი აპრიალებდა. ზოდი ბრჭყვიალებდა, ელვა გადასდიოდა. ლაქას მიკროსკოპითაც ვერ უპოვიდა კაცი. ის მაინც უსვამდა და უსვამდა, ხელზე შეაგდებდა, აწონიდა, პირს გააწკლაპუნებდა, რაღაცას ბუტბუტებდა თუ ღიღინებდა, ამას ვინ გაიგებდა. მეორე ზოდს უფრო დიდხანს მოუნდა, რადგან ძილი წამოეპარა, მთქნარება აუტყდა. ალბათ შუაღამე იქნებოდა. მერე თვითონაც არ იცოდა, ძილში განაგრძობდა ყოველივეს თუ ცხადში.

განძში ჩაფლული ათიოდე ოქროს საათი სხვადასხვა ხმაზე წიკწიკებდა. რომელიმე მათგანს ხელში რომ აიღებდა, სისხლს გადასწმენდდა, ოქროსი და ძვირფასი თვლების ელვარებით თვალმოჭრილი ციფერბლატს ვერ ხედავდა. ამიტომაც ვერ ამჩნევდა დროის სვლას, არც აინტერესებდა იგი. მარადის უნდა ყოფილიყო ამ უტკბესი საქმიანობით დაკავებული. სხვა რამისათვის არც ღირდა ცხოვრება. გაჩერებული დროის წამიერებას მიჰქონდა მისი სიცოცხლე.

ძილი საბოლოოდ განშორდა. თვალები დაუწითლდა, სტკიოდა. ქუთუთოებქვეშ სისხლი ჩაუწვა. უძილობა ჯერაც არ იყო ესოდენ მტანჯველი, მაგრამ აზრს აქრობდა, ტვინში სიცარიელემ დაიბუდა.

შიმშილი იგრძნო, მწველი. გულის ძარღვს წოვდა, არაქათი გამოელია. მერე ისიც გადაავიწყდა და, ალბათ, არასოდეს საჭმლის

არსებობა აღარ მოაგონდებოდა.

დღის სინათლე მორცხვად შემოიპარა ფარდის ვიწრო ჭრილში, ელნათურით შეშინებული უკუიქცა. ეს გაელვება მოწმობდა ცის კაბადონზე მზის გასეირნებას.

გარეთ კვლავ ბნელოდა. იქნებ მეორე ღამე იყო, ან მესამე. ამის გაგება არ ძალუძდა, რადგან არ ახსოვდა, როდის, რამდენი დღის წინ მიუჯდა ამ მაგიდას, შეშლილის აკვიატებულობით წმენდდა და ალაგებდა მრავალგზის გაწმენდილსა და დალაგებულს.

დაგუბებულ ჰაერში სისხლის მოტკბო სუნი გაძლიერდა. რაღაც იხრწნებოდა, რაღაც ამაზრზენი ხდებოდა, ოღონდ ყოველივე დაფარული იყო ბინის ყრუ კედლებით.

ერთხელ გამოფხიზლდა წამიერ. ვიღაცა კარს უჩხიკინებდა. შეშფოთებული წამოვარდა, მიაყურა. ნამდვილად იდგა დერეფანში უცხო ვინმე. კაჭუჭიამ მუშტი დასცხო კარს და ისტერიულად შეუკივლა:

— ვინა ხარ მანდ?!

— კახაჯან, რაფიკა ვარ, საქმე მაქვს შენთან, — ჩურჩულით უპასუხეს.

— წაეთრიე აქედან, საქმე არ ვიცი მე, — ჩურჩულითვე უპასუხა კაჭუჭიამ.

— იაფი და მომგებიანია, კახაჯან, გაგეხარდება.

— წადი შენი... — წაისისინა ბედიამ და კარს მოშორდა.

უმალვე დაავიწყდა ეს შელაპარაკება, ისევ საქმეს მიუბრუნდა.

არც მესამე თუ მეოთხე დღეს გახსენებია საჭმელ-სასმელი, ძილი. ტუჩ-პირი წითური ბანჯგვლით დაეფარა. თვალები მთლად ჩაუღამდა, თითქოს ბნელი ჭიდან იცქირებოდა. შუბლზე, სახეზე ნაოჭები დააჩნდა. ყვრიმალები ამოეზარდა. ტყავგადაკრული თავის ქალა ეგონებოდა კაცს, გაყვითლებულ, წვრილ კისერზე რომ იყო წამოცმული.

მეოთხე დღის დასალიერზე რეტდასხმულივით წაბარბაცდა, თავი ძლივს შეიმაგრა, საწოლამდე მიაღწია და მოცელილივით დაეცა...

თავი III. თავდასხმა

მისთვის წამი იყო, საათის ციფერბლატზე კი ისარმა მრავალგზის დაარტყა წრე. ღრმა ძილმა მოსვენება ვერ მოუტანა. თვალი გაახილა, ვერ გაიგო, დღე იყო თუ ღამე. შიმშილისაგან კუჭი ეწვოდა, გული მისდიოდა. ღონე არ ეყო, თავი წამოეწია. ძილმა კვლავ ჩაითრია. მოეჩვენა, რომ წამოდგა, დაიბანა. ვითომ თავბრუ ეხვეოდა, ბანცალებდა. მერე გაწყობილ სუფრას მიუჯდა. სუფრა კი არა, ერთი დიდი გობი იყო. ზედ კერძი დაეხვავებინათ უხვად. გამწარებული ეძგერა საჭმელს. სულმოუთქმელად ნთქავდა და ნთქავდა, მაგრამ ოდნავადაც ვერ გრძნობდა შიმშილის დაოკებას. მერე იაზრა, რასაც მიირთმევდა. მისი განძი მოეხარშათ სისხლის წვნიანში. კბილებს იმტვრევდა საათებზე, დიადემებზე, საყურეებზე, ბეჭდებზე, სამაჯურებზე... ოქროს მონეტებს იჭერდა წვნიანში, თხილივით აკნატუნებდა... მთლად დაიმტვრია კბილები, დაუსისხლიანდა პირი, ენა, აერია საკუთარი სისხლი და ეს უცნაური წვნიანი, რომელსაც მოტკბო, გულისამრევი სუნი და გემო აჰყვებოდა. ამას რომ მიხვდა, თვითონვე შეძრწუნდა, უკან გადაიწია, ოღონდაც, რაღაც ნება აიძულებდა ეთქვლიფა ეს ჯოჯოხეთური კერძი. ყელში ამოსდიოდა და მაინც ვერ ჩერდებოდა. მუცელი ეზრდებოდა. მალე ფაშვი ისე გაებერა, მუხლებზე ვერ დაიხედავდა. ნაყლაპი ოქროს სიმძიმისაგან სკამს მიეწება, სული შეუგუბდა. უკვე არ შეეძლო მეტი ჭამა, უკვე ნამცეცი ვერ ეტეოდა კუჭში, პირში კი ისევ იტენიდა...

უცებ გასკდა, დაიხედა და ფაშვიდან ოქრო ამოსჩროდა, სისაძაგლეებში არეული თვალ-მარგალიტი ჭვიოდა.

მიხვდა, რომ კოშმარული სიზმარი ნახა. ნებისყოფას მოუხმო, გამოიღვიძა. ქუთუთოები ერთმანეთს მისწებებოდა და ძლივს გახსნა.

გონს ვერ მოვიდა კარგა ხანს. ოფლში ცურავდა. ფულის დასტები უშნოდ მიბჯენოდა გადახეხილ ბარკლებზე და სტკიოდა. საჭირო იყო წამოდგომა, ცივი წყლის დალევა, ის თუ გამოაფხიზლებდა, მაგრამ ძალა არ ეყო. ძლივს იცვალა გვერდი. გახეუ-

ლი შარვლის ფხრაწუნი ჩაჰყვა ბნელ ბურანში.

სიზმარი მთლად აეწეწა. ვითომ თავი დააღწია კოშმარს. ყველაფერი განათდა. ქალაქის ვრცელ მოედანზე აღმოჩნდა. მთელი მოედანი მდუმარე ხალხით იყო გაჭედილი. შიში მოჰგვარა ამ მდუმარებამ, ჩქამიც რომ არ არღვევდა. გაიწია, სურდა გაეღწია ბრბოს რიგებში. აწუხებდა ვრცელი მოედანი, კაშკაშა მზით გასხივოსნებული, რის გამოც ყველაფერი სააშკარაოზე ჩანდა... გაიწია და კინაღამ წაიქცა. ახლაღა ნახა, ხელ-ფეხი თოკით ჰქონდა შებორკილი, მოედნის ცენტრში ჩარჭობილ ბოძზე გაეკრათ.

ელდა ეცა კაჭუჭიას. ღმუილი აღმოხდა, აწყვეტა მოინდომა.

პირქუში ბრბო კი უძრავად იდგა და დუმდა.

თავი მოიმკვდარუნა საშუალმა ბედიამ, შიშმა აზრი გაუცხოველა. შესაბრალისი მზერა ესროლა ახლო მდგომთ. ნაცნობი და ახლობელი ვერავინ ნახა და იმედი მთლად გადაეწურა.

ზარს ჩამოჰკრეს. მიკროფონთან კაცი მივიდა, დაიძახა:

„ხალხო, მივცეთ მას, რაც სიცოცხლეს ერჩივნა!“

ხალხი დუმდა და შესაზარი იყო ეს მდუმარება.

კაცმა ხელით ანიშნა ჯალათს. ახლაღა შენიშნა იგი კაჭუჭიამ, თვალები გაუფართოვდა. ტატო შეიცნო. ხელში დიდი ჯამი ეჭირა. ჯამს ორთქლი ასდიოდა. მიხვდა კაჭუჭია ბედია, გამდნარი ოქრო ისროდა ცინცხალ სხივებს.

„არ მინდა!“ — იზმუვლა, კრიჭა შეიკრა.

ტატოს თვალებს ვერ გაუძლო.

„არ მინდა!“ — ტირილით გაიმეორა, პირი კი დააღო, რათა მიეღო კუთვნილი სასჯელი.

ადუღებული ოქრო ჩაასხეს პირში, ჩაეთუთქა ენა და ყელი, ცეცხლი მოეკიდა...

იკივლა კაჭუჭიამ, გაიწია, მოაძრო ბოძი და იმიანად წაიქცა .

„არ გაუშვათ, მაგრა შეჰკარით!“ — იხუვლა ბრბომ და მიესია.

— მაგრად შეჰკარით, არ გაუშვათ!.. — აშკარად გაიგონა ხრინწიანი ჩურჩული. გაოგნდა, შიშისაგან ენა ჩაუვარდა. ოთახში ჯიბის ფარანი ენთო და კაჭუჭიას ხელ-ფეხს უკრავდნენ...

* * *

ეს კი ნამდვილად არ იყო სიზმარი. ცხადი ისე სავალალო გახლდათ, კაჭუჭია აბორგდა, შეეცადა გათავისუფლებულიყო, ოღონდ ამაოდ. ხმა დაძაბა, უნდოდა ეკივლა. მხოლოდ ხავილი აღმოხდა, რადგან პირში ჯენჯო ჰქონდა ჩატენილი. რამდენიმე ნიღბიანი კაცი მოურიდებლად ბუბნიდა. მძიმე, ზორბა ტიპი ზედ აწვა და ვაჟის ნეკნებს ლაწალუწი გაუდიოდა.

— ნუ მკლავთ! — უფრო გაიფიქრა, ვიდრე თქვა.

— მაგრა გაკოჭე, თუ წამოდგა, ქვეყანას შეგვიყრის! — ნერვული ჩურჩულით ამბობდა ნაცნობი ხმა.

— ბარემ გავათავოთ და ისაა! — ქალი შეეპასუხა.

— გაგიჟდი? მკვლელობა არ გამაგონო... რომ ჩავცვივდეთ, ხომ დავიღუპებით, — ქშენა-ქშენით ამოაყოლა ზედ დაწოლილმა ზორბამ.

კაჭუჭიას თავი გადაუვარდა. საშველი არ იყო და მინებდა. თავწაცლილ ქათამს რომ ელევა თანდათან ძალა, ისე ასუსტებდა წინააღმდეგობას. ბოლოს, გარეგნულად მთლად დაწყნარდა.

ჩუმად იწვა და თვალს აცეცებდა. შემოსასვლელი კარი ღია იყო. ღამემ დილისაკენ გადაიწია.

ბინაში დაფაცურობდნენ. ჯერ მთელი ჯარი ეგონა, მერე ოთხიღა დათვალა.

თავდაპირველად ვერც მიხვდა, რას ერჩოდნენ. წრიალებდა ბეცი აზრი: რა ხდება? რა უნდათ?.. განძი გაახსენდა. ზმუილი მორთო. ოთახში მყოფნი ყურადღებას არ აქცევდნენ. ღონეს მოუხმო, ასხმარტალდა. ისე იყო გაკოჭილი, სისხლი უგუბდებოდა, კიდურები დაუბუჟდა.

— მიდი, გოგრაში უთავაზე, ეგებ დამშვიდდეს! — წაისისინა ქალმა.

— თავი მიანებე, შემოგვაკვდება! — გააჩუმა ზორბამ.

ყველაფერი ნათელი იყო. კაჭუჭიას გულში ცეცხლი ბობოქრობდა, მაგრამ თავზევით ძალა არ იყო და საწყალობლად შეჰყურებდა მოძალადეებს.

ისინი მაგიდის ირგვლივ ტრიალებდნენ. ზედ დახვავებულ განძს ტომარაში იყრიდნენ. ერთი მათგანი, პატარა კაცუნა, ზედი-

ზედ ხსნიდა უჯრებს, კარადებს, ყველგან იქექებოდა. რასაც მოიხელთებდა, იატაკზე ყრიდა. ალბათ სხვა განძსაც ეძებდა. ვერაფერს მიაგნო, წიხლი ჩაჰკრა გაკოჭილს და ცუდქართულით შეამკო.

— თავი გაანებე! — ისევ გამოესარჩლა ზორბა, — ესეც გვეყოფა!

კაცუნამ არაფერი უპასუხა, თვალი ჯიბეგამოტენილ შარვალს დაადგა. ხმის ამოუღებლად დაუწყო ჩახდა. შიშისა და ნერვულობისაგან კაჭუჭია მთლად დასველდა. ტიტლიკანა მუცელზე ოფლის წვეთები ღვარად ჩამოსდიოდა. კაცუნა ძალუმად ექაჩებოდა შარვალს, მაგრამ თოკი უშლიდა ხელს, მისი შეხსნისა კი ეშინოდა. შარვალს ფხრეწა გაუდიოდა, ისე ეტმასნებოდა პატრონის სხეულს, თითქოს ზედ იყო შეზრდილი.

ამასობაში სადღაც ტრამვაიმ ჩაიხრიგინა.

მძარცველებს ყურადღება არ მიუქცევიათ.

მერე ქუჩაში მსუბუქმა მანქანამ ჩაიარა, მოსახვევთან მიასიგნალა.

— თენდება, — წაიჩურჩულა ზორბამ.

— ახლავე, — კრიჭა შეეკრა კაცუნას, კაჭუჭიას გაქონილ-გასისხლიანებულ შარვალს არ ეშვებოდა.

— წამოდი, ჰა, უმაგისოდაც კარგადა ვართ! — მოთმინება დაელია ზორბას.

— მოდი, მივახრჩოთ, — ერთხელაც გაიმეორა ქალმა, — ეგებ გვიცნო კიდეც, გვიჩივლებს!

— ამდენი ჭკუა კი ექნება, რომ არ გვიჩივლოს, წამოდით, ჰა!

ობობას ქსელით დაბლანდულ ვიწრო სარკმელში სუსტი რიჟრაჟი შემოიჭრა, ან იქნებ იქითა აივანზე სინათლე აანთეს და ის ეცილებოდა დღის სინათლეს.

თანდათან იღვიძებდა ქალაქი. სმენაგამახვილებულ კაჭუჭიას მისი უწყვეტი გუგუნი ყურში ჩაუგუბდა.

სასოწარკვეთილს ესმოდა წასულთა ფეხის ხმა, ვითარცა უბედურების ზარი. მისთვის ყველაფერი მთავრდებოდა.

„გიჩვენებთ სეირს!..“ — მაინც იმუქრებოდა უსასოოდ დარჩენილი. სასო კი მართლაც არსაიდან ჩანდა...

თავი IV. დევნა

ქალაქი თანდათან იღვიძებდა. ორიოდ კვარტალს მიღმა ავლაბრისაკენ მიმავალი ტრამვაი მიღოღავდა, ღრიჭინ-ღრიჭინით ქვეყანას იკლებდა.

ქუჩაში მანქანები გახშირდა.

ვიღაცამ გაბმულად დააპიპინა და უმალვე მილიციელის სასტვენი გამოეხმაურა.

მეზობელ აივანზე კალათის ქვეშ შემწყვდეული მამალი ყიოდა. ეტყობა, მამაცურად იტანდა ბედის უკულმართობას.

სირენის კივილით ჩაიქროლა სასწრაფო დახმარების მანქანამ.

„ვიღაცა კვდება, დაწყდით ყველანი!“ — ბოროტად გაიფიქრა კაჭუჭიამ. სმენა გაუმახვილდა, გაუფაციცდა.

ზემო სართულზე კაცი დაალაჯებდა. „ვინ ოჯახქორია?“ — ნერვები აწყდებოდა. ზემო სართულის მეზობელი ყოველი ცისმარე ასე დადიოდა, ოღონდ კაჭუჭიას აქამდე ეს ამბავი არაფრად ჩაუგდია.

„ნეტა თუ გაივლის ვინმე?“

მძარცველებს კარი ოდნავ ღია დარჩათ. გაკოჭილს თავი გადაეგდო. დერეფნის ნაწილს ხედავდა.

ოფლი შეაშრა თანდათან, ტანსაცმელი ზედ მიეწება. შესცივდა.

გაახსენდა, რომ შიოდა, გული შეუწუხდა.

ყოველი წამი სავსე იყო ტკივილებით. დიდხანს თუ გაგრძელდებოდა, მოკვდებოდა ალბათ...

ვიღაცამ დერეფანში გაიელვა. კაჭუჭია შეთრთოლდა. განძრევა ვერ მოახერხა, ზმუილი ამოუშვა. გამვლელმა ვერ გაიგონა, ყმაწვილი კი მაინც განაგრძობდა ზმუილს, სანამ იმედი არ გადაეწურა.

ატირდა მაშინ კაჭუჭია, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა საფეთქლებზე. ნერწყვის გადაყლაპვისას იხრჩობოდა, კრუნჩხვები უვლიდა.

თანდათან მისუსტდა, თვალები მიელულა და მეხსიერება დაკარგა...

ბურანიდან შორეულმა ხმებმა გამოიყვანა, ბავშვი გაჰკიოდა

ეზოში: „აქეთ, ზურა, აქეთ, დაარტყი, დაარტყი!.. გოლ!.. არის!..“ გამეტებით დაუსტვინეს. ქალის ხმამაც ზედ ყურისძირში ჩაიკნავლა — „წყნარად რა, ბავშვებო, გეხვეწებით, რვეული ვერ გამისწორებია!..“

ალბათ ნაშუადღევი გადაცილებული იქნებოდა. ის კი ისევ ისე გაქაჩული იწვა. მეზობლობა მან არ იცოდა. არავინ აკითხავდა, გარდა ლილისა, და შეიძლება მთლად შიმშილით მომკვდარიყო. ლილის გახსენებამ ცოტათი იმედი გაუღვივა. ბილწი სიტყვებით ათასნაირად შეამკო, რატომ მაინცდამაინც დღეს არ მომაკითხაო. ისტერიკა მოერია. ყველა უცნობი და ნაცნობი სათითაოდ ზედ მიალანძღა. მერე ისევ იტირა და ბოლოს შავი პურის ნატეხზე ოცნებას შეუდგა. ცოტა აკლდა და გუნებაში ამღერდებოდა...

ამ ყოფაში იყო, როცა სამუშაოდან დაბრუნებულმა ამირანმა საეჭვოდ მოღებული კარი ნახა და დააკაკუნა...

* * *

ვინ უნდა ყოფილიყო მისი დამღუპველი? ეს კითხვა უწეწავდა ნერვებს. ყოველ ნაცნობზე ეჭვობდა სათითაოდ. უსაქმო ხეტიალმა დაღალა, ფიქრისაგან თავი უხურდა.

„რატომ არ მომაკითხა მაგ დებილმა?“ — ლილიზე გაიფიქრა. ახლობელი მეტი არავინ შერჩა და იმ „დებილის“ ბინისაკენ გასწია.

კარს რომ მიადგა, არ დაუზარუნებია. მიაყურა, სხვა ვინმეც არ დამხვდესო. იცოდა, ლილის მშობლები აგარაკზე იყვნენ. ერთ დროს შინ აკითხავდა ხოლმე. გასაღები მაშინ გამოაყოლა ხელს და შერჩა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. შინ შევალ და დაველოდებიო, გადაწყვიტა.

შეაღო, თავი შეყო და გაცხარებული ჩურჩული გაიგონა. „უყურე მაგ დონდლოს, საყვარელი გაუჩენია!“ — უბოროტოდ გაიფიქრა, იოტისოდენადაც არა სწყენია. ჩემი მოულოდნელი გამოჩენა ფურორს მოახდენსო და ცერებზე შეიპარა.

პარკეტმა დააღალატა, დაიჭრაჭუნა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ვიღაცა მძიმედ გამოემართა სამზარეულოდან.

კაჭუჭიას უნდოდა ტანსაცმლის კარადას ამოფარებოდა, მაგრამ ვერ მოასწრო.

ზღურბლზე ლილი იდგა. ისე იყო გაწითლებული, ოხშივარი ასდიოდა. თვალებში ძრწოლა ჩაუდგა. მოულოდნელობისაგან კატის კნავილის მსგავსი რამ ამოუშვა.

— აჰა! — მრავალმნიშვნელოვნად წამოიძახა კაჭუჭიამ. ამ დინჯმა, აუღელვებელმა წამოძახილმა ლილი უფრო დააფრთხო.

კაჭუჭიამ ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ლილი კარში გაჩხერილიყო, გზას არ უთმობდა, მასთან შეჭიდება კი ვერ გაბედა.

ოთახიდან სკამების ფრთხილი მიწევ-მოწევა, პარკეტის ჭრაჭუნი, სულშეგუბებული „სს-უ“ მოესმა.

— ვინა გყავს, ოქრო, მანდ?! — შეეკითხა გულღრძოდ.

— არავინ! — ხმა აუკანკალდა გოგოს.

კაჭუჭიამ დრო იხელთა, მისი შიშით ისარგებლა და გვერდი აუარა.

ოთახში უწესრიგობა სუფევდა. საფერფლეში პაპიროსის ორიოდე ნამწვს კვამლი ასდიოდა. მაგიდის გადასაფარებელს სისხლის ლაქა აჩნდა და უცებ ყველაფერი ნათელი გახდა.

— აჰა-ა!.. — ბოროტად წამოიღრიალა, პიანინოზე დადგმულ ვერცხლის მძიმე შანდალს დაავლო ხელი და მეზობელ ოთახში შევარდა, რათა დამალულნი აღმოეჩინა.

იმ ოთახში და არც მომდევნოში არავინ იყო. სადარბაზოდან კი ფეხების ბრაგაბრუგი და კარის ჯახუნი მოესმა. უკანვე გამოვარდა. თვალი მოჰკრა გაქცეულებს. ისინი უკვე ზღურბლს გადასცილდნენ და კიბეზე ჩარბოდნენ.

კაჭუჭიამ მისდია, ოღონდაც ზღურბლზე ისევ ლილის შეეჩეხა. გოგოს პირველი შიში განელებოდა, აფთარივით გაფხორილი იდგა.

კაჭუჭია ეცა, შეეცადა ზღურბლიდან ჩამოეშორებინა. ლილიმ ღონიერი მკლავები მოჰხვია და მოულოდნელად იქვე მდგარ ტახტზე დაახეთქა, თვითონ კი წარმოუდგენელი სისწრაფით კარი გაიჯახუნა.

შერცხვენილი კაჭუჭია ლანძღვა-გინებით მივარდა კარს, შანდალი დასცხო. გვიანღა მიხვდა, კარი ინგლისური საკეტით იყო ჩაკეტილი და შიგნიდან იოლად იღებოდა.

ამან ზედმეტი წუთი დააკარგვინა. ქუჩაში ველური ყიჟინით გამოვარდა, გაქცეულები ფალიაშვილის ქუჩის ბოლოს დალანდა. შორიდანვე იცნო თავისი მტრები და ბილწი გინება მიაყოლა...

ვაკის ამ უბნის მცხოვრებთ მსგავსი რამ მხოლოდ უცხოურ ვესტერნებში უნახავთ. ჩვეულებრივ მშვიდსა და წყნარ ქუჩაში წარმოუდგენელი ღრიანცელი ატყდა. უკვე ღამდებოდა. პირველი ნათურები აინთო. ის ჟამი გახლდათ, როცა სასეირნოდ გამოსული ხალხი ავსებს ტროტუარებს. შინ დარჩენილები აივანზე გადმოსხდებიან ან ფანჯრებს გადმოეყუდებიან. ყველა ბინაში ტელევიზორი ჩაერთოთ და ქუჩაში ჯაზის რიტმული მუსიკა იჭრებოდა.

ზუსტად ამ დროს მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე წარსდგნენ შესანიშნავი სპრინტერები.

ყველაზე წინ რაფიკა მაკლერი მირბოდა. თვითონ ჩია ტანის, ერთობ დალეული, კაფანდარა კაცი, არც კი ჩანდა მძიმე ტომრის ქვეშ. ერთი თვალის შევლებითაც ნათელი იყო, ეს ტომარა უფრო ღონივრებსაც წელში გაწყვეტდა, მაგრამ რაფიკა მაკლერს რაღაც შინაგანი ცეცხლი ენთო და ჩიტივით მიფრინავდა.

თავის მეუღლეს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მშვენიერი სუსანა. სხვა დროს ლბილსა და სანეტაროს, ახლა თმა გასწეწოდა, კაბა შემოხეოდა. ტომრის ბოლოს ჩაჰფრენოდა, შველა უნდოდა თუ წართმევას ლამობდა, გაურკვეველი იყო.

ამ წყვილს ათიოდე ნაბიჯით ჩამორჩებოდა ზაზუნა. გზა-გზა, უკეთ ვირბენო და შარვალ-პერანგი გაეძრო, ტრუსის ამარა მიტუსტუსებდა, წინწაგდებული ფაშვი იმ ტომარასავით უხანხალებდა, ოფლი ხვითქად გადმოსდიოდა და ძველი გამოშვების ორთქლმავალს დამსგავსებოდა.

მას ორ ნაბიჯზე მისდევდა ლილი, სიმსხოთი დიდად არ ჩამოუვარდებოდა ზაზუნას, ღონე კი იქნებ მეტიც ჰქონდა. კაბის კალთა მუხლებს ზევით ავარდნოდა, თოთო ბარძაყები მაყურებელთა ნაირ-ნაირ რეაქციას იწვევდა.

სულ ბოლოს, კარგა შორს, გინებითა და ყვირილით მორბოდა კაჭუჭია ბედია და ვერცხლის შანდალს ხმალივით მოაქნევდა.

პროცესიას სტვენა-ღრიანცელითა და აურზაურით კუდში მისდევდა ბარე ორი ათეული ქუჩის ბიჭი.

ბავშვების უკან სირენების კივილით მოიწევდა მილიციის ორი მანქანა, თავზე ბრდღვიალა შუქფარს ატრიალებდნენ, გზის გაკვალვას ცდილობდნენ.

ამასობაში მორბენალებმა ქუჩის ბოლომდე ჩააღწიეს და ვაკის პარკში შეცვივდნენ...

თავი V. ოქროთი დატვვებულნი

ვინმეს რომ ეთქვა, მძარცველთა ბანდის ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი არც ალ კაპონეა, არც ჯეიმს ბონდი, არამედ მსუქანი, დონდლო, უტყვი ლილიო, არავინ დაიჯერებდა.

კაჭუჭია ბედიას გაძარცვის იდეა თავში არ მოსვლია რაფიკა მაკლერს. მადა საკმარისი ჰქონდა, კაჭუჭიას განძზე ფიქრისას თვალებიდან ცრემლი კი არა, სისხლი სდიოდა, ოღონდ გამბედაობა არ ეყოფოდა საამისოდ. სუსანასაც, ბუნებრივია, სული მისდიოდა, მაგრამ ერთი ქარაფშუტა ქალი იყო და თუ ვინმეს გაძარცვავდა, მხოლოდ საკუთარ ქმარს. ზაზუნა ხელმძღვანელი კი არა, რიგით განგსტერად არ ვარგოდა, თუ, რასაკვირველია, ტვირთის მზიდავი სახედრის როლს არ დააკისრებდნენ.

ლილის შემხედვარეს მოეჩვენებოდა, მის თავში აზრის ნატამალი არ იძვრისო. მართლაც ცხვარივით მორჩილ გოგოს თვალებში სიბრიყვეს თუ ამოიკითხავდა კაცი. ორი მტკაველა სახე, ხორციანი ტან-ფეხი, უპირველესად კუპატებს თუ შეახსენებდა მავანს. უცნაურზე უცნაურია ადამიანი. ხშირად გვინახავს სადმე ძველ უბანში მიკარგული სახლი, ფასადი კბილატკიებულს მიუგავს, შიგნით შეხვალ და მდიდრულ აპარტამენტებში აღმოჩნდები. ხან კიდევ მარმარილოს კიბეებით შედიხარ ჭუჭყიან სენაკში, სადაც სიღარიბეს კბილები დაუღრჭენია, იქედნურად ხითხითებს. ჰოდა, ლილის ტვინში მეტი აზრი ტრიალებდა, ვიდრე მის შუბლს ეტყობოდა.

არ ღირს იმის მოყოლა, თუ როგორ ჩაიფიქრა ლილიმ ეს ოპერაცია; როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ, აუჩქარებლად ახორციელებდა ჩანაფიქრს; როგორ შეისწავლა ყველა კლიტე და გასაღები, ასლები გააკეთებინა. ყველაფერი ისე აეწყო, როგორც მდარე დეტექტიურ ფილმებშია. არც იმაზე ღირს ლაპარაკი, როგორ დაიახლო-

ვა სუსანა, რადგან შეამჩნია მისი სიწუწკე და სიშტერე. მერე რაფიკა გაიცნო, ის ხომ ყნოსვითა გრძნობდა საშოვარს... მერე კი ზაზუნაც დაიხვია ხელზე...

ჩაფიქრება ადვილია, განხორციელებაა ძნელი... მძიმე ტომარამ ოთხივე ისე მიიჯაჭვა, როგორც სიკვდილმისჯილი ბორბალმა.

ტომარა თავდაპირველად ოთხად მოკეცილი, სიმწრის ოფლში გახვითქული, ორთქლის მანქანასავით მქშინავი ზაზუნას ბეჭზე წამოსკუპებულიყო. დანარჩენი სამეული, რატომღაც წელში მოხრილნი, გარშემო შემოხვეოდნენ, ვითომ ხელს აშველებდნენ, სინამდვილეში კი ფეხებში ებლანდებოდნენ.

„მილიონები ეღირება, მილიონები!..“ — ეს აზრი თვით ჰაერში დაფარფატებდა, ხან ერთის შუბლს მიებეჭდებოდა, ხან მეორისას. სხვა რამეზე ფიქრი უბრალოდ არ ძალუძდათ.

„ოთხნი ვართ, — ფიქრობდა ზაზუნა, — აქ მილიონის განძი თუ არის, მეოთხედი მილიონი შემხვდება... მეოთხედი ლილის... მეოთხედი... თუმცა რატომ მეოთხედი?.. სუსანა და რაფიკა ხომ ერთი ოჯახია? სამართალი მოითხოვს, რომ სამად გავყოთ... მესამედი — მე, მესამედი — ლილის, მესამედი — რაფიკას... თუმცა რატომ მესამედი?.. ქალებს ნაკლები ხვდებათ... მეოთხედი — ლილის, სამი მეოთხედი — მე და რაფიკას... თუმცა მე ხომ ყველაზე მძიმე საქმე მარგუნეს? ამკიდეს ზურგზე, თვითონ კი ითვლიან არხეინად... საცა სამართალია, ნახევარი მე, დანარჩენი მათ... თუმცა...“

ზაზუნას ფიქრი ამ ტომრის სიმძიმით მოძრაობდა; ოცნებაში თავის საქმეს კარგად აკვარახჭინებდა და ეს უმსუბუქებდა ტვირთს.

„ერთი კაი ადგილი უნდა მოვძებნოთ... — სხვანაირად აწყობდა რაფიკა მაკლერი, — მე ვიცი და ჩემმა ენამა... ფასი მე გამეგება, ამათ რა იციან? ერთი შენ, ერთიც მე... იმათი იაფი ძვირი ვაჩვენო, ჩემი ძვირი იაფი ვთქვა. დამიჯერებენ, მა რას იზამენ? ისე ავჭიკჭიკდე, ნახევარი ჩავიჯიბო, ჩემს სუსანჩიკსაც ბლომად გამოვაყოლო...“

რაფიკა მაკლერს ტომარა ერთხელაც არ აუწევია აქამდე. ნერვულობამ და გაწამაწიამ მაინც დაღალა. ამისდა მიუხედავად, ბავშვივით ხალისიანი იყო, ცმუკავდა, უხაროდა, ეშინოდა... თავდებოდა წვრილი აფიორებით სავსე ცხოვრება, ამიერიდან სიკვდილამდე იქნებოდა უზრუნველყოფილი...

„ჩემი რაფიკა ჭკუის კოლოფია! — სჯიდა სუსანა, — ჩემი რაფიკა, ჩემი ბიჭი... უუ... დაგენაცვლე ჯიგარშია... ისე ვიცხოვრებთ, რომა... ოქროებს ჩემოდანში ჩავალაგებ... რაფიკა გაყიდის, მე კი მოსკოვში წავალ, ლენინგრადში წავალ, რიგაში წავალ... ცხოვრება იქნება, აი... ქერა ბიჭები, მანქანა, რესტორანი...“

ლილი არაფერზე ფიქრობდა. მანქანასავით ადრე დადგენილ გეგმას მიჰყვებოდა. მისი ცივი თვალები აღნუსხავდნენ თანამონაწილეთა განცდებს და ელოდა წამს, რათა ჯოჯოხეთური ჩანაფიქრის აღსრულებას შესდგომოდა...

თავდაპირველად ზაზუნას დუქანში გადამალეს ნადავლი, ახლოს იყო და იმიტომ. საღამოს კი ტაქსი დაიქირავეს და ლილის ბინაში აარბენინეს.

ბინაში ჰაერი დახუთულიყო, მაგრამ ფანჯარა არავის გაუღია. პირიქით, მძიმე შტორები ჩამოუშვეს და სასტუმროში ტორშერი აანთეს.

ძვირფასი და სანატრელი ტვირთი, რამაც ზაზუნას ზურგი ა აშვლიპა, მრგვალ მაგიდაზე დააბრძანეს. თვითონ ირგვლივ შემოუსხდნენ. ტომარა წებოვანი შავი სითხით გაიჟღინთა. გაოფლილებს ყურადღება მაშინაც არ მიუქცევიათ, როდესაც სუფრას წითელი ლაქები დააჩნდა.

ჩუმად ისხდნენ. ვერავინ ბედავდა პირველს გაეწვდინა ხელი, ტომრის ყელი გაეხსნა, რომელიმე ძვირფასი ნივთი სააშკარაოზე გამოეჩინა.

მამაკაცებმა ნერვულად გააბოლეს.

ზაზუნა მოუსვენრად ტოკავდა, იშმუშნებოდა, პაპიროსი წამდაუწუმ უქრებოდა. ვეებერთელა ცხვირსახოცით ოფლს იმშრალებდა შუბლზე და გაღეღილ, ჭაღარაბანჯგვლიან მკერდზე.

რაფიკა ცეტი ბიჭივით ირჯებოდა. ზოგჯერ მოულოდნელად წამოვარდებოდა, ბოლთის ცემას მოჰყვებოდა, ანთებული პაპიროსი ავიწყდებოდა, ორ ადგილას მოასწრო სუფრის ამოწვა. თან ისე კვნესოდა და წკმუტუნებდა, თითქოს ვიღაცა ქუსლზე აბიჯებსო. ისევე უცბად დავარდებოდა სკამზე, მაგიდაზე თითით კაკუნს

ატეხდა.

ღაწვებშეფაკლული სუსანა გარეგნულად მშვიდად იჯდა, ხელები მუხლებზე დაეწყო, კაბის ფოჩს აწვალებდა. ხანდახან საწყალობლად ახედავდა ტომარას და ამოიოხრებდა.

ლილი ქვასავით მძიმედ იყურებოდა. ვითომ სრულიადაც არ აინტერესებდა ნადავლის ბედი. შუბლზე ფიქრის ნიშანწყალი არ აჩნდა.

— დავიწყოთ? — პირველმა ზაზუნამ წაიკნავლა დიაცის ხმით.

კარგა ხანს პასუხი არავინ გასცა. ბანდის ყოველ წევრს თავისი გეგმა ჰქონდა და არ ჩქარობდა მის გამჟღავნებას.

— ჯერ გვესადილა! — გულცივად თქვა ლილიმ, — გუშინდელი კერძი მომრჩა...

თავისუფლად ამოისუნთქეს, ყველამ შიმშილი იგრძნო.

ლილი სამზარეულოში გავიდა, თან ცალი თვალი სასტუმროსაკენ ეჭირა, უჩემოდ რამე არ იკისრონო.

საგანგებოდ გამზადებული კერძი გადმოიღო. დაფშვნილი ლუმინალი ბლომად აურია, გაცხელებას შეუდგა. გეგმა ისევე უბრალო იყო, რამდენადაც იდიოტური. სადილის შემდეგ სამეულს ალბათ ჩაეძინებოდა, ლილი კი ან კისერზე საძილე არტერიებს დააჭრიდა, ან აბაზანაში ჩაახრჩობდა. აუჩქარებელ, დონდლო ლილის ის არ უფიქრია, მერე რა უნდა ექნა ამდენი გვამისათვის.

სწორედ ამ დროს გაიჩხაკუნა სადარბაზოს კარმა. ლილიმ პარკეტის ჭრაჭუნს მოჰკრა ყური. იმ წამსვე ზღურბლზე აისვეტა და გაფითრებულ კაჭუჭიას შეეჩეხა...

რაფიკა მაკლერი სხვაზე სწრაფი აღმოჩნდა, დამფრთხალს მძიმე ტომარა ემჩატა...

* * *

ჰოდა, ის იყო, რამდენიმე წუთში ფალიაშვილის ქუჩა ბოლომდე ჩალიეს და ვაკის პარკში შეცვივდნენ...

თბილი საღამო გახლდათ და პარკს უამრავი ხალხი მოაწყდა. ჩქეფდა შადრევანი, ჟღურტულებდა კასკადი, მუშაობდა ატრაქციონი. ბავშვები კარუსელებს ეტანებოდნენ; მოხუცები შადრევნისა და კასკადის პირას ისხდნენ, მსოფლიო ამბებს აწესრიგებდნენ; შეყვარებულები ბნელ ტევრებს დაეძებდნენ. ფორმიანი და უფორმო მილიციაც კმაროდა და მოხულიგნო ელემენტები კრავებივით წყნარნი დადიოდნენ.

მოკლედ, ვაკის პარკში იდილია სუფევდა.

სწორედ ამ დროს შეცვივდნენ ჩვენი გმირები და ყველაფერი აირია, თავდაყირა დადგა.

ისეთი ალიაქოთი ატყდა, მეორედ მოსვლასა ჰგავდა.

რაფიკა მაკლერმა არ იცოდა, საით გაქცეულიყო. ცენტრალურ შადრევანს რომ მიაღწია, სამჯერ შემოურბინა ირგვლივ. მთელმა ამ ჯარმაც, კუდად რომ გამობმოდა, მასთან ერთად სამჯერ შემოუარა წრეს.

გზას მომიჭრიანო და მთავარი გასასვლელისაკენ გაუტია. რამდენიმე კაცი ამ ორომტრიალისას წყალში ჩავარდა. ბედად, წყალი მტკაველის სიღრმე იყო და მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

რაფიკა კიბეზე ავარდა. ზუსტად აქ უმუხთლა ბედმა. ფეხი დაუცდა და ტომრიანად უკან დაგორდა. სუსანაც მას მიჰყვა. ორივენი რამდენიმე აბრუნდის შემდეგ ძირს აღმოჩნდნენ. ამასობაში ზაზუნამ მოასწრო, ზედ დაეცა, მძიმე ლეშის ქვეშ მოიყოლია ტომარაც და ცოლ-ქმარიც. რაფიკა მაკლერი ხელ-ფეხს ასხმარტალებდა, აქაოდა გამჭყლიტესო, ტომარას ხელს მაინც არ უშვებდა. ალესილი სუსანა ფრჩხილებით უკაწრავდა ზაზუნას ბუნჩულა ლოყებს. იმას კი ტომარა მაგრად ჩაეხუტებინა და ცოლ-ქმრის შემოტევას აინუნშიაც არ აგდებდა... ახლა ლილაც ჩაება ბრძოლაში. ხან ერთს სტაცებდა ფეხში ხელს, ხან მეორეს, რათა ზედახორიდან გამოეთრია, მაგრამ ერთს რომ დაძრავდა, ორი დანარჩენი ტომრიანა ზედ იყო დაგორგლილი. ვეღარას გახდა. კაჭუჭიამაც მოუსწრო. კალიასავით დახტოდა ირგვლივ, შანდალს იქნევდა, თავებში უმიზნებდა, მაგრამ ვერავის ჩასცხო და გაჰკიოდა:

— წაეთრიეთ!.. ტომარა ჩემია!.. ხელი უშვით!.. წაეთრიეთ!.. ნაძირალებო!.. ბანდიტებო!.. მძარცველებო!..

სეირის მოყურადენი გარს შემოეხვივნენ მოჩხუბრებს. ზოგი

აქეზებდა, ზოგიც დინჯად სთავაზობდა, გავაშველოთო, ხელს კი არავინ ანძრევდა. პატარა ბიჭები აღტაცებისაგან ყირამალა გადადიოდნენ, მიდი, უთაქეო, — გაიძახოდნენ.

ათიოდე მილიციელი მოვარდა. გაშველებას შეეცადნენ. ხუთივე, — ზაზუნაც, რაფიკაც, კაჭუჭიაც, სუსანაც, ლილიც — გამწარებული ჩაჰფრენოდა ტომარას და ყოველი მათგანი წივილ-კივილითა და ყიჟინით ექაჩებოდა თავ-თავის მხარეს.

საშველი არ დაადგა და მილიციელებიც ჩაებნენ ბრძოლაში. თითო მოჩხუბარს ორ-ორმა ჩაავლო ფეხებში ხელი, აქეთ-იქით გასწიეს...

დასასრული ფრიად ტრაგიკული აღმოჩნდა!

„ფხრინ!“ — გაისმა. ხუთეულს ტომრის ხუთი ნაგლეჯი შერჩა ხელში. განძმა საშინელი სუნი გამოსცა. მაყურებლებმა უკან დაიხიეს. ყველას თვალწინ ტომრიდან გადმოცვივდა დამხრჩვალი კატები, მანქანის მიერ გატანილი ძაღლის ლეში, ლაყე კვერცხები და სხვა არანაკლებ სასიამოვნო ძვირფასეულობა...

ხუთეული გაოგნებული დაჰყურებდა ბრძოლის შედეგს. წამით მდუმარება ჩამოვარდა და უცებ თავშეყრილ ბრბოს ისტერიული ხარხარი მოედო...

კაჭუჭიას გული შეუღონდა და ძირს დაებერტყა...

თავი VI. კაჭუჭია ბედიას ვნებანი

— თავს როგორა გრძნობთ? უჩემოდ შეძლებთ შინ მისვლას? ჰო?.. თუ გიჭირთ, მანქანას გიშოვით! არ დაგავიწყდეთ, მილიციაში დაგიბარეს... დანარჩენ მოჩხუბრებს თხუთმეტ-თხუთმეტი დღე აკმარეს. ქუჩებს ხვეტავენ ალბათ... — ექთანი დიდხანს ერატრატა, კარამდე მიაცილა.

კაჭუჭია ყურს არ უგდებდა.

ყველაფერი მობეზრდა.

მიდიოდა საითკენაც თვალები იყურებოდა. თვალით კი ვერაფერს ხედავდა. ერთგან კინაღამ გაქანებულ მანქანას ჩაუვარდა. არც მუხრუჭების წივილი გაუგონია, არც გააფთრებული მძღოლის გინებისათვის უთხოვია ყური.

მიდიოდა და არ იცოდა საითკენ, რისთვის, ვისთან... ფეხები თავისთავად ადგამდნენ ნაბიჯებს. ნაცრისფერი ასფალტი ედგა თვალწინ, საკუთარი ლანჩების აუჩქარებელი ბაკუნი უხშობდა ყველა სხვა ხმას. ღრმად ჩაფიქრებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ტვინში კი მცირედი აზრიც არ იძროდა.

მისთვის ყველაფერი გათავდა. სიცოცხლემ აზრი დაკარგა. ვიღაცამ დასცინა, ფეხი დაადგა, გათელა... გაამასხარავეს მისი ყმაწვილკაცობა, სურვილები, ოცნებანი... არადა, რამდენ რამეს პირდებოდა ეს სიცოცხლე, რამდენ სიამოვნებას, სიმდიდრეს, სითბოს, სიყვარულს, ქეიფსა და დროსტარებას, გოგოებს, ამხანაგებს, მეგობრებს... ყველაფერს ფასი დაეკარგა, ყველაფერს...

ნელა მიაბიჯებდა სანაპიროზე. მანქანები ჩამოიქროლებდნენ ხოლმე, მისი ცნობიერების მიღმა გაიელვებდნენ უსახურ ლანდებად. შიგ მჯდომი ადამიანები აჩრდილებს ჰგავდნენ... ადამიანთ ფეხებზე ეკიდათ კაჭუჭია ბედია, მისი სურვილები, არავის სცალოდა მისი განძისათვის. არც მისი ჩამოფხრეწილი, ჯიბეებგამოტენილი შარვალი ეპიტნავებოდა ვინმეს... ფულიანი ჯიბეების გახსენებაზე ტვინში აღოღიალდა აზრი, ადგილიდან დაიძრა. ოღონდ ამ გახსენებას სიხარული არ მოუტანია. ფულის დასტები კვლავაც ეხახუნებოდა სისხლიანი ფორეჯებით დაფარულ ბარკლებზე. ყოველი ნაბიჯი მწარე ტკივილსა ჰგვრიდა.

ფული? რაში სჭირდებოდა ასეთი ფული. წამების წყარო გაუხდა ეს უწმინდური, სისხლით დალაქავებული ბანკნოტები. რამდენი ხანია ჯიბიდან ხურდაც არ ამოუღია. ტრამვაისა და ტროლეიბუსში უფასოდ მგზავრობდა. ერთი-ორჯერ აყალმაყალმაც მოუწია რევიზორებთან. ეშინოდა კაპიკის დახარჯვისა. ჯიბეები ასკდებოდა ისედაც, მისი თრევა ილაჯსა სწყვეტდა...

ვინ იყო დამნაშავე მის უბედურებაში? — ამ კითხვას იმეორებდა განუწყვეტლივ, პასუხი კი ვერ დაეძებნა. ვერსად ხედავდა თავის თავზე მეტ დამნაშავეს, თუმცა ძალიან უნდოდა ვინმესთვის გადაებრალებინა.

აიხედა. საკუთარი სახლის წინ აღმოჩნდა. შეყოყმანდა. რისთვის უნდა შესულიყო შინ? რა უნდა ეკეთებინა? ვის ელოდა ჰაერდახუთულ ბინაში? ვისთვის გადაეშალა გულისწუხილი? აქამდე

თუ განძი იყო მისი ცოლი, მეგობარი, ძმაკაცი, და და ძმა, მშობელი და შვილი, ახლა რას უნდა შეეცვალა ყოველივე ეს?

— ასანთი მომიკიდე!

ათიოდე წლის ბიჭი გადაუდგა. კბილებში სიგარეტი გაეჩარა, ქუდი კი ძველბიჭურად გვერდზე მოექცია.

— რა?

— ასანთი მომიკიდე!

— წადი შენი!..

მუშტი ასწია. ბიჭმა მძულვარედ გაკვესა თვალები, გაეცალა.

ეზოდან პეწიან კოსტუმში გამოწყობილი, ჩაჰალსტუხებული კაცი გამოვიდა. ხელში ნიანგის ტყავის ჩანთას მოაქნევდა. პირისპირ შეეჩეხა კაჭუჭიას, გულგრილად დაუკრა თავი და უცებ გაშტერდა. ასე იდგნენ ერთმანეთის პირისპირ ძმები ბედიები.

რამდენმა წყალმა ჩაიარა, რამდენმა დრომ განვლო! ჯუმა კარგა ხანია ახალ ბინაში გადაბარგდა. პატარა ოთახის გასაღებს მაინც არავის უთმობდა. კვირაში ერთხელ მოაკითხავდა, ჩაიკეტებოდა რამდენიმე საათით და არავინ იცოდა, რას აკეთებდა. ერთხელაც არ შეხვედრილან იმ ჩხუბის შემდეგ. ისე ჩანდა, თითქოს ერთმანეთი გადაავიწყდათო.

ჯუმამ უხერხულად ჩაახველა, ნაბიჯი გადადგა. იქნებ ეწადა სწრაფად გაცლა. კაჭუჭიაც შებრუნდა სანახევროდ. ორივე ადგილზე გაიყინა და ჯუმამ ჩახლეჩილი ხმით ჰკითხა:

— კახაბერ, ასე რამ გამოგცვალა, ბიჭო?

ძნელი იყო კაჭუჭიას ცნობა. დაილია ის ლოყებღაჟღაჟა, კუნთმაგარი ბიჭი, ვისაც გამვლელები შენატროდნენ. ნახევარი წლის განმავლობაში დაბერებულიყო, საფეთქლებზე ნაადრევი ჭაღარა შერეოდა, თმები გამეჩხერებოდა, ლოყები ჩავარდნოდა, პირისკანი გაჰყვითლებოდა, ტანსაცმელი ნაკეცებად ეკიდა ტანზე... მაგრამ ჯუმაც ძნელი საცნობი გამხდარიყო. კაჭუჭიაც ვერ უჯერებდა თვალებს. მის წინ თითქმის გამელოტებული, ასაკსრული კაცი იდგა. ქათქათა პერანგი ეცვა, დამწვრის სუნი კი წინანდელზე უფრო სდიოდა და მასთან გაჩერება ჭირდა.

„შენ მეც დამლუპე და თავიც დაილუპე!“ — გაიფიქრა კაჭუჭიამ.

დიდხანს იდგნენ ჩუმად. არ იცოდნენ რაზე ელაპარაკათ. შეუძლებელი აღმოჩნდა ხიდის აღდგენა. თუმცა ბევრი დრო არ გასულა, მაინც საუკუნედ ჩანდა ეს რამდენიმე გრძელი თვე.

— დავიღალე, — წაიჩურჩულა კაჭუჭიამ.

ჯუმას თვალებშიც დაღლილობა იდგა. შეეცადა დარდი დაემალა, ნაძალადევად გაუღიმა და უჩვეულო სინაზით უთხრა:

— გულს ნუ გაიტეხ, კახაბერ, ცხოვრება გრძელდება!

კაჭუჭიამ არაფერი უპასუხა.

უფროსი ბედია იქვე მდგომ შავ „ვოლგაში“ ჩაჯდა და წავიდა.

კაჭუჭია მარტო დარჩა, მთლად მარტოდმარტო. მთელ დუნიაზე არ იყო ადამიანი, მას რომ გაუქარწყლებდა ამ საშინელ სიმარტოვეს. სახლს გაეცალა. უგზოუკვლოდ იხეტიალა. უნებურად ტელეფონის ჯიხურთან შეჩერდა. ორკაპიკიანი დიდი ყოყმანის შემდეგ გაიმეტა და დარეკა.

აპარატმა უცბად გაიჩხაკუნა, თითქოს ელოდნენო.

— დიახ?!

კაჭუჭიას გული გადაუქანდა, ხმა ვერ ამოიღო.

— დიახ, გისმენთ! — ნერვულობა დაეტყო ხმას.

კაჭუჭია აჩქარდა.

— როგნედა, მე ვარ, ოქრო, ყურმილი არ დაკიდო!

— კახაბერ?.. სულ არ გელოდი, — ხმას სიცივე დაეტყო.

— როგნედა, რომ იცოდე, როგორ მარტო ვარ... რა დაგიშავე, ჩემო გოგო, რისთვის ამითვალისწუნე? სიცოცხლე მომბეზრებია...

— მე მაპატიე, კახაბერ! — როგნედას ხმაში დაფარული მღელვარება გაისმა, — მე ვარ დამნაშავე... თვალები მქონდა ახვეული, მეც მოვტყუვდი და შენც მოგატყუე...

— როგნედა, გენაცვალე... — კაჭუჭიას სიხარულისაგან თავბრუ დაეხვია.

— გაჩუმდი, კახაბერ, მომისმინე!.. რაც დაგშორდი, ბევრი ვიფიქრე. რა ვქნა, ლაწირაკი ვიყავი, ცხოვრებისა არაფერი გამეგებოდა. ძალიან კი ნუ დამსჯი ჩემი აჩქარების გამო... შენმა სიტყვებმა და ოქროს ელვარებამ დამაბრმავა...

— როგნედა!

— მე კი თურმე სხვა მყვარებია, კახაბერ...

— როგნედა! — გული ჩაუვარდა კაჭუჭიას, აუტანელმა დარდ-

მა კინაღამ დაახრჩო.

— მხოლოდ ის მიყვარს, კახაბერ... ვიცი, არასოდეს მომხედავს, მაგრამ მაინც ის მიყვარს!

— როგნედა! — კივილი აღმოხდა კაჭუჭიას. იმ ბოლოს ყურმილი დაკიდეს.

გამწარებული გამოვარდა ჯიხურიდან, კარი მიახეთქა... მოჰკლავდა... ამ წუთას რომ გადაჰყროდა, წამიც არ დაფიქრდებოდა...

აჩქარებული და მღელვარე მიაბიჯებდა ტროტუარზე. არავისი ერიდებოდა. გზას უთმობდნენ. მხარს თუ ვინმეს გაჰკრავდა, ბოდიშის მაგიერ, ღვარძლიან გინებას მიაყოლებდა.

კვლავ თავისი სახლის წინ აღმოჩნდა. გაუკვირდა, აქეთკენ არც აპირებდა წამოსვლას. არც არსად აპირებდა და საითკენვე ხომ უნდა ევლო. გაჩერება კი არ შეეძლო.

კიბეზე აირბინა. საკუთარ კარს ათვალისწუნებით აუარა, ამირანს მიადგა.

ყველანი შინ იყვნენ.

ამირანმა გაუღო, უხმოდ შემოუშვა. აქამდე გაბოროტებული მოდიოდა, თითქოს ეს წყნარი ადამიანები ყოფილიყვნენ უმთავრესი მტრები.

ერთბაშად მოიშალა, მორიდებული და სიტყვაძუნწი გახდა.

— მაპატიეთ, — წაიჩურჩულა.

— ჩვენ აქ ვსადილობთ, — ნაძალადევი მხიარულებით წარუძღვა ამირანი სამზარეულოსაკენ.

— დაგვეწვიე! — სკამი მიუჩოჩა ბუბამაც. არ გახარებია კაჭუჭიას გამოჩენა, მაგრამ არ დაიმჩნია.

კაჭუჭია უხმოდ დაჯდა. ამირანმა წვნიანი გადმოუღო, წინ დაუდგა. კაჭუჭია კოვზით ურევდა ნელ-ნელა.

— ასე ვცხოვრობთ, სტუდენტებივით, — დაიჩივლა ამირანმა, — სანამ მზია ჯანმრთელად იყო, ღმერთებივით ვიყავით...

მზიას ხსენებაზე კაჭუჭია შეკრთა, მოიბუზა.

ამირანმა მისი დუმილი უსიტყვო კითხვად მიიღო.

— დღითი დღე უარესდება, ვერაფერი ვუშველეთ. თანდათან ქრება, ქრება... სულ მეშინია, დილით გავიღვიძებ და არ დამხვდება... რა უნდა ვქნათ?

კაჭუჭიას კრიჭა შეეკრა. მეტის ატანა არ შეეძლო. სკამი ხმაურით გასწია, წამოვარდა და ბინიდან გავარდა.

ქუჩაში ისე სწრაფად და მოურიდებლად მიდიოდა, თითქოს ახლობლის სულისათვის უნდა მიესწრო.

ქუჩიდან ქუჩაში უხვევდა, ერთსა და იმავე ადგილას რამდენიმეჯერ უბრუნდებოდა და ამას ვერ ამჩნევდა.

დრო კი გადიოდა. მზე შეუმჩნევლად ჩავიდა... თუმცა მისთვის სულ ერთი იყო, მთელი დღე არც შეუმჩნევია, მზე თუ იყო ცაზე.

სანაპიროზე გამოეხეტა, ჩელუსკინელთა ხიდთან. პარაპეტს გადაეყრდნო და მტკვრის ციმციმმა მზერა მოსწყვიტა... მაშინ გაკვესა აზრმა...

დიახ! აზრი იყო უკომპრომისო, არ უნდა დაეწყო აწონ-დაწონვა, არ უნდა განესაჯა დიდხანს, უცბად უნდა განეხორციელებინა ჩანაფიქრი. თითები უკანკალებდა, ძლივს შეიხსნა ღილები და შარვლის ჩახდას შეუდგა. ბოროტად დუდღუნებდა, ვითომც კაცის კვლას ეპირებოდა. ფხრაწუნით ხევდა, ის კი არ ემორჩილებოდა, თითქოს სხეულის ნაწილი გამხდარიყო. კანი ისე ეწვოდა, შარვალს კი არა, კანს იძრობსო. „აჰა!“ — გამარჯვებულის აღტყინებით წამოიღმუვლა. პარაპეტზე ახტა. ძონძადქცეული შარვალი ასწია, შეათვალიერა როგორც მოსისხლე, მაგრამ დამარცხებული მტერი. სისხლიანი დასტებით გამოტენილი ორი ჯიბე ლოდებივით ეკიდა და მისი სიმძიმე მკლავებს წყვეტდა.

ბარძაყებზე, იქ, სადაც აქამდე ჯიბეები ეხახუნებოდა, ჩირქიანი ჭრილობები აჩნდა. გულისამრევად ერთმანეთში აზელოდა ჩირქი და სისხლი.

— ხომ მოგიშორე თავიდან! — წამოიძახა კაჭუჭიამ, მოიქნია და მტკვარში მოისროლა.

მტკვარი კი ამ დროს ვერცხლისფრად ციმციმებდა. ცაზე მიმოიბნა ჯარი სუსტი ვარსკვლავებისა. სანაპიროს გაყოლებით აბრდღვიალებული ნეონის ნათურები ვერცხლის თევზებივით ჩაცვივდნენ წყალში. ცრიატი ფერი გადაჰკვროდა მტკვარს, ვერცხლის ჭავლი უვლიდა...

კაჭუჭია იდგა პარაპეტზე და გასცქეროდა თავის შარვალს, დამხრჩვალივით აუჩქარებლად რომ მიტივტივებდა წყალში.

— ხომ მოგიშორე თავიდან! — ყოყმანით მიადევნა ერთხელაც.

უცბად დაშანთულივით გადმოხტა პარაპეტიდან, სანაპიროზე გავარდა ყვირილით:

— ტაქსი, ტაქსი!..

რამდენიმემ ჩაიარა, ოღონდ ტრუსისამარა კაცს არავინ უჩერებდა და კაჭუჭიას ყვირილისაგან ხმა ჩაუწყდა.

ბოლოს, შორიდან დალანდა ცისფერი ნათურა, გზა გადაუჭრა.

ტაქსისტი აბუზღუნდა. კაჭუჭიამ ყური არ ათხოვა, მღელვარედ უბრძანა:

— წინ, ბარათაშვილის ხიდისაკენ!

ტაქსისტი დაფრთხა, უხმოდ დაემორჩილა.

ერთ წუთში ხიდზე იყვნენ. კაჭუჭია ტაქსიდან გადმოხტა, ხიდის მოაჯირს მივარდა.

მოციმციმე მტკვრის ტალღებზე აუჩქარებელი ტორტმანით მოტივტივებდა ფულის ბანკნოტებით გამოტენილი მისი შარვალი.

კაჭუჭია მოაჯირზე გადაფოფხდა.

ტაქსის მძღოლი მანქანიდან გამოვარდა.

— ჰეი, შეჩერდი! — დაუძახა.

გვიანი იყო.

კაჭუჭია ბედიამ მოაჯირს უშვა ხელი და მტკვარში გადავარდა...

მძღოლი გადაეყუდა, კარგა ხანს იყურებოდა ქვევით, მაგრამ ხიდქვეშ უკუნი სუფევდა. მტკვარი ყრუდ მიდუდუნებდა...

ნაწილი XII

ცხრანი ძმანი ქართლოსიანნი
(ფანტასტიკა)

... შეკრბნენ წარჩინებულნი ამის სამეფოსანი კოხტისთავს და იურვოდნენ უმეფობასა და ჭირთა ესრეთთათუის; გარნა დაასკუნეს განდგომა თათართა და წარვიდნენ ამა პირსა ზედა იმერნი კაზმად, ხოლო ამერნი უცდიდნენ მუნვე. ესე სცნეს თათართა ბიჩუს და ანგუგ, მიუხდნენ კოხტისთავს მდგომთა, შეიპყრნეს ყოველნი წარჩინებულნი და წარიყვანეს ანისს შირაკუანს და მიიყვანეს ქარმაღანის წინაშე; ხოლო მან მხარდაკრულთა განშიშულებულთა წარსცხო თაფლი და განსხნა მზის სიცხესა შინა...

თავი I. შეთქმულება

მკლავები გაეშალა და ცაზე გაკრულ ჯვარსა ჰგავდა. იმ სიმაღლეზე ეკიდა, საიდანაც უკვე ჩანს, რომ დედამიწა მრგვალია. ნახევარსფეროს გიგანტური წრის კიდეებისაკენ ზღვები, ოკეანეები და ქვეყნები ეშვებოდნენ. ყველაზე მაღალი, ამობურცული ხმელეთი კი საქართველოს ეჭირა.

შავი ზღვის სილურჯე ფაფუკ, ქათქათა ღრუბლებში აითქვიფა. კასპიის ზღვა ისე კამკამებდა, როგორც უდაბნოში დაღვრილი მელანი. კავკასიონის გრაგნილი გაწოლილიყო ორ ზღვას შორის; კი არ გაწოლილიყო, კოლოსალური მთები მიბობღავდნენ ერთმანეთზე, კლდეები ამსხვრევდნენ თავზე წამოცმულ მყინვართა ჯავშანს, აშვეტილიყვნენ უკარება მწვერვალებად. უთვალავი ქედი და ხეობა, ტყით მოქოჩრილი ფერდნი და ხრიოკნი ახლართულიყო ერთმანეთში, ვითარცა წამიერ გაქვავებული ქაოსი. ვრცელ დაბლობებს, დასავლეთში ზურმუხტისფერსა და აღმოსავლეთში ჟანგისფერს, ოხშივარი ასდიოდა.

სხვათა მხარეთა მთები და ველები ზღუდეებად შემოჯარვოდნენ ირგვლივ, დასერილნი მდინარეებითა და გზებით, ვითარცა ბადე, რომელშიც გახლართულა ოქროს თევზი.

როგორც ფოთოლი მოსწყდება ხეს და ნელი ფარფატით ეშვება ძირს, ისე ნელ-ნელა ეშვებოდა მზეჭაბუკ ბედია ცის კაბადონიდან. თანდათან ფართოვდებოდა ქვეყნიერება, მაღლა იწევდნენ მთათა ზვიადი მწვერვალები, თვალნათლივ შიშვლდებოდა მიწის ყოველი იარა. კასპიის ზღვა გადაქანდა, ჩაიღვარა ჰორიზონტს მიღმა. მიმოიფანტნენ ქალაქები და სოფლები, დაიხლართნენ გზები და მდინარეები. ყანები დალაგდნენ გეომეტრიულ ფიგურებად.

მზე იძირებოდა გამდნარი თითბერის ზღვაში. მისი სისხლიანი სხივები მსჭვალავდნენ ცისიერს. პირმიწაზე კი ბინდი მოცოცავდა, ეფინებოდა, ნთქავდა ყოველივე ნათელსა და მშვენიერს.

სწრაფად დაეშვა იქ, სადაც ასფალტირებულ გზატკეცილს ოღრო-ჩოღრო საურმე გზა გამოეყოფოდა.

კოხტა-გორას ციხის მორღვეული ზღუდეები, ჟამთა სიავეს რომ ადასტურებდა, ბნელში ჩაილია.

ლოდზე ჩამოჯდა გზისპირას. ბინდი უფრო და უფრო მუქდებოდა. ვარსკვლავებით მოიცხრილა ზეცა. ვარსკვლავთა ცახცახი მაინც ვერ ჯაბნიდა ჩამოფენილ წკვარამს.

უცბად ჭიხვინი მოესმა. თვალდაჭყეტილმა დანახვით ვერაფერი დაინახა, მაგრამ იგრძნო, მხედრობამ ჩაუარა. მეზმანებაო, — გაიფიქრა. ცოტა ხანში კვლავ მოისმა ჭიხვინი და ფლოქვთა თქარუნი. წამოიწია ყრმა ბედია, მოსწყდა პირმიწას, მიმოიხედა. ხმები ესმოდა, მხედრობა კი არსად ჩანდა. ასე გრძელდებოდა შუაღამემდე. ღამისეულ მდუმარებას მხედრიონის თქარუნი არღვევდა.

ღამე გადატყდა. გზატკეცილზე მანქანის ფარები აბრდღვიალდა. საურმე გზაზე გადმოუხვია მსუბუქმა მანქანამ. ერთი კაცი იჯდა შიგ. მზეჭაბუკს მოანათა და დაამუხრუჭა.

— ვისი ხარ, ველარა ქცნოფ?

— ბედია ვარ გვარად, მზეჭაბუკი! თქვენა?

— კახელი ვარ, მამაიჩემის შვილი. შორია კოხტა-გორამდინ?

— აქვეა!

გზატკეცილიდან მეორე მანქანამ გადმოუხვია. იქიდან ერთი სხარტი კაცი გადმოხტა. დევივით კახელმა არ დააყოვნა, მანქანიდან ძლივს გამოეტია.

— გამარჯობა, ჯიმა სქანი, ჯგირობუა ქორენო თქვან მახორობას?

— გამარჯობა, ძმაო მეგრელო, ხომ მშვიდობით ჩამოხველ?

ერთმანეთს გადაეხვივნენ, გადაკოცნეს.

ამასობაში მესამე მანქანა მოადგა უხმოდ.

ვაჟკაცი გადმოვიდა დინჯად, სათვალე გაისწორა, იმ ორს შეუერთდა.

— ამოტელა გზა გავლიე სამ სააჩი... ჰოოდე, თბილისიდან! — ეტყობა ქართლელი იყო.

მეოთხე მანქანა გიჟივით შემოგრიალდა.

— აქანე ვარ გურულიც, აპა! — ანგლობით წამოიძახა და გადმოხტა.

მეხუთე მანქანა ყველგანმავალი „გაზიკი“ იყო. შავულვაშიან ვაჯკაცს სვანური ქუდი ეხურა.

— ხოჩა ლადეღ, სგაი!

მეექვსე მანქანა წუთის შემდეგ მოადგა.

— ხუ არ დავაგვიანე? — ჯავახი იყო ან მესხი.

მეშვიდე მანქანიდან გადმოსულ ვაჟკაცს ჭარბი სიდინჯე ახასიათებდა.

— მეც მოვე, ქვე ჭიი!..

მერვე მანქანა სიგნალის პიპინით მოიჭრა. მოდაზე გამოკვანჭულმა ახალგაზრდამ თხელ ულვაშზე გადაისვა ხელი.

— ჰაიტ, მეგრელმა მაინ დამასწრო იმერელს?

სიცილ-ხარხარით გადაეხვივნენ ერთმანეთს.

მეცხრე მანქანიდან ზვიადი ვაჟკაცი ჩამოვიდა, დინჯად გადმოხედა შეკრებილთ.

— გადმოვხედ ფხოვიდგან, ჰა ხრმალი და ჰა კისერი!

— მოზოჯი, ჯიმაია!

— მობრძანდი, ძმაო!

— სგაღე, მუხვბე!

სათვალიანმა ხელი ასწია. დუმილი ჩამოვარდა. მანქანათა ფარებით განათებულ წრეში იდგნენ, ერთმანეთის პირისპირ. მკაცრ სახეებზე ჩრდილები თამაშობდა...

მზეჭაბუკი შორიდან უთვალთვალებდა. ვინ არიან?.. ტანად-

ნი, ჯანმრთელნი, ახოვანნი, რკინის კვნეტა რომ ძალუძთ ალბათ... ოღონდაც, რად შეიყარნენ? ნუთუ საქეიფოდ ვერ მონახეს სხვა დრო და ადგილი? ნუთუ დროის გასატარებლად?.. მამიკოთა მანქანებზე, მამიკოთა ფულებით... კარგად აცვიათ, ეტყობა გაჭირვება არ უნახავთ... მოდაზე... ერთს იუგოსლავური კოსტუმი, მეორეს ფინური, ერთს ინდური პერანგი, მეორეს ამერიკული ჯინსი, ცილინდრი ესპანეთიდან, ბეჭედი ეგვიპტური, საათი-სეიკო, იაპონური... სპეკულანტებთან თუ შეიძინეს?.. თუმცა აგერ სვანური ქუდიც... კახურიც... იმერელს ბაშლიყი მოუგდია მხარზე...

იდგა ცხრა ვაჟკაცი, რვა მათგანი მკაცრი მდუმარებით შეჰყურებდა სათვალიანს, მას კი რაფინირებული, ევროპული სტილის ინტელიგენტის გამოხედვა ჰქონდა.

— ქართლოსიანნო, წავიდეთ, წინ კოხტა-გორაა!

შებრუნდა და სიბნელეში გაუჩინარდა. დანარჩენებმა მანქანათა ფარები ჩააქრეს და პირველს მიჰყვნენ.

მზეჭაბუკი ლოდზე იჯდა, სანამ ფეხის ხმა მიწყდებოდა. მერე წამოიწია, სწრაფად ასრიალდა კოხტას თავზე.

ბნელში ამაყად აიმართნენ ნამუსრევნი კოშკთა და ზღუდეთა. ქვევით, ველებზე უამრავი ნაპერწკალი ციმციმებდა, უჩინარი სულები თუ დაძრწოდნენ.

დასავლეთის ცის კიდეს ვერცხლის რკალი შემოერტყა. თანდათან უფრო განათდა. უცბად უზარმაზარი ვერცხლის სინი ამოცურდა, მჭვირვალი ნათელი დაეფინა მიდამოს.

შეკრთა მზეჭაბუკ ბედია, ზღუდეს გადაეყრდნო და ისე დააცქერდა.

მომცრო ეზოში ცხენოსნები იდგნენ. უჩუმრად ხვიხვინებდნენ ცხენები, ფლოქვებს სცემდნენ რბილ მიწას.

ოქრო და ვერცხლით მოჭედილი უნაგირები, მოსართავები, თორნი და საბარკულნი, ძვირფასი და პატიოსანი თვლებით შემკული ბეწვის ქუდები, ხმლები, ოქრომკედით ნაქსოვი მოსასხამები... წვერულვაშიანი სახეები, ბატონობას ჩვეული მიმოხრა, ქურუში გამოხედვა...

„უკუეთუ ვინმე ფიცო ამაოდ, არს ორისმეტყველ, არს ორგულ მეფისა და მამულისა და ქრისტეისი, კაცი იგი სიკუდილითა განიპატიჟოს!..“

„ამენ, ამენ!..“

„რამეთუ ვფიცავთ განდგომად უშჯულოთა...“

„ამენ, ამენ!..“

ჩუმად უგდებდა ყურს შეთქმულთა საუბარს. ცალკეულ ფრაზებს თუ გებულობდა, არადა ნიავის ფაჩუნში იკარგებოდა ნათქვამი. ბევრი რამ ითქვა მთვარით განათებულ ღამეში... ვიზრუნოთ სამშობლოს უმაღლეს ინტერესებზეო; ქვეყანა დაიქცაო; სამეფო ტახტი დასუსტდაო; მტერი მომძლავრდაო...

მერმე, მამლის მეორე ყივილის დრო იქნებოდა, იმერნი დაემშვიდობნენ ამერთ.

„მშვიდობით ვიდოდით!“

„მშვიდობით, მშვიდობით!..“

მზეჭაბუკი ზღუდეს მოსცილდა, მაღლა აიჭრა, თვალი მოავლო არემარეს.

მანქანებით მოსული ქართლოსიანნი ჯერაც შორს იყვნენ ციხიდან...

იმერნი ცხენებს მიაგელვებდნენ დასავლეთისაკენ...

ამერნი გასამგზავრებლად ეწყობოდნენ...

შორს ბნელი სივრცე დაეფარა ძნელად გასარჩევ ხროვას, ფუთფუთებდა, იგორგლებოდა... მიწა დგრიალებდა, იძროდა უთვალავი ფლოქვის ქვეშ... მონგოლნი მოისწრაფოდნენ შეთქმულთა შესაპყრობად... ღალატს უკვე ექნა შავი საქმე...

შეშფოთდა მზეჭაბუკ ბედია. ქვასავით დაეშვა ძირს. შეერია ამერთა ჯგუფს, მიეახლა მთავართა კრებულს.

„დიდებულნო, ისწრაფეთ! ბიჩუს და ანგუგ მოიწევენ თქვენდა შესაპყრობად!“

დაფრთხა ცხენი, ჭიხვინით ზე აიწია, ფლოქვმა გაკვესა ქვაზე. მოზიდა სადავე ჭაღარა მთავარმა, დინჯად მიუგო:

„ჰეი, ქართლოსიანო!.. წელი შვიდგზის ასი და კუალად ერგასისი დაჰყოვნე... ჟამი ესე დროისა წარვიდა, რამეთუ ეგრე ინება უფალმან ჩუენმან!“

მზეჭაბუკი განზე გადგა, მხედრიონი ჩამოატარა. თვალს ადევნებდა, სანამ ჭიანჭველებივით მოფუთფუთე ურდოში ჩაინთქმებოდნენ...

თავი II საუბარი ცოტნე დადიანთან

გულშეჭირვებულმა დატოვა კოხტაგორა და ჩრდილო-დასავლეთს მიაშურა. მესხეთის ქედის ტყიანი კალთები ნისლში იძირებოდა. ვერცხლისფრად მოლაპლაპე მწვერვალებსა და თხემებს ჩრდილოვანი უფსკრულები ცვლიდა. ზევიდან შემზარავი სურათი იშლებოდა, ვითარცა ვერანა ზედაპირი მთვარისა.

კაკაჩა მთვარეს აღარ ძალუძდა ღამისეული ბინდის განდევნა. თვალსაწიერის მრუმე ფერებში ინთქმებოდა კოლხეთის ვრცელი დაბლობი.

შესცივდა. ჩქარა უნდა ჩაეღწია ბარში. ქროლვით ჩაუარა ბნელ კალთებს.

გაივაკა. რიონისპირა ჭალებს აჰყვა. ქუთაისიდან თბილისს მიმავალი გზატკეცილი გამდნარი ტყვიის მდინარესავით მიიკლაკნებოდა.

ყრუ დუდუნით მოედინებოდა მძლავრი რიონი. ვერცხლის ცრიატი გადაჰკრავდა კუპრივით მდორე წყალს, მთვარის ცივ სხივებს იფენდა ზეწარივით, ალაპლაპებდა.

ერთგან ტყით მოსილი გორაკი მოსდგომოდა მდინარეს. ხავსით დაფარულ ლოდებზე წყარო სჩქეფდა.

წყაროს პირას, ქვაზე უცნობი ვინმე მოყმე ჩამომჯდარიყო. ღრმად ჩაფიქრებული მისჩერებოდა მოჟრუკჟრუკე წყალს. თავზე ბეწვის ქუდი ეხურა, მთავრის ჯიღით დამშვენებული, წელზე ხმალი ერტყა, პატიოსანი თვლებით მოოჭვილი.

შორიახლო ჰუნე ება, ზღაპრული რაში. მოუთმენლად სცემდა ფლოქვს მიწაზე. ხმადაბალი ხვივილით შესთხოვდა პატრონს.

იქვე მხლებელნი ჩამოქვეითებულიყვნენ. ჩუმად იცდიდნენ, ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ.

გული ატკინა მოყმის დარდმა. მყუდროების დარღვევას ეკრძალა, გაჩერდა მის წინ, მოთმინებით დაუწყო ლოდინი.

მისი ჩრდილი დაეცა წყალს. ვაჟკაცმა ამოიოხრა, შუბლზე ხელი მოისვა, ხმადაბლა იკითხა:

„მამუკა, შენა ხარა?“

„აქა ვარ უფალო!“ — მხლებელთა რიგიდან მოისმა პასუხი.

ვაჟკაცმა ქურუშად შეხედა მზეჭაბუკ ბედიას, გაუკვირდა. თვალები იმალებოდნენ ხშირ წარბებ ქვეშ. ჭაღარაშერთული წვერი მკერდზე სცემდა. სახე ნაოჭებს დაეღარა. იყო მის გარეგნობაში რაღაც უნუგეშო, მწუხარე. „ვისი ყმაი ხარ?“

ხმისთვის არ აუწევია. მაინც ისეთი გუგუნი გაჰქონდა, თითქოს ასფუთიანი ქვევრიდან იძახდა.

„ბედია ვარ გვარადა, მზეჭაბუკი მქვია!“

„არა სმენილ არს ეგე ჩემდა! სადაით ვიდოდე, ყრმაო?“

„ქრისტეს დაბადებიდან მეოცე საუკუნეს ვცხოვრობ, მთავარო!“

უნდობლად ახედა ვაჟკაცმა. ყრმის ჩაცმულობა ეუცხოვა. უცბად ირწმუნა, სახეზე სიხარული აღებეჭდა და მღელვარებით წასჩურჩულა:

„ქართლოსიანნო, ხართა ჯერეთ?“

„ვართ, მთავარო, მამათა მიწაზე ვდგავართ მტკიცედ!“

„იხსენებთა მამათა და პაპათა თქუენთა, რომელთა ბრძოდეს ხრმლითა და ჰოროლითა და აოტნეს უშჯულონი მრავალგზის და განუტევნეს სულნი თჳსნი ბრძოლასა შინა?“

„გვახსოვს! წიგნები იწერება, ძეგლებს ვაშენებთ... თქვენ?..“

„ესე არს მთავარი ცოტნე!“ — მამუკას ხმა მოესმა.

მზეჭაბუკმა ნაბიჯი წარსდგა, თავი დახარა, ვერ მალავდა აღფრთოვანებას.

„გმირო მთავარო, მიწაზე არ დაიარება ძე ქართლოსიანი, ვინც მუხლს არ იყრის...“

„ნურარას იტყჳ! — გააწყვეტინა მთავარმა, — ბედი ჩემი წიგნსა შიგა დაწერილ არს!.. ნურარას იტყჳ!..“

„ნუთუ არ გაინტერესებს, რა გადაგხდებათ ანისს, ქარმაღანის კარზე?“

„ნურარას იტყჳ!.. გზასა ჭეშმარიტსა და მართალს ვალ... ძმანი ჩემნი, დიდებულნი ქართუელთანი შეიკრნენ ხელთ-ბორკილითა და განიპატიჟებიან სიკუდილით!.. ჰე, ყრმაო, ნუუკუე გნებავს ცვალებად სიტყუისა, რაიცა ქორონიკონსა შინა არს?“

„ეს რომ შემეძლოს?!“

„წარვიდეს დრონი იგინი, ვითარცა ჟამ ერთ და წამ ერთ... მი-

წად მიიქცეს მეფენი და ყრმანი, ძალგულოვანნი და სუსტნი, გმირნი და მოშიშნი, მბრძოლნი და განმცემელნი... ვერცა აღიწყოს სისხლი იგი ქართუელთა, დათხეული ქუეყანასა ზედა... განვიწ-მიდენით სისხლითა პატიოსანითა! მაშა, არღარა არს ბოროტი? აღმოსცენდიან ყუავილნი კეთილნი და განქრა ეშმაკი? არღარა არს პარვაჲ და ხუეჭაჲ, არღარა არს განსცემაჲ და შური, ცრუ-ფიცებაჲ და ტყუვილი, კაცთ კვლაჲ და მონებაჲ?.. მაშა, მოჰბანეს კაცთა მათ ზუზღაჲ იგი წყლულებათაჲ?.. მაშა, განიკურნეს ცისად-ცისად გუემულნი და განრღუეულნი, გლახაკნი და დავრ-დომილნი?.. არღარა არიან ღჳნის-მსუმელნი და მეძავნი, მწირნი სულითა თუისითა და კაცისმოძულენი?.. ვეცხლი იუდაისი არ-ღარა იხვეჭების?.. თურე ჰმონებდეს გონიერნი და ცხებულნი ნი-ჭითა უდებთა და უმეცართა და უწიგნოთა?.. რამეთუ სისხლი პა-პათა იზახდეს და ღაღადებდეს და ხმობდეს შვილთა მათ!..“

გაფითრებული უსმენდა მზეჭაბუკ ბედია. ენა ვერ დაეძრა, ვერაფერი ეპასუხნა. ბოლოს ძლივს წარმოთქვა:

„ადამიანი სუსტია, მთავარო!“

მოიღუშა ცოტნე დადიანი. მიხვდა ყოველივეს. თავდახრილი წყალში იყურებოდა ერთხანს...

„არიან, არიან მარადღე ბოროტნი... — თავი ასწია, ჯიქურ მი-აპყრო მზერა ყრმას, — გარნა არიან კეთილნიცა, კაცთმოყუარე-ნი, მბრძოლნი, გმირნი ქუელნი და უშიშნი და წმიდანი, კაცნი სუ-ლითა სპეტაკ, ვითარცა თოვლი?“

„არიან, მთავარო!“

„სიცოცხლე წარმავალ არს, თესლ-ტომი ჩუენი საუკუნო... — ერთხანს ჩუმად იყო, მერმე დაუმატა: — მარადღე ბრძოდიან კეთილი და ბოროტი, გარნა განუმარჯუებოდა კეთილსა ბოროტსა ზედა... ძლიერ არს ეშმაკი, გარნა უფროის ძლიერ არს უფალი იგი...“

„ხმალი ჩვენც გვიპყრია, მთავარო!“

„მადლი შენდა, უფალო, აღივსო ენაი ჩემი გალობითა!“

„ჩვენც ვიბრძვით ხმლითაც, საქმითაც, სიტყვითაც... სადაც რა იარაღი ჭრის!“

„პაპაჲ ჩუენი დავით ბრძოდა ხრმლითა უსჯულოთა და ჩინთა და მაჩინთა ზედა და განავრცო სამეფოჲ თუისი ზღუითგან ვი-

დრე ზღუადმდე და უფლობდა ქუეყანათა და ერთა მრავალთა... უფალი ჩუენი ჯუარს-ეცუა... ოსანა, ოსანა, რამეთუ უფალმან მან დათრგუნა მტერი იგი კაცისაჲ და მოჰფინა სიტყუაჲ კეთილი ყოველსა ხმელსა ზედა...“

წამოდგა მთავარი. ორი თავით მაღალი იყო მზეჭაბუკ ბედი-აზე, ზევიდან დაჰყურებდა.

„მამუკა, ცხენი!“

რაში მოჰგვარა მხლებელმა.

„საღათარ ნოინს ქონდაქრებ უსხენან ჩემისა თავისათჳს... აჰა, ესერა, აღვიდე ჯუარსა ზედა, ვითარცა უფალი ჩემი!“

მოახტა რაშს, ერთხელაც მოხედა მზეჭაბუკს.

„მამაცთა და ქუელთა საქმე არს მიცემად გულისა და სისხ-ლისა და სიცოცხლისა მამულისათჳს!“

და გაქრა თბილისს მიმავალ გზაზე, ღამის სიბნელეში თან-დათან მიწყდა ცხენთა ჭიხვინი, ფლოქვების თქრიალი. ნაკადუ-ლის ჟღურტული და რიონის მდორე დუდუნი დასადგურდა...

თავი III. კოხტა-გორა

მიწისძვრებს, ომსა და ჟამს დაექცია კოხტას ციხე. ბუმბერა-ზი ლოდები ახორხლილიყო ერთიმეორეზე, ვითარცა დახოცილ დევთა გვამები. ლოდებს შორის ძეძვი და ნარშავი ხარობდა. სუ-რათი ჰგავდა მიტოვებულ, ყველასაგან დავიწყებულ სასაფლაოს.

მზეჭაბუკ ბედია ლოდზე დაეშვა. მზერა მიმოავლო გაშლილ ველებსა და გორაკებს, რომელთაც გარს ზღუდეებად ევლებოდა ქედები შავშეთისა და ერუშეთისა, მესხეთისა და თრიალეთისა, ჯავახეთის პლატოზე გაწოლილი სამსარის ქედი...

მზის სხივებს განემსჭვალა სივრცე და მირაჟთა ლურჯი ზღვე-ბი ლივლივებდნენ ცის კიდეზე.

წელზე ხმალი შეისწორა ყრმამ. ლოდიდან ლოდზე ხტებოდა და ასე მიადგა ციხის პატარა ეზოს.

ისინი აქ დახვდნენ, ცხრანი ქართლოსიანნი.

ღარიბული სუფრა გაეშალათ, სახელდახელო, ყველი, პური და მწვანილი, ხელადით ღვინო...

ქეიფსა და დროსტარებას არ ესწრაფოდნენ, სახემოღუშულნი ისხდნენ.

არ გაჰკვირვებიათ სტუმრის გამოჩენა. სალამზე სალმით უპასუხეს, ჩაიწ-ჩამოიწიეს, ადგილი მისცეს.

უხმოდ შეუვსეს მომცრო ყანწი.

— დაგვლოცე, მამაი ლეკვო! — ალერსით გაუღიმა კახელმა.

— დამილოცნიხართ! ქვეყნის ამბებით ჩანხართ შეწუხებულნი. ღმერთმა საფიქრალიც ნუ მოგიშალოთ, ღონეც!

ყანწი ფრჩხილზე დაიბერტყა, თავყრილობას თამამად გადახედა.

— ქართლოსიანნო, ამბავი მოვიტანე!

— თქვი, თქვი!..

— ბრძანე!.. — გაისმა აქეთ-იქიდან.

— ხმა დადის, მტერი მოგვდგომიაო ურიცხვი, მოასწორებსო მთასა და ბარს... ბოროტი ღვთაება ჯაგერნაუტის კერპი მოაქვთ თურმე... სიკეთე, სათნოება, სიყვარული, მეგობრობა, კაცთმოყვარეობა, სიპატიოსნე საფრთხეშია... ბრძოლად გვიხმობენ, ქართლოსიანნო!

— ჰაი, დედასა! — კბილები გააკრაჭუნა ფხოველმა, მუხლზე ურესავით ტორი დაიკრა.

— ბრძოლი ზარი რეკამს! — თქვა ქართლელმა.

— ამხავ ქაუ ამხედელიხ! — დაიქადნა სვანმა.

— აბა, ართო ჯიმალეფი! — დაუმატა ფრთხილმა მეგრელმა.

წამოხტა მზეჭაბუკ ბედია, წრეში შევიდა, ხმალი უწრთობი იშიშვლა.

— ქართლოსიანნო, აჰა, ხელთ მიპყრია ხმალი გრძნეული. ძალუძს მას ბრძოლა ბოროტთან, ოღონდ თქვენი ძალა და სისხლი სჭირდება. აპკურეთ სისხლი, რათა იწრთოს!

წვერით მიწაში ჩაასო. ხელისგული პირზე აუსვა. ტკივილისაგან გაფითრდა, კვნესა კი არ აღმოხდენია.

ყველამ დაინახა, მზეჭაბუკის ხელისგულიდან სისხლმა გადმოსჩქეფა და ხმალს ალისფერი ზოლები შეატოვა.

წამით დუმილი ჩამოვარდა.

მერე ქართელი ადგა, სათვალე გაისწორა, დინჯად ლაპარაკობდა:

— ჩემი მამაი და პაპაი ქართლში ცხოვრობენ. იმთვენი სისხლი და ოფლი დაიღვარეს, ტკაველი არ დარჩა მიწაზე. ლხინი ბევრი გვინახამს, ჭირიც არ დაგვაკლო საწუთრომა... ამის აქათ, მამძლავრდა ბოროტი ღმერთი, დაძრწიან მისი ჯაშუშები. თვალითა ვერ ვხედამთ, ყურითა არ გვესმის, მივეჩვიეთ ყანაში სარეველას... ქართლოსიანნო, თვალი გავახილოთ, თორე ხვალ და ზეგ დაგვიანდება!

დაიხარა, მარჯვენა შეახო ხმლის პირს. სისხლის ალისფერი ნაკადი დასდინდა ხმალს.

— კახელი ვარ! შობელი, ნათესავი, ყველანი კახელები მყვანდნენ, ზოგი კახეთ სახლობდა, ზოგი გარე კახეთსა, ზოგი კიდენა ქიზიყსა... სიძე მყავ ინგილო, სულში ჩაიძვრენ, იგეთი ბიჭია, პურ-მარილიანი. იმან მითხრა, საქართველოითვინო ჩემი სისხლი წაიღეო... ჩვენა რა?.. ღვინოი გვაქ, პურ-მარილი გვაქ, ყველაფერი გვაქ... ემიტომ ვამბოფ, ძმაი ძმას არ ინდობს, ე ფულ ჭედამს, თავბრუტი ეხვევა ქონებითა, ხოლო სხვა მუშაოფს, მაგრან სადა აქ?.. ვინც არ მუშაოფს, კაცო, ფული საიდანაო?.. ვენახ მოვლა უნა, სად ეხეტები, შე მამაძაღლო, დაჯე, პატიოსანი პური ჭამე შენი ოფლითა... გული აგემღვრევა კაც, ცუდი კარგად როდი გადაიქცა?.. ქართლოსიანნო, ძმები, კახელნი ხმლით იბრძოდნენ ყოველთვინა, რომა...

აუჩქარებლად შეეხო, ხმლის პირს სისხლი შეატოვა. ტკივილისაგან ოდნავღა შეიჭმუხნა. კახური ქუდიდან შუბლზე გრუზა თმა გადმოეყარა.

— ძმიებო, დედით ჯავახი ვარ, მამით — მესხი, ცოტანი დავრჩით აქანდისინ, მარამ ქართლოსიანნი ვართ ჩონაც... იემ თავზე წისქვილი ქვა არ დატრიალებულა, სხო ყველაფერი... ამრავინ კიდევ ვიტყვი, ხმალი ქარქაშში ადრე ჩაგვიგია, ძმიებო!..

ლაზათიანი ჭაბუკი იყო, მოხდენილი, როცა ლაპარაკობდა, თვალთაგან ნაპერწკლები ცვიოდა. დინჯად შეეხო ხმლის პირს, სისხლი ზედ შეატოვა.

— ხევსურ ვარ, შატილიონი. მეწვივნენ ფხოველნი, სრუყველა, მახევენი, მთიულნი, ფშავნი, თუშნი... ცხორ დავხკალ, ლუდ ბევრი ვსვით. მახევე უბნობს, ხირჩლა, მიგვიხვიდიდივ ბარად, ნახვიდიდივ ძმებსად უთხრიდივ, მთაჩი ესმითავ სიკეთეი.. რაიცაღ კაცები, ოჟებ გეგონების, ნიფხვებით ვაჭრობდიან... ეეგრავ აი!..

მთაჩი უბნობავ, მოკვეთილ იქნავ კაცისძირანი, ლეჩაქ დაიხურავ თავზედა... აბალე, კეჭნაობას შავრჩითავ, ხრმალს ვეღარ ვხმარობთავ... ხრმალჩი გამაიცდების ვაჟკაცი..

ულვაშებზე ხელი გადაისვა. ევროპული კოსტუმი ეცვა, ხევსურული, ჭრელი პერანგი, — პიჯაკქვეშ. წარბი ოდნავადაც არ შეუხრია. ღიმილით დააცქერდა თქრიალით წამოსულ სისხლს. მხოლოდ შუბლზე გამოცვარული ოფლის წინწკლები გასცემდნენ ტკივილს.

— მუშან ხვი, უშგულხან... გამზრდელი მასწავლიდა, ჩვენი წინაპრები პირველ დაძახილზე ისხამდნენ ხმალს, გვერდით ედგნენ ძმებს ჭირსა და ლხინში... ლახუბა!.. სიმამაცე იყო ჩვენი კანონი, პატიოსნება, სტუმართმოყვარეობა... ისჯებოდა ბოროტი, ზევდებოდა სიკეთე... მარადის კეთილმა უნდა სძლიოს, ესაა მთავარი...

წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო. ნაცრისფერი სვანური ქუდი ეხურა, ტეხასურა ეცვა. ნელა ლაპარაკობდა. ასევე დარბაისლურად შეეხო ხმლისპირს, მანამ დააყოვნა, სანამ წკანწკარით არ ჩამოიღვარა სისხლი.

— მამით გურული ვარ, დედით აჭარელი... აქანაი რომ მოვდიოდი, მღერა მინდოდა... გაზაფხულია, ძმებო, ბზეი ანათებს, გურია და აჭარა ისთე ჩეიფლო მწვანეში, ქუუცინარ კაცს ეემღერება... მარა ამფერი სილამაზე განა ავსა და კარქს ერთნაირად დამალავს? ასი სიკეთე ვერ გამოჩთება, მარა ერთი პაწა უკეთური დგა გზაჯვარედინზე, გაკივის, აქანაი ვარ, ყველამ მნახეთო... ჩვენ კიდომ თვალს ვხუჭამთ... როდემდე მასთე?

ესეც ლაზათიანი ვაჯკაცი იყო, ხმელი და მაღალი. სწრაფი მიმოხრა ჰქონდა. როცა ხმლის პირს შეეხო, უი, დედაო, — თავისთვის ჩაიჩურჩულა, ხელი მაინც არ აუცლია, სისხლი დაანთხია, საკუთარ სულსწრაფობაზე თვითონ გაეღიმა.

— რაჭველი ვარ, ჩემი ქალი ლეჩხუმელია. წელს იმთონი თოვლი მოვიდა, არავის უნახიაყე. ი ცოლი და ბაღვები ქვე დარჩენ სამშობლოჩი. ჩვე თაე ვიყავით ყველაკა, შეშას ვჩეხდით. ოდა ვიჯე ცეცხიპირას და ვფიქრობდი, რავარცაღა-თქვა ასე უნა-თქვა, ისე რაფერ არი-თქვა.. რამთონი მაღიჯი კაცია-თქვა... ბრავალი, ქვე

შენი ჭირიმე, ბრავალი...ჰოდა, ერთათ თუ ვიქენით, დღეს არა, ხვალ მაინ მოვერევით...

ნება-ნება ლაპარაკობდა, არსად მიეჩქარებოდა თითქოს. ზოზინით აუსვა ხმლის პირს ხელისგული, კარგა ხანს უყურებდა, როგორ სდიოდა სისხლი. ტკივილისაგან იჭმუხნებოდა, ჩურჩულით იმეორებდა: "ჰოდა, ქვე შენი ჭიი..."

— იმერელი ვარ, გენაცვალეთ... რაღაი ასთეა საქმე, ქე ვერ გავჩერდებოდი სახში, ახლა უნდა ვაშკაცოფა-თქვა, მივდექ-მოვდექი, ბოფშები არ დაიმშენ თქვა, შეშა მოვწიკე, ჭადის ქბილი მევიმარაგე და წამოვედი... კიე, მართალი ბრძანდებით, ცამდინ მართალი... აპა, ვაშკაცები ვართ, ულმაშები გვაქ, თავზე ქუდი გვახურია...

სხაპასხუპით ლაპარაკობდა, ცქაფი ჭაბუკი იყო. სიტყვა მომთავრებული არც ჰქონდა, ხელი შეაჭრა ხმლის პირს, სისხლი მოასხურა, და ჭრილობა უმალვე ქათქათა ცხვირსახოცით შეიხვია.

— მარგალი ვორექ... ჩქიმი გვარი სამი ათასი წლისაა. ბერგი და ყამა არ დაგვიგდია, ჩხუპიც ვიცოდით, შრომაც... მა თის იბჩიებუქი, ბევრი რამ არ მომწონს... ამდღარ დღას ფარამ ქორექიდა, კოჩი რექ, წესიერ კაცს რა ფასი ექნება?.. დავგლახავდით, წავხდით, სულის სიწმინდე გვაკლია... აბა, ართო ჯიმალეფი, ღონე ღონეს მივუმატოთ, მტერი მოდისო, დავხვდეთ!..

სხარტ მეგრელს მჭევრმეტყველება შვენოდა. ესეც სწრაფად ლაპარაკობდა. ხელისგული რომ დაისერა, ერთი შეიჭმუხნა, მერე ჭრილობა გამოაჩინა და ღიმილით დაუმატა: — ა, პატონი!

მზეჭაბუკმა ხმალს ხელი მოჰკიდა, ვადამდე მიწაში ჩაფლო.

— მიწავ, დედაო! მოეც ძალა ხმალსა გრძნეულსა!

ამოიტაცა, ზე აღმართა. თვალისმომჭრელად აკაშკაშდა წმინდა ხმალი, აბრიალდა, ვითარცა კელაპტარი, ნაპერწკლები ცვიოდა...

— აჰა, დამიდექ, ჯაგერნაუტო! — ამაყად შესძახა მზეჭაბუკ ბედიამ.

ნაწილი XIII

ხვედრი

საღი გონებისათვის მიუწვდომელი და ყოვლად საიდუმლო შემთხვევიდან ერთი სუვენირი შემრჩა — სარკის ნატეხი. იმ დღეს გამოვაყოლე ხელს, როცა სხვა ცნობისმოყვარეებთან ერთად ჯუმა ბედიას ადრინდელ ბინაში შევიჭვრიტე. ოთახში არაფერი იყო ამ ნამტვრევების გარდა. ვის რაში სჭირდებოდა? მავანთა და მავანთა ცნობისწადილი ასე შორს არ წასულა, რომ მტვრიან ნატეხებს დახარბებოდნენ... მილიცია ფეხზე იდგა, მაგრამ საქმე გაუხსნელი დარჩა. მხოლოდ სამი დღის შემდეგ შეამტვრიეს პატარა ბინის კარი და საეჭვო ვერაფერი იპოვეს.

სარკის ნატეხი ჩემი მაგიდის უჯრაში შევინახე. თავდაღმა ჩავდევი. რაღაც გაურკვეველი შიში მქონდა მისი. მერე და მერე კიდეც დამავიწყდა. ამას წინათ უჯრა გამოვწიე და ნატეხი რომ დავინახე, მეხსიერებაში ყოველი წვრილმანი აღდგა. დიდხანს ვიყურებოდი ნატეხში და საკუთარი თავი ვერ ვიცანი. მეზმანა, რომ ცარიელი თავის ქალა ვარ და ვიღაც ბიჭბუჭები ჩემით ბურთს თამაშობენ. გულზე შემომეყარა. ნატეხი სწრაფად გადავინახე უჯრის შორეულ კუნჭულში. ბოლოს და ბოლოს ვიყოთ გულახდილნი, სიმართლე არავის გვიყვარს, თუ ის ჩვენს გონიერებას ეხება. ცარიელი თავის ქალას თვალიერება სიხარულს ვერ მომიტანდა. არ მჯერა, რომ ასეთი უღიმღამო მომავალი მელის...

თავი I „ვაშა, ცხოვრება გრძელდება!“

რედაქციის მანქანამ ვარაზისხევი ბოლომდე ამოათავა, ახლად აშენებული თექვსმეტსართულიანი სახლის შესასვლელთან გაჩერდა. სახლი საქმოსნების აშენებული იყო. საქმოსნები კარგა ხანია, ციხეში ჩააყუდეს, ჯუმა ბედიამ კი თანამედროვე სამოთახიანი ბინა მიიღო. უკვე გაუნელდა პირველი სიხარული, აღარ ახსოვდა ლხინი, მოლოცვები, წვრილ რემონტზე და უცხოურ ავეჯზე ბჭობა, მაგრამ არ დავიწყებია ის ნერვების წყვეტა, შიში, ტელეფონების რეკვა, ქრთამები, პროტექციები და ათასი სხვა გაწამაწია.

ამოიხვნეშა. გრილი ნიავი მოელამუნა, ყლორტების სურნელება მოიტანა.

წელს ჩვეულებრივი გაზაფხული იდგა, თუმცა ყოველი გაზაფხული უჩვეულო ჩანს. დილას მოულოდნელმა კოკისპირულმა წამოუშინა, ქუჩები მღვრიე ნაკადულებით დაიტბორა. დღისით მზე აკაშკაშდა, ერთ საათში გააშრო მორეცხილი ასფალტი. თბილი და მშვიდი საღამო მოვიდა. ვისაც საწუხარი არაფერი ჰქონდა, ასეთ საღამოს შეეძლო აივანზე მჯდარიყო, მშვიდად ეცქირა ჯიღამოვლებული დასავლეთისათვის.

ჯუმას სად ეცალა ბუნების მეტამორფოზისათვის. მის სულში სიმშვიდე არ სუფევდა.

მანქანებს შორის ნაცნობი „ჟიგული“ შეამჩნია, გულმა უსიამოვნოდ გაკენწლა. კოტე, ვისი ასავალ-დასავალი არ იცოდა, ნამეტნავად თავგამოდებული „ოჯახის მეგობარი“ გაუხდა, ბედიებთან აღამებდა და ათენებდა. „ერთხელაც იქნება, კინწისკვრით გავაგდებ!“ — დაიქადნა.

— თავისუფალი ხარ! — კარი მიუჯახუნა მძღოლს, მისი დამცინავი ღიმილი ნასუსხარივით გაიყოლია. მძღოლს იგი არ უყვარდა, უფრო დამწვრის სუნის გამო. არც თვითონ ეხატა გულზე, ოღონდ ითმენდა, სხვა მძღოლის შოვნა ჭირდა.

ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა. ამაოდ! ლიფტი სადღაც შუა სართულზე გაჩხერილიყო. გუნებაში შეიგინა და კიბეს ფეხით აუყვა. კაი თოთხმეტი სართული უნდა ევლო. წინათ ალბათ ასკინკილათი აირბენდა. ახლა კი ყოველი საფეხური არაქათს აცლიდა და ყოველ ბაქანზე სულის მოსათქმელად ჩერდებოდა. უჩინარი, უსახო მტრის ლანძღვა მაინც არ მიუტოვებია. სინდისია?.. ამდენ კაცთან ჩააწყობ საქმეს, ამდენ ნაცნობს გამოიყენებ, არ დაიხევ პირმოთნეობის, შანტაჟის, გამოძალვის წინაშე, ქრთამს მიახარ-

ჯავ მთელ შემოსავალს, დაბოლოს კი ხელში შეგრჩება ულიფტო სახლი.

შინ ქურდულად შეიპარა.

მაცაცუნას კისკისი შემოესმა. ჩანთა მაგიდაზე დადო, ცერებზე მიიპარა კართან. ჭუჭრუტანაში შეიჭვრიტა. ყველაფერი არ ჩანდა, მხოლოდ მაცაცუნას თითქმის გაშიშვლებული ბარძაყები და მამაკაცის სქელლანჩიანი ცალი ფეხსაცმელი ნახა. ამოიოხრა. დიდი ხანია ეჭვობდა „ოჯახის მეგობარზე“, მაგრამ იმდენი საქმე ჰქონდა, სულაც ვერ იცლიდა ოჯახისთვის.

„მოდი, შევალ და წირვას გამოვუყვან!“ — უგერგილოდ გაიფიქრა.

კარს მოშორდა. ფრთხილად აბიჯებდა, მაგრამ პარკეტმა მაინც დაიჭრაჭუნა. ახალთახალ ბინაში პარკეტი უკვე აცვივდა. კედლებზე ბათქაში დაიბზარა. ტუალეტიდან წყალი ქვემო მეზობელთან ჩადიოდა. ამაზე, კვირაში შვიდი დღეა, თოთხმეტჯერ ჩხუბობდნენ. კაპიტალური რემონტი იყო გასაკეთებელი, ერთი ბინის ფასი მოუნდებოდა. მისი შემოსავალი კი მაცაცუნას ზიზილ-პიპილებს ვერ აუდიდა. ბოლო-ბოლო, რა ისეთი თანამდებობაა ერთი გაქუცული ჟურნალის რედაქტორობა? ვინმეს რომ ყურადღება მიექცია მისი ორგანიზატორული ნიჭისათვის და მინისტრის მოადგილედ მაინც გადაეყვანა...

სულგანაბულმა მეორე ნაბიჯი გადადგა. პარკეტმა კვლავ უხიმანდრა.

ოთახში გაჩუმდნენ. მერე ხმადაბლა აჩურჩულდნენ. ჯუმას ესიამოვნა, შევაკრთეო.

— ჯუმა, შენა ხარ? — იკითხა მაცაცუნამ.

პასუხი დაუგვიანა.

— დიახ, მოვედი! ვინაა მანდ, შენთან?

მაცაცუნამ ნაძალადევი ხალისით გამოსძახა:

— იცი, ჩვენთან ბატონი კოტე მობრძანდა სტუმრად! მე მგონი, გაგეხარდება!

— ლამისაა გავგიჟდე! — თავისთვის ჩაილაპარაკა ჯუმამ, მეუღლისათვის კი არაფერი უპასუხნია.

გაიჩხაკუნა, აჭრაჭუნდა, ალბათ წამოდგნენ.

— იეჭვიანებს? — ხმადაბლა იკითხა ვაჟმა.

— ჩერჩეტია, ვერაფერს მიხვდება.

ჯუმამ სავარძელი ფანჯარასთან მიაჩოჩა, შიგ ჩაეშვა და ჟურნალის ახალი ნომერი გადაშალა. საქმიანი იერი მიიღო, აქაოდა, მომეშვით, ბატონო, ძალიან დაკავებული ვარო.

— საღამო მშვიდობისა, ბატონო ჯუმა, რომ იცოდეთ, როგორ მომენატრეთ! — მხარზე ფამილარულად მოუთათუნა კოტემ. თამამად ლაპარაკობდა, თუმცა ხმაში დაძაბულობა მაინც ემჩნეოდა.

— მეც! — თავი არ აუწევია ჯუმას.

— ჩემს მეუღლეს იმდენი საქმე აქვს, დღენიადაგ ასე მუშაობს. წამობრძანდით, ყავას დაგალევინებთ! — მაცაცუნა სამზარეულოსაკენ წარუძღვა სტუმარს.

— უკაცრავად, ხელი შეგიშალეთ! — კოტეს ხმაში შეფარული დაცინვა გაისმა.

ჯუმამ არაფერი უპასუხა. ჟურნალის გადაშლილ გვერდს დაჰყურებდა, ფიქრი კი სხვაგან ჰქონდა. სად დაუშვა შეცდომა? ამის გაგებას ცდილობდა. როდის გაიმარჯვა მასზე მაცაცუნამ, როდის შელახა მისი პატივმოყვარეობა, მამაკაცური ღირსება?.. პირველ ღამეს გაუქანა და ლეწა პატარძალს. ეგონა მოკლავდა, მართლაც გიჟივით დაეძებდა იარაღს. ვერაფერი მოიხელთა და მაცაცუნა ბეწვზე გადარჩა. მეორე დღესვე უნდა გაეგდო სახლიდან, ქვეყანაზე მოეფინა მისი უნამუსობის ამბავი, ოღონდაც, მთელი ღვარძლი ძმას გადაანთხია, ცოლს კი მეტი არაფერი უთხრა. კაი თვენახევარი უბრად იყო, ხმას არა სცემდა... მის სულში რაღაც ჩატყდა...

თავდაპირველად მაცაცუნა ბალახივით წყნარი დადიოდა. ხმამაღლა ლაპარაკსაც ვერ ბედავდა. დათრგუნვილი იყო. თანდათან გაუარა შიშმა, რიდმა, პატივისცემამ. მიხვდა, მისი ქმარი არ იყო წინანდელი ჯუმა ბედია. დამწვრის ძლიერი სუნიც ძალაუნებურად ზიზღს უღვივებდა. თავისი დანაშაული არ ახსოვდა, ქმრის დანაშაულს კი ბერავდა. ერთხელაც მოხდა და ქმარს რქები დაადგა. ჩუმად ჩაუარა ამ ამბავმა. ასე ჯობნებიაო და თავი აიწყვიტა, სანამ ქმარი სამსახურში წელს იწყვეტდა, კურო შინ მოჰყავდა.

ჯუმამ პირველად რომ შეასწრო, ხმა გაკმინდა, თუმცა ამღვ-

რეულ სულში მოღალატისათვის სიკვდილის განაჩენი გამოიტანა. მაცაცუნამ იაზრა, უსიტყვო შეთანხმება დადებულიაო. ქმარი უფრო შეეზიზღა, ვერ იტანდა. ჯიბე და ბინა რომ არა, დიდი ხნის წინათ გაექცეოდა. შურისძიების ეშმაც არ იყო ბოლომდე დამცხრალი.

და, აჰა, ახლა სამზარეულოში ეკურკურებოდა „ოჯახის მეგობარს“!

ჯუმა გამოერკვია. ჟურნალი მუხლებზე ჩამოუცურდა. თავი აიღო. სამზარეულოდან მაცაცუნას კისკისი და კოტეს თავშეუკავებელი ხარხარი მოისმა, ერთმანეთს თუ ეღლაბუცებოდნენ. მერე დუმილი ჩამოვარდა. ჯუმამ თვალნათლივ წარმოიდგინა, როგორ დაჰკონებოდა კოტე მისი ცოლის ბაგეებს... სისხლი თავში აუვარდა, წამოიწია, ოთახში მიმოიხედა. რამე მძიმე ნივთს ეძებდა იარაღად, ვერაფერი გაიმეტა.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო ჯუმა! — პირზე ახლაც სიცილი დასთამაშებდა კოტეს.

სახეგაშუქებული მაცაცუნა მიაცილებდა სტუმარს. მსუბუქი ხალათი გადაეცვა. „ალბათ, შიშველ ტანზე!“ — მღელვარებამ სუნთქვა შეუკრა ჯუმას.

— უკვე მიდიხართ? — თავს ძალა დაატანა, ზრდილობის ვალი მოიხადა.

— მეჩქარება, საქმე მაქვს!

ჯუმამ გამოწვდილი ხელი ვითომ ვერ შეამჩნია, ადგილზე დარჩა. ხელები გულზე დაეკრიფა, ფლეგმა დაუფლებოდა.

მაცაცუნამ სტუმარი კარამდე მიაცილა. იქ ცოტა ხანს შეყოვნდნენ. იქნებ კოცნით ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს.

კარმა გაიჯახუნა და მაცაცუნა თავისი ოთახისაკენ წავიდა.

ჯუმა მოულოდნელად ადგილს მოსწყდა, კიბის ბაქანზე გავარდა. ელვის უსწრაფესად ჩაათავა რამდენიმე სართული. კოტეს წამოეწია. „ოჯახის მეგობარი“ უზრუნველად უსტვენდა და არ ჩქარობდა საფეხურების ჩათავებას.

— კოტე, საქმე მაქვს შენთან! — შორიდან დაუძახა.

ჭაბუკი შედგა. ჯუმას სახე არ მოეწონა, თვითონაც ზაფრანისფერი დაედო.

— გისმენთ!

— იცით რა, კოტე... — დამარცვლა ჯუმამ და მზერა თვალში გაუყარა.

„ჩერჩეტი!“ — გაიფიქრა კოტემ. უმალვე იგრძნო, რომ ტყუოდა. ჯუმა ბედიას ტყვიასავით მძიმე და ცივ მზერას თვალი აარიდა, შიში ყინულის ბორკილებად შემოეჭდო ხელ-ფეხზე. ეს კაცი აშკარად არ წაეჩხუბებოდა, მაგრამ ჩაუსაფრდებოდა და ისე გამოღადრავდა ყელს, ხელიც არ აუკანკალდებოდა. სიამაყემ სძლია და გამომწვევად გაიმეორა:

— გისმენთ, ბატონო ჯუმა!

ჯუმას ტუჩზე ოდნავ გაკვესა ცივმა ღიმილმა. მისი მოწინააღმდეგე უფრო სუსტი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა. არაფერი უთქვამს, ზურგი შეაქცია და კიბეზე დატოვა.

ოლონდ დიდხანს არ შერჩა გამარჯვების სიხარული.

ზღურბლზე გააფთრებული მაცაცუნა დახვდა.

— ეტაკე ხომ სტუმარს?! ერთი მეგობარიც არ დამიყენო! უფლება არა მაქვს, მეგობრები საკუთარ სახლში მივიღო, არა?! ურჩხული! დეგენერატი!.. თვითონ არაფრის შნო არა გაქვს, არც სხვას აცლი ცხოვრებას!.. უნიჭო!.. მამაკაცი მაინც იყო!..

ჯუმამ ხმა გაკმინდა, გვერდი აუქცია ცოლს, კაბინეტში ჩაიკეტა.

მთელი საათი ვერ დამშვიდდა მაცაცუნა. ხმამაღლა ლანძღვაგინება რომ მობეზრდებოდა, მოადგებოდა კარს და უბრახუნებდა. მერე ეტყობა დაიღალა, ან იქნებ ტიროდა და ამიტომ არაფერი ისმოდა.

ჯუმა სავარძელში გაიშოტა. თვალი ჭერს მიაპყრო. ცოლის ხმა მწერის ზუზუნად ჩაესმოდა. აზრს ვერ გებულობდა, ფიქრი ერთ წერტილში გაეყინა. ან რა მნიშვნელობა ჰქონდა სიტყვებს. ისედაც იცოდა, მიწასთან ასწორებდნენ, ჭუჭყში თხვრიდნენ. საოცარი ისღა იყო, რომ არ სწყინდა, არ აღელვებდა, აბეზარ ბუზსავით იშორებდა.

გვიან მიხვდა, რომ სახლში სიჩუმე ჩამოვარდა. ერთხელაც ამოიხვნეშა, გული კინაღამ ამოაყოლა. სასტუმრო ოთახში ტელევიზორი ჩართო. კლასიკური მუსიკის კონცერტს გადმოსცემდნენ. ჯუმას სერიოზული მუსიკა ძილს ჰგვრიდა. ახლაც უგულისყუროდ უსმენდა, თვალი ისევ ჭერისათვის მიეპყრო. ერთ ადგილას ნესტიანი ლაქა აჩნდა. ზემოსართულელს წყალი დაეღვარა ალბათ და

გამოჟონა. უნდა ასულიყო და ეჩხუბნა, ჭერს თავზე რად მინგრევთო. წამოდგომა დაეზარა... დაიღალა!..

დიახ, ოჯახური ცხოვრება ვერ აეწყო!

ჩასთვლიმა. მოეჩვენა, რომ ყველაფერი სიზმარი იყო, უსაშველოდ გაჭიანურებული სიზმარი. გამოიღვიძებდა, ჩამოიფერთხავდა ზმანებებს, ადგებოდა, კიბეზე აირბენდა და მიადგებოდა იმ კარს... მზია... ჯუმა ბედია ისეთივე ახალგაზრდაა, სუფთა, წმინდა სული უდგას, ვითარცა აკვნის ჩვილს... მზია...

გამოფხიზლდა. წმინდა სახელი ყურში რეკდა... ამოიოხრა. ამიერიდან ვერაფერს შეცვლიდა... იმ სახლს კვირაში ერთხელ მაინც ესტუმრებოდა. კიბეზე თავდახრილი აივლიდა, არავისი ნახვა არ სურდა. ნაბინავარში ჩაიკეტებოდა, ავეჯისაგან დაცლილ, მტვრიან ოთახში. ზამბარამოშლილ სავარძელში ჩაჯდებოდა სარკის წინ. მრავალი საათი უჭვრეტდა გარინდებული. ათვალიერებდა საგრძნობლად დაბერებულ სახის ნაკვთებს, ახლადგაჩენილ ნაოჭებს, მელოტს, ჭაღარას... მეზობლები ალბათ ჭორაობდნენ, რაღაც ეშმაკურს აკვარახჭინებსო. ზოგი ფიქრობდა, აქ საყვარლებს ხვდებაო, რაც, ცხადია, მაცაცუნას ყურებს არ ასცდებოდა... ჯუმას კი ქორწილის შემდეგ იმნაირ ქალთა ნაშიერი შესძულებოდა... იჯდა მდუმარედ, მოთმინებით უცდიდა ჯადოსნური სარკის გაღვიძებას, რათა უკანვე მოეთხოვა თავისი სიღარიბე და წმიდა სული. თუმცა იცოდა, გვიანი იყო და ამისი იმედი არ უნდა ჰქონოდა...

შემოსასვლელის ზარმა დარეკა.

მცირე ხანს შეყოვნდა. მაცაცუნა ვერ გამოეტია თავისი ოთახიდან და ჯუმა გავიდა კარის გასაღებად.

საღებავებით ჭარბად მოთხუპნილი, მოდურად ჩაცმული გოგოები იყვნენ.

— ესმა შინაა?

— მობრძანდით!

სასტუმრო ოთახში შეაცილა, თვითონ კი კვლავ კაბინეტში ჩაიკეტა.

მაცაცუნა, ეტყობა, სტუმრებს გამოეგება. ატყდა ჟრიამული, მტლაშა-მტლუში, კისკისი. „რა ზეიმია ნეტავი?“ — გულგრილად

გაიფიქრა. სავარძელში ისვენებდა და ყურს უგდებდა. მოკითხვები და მოლოცვები კარგა ხანს გაისმოდა, მერე — მაგიდებისა და სკამების მიწევ-მოწევა, ჭურჭლის ჩხაკუნი. ჩანდა, საკმაოდ გემრიელი კერძები დაემზადებინათ. ისეთი სუნი დატრიალდა, ჯუმას ნერწყვი მოადგა. ახლაღა გაახსენდა, დილის აქეთ ხემსი არ ჩასვლოდა პირში.

კარი ოდნავ გამოაღო და ხმადაბლა გასძახა:

— ესმა!

მაცაცუნას სახეზე უმალვე გაქრა ღიმილი, კოპები კუშტად შეკრა.

— ესმა! — ჯუმას ხმაში ხვეწნა იგრძნობოდა.

— რა იყო, რა დაგემართა! — ცხარედ გამოეპასუხა.

— მშია, მთელი დღე ლუკმა არ მიჭამია.

— უუჰ, — ზიზღით ამოიხვნეშა მაცაცუნამ, — მანდ მოიცა, აქეთ არ გამოხვიდე, თორემ ააქოთებ მთელს სახლს... მოგიტან რამეს!

ჯუმა სავარძელს დაუბრუნდა. დიდხანს ელოდა. კუჭის წვა იგრძნო, სამზარეულოდან კი ისეთი მადისაღმძვრელი სუნი აღწევდა.

მეორეჯერ გამოაღო კარი, ცოლი ჭირვეულად მოიხმო:

— ესმა!

— უუჰ, გააწყალე რა საქმე!

გუშინდელი ცივი ბორშჩი და მოხარშული კარტოფილი გამოუტანა.

— ხომ ხედავ სტუმრები მყავს!

— მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ დილიდან...

— ჰო, კარგი, კარგი! — გააწყვეტინა მაცაცუნამ და კარი მიხურა.

ისევ დარეკა შემოსასვლელის ზარმა. ესმას ხმა სამზარეულოდან მოისმოდა. ქმარს უძახდა, კარი გაუღეო. ვიღაც სტუმართა-განმა გააღო. ვაჟების როხროხი და მხიარული შეძახილები გოგოების ჟივილ-ხივილში დაიფარა.

— კამპანიას გაუმარჯოს!

— ჩვენს იუბილარს დიდება!

— ესმას ვენაცვალე, ცამეტი წელი თუ შეგისრულდა?

— ვაჰ, რა გოგოები შეყრილან?!

— ბიჭები არ ვარგიხართ, თორემ...

„ნუთუ დღეს ესმას დაბადების დღეა?“ — გაუკვირდა ჯუმას.

ჟრიამული ცოტათი მიწყნარდა. ტელევიზორის დიქტორის ხმა გაისმა. პროგრამაში იყო „კანონიერების სადარაჯოზე“. ჯუმას უყვარდა ეს გადაცემა, ერთსაც არ გამოტოვებდა. ყოველთვის იცოდა სად ვინ დაიჭირეს ქრთამისათვის, სპეკულაციისათვის, ქურდობისათვის... „ასეთი კაცი უნდა დახვრიტო!.. წახდა ქვეყანა, რაები ხდება!.. ჩვენ, პატიოსან მშრომელებს ლამის სული ამოგვხდეს და...“ — მსჯელობდა მეორე დღეს. ახლაც სიამოვნებით გავიდოდა სასტუმრო ოთახში, მაგრამ ცოლის აკრძალვა გაახსენდა და თავი შეიკავა.

მაგნიტოფონი ჩართეს, ჯაზები... ტელევიზორის ხმა გვიშლისო და ვიღაცამ გამოთიშა.

საცეკვაო რიტმი აღელვებს სისხლს და აროკდნენ წყვილები... ფეხების ბრაგაბრუგი, მეტიჩრული ჭყივილი, ხორხოცი...

მერე სუფრას მიუსხდნენ, პირები ააწკლაპუნეს... დანა-ჩანგლის ჩხაკუნი, სასმისის წკარუნი, დაღვრილი სითხის რაკრაკი, გრძელი და უგერგილო სადღეგრძელოები, უკბილო ხუმრობა, სიცილ-ხარხარი, წივილ-კივილი...

ისევ ჯაზი, რიტმი, ფეხების ბრაგაბრუგი, ღლაბუცი...

მემთვრალეთა სიტყვის ლოღნა, ჩხუბი, გაწამაწია...

არა, მყუდრო ოჯახურ ბუდეს ვერ ეღირსა ჯუმა ბედია!

სავარძლის სახელურს დახედა. ჩრჩილს შეეჭამა. მთელი ავეჯი დაფუტუროებულიყო და ცოტცოტაობით ნადგურდებოდა.

უძრაობამ დაღალა. წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა...

ფანჯარასთან შეჩერდა, შუბლი ცივ მინას მიადო და ბნელში გაიხედა... ნათურები ციმციმებდა ქუჩებში, თითქოს მიცურავდნენ მსუბუქ, სიფრიფანა ნისლში.

სახლთან ასფალტი ჯერაც არ იყო დაგებული და ტაქსი მოხოხავდა ოღრო-ჩოღროზე.

უცბად გაჰბურძგლა ჯუმას, გააჟრჟოლა, შესცივდა.

უკან დაიხია...

— ესმა!

ფანჯრის მინას გარედან ვიღაცის სახე მისწებებოდა და საყვედურით აღსავსე თვალებით შემოსცქეროდა.

თეთრი პერანგი და ჯინსი ეცვა, პერანგზე სისხლის დიდი ლაქა აჩნდა...

— ესმა!

ჯაზის ღრიალში, მთვრალი მოცეკვავეების როკვაში მისი ხმა არავის გაუგონია.

ჯუმამ კარი შეაღო, ზღურბლზე გაეჩხირა, ვერც სტუმრებთან გადიოდა, კაბინეტში დარჩენა კი არ შეეძლო.

იდგა ასე გვიან ღამემდე, სანამ ზარზეიმი დამთავრდებოდა.

დაღლილმა მაცაცუნამ სტუმრები რიგრიგობით კარამდე მიაცილა, ზოგი გადაპროშტნა, ზოგს გაეღლაბუცა.

ჯუმა არავის ახსოვდა.

— უჰ! — მაცაცუნა სავარძელში ჩავარდა, მკლავები აქეთიქით გადაყარა, ცოტათი თვითონაც დამთვრალიყო.

ჯუმა მიუჩოჩდა.

— ესმა, მაპატიე, არ ვიცოდი შენი დაბადების დღე რომ იყო!

— ეგრე იციან მოსიყვარულე ქმრებმა! — შეაწყვეტინა მაცაცუნამ, ზანტად წამოდგა, საძინებელი ოთახიდან საბანი და ბალიში გამოუტანა, ტახტზე დაუყარა: — ეს ჭურჭელი ახვეტე, სამზარეულოში გაიტანე!.. უჰ, როგორ დავიღალე!

გემოზე გაიზმორა, მთქნარებით წავიდა დასაძინებლად.

ჯუმამ საათს დახედა. ღამის ორი საათი იყო. აუჩქარებლად შეუდგა მოვალეობის შესრულებას. საჭმლის ნარჩენებს სანაგვეში ყრიდა, გასარეცხი თეფშები სამზარეულოში გაჰქონდა.

მაგნიტოფონი კვლავ ტრიალებდა, ჯაზის მომღერალი ამქვეყნიურ ბედნიერებას პირდებოდა მსმენელს.

ტელეფონმა დარეკა.

— გამარჯობა, ჯუმა!

ხმაზე იცნო. დიდი კაცი რეკავდა, ძილი თუ გაუტყდა ამ შუაღამეს.

ჯუმამ ხმას ხალისი შესძინა:

— გაგიმარჯოთ, ჩემო ბატონო! ბედნიერი ვარ, რომ გაგახსენდით!

— შენთან სათხოვარი მაქვს, ჩემო ჯუმა.

— ოღონდ მიბრძანეთ, ბატონო, და...

— ჩემს ძმისწულს რაღაც ნარკვევი დაუწერია, ნიჭიერი ახალგაზრდაა, ხელის წაკვრა უნდა...

— კი ბატონო, მაგაზე ადვილი რა არის!

— რაღაც მუსიკის ხმა მესმის თქვენსას, მხიარულად ცხოვრობ, ჩემო ჯუმა!

— ცოტათი წავიხემსეთ მე და ჩემმა მეუღლემ, — ჯუმამ ჩაიხითხითა, ხმაში სრული ოპტიმიზმი ჩააქსოვა, საკმაოდ ფამილარულად ჩასძახა: — ჩემი მთავარი დევიზი, ბატონო, ასეთია: ვაშა, ცხოვრება გრძელდება!

— ვაშა, ცხოვრება გრძელდება! – გაიმეორა დიდმა კაცმა.

— ვაშა და ვაშა, ჩემო ბატონო!..

ტელეფონის ყურმილი დადეს.

ჯუმამ მოიწყინა, სიხარულის ნატამალი არ შერჩა, ან რას უნდა გაეხარებინა.

ცოლის წინსაფარი გაიკეთა და ჭურჭლის რეცხვას შეუდგა...

თავი II. ეკლიანი სავარძელი

პიკის საათი იყო და სამსახურამდე მგზავრობას იმდენ ხანს მოუნდა, ფეხით უფრო მალე მივიდოდა. ჯერ იყო და უნივერსიტეტის წინ, ჭავჭავაძის პროსპექტზე მანქანა გაიჭედა. მერე გმირთა მოედნიდან ვერ გააღწია. ბეტონის ფილებით დატვირთულ საზიდარს ორი ტროლეიბუსი ერთად გადააწყდა. ათამდე დათვლაც ვერ მოესწრებოდა, მთელი მოედანი ჩაიხერგა, საგზაო მილიცია თავბედს იწყევლიდა.

ცირკთან თავისი ყოფილი დირექტორი დაემგზავრა. სრულიად არ შეცვლილიყო ამ ხნის განმავლობაში. არც საკუთარი პიროვნებისადმი სიყვარული და პატივისცემა მოჰკლებია იოტისოდენად. სამსახურში წინ არ წაწეულა, მაგრამ არც უკან დაუხევია, პენსიაზე გასვლას სულაც არ ჩქარობდა.

— ჰე, ჰე, ბატონო ჯუმა, — ძმაკაცურად ჩაიხვიხვინა, — ახლა დიდი კაცი ბრძანდები. შენზე ამბობენ, ლამაზი ცოლი შეირთოო, კაი ბინაც მიიღოო. ვერის აბანოში არ გიხდება თურმე სირბილი,

ყველაფერი შინა გაქვს, აბაზანა გინდა, ცხელი წყალი გინდა...

ჯუმამ ღრჯოდ ჩაიბურტყუნა რაღაც. ისე იყო გაცოფებული, შეეძლო ზურგში ტყვია მიეყოლებინა მანქანიდან ჩასულისათვის, იმან კი უდარდელად ხელი დაუქნია და ტროტუარს გაუყვა.

კიბეზე შეფეთებული ლიტმუშაკი კვინტილიანეს ნახვაც არ გაჰხარებია. ყოველ დილას აქ ხვდებოდა პირფერულად. სანამ ჯუმა საზეიმო სიფათით, თავაწეული კიბეს აათავებდა, ყოველდღიური ჭორების ჩამოკაკლვას ასწრებდა. დილაადრიდანვე საქმის კურსში აყენებდა. იცოდა, ვინ დააგვიანა, ვინ რა წაახდინა, ვინ რა თქვა, განსაკუთრებით რედაქტორის ნიჭიერებისა და კომპეტენტურობის თაობაზე, ვინ დარეკა, პროტექციას ვინ ვის უწევდა, ვისი თხოვნა ყურადღეღო, ვისი — ფეხებზე დაეკიდებინა. ჯუმა ბედიას „კი ბატონო“ ძლიერთათვის ნაღდი ვექსელი იყო, სუსტთათვის — მახე...

კაბინეტში რომ შევიდა, მდივანს დაუბარა, ჩემთან ნურავის შემოუშვებო.

სავარძელს დახედა, წვრილი ეკლებით იყო მოფენილი. ფრთხილად დაჯდა. დუნდულები მრავალგზის დაეჩხვლიტა და ემწარა. დღითიდღე იზრდებოდა ეკლები და უკვე ვერ გრძნობდა სავარძლის ფლობის სიტკბოებას. „ტყუილად ცდილობ ამაგდო, — ეჯუჯღუნებოდა უხილავ მტერს, — ტყუილად მარწმუნებ, ღირსი არა ხარო... არ დაგიჯერებ! ჩემია ეს სავარძელი, ეკლიანიც და უეკლოც! სულაც სისხლისაგან რომ დავიცალო, მაინც ვერ წამომაგდებ!“ ჯიუტი ბედია! საჯდომიდან წვეთ-წვეთობით სდიოდა სისხლი და მაინც ითმენდა, ოდნავ თუ შეიჭმუხნებოდა, ისიც თუ მარტო იყო. ხანდახან, თათბირის დროს, როცა ხელქვეითნი თვალებში შესციცინებდნენ, ელაქუცებოდნენ, ან როცა ვინმეს იღებდა და საუბარი გაუხანგრძლივდებოდა, ფეხზე წამოვარდებოდა. მასთან ერთად სხვებიც წამოიჭრებოდნენ და ჯუმა, რათა ღონისძიება არ ჩაშლოდა, იძულებული ხდებოდა ამ ჯოჯოხეთურ ეკლებზე დამჯდარიყო. ისინი საგანგებოდ ერთსა და იმავე ადგილას ჩხვლეტდნენ, ჭრილობაზე ჭრილობას ამატებდნენ, სულის მოთქმას არ აცლიდნენ.

ადვილი არ იყო ასეთი მაღალი სავარძლის ფლობა. სიჯიუტე

შველოდა. კბილების ღრჭიალით, ნებისყოფის დაძაბვით უნდა ეთმინა, სანამ არ შეფოფხდებოდა უფრო მაღალ, უფრო მტკივნეული ეკლებით მოფენილ სავარძელზე. მერე კი ღმერთმა უწყის რა მოხდებოდა.

არცთუ ტკბილ ფიქრებში წასული ჯუმა ტელეფონის ზარმა გამოაფხიზლა. „ეშმაკმა დალახვროს!“ — დაავიწყდა მდივანის გაფრთხილება, ტელეფონი გამომირთეო. თავისით ვერაფერს მიხვდებიანო, ბრაზობდა. ყოველ დილით ასე ჩაიკეტებოდა ორიოდე საათით, არაფერს აკეთებდა, მაგრამ სხვებს აფიქრებინებდა, შემოქმედებით წვას განიცდისო. „მას მუზა დილდილობით ეწვევა!“ — ამტკიცებდა კვინტილიანე. „დილდილობით სიზმრიდან გამოყოლილ მუზას ვერ იშორებს!“ — გაუფრთხილებლად იქილიკა ერთმა თანამშრომელმა და უმალ სამსახურის დატოვება მოუხდა.

ტელეფონი არ ცხრებოდა. ჯუმა ყურმილს მისწვდა, ნერვულად ჩასძახა:

— დიახ!

— ჯუმა ბედია, შენ კიდევ ცოცხალი ხარ? მალე შეგიყენებ წყალს, თუ კაცი ვარ! — ჩასჩხავლა ვიღაცამ და ყურმილი დააგდო.

გული შეუჩერდა თითქოს. იქ, სადაც გული უნდა ყოფილიყო, საშინელი ტკივილი შემოვიდა ნემსის წვერით. „ესაა ალბათ ინფარქტი!“ — გაიფიქრა. დიდი დრო უნდა გასულიყო იმ წამიდან, როცა ყურმილი დაუგდეს, საათის ისარმა კი მხოლოდ წუთით გადაიწია... ნელ-ნელა მოეგო გონს... ყველაფერს მიხვდა! გუჯმახანს სხვა ჯუმა ბედია ჩაეგდო ხელთ, მისთვის ამზადებდა საფეხურს. რედაქტორი „კი ბატონო“ ვერასოდეს ჩაიბანდა ჭუჭყს, ვერასოდეს ამოვიდოდა ჭაობიდან, სადაც გუჯმახანმა მოისროლა. „ეშმაკეულო, როგორ ვენდე შენს სიტყვას?“ — აღშფოთებამ სუნთქვა შეუკრა. ახლა რომ გუჯმახანი გამოსცხადებოდა, არ შეეპუებოდა, დაჰკივლებდა, უკანვე მოსთხოვდა თავის სულს, სიყმაწვილეს, წმიდა გულუბრყვილობას.

გაცოფებული იქადნებოდა, მაგრამ მალე იგრძნო, რომ გადაჭარბა. დაფრთხა, ამდენი ქადილი უქმად არ ჩაუვლიდა. მართლაც, საიდანღაც უცნაური სიგრილე შემოვიდა, ბეჭებზე მოეფინა,

კისერში ცივმა სუნთქვამ ჩააღწია. მეჩვენებაო, იფიქრა. შესცივდა, დასცხა, ისევ შესცივდა. მიხვდა, კაბინეტში მარტო არ იყო. მისი სავარძლის უკან ვიღაცა აისვეტა უჩუმრად და ხმას არ იღებდა. შიშისაგან ხელ-ფეხი დაუბუჟდა, სავარძლიდან ვერ წამოიწია. „მიშველეთ!“ — წაიჩურჩულა. ყელში ხმა ჩამქრალიყო და ვერავის გააგებინა. თავს ძალა დაატანა, ნებისყოფას მოუხმო, ძლივს წარმოთქვა:

— რა გინდა?

ხმა არავინ გასცა.

— რა დაგიშავე? კუდში რას დამდევ? რა ვალი მაძევს შენი? — ზედიზედ მიაყარა.

ძალა დაუბრუნდა ოდნავ. შეეძლო შემობრუნებულიყო, ოღონდ ყველაზე უფრო ამისი ეშინოდა.

ხელი გააპარა, ღილაკს თითი დააჭირა. აქამდე არც გახსენებია ღილაკის არსებობა, ახლა კი, მისაღებში რომ გაჟღარუნდა, გული მოეცა.

კვინტილიანემ შემოიხედა, შეფის კართან იყო მუდამ ატორღიალებული.

ჯუმამ უხმოდ შეხედა. ლიტმუშაკს სახეზე მოლოდინი ეხატა, უჩვეულოს ვერაფერს ხედავდა.

— ის აქ დგას? — ჩურჩულით ჰკითხა ჯუმამ, ცერით თავის ზურგსუკან უჩვენა.

— ვინ? თქვენს გარდა აქ არავინ არის!

ჯუმა შემოტრიალდა. არავინ იყო. შვებით ამოისუნთქა, თუმცა ბოლომდე არ იყო დამშვიდებული.

— იქნებ სადმე დაიმალა?

კვინტილიანემ ყველგან ცხვირი შეჰყო, დასუნა.

— თაგვის სუნია, ხვრელში გაძვრებოდა. მოგეხსენებათ, სადაც სახრავია, თაგვიც იქ ჩნდება. ჩვენთან კი სახრავი აი, აქამდეა! — ყელზე ხელი მოისვა.

ჯუმას ეუხერხულა, სიტყვა ბანზე აუგდო:

— დღეს რა პროგრამა გვაქვს?

— ახლა ავტორები უნდა მივიღოთ, მერე შესვენება გვექნება, პირველზე კოლეგიის სხდომაა, ორზე კავშირში იხილავენ იმას, რა

ქვია... წასვლა აუცილებელი არ არის. ოთხზე რესტორანში დაგვპატიჟეს, ხუთზე სხვა რესტორანში გადაგვიპატიჟებენ, ექვსზე — ჩვენმა ავტორმა, თავს მოვიკლავ თუ ჩემთან არ წამოხვალთო...

— მე ხომ იცი, არა ვსვამ!

— მოადგილე რისთვისა გყავთ? პასუხისმგებელმა მდივანმა დალიოს.

— იმას კუჭი ტკივა. შენ რომ გაგხადო პასუხისმგებელ მდივნად, დალევ?

ლიტმუშაკ კვინტილიანეს სახე აეფაკლა.

— მე ვინღა მაღირსებს? — დაიმორცხვა.

— როგორ, იმდენი ძალაუფლება არა მაქვს ჩემს ჟურნალში?

— ღმერთი ხართ, ბოდღოევიჩ! თქვენ მოინდომოთ და ვერ შეძლოთ, ამას კაცი ვერ დამაჯერებს.

— ჰო, კარგი, დამასვენე! ავტორი ვინმე თუა, თხუთმეტი წუთის შემდეგ შემოუშვი!

მარტო დარჩა. ბოლთის ცემას შეუდგა, ფანჯარასა და საწერ მაგიდას შორის დააბიჯებდა. ხშირ-ხშირად ოხრავდა. მთლად მოეშალა ნერვები. ღონეც დაელია, მუხლების ცახცახს ვერ იოკებდა. დამწვრის სუნი წინანდელზე მძაფრად სდიოდა. დიდხანს ვერ ჩერდებოდნენ მის სიახლოვეს, მთხოვნელებიც კი თავს ჩქარა შველოდნენ... „ოჰ, გუჯმახან, გადაგიხდი სამაგიეროს, თუ ვაუკაცი ვარ!“

ეს რომ გაიფიქრა, ფანჯარასთან იდგა და მაგიდისაკენ აპირებდა წამოსვლას.

შეცბა.

იმ სავარძლის უკან, საიდანაც ახლახან წამოდგა, ვიღაცა იდგა. პირისახე მიტკალისფერი ჰქონდა, თვალები დაეხუჭა. ჯინსი და თეთრი პერანგი ეცვა. პერანგს სისხლის წითელი ლაქა აჩნდა. ხელები წინ გამოეწვდინა და სავარძელში აფათურებდა.

თავზარდაცემული ჯუმა კარს ეცა.

— მიშველეთ! — იკივლა და დაეჯაჯგურა.

კვინტილიანე შემოვარდა, გაოცებისაგან პირი დააღო.

— იქ!.. ნუთუ ვერ ხედავ? — ჯუმას ენა ებმებოდა.

— სად? იქ არავინაა!

— აბა, მიდი, კედელი მოსინჯე სავარძლის უკან!

კვინტილიანემ სავარძელი განზე გასწია, კედელს მუშტი დაჰკრა, მაგიდის ქვეშ შეიჭყიტა, უჯრები გამოსწია და ისევ დაკეტა.

— ხომ გეუბნებოდით, თაგვია-მეთქი... ბოდღოევიჩ! მთელი კოლექტივის სახელით ძალიანა გთხოვთ, ამდენს ნუ მუშაობთ, თავს ნუ იღუპავთ, თქვენ ჩვენ გვჭირდებით!.. — ლიტმუშაკმა მუდარის მიშნად მკერდზე ხელი მიიდო, უპეებში ლამისაა კურცხალი დაუგროვდა.

— კარგი, კარგი! — ხელი უღონოდ ჩაიქნია ჯუმამ, შიშით მიუახლოვდა სავარძელს.

ეკლებზე დაჯდა. იგრძნო, თუ როგორ ჩხვლეტდნენ... მოითმინა...

* * *

კოლეგიის სხდომაზე თვლემა მოეძალა. არცთუ უინტერესო საკითხები განიხილებოდა, მაგრამ პირადად მას არ ეხებოდა და ფეხებზე ეკიდა, ასე გადაწყდებოდა თუ ისე, გასუსული იჯდა თავისთვის. თუ რამეს შეეკითხებოდნენ, რაღაცას მოაქიაქებდა, ოღონდ უცოდინარის შტაბეჭდილება არ მოეხდინა. ამისათვის ადვილი გამოსავალი იპოვა. რა აზრისაც იყო უმეტესობა, ან მასზე დიდი თანამდებობისა და ავტორიტეტის კაცი, მუდამ იმ აზრისა იყო თვითონაც... ასე იყო, მით უმეტეს დღეს, როცა განცდილმა შიშმა დაღალა და არაფრის ხალისი არა ჰქონდა.

სამინისტროდან გამოსულს კართან კვინტილიანე დახვდა. კავშირში წასვლა არ ღირსო და პირდაპირ რესტორნისაკენ გაუტიეს. ჯუმა წინათ არ სვამდა, მთვრალი კაცი საერთოდ ეჯავრებოდა. ბოლო დროს კი ღვინოს მიეძალა. ამ სუფრაზე არავინ იყო, ვისი რიდი და პატივისცემა სავალდებულო იქნებოდა. ამიტომ, გულს იოხებდა და, რაც ენაზე მოადგებოდა, იმას როშავდა, არავის სიტყვას არ აცლიდა, ვინც რატომღაც არ მოეწონებოდა, უკბილოდ ამასხრებდა. სხვები ერთ ჭიქას თუ დალევდნენ, ეს ორს სვამდა და მალე თავში აუვარდა. ხრინწიანი ხმით სიმღერა წამოიწყო. საკუთარი ხმა არ მოსწონდა, ჯავრს კი სხვებზე იყრიდა. იმდენად მთვრალი არ იყო, რამდენად თვითონ ეჩვენებოდა. თუ მოისურ-

ვებდა, შეეძლო კრავივით წყნარად მჯდარიყო და პირფერული სადღეგრძელოები ესმინა, ოღონდ დღეს ამ გუნებისა არ იყო.

მოგვიანებით ერთი ახალბედა ავტორი გამოეცხადა, სხვა რესტორანში გადაიპატიჟა. იქაც ბლომად დალიეს. ჯუმას ახლა კი მოერია ღვინო, თუმცა ჯერ კიდევ იცოდა რასაც აკეთებდა. მაინც თავისას არ იშლიდა. ვიღაცას გაუჯავრდა, მაგიდიდან ჭიქები გადმოხვეტა. თვალი დახუჭეს, ვითომ არაფერიაო. მხოლოდ ოფიციანტი აჭიჭყინდა. როგორ მიბედავო და ჯუმამ საცივიანი ლანგარი თავზე გადაამხო... ატყდა გაწევ-გამოწევა. ჯუმა იგინებოდა, ოფიციანტი კი მილიციას უხმობდა. ჯუმამ პირადობის მოწმობა დააძრო და რესტორნის დირექტორს თვალწინ დაუტრიალა... ყველაფერი მშვიდად დამთავრდა. განაწყენებული ოფიციანტი სადღაც გააქრეს. ჯუმამ და მისმა თანამეინახეებმა, ჩვენ გავიმარჯვეთო, და ისეთი დღე დაათენეს, დანარჩენმა კლიენტებმა, აქ კაი დღე არ დაგვადგებაო, დროზე უშველეს თავს.

უკვე ღამით, სხვა ავტორმა, რომელიც მხოლოდ მისთვის საინტერესო სტატიის დაბეჭდვას აპირებდა, სუფრას ჯუმა და კვინტილიანე მოსტაცა, შინ გააქანა... ჯუმამ აქაც წაუმატა, მთლად გამოსულელდა, მასპინძლის უშნო გოგოს ეკურკურებოდა აშკარად და ყველას გუნება წაუხდინა.

შუაღამე გასული იყო, როცა უგონოდ მთვრალი მანქანაში ჩასვეს და შინ აიყვანეს...

* * *

გამოეღვიძა. ქუჩაში სიწყნარე სუფევდა. კუთხეში მაგიდის ნათურა ენთო. ღამე იყო, ოღონდ არ იცოდა რა დრო იქნებოდა, არ ახსოვდა საათი სად დადო. თავი უსკდებოდა, თითქოს ჯალათი საფეთქლებზე მარწუხს უჭერდა. კუჭი დამძიმებოდა, ქვიშით დატენილს უგავდა, გულისრევა ყელზე მოსდგომოდა. არაქათგამოცლილს განძრევაც არ შეეძლო. არც ასე წოლა უნდოდა. პირში შხამიანი ნალექი დაუგროვდა, ენას ძლივს ამოძრავებდა.

— „ბორჯომი“, ღვთის გულისათვის, ერთი ჭიქა „ბორჯომი“,

— ამოილუღლუღა. მოპასუხე არავინ ჩანდა, — ესმა, ესმა!.. — შეეცადა ცოლისათვის მოეხმო.

ოთახში დამწვრის თავბრუდამხვევი სუნი დაგუბდა. არადა, სარკმლის გამღები არავინ იყო, საოცნებო, სანატრელი გრილი ჰაერი არსაიდან შემოდიოდა.

ჯუმა აკვნესდა, აჩიფჩიფდა, სისულელეებს ჩმახავდა. ბედს ემდუროდა, წუწუნებდა — ასე რამ გამასულელაო, მაგდენი ღვინო რა ეშმაკმა დამალევინაო... ვინ ეხვეწებოდა, ვინ აძალებდა, ვინ გაუბედავდა დაძალებას?.. „ბრიყვი ვარ, სულელი!“ — თავბედს იწყევლიდა. ოღონდ ახლა გადარჩენილიყო და ამიერიდან ღვინოს ახლოსაც არ გაეკარებოდა.

მიწებებული წამწამები ძლივს გახსნა, იქნებ ჩემი ხმა მაცაცუნამ გაიგონა და შემიბრალაო. მართლაც, იგრძნო კიდეც, ოთახში ვიღაცა იყო. ტკივილისაგან თვალებიდან ნაპერწკლები ცვიოდა, ფერადი ლაქები უტრიალებდა, ნისლში შებურულ საგნებს ვერ არჩევდა. თავს ძალას ვერ ატანდა. დაიძაბებოდა და სისხლი მოაწვებოდა საფეთქლებზე, ჩაქუჩივით ურახუნებდა კეფაზე.

როგორღაც შეაჩვია სინათლეს თვალი. ბუნდოვნად მოტორტმანე საგნები თანდათან დაიწმინდა, თავთავის ადგილზე დალაგდა. ნისლიდან უცბად თვალნათლივ გამოიკვეთა „ის“.

კუთხეში იდგა. ისევ ის ჯინსი ეცვა, ისევ ის თეთრი პერანგი. ზუსტად იქ, სადაც გული უნდა ყოფილიყო, წითელი ლაქა აჩნდა. თვალები დაეხუჭა. ღაწვზე წვეთი ცრემლი ეკიდა. ხელები მკერდზე ისეთნაირად დაეწყო, ვერ გაეგო ჯუმას, თხოვნას გამოხატავდა თუ საყვედურს.

პირდაღებული შეჰყურებდა მოჩვენებას, წამში დაავიწყდა გულისრევა, თავის ტკივილი.

პანიკურმა შიშმა მოიცვა მთელი მისი არსება, ხმის ამოღებას ვერ ბედავდა.

ოდნავ რომ შეტორტმანებულიყო, ნაბიჯი რომ გადმოედგა, ჯუმა ჭკუაზე შეიშლებოდა ალბათ, მაგრამ მოჩვენება ადგილიდან არ იძროდა.

აცახცახებული, ღონედაცლილი ჯუმა ლოგინიდან ფრთხილად გადმოვიდა, იატაკს ხელებით მისწვდა და ისე ჩამოხოხდა.

თვალს არ აშორებდა კუთხეში მდგომს, თან ოთხზე შემდგარი კარისაკენ მიიპარებოდა. შიშისაგან რეტი დაესხა და ოფლად გაიღვარა.

შუბლით გააღო, სწრაფად შევარდა მაცაცუნას ოთახში. კარი ქუსლით მიარახუნა, უკანალით შეაკავა... გრძნობდა, ვიღაცა აწვებოდა მეორე მხრიდან.

ხმაურზე მაცაცუნას გამოეღვიძა, საწოლზე წამოჯდა და მაგიდის ნათურა აანთო.

— რა მოხდა?

ჯუმა უსიტყვოდ ზმუოდა. კარს უკანალით ამაგრებდა. ძლივს მოისაზრა, საკეტი გადაებრუნებინა.

იატაკიდან არც წამომდგარა, ასევე ოთხზე შემდგარი მიფორთხდა მაცაცუნას საწოლთან, ცდილობდა აეხსნა შიშის მიზეზი, პირიდან კი ზმუილი და დუჟი გადმოსდიოდა.

მაცაცუნა დაფრთხა, გაიწია.

— გააფრინე? მომწყდი თავიდან!

ჯუმას მისი ხმა არც გაუგონია, ლოგინზე აფოფხდა, ნაცემი ძაღლივით მოიკუნტა ცოლის ფერხთით.

— ფუი, ააქოთა აქაურობა, — ჩაიბუზღუნა მაცაცუნამ. საბანი თავზე წამოიხურა, მაგრამ იმ ღამეს მეტად არ უძინია.

დილით, ირიჟრაჟა თუ არა, ჯუმა შინ ვერ გაჩერდა. ქუჩაში უფრო უსაფრთხოდ გრძნობდა თავს.

„ავადაა!“ — გაიფიქრა მაცაცუნამ. წამიერ შეებრალა კიდეც, ოღონდ იმდენად ეზიზღებოდა, მისი დამშვიდება არც უცდია.

ჯუმამ კი მანამ იხეტიალა, სანამ ხალხი ქუჩებში გამოეფინებოდა და სამსახურში შეძლებდა მისვლას.

სავარძელში რომ მოკალათდა, საჯდომი უფრო აეწვა, მიხვდა, იმ ღამეს ეკლები უფრო წამოზრდილიყო...

თავი III. ბერწი ლიტერატურული

ერთ საღამოს წრის სხდომაზე მიიწვიეს უნივერსიტეტში. თავდაპირველად არ უნდოდა წასვლა, ცუდად გამოიყურებოდა. იგი უკვე არ იყო ძველი ჯუმა ბედია, ვისაც აღელვებდა წრეზე გამართული უმწიფარი ბატალიები, არაფრად დაგიდევდათ წრის ყმაწვილი წევრების აზრს. ოღონდაც, ავტორიტეტის განსამტკიცებლად ხანდახან მაინც საჭირო იყო საზოგადოებაში გამოჩენა, თუმცა არც ზედმეტობა ვარგოდა. ხომ უნდა ეფიქრათ, ძალიან გადატვირთულია ლიტერატურული და საზოგადოებრივი საქმიანობითო. კარგა ხანს იყოყმანა სარკის წინ. არ მოეწონა თავისი არეული სახე, გულმოდგინე დაბანვისა და გაპარსვის შემდეგაც მოჯღანულად გამოიყურებოდა. თანაც დამწვრის სუნი!.. არც ოცნებობდა ამ სუნისაგან თავის დაღწევაზე, ბედნიერი იქნებოდა, ოდნავ მაინც თუ შეანელებდა... ბოლოს მაინც წასვლა არჩია, ცოტას მეც გავერთობი, გულს გადავაყოლებო.

უნივერსიტეტის ეზოში იშვიათი გასეირნების დროს სევდა მოეძალებოდა ხოლმე. ზოგჯერ მთელი საღამო ისე გაივლიდა, ერთ ნაცნობსაც ვერ გადაეყრებოდა. მისი თანაკურსელები დაიფანტნენ. მომდევნო თაობების სტუდენტებიდან არავის დამეგობრებია, სახეზე ცნობდა თითო-ოროლას, ისინი კაჭუჭიას ნაამხანაგარნი იყვნენ.

დღეს კი ეზოში შემოვიდა თუ არა, ბესო ბანძელაძეს შეეფეთა. ჯუმამ პირი დააღო, მაგრამ „გამარჯობა“ ზედ შეეყინა. ბესომ უსალმოდ ჩაუარა. ეწყინა ჯუმას, თვალებში ხომ არ ვეპატარავებიო.

— ვეღარ მიცანით, ბატონო ბესო?

— ა, ჯუმა ბატონო, — ჩვეული კილოთი შეეპასუხა ბესო, ხელი არ გამოუწოდა, — მეგონა ავად გახდებოდით. აფერუმ თქვენს ნერვებს!

— რაზე მეუბნებით მაგას? — სახტად დარჩენილი ჯუმა ყავისფერი გახდა.

— ისევ მაგაზე! მე მუდამ ვფიქრობდი, რომ მთავარია ნიჭიერება. კარგად მენახეთ, ჯუმა ბატონო, გულს ნუ გაიტეხთ, დრომ

მოიტანა და... მარცხი ვის არ დამართნია...

თავი დაუქნია და გზა განაგრძო. ჯუმამ მისი სიტყვებისა ვერა გაიგო რა, ნაწყენი კი დარჩა. „ალბათ იყნოსა, რომ ვიღაცა მიწას მითხრის!“ — გუნებაგაფუჭებული ეძებდა ბანძელაძის ფერისცვალების მიზეზს.

კიბე აათავა. ჯანო ჩიკინტილაძე დალანდა შორიდან. იგი უკვე გახმაურებული კრიტიკოსი გახლდათ (რა თქმა უნდა, ჯუმას შემწეობით), რადგან მოხერხებულ დროს მოხერხებულ სტატიას ბეჭდავდა, რის გამოც აღზევებულნი კიდევ უფრო აღზევდებოდნენ, დამარცხებულნი კი მთლად მიწასთან სწორდებოდნენ. ამჯერად ჯანომ თვალი აარიდა.

ჯუმამ პიჯაკის კალთით დაიჭირა.

— რა იყო, ჯანო, ველარ ცნობ მეგობრებს?

ჯანო წამით აირია, მაგრამ ჩიკინტილაძე რა ჩიკინტილაძე იქნებოდა, ვითარებისდა მიხედვით წამში არ გარდაქმნილიყო — სახეზე პირმოთნე ღიმილი აისახა.

— რავა გეკადრებათ, ბატონო, თქვენ ვინ არ გიცნობთ, ჩაფიქრებული მოვდიოდი და...

„ეს მაინც რამ შეცვალა?“ — შეწუხდა ჯუმა.

— შენ, გეტყობა, ნაწყენი ხარ ჩემზე. ეგრე არ შეიძლება, ჯანო, გენაცვალე!

რამდენიმე კვირის წინ მცირედ წაკინკლავდნენ. ჩიკინტილაძეს რა სისულელეც არ მოეროშა, „პეგასში“ ყველაფერს უბეჭდავდნენ, ჰონორარსაც უმაღლესს გამოუწერდნენ ხოლმე. მერმე ვიღაც დიდ კაცზე განაწყენებულმა პასკვილი დაწერა. ჯუმა დაფრთხა, ავტორს მოეფერა, აქეთო-იქითო, აწოწიალა. ამასობაში დიდი კაციც გააფრთხილა. იმან თავს მოუარა და ჩიკინტილაძის თხზულება არ დაბეჭდილა. ჯუმას ის ამბავი უკვე დაავიწყდა, ჯანო ჩიკინტილაძეს კი ბოღმა შერჩა.

— რავა გეკადრებათ, ჩვენ ერთმანეთისა არაფერი გვწყინს ხოლმე, — ჯანოს პირზე ცბიერმა ღიმილმა გაუელვა, — ჩვენ ხომ ლიტერატორები ვართ და ლიტერატურის მაღალი პრინციპებით ვხელმძღვანელობთ!

ჯუმას ცუდად ენიშნა რაღაც, გულმა რეჩხი უყო. მეტი

არაფერი უთქვამს და სხდომათა დარბაზისაკენ გაეშურა.

ცოტათი შეაგვიანდა. დარბაზი ხალხით იყო სავსე. ჯუმამ რიგები მოათვალიერა, თავისუფალ ადგილს ეძებდა. განგებ აკეთებდა ასე, თორემ იცოდა, როგორც ყოველთვის, ახლაც პრეზიდიუმში მიიწვევდნენ. მართლაც, ბატონმა პროკოფი ნადირაძემ თვალი მოჰკრა და დიდის ამბით მოიხმო. ჯუმამ თავმდაბლად იუარა, ასეთი პატივის ღირსი არა ვარო. ბატონმა პროფესორმა დაიჟინა. მათმა უხმო საუბარმა დარბაზის ყურადღება მიიპყრო და ყველამ დაინახა კართან მდგომი ჯუმა ბედია.

ატყდა ფაციფუცი, აჭრიალდა სავარძლები, აჩურჩულდნენ, ახითხითდნენ, ააშრიალეს ქაღალდები... დიახაც, პოპულარული პიროვნება იყო და ჯუმამ მორცხვად დახარა თავი, პრეზიდიუმში ავიდა, სავარძელში მოკალათდა და საკუთარი ფრჩხილებით დაინტერესდა. თავი მხოლოდ მაშინ ასწია, როცა დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა.

მალულად მიმოიხედა. ორატორს ყურს არავინ უგდებდა. დიდ-პატარა ჯუმას მოსჩერებოდა. ესიამოვნა, გუნება გამოუკეთდა, გაიბღინძა. მაუდგადაფარებულ მაგიდას იდაყვებით დიდკაცურად დაეყრდნო და ორატორს მიაპყრო სმენა.

ჯერაც პატარა, მაგრამ ლიტმცოდნეობის ურთულესი ტერმინებით დამუხტული ბიჭი ცდილობდა რაღაც “იზმი” მიესადაგებინა თანაკურსელის ნაცოდვილარისათვის. დიდხანს იწვალა, შეუძლებელი ვერ შეძლო და საკუთარ თავზე გაჯავრებულმა უცბად დაამთავრა:

— ბევრი ცნობილი ავტორისას ხომ სჯობია? ბერწი მაინც არ არის! რა ვუყოთ, რომ თანამდებობა არა აქვს, ასეთები იბეჭდება?

დარბაზში აქა-იქ გაიცინეს. ჯუმას ორატორის სითამამე მოეწონა, გასამხნევებლად თავი დაუქნია, ხალისიანად გაუღიმა.

— ფარისეველი, ვითომდა არა სწყენია, — წაიჩურჩულა ვიღაცამ დარბაზში. ჯუმამ ყური მოჰკრა ნათქვამს და პრეზიდიუმი მოათვალიერა, ვერ მიხვდა, ვინ იყო „ფარისეველი“.

ბატონი პროკოფი აღაჟღაჟდა, მოიღუშა, ეტყობა, ეწყინა.

— ასეთი თავდაუჭერელი ახალგაზრდობა გვყავს, — გადაულაპარაკა ჯუმას. „აჰა, შენ მოგცხეს?“ — გუნებაში გაეცინა „პე-

გასის“ რედაქტორს, უფრო გახალისდა, თვითონაც ჩაიხითხითა.

გვერდით მჯდომი პაპუა ჩირგაშვილი ღირსეულ მდუმარებას ინარჩუნებდა. ერთი-ორჯერ კი შეავლო მეზობელს ტრაგიკულად სევდიანი მზერა, რის შინაარსსაც ჯუმა ვეღარ ჩაწვდა. მაშინ პაპუამ იდაყვი გაჰკრა და ალერსიანად უთხრა:

— მაგრად იყავი, მეზობელო, მტერმა არ დაგჯაბნოს!

ჯუმამ გაუღიმა, უზრუნველად უპასუხა:

— მაგრადა ვარ, პაპუა ბატონო, ღვთით, ჯერჯერობით არა გვიშავს რა!

დარბაზში ლეო პირველი შენიშნა, თავი დაუქნია. ლეო პირველმა უმაღლესი უკვე დაამთავრა, ახლა სტუმრად შემოიარა ალბათ. მის ადგილს სოსო წინამასწარაშვილი დაჰპატრონებოდა. ლეო პირველი თავმჯდომარეობიდან რომ გადადგა, სოსო წინამასწარაშვილმა ისეთი გაწამაწია ატეხა, ბატონმა პროკოფიმ ირწმუნა, ამისაგან რაიმე დადგებაო, თუმცა რიგიანი ლაპარაკი და ფიქრი ვერ ასწავლა... ლეო პირველმა ჯუმას მზერა დაიჭირა. გაზეთი, რასაც აქამდე კითხულობდა, დემონსტრაციულად სხვას გადასცა და მხრები აიჩეჩა.

ახლაღა შენიშნა ჯუმამ, დარბაზში ბევრს ჰქონდა გაზეთი. კითხულობდნენ და სხვას გადასცემდნენ. რაღაც საინტერესო ამბავიაო, თვითონაც მოუნდა წაკითხვა. ახლოს არავის ჰქონდა, თანაც პრეზიდიუმში უხერხული იყო გაზეთის გაშლა და თავი შეიკავა.

მორიგი ორატორი უღიმღამოდ მიედმოედებოდა და ჯუმამ მოიწყინა. გაახსენდა სტუდენტობა, პირველი ნაბიჯები. უსიამოვნო მოგონებად შერჩა მოთხრობების გარჩევა, ამ დარბაზში რომ მოეწყო. თუმცა აქეს, მაგრამ ის ორი სიტყვა — „მეფე შიშველია!“ — სამუდამოდ დარჩა დაღვივით, ვერ ამოიძირკვა მეხსიერებიდან... მართალი იყო „ის“ მაშინ თუ არა?.. ტატო!.. ამ სახელის ხსენებაზე გააჟრჟოლა. ამდენ ხალხშიც არ აძლევდა მოსვენებას, დევნიდა, ახლაც გაიფიქრა და უმალვე თვალწინ წარმოუდგა. დარბაზის შორეულ კუთხეში, იქ, სადაც მაშინ იდგა, ისევ გამოჩნდა იგი. ჯუმამ აშკარად დაინახა მკერდზე ხელებდაკრეფილი, თვალებდახუჭული ტატო; მისი გულიდან თეთრ პერანგზე სისხლი

მოწანწკარებდა წვეთ-წვეთობით.

წამიერ დაავიწყდა სად იმყოფებოდა. უნდოდა მუხლებზე დაცემულიყო, შეჰვედრებოდა: რატომ დამდევ?! თავი დამანებე! ნუთუ არ კმარა?! ხუთჯერ სიკვდილი სჯობია, არაქათი გამომელია, არ ვიცი სად გაგექცე!..

„ის“ კი თვალდახუჭული, მიტკალივით გაფითრებული მდუმარედ მიყრდნობოდა კედელს, ერთადერთი — თავისი არსებობით სჯიდა ჯუმა ბედიას.

გონს მოვიდა. შუბლზე ოფლის წინწკლები შეიმშრალა. პროკოფი ნადირაძეს ხელი აეფარებინა ცხვირზე. მიხვდა, სუნმა იმატა და პრეზიდიუმში მსხდომნი შეაწუხა.

— ერთი წუთით გავალ, მოვწევ, — წასჩურჩულა ჯუმამ.

— კი, ბატონო, როგორც გენებოთ! — შვებით ამოისუნთქა ბატონმა პროფესორმა.

მხრებში მოხრილი გაძვრა სკამების უკან, კარისაკენ გაემართა. იცოდა, თვალს ადევნებდნენ და ნაბიჯი ერეოდა. ჩუმი ქირქილი, ლიზღური ჩურჩული მოსდევდა კვალზე. ვერ გაეგო, რას ერჩოდნენ, აქებდნენ თუ აძაგებდნენ. ეჭვისაგან შეწუხებული კართან შეყოვნდა. ხელში პაპიროსს ნერვულად ჭმუჭნიდა და ეს ყველამ შეამჩნია. მხოლოდ წამით მოიხედა. მრავალთა სახე ერთ სახედ შეერთდა თითქოს, წარიშალა განსხვავება. ახლა მას ზოგადი ახალგაზრდა შემოჰყურებდა ზიზღნარევი, აგდებული თვალებით. ეს სოსო წინამასწარაშვილის სახე იყო. წრის ახალი თავმჯდომარე მორიგ ორატორს იხმობდა ტრიბუნისაკენ, ცალი თვალით ჯუმასკენ იყურებოდა და ორატორის გვარი დავიწყებოდა. ეს იყო სახე სტუდენტი ჩაფიკაძისა. ამასწინობაზე რედაქციაში გამოეცხადა, მან კი კაბინეტის ზღურბლს არ გადმოატარა. ეს იყო სახე რომანისა. ზღვის ლომი ჯუმას კაბინეტთან აღამ-ათენებდა, მტირალა ხმით შესთხოვდა თავისი შვიდი რომანიდან თუნდაც ორიოდე იდიოტური ნაწყვეტის დაბეჭდვას... მაგრამ ჯუმა თავს იტყუებდა. უკვე დერეფანში მიხვდა, რომ ყოველი ეს სახე თვითონ მოიგონა სინდისის დასამშვიდებლად. ნამდვილად კი იმ წამს მან დაინახა სახე ტატოსი, ის სახე, როდესაც ტატო ხმადაბლა წარმოთქვამდა ორად ორ სიტყვას — „მეფე შიშველია!“

ჯუმამ სირბილით ჩაათავა კიბე, მზით განათებული ეზოში გავარდა და აქ ცოტათი დამშვიდდა. მართლაც ისეთი ნათელი დღე იდგა, სიცოცხლე ღირდა.

ბაღის სკამზე ჩამოჯდა. ფიქრს უნდა მისცემოდა და ამ დროს თავზე კვინტილიანე წამოადგა. აქოშინებული მოვარდა საიდანღაც. ბევრი ერბინა ალბათ, ხელში გაზეთს მოაფრიალებდა, შეშინებული და გაფითრებული იყო.

— ბატონო ჯუმა!

— რა მოხდა, რამ გადაგრია? — უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა ჯუმამ.

— თქვენ არ წაგიკითხავთ?

— დღეს გაზეთებისათვის ვერ მოვიცალე!

— აქ თქვენზე წერია! — ენის ბორძიკით უთხრა ლიტმუშაკმა.

ჯუმამ გაზეთი გაშალა. სარდაფში დაბეჭდილი ვრცელი წერილი წითელი ფანქრით საგანგებოდ შემოეხაზათ. ჯერ ხელმოწერა წაიკითხა — „ჯეიმს ჯალიაშვილი“, მერე სათაური — „ბერწი ლიტერატურული“.

— მე რა შუაში ვარ? — ხმა ჩაუვარდა.

— თქვენზეა! — ცნობისმოყვარე თვალები აუციმციმდა ლიტმუშაკს.

— ჰო, კარგი, წავიკითხავ, — ამრეზით უთხრა ჯუმამ. მისი კილო არ მოეწონა. გაზეთი დემონსტრაციულად ჯიბეში ჩაიკუჭა, ძალიან კი არ მაინტერესებსო, — მაინც ვინაა ეს ჯეიმს ჯალიაშვილი?

— ვერ ხვდებით? — აჩურჩულდა კვინტილიანე, — ვინა და... მე გამოვარკვიე, ის ჩვენი, უჰ, მაგისი, ჯანოია ჩიკინტილაძეა!

ჯუმას ფერი ეცვალა, თუმცა შეეცადა, არაფერი შემჩნეოდა.

— ჰო, კარგი, კარგი!

კვინტილიანეს ზურგი შეაქცია, ბაღს დაუყვა. ერთი სული ჰქონდა, როდის ამოიღებდა გაზეთს, როდის გადაშლიდა. ეზოში ხალხი ირეოდა და ცნობისმოყვარე თვალებს გაექცა. აუჩქარებლად ჩაისეირნა მეტეოსადგურამდე, გზა განაგრძო. ფიჭვნარის ბოლოს, შემაღლებულზე განმარტოვდა. ეს ადგილი ზევიდან გადაჰყურებს გმირთა მოედანს, ზოოპარკს. ჯუმას საკუთარი სულსწრაფობა არ მოეწონა, დამშვიდებას შეეცადა. რომელიღაც ნადირმა იქუხა, ფრინველი გაეპასუხა ჩხავილით. ორი აქლემი დამდგარიყო მზეზე, ზარმაცად იცოხნებოდნენ. გმირთა მოედანზე კი მანქანების ნაკადები კარუსელივით ტრიალებდა.

„ცირკია ეს ცხოვრება!“ — გაიფიქრა ჯუმამ, ჭკუაში დაუჯდა ეს არცთუ ორიგინალური აზრი.

გაზეთი ისე გაშალა, რა სიფრთხილითაც უვნებელყოფენ მიწაში ნაპოვნ ხელყუმბარას.

ფელეტონი მას ეხებოდა. ნელა კითხულობდა. რამდენ ფრაზასაც დაძლევდა, იმდენჯერ მოსდიოდა ელეთმელეთი. ერთიორჯერ კინაღამ გულმა დააღალატა. მარტოდმარტო იყო, ჭიქა წყალსაც არავინ მიაწოდებდა და თავი შეიმაგრა... მერე გაზეთი დაჭმუჭნა და გადააგდო. ძლივს წამოლასლასდა. ფიქრის თავი არ ჰქონდა. მიწასთან იყო გასწორებული მთელი მისი მეცნიერული, ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი საქმიანობა. ბედიას სტატია რიცხვნიშნობაზე იუმორისტულ ჟურნალში უნდა დაებეჭდათო, — წერდა კრიტიკოსი, — მოთხრობები გრაფომანის ნაბოდვარიაო. ამაზე უკეთესად ახლა საშუალო დონის მეოთხე კლასელი აზროვნებსო. ვინ გაბედაო ამ იდიოტობის დაბეჭდვა. მწერალი, თუ ის მწერალია, ალბათ მთელ საზოგადოებას დაგვცინის და შეურაცხყოფას გვაყენებსო. რაც ბედია რედაქტორი გახდა, ჟურნალი ქარვასლას დაემსგავსაო, სადაც ყველა ჩარჩსა და ვაჭარს, მაწანწალასა და მეძავს დაუდვია ბინაო და ა.შ.

ეს იყო დასასრულის დასაწყისი. ამას კარგად მიხვდა ჯუმა, ზურგი შეაქცია გუჯმახანმა და მტერმა თავი უმალ წამოყო...

ვიღაცის ხმამ შეაჩერა, გოგო ეძახდა...

თავი IV. წონასწორობა

— უკაცრავად, შეიძლება შეგეკითხოთ? მზეჭაბუკი ხომ არ ჩამოსულა?

— ვინა? — უხეშად შეეპასუხა არცთუ სასიამოვნო ფიქრებისაგან გამორკვეული ჯუმა, — მზეჭაბუკი?.. ჰმ, შენ რაში გეკითხება? როგნედა?.. ვეღარ გიცანი! მგონი შენ კახაბერს უნდა კითხულობდე და არა მზეჭაბუკს!

— ეს ჩემი საქმეა, ვისაც ვკითხულობ! — წამოენთო როგნედა, — თქვენ მიერ დასახელებულ პიროვნებასთან არაფერი მაკავშირებს!

— ხომ არა გგონია, ჩემო კარგო, მზეჭაბუკი გაბედავს და თავის რძლადყოფილს დაისვამს ცოლად?

— ჯერ ერთი, მე თქვენი „ჩემო კარგო“ არა ვარ, მეორეც, ვინმეს კისერზე არ ვეკონწიალები!

ქორწილის შემდეგ არ ენახა ჯუმას. დაქალებულა, დამშვენებულა, საუცხოოდ გამოიყურება. სტუდენტობამ არგო. ძნელად თუ ვინმე დაიწუნებდა ახლა. მოდური „პლატფორმები“ ეცვა, მოკლე კაბიდან შვეტი ფეხები მოუჩანდა. ქუთუთოებზე სქლად წაეცხო შავი საღებავი, უხდებოდა, თუმცა ჯუმა ამტკიცებდა თვალშეღებილი გოგოები არ მომწონსო.

— თუ გადაწყვიტე ძმებს ჩამოუარო, ჩემით უნდა დაგეწყო! — გესლიანად შეეპასუხა.

— ვის რაში სჭირდება თქვენისთანა ტუტუცი, თქვენ ჯერ აბანოში წაბრძანდით! — მიახალა როგნედამ და იქვე მდგომ ჯანიან ბიჭს, ალბათ თანაკურსელს, მკლავი გაუყარა.

ჯუმას თითქოს სილა გააწნესო, სიბრაზისაგან კბილები გააკრაჭუნა, ოღონდ გოგოს თანამგზავრს რომ შეხედა, თავი მოითოკა. ბიჭს, ეტყობა, მუშტი ექავებოდა და მიზეზს ეძებდა.

— ლაწირაკი! — ჩაიბურტყუნა და სწრაფად გაშორდა.

გზაჯვარედინთან თვალი ჰკიდა რძისფერ „ჟიგულს“. საჭესთან თითქოს კოტე იჯდა, უკანა სავარძელზე კი მაცაცუნა. როგნედასთან მის საუბარს თუ ადევნებდა თვალს. ალბათ მეჩვენებაო, გადაწყვიტა. არც ჰქონდა ამას მნიშვნელობა. ჯუმას ცხოვრებაში ისეთი ცვლილებები ხდებოდა, წვრილმანი კინკლაობა ცოლთან ან ვინმე სხვასთან ახალს არაფერს მოუტანდა. შიში, ბრაზი, შურისგების სურვილი, ავადმყოფური აგზნება, ნერვული აღტყინება ერთ წამს და ღრმა დეპრესია, უძლურება — მეორე წამს, ქანცსა წყვეტდა. ჯუმას თვალწინ ხან ჯოჯოხეთის კარიბჭე იხსნებოდა, ხან კი იმედის სუსტი ვარსკვლავი კრთოდა. ერთ შავბნელ დღეს იგი მოსწყდა მყარ ნიადაგს და კარიერის წვრილ თოკზე გასული ცდილობდა წონასწორობის შენარჩუნებას.

ტაქსით გავიდა მტკვარგაღმა. მუდამ ძველ ბინას აკითხავდა, როცა უჭირდა. თვითონაც არ იცოდა რატომ. იქნებ იმიტომ, რომ ამ სახლში ცხოვრობდა და წუთით წუთზე კვდებოდა მზია, იქნებ იმიტომ, რომ ეწადა ერთხელაც შეხვედროდა გუჯმახანს, ვისაც ძალუძს აღაზევოს დაცემული, ხოლო აღზევებული ლიმონივით გამოწუროს და ძირს დასცეს. იქნებ აქ გაურბოდა მაცაცუნას მტარვალურ დესპოტობას, ან იქნებ მიცვალებულის ლანდს, დღეში ათჯერ რომ გამოეცხადებოდა და ამ თავისი გამოცხადებით აუტანელ ტკივილს განაცდევინებდა.

ტაქსის მძღოლს ფული გაუწოდა და მაშინ კვლავ დაინახა რძისფერი „ჟიგული“. მხრები აიჩეჩა. ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი მანქანა დადის თბილისში.

მეზობელთაგან არავის შეუმჩნევია, დაუსხლტა არამკითხეთა ცნობისმოყვარე მზერას. დიდი სიფრთხილით გააღო კარი. სანამ შევიდოდა, კარგა ხანს იჭყიტებოდა შიგ. საეჭვო ვერაფერი შენიშნა. ჩაიკეტა და შვებით ამოისუნთქა. აქ შეიძლებოდა მშვიდად ყოფილიყო, აქ არავინ მოაკითხავდა.

მცირე ხანს მაინც შეყოვნდა კართან, ზურგით მიეყრდნო. უმნიშვნელო რამეებზე ფიქრობდა, რათა მნიშვნელოვანს გაქცეოდა. რაც აქედან გადავედი, ოთახს ცოცხი და ტილო არ გაჰკარებიაო; იატაკზე მტკაველი მტვერი ზიმზიმებსო; შპალერი ჩამოიხა და ბაღლინჯოებით დაბინძურებული კედლები გამოჩნდაო; სარკმელი, კუთხე-კუნჭული ობობას მოუბლანდიაო...

ხავერდის შავი ფარდა გადასწია, უკან დაიხია და სავარძელში მოკალათდა. მთლიანად ხედავდა საკუთარ გამოსახულებას. ასე იჯდა ხოლმე საათობით, ელოდა ჯადოსნური სარკის გაცოცხლებას. ოღონდაც, როგორც სხვა მილიონი მსგავსი სარკე, ესეც იმას უჩვენებდა, რაც მასში ირეკლებოდა. ჯუმა იმედს არ კარგავდა, უსიტყვოდ, ფიქრში იხმობდა გუჯმახანს. თანდათან იძირებოდა ამ ჩუმ, მონოტონურ ძახილში, რომელიც რეფრენივით დაუსრულებლად მეორდებოდა; თანდათან წყდებოდა ქვეყნიერებას, ეშვებოდა სრულ მდუმარებაში, თუმცა ოთახი სავსე იყო ქუჩიდან შემოსული ბგერებით.

დღენიადაგ გუგუნებდნენ მანქანები. ტროლეიბუსი გაქანდე-

ბოდა ზუზუნით, ზუსტად ერთსა და იმავე ადგილას გაკვესავდა ბუგელი, ნაპერწკლებს გადმოყრიდა, მავთულებს გლეჯდა. ზოგჯერ ვიღაც თავხედი მოტოციკლს გამოაჭენებდა. მისი „რახ-რახ-რახ!.. “ კედლებს აზანზარებდა. უფრო იშვიათად რეაქტიული თვითმფრინავი გადაუვლიდა ქალაქს და მაშინ ისეთი გრიალი ისმოდა, როგორც წარღვნის დროსაა მოსალოდნელი.

სარკმლის ქვეშ ტროტუარზე უწყვეტად მიმოდიოდნენ გამვლელნი. უამრავი ფეხსაცმელი სხვადასხვა ბგერას გამოსცემდა. სკიდან აყრილი ფუტკრის ბზუილსა ჰგავდა უხილავ ადამიანთა დაუსრულებელი რატრატი.

წკარუნებდა ბოთლები რძის გამყიდველთან... სადღაც გაჰკიოდა სასწრაფოს სირენა... მილიციელმა ჩაჰბერა სასტვენს... ბუმ-ბუმ-ბუმ, — ფრთხილად, მორიდებულად ჩამოჰკრავდნენ ზარს ეკლესიაში... ტრამვაი მიხრიგინებდა ორიოდ კვარტალს მიღმა... ტრანზისტორიდან ნაზად ჟღერდა ვიოლინო...

ჯუმა ბედია იჯდა მდუმარების სამეფოში. მის სმენამდე ვერ აღწევდა ვერც ეს და ვერც ათასი სხვა ბგერა, რაც ავსებს ქალაქის ჰაერს. იჯდა სარკის წინ, საკუთარ სულში აფათურებდა ხელს, რათა გაერკვია სად რა იდო, ბნელში კი ძნელი იყო ყოველივეს გარკვევა.

ხოლო სარკე, როგორც სახელმწიფო სტანდარტით გამოშვებულ ნივთს შეეფერება, დღესაც უჩვენებდა იმას, რაც მასში ირეკლებოდა, არ ცდილობდა ფილოსოფიასა და მაგიაში გარკვევას. ჩვეულებრივი, მკვდარი საგანი იყო. ჯუმას კი არ სურდა ამის დაჯერება, ჯიუტად მოკუნტულიყო ძველ სავარძელში.

მერე უცბად ამოძრავდა აზრი, აფუთფუთდა. მთელი სიმძაფრით იგრძნო ჯუმამ მდგომარეობის ტრაგიზმი. თავს ვეღარა ცნობდა სარკეში. „ძალიან შევიცვალე ბოლო დროს!“ — ამას უტრიალებდა ინტენსიური დინება ფიქრისა. ზედმეტად გაძვალტყავებული და მოთავებული ჩანდა. მომავალი არ არსებობდა მისთვის. არ უნდოდა ეს დაეჯერებინა, ვერ მიიღებდა ასეთ განაჩენს და წინააღმდეგობას უწევდა. ჯერ რა ხნისა ვარო, მომავალზე ფიქრს რად ავიკრძალავო. მართლაც ჯერ ხომ სიჭაბუკის ასაკი არ გასვლოდა. სული დაუბერდა მხოლოდ და ამას არაფერი

შველოდა... ასე რომ ფიქრობდა, უცბად მოეჩვენებოდა, რომ სარკე დასცინოდა, მასში არეკლილ არსებას ბეზრდებოდა ჯუმას განცდათა ნატურალური აღბეჭდვა, უადგილო ადგილას იწყებდა ღმეჭას: ცოცხალ ბედიას სახე ჩამოსტიროდა, სარკის ანარეკლი კი მხიარულად ხითხითებდა. გრძნობდა ჯუმა, რომ ორად იხლიჩებოდა და ეს ორი ნაწილი არაფრით ჰგავდა ერთიმეორეს.

მოულოდნელად ჩამობნელდა. ქუჩაში აინთო ნეონის ნათურები. სიფრიფანა შუქმა სარკმელში შემოაღწია, სარკეს ზედ მიეფინა. გაქრა, ბინდში დაიკარგა ჯუმას გამოსახულება. დაფრთხა ჭაბუკი, კარს მივარდა. დაავიწყდა, რომ თვითონვე ჩაკეტა გასაღებით და ცახცახმა აიტაცა. სანამ გაახსენდა, გასაღები ჯიბეში მოიძია და კარი გააღო, თავისი დაემართა.

დერეფანში სული მოითქვა, დამშვიდდა. შინ უნდა წასულიყო, მაცაცუნასთან. ცოლის გახსენება სრულებითაც არ გაჰხარებია. ფიქრი თავისთავად როგნედასთან დღევანდელ შეხვედრაზე გადახტა. „ლაწირაკი!“ — გულღრძოდ გაიფიქრა. ახლა მეხსიერებაში მზია ამოტივტივდა.

იმის მაგივრად, რომ ეზოში ჩასულიყო, აღმა აჰყვა კიბეს, მესამე სართულისაკენ. ზარის დარეკვა რატომღაც ვერ გაბედა, ფრთხილად დააკაკუნა.

ამირანმა გაუღო, ბუბა არ არისო და გული უფრო მოეცა.

— დიდი ბოდიში, ძია ამირან, აქეთ გამოვიარე და თავი ვალდებულად ჩავთვალე... — მილეული ხმით ლაპარაკობდა.

— მობრძანდით, ბატონო, საბოდიშო რაა! — მისმა უმწეობამ და საცოდაობამ ამირანი გააკვირვა და განაიარაღა.

— არ მინდა შეგაწუხოთ, მე ერთი წუთით...

— რა შეწუხებაა...

ჯუმამ უკვე ინანა მოსვლა, ფეხი აითრია.

— მზია როგორღაა? — ჩურჩულით ჰკითხა.

— შენი მტერი იყოს ეგრე! — ნაღვლიანად თქვა ამირანმა. ძალიან მოტეხილი ჩანდა, თმა გაჭაღარავებოდა, სახე წვრილ ნაოჭებს დაექსელა.

— მინდოდა, შორიდან მაინც შემეხედა, — ჯუმა წამოწითლდა, ხმაში ხვეწნის კილო გაურია.

ამირანმა გამომცდელად შეხედა. თქმით არაფერი უთქვამს, მაგრამ თავი დაუქნია.

ჯუმამ კარი ოდნავ შეაღო და შეიჭყიტა.

ყველაფერი ისე იყო, როგორც მაშინ, გუჯმახანთან სტუმრობისას. ოღონდ მზე ვერ შემოდიოდა ქალწულის ოთახში, ნათურის მქრქალი, მოცისფრო შუქი ეფინებოდა რბილად. მზიას მილეული პირისახე კი ბინდში იკარგებოდა და ჭაბუკმა არც იცოდა, მართლა ხედავდა მას თუ არა.

რაღაც მოაწვა, ყელში მოებჯინა. თავის შეკავება სცადა და ვერ შეძლო. ცრემლი თავისთავად წამოუვიდა. არ შემამჩნიოსო და ამირანს სახე მოარიდა. „მე დავღუპე იგი, მე დავღუპე ჩემი ბედნიერება!“ — საზარი იყო ამის გაფიქრება.

— მზია, — წაიჩურჩულა. უკვე აშკარად ტიროდა და ამ ტირილმა ამირანი გადაავიწყა.

პასუხად თითქოს ნელი სიოს რხევა მოისმა.

ჯუმა ოთახში შევიდა, საწოლთან მუხლებზე დაეშვა.

— მზია, მაპატიე, ყველაფერი მაპატიე!

ავადმყოფს ძალა არ ეყო პასუხის გასაცემად.

ამირანმა სტუმარი წამოაყენა.

ჯუმამ ჩურჩულით მოუბოდიშა და გამოემშვიდობა.

* * *

ორი თვე მაინც იყო, რაც მაცაცუნა ზვერავდა ჯუმას. გათხოვების პირველი დღიდანვე მტერივით ექცეოდა მეუღლეს. ატყობდა, რომ არც ჯუმას ეხატებოდა გულზე, იმ დღის ჩხუბის შემდეგ არ გაჰკარებია. თავიდან მაცაცუნას ეს ახარებდა, არაფრად ეპიტნავებოდა ქმრის ნაძალადევი არშიყობა. მერე და მერე მისმა უყურადღებობამ შეურაცხყო. ზიზღზე უფრო მძაფრი ზიზღით უპასუხა, სიძულვილზე — უფრო ძლიერი სიძულვილით. „ყველაფრის ღირსია, — ფიქრობდა მაცაცუნა, — ჩანჩურა და სუნიანი...“ სუნზე რა ითქმის, მაგრამ ჯუმა ჩანჩურა სულაც არ იყო. ერთხელაც, იქნებ მღალატობსო, ეჭვი ეწვია მაცაცუნას. ამ ფიქრმა გააწამა. არაფერი იყო გასაკვირი, ასეთი ქმრის პატრონს რომ საყვარელი გაეჩინა, მაგრამ დაუშვებელი იყო, ასეთი ქალის ქმარს სხვა ქალებთან ეკურკურა.

იმ დღიდან კუდად გამოება ჯუმას, ყოველ მის ნაბიჯს ამოწმებდა. საეჭვო ვერაფერი შეამჩნია, გარდა იმისა, რომ საკმაოდ ხშირად თავის ძველ ბინაში ჩაიკეტებოდა და იქიდან ისე გათავებული და დაღლილი გამოდიოდა, კაცი კაცად არ ვარგოდა. დღითი დღე იცვლებოდა ჯუმა. ლოყები ჩაუცვივდა, ყვრიმალები ამოეჩარა. თმა სულ გასცვივდა, თითქმის გამელოტდა. რაც შერჩა, იმაშიც ბლომად ერია ჭაღარა. მის მოძრაობაში არ იყო წინანდელი სისხარტე, მოდუნდა როგორღაც, მხრებში მოიხარა. ტანზე შარვალი არ უჩერდებოდა. პიჯაკი საფრთხობელასავით ეკიდა.

ერთხელ ძველი ბინის სიახლოვეს როგნედას წააწყდა მაცაცუნა და მასზე იეჭვიანა. კინაღამ ქუჩაში ეცა ვითომდა მეტოქეს. როგნედამაც იცნო. არც შიში დასტყობია, არც დაბნეულა. პირიქით, ძველი ნაცნობივით მიესალმა, სევდიანად ჰკითხა: „თქვენ მაინც ვერ მეტყვით, მზეჭაბუკი არ ჩამოსულა?“ მაცაცუნას უმცროსი მაზლის არსებობაც არ ახსოვდა, ვერაფრით გაამხნევა შეყვარებული გოგო. „ერთ ძმას ჩაუგორდა, ახლა მეორე მოუნდა!“ — ღვარძლიანად გაიფიქრა, თვითვე შერცხვა ნაფიქრალისა, ვიღაც უჩინარს შეუკურთხა: „გაწყდა თქვენი სინსილა, მეც როგორ გამაბოროტეთ!“

იმ დღესაც კვალდაკვალ აედევნა ქმარს. კოტეს მანქანიდან უთვალთვალებდა. ჯუმა ოთახში ჩაიკეტა. მაცაცუნა კარს ფრთხილად აეკრა, ყური ზედ მიადო. ჩქამი არ ისმოდა. მხოლოდ ერთხელ დაიჭრაჭუნა სავარძელმა, ალბათ ჩაჯდა. მეტი სხვა ხმა იქიდან არ გამოსულა. დიდხანს უცადა რა მოხდებოდა, მაგრამ არაფერი მომხდარა. მანქანაში დაბრუნდა. კოტემ თავის ბინაში წაიყვანა, ცოლ-შვილი აგარაკზე გაეშვა. თითო ჭიქა კონიაკი დალიეს, მერე კაცმა ფოტოსურათი უჩვენა, ტყუპისცალი გოგო-ბიჭისა, ესენია ჩემი ანგელოზებიო. მაცაცუნას გუნება წაუხდა, აიჩემა, მინდა ვნახო, ის ჩერჩეტი თავის ოთახში ზის თუ არაო. მაცაცუნამ ზუსტად მაშინ მიუსწრო, როცა ჯუმა ოთახიდან გამოდიოდა.

დერეფანში სუსტი ნათურა ბჟუტავდა. მაცაცუნა ვერ ხედავდა ქმრის გამომეტყველებას. მაინც მიხვდა, რომ ჯუმა დაღლილი

და შეშინებული იყო. ცოლი არ შეუმჩნევია, ისე ავიდა ზევით, ამირანთან და იქ ხუთიოდე წუთს დარჩა. თუმცა მაცაცუნას საუკუნედ მოეჩვენა ეს ხუთი წუთი. „ახლა ხომ მიგიხვდი, რა ვაჟბატონიც ყოფილხარ!“ — ქადილით გაიფიქრა.

როგორც კი ჯუმა წავიდა, ზევით ავარდა და ამირანს მიუხტა.

— გრცხვენოდეთ! — წამოიძახა. იქვე, ზღურბლთან შემთხვევით დადგმულ სკამზე ჩამოჯდა, ცრემლები გადმოყარა.

ამირანმა ხელები უმწეოდ გაასავსავა, ვერაფერი გაიგო.

— გიჩივლებთ, ქვეყანაზე კაცს არ დავტოვებ, ვისთანაც ჩივილი შეიძლება!

— კი მარა, რა დავაშავე ასეთი? — გონს მოეგო შეურაცხყოფილი ამირანი.

— ვითომ ვერ ხვდებით, არა? — გაკაპასდა მაცაცუნა, — ოჯახს მინგრევთ, თავს მჭრით და ვერაფერს ხვდებით?

— ჩუმად, გეთაყვა, მეზობლები გაიგონებენ, — თავგზა აებნა ამირანს, უხერხულობისაგან არ იცოდა რა ეღონა.

— გაიგონონ მერე, რა მაქვს სასირცხვილო, თქვენ უნდა გრცხვენოდეთ! ტყუილად გაქვთ იმედი, ჩემი ქმარი ასე მყავს გამოჭერილი, — მუშტი მოკუმა, — თქვენი გოგო ვერასოდეს ეღირსება...

ამირანი უცებ მიხვდა, თუ რის თქმას აპირებდა მაცაცუნა, რისხვა შემოენთო.

— გაეთრიე! — წასჩურჩულა.

— რაო? ეს უნდა მკადროთ?

— გაეთრიე!

მაცაცუნა დემონსტრაციულად წამოდგა, კარი გაიჯახუნა, კიბეზე სულ ბრაგუნით ჩადიოდა, თან გზა-გზა ილანძღებოდა.

შინისაკენ გამოეშურა.

ჯუმამ დაასწრო. ცოლის ნახვა მაინცდამაინც არ ახარებდა, მაგრამ ცარიელი ბინა სევდას ჰგვრიდა. არ იცოდა რა ეკეთებინა, გული რისთვის გადაეყოლებინა. გრძნობდა, რომ ავად ხდებოდა. მხოლოდ საქმე თუ უწამლებდა, ხელი კი არაფერზე მიუდიოდა. რამდენჯერმე სცადა მაგიდას მისჯდომოდა. სუფთა ქაღალდის მიმართ ალერგია გაუჩნდა. ბოლოს თავს გამოუტყდა, მართლაც ბერწი ვყოფილვარ, ლიტერატურული, არაფერი ფასეულის დაბადება არ ძალმიძსო.

ფანჯარასთან მიდგა. მთელი ხევი ჩანდა ბარნოვის ქუჩის ხიდამდე. მტვერში გახვეულ მანქანებს შორის რძისფერი „ჟიგული“ იცნო. არ ესიამოვნა. აქეთკენ მოემართებოდა „ოჯახის მეგობარი“. „მოვკლავ!“ — გულგრილად გადაწყვიტა. იარაღის ძებნასაც შეუდგა. ვერაფერი იპოვა. ოჯახში ლურსმნის ჩასაჭედი ჩაქუჩის მეტი არაფერი მოეძებებოდა. „როგორც კი შემოვა, ჩაქუჩით დავარტიანებ, — ოცნებებში ჩაიძირა, — მერე ვურტყამ და ვურტყამ, სანამ ტვინს არ დავანთხევინებ!“ აშკარად ტკბებოდა ამ აზრით. მეორეჯერაც წარმოიდგინა კოტეს დასჯის სცენა. იმდენად შემაძრწუნებელი სურათი დახატა, ხელ-ფეხი აუცახცახდა, კინაღამ იატაკზე დაჯდა...

ჩაქუჩი მაგიდაზე დატოვა და ისევ გადაიხედა. მანქანიდან მაცაცუნა გადმოხტა. ჯუმა ფანჯრის რაფას საგანგებოდ გადაეყრდნო, რათა განშორების სცენა ენახა. მაცაცუნას ალბათ ეჩქარებოდა, კარი მიუჯახუნა და შემოსასვლელში გაუჩინარდა.

ჯუმა შუა ოთახში გაჩერდა. ახლა ფიქრში მაცაცუნას კლავდა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ესწავლებინა ჭკუა ცოლისათვის. „ლაყე ვგონივარ მაგას, — ბობოქრობდა გუნებაში, — შემოვა თუ არა, ვეცემი და თმებით დავითრევ, მუხლებზე დავიჩეჩქვავ მაგის ცხვირ-პირს, დანას მოვიტან სამზარეულოდან და ღორივით გამოვჭრი ყელს...“ აზრის თვალით ხედავდა, თუ როგორ შევიდა მაცაცუნა ლიფტში, ღილაკს დააჭირა თითი, ლიფტი დაიძრა და, აჰა, სართული სართულს მოჰყვა... მოაღწია... მართლაც გაიჯახუნა ლიფტის რკინის კარმა. მაცაცუნას „პლატფორმები“ ბაქანზე სწრაფ ბაკიბუკს გამოსცემდნენ. ჯუმა ადგილიდან არ დაძრულა. მოქურუშებული იდგა. ციებიანივით ადგენდა ნაირ-ნაირ გეგმას, ერთს უარყოფდა, მეორეს იგონებდა... იმთავითვე ისეთი რამ უნდა ეთქვა, მიწასთან რომ გაასწორებდა, ხელზე დაიხვევდა, მოტეხდა...

გაიჩხაკუნა საკეტმა და...

— აქა ხარ ხომ?! მტარვალო, არამზადავ, მოღალატევ, ოჯახის გამყიდველო!.. — იკივლა და იკივლა მაცაცუნამ, მომართული ფრჩხილებით ლოყებზე ჩააფრინდა.

ჯუმა დაიბნა, უკან დაიხია.

— მომეშვი, შე ქალო, რამ გაგაგიჟა?

— გეგონა, ვერაფერს გავიგებდი, ხომ?! აგრემც კუბოში მინახიხარ გაშოტილი! შე უტვინო, შე ბენტერა, ოხერო!.. — წავიდა და წავიდა, წავიდა და წავიდა... განცვიფრებული ჯუმა ცდილობდა სიტყვა ჩაერთო, ხმა ჩაეწყვეტინებინა თავგასული ცოლისათვის, შეეშინებინა, მაგრამ მაცაცუნა გიჟივით მოიწევდა და ჯუმა თავდაცვას უნდებოდა. ნაბიჯ-ნაბიჯ იხევდა, ლუღლუღებდა, — „მოიცა, შე ქალო, მომეშვი, სიტყვა მათქმევინე!“ მაცაცუნა კი არ ეშვებოდა, მაინცდამაინც თვალების ამოწიწკნას უპირებდა.

ასეთი გაწამაწიით მიაღწიეს კაბინეტის კარს. ჯუმამ თავს უშველა, კარი შიგნიდან ჩაიკეტა. მაცაცუნა იატაკის საწმენდი ჯოხით ურახუნებდა, თან უსაზიზღრესი სიტყვებით ამკობდა.

ნერვებმოშლილი, უღონო ჯუმა ტახტზე დაეცა, თავზე ბალიში წამოიმხო და გამოითიშა, მოსცილდა ამქვეყნიურ სინამდვილეს...

არც გაუგია, როდის დამშვიდდა მაცაცუნა. თვითონ გაუხდელად ჩასძინებოდა თურმე. უჩვეულო მდუმარებამ გამოაღვიძა. ქალაქი დაწყნარებულიყო, თუმცა შესაძლებელია დაყრუვდა და იმიტომ არა ესმოდა რა. მერმე სასტუმროს დიდი საათის ტიკტიკი გაიგონა. ჩვეულებრივ დროს მის სმენამდე არც აღწევდა, ახლა კი, საყოველთაო მდუმარებაში, ისე ხმიანობდა, თითქოს ჩაქუჩით ალუმინის თეფშზე უბრახუნებდნენ.

საშიშროება ძილშივე იგრძნო. გული გადაეწურა. დამფრთხალმა უცბად წამოსწია თავი.

„ის“ აქ იყო!

კუთხის მაგიდაზე ნათურა ენთო. ოთახში ყოველი წვრილმანი თვალნათლივ ჩანდა. „ის“ კედელთან იდგა, ადრინდელ ადგილზე. თვალები დაეხუჭა, ხელები მკერდზე დაეკრიფა. ნიკაპზე კურცხალი ეკიდა, ერთადერთი, მოციაგე. თეთრ პერანგზე სისხლის წვეთები იღვენთებოდა ნელ-ნელა.

თავზარდაცემულმა ჯუმამ თვალი მოიფშვნიტა, მეჩვენებაო. გული ისე უცემდა, ამოვარდნას ლამობდა.

„ღმერთო, დილამდე გამაძლებინე!“ — ეს ფიქრიღა ჩაეჭედა

ტვინში, მეტს ვერაფერს ახერხებდა.

მოხდა ის, რისიც ასე ეშინოდა.

„ის“ წამოვიდა!

ნაბიჯს არ ადგამდა. თავისთავად ლევდა სივრცეს. ფეხსაცმელების ლანჩები უხმოდ მოსრიალებდა კრიალა პარკეტზე.

ჯუმას პირკატა ეცა, თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა. „ის“ ისეთივე იყო, როგორიც დაამახსოვრდა კუბოში.

საბანი თავზე წამოიფარა და გაყუჩდა. იგრძნო, რაღაც მძიმე და ცივი აწვებოდა ზევიდან.

შეჰყვირა ჯუმამ, ლოგინიდან წამოიჭრა და კარში გავარდა. რამდენიმე სართული ჩაირბინა ელვის უსწრაფესად. ბნელი ღამისაც ეშინოდა და ღია ლიფტს რომ წააწყდა, შიგ ჩაიკეტა. ვიღაცა დაეჯაჯგურა ლიფტის კარს. სამარისებურმა სიცივემ შემოატანა. ჯუმამ ღილაკს თითი დააჭირა, მეთექვსმეტე სართულზე ავარდა. ლიფტი გაჩერდა თუ არა, პირველი სართულის ღილაკს დააჭირა, მერმე კვლავ მეთექვსმეტესი. გარიჟრაჟამდე ასე დააქროლებდა აღმა-დაღმა, გაურბოდა სიკვდილის მდუმარე სიცივეს.

დილაადრიან ცოცხალი ადამიანების ხმები გაიგონა კიბეზე. ლიფტის კარზე აბრახუნებდნენ, ისევ გაიჭედა ეს ოხერიო, იკურთხებოდნენ.

ჯუმამ შინ დაბრუნება ვერ გაბედა. ქუჩაში ჯერ კიდევ ცოტა ხალხი იყო, ავტობუსის გაჩერებამდე სირბილით ჩავიდა. პირველსავე ავტობუსს შეახტა, სულ ერთი იყო, საით წავიდოდა. დიღომში ამოყო თავი. ახლა სხვა ავტობუსზე ავიდა და იმან კოლმეურნეობის მოედანზე მიიყვანა. მერე რკინიგზის სადგურზე გაემგზავრა, იქიდან ექსპრესს აეროპორტამდე გაჰყვა. ამასობაში ქალაქი დღის ჩვეულებრივ რიტმში ჩადგა და შიში გაუნელდა.

„შვებულება უნდა ავიღო, ორიოდე თვით წავალ აქედან!“ — უკვე სამსახურის კიბეზე გადაწყვიტა.

„პეგასის“ რედაქციაში მხოლოდ კვინტილიანე დახვდა, ცარიელი ოთახები არ მოეწონა. არც ლიტმუშაკი მოეწონა, პირზე დამცინავი ღიმილი შეამჩნია და თვალი აარიდა. „ალბათ ხვდება, ძირს რომ მითხრიან!“ — ზიზღით გაიფიქრა.

— დღეს სამინისტროში კოლეგიაა! — ორაზროვნად თქვა

კვინტილიანემ.

— მერე შენ რა გიხარია? — უკმეხად შეეკითხა ჯუმა.

— მე არაფერი... — წამით აირია, სწრაფადვე მოითოკა თავი, — ვიღაც მაიმუნმა დარეკა ისევ. იმუქრება, წყალს შეგიყენებო. როცა გაიგო, რომ თქვენ არ ბრძანდებოდით, მალე ვიქნები თქვენი შეფიო...

— იცი, რას გეტყვი? — ჯუმამ საყელოში სტაცა ხელი, მოიზიდა და სახეში შეაორთქლა, — აქედან თუ წავედი, ერთადერთი დარდი გამყვება...

— თქვენი წასვლა ვინა თქვა, ბოდღოევიჩ! — ხმა აუკანკალდა ლიტმუშაკს. თავს დამცირებულად გრძნობდა, რადგან ჯუმას ძალიან უხერხულად ეჭირა.

— ერთადერთი დარდი გამყვება-მეთქი, — კბილები გააღრჭიალა ჯუმამ, — ის, რომ შენ არ გაგსრისე პირველსავე დღეს! შენ ჭია ხარ, ქვემძრომი! იცოდე, ჩემი შემცვლელი მაინც გაგსრისავს...

კვინტილიანემ ნერწყვი გადაყლაპა, თვალები ააპარპალა. ჯუმამ ხელი უშვა. ნერვები არ უვარგოდა, თავის მარცხს სხვას ტყუილად აბრალებდა.

კაბინეტში რიდით შეიხედა. საშიში არაფერი იყო. სავარძელზე ეკლები კიდევ უფრო დაზრდილიყო. ამისთვის ყურადღება არც მიუქცევია. კარი მიხურა და უმალვე იგრძნო სიკვდილის ცივი სუნთქვა... თვალნათლივ ხედავდა, თუ როგორ იკვეთებოდა არარაობიდან „ის“... სავარძლის უკან იდგა და ელოდა, როდის ჩაჯდებოდა ჯუმა ბედია ეკლიან სავარძელში, რათა ცივი ხვევნით მიალერსებოდა.

ჯუმამ ჯიქურ დაიხია.

ეს იყო მისი უკანასკნელი მოსვლა.

კვირის თავზე „პეგასის“ სავარძელში სხვა რედაქტორი იჯდა.

თავი V. ხვედრი

ერთი თვის ძიების შემდეგ საქმე არქივს ჩაბარდა. იყო კაცი და გაქრა. შემთხვევას გამოცდილი იურისტი იძიებდა, მაგრამ ხელშესახები სამხილი ვერაფერი მოიპოვა და მარტოდმარტო ეჭვებით ფონს ვერ გავიდოდა. მოწმეების ჩვენებაში ვერაფერი ნახა ისეთი, რასაც კაცი ჩაეძიებოდა. გადაწყდა, ბოლო დროს სულით ავადმყოფობა დასჩემდა და იმან დაღუპაო...

გამომძიებელთან საუბარში მაცაცუნა ცრემლებს ღვრიდა და ცხარობდა:

— თქვენ ვალდებულნი ხართ, ვალდებულნი!.. ყველაფერს ნათელი უნდა მოეფინოს! სიცოცხლე არ მინდა უიმისოდ! თქვენ თუ იცით, ჩვენ რომ სიყვარულით დავქორწინდით?.. ჩემი ჯუმა, ჩემი გენიოსი მეუღლე, ისეთი კეთილი იყო, ისეთი ჭკვიანი, სუფთა, პეწიანი, სულ ქათქათა პერანგებს იცვამდა. მერე როგორ ვუყვარდი? ჩემო ერთადერთოო, მეტყოდა... რა ნიჭიერი იყო...

— რატომ იყო, ქალბატონო ესმა, იქნებ ცოცხალია თქვენი მეუღლე?

— ნუ მამშვიდებთ, ვერაფერს დამაჯერებთ!

კოტესაც მწუხარებისაგან ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა.

— დიახ, მე ოჯახის მეგობარი ვარ. ეს ალბათ უკვე მოგეხსენებათ. როგორ ვაფასებდი, ძმასავით მიყვარდა. აქეთაც „ძმაოს“ მეძახდა, სხვანაირი მომართვა არც მახსოვს. რა წამსაც დავჭირდებოდი, მეტყოდა, კოტე, შენი მანქანით აქა და აქ უნდა წამიყვანოო. შუაღამეც რომ ყოფილიყო, უარს როგორ გავუბედავდი... რა კაცი, რა კაცი!.. კეთილშობილი, დიდბუნებოვანი, ნამდვილი ვაჟკაცი, ზოგიერთივით გულმხდალი კი არ იყო. მოკლედ, ძალიან მაფასებდა...

ლიტმუშაკი კვინტილიანე თითო დაკითხვაზე თითო დუჟინ ცხვირსახოცს ასველებდა.

— ჩემი შეფი, ჩემი პატრონი, ამიერიდან რა მეშველება? ის მაფასებდა, თუ მაფასებდა. მეუბნებოდა, პასუხისმგებელი მდივანი პენსიაზე რომ გავა, შენ უნდა დაგნიშნო მაგის ადგილზეო,

რადგან შენისთანა გულისხმიერი, ბეჯითი, შრომისმოყვარე კაცი რედაქციაში მეტი არავინ მეგულებაო. სულ ერთად ვიყავით, დღისით და ღამით, იმოდენა კაცი იყო და ერთხელაც არ უგრძნობინებია თავისი დიდკაცობა. თავმდაბალი იყო უაღრესად, მეც იმას მეუბნებოდა, შენ, ძმაო, ნამეტანი თავმდაბალი ხარ, თორემ ბევრს აჯობებო...

ასე და ამგვარად, გამომძიებელმა მრავალი კაცი დაკითხა. ზოგი ჯუმა ბედიას მეგობრად ითვლებოდა, ზოგი ამხანაგად, ნათესავად, თანამშრომლად, უბრალო ნაცნობად. ყოველი მათგანი ზოგადი მსჯელობითღა კმაყოფილდებოდა, რომელშიც ერთი ლაიტმოტივი აუცილებლად ჟღერდა: „აფსუს, რა კარგი კაცი იყო, მეც დაბეჯითებით მეუბნებოდა, კარგი კაცი ხარო!“

ამბავი კი ამნაირად წარიმართა:

ჯუმა ბედია თავის კაბინეტიდან რომ გამოვარდა, ჭკუათმყოფელს არა ჰგავდა. ერთი კი იყო, გამოცდილი თვალი მის დამფრთხალ სახეზე გადაწყვეტილებას წაიკითხავდა. კვინტილიანე, თუმცა ნაწყენი იყო, კიბემდე გამოჰყვა. ჯუმამ არც მოხედა. ლიფტი არ გახსენებია. ეს მაღალი კიბე სულ კისრისტეხით ჩალია. ლიტმუშაკმა თავი დანანებით გააქნია, კიბის ქვედა საფეხურზე ჩამოჯდა, ახალი რედაქტორის გამოჩენას უნდა დალოდებოდა.

შენობიდან გამოვარდნილი შეფი რომ დაინახა, რედაქციის გამოცდილი მძღოლი მანქანიდან გადმოვიდა, კარი გაუღო. ჯუმას არც მისთვის მიუქცევია ყურადღება, დაადო თავი და წავიდა. „რა ბზიკმა უკბინა?“ — გაიფიქრა მძღოლმა და ისევ მანქანაში ჩაჯდა. მისთვის სულ ერთი იყო, ვისაც ჩაუსვამდნენ, იმას ატარებდა.

ჯუმა კი მიიჩქაროდა ხალხით გადატვირთულ ტროტუარზე. თვალებში ვერ იხედებოდა, ხან ერთ გამვლელს გაჰკრავდა გვერდს, ხან მეორეს, ხან პირდაპირ შეეტაკებოდა ვიღაცას. სხვები გზას უთმობდნენ გამალებით მიმავალს. თვითონ ბოდიში არ გახსენებია, არ სცალოდა. ფეხდაფეხ ლანძღვის კორიანტელი მოსდევდა, ის კი მხოლოდ საკუთარ გულისხმას უგდებდა ყურს... მისი სული გაორებულიყო და ჯუმა ბედია მიისწრაფოდა ჯუმა ბედიასაკენ...

შესანიშნავი დღე იდგა. გაზაფხული გაბატონდა საბოლოოდ. ცაზე მზე კაშკაშებდა, არც ცივი, არც ცხელი. ყოველ კუთხე-კუნჭულს აფერადებდა ცინცხალი ფერებით. ყოველი ხე სასაჩუქრე თაიგულს ჰგავდა. ქუჩაში გამოყრილი ხალხიც, თითქოს ახლაღა გაიღვიძაო, თვალის ჭყეტითა და რაღაცნაირი ნეტარი ზმორებით დასეირნობდა. სიყვარულის პირველი, უცნობი ძაფებით იხლართებოდა ცისქვეშეთი. არ არსებობდა ბოროტება, ნათელი ეფინა ყოველ გულს. მთაწმინდა გადმოსცქეროდა ქალაქს როგორც ახლადგაღვიძებული კეთილი დრაკონი. ძლივს შესამჩნევი სურნელი ყვავილებისა დაფოფინებდა უბნებში. წყნეთელი ბიჭები მინდვრის ყვავილებს ყიდდნენ, თან მილიციას არიდებდნენ თავს, მაგრამ ასეთ დღეს მილიციაც თვალს ხუჭავდა...

სად მიიჩქაროდა ამ დროს ჯუმა ბედია? ვის თხოვდა შველას? ღმერთიც და ეშმაკიც თავის სულში უნდა ეძებნა. ოღონდაც, იქ უკუნი ღამე ჩამოწოლოლოყო, ჯოჯოხეთის მხრჩოლავი კვამლი უწამლავდა გონს...

გიჟურ ფიქრებში ჩაძირულს არც შეუმჩნევია, რომ კვალდაკვალ, მთელი გზა, აუჩქარებლად მოჰყვებოდა „ოჯახის მეგობრის“ რძისფერი „ჟიგული“, რომელშიც გაწიწმატებული მაცაცუნა იჯდა.

— ხომ გეუბნებოდი, კოტე, უყურე, უყურე, ნორმალურსა ჰგავს?

— შენ რა გაღელვებს, გენაცვალე, იყოს როგორიც არის. დიდად არ გაწუხებს, არაფერს გთხოვს. მე რომ მკითხო, რქიანებში იდეალური ქმარია.

— სულ მეხუმრები, მე კი ჩემი გაჩენის ბედს ვიწყევლი, ეგეთი ჩერჩეტი რომ შემახვედრა ბედმა!

კოტემ გაიცინა. ხშირად მოესმინა მსგავსი წუწუნი. წინასწარ იცოდა, რასაც იტყოდა ქალი.

— შე კაი ქალო, ბედს თუ ვინმე ემდურის, შენ რა გაქვს დასამდური? ბინა, ფული, ქმარი, სახელი, მეტი რა გინდა? ზედ კიდევ ჩემისთანა საყვარელი!.. გეფიცები, ქვეყანა შემოგნატრის, შენ კი უკმაყოფილო ხარ...

— მე მკითხე, ხუმრობის გუნებაზე თუ ვარ, — უფრო გაწიწმატდა მაცაცუნა, — დარწმუნებული ვარ, იმ ხეიბარმა რაღაც ჯადო გაუკეთა, იმაზე გიჟდება...

— კაი ახლა, სისულელეს ნუ ლაპარაკობ, სულთმობრძავი

მაინც შეიბრალე.

— სულთმობრძავი?.. მაგი რომ სიკვდლს აპირებდეს, აქამდე უნდა გაეფრთხო სული. აფერისტობს მე თუ მკითხავ.

— ოჰ, ქალები, ქალები...

— დავიფიცე, — ფიცხად შეაწყვეტინა მაცაცუნამ, — ის თუ მაგ გოგოსთან შევიდა, გავეყრები!

— სისულელესაც ჩაიდენ, — მოიღუშა კოტე, — თუმცა როგორც გენებოს, ისე მოიქეცი. ჩემდათავად უკვე გითხარი, შვილები მყავს და ცოლი გულზე რომც არ მეხატებოდეს, ოჯახს ვერ დავანგრევ-მეთქი. გულწრფელად გითხრა, სულაც არ მძულს ჩემი ცოლი!

— ის მათხოჯი? — ღვარძლიანად შეეპასუხა მაცაცუნა და ასლუკუნდა.

— მათხოჯია თუ არა, ჩემია და რქებს არ მადგამს! — უმალვე სამაგიერო გადაუხადა კოტემ, — კაი ახლა, ამაზე ნუ ვიჩხუბებთ!

ჩხუბის დრო მართლაც არ იყო და მაცაცუნამ თვალები შეიმშრალა.

— უყურე! ხომ გეუბნებოდი, იქითკენ გაუხვია!

აქოშინებულმა ჯუმამ ერთი-ორი გაუხვია, თავის ძველ ქუჩაზე გავიდა.

მაცაცუნამ ცოტა მოიცადა და მანქანიდან გადმოვიდა.

— შენ აქ დამელოდე, მალე მოვბრუნდები!

— დამიჯერე, ესმა, ჩხუბი და დავიდარაბა სიკეთეს არ მოგიტანს! — დაუყვავა კოტემ.

— ჩემი ამბისა მე ვიცი!

ჯუმა გიჟის გახელებით აიჭრა რკინის კიბეზე. აივანი ცარიელი დახვდა. ვინმეც რომ ყოფილიყო, მაინც ვერ შეამჩნევდა.

ხელები უკანკალებდა და გასაღები ძლივს მოარგო კლიტეს, გადაატრიალა. მოეჩვენა, თითქოს ფხაკუნი და ხითხითი მოისმოდა შიგნიდან.

შიში და სიხარული ერთად მოაწყდა.

კარი გააღო და ზღურბლზე წამით გაიყინა.

ოთახში სიცარიელე სუფევდა. იატაკზე წინანდებურად ზიმზიმებდა მტვერი და ზედ ჯუმას ნაკვალევის გარდა სხვა კვალი არ აჩნდა.

შეყოყმანდა. უკვე არ იცოდა როგორ მოქცეულიყო.

მიაშტერდა სარკეზე ჩამოფარებულ ხავერდის ფარდას. ოდნავადაც არ ირხეოდა.

— გუჯმახან! — სასოწარკვეთით წამოიძახა, — რად დამღუპე, გუჯმახან!

ფარდის კალთა გადაიწია, წოწოლა თავი გამოჩნდა წამიერ. წითური წვერები აბურძგნოდა. ელამი თვალები მოეჭუტა. გულიანად ჩაიხითხითა და მიიმალა.

— გუჯმახან, პასუხი გამეც! — ფარდას მიეჭრა ჯუმა, გადასწია.

სარკემ მისი გამოსახულება აირეკლა. ვერ იცნო ოღონდ, გუჯმახანს დამსგავსებოდა თვითონაც.

სადღაც შორეული სიღრმიდან კი უწყვეტი, აგდებული, შეურაცხმყოფელი ხითხითი აღწევდა.

— გუჯმახან, შურს ვიძიებ! — უღონოდ იძახდა გამწარებული ჯუმა.

პასუხად ხარხარი გაისმა, დამცინავი, გამანადგურებელი, თავხედური.

თავი ჯიუტად დახარა ჯუმა ბედიამ, ნაბიჯი წარსდგა.

სარკე ცომივით რბილად დახვდა და შიგ შევიდა.

იმავე წამს ზღურბლზე მაცაცუნა წამოიმართა.

შორიდანვე ესმოდა ჯუმას ძახილი. ოთახში რომ ვერავინ ნახა, დაიბნა. უცებ ფარდის საეჭვო რხევა შეამჩნია და გაწიწმატებული მივარდა.

— აქ მემალები, შე დეგენერატო?!

გამოსწია ხავერდის შავ ფარდას და მასთან ერთად სარკეც გადმოიყოლა.

ბრახ!

შემზარავად იკივლა ვიღაცამ. იატაკზე, სარკის ნამსხვრევებში სისხლი გამოკრთა.

გაოგნდა მაცაცუნა, დამუნჯდა.

კოტემ შემოიხედა. არ მოეწონა ნამსხვრევებს შორის დაღვრილი სისხლი და ქალს ხელი ჩაავლო, ძალათი გაიტაცა ოთახიდან.

კარი ჩაკეტა, გასაღები კი გადააგდო.

ისინი არავის შეუმჩნევია...

ნაწილი XIV

მზეჭაბუკ ბედიას ოჰი

ნაშუადღევს თბილისისაკენ მიმავალი მანქანის მძღოლმა გამოალვიძა. მზეჭაბუკ ბედიას გზის პირას თივაზე ჩასძინებოდა. წელში ძლივს გაიმართა, მთელი ტანი დაბეჟილი ჰქონდა. ვერა და ვერ გაიხსენა, აქ როგორ მოხვდა. ხმალს დახედა, ვადა თითქოს ხელზე მისწებებოდა. თანდათან მეხსიერება აუმუშავდა, ამოტივტივდნენ უცნაური, არაამქვეყნიური სახელები — ჯაგერნაუტი, გუჯმახანი, ჯგრაგ... ეს იყო საიდუმლო და ამას ვერავის გაუმხელდა.

ღამით თბილისში ეწვიმა. ქალაქი ახლადგანბანილ ჩვილსა ჰგავდა. რუსთაველის პროსპექტზე ჩამოვიდა, ტროტუარს დაუყვა აუჩქარებლად. გამვლელთ ანგარიშმიუცემლად უღიმოდა, პასუხად ხან კეთილ ღიმილს იჭერდა, ხან გაოცებულ მზერას, ხან დამცინავს, ზიზღნარევს, ბოროტსაც კი, მაგრამ უმთავრესად მაინც ხალისიანად უღიმოდნენ და გუნებაში ყველას თავისას უზღავდა.

გვიან მიხვდა, შიშველი ხმალი გადამეტებულ ცნობისმოყვარეობას იწვევდა და პერანგის კალთა გადააფარა, თუმცა მთლად ვერ დამალა.

რუსთაველის ძეგლთან ლომის პირიდან წყალი დალია. გზა განაგრძო. მელიქიშვილის ქუჩა გაიარა და უნივერსიტეტის ბაღში შევიდა.

ლექციები ჯერაც არ იყო დაწყებული. ეზოში სტუდენტები ირეოდნენ. მზეჭაბუკი შორიდან უთვალთვალებდა. ნაცნობი ვერავინ იპოვა, თუმცა ვინ ჰყავდა ნაცნობი, რამდენიმე ყმაწვილი თუ ახსოვდა საგამარჯობოდ.

წასვლა დააპირა და ამ დროს დაუძახეს:

— მზეჭაბუკ!

თავდაპირველად ვერ იცნო.

— როგნედა, გამარჯობა! — მშვიდად მიესალმა.

დაქალებულიყო, მზეჭაბუკზე უფროსიც კი ჩანდა. თითზე ბეჭედი ეკეთა.

— ხომ არ გათხოვდი?

— არა, ეს ისე, ბიჭებმა რომ არ შემაწუხონ, — ბეჭდიანი ხელი დამალა როგნედამ. უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ უცხოებივით უბრად იდგნენ.

— როდის ჩამოხვედი? — ხმა ძლივს ამოიღო გოგომ.

— ერთი საათიც არაა. ვინმე ნაცნობს ვნახავ-მეთქი, გამოვიარე... მინდოდა, მეკითხა, მზიას ხომ არ იცნობ, ჩვენს მეზობელს?

როგნედა გაწითლდა, თავი დაუქნია.

— აქ არ არის?

— ის ხომ ავადაა, გარეთ არც გამოდის, ექიმები ვერა შველიან...

— ნუთუ? — მღელვარება დამალა მზეჭაბუკმა, — მაშ, მე წავედი, კარგად მენახე!

როგნედა ადგილზე დარჩა. გაჰყურებდა მიმავალ ყრმას და თვალი ცრემლით ევსებოდა.

მზეჭაბუკი ვარაზისხევით გმირთა მოედანზე დაეშვა.

საათზე მეტი იხეტიალა და ჯერ ქუჩას, მერე სახლს მიაგნო.

მოუთმენლად დააჭირა რამდენიმეჯერ ღილაკს.

— ნელა, კაცო, ნუ აგვიკელი! — ბუზღუნით გამოიხედა ამირანმა.

— ვეღარ მიცანი, ამირან ბიძია?

ამირანი შეცბა. ცხადია, იცნო, ოღონდ ზღურბლიდან ფეხი არ მოუცვლია.

— ეჰ, კარგად გიცნობთ ბედიებს, მაგრამ სახეირო ვერაფერი ვნახე ამაში!

— ამირან ბიძია, რაღაც არ მახსოვს, რამე დამეშავებინოს!

— ჰმ, — ამირანმა არ იცოდა ამაზე რა ეპასუხა, შეყოყმანდა, — ჰო, შემოდი, ხმადაბლა ილაპარაკე, ავადმყოფი გვყავს.

მზეჭაბუკმა გვერდი აუქცია. აქამდე არასოდეს ყოფილა ამ ბინაში, მაგრამ გუმანით მიხვდა, სადაც იქნებოდა მზიას ოთახი. ნებართვისთვის არ მოუცდია, ისე შევიდა.

ავადმყოფის ცვილისფერი პირისახე ძლივს აჩნდა ბალიშზე, მძიმე ფარდებში მზე ვერ აღწევდა და მრუმე, სიფრიფანა შუქი კიდევ უფრო უფერულსა და მილეულს აჩედა გოგოს.

— გამარჯობა, მზია!

თვალი გაახილა მზიამ, სუსტად გაუღიმა.

— გამარჯობა, ტატო! — ნიავივით შეეპასუხა.

მზეჭაბუკი დაიბნა, ენა შეებორკა.

— ბნელში წოლა რას გარგებს, გოგო! — შეეცადა მხიარულად ეთქვა.

ფარდას მივარდა, გადასწია.

სინათლე ნიაღვარივით მოსკდა, პირთამდე აავსო ოთახი, მზის სხივები დაეფინა პარკეტს, ათინათები აციმციმდნენ ჭერსა და კედლებზე.

— გარეთ ისეთი ამინდია...

ფანჯარა გამოაღო, გრილი ჰაერი შემოუშვა.

— გამარჯობა, ტატო! — ძლივს გასაგონად გაიმეორა მზიამ.

მზეჭაბუკს ლოყები უხურდა, ავადმყოფისაკენ დაიხარა და წასჩურჩულა:

— მხნედ იყავი, მზია, მალე განიდევნება მტერი ბოროტი. გზა დამილოცე!

— დამილოცნიხარ, ტატო! — ბაგეზე წაიკითხა მზეჭაბუკმა, გაგონებით კი არა გაუგონია რა...

ამირანმა შემოიხედა და გაოცდა. მზით სავსე ოთახში სტუმარი ვერ იპოვა...

* * *

„დამილოცნიხარ, ტატო!“ — ფიქრში მრავალგზის გაიმეორა მზიამ. გრძნობდა, გულს მალამოდ ედებოდა ეს სიტყვები, უმრთელებდა...

მზიას მეხსიერება თეთრ ქაღალდს დამსგავსებოდა, რომელზეც აქამდე ორად ორი სიტყვა ეწერა: „ტატო წავიდა!“ მზიამ არ იცოდა, რატომ წავიდა ტატო, სად წავიდა, რად მიატოვა. ისეთი რა უნდა დაეშავებინა გოგონას, ასე სასტიკად რომ დასაჯეს.

იმ დღიდან ფიქრი ჩაეხშო, აზრი გადაეკეტა. იგი უდრტვინველად, წინააღმდეგობის გაუწევლად თანდათან ქრებოდა, მორჩილად მიჰყვებოდა შავი ზმანების იმ ტკბილ შარას, რომლის ბოლოს მარადისობასთან სრული შერწყმა მოელოდა.

დღე ჰგავდა ღამეს, ღამე დღეს... ადამიანთა ყოფის ყოველდღიური წვრილმანები მის სმენამდე ვერ დადიოდა. ხანდახან ბინდბუნდში ოდნავ გამოჩნდებოდა ამირანის ან ბუბას სახეები. ისინი რაღაცას ჩასჩიჩინებდნენ, მაგრამ მზიას მეხსიერებაში ქვითკირის ზღუდედ წამომართულიყო სიტყვები — „ტატო წავიდა!“ სხვა რამ კი მისთვის არ არსებობდა. ცხოვრება იყო უსასრულოდ გაჭიმული წამი, რადგან სრულ სითეთრეში შეუძლებელია რამის გარჩევა.

მერე უცბად შემოვიდა ტატო. ფარდა გადასწია, მზის სხივებით აავსო ოთახი. ფანჯრიდან გრილი ნიავი შემოიჭრა. „გამარჯობა, მზია, — ჩასჩურჩულა, — დიდხანს გალოდინე, ძვირფასო, და მაპატიე... აჰა, მოვედი შენთან და ამიერიდან არასოდეს მიგატოვებ!“ „დამილოცნიხარ, ტატო!“ — პასუხი შეაგება მზიამ. პირველად ამ უსასრულო წამის მანძილზე მოინგრა მეხსიერების ზღუდე და იქ შემოიჭრა მაცოცხლებელი აზრი — „დამილოცნიხარ, ტატო!“ სიტყვები ჰგავდა ღამის უღრანში მოფარფატე ციცინათელას, რომელიც ხან ერთ კუთხეს მიანათებს, ხან მეორეს. მეხსიერებაში ათასი წვრილმანი აფუთფუთდა. ძნელი იყო მთავარისა და ძირითადის გამოყოფა და მზიას დაავადებული გონება გადაიღალა, მოითენთა, ბურუსში ჩაეფლო... შეწყდა სუსტი აზრის მდინარება, სიზმრის გაფაჩუნებაც არ არღვევდა მზიას არყოფნას...

ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს შეგრძნება, როცა სული ტოვებს სხეულს და სადღაც ბნელ სივრცეში მიექანება. თითქოს სამუდამოდ გაჩერდა დრო, მზიას მეობა არარსში გაითქვიფა...

უცბად მკვეთრი, ჩახჩახა სინათლე მოეფინა პირზე. თვალი გაახილა განცვიფრებულმა, თითქოს ბნელი ოკეანის სიღრმიდან ამოტივტივდა. „სად ვარ?“ — თავს შეეკითხა. კარგად ცნობდა ამ ოთახს, თუმცა რაღაც ცვლილება მაინც მომხდარიყო. წამლების სუნმა დააეჭვა, მაგრამ ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს წუხელ ჩაეძინა და ამ დილით ჯანსაღი ძილის შემდეგ გამოეღვიძა. გონება ნათელი და დაწმენდილი ჰქონდა.

„დღეს ტატოს უნდა შევხვდე!“ — გაიფიქრა. ერთხანს იწვა. რეპროდუქტორიდან შტრაუსის ვალსები მოისმოდა. ალბათ კვლავ ის დღე გათენდა, როცა „ვენის ტყის ვალსის“ მელოდიაზე

პერანგის ამარა ამ ოთახში ცეკვავდა.

წამოიწია. სხეული მსუბუქად დაემორჩილა. სულის სიღრმეში ბედნიერი სიცილი იბადებოდა და მუსიკის ხმას აჰყვა, ოთახში დატრიალდა.

სარკის წინ მოწყვეტით გაჩერდა, ჩვეული, ცისკროვანი ღიმილი შემოეგება.

„დღეს ტატოს უნდა შევხვდე!“ — კვლავ გაიფიქრა, მაგრამ ეს დღე მაინც არ ჰგავდა მზის სხივებით გამსჭვალულ იმ დილას და მეხსიერებას ძალა დაატანა.

„ტატო არ არის!“ — პედანტი მასწავლებლის ხმით ჩაუკაკუნა ვიღაცამ.

ბაგეზე ღიმილი წაეშალა, მაგრამ ჯიუტად გააქნია თავი, არ დაიჯერა.

კარგა ხნის უხმარი კაბები გამოიღო კარადიდან. ერთი შეარჩია, კოპლებიანი, ტატოს რომ უყვარდა. ქუთუთოებზე ოდნავ წაისვა ლურჯი საღებავი, რაც ძალიან უხდებოდა.

სამზარეულოს რომ გაუარა, „დილა მშვიდობისა, მამიკო!“ — წაუმღერა. ამირანი და ბუბა საუზმობდნენ. ორივენი ფეხზე წამოცვივდნენ, უზომო განცვიფრებისაგან ხმის ამოღება ვერ მოასწრეს, მზია კი ფეხსაცმელების ბაკიბუკით კიბეზე ჩარბოდა.

სანამ ქუჩაში გავიდოდა, მეზობელთა გაოცებულ მზერას ღიმილს აგებებდა. ვერც ხვდებოდა, რა აოცებდათ. მისი გონება მხოლოდ ტატოთი იყო დაკავებული.

სასაფლაოზე ტაქსით წავიდა.

ორმოცის შემდეგ იქ არ ყოფილა, მაგრამ ახლა მოეჩვენა, რომ ყოველდღე აკითხავდა თავის რჩეულს.

უშეცდომოდ მიაგნო მარმარილოსა და ბრინჯაოს შორის ჩაკარგულ უბრალო საფლავს.

ვიღაცას ზედ მინდვრის თეთრი გვირილები გაეხარებინა.

„გამარჯობა, ტატო!“ — წაიჩურჩულა მზიამ და ფხვიერ მიწას მოეფერა...

* * *

მზეჭაბუკ ბედიას ხმალი თავზევით აღემართა და მტრის დასათრგუნავად მიისწრაფოდა. ხმალი ანათებდა, ვითარცა შუქურვარსკვლავი, ცინცხალი ნაპერწკლები სცვიოდა. მის დიად სიკაშკაშეში ვარსკვლავნი ქრებოდნენ.

განიწმინდა მზეჭაბუკ ბედია და მის სულში მგზნებარე ცეცხლი ენთო. მკლავში ულევ ძალასა გრძნობდა. ბედნიერი იყო, რამეთუ რჩეულთა ხვედრი რგებოდა წილად.

უშფოთველი ქალაქები და სოფლები დაილია პირმიწაზე, გორებისა და სერების ბნელი გრაგნილები გამოიკვეთა...

ქროდა ძლიერი ზურგის ქარი, ცდილობდა განეძარცვა ზეცად აჭრილი ყრმა, იტაცებდა ნაპერწკლებს, ციცინათელებივით მიმოაფენდა ღამის მიწაზე.

და სადაც დაეცემოდა ნაპერწკალი იგი, მუნ აღმოცენდებოდა სიკეთის ლურჯი ყვავილი.

მზეჭაბუკ ბედია მიიჩქაროდა უჩინარი მტრისაკენ. აღუშფოთველ ძილს მიცემული სამყაროს მკვიდრნი ვერარას გაიგებდნენ მის გამარჯვებასა თუ დამარცხებაზე, გარნა ჭეშმარიტი სიკეთეა, როცა გმირობის წილ ჯილდოს არღარას მოელი.

აღმოსავლეთის მთათა შორეულ მწვერვალებზე თეთრმა ზოლმა გაჰკრა, შავ წახნაგებად გამოჰკვეთა ქედთა გრაგნილები. უჩუმრად, თავმდაბალი სიმორცხვით მოვიდა ლბილი ნათელი. თითქოს პროჟექტორებმა მოანათესო, ქვესკნელიდან ამოშუქდა სხივი სამყაროის დიადი მეუფისა, თვალსაწიერზე ოქროს ჯაჭვით დაკიდებული ღრუბლის სპეტაკი ქულა შუაში განკვეთა... მზე ჩქარობდა, რათა ყოფილიყო ერთადერთი მოწმე მზეჭაბუკ ბედიას ომისა...

აჰარე განიხვნა კარიბჭე სასახლისა და დიადი მზე გარდამოვიდა ცათა შინა... ნათელი დაეფინა ვრცელ ველებსა და ტრამალებს, მიმოიჭვრიტა ყოველი ნაოჭი კიდით კიდე გარდაშლილი მიწისა, მბრწყინავი ოქროს ისრებით გამსჭვალა უკიდეგანო ეთერი... ხმალი გრძნეული აბრიალდა უფრო, ისხლიტა სხივი მზისა და მირიადი ათინათი მიმოაბნია...

ქარი ჩადგა, გაყუჩდა. წყნარი ნიავიღა უბერავდა ხანდახან, ელამუნებოდა ახალგაღვიძებულ მიწისპირს. გაიშალნენ ხენი და ყვავილნი, ტოროლა აიჭრა ცის კაბადონზე და ყოველმან მტილ-მან მიჰმართა თვის სამუშაკოს.

აჩუხჩუხდა წყარონი ანკარანი და ზეფირმა წამოიღო დედ-აბუნების ტკბილი მუსიკა...

მზეჭაბუკ ბედია მიჰქროდა ვრცეულ ეთერში და ლურჯი ჭავ-ლი ირხეოდა მის კვალზე...

* * *

იქ კი, თვალგადაუწვდენ უდაბნოებში, სადაც მზის ხვატით გადამწვარ ქვიშის დიუნებზე თვალი ათასში ერთხელ შეისვენებს სიცოცხლედალეულ, ჩამომხმარ ეკლიან ბუჩქზე, სადაც ათასში ერთხელ თუ გაცოცდება აქამდე მზეზე განაბული უნასი, ანდა ქვიშაში იმალება გოჯისტოლა მორიელი, სადაც ათასში ერთხელ თუ დაჰქროლებს ცხელი ნიავი, ზე აიტაცებს წვრილი ქვიშის ღრუბლებს, სადაც სიცოცხლის სიხარული განდევნილია, ქარა-ვანთა ნაკვალევზე თეთრი ჩონჩხები ჰყრია, იქ მიწა იძრა...

ჯერ სუსტი, ყრუ გუგუნი ისმოდა ერთხანს. მერმე გაძლიერდა ხმა. ზეცა გამოეპასუხა ბუბუნით, შეირყა სამყაროის გუმბათი... აქლემის ლეშიდან აფრინდა ყორანი, ყრანტალით შეუწყრა ბედის-წერას, მორიელი სწრაფად ჩაიმარხა ქვიშაში, უნასმა წვეთი შხამი დაანთხია, მშფოთვარედ დაიგორგლა; დიუნებიდან ჩუმი შრიალით ფენა-ფენა ჩამოეშვა წვრილი ქვიშა...

გაძლიერდა გუგუნი, მოახლოვდა, აზანზარდა ვრცელი ტრა-მალი. იქუხა ზეცამ, თითქოს უზარმაზარი გველეშაპი დასჭი-დებიაო კოსმოსში მოხეტიალე დედამიწას და ინგრეოდა ქვეყ-ნიერება. გასკდა, ბზარით დაიტოტა უდაბნო, ჩაიფშვნენ ქვიშის დიუნები შავ უფსკრულში.

ჰორიზონტზე ავარდა მტვრის კორიანტელი. მაღლა, მაღლა აიწია, ბოლქვი ბოლქვზე აზიდა, მთელი ცისკიდური დაიპყრო. მოდიოდა შავი გრიგალი, ნთქავდა ყოველივე ნათელს.

მზე შეჩერდა ცარგვალზე. მტვრის პირბადე გადაეფარა

წამით, გამოიჭყიტა. უმალვე წარიტაცეს, ვითარცა ყმაწვილი მზეთუნახავი, ვისაც თავზე ჩადრი მოარგეს და ბნელ ჰარამხანაში შთააგდეს.

მიწის პირი დაიპყრო ზვავივით წამოსულმა ქვიშის გრიგალმა, ბოროტი ურჩხულივით გადაეფოფრა...

უცბად მტვრის ღრუბლებში გაიელვეს ბუმბერაზმა ცხენებმა. უზარმაზარ ფლოქვებქვეშ დგრიალებდა მიწა, ავი ჭიხვინი აწყ-დებოდა ცის კაბადონს, აწეწილი ქარიშხლები თავგზააბნეულად მიიჩქაროდნენ ქვეყნიერების ყოველი მხარისკენ...

ოქროს ეტლი მოჰქროდა უდაბნოზე. ოქროთი მოსალტულ ბორ-ბლებქვეშ იშლებოდა დიუნები, იფშვნეოდა სალი კლდე, ნაპერ-წკლებად ცვიოდა კაჟი...

ჯაგერნაუტი წამოიმართა ეტლზე. თავზე მზის ბრდღვიალა გვირგვინი ედგა. საცრისოდენა თვალებიდან ორი დიდი ვარსკვ-ლავი ანათებდა ბოროტად.

მოდიოდა ჯაგერნაუტი და შეუბრალებლად სპობდა ყოველივეს...

* * *

გაზაფხულის ხასხასა მდელო ლივლივებდა ველებსა და გო-რაკებზე. ლურჯი ტბები მიმობნეულიყო აქა-იქ. ყოველ ტბაში თითო მზე ჩავარდნილიყო, ბარჩხალებდა თვალისმომჭრელად. აღმოსავლეთის ყავისფერი კლდეები ურჩხულის ყბებს დაემ-სგავსა. დასავლეთის მწვანე ფიჭვნარით მოსილი მთათა გრაგნი-ლი სპეტაკი თოვლით შებურვილ მწვერვალებში გადადიოდა.

ყოველივე ამას ზევიდან ბროლის ხუფივით ეხურა ულურჯესი ცა.

მზეჭაბუკ ბედია ცისთავზე ეკიდა და უთვალთვალებდა წყება-წყება გორაკებით მოფენილ სივრცეს, სადაც მტვრის გიგანტური გრიგალი წამომდგარიყო პირისაგან მიწისა, მძულვარედ ემუქ-რებოდა ამ ხასხასა, ბუკოლიკური მშვენიერებით მოხატულ ქვეყანას.

მოახლოებული სტიქია აზანზარებდა მიწასა და ზეცას. გრი-ალით მოჰქროდა ჯაგერნაუტის სისხლიანი ეტლი, ყოველივეს ასწორებდა და ანადგურებდა.

აპოკალიპსურ გუგუნს ერთვოდა ცხენთა ჭიხვინი, შავ ღრუბ-

ლებში სხლტებოდა ოქროს ციმციმი.

მზეჭაბუკ ბედია ელვასავით დაეშვა ძირს, რათა პირისპირ შეჰკვეთოდა მომხდურს.

მტერს მოეფინა თვალსაწიერი. მოიწეოდნენ სპილოებისა და აქლემების ქარავნები, ცხენოსანი ჯუჯები, ქვეითი ქაჯები. მზეზე ბრწყინავდა უთვალავი შუბი და ხმალი. მიწა ვერ უძლებდა ურიცხვი ლაშქრის სიმძიმეს. კალიასავით შემოსეოდნენ ზურმუხტისფერ ველებს. სადაც გაივლიდნენ, ყველგან ქვიშა და ღორღი რჩებოდა, გადაჯეგილი, უსიცოცხლო, განადგურებული. გაიქროლებდა ჯაგერნაუტის ეტლის ბორბლები და ქვაღორღიც მტვრად ინთქმებოდა... მტვერი იყო ყოველივე და მტვრად იქცეოდა... სიცოცხლეს დასდგომოდა განსაცდელი...

მზეჭაბუკ ბედიამ ხმლის ვადა ჩაბღუჯა, მეთაურ რაზმს დააცხრა თავგანწირვით. გაკვესა ხმალმა გრძნეულმა, ელვა მოსწყდა პირს, ცეცხლის ნაპერწკლები დაყარა...

თვალს არ დაუჯერა ქველმა ყრმამ. იქ, სადაც მეწინავე მხედრობა იდგა, თიხის ბორცვების რიგი დაეწყო.

შეუტია ახლა სპილოებსა და აქლემებზე ამხედრებულ ლაშქარს. გაიწვდინა ხმალი გრძნეული და თიხის ბორცვების წყება გაჩნდა უმალ.

ასე დაჰქროდა ველზე, ლაშქრის ადგილას კი ურიცხვი ბორცვი და გორაკი მიმოიფანტა.

მაღლა აფრინდა ყრმა, შავი მტვრის გრიგალში გაეხვია.

ღმუოდა გრიგალი, პირისახეზე ახლიდა მტვერსა და ნაცარს, უსიცოცხლო უდაბნოებიდან წარტაცებულს. ზანზარებდა ცა და მიწა, მეხი სკდებოდა, ხმაჩახლეჩილი, ბოროტი, გაავებული.

არა დრკებოდა ყრმა ბედია, ხმალი გრძნეული წინ გაეწვდინა, არღვევდა მოძალებულ გრიგალს.

ბოლოს გამოკრთა ჯაგერნაუტის ცას შემწვდარი კოლოსი. ბუმბერაზის უსიცოცხლო თავი პირისპირ შეჰყურებდა მზეჭაბუკ ბედიას... იქ, სადაც თვალები ეგულებოდა, გავარვარებული რკინა დუღდა. იქ, სადაც პირი უნდა ყოფილიყო, შავი კვამლი ხრჩოლავდა. წამით შეკრთა ყრმა ბედია. უმალვე განდევნა კრთომა, ორივე ხელი ჩასჭიდა ხმლის ვადას, მიეჭრა უსიცოცხლო გიგანტს.

„ჯაგერნაუტ!“ — შეჰკივლა ბრძოლის ჟინით აღგზნებულმა.

ექომ მრავალგზის გაიმეორა მისი ძახილი:

„ჯაგერნაუტ... ნაუტ... ნაუტ!..“

კოლოსი არ პასუხობდა. მკვდარ სახეზე კუნთიც არ შერხეულა.

ხმლის წვერი მიაწვდინა მზეჭაბუკმა, დაღი დაამჩნია სახეზე. შენელდა ცეცხლი თვალებში, შხამიანი კვამლი აღარ ხრჩოლავდა პირიდან.

„თიხა ყოფილა!“ — გაოცდა ყრმა, გათამამებული მიფრინდა თვალის უპესთან.

თვალის მაგიერ ფართოდ ამოჭრილი ხვრელიღა დახვდა. შიგ შეიხედა. უზარმაზარი ბომონი შიგნიდან ღრუ აღმოჩნდა.

„ჰეი!“ — ჩასძახა მზეჭაბუკმა.

„ჰეი, ჰეი, ჰეი!..“ — ექო გამოეპასუხა კოლოსის სტომაქიდან.

მგლის საზარი ყმუილიც დაერთო ექოს.

კვლავ ხმალი მომართა მზეჭაბუკმა. უყოყმანოდ შეფრინდა თვალის ჭრილში, ტაძრის ვრცელ გუმბათს ჰგავდა ჯაგერნაუტის თავი.

„ჰეი, ვინა ხარ მანდ?!“

ქვევით დიდი ქურა დაინახა. იქვე მგელი ჩაცუცქულიყო და ყმუოდა. წოწოლა კაცი ცდილობდა ცეცხლის ანთებას, უბერავდა და უბერავდა. ქურა კი სუსტად ხრჩოლავდა, ალი გაჰპარვოდა.

„დამიდექ, ვინცა ხარ!“ — დააცხრა ზევიდან მზეჭაბუკ ბედია.

წოწოლამ ქურას თავი მიანება, მგელს ზურგზე მოახტა, გაანგრია კოლოსის კედელი და მინდორზე გააქროლა.

კვალზე სწრაფად მიედევნა მზეჭაბუკი. გრიალი მოადინა კოლოსმა და იმ ადგილას თიხის მთა წამოიმართა.

ყრმა ბედიას უკან არც მოუხედავს.

ძალას მოუხმო. მიეწია მგელზე ამხედრებულს, გადააწვდინა ხმალი გრძნეული, მოუქნია.

იფრთხიალა უცებ წოწოლამ, ორბად იქცა. მოქნეულმა ხმალმა ორად გაჰკვეთა მგელი.

ორბს გამოენთო მზეჭაბუკი.

ყიოდა გაქცეული ორბი, ეწადა თავის დაღწევა.

„დამიდექ!“ — იძახდა მზეჭაბუკი.

შემოუბრუნდა ორბი იგი, პირისპირ შემოეჩეხა. მძლავრი ფრთები აუბათქუნა სახეზე, ჭანგი გაჰკრა, მკლავზე სისხლი ადინა.

ყანყრატოში ეცა მზეჭაბუკი, მარჯვენათი კი ხმალი მოუქნია, ფრთები დაასხიპა.

ჩხავილი აღმოხდა ფრინველს, შავი სისხლი წარმოსდინდა ჭრილობიდან. ჭაობის ბინძური სუნი სდიოდა სისხლს. შხამიანი წვეთები ესხურებოდა მინდორს და, სადაც დაეცემოდა, იქ მხრჩოლავი ცეცხლი ჯოჯოხეთისა ნთქავდა ყოველივე ცოცხალს.

ერთხელაც გაიბრძოლა ორბმა, ერთხელაც გაჰკრა ჭანგი, ჭრილობით დაუსერა სხეული.

ღონე დაელია ყრმას. ვეღარ ერეოდა მტერს, ხმალს ვერ იქნევდა მძლავრად.

დაუსხლტა ფრთამოსხეპილი ორბი, ქვასავით წავიდა ძირს.

მისდია მზეჭაბუკ ბედიამ.

ზედ მიწის პირას მიუსწრო.

ამოტრიალდა ორბი და უნასი გასრიალდა, შხამიანი თავი ააყელყელავა, ორკაპიანი ენა გამოაგდო.

არ დაერიდა მზეჭაბუკი, მიეწია ღორღებში გაქცეულს, მიაწვდინა ხმალი და წელი მოსწყვიტა.

უნასის თავი არ შეჩერებულა მაინც, ხვრელი იპოვა და გაქრა, მიწამ პირი უყო...

ამბობენ, კუდწაჭრილი უნასიდან გველეშაპი წამოიზრდებაო...

გარნა ხმალი ჯადოსნური კვლავაც მტკიცე ხელს პოვებს, კვლავაც აღმოხდების, ვითარცა შუქურვარსკვლავი...

* * *

მოიქანცა, ფეხზე ძლივს იდგა. შუბლზე ოფლის წინწკლები დაასხდა. დასერილი სხეული უხურდა, ჭრილობაში შეჭრილი შხამი ეშმაკეულისა სისხლს უწამლავდა.

„წყალი!“

წვეთი წყალი არსად მოიძიებოდა გუჯმახანის გადაჯეგილ უდაბნოეთში.

ზე წამოიწია მზეჭაბუკ ბედია, უკანასკნელ ძალას მოუხმო, სულის სიმხნევე არ დათმო და ცის ტატნობს მიაშურა.

მაღლა და მაღლა მიიწევდა, დროზე უნდა მიეღწია მწვანე სანახებისათვის, რათა სამშობლოს წიაღიდან ამოსული ნაკადულით ჭრილობები მოებანა.

ტროპოსფეროს ზღვარზე წამოეწია ცივი გრიგალი, კისკასით შემოეხვია ყრმას, გულში ჩაიკრა.

წინ, ცის კიდეზე ამოიზარდა მარადი კავკასიონი, თოვლიანი ზღუდე შემოავლო ჰორიზონტს.

ზღვასა და ზღვას შორის გადაშლილიყო მზეჭაბუკ ბედიას მიწა.

დასავლეთით ღრუბელთა ქარავანი გამოჩნდა, თანდათან მოედო სივრცეს, მთლიანად მოიცვა ზურმუხტისფერი ლიხთიმერი, ლიხზე გადმობობღდა, გზა გადაუჭრა.

„წყალი!“ — სიცხიანი ტუჩებით ჩურჩულებდა ყრმა ბედია. ცივი გრიგალის ფრთებს მინდობოდა, ღრუბელთა თეთრი ველისაკენ რომ მიაქანებდა.

მზერაში ბინდი ჩაუდგა, თვალთაგან წარეტაცა ზღვისა და ცის სილურჯე.

ეზმანებოდა: წყალი ანკარა დიოდა ჩქაფუნით. რძისფერი ტალღები ეხლებოდა ქარაფებს. წყლის გრილი ნაკადი ტრიალებდა, შხუოდა, წინწკლებს ისროდა. ფეხშიშველა მზია იდგა წყალში. ზედაპირზე არეკლილი ლურჯი სინათლე მსჭვალავდა ჰაერს და გამჭვირვალე, ლანდადქცეული გოგონაც თანდათან ლაჟვარდში უჩინარდებოდა... დაიხარა, პეშვით წყალი აიტაცა, გამოუწოდა... გაქრა...

ფერხთით ამოიგორგლა ღრუბლის აფუებული ქულა. გრიალით გამოაწვდინა ცეცხლოვანი ელვა, დაიკლაკნა სივრცეში, დაფლითა, არივდარია თეთრი ქარავანი.

შეკრთა მზეჭაბუკ ბედია, გამოერკვა. ორივე მხრიდან ჩაშავებული, ქურუში ღრუბელი უახლოვდებოდა, ქვევით კი, მწვანე ჭრილში მთაწმინდის კალთები წამოიმართა, ზე ამოიზიდა, შემოეგება ცით მოვლენილ შვილს.

უხეშმა გუგუნმა სმენა დაუხშო. თვალწინ იელვა ჯოჯოხეთურად. გუჯმახანის მოკვეთილი კუდი ასხმარტალდა ცის კაბა-

დონზე, ჯაგერნაუტის გიგანტური თავი მოგორავდა გრიალ-გრიალით, კვამლსა და ცეცხლს ახრჩოლებდა...

მერე მიწყდა ხმაური. ნელი ჩქაფუნი მოისმა კვლავაც. გამჭვირვალე, სუფთა წყალმა დატბორა სივრცე. მუხლამდე წყალში იდგა მზია, ისიც ცისფერი და გამჭვირვალე. დაიხარა ქალწული, პეშვით წყალი აიღო და გამოუწოდა...

1973—1975

სარჩევი

წინათქმა 3

ნაწილი!. მარცხიანი დღე.....12

ნაწილიII. ჯადოსნური სარკე.....74

ნაწილიIII. გზაბოძალი.....101

ნაწილიIV. აღსრულებულ სურვილთა დღე.....129

ნაწილიV. ორმოცი დღე.....177

ნაწილიVI. მამონას განძი.....219

ნაწილიVII. აღზევება.....254

ნაწილიVIII. ეჭვი.....316

ნაწილი IX . დიდი ქორწილი.....366

ნაწილიX. ჯგრაგ.....421

ნაწილი XI. განძარცული.....455

ნაწილი XII. ცხრანი ძმანი ქართლოსიანნი.....493

ნაწილი XIII . ხვედრი.....506

ნაწილი XIV. მზეჭაბუკ ბედიას ომი 548

ტომი I. მე, როსინანტი!... (ავტობიოგრაფიული რომანი)

ტომი II. მეხამრიდი (მოთხრობები)

ტომი III. მთელი დღე წვიმდა (მოთხრობები)

ტომი IV. ესხირი (რომანი)

ტომიV. მარადი მხედარი (რომანი)

ტომი VI. მკვდარი სახლი (რომანი)

ტომი VII. კიბე იაკობისი (ტრილოგია, წიგნი I და II)

ტომიVIII. კიბე იაკობისი (ტრილოგია, წიგნი III)

ტომი IX. დიდობანას თამაში (რომანი)

ტომი X. ზღაპრები პატარებისა და დიდებისათვის

ტომი XI. პუბლიკაცია.

გამომცემლობა „საარი“
2006